

მისილ კვსელავს



ადამ
მისკვირი

წხოვრება და
მუშაობა

სახელბანი

თბილისი

1956

რედაქტორი მთავრ ჯინწრისა

ადამ მიცკევიჩის გარდაცვალებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავად პოლონელმა ხალხმა 1955 წელს „მიცკევიჩის წელი“ უწოდა. სახალხო დემოკრატიულმა პოლონეთმა დიდების უკვდავი ძეგლი აუგო მის საყვარელ შვილს, პოეტს, რომლის შემოქმედებაც, მაქსიმ გორკის თქმით, უდიდესი სილამაზით, ძალითა და სისრულით გამოხატავს პოლონელი ხალხის სულს.

მიცკევიჩმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა პოლონელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეს. მისი პოეტური ჩანგი მუდამ დედა-სამშობლოს სადიდებლად ჟღერდა. მას ღრმად სწამდა თავისი ხალხის მომავალი; და არა მარტო თავისი ხალხისა; დიდი რუსი მგოსნის ალექსანდრე პუშკინის თქმით, ადამ მიცკევიჩი ოცნებობდა იმ დროზე, „როცა ხალხები შულს დაივიწყებენ და ერთ დიდ ოჯახად შეერთდებიან“.

მიცკევიჩი ბრძოლისა და თავისუფლების პოეტია. მისი სახელი ყოველთვის იქ ისმის, სადაც თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა გაშლილი.

ცნობილია ასეთი ფაქტი: პოეტის გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ ვილნიუსში ერთ პოლონელ ახალგაზრდას რევოლუციური მუშაობისათვის ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. სიკვდილმისჯილის საკანში პროკურორი შევიდა და წესისამებრ ჰკითხა, თუ რა იყო მისი უკანასკნელი სურვილი. ახალგაზრდამ მუდარით სავსე თვალები მიაპყრო და სთხოვა: „თუ შეიძლება მომიხერხეთ, რომ მიცკევიჩის ლექსების წიგნი მომიტანონ. სიკვდილის წინ მე მსურს ერთხელ კიდევ გადავიკითხო ჩვენი სახელოვანი პოეტის შესანიშნავი სტრიქონები“.

ვიდრე ცოცხალი იყო, მიცქევიჩი თვითონ იბრძოდა, სიკვდილის შემდეგ კი მისი თხზულებები ედგა მხარში იმათ, ვინც ამ ბრძოლას განაგრძობდა. მისი პოეზიის საბრძოლო დროშა არასოდეს დაკეცილა. დიდი პოლონელი პოეტი მუდამ მტკიცედ იდგა და დღესაც დგას ხალხთა ინტერესების სადარაჯოზე.

57 წელი იცხოვრა მიცქევიჩმა. ამის ნახევარი მან გადასახლებასა და ემიგრაციაში გაატარა. სამშობლოს მოწყვეტილი და ტოლ-მეგობრებს გამოთიშული დაეხეტებოდა ყარიბი მგოსანი უცხო ქვეყნებში და ვაიდლოტივით მღეროდა თავისი ტანჯული ხალხის სიმღერას. მან უდიდესი სიძლიერით ასახა პოლონელი ხალხის ტრაგიკული ისტორია, მისი მძიმე წარსული და ბედნიერი მომავალი.

ყოველი ჰემარიტი პოეტი თავისი ხალხისა და ეპოქის შვილია, ყოველი დიდი ნაწარმოები კი — უდიდესი ნაწილი ავტორის სულიერი ცხოვრებისა. თუ ვინმეზე ითქმის ეს, უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას ადამ მიცქევიჩზე, რომლის მთელი შემოქმედება მისი მდიდარი და ლამაზი ცხოვრების მხატვრული ანარეკლია. მიცქევიჩის შესახებ სხვა რომ არაფერი ვიცოდეთ, მისი ცხოვრების მატიანის შედგენა მისი ნაწარმოებთა მიხედვითაც შეგვეძლებოდა.

მიცქევიჩის შემოქმედება მთლიანად პოლონელი ხალხის ცხოვრებასთანაა შერწყმული. მის თხზულებებში პოეტის სულიერი და ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების სურათები სავსებით ემთხვევიან ერთმანეთს, ამიტომაც არის, რომ უკვე ასწელზე მეტია, რაც პოლონეთის ისტორია არ წარმოიდგინება მიცქევიჩის დიდი და ნათელი სახელის გარეშე. მის უკვდავ ნაწარმოებებს ჯერ დროის ჟანგი არ მოდებია. ჟამთა ვითარებას ოდნავადაც არ შეუცვლია მისი პოეტური გენიის ელვარება. დღეს, როცა მიცქევიჩის ნაწერებს ვკითხულობთ, კიდევაც გვაღვიწყდება, რომ ის ერთი საუკუნის წინ ცხოვრობდა, იმდენად ახლობელი და თანადროულია ჩვენთვის ყოველი მისი ნაწარმოები; და ვინ იცის კიდევ რამდენი საუკუნე გაივლის, ვიდრე თავისუფლების ამ უკვდავი მომღერლის თხზულებანი გარდასულ დროთა მოგონებად იქცევიან.

ასეთია ხვედრი გენიალური შემოქმედისა, რომელიც ხელოვნების უკვდავ ფორმებში გამოსახავს ეპოქის სულს, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის კეთილშობილურ იდეებს და უანგარო მოღვაწეობით არა მარტო თანამემამულეების, არამედ მთელი მოწინავე კაცობრიობის მადლობას იმსახურებს.

აღამ მიცკევიჩი ასეთი დიდი შემოქმედებითი დიაპაზონის მწერალია. ლექსში „აიუ დალი“ („ყირიმული სონეტების“ ციკლიდან) კლდის ქიმზე შემდგარი პოეტი გაჰყურებს აბობოქრებული ზღვის მძვინვარე ტალღებს, რომელნიც ვეშაპებივით ეხეთქებიან ქარაფებს, შემდეგ უკუიქცევიან და ალაფივით სტოვებენ ნაპირზე სისხლისფერ მარჯანს, ნიჟარებსა და მარგალიტებს. ტალღების ასეთ მოვარდნას ჰგავდა მიცკევიჩის მთელი ცხოვრება. იგი გაშმაგებით აწყდებოდა უსამართლობისა და დესპოტიზმის გრანიტის კედლებს. მუდამ საბრძოლველად შემართული პოეტი ბედუინივით მიარღვევდა ჟამთა სიავის უდაბნოეთს, მაგრამ შემდეგ დრომ მაინც თავისი გაიტანა, მისი ბობოქარი ცხოვრების ტალღები მარადისობის ზღვას შეუერთდა და შთამომავლობას დარჩა თავისუფლების მედროშის მღელვარე სულის ნაალაფარი — პოეზიის მარად ელვარე მარგალიტები.

ამ ლექსებიდან უკვდავების გვირგვინს შეჰკრავენო საუკუნენი — ამბობდა აღამ მიცკევიჩი.

წინასწარმეტყველური აღმოჩნდა დიდი პოლონელი პოეტის ეს სიტყვები: თავისუფლებისა და მშვიდობისათვის მეზრძოლმა ხალხებმა დიდების შარავანდით შემოსეს ხალხთა კეთილდღეობისა და მეგობრობის უკვდავი მომღერალი.

I

მიცკევიჩის ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული მისი ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურ და იდეურ გარემოსთან. მის ნაწარმოებებში აისახა პოლონეთის სახელმწიფოსა და პოლონელი ხალხის ტრაგიკული ისტორია.

ეპოქა, როდესაც იგი მოღვაწეობდა, უმძიმესი დრო იყო პოლონეთის ისტორიაში.

XVIII საუკუნის უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში პოლონეთის ტერიტორია სამჯერ იქნა დანაწილებული მეზობლად მდებარე დიდი სახელმწიფოების მიერ. 1770 — 72 წლებში, ე. წ. პირველი დანაწილების დროს, ავსტრიამ და პრუსიამ ისარგებლეს რუსეთის თურქეთთან ომში ჩაბმით და პეტერბურგის კონვენციის ძალით მიიტაცეს პოლონეთისა და უკრაინის ძველისძველი მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი: ავსტრიამ — ოსვენციომისა და ზატორსკის სამთავროები, კრაკოვისა და სანდომირის ოლქების სამხრეთი ნაწილი, ბელზის ოლქი და სხვა ტერიტორიები, სულ 83 ათასი კვ. კმ ფართობი 2650 ათასი მოსახლეობით, პრუსიამ კი — ვარმიის, ზღვისპირეთის ოლქები (გდანსკის გამოკლებით), მალბორკისა და ხელმნოს ოლქები (ტორუნის გამოკლებით), აგრეთვე კუავიისა და ე. წ. დიდი პოლონეთის ნაწილი, სულ 36 ათასი კვ. კმ 580 ათასი მოსახლეობით, ხოლო რუსეთმა დაიბრუნა ლატგალია და ბელორუსიის აღმოსავლეთი ნაწილი, ისე რომ ძირეული პოლონეთის არც ერთ ადლ მიწას არ შეხებია.

1773 წელს ავსტრიის, პრუსიის და რუსეთის ჯარები შევიდნენ ვარშავაში და დაუძღურებული პოლონეთის სეიმი აიძულეს პეტერბურგის კონვენციის რატიფიკაცია მოეხდინა. ამის შემდეგ პოლონეთის ძირეული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ავსტრიელთა და პრუსიელთა უღელქვეშ მოექცა, დანარჩენ ტერიტორიაზე კი შენარჩუნებული იქნა ძველებური „ფეოდალურ-დემოკრატიული“ წყობილება: შეიქმნა მხოლოდ ახალი აღმასრულებელი ორგანო „მუდმივი საბჭო“, რომელშიც მეფის 18 სენატორი და პოლონური შლიახტის 12 წარმომადგენელი შედიოდა. რუსეთის მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რათა კიდევ უფრო გაეძლიერებინა თავისი გავლენა პოლონეთში, ცდილობდა შლიახტის გადმობირებას და ამით თავისი ექსპანსიური პოლიტიკისათვის მტკიცე დასაყრდენის შექმნას.

პოლონელი ხალხი ერთი წუთითაც არ შერიგებია თავისი ოდინდელი ტერიტორიების ავსტრიისა და პრუსიის მიერ მიტა-

ცებას. გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. საზოგადოების, მეტადრე ინტელიგენციის მოწინავე, რადიკალურად განწყობილ ნაწილში გაისმა დემოკრატიული და რესპუბლიკური, ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული ლოზუნგები. ეროვნულ-განმათავისუფლებელ და სოციალურ მოძრაობაში მოსახლეობის ფართო ფენები ჩაებნენ. მეტ პოლიტიკურ აქტივობას იჩენდა „მესამე წოდებაც“, მაგრამ იმან, რომ ბურჟუაზიამ მოღალატური ბლოკი შეკრა არისტოკრატიასთან, პოლონეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ძალები მნიშვნელოვნად დაასუსტა.

საგრძნობი ცვლილებები მოხდა ქვეყნების იდეოლოგიურ ცხოვრებაში. ამ პერიოდის ცნობილი პოლონელი პუბლიცისტების და საზოგადოებრივი მოღვაწეების: სტანისლავ სტაშიცის, ჰუგო კოლონტაისა და ფრანციშეკ ეზერსკის ნაშრომები ხელს უწყობდნენ იმ დროისათვის პროგრესული იდეების განვითარებას და რევოლუციური სიტუაციის მომწიფებას.

რუსეთ-თურქეთის ომის გამოცხადებამ და ევროპაში ახალი სახელმწიფო ბლოკების შექმნამ კიდევ უფრო გაამწვავა პოლიტიკური პარტიების ბრძოლა პოლონეთის სეიმში.

მადაგახსნილი პრუსიელი დამპყრობლები დიპლომატიური შანტაჟის მეშვეობით ცდილობდნენ დაეყოლიებინათ რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II პოლონეთის ტერიტორიების ხელახალ დაყოფაზე. პრუსიის მთავარი საზრუნავი ის იყო, რომ პოლონეთი როგორმე ჩამოეშორებინა რუსეთისაგან და თავისი ეკონომიური და პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცია. ამ მიზნით პრუსია მხარს უჭერდა პოლონეთის მსხვილ მემამულეებს „მუდმივი საბჭოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში და 1789 წელს მიაღწია კიდევაც მის გაუქმებას, რითაც მნიშვნელოვნად დაასუსტა რუსეთის პოზიციები პოლონეთში. პრუსია ამითაც არ დაკმაყოფილდა და თვალთმაქცური დეკლარაციებით მიიმხრო სეიმი. საქმე იქამდე მივიდა, რომ სეიმის გადაწყვეტილებით ბერლინში დეპუტაცია გაიგზავნა პრუსიელებთან კავშირის დასამყარებლად. 1790 წელს პრუსიამ და პოლონეთმა მართლაც შეკრეს სამხედრო კავშირი. პოლონეთის სეიმი ამ დიპლომატიური ხრიკების შედეგად გალიციის დაბრუნებას მოელოდა

და რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის დამარცხების შემთხვევაში უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიების ნაწილის კვლავ შემოერთებაზე ფიქრობდა. მაგრამ ამ დიპლომატიური ჯამაშიდან პოლონეთის სეიმი წაგებულნი გამოვიდა. რუსეთის თურქეთზე გამარჯვების შედეგად დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობებში ახალი ცვლილებები მოხდა. პრუსია და რუსეთი ერთმანეთს მოურიგდნენ და ბერლინს უკვე აღარ სურდა „უმნიშვნელო პოლონეთის“ გამო უფრო საშიში მოწინააღმდეგისათვის — მეფის რუსეთისათვის ეწყენინებინა.

ამასობაში კიდევ უფრო გამწვავდა კლასთა ბრძოლა. გახშირდა გლეხთა აჯანყებები. „მესამე წოდება“ მძლავრ ძალად იქცა. სეიმი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია „კოლონტიის მკედლებისათვის“. 1791 წელს 3 მაისს მიღებული კონსტიტუცია მნიშვნელოვნად აფართოებდა „მესამე წოდების“ უფლებებს და დემოკრატიული ძალების დიდ მონაპოვარს წარმოადგენდა.

საფრანგეთის რევოლუციის ეხომ პოლონეთამდეც მიაღწია. განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართოდ გაშლით დაშინებულმა დიდმა სახელმწიფოებმა კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი კავშირი. პოლონეთის ტერიტორიების ხელახალი გადანაწილების ინტერესი აახლოებდა ერთმანეთთან ავსტრიის, პრუსიისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკას. მარქსი და ენგელსი წერდნენ, რომ მათ აკავშირებდათ დანაწილება პოლონეთისა, რაშიც სამივე სახელმწიფო ხედავდა სარგებლობას და რომ „ერთობლივმა ძარცვამ შეკრა მათი კავშირი.“¹

უცხოეთის სახელმწიფოების მტაცებლურ პოლიტიკას მხარს უჭერდნენ პოლონეთის მსხვილი მემამულეებიც. ისინი ისე იყვნენ დაშინებულნი „მდაბიოთა“ რევოლუციური მოძრაობით, რომ უცხო სახელმწიფოების მხარდაჭერით ცდილობდნენ თავიანთი ძალაუფლების შენარჩუნებას.

ამრიგად პრუსიის ვერაგული პოლიტიკის, რუსეთის მეფის მთავრობის მხარდაჭერის, მსხვილი მემამულეების ეროვნული

¹ К. Маркс и Ф. Энгельс. Соч. т. VI, стр. 382.

ინტერესებისადმი მოღალატეობისა და რომის პაპის ჩარევის შედეგად პოლონეთი მეორედ აღმოჩნდა გართხმული ქირურგიულ მაგიდაზე. მოკავშირეთა ჯარები შევიდნენ ვარშავაში, გააუქმეს 1791 წლის 3 მაისის კონსტიტუცია და მიკიბულ-მოკიბული არგუმენტებით ხელახლა დააქუცმაცეს პოლონეთის ტერიტორია.

გროდნოში 1793 წლის 17 ივნისს მოწვეული სეიმის სხდომაზე გათამაშდა ამ მოძალადური აქტის რატიფიკაციის კომედიია. სეიმს ეკატერინე II-ის ულტიმატუმი წარუდგინეს და მოსთხოვეს კრინტის დაუძვრელად დაემტკიცებინა პოლონეთის მიწა-წყლის მეორე დანაწილების აქტი, რითაც პოლონეთის ტერიტორია 308 ათასი კვ. კილომეტრით მცირდებოდა. სეიმის გაოგნებულ დეპუტატებს ენა არ მოუბრუნდათ თანხმობის მისაცემად, მაგრამ რა ძალა ჰქონდათ! სეიმის შენობა გარშემორტყმული იყო უცხოელთა ჯარებით, რუსი ოფიცერი ბოლთას სცემდა სხდომის დარბაზში. მეფის მთავრობის ელჩი ი. სივერსი განრისხებული იდგა ტრიბუნაზე და გარეკვით ემუქრებოდა სეიმს. პროტესტის ნიშნად სეიმის დეპუტატები რამდენიმე საათს სდუმდნენ. ბოლოს მოთმინება გამოლევლმა მოძალადეებმა ეს დუმილი თანხმობის ნიშნად ჩათვალეს და პოლონეთის ტერიტორიის ხელყოფის აქტი დამტკიცებულად გამოაცხადეს.

პრუსიამ ამჯერად პოლონეთის მიწა-წყლის 58 ათასი კვ. კილომეტრი, მათ შორის გდანსკი, ტორუნი და დიდი პოლონეთის მნიშვნელოვანი ნაწილი ირგო. რუსეთმა კი დაიბრუნა ბელორუსიის და უკრაინის ტერიტორიები. ამ დანაწილების შედეგად პოლონეთის სახელმწიფომ დაჰკარგა გასასვლელი ზღვაზე, მოეშალა შინაგანი კომუნიკაციები და ეკონომიური კატასტროფის წინაშე დადგა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააძლიერა საპროტესტო მოძრაობა. უკმაყოფილო მასები რევოლუციური სულისკვეთებით განიმსჭვალენ. ბევრგან იჩინათავი გლეხთა მღელვარებამ. ქალაქების ბოგანო მოსახლეობა, ხელოსნები და წვრილი ბურჟუაზიაც ამ პატრიოტულ მოძრაობას შეუერთდა. ემიგრაციაში თავმოყრილი ძალები კოლონტაის, პოტოცკისა და კოსტიუშკოს მეთაურობით საყოველთაო-

სახალხო აჯანყებას ამზადებდნენ. 1794 წლის მარტში კრა-
კოვში კოსტიუშკო და მისი მომხრეები ჩამოვიდნენ და ხალხს
აჯანყების ნიშანი მისცეს. იმ დროს ყველგან ისეთი დაძაბული
მდგომარეობა იყო, რომ ხალხი სწრაფად გამოეჭმურა ამ მო-
წოდებას. აჯანყებების ტალღა მთელ პოლონეთს მოედვა. იმა-
ვე წლის აპრილში გამოსვლები ვარშავაშიც დაიწყო. მიუხედა-
ვად იმისა, რომ აჯანყებულებს თათქმის ცალიერი ხელებით
უხდებოდათ ბრძოლა რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის კბილე-
ბამდე შეიარაღებული ჯარის ნაწილებთან, განმათავისუფლე-
ბელი მოძრაობა მაინც წარმატებით ვითარდებოდა. ეს იყო
სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა არა მარტო ეროვნული, არა-
მედ სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგაც.

აჯანყებულთა გაბედულმა ლოზუნგებმა რადიკალური სო-
ციალური რეფორმების გატარების შესახებ დააშინა შლიახტ-
ურ-ბურჟუაზიული წრეები. ისინი მხარს არ უჭერდნენ დემო-
კრატიული წრეების მოთხოვნილებებს, რაც ეროვნულ-განმა-
თავისუფლებელი მოძრაობის ძალთა ერთიანობას ასუსტებდა.
იმის ნაცვლად, რომ აჯანყებულებს თავიანთი ძალები გაე-
ერთიანებინათ, შლიახტამ ზოგან იარაღი თვით აჯანყებული
გლეხების წინააღმდეგ მიმართა და სამშობლოს განთავის-
უფლების პატრიოტული იდეა თავისი ვიწრო კლასობრივი
ინტერესების სამსხვერპლოზე მიიტანა. მემამულეებისა და
შლიახტის მოღალატური მოქმედების შემდეგ კიდევ უფრო ნა-
თელი გახდა, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დასაყრ-
დენს მხოლოდ დემოკრატიული ძალები წარმოადგენდნენ.
მარქსი და ენგელსი აღნიშნავენ, რომ მხოლოდ დამოკრა-
ტიულ პოლონეთს შეეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება, რაც
მათი აზრით შეუძლებელი იყო აგრარული მოძრაობის გაშლი-
სა და ფეოდალური პრივილეგიების გაუქმების გარეშე¹.

აჯანყებულებს, რომელთაც რეაქციონერები მაშინ „პოლო-
ნელ იაკობინელებს“ უწოდებდნენ, ფრანგი იაკობინელების
დახმარების იმედი ჰქონდათ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ
პოლონეთის აჯანყებამ ავსტრიის და პრუსიის სამხედრო ძალებ-

¹ К. Маркс и Фр. Энгельс. Соч., т. V, стр. 16.

ბის მნიშვნელოვანი ნაწილის მიზიდვით საგრძნობი დახმარებუ გაუწია საფრანგეთის რევოლუციას¹, რობესპიერმა არ ინდობა პოლონელი რევოლუციონერებისათვის ხელის გაწოდება. შინაგანად დაქსაქსული და გარეშე დახმარებას მოკლებული აჯანყებულები, ცხადია, ვერ შესძლებდნენ სამი დიდი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისათვის წინააღმდეგობის გაწევას. აჯანყება დამარცხდა. დაჭრილი კოსტიუშკო ტყვედ ჩავარდა. პოლონეთის მეფე სტანისლავ-ავგუსტი ტახტიდან გადადგა. 1795 წლის 3 იანვარს ავსტრიამ და რუსეთმა, ზოლდ ცოტა უფრო გვიან, იმავე წლის 24 ოქტომბერს პრუსიამაც ხელი მოაწერეს პოლონეთის მესამე დანაწილებას. ეს იყო პოლონეთის სახელმწიფოებრიობის დასასრული. მისი ძირეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტერიტორიები მთლიანად ოკუპირებული იქნა.

პრუსიელი დამპყრობლები თანმიმდევრულად ატარებდნენ პოლონეთის მოსახლეობის გაგერმანელების პოლიტიკას. განსაკუთრებულ ინტერესს ისინი სილეზიისადმი იჩენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ აქ მოსახლეობის 90%-ს პოლონელები შეადგენდნენ, პრუსიელებმა სილეზია არაპოლონურ ტერიტორიად გამოაცხადეს და ამ ისტორიული უსამართლობის დასაფარავად გერმანელების მასიური კოლონიზაცია გააძლიერეს.

XIX საუკუნის პირველ ათეულ წელს სილეზიაში უკვე 200 ათასი გერმანელი კოლონიზატორი ცხოვრობდა². პრუსიელები პოლონურ მოსახლეობას ძალით ახვევდნენ თავს გერმანულ ენას. მათ მიერ დაპყრობილ პოლონეთის ტერიტორიაზე შემოიღეს გერმანული ადმინისტრაციული წესები, პოლონეთი აივსო გერმანელი მოხელეებით. სახელმწიფო მმართველობა და სასამართლო გერმანულ ენაზე წარმოებდა. ეკლესიაზედაც კი გერმანული კონტროლი იყო დაწესებული. სკოლებში მასწავლებლებად მხოლოდ გერმანული ენის მცოდნენი ინიშნებოდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ გამოცემული იქნა უტიფარი კა-

¹ „პოლონეთი დაეცა, მაგრამ მისმა წინააღმდეგობამ იხსნა საფრანგეთის რევოლუცია“ — წერდნენ მარქსი და ენგელსი (К. Маркс и Фр. Энгельс, соч. т. 6, стр. 263).

² История Польши, т. I. Изд. АН СССР, Москва, 1951 г.

ნონი, რომლის ძალითაც პოლონელ ახალგაზრდებს ეკრძალებოდათ ქორწინება, თუ გერმანული ენა არ ეცოდინებოდათ.

გაძლიერდა სოციალური ჩაგვრაც. სოფლის მეურნეობის კაპიტალიზაციის პროცესმა გლეხობის მდგომარეობა საგრძნობლად გააუარესა. ფეოდალებმა გააძლიერეს ექსპლოატაცია. ამას მშრომელთა უძმაყოფილების ზრდა მოჰყვა. აქა-იქ კვლავ იფეთქა აჯანყებებმა. ზოგიერთ ოლქში პრუსიის ჯარის შეიარაღებულ ნაწილებთან შეტაკებებსაც ჰქონდა ადგილი. გლეხთა მოძრაობა მალე სხვა ოლქებსაც მოედო. საფრანგეთის რევოლუციის ამბებმა ძალა შემატა გლეხთა აგრარულ მოძრაობას. ამას დაერთო მღელვარება წარმოების მუშებისა და ხელოსნების რიგებში. გააქტიურდა უცხოეთში გახიზნული ემიგრაციაც, რომელიც დიდ იმედებს ამყარებდა საფრანგეთის მთავრობაზე, მაგრამ არც თერმიდორიანული კონვენტი და არც დირექტორია არ იჩინდა ინტერესს პოლონეთის საკითხისადმი. მაშინ პოლონელმა ემიგრანტებმა უცხოეთში გადახვეწილ პირებისაგან ეროვნული სამხედრო ნაწილების შექმნას მოჰკიდეს ხელი. ახლად შექმნილ პოლონურ ლეგიონებს გენერალი იან დომბროვსკი ხელმძღვანელობდა. პოლონურ ემიგრაციას და მის სამხედრო ნაწილებს იმედი ჰქონდათ, რომ საფრანგეთის ჯარებთან ერთად შევიდოდნენ თავიანთი სამშობლოს ტერიტორიაზე, აამხედრებდნენ ხალხს, აღადგენდნენ პოლონეთის სახელმწიფოებრივ ერთიანობას და უზრუნველყოფდნენ მის დამოუკიდებლობას. საფრანგეთის ხელისუფლებას სულ სხვა ინტერესები ამოძრავებდა: მას სურდა ემიგრანტული ძალები დაპყრობითი მიზნებისათვის გამოეყენებინა. ამიტომ პოლონური ლეგიონები ხან იტალიაში იგზავნებოდა, ხან სხვა რომელიმე შორეულ ფრონტზე. ბოლოს ამ ლეგიონების ნარჩენები, 4 ათასი ჯარისკაცისა და ოფიცრის შემადგენლობით, კუნძულ ჰაიტზე გაიგზავნა, საიდანაც უკან მხოლოდ ასიოდე კაცი დაბრუნდა.

ამრიგად პოლონელ პატრიოტებს ეს იმედიც გაუცრუვდათ. სამხედრო ძალაზე ორიენტაციით რომ ვერაფერი გაიტანეს, ემიგრაციის ხელმძღვანელმა პირებმა დიპლომატიურ ხერხს მიმართეს. პოლონელი სახელმწიფო მოღვაწე ადამ ჩარტო-

რიისკი მაშინ რუსეთის მეფის კარზე საგარეო საქმეებს განაგებდა. ემიგრანტების შეგონებით მან ალექსანდრე I-ს რამდენჯერმე მიართვა არზა და სთხოვა აღედგინა პოლონეთის სამეფო ავსტრიისა და პრუსიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიების ფარგლებში, მაგრამ არც ამ შეგონებიდან გამოვიდა რამე. რუსეთის მეფე მაშინ პირიქით, სწორედ ავსტრიასთან ჰკრავდა კავშირს საშიში მოწინააღმდეგის, ნაპოლეონის წინააღმდეგ და პოლონეთისათვის, ცხადია, ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა.

რუსეთისა და ავსტრიის ჯარების დამარცხებამ აუსტერლიცთან საბოლოოდ გაუცრუა იმედები ჩარტორიისკის და ის იძულებული გახდა გადამდგარიყო. პოლონელმა პატრიოტებმა იმედის თვალი ახლა მეფის რუსეთის მთავარ მოწინააღმდეგეს—ნაპოლეონს მიაპყრეს. ბონაპარტმა სათანადო წინდახედულება გამოიჩინა, პოლონური ლეგიონები აღადგინა და რუსეთის საწინააღმდეგოდ შეკრებილი არმიის ნაწილებში ჩარიცხა.

დაიწყო ომი რუსეთთან. ნაპოლეონმა გაარღვია რუსეთ-პრუსიის ფრონტი და ვარშავაში შევიდა. პოლონურ ლეგიონებში მაშინ 50 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი ირიცხებოდა; ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ და თავიც ისახელეს გდანსკის ალებაში, მაგრამ მათი სიხარული ხანმოკლე გამოდგა: იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ნაპოლეონმა პოლონეთის ტერიტორიაზე ფეხი შედგა არა როგორც განმათავისუფლებელმა, არამედ როგორც დესპოტმა დამპყრობელმა, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისაგან მოითხოვდა სრულ მორჩილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლონელთა ქალაქებისა და სოფლების ნაცარტუტად ქცევითა და მოსახლეობის ამოუღებელი იმუქრებოდა. პოლონელი პატრიოტების იმედები სრულიად გაქარწყლდა, როცა 1807 წლის 7 ივლისს ნაპოლეონმა და ალექსანდრე I-მა მოულოდნელად ზავი შეკრეს და მათმა „განმათავისუფლებელმა იმპერატორმა“ რუსეთის მეფეს პოლონეთის ტერიტორიის ახალი დანაწილების თანხმობა მისცა. პოლონელებისათვის ერთადერთი ნუგეში ისლა იყო, რომ ტილზიტის შეთანხმების ძალით პრუსიელების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ნაწილში ე. წ. „ვარშავის სამთავრო“ შეიქმნა. ეს, რა

თქმა უნდა. პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენას არ ნიშნავდა, მაგრამ მისი ერთი ცოცხალი და იმედის მიმცემი უჯრედი ზაანც იყო. პოლონელი პატრიოტები იმედოვნებდნენ, რომ ამ უჯრედისაგან ოდესმე პოლონეთის სახელმწიფოს მთლიანი ორჯანაზში შეიქმნებოდა. ნაპოლეონი კი ამაზე სრულიადაც არ ფიქრობდა. როგორც ისტორიკოსები გადმოგვცემენ, ნაპოლეონი, რათა აღექსანდრე I არ გაელიზიანებინა, გაუბრუნდა თურქს ისეთი „არასასიამოვნო სიტყვების“ ხმარებასაც კი, როგორცაა: „პოლონეთი“, „პოლონური“, „პოლონელები“.

ვარშავის სამთავროს მმართველად პოლონეთის ტახტის ძველი პრეტენდენტი, საქსონიის მეფე ფრიდრიხ-ავგუსტი დაინიშნა. პოლონელებს ზოგიერთი დემოკრატიული „თავისუფლებანი“ უწყალობეს და უმნიშვნელო სოციალური რეფორმების გატარების უფლება მისცეს; რასაც მოსახლეობის მძიმე მღვთაპარეობა ოდნავადაც არ შეუშლბუთებია.

ასე იყო თუ ისე, ვარშავის სამთავროს სახით პოლონეთში სახელმწიფოს ჩანასახი მაინც გაჩნდა. შეიქმნა პოლონური არმია, რომელსაც უფრო სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა ვიდრე სამხედრო. ამ არმიამ ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ავსტრიის ჯარს, რომელიც 1809 წელს შეიჭრა ვარშავაში, ვითომდა პოლონელების „საფრანგეთის უღლისაგან გასათავისუფლებლად“. ავსტრიელებმა მაშინ ვარშავა აიღეს, მაგრამ ვაგრამთან დამარცხების შემდეგ უკან დაიხიეს. ამის შემდეგ „ვარშავის სამთავრო“ არამც თუ აღდგენილი იქნა, არამედ მას ავსტრიის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილიც მიემატა.

პოლონელ პატრიოტებს მათი სამშობლოს მთლიანად განთავისუფლების ახალი იმედი მიეცათ. ისინი წყალობას კვლავ ნაპოლეონისაგან მოელოდნენ. ნაპოლეონი კი მხოლოდ თავის ცბიერ პოლიტიკას ატარებდა. ვარშავის სამთავრო მას პლაცდარმად სჭირდებოდა რუსეთის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში. ამისათვის აგებდა ის ციხე-სიმაგრეებს, აღადგენდა და წრთენიდა პოლონურ არმიას, აძლიერებდა სამხედრო გარნიზონებს. ვარშავის სამთავროს მიდამოებს კალიასავით მოედევნენ ნაპო-

ლეონის მრავალრიცხოვანი არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები.

1812 წელს, რუსეთთან ომის გამოცხადების დღეს, ნაპოლეონმა მანიფესტი გამოსცა და ამ ომს ფარისევლურად „პოლონეთის მეორე ომი“ უწოდა. პოლონეთის სეიმიც აპყვა ფეხის ხმას და მოითხოვა პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენა პირველი დანაწილების წინა პერიოდის ტერიტორიულ ფარგლებში. ამით პოლონეთის ნაციონალისტური სეიმი ყოველად დაუსაბუთებელ პრეტენზიებს აცხადებდა. ლიტვის, უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიებზეც დაპყრობის უნით შეპყრობილ ნაპოლეონს სულ სხვა გეგმები ჰქონდა, მაგრამ სეიმის ამ მოთხოვნილებას ყურადღებას არ აქცევდა, რადგან წინ ძლიერი მოწინააღმდეგე რუსეთი ედგა და არ სურდა ზურგში უკმაყოფილო პოლონელები ჰყოლოდა.

ვარშავის სეიმის ეს აჩქარებული დეკლარაცია იმთავითვე ჰაერში ჩამოკიდებული აღმოჩნდა, რადგან პოლონეთის ძირეული ტერიტორიები ოკუპირებული იყო ავსტრიისა და პრუსიის მიერ, რომლებიც მაშინ ნაპოლეონის მოკავშირეებად გამოდიოდნენ, თანაც ჯერ არავინ იცოდა, რით დამთავრდებოდა ეს ომი. რაც შეეხება სეიმის პრეტენზიებს ლიტვის, უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიებზე, ეს იმდენად იყო მოკლებული ისტორიულ არგუმენტაციას, რომ თვით პოლონელ მემამულეებს შორისაც არ სარგებლობდა პოპულარობით.

ნაპოლეონის მიერ აღმოსავლეთისაკენ დაძრულ 600-ათასიან არმიაში ამჯერად 85 ათასი პოლონელი იყო. ამიტომ ელულიავებოდა კორსიკელი დიქტატორი თავის ვარშაველ მარიონეტებს. გარდა იმისა, რომ პოლონური არმია თავისთავად დიდ სამხედრო ძალას წარმოადგენდა, ნაპოლეონს ის ამ ომის მტაცებლური ხასიათის შესანიღბავადაც სჭირდებოდა. ის კვლავ ფარისევლურად აცხადებდა, რომ რუსეთთან ომს პოლონეთის გასათავისუფლებლად აწარმოებდა. ეს ლეგენდა ბევრი პოლონელი პატრიოტის გულში ღვივოდა. როცა ნაპოლეონმა კაუნასთან¹ ნემანი გადმოლახა და მისი ჯარის ნაწილები აღმო-

¹ მაშინდელი კოვნო.

სავლეთისაკენ გაიქრნენ, პოლონელი პატრიოტები სიხარულით შეხვდნენ ეროვნულ მუნდირებში გამოწყობილ პოლონელ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საფრანგეთის იმპერატორის „უძლეველ“ არმიას თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოჰქონდა პოლონელი ხალხისათვის.

ნაპოლეონი კი სხვისი ტერიტორიების დასაპყრობად მოერეკებოდა სხვადასხვა ქვეყნებში შეკრებილ უზარმაზარ არმიას და ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა ყველაფერს, რაც წინ ეღობებოდა. პოლონეთსა და ლიტვაშიც სასტიკი ტერორისტული რეჟიმი იქნა შემოღებული. უმიზეზო დაპატიმრება, დახვრეტა და ჩამოხრჩობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. „განმათავისუფლებელი“ არმიის ძალადობით შეწუხებული ხალხი დრტვინავდა, მემანულები კი ქედმდაბლურად ეგებოდნენ ფეხქვეშ ნაპოლეონის ოფიცრებს. ბევრი პოლონელის გულში კვლავ ცოცხლობდა ყოვლად უსაფუძვლო იმედი, რომ ისინი თავისუფლებას უცხო სახელმწიფოს დახმარებით მოიპოვებდნენ. ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული აზრი, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვება მხოლოდდამხოლოდ თვით პოლონელ ხალხს შეეძლო.

ეს აუცილებლობა ამჯერადაც ნათელი გახდა. ნაპოლეონის „უძლეველი“ არმია რუსეთის თოვლიან ტრამალებში დაიღუპა. მის საცოდავ ნარჩენებს ფელდმარშალი კუტუზოვი დასავლეთისაკენ მიერეკებოდა. მოსკოვიდან გამოქცეულ ნაპოლეონს ჩქარა ვარშავაც უკან დარჩა. ვარშავის სამთავროს მარიონეტული მმართველები უკან გააყენენ თავიანთ ფრანგ მოკავშირეებს.

ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით პოლონეთის ტერიტორია ისევ დანაწილდა. ვარშავის სამთავროს ნაცვლად რუსეთის მთავრობამ ე. წ. „პოლონეთის სამეფო“ შექმნა, რომელშიც დაახლოებით 3 მილიონი მოსახლეობა შედიოდა.

კონსტიტუციურად პოლონეთის სამეფო მთლიანად რუსეთის ტახტს დაექვემდებარა; მმართველად დიდი მთავარი კონსტანტინე დაინიშნა, ხოლო მის მარჯვენა ხელად სენატორი ნოვოსილცევი.

მართალია, ამ დროს პოლონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, მაგრამ ვარშავაში ასეთი ისე მაინც ბეუტავდა მისი სახელმწიფოებრიობის სუსტი ლამპარი და ამ ლამპრის გარშემო კვლავ იწყებენ თავმოყრას პატრიოტული ძალები. თანდათან ფართოვდება და მტკიცდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ისევ ირაზმებიან ახალი ძალები, რომელთაც სამშობლოს განთავისუფლების, გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის იმედი არ დაუკარგავთ. ამ იმედებით ცხოვრობს პოლონეთის 20-იანი და 30-იანი წლების საზოგადოება. ამ იმედების განსახორციელებლად იბრძვის მისი საუკეთესო, მოწინავე ნაწილი.

სწორედ ამ პერიოდში იწყებს მოღვაწეობას დიდი პოლონელი პოეტი ადამ მიცკევიჩი, რომლის მთელი შემოქმედება პოლონელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის უკვდავი მოტივები: აა გამსჭვალული.

II

მიცკევიჩის ოჯახი მაშინდელი ადმინისტრაციული დაწესებულების მიხედვით მინსკის გუბერნიაში ცხოვრობდა, სოფელ ზაოსიეში, ქალაქ ნოვოგრუდეკის მახლობლად. პოეტის მამა მიკოლაი საკმაოდ განათლებული კაცი, საზოგადო მოღვაწე და პოეზიის დიდი მოყვარული იყო. თანამედროვენი გადმოგვცემენ, რომ ის განსაკუთრებით პოლონელი პოეტის პ. კოხანოვსკის ნაწარმოებებით ყოფილა გატაცებული და ტორკვატო ტასოს „განთავისუფლებული იერუსალიმის“ კოხანოვსკისეული თარგმანის ცალკეული თავები ზეპირადაც სცოდნია.

შთამომავლობით მიცკევიჩები წვრილ შლიახტას ეკუთვნოდნენ. მიკოლაი ცხოველ მონაწილეობას იღებდა პოლონელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ის ამ მოძრაობის ცნობილი მეთაურის ტადეუშ კოსტიუშკოს თანამებრძოლი იყო და, როგორც ბიოგრაფები გადმოგვცემენ. აჯანყების დამარცხების შემდეგაც განაგრძობდა არალეგალური მუშაობას. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მიკოლაი მიცკევიჩი უმთავრესად კარჩაკეტილად ცხოვრობდა მზრუნველობით

უვლიდა ოჯახს და დღენიადღ პოლონეთის განთავისუფლებაზე ოცნებობდა. მისი მეუღლე, მინსკელი მოხელის ქალიშვილი ბარბარა მაევსკა სათნო და სწავლა-განათლების მოყვარული ქალი იყო. მიცკევიჩებს 1796 წელს პირველი ვაჟი ფრანციშეკი შეეძინათ, ხოლო ორი წლის შემდეგ 1798 წლის 24 დეკემბერს მეორე ვაჟიც — ადამი, მომავალი დიდი პოეტი.

ადამმა ბავშვობა ჯერ მშობლიურ სოფელ ზაოსიეში გაატარა, შემდეგ კი ნოვოგრუდეკში, სადაც მამამისმა სახლი შეიძინა და მთელი ჯალაბობით დასახლდა იქ.

პატარა ადამზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა მშობლიური მხარის თვალწარმტაცი მიდამოები: ნემანის ამწვანებული ველები, ლიტვის უდაბური ტყეები და წარსულის საგმირო საქმეთა მოწმე ქონგურებშელეწილი ციხე-სიმაგრეები. ყველაზე მეტად კი ყრმას ხიბლავდა ჯადოსნური ხალხური ლეგენდები და ზღაპრები ფერიების, ბოროტი და კეთილი სულების, ეშმაკის ოინების თუ სხვა ფანტასტიკური ამბების შესახებ, რომელთაც ასე საინტერესოდ ჰყვებოდნენ შინამსახური ვლასი, გლენის ქალი გაროვსკა და სხვები. ცნობისმოყვარე ბავშვის გონებაში სამუდამოდ აღიბეჭდა ლიტველი უბრალო ხალხის შემოქმედებითი ფანტაზიის მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები. ბევრი მათგანი მან თავის ლექსებსა და პოემებშიც გამოიყენა. უფრო გვიან კი, როდესაც პროფესორი ა. მიცკევიჩი პარიზს Collège de France-ში სლავური ლიტერატურის ისტორიის კურსს კითხულობდა, კვლავ სიამოვნებით იგონებდა ნოვოგრუდეკში გაგონილ თქმულებებს.

1807 წელს ადამი მამამისმა დომინიკელთა სკოლაში მიაბარა. აქ მას არცერთი საგნისადმი არ გამოუჩენია რაიმე განსაკუთრებული ინტერესი. სწავლობდა საშუალოდ, ზოგიერთ საგანს, მაგალითად უცხო ენებს, წარმატებითაც, მაგრამ სისტემატურ ბეჯით მეცადინეობას მაინც ვერ დაუდო გული და ორჯერ ერთსა და იმავე კლასშიც იქნა დატოვებული.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც პოლონეთში სწრაფად მტკიცდებოდა ეროვნული თვითშეგნება. პოლონელი პატრიოტები უფრო აშკარად და გაბედულად გამოთქვამდნენ თავიანთ უკმა-

ყოფილებას მეფის მთავრობის დესპოტური რეჟიმით და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ.

12 წლის ადამს დიდხანს დარჩა მეხსიერებაში ბავშვური სამხედრო თამაშობანი და მოსწავლეთა „სამხედრო ალლუმი“, რომელიც 1810 წლის 3 მაისს გაიმართა ნოვოგრუდეკში. ამ დღისათვის მშობლებმა ბავშვებს სამხედრო მუნდირებიც შეუკერეს, ეროვნული დროშები მოუქარგეს, ხის თოფებით შეაიარაღეს და ბუკითა და ნალარით ქალაქის მოედანზე გაატარეს, რითაც არარსებული პოლონური არმიის სიმბოლური შთაბეჭდილება შექმნეს.

ხელისუფლება ჯერ ყურადღებას არ აქცევდა ამ ბავშვურ გართობას, მაგრამ შემდეგში მიხვდა მშობლების განსაკუთრებული ყურადღების მიზეზს ამ „ალლუმისადმი“ და აკრძალა ის.

პოეზიისადმი მიდრეკილება ადამმა მოწაფეობის პერიოდშივე გამოამჟღავნა. როგორც გადმოგვცემენ, პირველი ლექსი მან 1810 წელს დაწერა. ამ წელს ნოვოგრუდეკში საშინელი ხანძარი გაჩნდა. მგრძნობიარე ბავშვმა-პოეტმა ამ შემთხვევის გამო დაწერა ოდა ხანძრისადმი, რომელიც ყველაფერს ნთქავს და ფერფლად აქცევს. მიცკევიჩის ეს პირველი პოეტური ნაწარ-ჯიშევი არ შემონახულა, მის შესახებ ცნობებს მხოლოდ პოეტის ძმის ფრანციშეკის მემუარებში ვხვდებით.

როცა საფრანგეთის არმიის ნაწილებმა, ნაპოლეონის ძმის, ვესტფალიის მეფის, წინამძღოლობით ნოვოგრუდეკი გაიარეს, ადამის მამა სიხარულით შეხვდა მათ შორის მყოფ ეროვნულ მუნდირებში გამოწყობილ პოლონელ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. მას სჯეროდა, რომ საფრანგეთის იმპერატორი რუსეთის მეფეს დაამარცხებდა და პოლონეთის დამოუკიდებლობას აღადგენდა. ეს რწმენა მაგრად იყო გამჯდარი მიცკევიჩითა ოჯახის ყოველ წევრში. ლეგენდამ ნაპოლეონის განმთავისუფლებელი მისიის შესახებ ჭაბუკი პოეტის გონებაც შეიპყრო. 14 წლის ადამი აღტაცებით გაპყურებდა აღმოსავლეთისაკენ მომავალ ლეგიონებს. მის მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა ისიც, რომ მათი სარდალი, ვესტფალიის მეფე, მიკოლაი მიცკევიჩის სახლში დაბინავდა. ადამი ღამით ჩუმად მიიპარებოდა ხოლმე

თავისივე სახლის ფანჯარასთან, რომ როგორმე თვალი მოეკრა „ნაპოლეონის ბრწყინვალე ძმისათვის“.

გავიდა რამდენიმე ხანი და ნოვოგრუდელები ახალი სანახაობის მოწმენი გახდნენ. ისინი ყინულით შექირხლულ ფანჯრებიდან შიშით შესცქეროდნენ ჩამოძენილ, სიცივისაგან გათოშილ და დამშუულ ნაშთებს ნაპოლეონის „უძლეველი“ არმიისა, რომელთაც ფელდმარშალი კუტუზოვი დასაველეთისაკენ მიერეკებოდა. მიცკევიჩმა ნახა, თუ როგორ მიძუნძულებდა უკან კრემლთან ნაცემი მეფე ვესტფალიისა¹. ამით დასრულდა „ნაპოლეონის ლეგენდა“ მიცკევიჩების ოჯახში.

ამავე წელს გარდაიცვალა პოეტის მამა მიკოლაი.

დაობლებული ადამი განაგრძობდა დომინიკელთა სკოლაში სიარულს. ახლა ის მეტ ინტერესს ფიზიკა-მათემატიკური საგნებისადმი იჩენდა და როგორც ჩანს, მაშინ არც ფიქრობდა ლიტერატურულ კარიერაზე, თუმცა პოეზიისადმი ინტერესიც სწრაფად უვითარდებოდა. ის გატაცებით კითხულობდა პოლონელი მწერლის სტანისლავ ტრემბიციის ნაწარმოებებს.

ამავე პერიოდში მიცკევიჩმა სცადა გაეღექსა ტრემბიციის მიერ პოლონურ ენაზე თარგმნილი რომანი ფლორიანისა „ნუმა პომპილიუსი“.

III

1815 წელს ადამმა ნოვოგრუდეკის სკოლა დაამთავრა და ვილნიუსის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე შევიდა. ვილნიუსის უნივერსიტეტი იმ დროს მოწინავე იდეების კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ სახელმწიფოებრილი პოლონელი პროფესორები, რომელნიც ლიბერალურ იდეებს ქადაგებდნენ და სტუდენტებში პატრიოტულ გრძნობებს აღვივებდნენ.

ვენის კონგრესის შემდეგ მოძალებულ რეაქციას პოლონელმა პატრიოტებმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრა-

¹ ფრანგი ისტორიკოსი მიშლე, რომელიც ა. მიცკევიჩთან ერთად ლექციებს კითხულობდა Collège de France-ში, იგონებს: „ჩვენი სახელოვანი კოლეჯა და მეგობარი მიცკევიჩი ხშირად მიაშობდა, თუ 1812 წ., როცა ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მოსკოვიდან გამოქცეული ნაპოლეონის ჯარის ნაწილების ყურგბამ“.

ობის გაძლიერებით უპასუხეს. უფრო გაბედულად დაიწყო ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, რომელიც ვ. ი. ლენინის თქმით „მუდამ არააღამიანურად და უსიარცხვილოდ ჩაგრავდა პოლონეთს“. შეიქმნა სხვადასხვა სახისა და მიმართულების პატრიოტული საზოგადოებები. 1817 წელს ვარშავაში დაარსდა „სტუდენტთა ორგანიზაციების მეგობართა კავშირი“. იქვე დაიწყო მუშაობა „თავისუფალ პოლონელთა კავშირმა“. პოზნანში დაარსდა ე. წ. „კოსინიერთა კავშირი“, ხოლო ვილნიუსში „ტემპილიერთა კავშირი“, უფრო გვიან კი შეიქმნა „ეროვნულ კარბონართა“ და „ნაციონალურ-პატრიოტული“ საზოგადოებები, რომელთაც კავშირი ჰქონდათ დამყარებული რუსეთში მოქმედ „გაერთიანებულ სლავთა კავშირთან“ და „სამხრეთის სლავთა საზოგადოებასთან“.

ამავე პერიოდში იქნა დაარსებული ტიპოგრაფია და დაიწყო ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა.

პოლონელი ლიბერალები თავდაპირველად მხოლოდ განათლების გავრცელებისა და მორალურ-ზნეობრივი საკითხების გაშუქებით კმაყოფილდებოდნენ და ცდილობდნენ გვერდი აეველოთ მწვავე პოლიტიკური და სოციალური საკითხებისათვის. ისინი მიზნად არ ისახავდნენ სოციალურ-პოლიტიკური რეფორმების გატარებას, არსებული პოლიტიკური რეჟიმის მოსპობისაკენ კი არ მიისწრაფოდნენ, არამედ ქადაგებდნენ „ადამიანის მორალური საფუძვლების განმტკიცებას“, ბრძოლას ლოთობის, სიზარმაცის, ქედმაღლობის, მლიქვნელობის, ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრის და სხვა საზოგადოებრივ მანკიერებათა წინააღმდეგ. ამავე მიზნებს ემსახურება იმ პერიოდში დაარსებული „შუბროველთა“¹ საზოგადოება და მისი სატირული ორგანო „ქუჩის უწყებები“. შუბროველთა საზოგადოება თავის დროზე პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ არც ამ საზოგადოების წევრები აყენებდნენ პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხს, ისინი ვერ სცილდებოდნენ ფრანგი ენციკლოპედისტების განმანათლებლური იდეების ფარგლებს და მთელ თავიანთ მოღვაწეობას სწავლა-განათლების გავრცე-

¹ „უსაკმურთა“.

ლებით და ზნეობრივ მანკიერებათა მხილებითა და კრიტიკით განსაზღვრავდნენ. შუბროველები ლიტერატურაშიც კონსერვატიულ პოზიციაზე იდგნენ, თავგამოდებით იცავდნენ უკვე დეკადანსის გზაზე დამდგარ საკარო კლასიციზმის პრინციპებს და მხარს არ უჭერდნენ ახალი, რომანტიკული სკოლის წარმომადგენლებს.

შუბროველთა ასეთი კონსერვატიული შეზღუდულობა, ცხადია, ვერ მიიზიდავდა ვილნიუსის უნივერსიტეტის პატრიოტულ ახალგაზრდობას. ამიტომ უნივერსიტეტის მოწინავე პროფესურა და სტუდენტობა არ გაჰყვა შუბროველთა გზას და საკუთარი საზოგადოებისა და ორგანიზაციების დაარსებას შეუდგა.

ადამ მიცკევიჩი გატაცებით ჩაება საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ის მხოლოდ ერთ წელიწადს სწავლობდა ფიზიკა-მათემატიკურ დისციპლინებს, შემდეგ ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე გადავიდა, სადაც დიდი მონდომებით ისმენდა ფილოლოგ ერნესტ გროდეკის, ლიტერატურათმცოდნე ლეონ ბოროვსკის, ახალგაზრდა ისტორიკოსის იოახიმ ლელეველისა და სხვათა ლექციებს. უნივერსიტეტშივე დაუახლოვდა მიცკევიჩი შემდეგში მის განუყრელ მეგობრებსა და თანამებრძოლებს: იუზეფ ევოვსკის, იან ჩეჩოტს, ტომაშ ზანს, ფრანციშეკ მაღევსკის, ონუფრი პეტრაშევიჩის და სხვებს. ამ ახალგაზრდებმა 1817 წელს დააარსეს „მეცნიერების მეგობართა საზოგადოება“ — ე. წ. „ფილომატთა წრე“. პირველ ოქტომბერს შედგა წრის პირველი ოფიციალური სხდომა. თავმჯდომარედ აირჩიეს იუზოვსკი, მდივანად — პეტრაშევიჩი, მიცკევიჩს ლიტერატურის სექციის ხელმძღვანელობა დაეკისრა. ფილომატების წრეში ჯერ მხოლოდ 9 წევრი იყო, მაგრამ ჩქარა წრის წევრთა რაოდენობამ ორმოცს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ფილომატები მაშინ უშუალოდ არ ეხებოდნენ პოლიტიკურ საკითხებს, წრის სხდომები მაინც არალეგალურად იმართებოდა. მისი წევრები სასტიკად იცავდნენ კონსპირაციის წესებს. ჯერ ისინიც მხოლოდ განათლებისა და სტუდენტთა ყოფაქცევის საკითხებით იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ შუბროველებთან შედარებით მაინც უფრო რადიკალური პოზიცია ეკირათ.

ყველაზე უფრო გაბედულად ადამ მიცკევიჩი მოქმედებდა, მას ფილომატა საზოგადოებაში მებრძოლი პატრიოტული ტონი შეჰქონდა. ის აღვივებდა მეგობრების ინტერესს სოციალურ-პოლიტიკური საკითხებისადმი. მიცკევიჩი ფილომატა საზოგადოების წესდების ერთ-ერთი ავტორიც იყო. ამ წესდების მიხედვით ფილომატები ვალდებული იყვნენ „ეშრომათ სამშობლოს, მეცნიერებისა და სიკეთის საკეთილდღეოდ, საკუთარი მაგალითითა და რჩევით გავლენა მოეხდინათ მოსწავლე ახალგაზრდობაზე“.

ფილომატების მოღვაწეობის ფორმები საკმაოდ გულუბრყვილო და ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვურიც იყო, ისევე გულუბრყვილო და ბავშვური, როგორც „სამხედრო აღლუმები“ ნოვოგრუდეკის დომინიკელთა სასწავლებელში.

ფილომატები აწყობდნენ ლიტერატურულ საღამოებს, სეირნობებს იაგელონის ბულვარზე, შეჯიბრებებს კითხვა-პასუხში. ისინი არიგებდნენ მრგვალ ბილეთებს, რადგან ტომაშ ზანის აზრით, სწორკუთხოვანი თურმე დამყაყებულობას ნიშნავს, და „რძესა და კოცნას“ პირდებოდნენ მოპატიებულთ. ეს იყო ახალგაზრდული გატაცება, მოქმედების სურვილი, ამბოხი პედანტური წესრიგის წინააღმდეგ, ექსტრავაგანტური აზრებისა და გონებამახვილური კონტრასტების ფოიერვერკი.

ფილომატების საზოგადოება არც თუ ისე დიდი ხანი იყო ჩაკეტილი ასეთ „განმანათლებლურ გართობათა“ ფარგლებში. თანდათან იჩინა თავი პოლიტიკურმა ინტერესებმაც. დაიწყო მსჯელობანი პოლონეთის აღორძინების შესახებ. საზოგადოების მეთაურებმა კავშირი დაამყარეს ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან რუსეთში. ფილომატა შეხედულებანი მომწიფდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს დაუკავშირდა. მიცკევიჩს თავის ფილომატ მეგობრებთან შედარებით უფრო რადიკალური პოზიცია ეკავა. ის ხშირად გამოდიოდა ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათის მოხსენებებით ფილომატთა სხდომებზე. აქ ჩამოყალიბდა მისი პირველი ლიტერატურული ინტერესები, აქ გაფორმდა ჭაბუკი პოეტის ესთეტიკური შეხედულებანი.

იმ პერიოდში ლიტერატურის ფრონტზე ცხარე ბრძოლები

იყო გაჩაღებული. ვარშავასა და ვილნიუსში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სამი ძირითადი მიმართულების წარმომადგენელნი: XVIII საუკუნის მეორე ნახევრის განმანათლებლური იდეების გამგრძელებელნი, იმავე პერიოდის კლასიციზმის ეპიკონები (ე. წ. „ვარშაველი კლასიკოსები“) და ახალი რომანტიკული მიმართულების წარმომადგენელნი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში პოლონეთის ლიტერატურაში განვითარებული განმანათლებლობა არ იყო ერთფეროვანი მიმართულება. ნაწილი განმანათლებლებისა, ი. კრასიციის მეთაურობით, მოითხოვდა ხალხში ჯერ სწავლა-განათლების შეტანას, ხოლო შემდეგ სოციალური და ეროვნული განთავისუფლების საკითხების დასმას. მეორე ნაწილი კი, ჰ. კოლონტაის მეთაურობით, ჯერ გლეხობის გათავისუფლებას მოითხოვდა,* შემდეგ კი მათ სწავლა-განათლებაზე ზრუნვას. პოლონელი განმანათლებლები თავიანთი ფრანგი წინამორბედებისა და კოლეგების მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდნენ.

რაც შეეხება პოლონურ კლასიციზმს, თავდაპირველად ის მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპის განმანათლებლური კლასიციზმისაგან. პოლონელი კლასიციტები — ე. ნარუშევიჩი, ჟ. დმოხოვსკი, .ი. კრასიცი, ხოლო განსაკუთრებით სტ. ტრემბიცი უფრო ახლო იდგნენ ხალხურ თემატიკასთან, ვიდრე XVIII საუკუნის კლასიციზმის ფრანგი და გერმანელი წარმომადგენელნი. ის არ გამოხატავდა შლიახტური არისტოკრატის იდეებს, არ მოითხოვდა ძველი ლიტერატურული ფორმების მკაცრად დაცვას და ზოგჯერ გლეხობის სოციალურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც უჭერდა მხარს. მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში პოლონური კლასიციზმი დეკადანსის გზას დაადგა, მოწყდა ხალხურ თემატიკას, ეროვნულ პრობლემებს და საკარო არისტოკრატის ლიტერატურული გემოვნების გამომხატველად იქცა. ეს სკოლა ყველაზე უფრო ვარშავაში განმტკიცდა, ამიტომ მის წარმომადგენლებს ირონიულად „ვარშაველ კლასიკოსებს“ უწოდებდნენ.

საერთოდ პოლონელი განმანათლებლები ახალი საუკუნის დასაწყისში ჩამოშორდნენ ეროვნულ პრობლემებს და კონსერვატიულ კასტურ სკოლად იქცნენ. ახალი ეპოქა კი სოციალური

და ეროვნული განთავისუფლების საკითხების უფრო გაბედულად დასმას მოითხოვდა. და აი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ახალი, რაზნოჩინური ლიტერატურული ახალგაზრდობა, რომელიც მკვეთრად უპირისპირდება „ვარშაველი კლასიკოსების“ პოზიციას, თანდათან თავისუფლდება განმანათლებლური შეზღუდულობისაგან და რევოლუციური რომანტიზმის ფუძემდებლად გვევლინება პოლონეთის ლიტერატურაში.

ამ გზას მიჰყვება ადამ მიცკევიჩი. ის იმთავითვე უპირისპირდება კლასიციზმის ვარშაველ ეპიგონებს, მაგრამ განმანათლებლური კლასიციზმის გავლენას მაინც განიცდის.

უნივერსიტეტში სწავლის დროს მიცკევიჩი სტანისლავ ტრემბიციის გარდა ვოლტერიტაც იყო გატაცებული, კითხულობდა რეფერატებს მათი შემოქმედების შესახებ და ზოგჯერ მეგობართა მხატვრულ ნაწარმოებებსაც არჩევდა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მისი ვრცელი მოხსენება პოლონელი მწერლის დიზმი-ბონჩ ტომაშევსკის პოემის „იაგელონიდას“ შესახებ, რომელიც მან 1818 წლის 15 აპრილსა და 5 მაისს წაიკითხა ფილომატთა წრის ორ სხდომაზე. ერთი წლის შემდეგ ეს მოხსენება მიცკევიჩის ახალგაზრდა მასწავლებლის იოახიმ ლელეველის შუამდგომლობით დაიბეჭდა „ვარშავის დღიურში“.

ეს ნაშრომი საყურადღებოა არა მარტო იმიტომ, რომ მასში გაკრიტიკებულია ძველი ლიტერატურული სკოლის თავგამოდებული დამცველის ტომაშევსკის ეპიგონური კლასიციზტური პოემა, არამედ იმიტაც, რომ აქ ჩვენ პირველად ვეცნობით მიცკევიჩის ესთეტიკურ შეხედულებებს. ისიც საინტერესოა, რომ მიცკევიჩი ამ სტატიაში ლიტერატურის უტილიტარობის საკითხს აყენებს. მისი აზრით, მხატვრული ნაწარმოები უნდა შეფასდეს უპირველესად ყოვლისა იმისდა მიხედვით, თუ რა სარგებლობა მოაქვს მას ხალხისათვის. „პოეტური ნაწარმოები, — წერს ავტორი, — ჩვეულებრივ გაცილებით მეტ ინტერესს იწვევს, როდესაც ის სხვა, მისთვის დამახასიათებელ ღირსებებს ახამებს გარკვეულ მისწრაფებასთან — სახელი მოუხვეჭოს ან სარგებლობა მოუტანოს ხალხს, ლიტერატურას, რომელთა გასამდიდრებლად არას ის მოწოდებული“.

ტომაშევსკის ისტორიული პოემა „იაგელონიდა“ ლიტვის დიდი მთავრის იაგელო ვლადისლავის (1350 — 1434) ცხოვრებას ეხება. იაგელომ პოლონელი დედოფალი იადვიგა შეირთო, პოლონეთის ტახტზე ავიდა, პოლონეთისა და ლიტვის სახელმწიფოები გააერთიანა და სათავე დაუდო იაგელონთა დინასტიას, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე მართავდა პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოს. მწერალს ქრონიკულად, ცალკეულ ეპიზოდებს შორის შინაგანი ლოგიკური კავშირის დაცვის გარეშე აქვს აღწერილი იაგელოს მიერ გადახდილი მრავალრიცხოვანი ომები. მიცკევიჩი ნაწარმოების სწორედ ასეთ კომპოზიციურ დაფანტულობაზე მიუთითებს. იგი იმოწმებს ვოლტერის აზრს, გამოთქმულს შრომაში: „ცდები ეპიკური პოეზიის შესახებ“, რომ კომპოზიციურად მტკიცედ შეუკვრელი პოემა ჩარჩოს ჰგავს, რომლიდანაც თავისუფლად შეიძლება ერთი სურათის ამოღება და მეორის ჩასმა, და ამტკიცებს — ტომაშევსკის „იაგელონიდანაც“ ისე უმტკივნეულოდ შეიძლება ცალკეული ეპიზოდების ამოღება, რომ ეს ნაწარმოებს სრულიადაც არ შეეცომა.

ამ სტატიის წერის დროს მიცკევიჩი თვით განიცდიდა კლასიციზმის მძლავრ გავლენას. ის ამტკიცებდა, რომ მოქმედების ერთიანობის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი დრამატული სიუჟეტის განვითარება და გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კლასიკური პოეტის კანონების მკაცრად დაცვის აუცილებლობას პოეზიაში. მაგრამ მიუხედავად ამისა მიცკევიჩის ეს სტატია მაინც პირველი ხელთათმანის გადაგდება იყო პოლონური ლიტერატურის კლასიციზტური სკოლისათვის. მართალია, მიცკევიჩი ჯერ კიდევ აშკარად და პირდაპირ არ ილაშქრებდა კლასიციზმის ძირითადი ლიტერატურული პრინციპების წინააღმდეგ, მაგრამ მას მაინც ახალი ნაკადი შეჰქონდა მწერლობაში და ახალ ლიტერატურულ გემოვნებას ამჟღავნებდა. აღსანიშნავია ამ სტატიაში გამოვლინებული ფართო ერუდიცია, აზრის ლოდიკური სიმტკიცე, პრინციპული და მახვილი კრიტიკის უნარი, რაც ჰაბუკი ავტორის მომავალ დიდ პუბლიცისტურ შესაძლებლობაზე მიუთითებდა.

უნივერსიტეტის პერიოდში სწრაფად ვითარდებოდა მიცკე-

ვიჩის პოეტური ტალანტი. მის მხატვრულ ნაწარმოებებს ხშირად კითხულობდნენ და არჩევდნენ ფილომატთა სხდომებზე. მიცკევიჩის პოემა „მეშკო-ნოვოგრუდეკის მთავარი“, 1817 წელს დაწერილი, მოსმენილი იქნა ფილომატთა წრეში. იმავე წელს იქვე იქნა წაკითხული ვოლტერის მიბაძვით დაწერილი პოემა „ანელია“. ახალგაზრდა ავტორმა თარგმნა ვოლტერის „ორლენელი ქალწული“ და დაიწყო ორიგინალური პოემის „კარტოფილის“ წერა.

„მეშკო-ნოვოგრუდეკის მთავარი“ და „ანელია“ ვოლტერიდანაა გადმოკეთებული, პირველი — „უფლისწულის აღზრდიდან“, ხოლო მეორე — „ჰერტრუდა ანუ ქალიშვილის აღზრდიდან“. პირველ პოემაში მიცკევიჩმა მოქმედება ნოვოგრუდეკში გადმოიტანა, ვოლტერის გმირები გააპოლონელა და დიდი ფრანგი მწერლის ცინიკურ სატირას უფრო ღინჯი და ზომიერი სახე მისცა.

„ანელიაში“ ავტორმა გამოიყენა ვოლტერის მიერ დამუშავებული, საკმაოდ სკაბრეზული ფრანგული ანეგდოტი დედისა და მისი ქალიშვილის სატრფიალო თავგადასავლის შესახებ და, როგორც ჩანს, მეგობრების გასართობად გალექსა ის. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, ერთგვარი როლი მისმა ჰაბუკურმა ტრფიალებამაც ითამაშა. საქმე ის არის, რომ მიცკევიჩი ამ ნაწარმოებში ქალის მორალურ სიმჩატესა და ფუქსავატურ ვნებიანობაზე ლაპარაკობს. იქნებ მისი პირველი რომანტიული გატაცებების სავალალო შედეგები უკარნახებდა ახალგაზრდა პოეტს ნაწილობრივ მაინც გაეზიარებინა ამ საკითხში ვოლტერისეული ცინიზმი.

17 წლის ჰაბუკის პირველი საყვარელი იუზია სხვას მისთხოვდა და პოეტის გულში სევდიან მოგონებადღა დარჩა. ორი წლის შემდეგ ის შეიპყრო „შავთვალა ანელიასადმი“ სიყვარულმა, მაგრამ მისი მეორე ტრფიალიც ორგული აღმოჩნდა. საღამომობით ის გვრიტივით უჯდა გვერდით მეოცნებე პოეტს და მასთან ერთად ვარსკვლავებს ითვლიდა ცაზე, ღამღამობით კი ურცხვად უღებდა თავისი ოთანის კარებს უცხო მამაკაცებს. ამ გაცრუებულმა სიყვარულმაც მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა პოეტზე და ცინიკურ ეპიზოდებად შეიტანა „ანელიაში“.

მაგრამ ვოლტერის გავლენა დიდხანს არ გაყოლია მიცკევიჩს. ჩქარა მას ახალი ინტერესები და მისწრაფებები გაუჩნდა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მისი დაუმთავრებელი პოემა „კარტოფილი“. ნაწყვეტი ამ პოემისა შეტანილია მიცკევიჩის ახლახან გამოცემულ თხზულებათა საიუბილეო კრებულში. ადგილები პოემიდან ფრ. მალევსკიმ წაიკითხა ფილომატების სხდომაზე. პოემა მაშინ 508 ლექსისაგან შედგებოდა, ახლა კი მისი მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტია დარჩენილი¹.

მიუხედავად იმისა, რომ პოემა 20 წლის ქაბუჯის კალამს ეკუთვნის, მასში მაინც ჩანს მომწიფებული ტალანტის ფართო შემოქმედებითი დიაპაზონი, მისი მდიდარი ფანტაზია, სწრაფვა კაცობრიობის უკეთესი მომავლისაკენ. ამ ნაწარმოებით იწყებს გაფორმებას დიდი პოლონელი პოეტის იდეური მისწრაფება. აქვია საფუძველი მიცკევიჩის პოეტური ინდივიდუალობისა, რაც შემდეგი პერიოდის უფრო მომწიფებულ ნაწარმოებებში აღწევს სრულყოფას. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ბუნების სილამაზის ოსტატური ხატვა, გაზაფხულისა და შემოდგომის სურათების კოლორიტული გადმოცემა და მალაპოეტური მსჯელობანი წელიწადის დროთა შესახებ. ბუნების მშვენიერებით გალალბებული პოეტი მადლობას სწირავს გენიას ამ სილამაზის შექმნისათვის და უმღერის დედამიწის მშვენიერებათა უსაზღვროებას, ფართოდ გაშლილ ველ-მინდვრებს, მწვანე ტყეებს, ყვავილების ნაირფეროვნებას, ცაში მოფარფატე ფრინველებსა და მიწის ბინადარ ცხოველებს.

შესანიშნავია ჰიმნი გაზაფხულისადმი, როცა დედამიწა მწვანე ქათიბით და ნაირფერადი ყვავილებით ფარავს თავის სიშიშვლეს; როცა ყინული ღვება, კვირტები სკდებიან, ველ-მინდვრებს ზურმუხტის ფერი დაჰკრავს და მწვანე ფოთლებში განაბული ქედნები სიყვარულით შელულუნებენ ერთმანეთს. შემდეგ მოჰყვება წელიწადის სხვა დროთა სურათები და ბოლოს სუსხიანი ზამთარი, თბილი ოთახი და უცნაური ხმები ბუხრიდან. ეს შემწვარი კარტოფილი უჩივის პოეტს: უხეირო

¹ ამ პოემის სრული შინაარსი მოთხრობილი აქვს XIX საუკ. პირველი ნახევრის პოლონელ ისტორიკოსს, ლიტერატორს კალენბახს ორტომიან მონოგრაფიაში აღამ მიცკევიჩის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ჰოშიარევე, შენ ტკბილ სიმღერებს არ იშურებ ყვაველები-
თვის, ის კი გავიწყდება, ვინც გკვებავს. შენ გაიამოვნებს ჩემი
შექმა, ხოტბის შესხმა კი არ გასურს... და პოეტი ასწორებს თა-
ვის „შეცთომას“... ის წერს ჰიმნს კარტოფილისადმი.

ამბავი იწყება კოლუმბის მოგზაურობის აღწერით ამერიკა-
ში. ნეპტუნი გადაელობება წინ კოლუმბის გემს. ქვესკნელის ძა-
ლები თათბირობენ, როგორ მოულონ ბოლო თავხედ მეზღვა-
ურს. ზეცაში კი იელოკა შეკრებს წმიდანებს, რათა გადაწყვი-
ტონ — ღირს თუ არა ამერიკის აღმოჩენა. ცხარე კამათში ირ-
კვევა, რომ ამას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი
მხარეები. დავის გადასაწყვეტად თვალსაჩინოებისათვის წმ.
მიხეილს სასწორი გამოაქვს, პეტრე და სტანისლავი, რომელ-
ნიც ამერიკის აღმოჩენის წინააღმდეგი არიან, თავიანთი მოსაზ-
რების არგუმენტად სასწორის ერთ თასზე ასხამენ სისხლსა და
ცრემლს, რასაც ვითომ ამერიკის აღმოჩენა გამოიწვევს, მათი
მოწინააღმდეგე დომინიკე სასწორის მეორე თასზე დებს სარ-
გებლობას, რომელსაც მოუტანს ეკლესიას ამერიკის აღმოჩენა,
მისი ბუნებრივი სიმდიდრენი და მცხოვრებთა ქრისტიანებად
მოქცევა.

სიტყვას იღებს წმ. რაფიელი და ამბობს: ხუთასჯერ შემო-
უვლის მზეს დედამიწა და მაშინ ნახეთ როგორი უბედურება
დაატყდება თავს ევროპას. ყველგან მოთქმა და ჩივილი იქნება,
ყრუ კვნესა, კოცონთა გიზგიზი, ბორკილების ჟღარუნი, მონათა
ბრბოს წინ გაირეკავს თვითმპყრობელთა მათრახები. შეხე-
დეთ! — ამბობს რაფიელი — აი შორს, იმ მხრიდან ნაპირს მო-
ადგება მოგზაური. თვალცრემლიანი გადაივლის ის ნანგრევე-
ბით მოფენილ უკაცრიელ მინდვრებს და ალბათ ვერც იცნობს
სად იდგნენ ერთ დროს პარიზები, ლონდონები და ვილნიუსები,
მაშინ ახალ სამყაროს ზემოთ, ცის ტატნობზე აკიაფდება თავი-
სუფლების ვარსკვლავი. მის სხივებში გაცისკროვნდება მეცნი-
ერება და სიკეთე, დაიმსხვრევა ბორკილები ზერებისა და გაქ-
რება საშინელებანი დესპოტთა. ოქროს თაღები აღამალლებენ
ზეცისაკენ თავისუფლების გუმბათებს, მის წინაშე პირქვე და-
ემხობიან დედამიწის მცხოვრებნი და ხალხი-მეფე აღმარ-
თავს ძალაუფლების კვერთხს. ბორკილებაყრილნი იმ მოგზაუ-

რის საფეხურებზე მიაჯაჰვავენ ძველი ქვეყნის ტირანებს და თავისუფლების ნაპერწკლისაგან აგიზგიზდება ახალი ალი ევ-როპაში.

დავა მაინც არ წყდება. სასწორის თასები თანაბრად ქანაობენ და ბოლოს წმ. დომინიკე უცილობელ არგუმენტად სასწორის მეორე თასზე დებს კარტოფილს და ყველაფერი ნათელი ხდება... კოლუმბი განაგრძობს გზას ამერიკისაკენ.

ამაზე უფრო ძლიერი ხოტბა როგორ უნდა შეესხა პოეტს კარტოფილისათვის. მან არ დაიშურა თავისი მდიდარი შემოქმედებითი ფანტაზია, რომ ედიდებინა ის, „რაც ადამიანს კვებავს“. იქნება ამ შემთხვევაშიც უტილიტარიზმის იგივე პრინციპი ამოძრავებდა პოეტს, რომელიც მან „იაგლონიდას“ შესახებ დაწერილ რეცენზიაშიც გამოხატა: ხოტბის ღირსია არა მარტო ის, რაც მხოლოდ ლამაზია, არამედ ისიც, რაც იქნებ ულამაზოა, მაგრამ სასარგებლოა.

ამავე პერიოდს ეკუთვნის მიცკევიჩის პირველი დაბეჭდილი ლექსი „ზამთარი ქალაქში“. ერთი შეხედვით აქ თითქოს ზამთრის სურათია მოცემული და სხვა არაფერი, მაგრამ მას მაინც აქვს თავისი ქვეტექსტი, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობას გამოხატავს. თუ ლექსში ლაპარაკია შემოდგომის ნიაღვრების შემდეგ ყინულით დამზრალ ქუჩებზე, გაყინული თოვლის მოსასხამით დაფარულ ფილაქნებზე და ზამთრის სუსხით შეშინებულ ადამიანებზე, რომლებიც თბილ ოთახებში იმალებიან, მაინც ძნელი როდია ყოველივე ამის ალეგორიული აზრის გაგება. პოეტის ნართაულ თქმებში გამოსჰქვივის იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების გაყინულობა, გაკიცხვა რეაქციის სუსხით დამფრთხალი, კარჩაკეტილი და უმოქმედო ადამიანებისა, რომელთაც ბრძოლა მართებთ და არა სოროებში მალვა. ლექსში გამოხატულია ჭაბუკი პოეტის მღელვარება, მისი სწრაფვა გარეთ, ქარბუქში, მარხილებით ნავარდი... ე. ი. მოქმედება, წინსვლა, ბრძოლა.

ასეთივე მებრძოლი განწყობილებითაა გამსჭვალული იმავე 1818 წელს დაწერილი ლექსი „ცისკიდურიდან“. რაც უნდა ძნელი და სახიფათო არ უნდა იყოს ტირანებთან ბრძოლის გზა, პოეტი მაინც იქითკენ მოუწოდებს ახალგაზრდობას და ნიმუშად

იაზონს სახავს, რომელიც სრულიად უბრალო გემით გავიდა სტიქიონებთან საბრძოლველად. მაშინ ყველაფერი მის წინააღმდეგ იყო ამხედრებული — ცაც და დედამიწაც, მაგრამ რაკი იაზონმა გარკვეული მიზანი დაისახა, ყველაფერს გაუძლო, ყველა დაბრკოლება გადალახა და მაინც გაიტანა თავისი — მოიტაცა ოქროს ვერძი.

ჩვენც არგონავტების მაგალითს უნდა მივბაძოთ — მოუწოდებს ახალგაზრდობას მიცქევიჩი. ჩვენც მათი მემკვიდრენი ვართ და არ გვაქვს შიშისა და უკანდახვევის უფლებაო. ყოველი დაძლეული სიძნელე ახალი საფეხურია დიდების გზაზე. — ამბობს მიცქევიჩი, — და მიმართავს ახალ თაობას:

„მამ დავირაზმით ყველანი და გავწიოთ წინ! ზოგს მეტის გაკეთება ძალუძს, ზოგს ნაკლების, მაგრამ აჰა ბურთი და მოედანი! ყველას შეუძლია თავისი ადგილი მოძებნოს ამ დიდ ბრძოლაში და მსგავსად აქაველებისა დაიძაძოს: „მე ძლიერი ვარ, მომეცით საქმე უფრო საძნელო!“.

თქვენ მოგმართავთ, ძმებო! თქვენა ხართ მომავლის იმედი და დასაყრდენი! გაშალეთ ფრთები, აფრინდით ზევით, გადაუარეთ მაღალ მწვერვალებს, დადგება დრო და შთამომავლობა გვეტყვის მადლობას“.

აქ უკვე ნამდვილი მიცქევიჩი ჩანს, მისი ფანტაზიის არწივის ფრთები — ბრძოლისა და თავისუფლების გაშლილი დროშა, მუდამ მშფოთვარე და დაუდგარი სული დესპოტიზმის წინააღმდეგ ამხედრებული მებრძოლი პოეტისა.

მიცქევიჩის უნივერსიტეტის პერიოდის ლექსები პოეტური მაჰრის პირველი დუდილია, ახალგაზრდული გატაცება, ბობოქარი და თითქოს უწესრიგოც, ბახუსისა და ეროსის კულტით ოდნავ შეხურებული. „თუ პოეტი ხარ, გადააქარ ღვინო, ნუ გეშინია, ლექსი სიმთვრალით არ დაბარბაცდებო“; მიმართავს ის მეგობრებს.

მიცქევიჩი გრძნობდა თავის თავში მძლავრ პოეტურ პოტენციას. ფილომატების სხდომაზე გამართული ერთ-ერთი პოეტური კენჭლაობის დროს ის ეუბნებოდა ტომაშ ზანს: „ჩვენ შორის ბუნებამ ტყუილად როდი გაავლო ზღვარი. შენ მუდამ ფხიზელი ხარ და უხვად აფრქვევ ლექსებს, ჩემო ზან, მე კი

ვლუმეარ და უჩუმრად ვწრუპავ ღვინოს, მაგრამ დამაცადე მე-
გობარო! მალე ავივსები ყელამდე და მაშინ ნახავ ვულკანავით
როგორ ამოხეთქავენ ჩემგან ლექსები!“

წინასწარმეტყველურია მიცკევიჩის ეს პოეტური ქადილი.
ორიოდე წლის შემდეგ მართლაც მძლავრად იფეთქა მისმა პო-
ეტურმა გენიამ და ერთი ხელის დაკვრით დაიპყრო პოლონეთის
პარნასი.

1818 წლის არდადეგები მიცკევიჩმა ზანთან ერთად გაატარა
ნოვოგრუდეკში. ცხოვრება მაშინ თითქოს იებითა და ვარდებით
იყო მისთვის მოფენილი. უებრო ნიქით დაჯილდოებული,
უზრუნველი და უდარდელი პოეტის ფანტაზია ვარსკვლავებს
ეთამაშებოდა. „სეირნობა, ნადირობა, ლამაზმანთა ჰვრეტა, მუ-
სიკა, თამაშობანი“ ართობდნენ მას და ვარდ-ყვავილების უხი-
ლავი ქვეყნისაკენ ეწეოდნენ მის გულს.

მაგრამ ცხოვრება უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ჰაბუკა
პოეტის ფანტაზიის პირველი ნავარდი. მალე ფრთაშესხმული
იმედებისა და რწმენის დღეები შესცვალა კაუნასელი მასწავ-
ლებლის უნიათო და ყრუ ცხოვრებამ, ხოლო ჰაბუკური ტრფო-
ბით აღტაცებული გული დაშრიტა და დაადნო უნუგემო სიყვა-
რულით გამოწვეულმა ვერთერულმა სევდამ.

ნოვოგრუდეკის მახლობლად მდებარე სოფელ ტუხანოვიჩში
მიცკევიჩმა გაიცნო თავისი ოცნების განუყრელი თანამგზავრი
მარია ვერეშჩაკი, მუდამ სასურველი და მუდამ შორეული იდე-
ალი მისი პოეტური ფანტაზიისა. მარია ან, როგორც სიყვარუ-
ლით ეძახდნენ მას — მარილა, იგივე იყო მიცკევიჩისათვის, რაც
ბეატრიჩე—დანტესთვის, ლაურა—პეტრარკასთვის, დიოთიმა—
პოლდერლინისთვის, სოფია კიუნ — ნოვალისისთვის: რომან-
ტიული გატაცება და კარდახშული სინამდვილე, მეოცნებე სუ-
ლის ზემიწიერა ექსტაზი და მიუღწევლობის კოსმიური სევდა.

სამუდამოდ აღიბეჭდა პოეტის მეხსიერებაში პირველივე
შეხვედრები მარილასთან, მისი ცისფერი თვალები და ტუჩებზე
მოთამაშე ეშმაკური ღიმილი, ცაცხვების ბნელი ხეივანი, ფოთ-
ლების ჩუმი შრიალი, მწვანეზე გაშლილი მუქი ჩრდილები, რა-

მეო და ჯულიეტას საიდუმლო სერობანი, მორცხვი ამბორი... და შემდეგ მარილას დანიშნული — გრაფი ლორენცო ფონ პუტკამერი — მათი სიყვარულის მკაცრი დისონანსი.

სიყვარულით ამაღლებული დაბრუნდა მიცკევიჩი ნოვოგრუდეკიდან ვილნიუსში და ახალი ენერგიით ჩაება საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ახლა მას უკვე აღარ აკმაყოფილებს ფილომატების ბავშვური თამაშობანი. იგი უფრო მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ამოცანებს უსახავს წრეს, მოითხოვს ფილომატთა რიგებში ახალგაზრდობის მკაცრი შერჩევით მიღებას და კონსპირაციის წესების უფრო სასტიკად დაცვას. ამ პერიოდში იცვლება მისი ლიტერატურული გემოვნებაც. ფრანგული მწერლობის გავლენას თანდათან ცვლის გაძლიერებული ინტერესი გერმანული და ინგლისური მწერლობისადმი. ფილომატების ყურადღებას ყველაზე უფრო ფრიდრიხ შილერი იპყრობს, რადგან გერმანული *Sturm und Drang*-ი შეეხამება ვილნიუსის ახალგაზრდობის მისწრაფებებს. სულ უფრო ხშირად ქვეყნდება გერმანელი მწერლების ნაწარმოებების თარგმანები პოლონურ ენაზე. იბეჭდება მადამ დე სტალის სტატიებიც-კლასიციზმის წინააღმდეგ. ცალკე წიგნად გამოდის კაზიმიერ ბროძინსკის შრომა კლასიციზმისა და რომანტიზმის შესახებ“.

ბროძინსკიმ პირველმა წამოაყენა პოლონეთში საკითხი ლიტერატურის ხალხურობის შესახებ; ის ეძებდა შემხებ წერტილებს ორ მოპირდაპირე სკოლას—კლასიციზმსა და რომანტიზმს შორის. ბროძინსკი უარყოფდა კლასიკური ლიტერატურის მკაცრ წესებს, მაგრამ არც გერმანული მწერლობის „რადიკალური თავისუფლება“ მოსწონდა ლიტერატურული ფორმის დარგში. ის საერთოდ წინააღმდეგი იყო ლიტერატურული მიმბაძველობისა და მშობლიური ლიტერატურის ეროვნული ტრადიციებით განვითარების გზებს ეძებდა. ამ ტრადიციებს ავტორი პატრიოტიზმში, ემოციათა ზომიერებაში, უბრალოებასა და ადათ-წესებისადმი მოკრძალებულ დამოკიდებულებაში ხედავდა. ბროძინსკი მძაფრი ვნებების აღწერის წინააღმდეგი იყო. ის უშვებდა წარმოსახვით თავისუფლებას, მაგრამ უარყოფდა ფანტასტიკურ გამომგონებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ კაზიმიერ ბროძინსკის არ გაულაშ-

ქრნია კლასიციზმის ძირითადი დებულებების წინააღმდეგ, მას მაინც თავს დაესხნენ ვარშავის ლიტერატურული სნობები და ლიტერატურული კონსერვატიზმის თავგამოდებული დამცველი ვილნიუსში იან სნადეცკი. მიცკევიჩის მასწავლებლებიდან ლეონ ბოროვსკიც ჩაება ამ ლიტერატურულ 'პაექრობაში. ის ფრთხილად, მაგრამ მაინც საკმაო პირდაპირობით გამოვიდა ლიტერატურაში აზრებისა და სახეების „გეომეტრიული წესრიგის“ წინააღმდეგ.

ამ ლიტერატურულმა დისკუსიებმა მიცკევიჩის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. მას კიდევ უფრო გაუძლიერდა ინტერესი გერმანული მწერლობისადმი. ახალგაზრდა პოეტი გატაცებით კითხულობდა ორიგინალში გოეთეს, შილერის, ტიქისა და რიხტერის ნაწარმოებებს. ყველაზე უფრო შილერი იტაცებდა მის ფანტაზიას; „უკვე დიდი ხანია, რაც შილერია ჩემთვის ერთადერთი და ყველაზე საყვარელი საკითხავი“, წერდა მიცკევიჩი.

გერმანული მწერლობის პარალელურად მიცკევიჩი გერმანულ ფილოსოფიასაც სწავლობდა; ფილომატების წრის ერთ-ერთ სხდომაზე მან წაიკითხა მოხსენება კანტის ფილოსოფიის შესახებ.

ამ პერიოდში წერს ის პოემას „ჟივილა“.

მიცკევიჩი მაშინ მარია ვერეშჩაკთან ტუხანოვიჩში გატარებული დღეების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა. პოემის პირველი ნაწილი ავტობიოგრაფიულია, ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ახალგაზრდა პოეტს მაშინ ისე ესახებოდა თავისი ურთიერთობა მარიასა და მის საქმრო გრაფ პუტკამერთან, როგორც პოემის გმირების ჟივილასა და პორაიას ურთიერთობაშია გამოვლინებული.

ნოვოგრუდეკის მთავარი კორიატი აღშფოთებულია იმით, რომ მისი ქალიშვილი ჟივილა უარს ამბობს მისთხოვდეს დიდგვაროვან საქმროს, რომლის შუამავლები განუწყვეტლივ მოდიან მის სასახლეში. ჟივილას უბრალო ლიტველი რაინდი პორაია უყვარს, რომელიც სახელგანთქმული მეომარია და დიდად მიღებული კორიატის სასახლის კარზე. შეყვარებულები საიდუმლოდ ხვდებიან ერთმანეთს.

განრისხებული კორიატი შეიტყობს ამას, - დააპატიმრებს ყივილას და სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტს.

ამ დროს ლაშქრობიდან გამარჯვებული ბრუნდება პორაია. ის კორიატს სთხოვს ყივილას ხელს. კორიატი უარს ეუბნება. ყივილას გადასარჩენად პორაია მტრის ბანაკში გარბის. მასთან ბრძოლაში კორიატი მარცხდება, პორაია ათავისუფლებს ყივილას, მაგრამ პატრიოტ ქალს არ სურს სამშობლოს დალატით მოპოვებული ბედნიერება და საკუთარი ხელით გაგმირავს მოლაღატე სატრფოს. ყივილა ათავისუფლებს მამას, გარბის მისკენ და მის ფეხქვეშ დაეცემა უსულოდ.

ეს მიცკევიჩის უკანასკნელი ნაწარმოებია უნივერსიტეტის პერიოდში დაწერილი. 1819 წელს მან დაამთავრა ვილნიუსის უნივერსიტეტი და კლასიკური ენების მასწავლებლად დაინიშნა კაუნასის სკოლაში. -

IV

1819 წლის შემოდგომიდან მიცკევიჩი შეუდგა მასწავლებლის თანამდებობის შესრულებას. მხიარული და მრავალფეროვანი შთაბეჭდილებით სავსე სტუდენტური ცხოვრების შემდეგ აღვილს როდი იყო მისთვის ყრუ პროვინციის სკოლაში განმარტოება, მაგრამ, ჩანს, ახალგაზრდა პოეტი კარგად გრძნობდა სახალხო მასწავლებლის მოვალეობას და მონდომებითაც მოჰკიდა ხელი საქმეს. ის გულმოდგინედ ემზადებოდა გაკვეთილების გადასაცემად, კრეფდა მასალებს, ადგენდა კონსპექტებსა და სავარჯიშოებს. მიცკევიჩს არ მოეწონა სასკოლო პროგრამები, გადაამუშავა ლოგიკის, ესთეტიკისა და რიტორიკის სახელმძღვანელოები და ყოველ ცალკეულ შემთხვევისათვის თვითონ უდგენდა მოსწავლეებს საკითხავ და სავარჯიშო მასალებს.

მიცკევიჩი ხედავდა, თუ რა გაჭირვებულნი იყვნენ გლეხების მოსწავლე შვილები. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მთელი კლასი, ერთის გამოკლებით, ლუკმა პურის საშოვნელად გარბისო, წერდა ის მეგობრებს.

მაგონი მიცკევიჩის პირველი პედაგოგიური გატაცება მალე ჩაქრა. მძიმე შრომამ, განმარტოებულმა ცხოვრებამ და მატერიალურმა ხელმოკლეობამ თავისი გაიტანა. საშინელმა მელანქოლიამ მოიცვა ახალგაზრდა პოეტის სული. ჯერ მან სცადა მარტოობის სევდა მეგობრებთან მიმოწერით დაეძლია, ყოველდღე წერდა წერილებს ვილნიუსში, ემუდარებოდა მეგობრებს დაწვრილებით შეეტყობინებინათ ყველაფერი, რაც ფიზიკურად დაშორებულს სულიერად მაინც აგრძობინებდა თავს მათ შორის მყოფად. „ნუ დაივიწყებ, — წერს ის მალევსკის, — რომ დაწვრილებით აღწერილი თქვენი საქმეები, ფიქრები და გართობანი მე მამბრუნებს თქვენთან და ცოტათი მაინც მაძლევს საშუალებას კვლავაც ვიგემო ის სიტკბო, რომელსაც მე ასე უხვად ვიღებდი თქვენს წრეში“. მიცკევიჩი თხოვს მეგობარს აცნობოს ასეთი დეტალებიც კი — „... წერილს დილით წერ თუ საღამოთი, ვინ არის შენთან, რაზე საუბრობ იუზეფთან¹, იანთან². ხალათი გაცვია და ისე ზიხარ, თუ...“ და ასე შემდეგ. „ყოველივე ეს ჩემთვის უფრო საინტერესოა, — წერს მიცკევიჩი — ვიდრე ცნობა იმპერატორის ვარშავიდან გამგზავრების შესახებ“.

ხანდახან სევდა ისე მოერეოდა ყარობ პოეტს, რომ ყოველგვარ წონასწორობას უკარგავდა. წერილში ფილომატებისადმი ის ჩიოდა: „წარმოიდგინეთ, რაც კოვნოში ჩამოვედი, ჯერ ერთხელაც არ მსმენია ვინმეს დაეძახოს „ადამ!“, არვის გაუღიმიო ჩემთვის, ხელი სიყვარულით არავის მოუხვევია. სკოლიდან ყოველთვის გულგატეხილი ვბრუნდები მოწაფეთა ურჩობის ან, რაც უფრო ხშირია, მათი გონებრივი სიჩლუნგის გამო. ამაო შრომა! პირქვე ვემხობი ლოგინზე, რამდენიმე საათი ვწევარ ასე დაძმარებული და გაბოროტებული. ხანდახან ნაღველი და ბრაზი ისე შემომამწვება, რომ სულ ორიოდ გრამის მომატებაა საჭირო, რომ შევიშალო ან თავი ჩამოვიხრჩო“.

ამ „ორიოდ გრამის მომატების“ შიშით იყო, რომ ვილნიუსელი მეგობრები მიცკევიჩის დაუინებელი თხოვნის მიუხედავად არ უგზავნიდნენ მას გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის

¹ იუზეფ ევოსკი.

² იან ჩეჩოტი.

ვნებებს“. მათ კარგად ესმოდათ, თუ რა საზიფათო იქნებოდა კაუნასელი ვერთერისათვის ასეთი სულიერი დეპრესიის მომენტში ამ წიგნით გატაცება. მალევესკი წერდა მიცკევიჩს: „ვერთერი“ მე არ მაქვს, არც ვიცი სად ვიშოვო, მაგრამ კიდეც რომ ვიშოვო, მომიტევე, არასგზით არ გამოგიგზავნიო“.

ცხადია, ვილნიუსელი მეგობრები არ ივიწყებდნენ გულითად მეგობარს, ხშირად წერდნენ წერილებს, ამხნეებდნენ, მატერიალურ დახმარებასაც უწევდნენ და ზოგჯერ რჩევა-დარიგებასაც თხოვდნენ. მიცკევიჩი კი ისევ თავისას გაიძახოდა: „მოწყენილობა! მოწყენილობა! მოწყენილობა!“¹

ის ახლა თავის პოეტურ ნიქსაც უნდობლად უყურებდა, ჩიოდა „მუზამ დამტოვაო“, მაგრამ მისი ამ პერიოდის ლექსები ამტკიცებს, რომ მუზას სრულიადაც არ მიუტოვებია ახალგაზრდა პოეტი, პირიქით, მისი ტალანტი სწრაფად და ლაღად განაგრძობდა განვითარებას.

მიცკევიჩი კაუნასიდანაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ფილომატების მუშაობაში. ახლა ის უფრო პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისაკენ მოუწოდებდა მათ. „ის, ვინც ჯარს ამზადებს, მანამდე ვერ იტყვის რამე გავაკეთო, ვიდრე ამ ჯარს ბრძოლაში არ გამოცდის“ — წერდა ის. მიცკევიჩს არ აკმაყოფილებდა თავისუფალი აზრებით მხოლოდ ქაღალდის ფურცლებზე ვარჯიში. ის ნამდვილი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ახალგაზრდებს, არ მოსწონდა, რომ ფილომატები ზედმეტად იყვნენ თეორიული საკითხებით გატაცებულნი. „დღეიდან ჩვენი მოქმედება პრაქტიკული უნდა გახდეს, საქიროა თეორია პრაქტიკით შეიცვალოს“, — წერდა ის ი. ევოვსკის. ეს უკვე მოქმედების გარკვეული პროგრამა იყო, მოწოდება უფრო აქტიური მოქმედებისაკენ. ამიტომ გასაგებია, რომ მიცკევიჩი თავის წერილებში კვლავ დაჟინებით მოითხოვდა კონსპირაციის წესების დაცვას. მას არ შეიძლება არ ცოდნოდა, თუ რა საზიფათო იქნებოდა რეაქციის იმ შავბნელ პერიოდში ფილომატთა წრის ნამდვილი მისწრაფებების გამომჟღავნება. „რაც უფრო დეს-

¹ წერილი იან ჩეხოტისადმი.

პოტურია სახელმწიფო, მით უფრო შენიღბული უნდა იყოს ყველა ფარული ორგანიზაცია — წერდა იგი მალევსკის.

ცხადი იყო, რომ მიცკევიჩი არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ფილომატებს. მის მეგობრებსაც კარგად ესმოდათ ეს. ისინი თვითონაც მტრულად იყვნენ განწყობილნი ცარიზმისადმი, არც ვარშავის სამთავროს რეჟიმი შეესატყვისებოდა მათ იდეალს. იან ჩეჩოტი ვარშავიდან წერდა მიცკევიჩს:

„აქ ყველაფერი საშინელია და საძაგელი, თუკი ადამიანი გაიგებს, რაც გარშემო ხდება, და იმსჯელებს მის შესახებ არა კუჭით, არამედ ტვინით. თქვლევია, ლოთობა, კოპწიაობა, პრანკვა, გართობა პარიზშიაც არ იქნება უკეთესი, მაგრამ იცხოვრო თავისუფლად, ნახო და გაიგო ის, რაც კეთილშობილ გულს სიხარულს მიანიჭებს — არ ვიცი, სხვაგან თუ სადმეა უფრო საძნელო. მე ვფიქრობ არსად არ შეუძლიათ ადამიანებს იცხოვრონ ასე, მხოლოდ თავისი კუჭის საამებლად. მინისტრები აქ იმისთვის არსებობენ, რომ მომგებიანი იჯარები აიღონ და ხალხის ფულით შემოზიდონ საზღვარგარეთიდან ხალხისთვის უსარგებლო ფუფუნების საგნები, ხოლო მაგნატები იმისათვის არიან, რომ უფრო ძვირად მიჰყიდონ სახელმწიფოს თავიანთი სასახლეები და გაყიდული მამულების ნაცვლად უფასოდ მიიღონ ახალი მამულები. ერთი სიტყვით ყველა ტყავიდან ძვრება, რომ როგორმე წაგლიჯოს, მოიპაროს და გაძარცვოს ყველაფერი, რაც მის მტაცებლურ ხელს მოხვდება, სახალხო დოვლათი იქნება ეს თუ კერძო საკუთრება“.

ეს უკვე მომწიფებული პოლიტიკური თვალსაზრისია, ახალგაზრდა დემოკრატიული ძალების აშკარა გამოსვლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. ყოველივე ეს მიცკევიჩის ზეგავლენასაც მიეწერება. მართალია, ის ჩამოშორებული იყო ფილომატების ორგანიზაციულ მუშაობას, მაგრამ კაუნასიდან ვილნიუსში გაბმული კავშირის მეოხებით პოეტი მაინც იქცა ამ საზოგადოების იდეურ ხელმძღვანელად.

ზამთრის არდადეგები მიცკევიჩმა ვილნიუსში გაატარა. აქ მას საშუალება მიეცა უფრო ახლო მონაწილეობა მიეღო ფილომატების მუშაობაში. უეჭველია, მიცკევიჩის ვილნიუსში

ჩასვლითვე აიხსნება ფილომატების წრის რეორგანიზაცია და ახალი უფრო ძლიერი ორგანიზაციის, ფილარეტების ანუ „სხივოსნების“ საზოგადოების დაარსება.

ვილნიუხელ მეგობრებთან ყოფნამ და ფილარეტების საქმიანობით გატაცებამ ახალი შემოქმედებითი ძალით აავსო მიცკევიჩი. შეიცვალა მისი შემოქმედებითი მეთოდი. გასაფრენად გამზადებულ არწივს უკვე აღარ შეეძლო თავისი პოეტური ფანტაზიის კლასიციზმის გალიაში ჩამწყვდევა. მიცკევიჩის მიერ კლასიკურ ყაიდაზე ჩაფიქრებული ნაწარმოები „დემოსტენე“ უკვე აღარ უპასუხებდა მის პოეტურ და საზოგადოებრივ მისწრაფებას. ამოდ წვალობდა ის ამ ნაწარმოების დასამთავრებლად: წერდა ცალკეულ თავებს, ხევდა, ისევ წერდა, მაინც არ მოსწონდა, ისევ ხევდა და ბოლოს, რა დარწმუნდა, რომ ტყუილად აწვალებდა შთაგონებას, სრულიად აიღო ხელი ამ პოემის წერაზე. ეს გასაგებიცაა. მის ბუნებრივ შემოქმედებითი განვითარების გზას სულ სხვა მიმართულებით მიჰყავდა იგი.

მიცკევიჩმა დასძლია ძველი, დრომოქმული „გეომეტრიული წესრიგი“, მიჰყვა შინაგანი პოეტური ინსტინქტით ნაკარნახევ გზას და კლასიციზმის მკაცრი არტახებიდან განთავისუფლებული სტრიქონები ლაღად და თავისუფლად გაიშალნენ ამ პერიოდის ლექსებში. ახალმა რევოლუციურმა შინაარსმა მოძებნა ასახვის შესაფერისი ფორმა. ახალი ძალით აქლერდა მიცკევიჩის პოეტური ჩანგი. მან ზედიზედ დაწერა მებრძოლ პატრიოტული განწყობილებით აღსავსე ლექსები: „მეგობრებს“, „4 სადღეგრძელო“, „ფილომატების სიმღერა“ და რევოლუციური ახალგაზრდობის შესანიშნავი ჰიმნი — „ოდა ახალგაზრდობას“.

ეს ლექსები თემატიკურადაც და იდეურადაც აგრძელებენ უნივერსიტეტის პერიოდის ლექსების ხაზს, მაგრამ თუკი იქ ჭაბუკი პოეტის ფიქრებისა და პოეტური ფორმების ჯერ კიდევ უწესრიგო დუდილი იყო, აქ უკვე საკმაოდ მომწიფებული ოსტატის ხელი ჩანს. მიცკევიჩს ჯერ კიდევ შერჩა იმ პერიოდის ამალგებული რიტორული ტონი, მაგრამ მისმა პოეტურმა ფრაზამ მაინც უფრო დინჯი და გამიზნებული სახე მიიღო. მართალია, ამ ლექსებშიც ბევრია პათეტიური, პრესიოზულიც, მაგ-

რამ ამას ნაწილობრივ თემის შინაარსი და ხასიათი მოითხოვდა, მისი დანიშნულებაა დასკეპოს, მოუწოდოს, დარაზმოს და ბრძოლის ველისაკენ წინ დროშად წარუძღვეს თავისუფლები-სათვის მებრძოლ ახალგაზრდებს.

მაღალი, პათეტიური ტონით მიმართავს მიცკევიჩი მათ: როგორ იარსებებდა ჩვენი პლანეტა, ან როგორ იცხოვრებდნენ ადამიანები, რომ არ იყოს სითბო, სინათლე, მაგნიტი, ელექტროსხივები. მაშინ ხომ კვლავ დაბრუნდებოდა ქაში ქაოსისა და სიბნელის.

სხივებს — სალამი! მზეს კი ჩვენი ვაშა ძლიერი!

მაგრამ რა შეუძლიათ სხივებს, როცა სამყარო გათოშილია და ადამიანის გულიც არ არის გამთბარი.

სითბოს სალამი!

სითბოს და სინათლეს შეჰხაროიან ადამიანები, მაგრამ ქარი სთიშავს მათ ერთმანეთისაგან. საჭიროა შეკავშირება.

მოიტათ მაგნიტი! მაგნიტს სალამი!

პოეტის მიზანი ნათელია. ის მოუწოდებს ახალგაზრდებს გაერთიანებისაკენ, შეკავშირებისაკენ, ხალხისათვის სინათლისა და სითბოს მოსაპოვებლად, სიბნელესა და სიცივესთან საბრძოლველად.

ეს ლექსი ვილნიუსში „სხივოსანთა“ საზოგადოების შექმნის აღსანიშნავადაა დაწერილი და ამ საზოგადოების პიმნად უღერს.

მიცკევიჩის პოეტური წარმოსახვა ზოგჯერ თითქოს განწყენებულია, ფანტასტიკურიც, მაგრამ ის არ არის მოწყვეტილი კონკრეტულ რეალობას, სინამდვილეს. ზოგადასა და ფანტასტიკურში მუდამ რალაც კონკრეტული, ცხოვრებისმიერი ვლინდება. გამოსახვის როგორი ფორმაც არ უნდა აირჩიოს ავტორმა, ნაწარმოების იდეური ქვეტექსტი აუცილებლად ისტორიულ-კონკრეტული ხასიათისაა; ამიტომ არის, რომ მიცკევიჩის რომანტიკულ პოეზიას იმთავითვე თან სდევს ცხოვრების რეალისტური ასახვის უნარი.

მიცკევიჩის ამ პერიოდის ლექსები მძაფრი რევოლუციური სულისკვეთებითაა გაჯღენთილი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა პოლონური რევოლუციური რომანტიზმის მანიფესტი „ოდა ახალგაზრდობას“, რომელშიც მაღალმხატვრულ

ფორმებშია ასახული ფილარეტული ახალგაზრდობის Sturm und Drang-ული განწყობილება. შემთხვევითი როდია, რომ ამ ლექსს მიცკევიჩმა ეპიგრაფად შილერის სიტყვები წარუქმდევარა: „Und die alten Formen stürzen ein...“¹. ეს ლექსი მართლაც ძველი სამყაროს ფორმების მსხვერვისა და ახალის შექმნისაკენ სწრაფვის გამოხატულებაა.

შორს უგულო ბრბო — ჩონჩხების ჯარი
ახალგაზრდობავე, ფრთა მომეც შენი,
რომ მკვდარ ქვეყანას გავშორდე ფრენით,
შევალო ნათელ სამოთხის კარი,
სადაც სულს ალხენს მზიური დარი
ვარდით, სურნელით და შუქის ფენით.
დაე სიბერეს მოსწყდეს სხეული,
თავი მიწისკენ მძიმედ დახაროს,
და ჩააშტერდეს ბინდმორეული
თვალთ სამყაროს.
ახალგაზრდობავე, ვით ცეცხლის ალი,
აფრინდი მალლა, მზის სხივს მისდევდე.
ქვეყანას გზნებით მოაგლე თვალი
კიღით კიღემდე².

პოეტის ფანტაზიის ეს თავისუფალი ნაეარდი არ არის ამ-ქვეყნიური ცხოვრებიდან გაქცევა. ეს არც ნოვალისის ცის-ფერი ყვავილის ძიებაა, არც ჰოფმანის ღამეული ზმანებების ნატვრა, და, იქნებ, არც ლორდ ბაირონის აფრააშლილი ხომალ-დი, თავის სამშობლოს ნაპირებს რომ სტოვებს. მიცკევიჩი არ-სად არ გარბის! ის სიცოცხლის მოტრფიალეა, მებრძოლი ბუ-ნების ადამიანი, რომელსაც არსებულის გარდაქმნა სურს და არა მისგან გაქცევა. მიცკევიჩისათვის უცხოა ინდივიდუალიზ-მი, ის ყოველთვის კოლექტივისაკენ, ადამიანებისაკენ მიისწრა-ფის, მათი შეერთება-შეკავშირება სწავლია და არა მათგან განდ-გომა. ის არ იბრძვის საკუთარი კეთილდღეობისათვის. პირადი ცხოვრება მას საერთო საქმის სამსხვერპლოზე აქვს მიტანილი. მისი ბედნიერების საზომი სხვისი ბედნიერებაა. ის ყოველთვის

¹ და იმსხვერვიან ძველი ფორმები.

² თარგმანი გრ. აბაშიძისა.

სხვაზე ფიქრობს, სხვის კეთილდღეობაზე ზრუნავს, თავისი სულის სიმდიდრეს სხვებს უზიარებს და ამაში ხედავს ცხოვრების ნამდვილ აზრს და დანიშნულებას.

სიცოცხლის წყარო შენში ჩქეფს ქარბად.
• ხალგაზრდობავ, ჰეი სიყმაწვილევ!
• ცოდე სიტკბო მაშინ აქვს შარბათს,
თუ შენს ტკბილს სასმელს სხვაე ინაწილებს!

მიცკევიჩისათვის უცხოა კომპრომისის გზა. ის შეურიგებელია ბრძოლაში. მისთვის არც დაბრკოლება არსებობს და არც სიკვდილის შიში. მიცკევიჩის აზრით მტერთან ბრძოლაში დაცემა დიდებაა მებრძოლისთვის, რადგან ამით ის მომავალ თაობას უადვილებს წინსვლას.

• ქაბუკო ძმებო, აღვსდგეთ, საერთო
ბრძოლა დაესაზოთ ერთადერთ მხსნელად,
ერთი მიზნისკენ სწრაფვით ავენთოთ,
ბრძოლაში ვპოვოთ ძალა და შეველა.
ის ბედნიერი იქნება დიდად,
ვისაც მახვილი განგმირავს მტერთა,
• გეი სხვებისთვის დარჩება ხიდად,
აღვსდგეთ ბრძოლისთვის, შემოვკრბეთ ერთად!

მიცკევიჩის პოეტური ხედვა ყოველთვის მომავლისკენაა მიმართული. ის როდი ჰგავს იმ რომანტიკოს მწერლებს, რომელნიც აწმყოს უარყოფენ, უნდობლად უყურებენ მომავალს და წარსულის ხავსსა და ობში ეძებენ თავიანთი ავადმყოფური ოცნების იდილიურ თავშესაფარს. მიცკევიჩის პოზიტიური თვალსაზრისი არ გმობს იმას, რაც საუკუნეების მანძილზე შეუქმნია ხალხთა ისტორიას. ის ძველი ცხოვრების გარდაქმნასა და გაახალგაზრდავებაზე ოცნებობს. პოეტი არც ბნელით მოსილ აწმყოს გაუბრბის, რადგან არსებული მომავლისათვის ბრძოლისა და მოქმედების არენაა მისთვის. თანამედროვეობამ უნდა იბრძოლოს, რათა წარსულ ცხოვრებას ობი ჩამორეცხოს და ბედნიერების ნათელი გზა გაუხსნას მომავალ თაობას. ამრიგად მიცკევიჩი არა მარტო უარყოფელია ცხოვრე-

ბის გარდასული ფორმებისა, არამედ ახლის მეხოტბე და მშენებელიც.

ახალ გზას გაჰყევ, მოსწყდი ძველს ორბიტს,
სამყაროვ, შესძარ შენი ბურჯები,
ჩამოგეცლება სიძველის ობი,
და კვლავ სინორჩით გაიფურჩქნები.

ამბობს ის.

მომავლის ღრმა რწმენითაა გამსჭვალულა მიცკევიჩის მებრძოლი სტრიქონები:

და ჩვენც ხომ დღემდის ღამის წყვილიადი
გეფარავს ჯერ კიდევ არ გაფანტული,
მაგრამ ბნელს დასძლევს ძალა დიადი
სული ძლიერი, ახალგაზრდული“.

პოლონეთის პატრიოტულ ახალგაზრდობას თავის საბრძოლო დროშებზე შეეძლო წაეწერა ადამ მიცკევიჩის უკვდავი სიტყვები:

თავისუფლების რიერაჟს საღამო,
ხალხების მხსნელი მზის გამოჩენას!

მიცკევიჩის „ოდა ახალგაზრდობას“ საეტაპო ლექსია პოლონეთის ლიტერატურაში. მან დიდი ხმაური გამოიწვია ვილნიუსის ლიტერატურულ წრეებშიც. ფილარეტული ახალგაზრდობის ნაწილი აღფრთოვანებით შეხვდა მიცკევიჩის პოეტური ნიჟის ამ ვულკანურ ამოხეთქვას. ასე დღემდე არცერთ პოლონელ პოეტს არ უმღერიაო, წერდა ფრ. მალევსკი თავის სახელოვან მეგობარს.

მაგრამ ფილარეტთა შორის ყველამ როდი შესძლო ამ ლექსის მნიშვნელობის გაგება. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ჩაკეტილი იყო ფოლომატთა განმანათლებლურ ნაქუქში. ზანი ძველებურად ღვინის კულტითა და ეროტიკით იყო გართული. ჩეჩოტი კარდახშულ მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა, სხვები ყოველდღიური წვრილმანი ინტერესებით აყვნენ გატაცებულნი და ერთგვარი შიშითაც შეჰყურებდნენ მათი ბუდიდან აფრე-

წილ არწივს. მიცკევიჩის გაბედულმა ბრძოლის ყიჟინამ დაფრთხო ისინი. „სხივოსნებმაც“ კი ვერ უსწორეს თვალი მიცკევიჩის პოეტური მზის აღმობრწყინებას; ლიბერალიზმის სენით დაავადებულმა ახალგაზრდებმა დუმილი არჩიეს. ცხადი იყო, რომ ფილარეტებმა ფეხი ვერ აუწყვეს გიგანტური ნაბიჯებით წინ მიმავალ პოეტს.

როგორც ჩანს, მიცკევიჩიც გრძნობდა ამას. ის ხედავდა თავის უპირატესობას, მაგრამ ყოველმხრივ ცდილობდა არ ეგრძნობინებინა ეს მეგობრებისთვის.

ბოლოს უთანხმოებამ მაინც იჩინა თავი. მიცკევიჩმა დაწერა ლექსი „მეზღვაური“, რომელშიც მისი და ფილარეტების მისწრაფებათა სხვადასხვაობა გამოამჟღავნა. ლექსი ალეგორიულია. პოეტი წერს, რომ როცა მან შესცურა „არსობის ზღვაში“, ზღვის ზედაპირი მშვიდი და სარკესავით გლუვი იყო, ახლა კი ირგვლივ წყველია და აზვირთებული ტალღების შხუილი. პოეტ-მეზღვაურს არ შეუძლია უკან დაბრუნება, მისი მოქანცული ხელები ამაოდ ჩასკიდებია საქეს. ბუნების სტიქია არა ნაკლებ ძლიერია, ვიდრე მისი მისწრაფება. ღონემიხდილი მგოსანი შესთხოვს სიკეთის ფერიას გაუწოდოს სტოიკური ძალის შთამნერგავი სასმისით სავსე ფიალა, რომ ძალა მოიკრიბოს და დიდების კლდის ქიმს მიაღწიოს.

პოეტი რომ ასე თავგამოდებით ებრძვის ზღვის ტალღებს, მისი მეგობრები ნაპირზე დგანან და იქიდან მშვიდად შეჰყურებენ ადამიანისა და სტიქიის ბრძოლას. სულ სხვადასხვაა მათი მისწრაფება. პოეტისათვის სიხარულია ამ უკუნეთ ქარიშხლიან ღამეს ზღვის ტალღებთან ბრძოლა. ის ამაყობს იმით, რომ „ყოფიერების მორევშია“ გადასროლილი და უშიშრად მიაპობს ტალღებს. და თუ მას უწერია აქ, ამ უფსკრულში შთანთქმა, სულერთია, ეს არ აზინებს, რადგან „ყოფიერება მარადიულია“ და არც მისი ყოფნა შეიძლება გაქრეს უკვალოდ.

პოეტი მიმართავს სამშვიდობოზე მდგარ მეგობრებს, რომ ისინი ვერ გაიგებენ სიხარულის იმ განცდას, რომლითაც შეტყობილია მისი სული, აქ, ამ ყალყზე შემდგარ ტალღებთან ბრძოლის დროს, და ურჩევს: „მე ცურვით გავსწევ წინ, თქვენ ჭი, მეგობრებო, შინისკენ“

ასეც მოხდა. მიცკევიჩი გაჰყვა თავისი მშფოთვარე ცხოვრების ქარიშხლიან გზებს, მისმა მეგობრებმა კი მოქმედების უფრო მშვიდი ფორმები ირჩიეს და კვლავ დაუბრუნდნენ ფილარეტელთა არსებითად უწყინარ საქმიანობას.

V

უფრო მძიმე და აუტანელი გახდა მიცკევიჩის ცხოვრება კაუნასში. პოეტი ძველებურად ემუდარებოდა მეგობრებს ხშირად გამოეგზავნათ წერილები და შეემსუბუქებინათ მისთვის მარტობით გამოწვეული სევდა. მაგრამ მეგობრების წერილები ვერაფერს უშველიდა უნუგეშო სიყვარულით გულდასეტყვილ პოეტს. მარია ვერეშჩაკზე ფიქრით იყო აფორიაქებული მისი გონება. ისინი ისევ ხვდებოდნენ ერთმანეთს. მიცკევიჩი სიყვარულით ალგზნებულ სტრიქონებს წერდა მარილა ვერეშჩაკის ალბომში. ამ ლექსებს ზეპირად სწავლობდა მარილას საქმრო პუტკამერი და უდარდელად ლიღინებდა საცოლეს მიერ ნოტებზე გადატანილ სტრიქონებს. თითქოს არაფერი არ არღვევდა მათ იდილიას. მარილას თეთრი აჩრდილი ხშირად გაივლევებდა ხოლმე მთვარის შუქით განათებულ ცაცხვების ხეივანში, სადაც შეყვარებულები ხვდებოდნენ ერთმანეთს. გრაფი პუტკამერი იმდენად იყო დარწმუნებული თავის უპირატესობაში „ლარიბ მოლექსესთან“, რომ არაფრად აგდებდა ადამისა და მარიას ჩუმ ამიკობას. კვლავ გამოუცნობი რჩებოდა მარილას ბაგეებზე მოთამაშე ეშმაკური ღიმილი. შებინდებისას ის სიყვარულით შეჟუჟუნებდა ქაბუჯ პოეტს და იმავე დროს პუტკამერთან ქორწინებისათვის ემზადებოდა. მიცკევიჩი მთლად სიყვარულად იყო ქცეული. ის გაუბედავად შეჰყურებდა სანატრელს, მაგრამ მუდამ შორეულად და მიუწვდომლად სახავდა მას. პოეტმა რატომღაც დაირწმუნა თავა, რომ ის, ვისი სახელიც მთელი ერის დიდებად იქცა, შეუფერებელი იყო ამ ცისფერთვალემა კეკლუცისათვის.

სამთა სიყვარული თითქოს პარალელურად ვითარდებოდა და არც უშლიდა ერთმანეთს ხელს. არცერთს არ უცდია რამე ცვლილება შეეტანა ამ ურთიერთობაში. მიცკევიჩს მარილა-

საგან არ მოუთხოვია პუტკამერის უარყოფა, არც მარილა ფიქრობდა დანიშნულისათვის ერთხელ მიცემული პირობის დარღვევას. პუტკამერს ოდნავადაც არ უგრძობინებია საცოლესათვის ჩამოშორებოდა მეოცნებე პოეტს. ერთი წუთითაც არ დარღვეულა მიცევივისა და პუტკამერის მეგობრობაც. თითქოს ყველაფერი მშვიდად და უწყინრად ვითარდებოდა, მაგრამ ტრაგიკული სიტუაცია მაინც მომწიფდა: ვერეშჩაკისა და პუტკამერის ქორწინების დღე დაინიშნა. ამას ხელი არ შეუშლია მარილასათვის ერთხელ კიდევ გამოსულიყო ცაცხვების ხეივანში. მიცევივი აღრე მივიდა დანიშნულ ადგილას და თავჩაქინდრული უცდიდა საბედისწერო შეხვედრას.

თითქოს მთვარის შუქს ჩამოჰყვა მარილას თეთრი აჩრდილი. შეყვარებულები პირისპირ დადგნენ ერთმანეთთან. კარგა ხანს არცერთს არ ეყო გამბედაობა დაერღვია ეს ღვთაებრივა დუმილი. ბოლოს მარილამ უხმოდ მოსტეხა კვიპაროზის შტო, რომელზედაც ერთხელ მკლავი გაიკაწრა, როცა სიყვარულით აღზნებული პოეტი პირველად მისწვდა მის ტუჩებს, ასევე უხმოდ გადასცა ის სევდით გაოგნებულ მიჯნურს, „მშვიდობითო“ წასჩურჩულა და ისევ მოჩვენებასავით გაქრა ცაცხვების ბნელ ხეივანში. სიყვარულით გულდაკოდილ პოეტს ხელში კვიპაროზის შტო შერჩა, რომელსაც დიდხანს ინახავდა სათუთად.

ქორწინების საზეიმო ცერემონიაში მარია ვერეშჩაკს მონაწილეობა არ მიუღია. ის კარჩაკეტილი იჯდა თავის ოთახში და ცრემლმორეული გაჰყურებდა მთვარის შუქით მოფენილ ცაცხვების ხეივანს. გრაფი პუტკამერი კი სახეგაბრწყინებული იდგა მრავალრიცხოვან სტუმართა შორის და მოლოცვებს იღებდა.

მიცევივი ჯავრისაგან ლოგინად ჩავარდა. განშორების სევდამ დაფერფლა მისი გული; იგი მოეშვა, მოღუნდა, ჰირვეული გახდა, მასწავლებლობაზე გული აიცრუა, მეგობრებს ისტერიულ წერილებს უგზავნიდა, უცხოეთში გადახვეწაზე ოცნებობდა და დროდადრო ლექსებს წერდა, მაგრამ თავისი აფორიაქებული ფიქრებისათვის სათანადო ფორმას ვერ პოულობდა. „გონება გამიხვედა და ლექსებს თავიდან რკინის მავთუ-

ლივით ვეზიდებით* — შესჩიოდა ის მეგობრებს და კომმარე-
ბით საესე უძილო ღამეებს კვლავ მარია ვერეშჩაკზე ფიქრში
ათენებდა.

მეგობრები შეშფოთებული იყვნენ ადამის ასეთი მდგომა-
რეობით. იან ჩეხოტი წერდა ფრანციშეკ მალევსკის:

„არ ვიცი რა ეშველება მას და მის ჯანმრთელობას. მე უკვე ყო-
ველგვარი იმედი დავკარგე. შესაძლებლობაც სულ უფრო და უფრო
მცირეა. მხოლოდ შენ შეგეძლო გეხსნა ის, გემოქმენდა, რომ როგორ-
მე გამოოცხლებულიყო, მაგრამ როგორ შეიძლება ამის ვანხორცი-
ელება, არ ვიცი შევებულება ჯერ ვერ მიიღო. შემდეგ რა იქნება, კაც-
მა არ იცის. არ ვიცი, არ ვიცი. შინდა თავიდან მოვიშორო ამაზე ფიქ-
რი, რადგან, რომ გამახსენდება, ვხედავ მის უბედურებას და მაშინ
მეც მასავით უბედური ვარ. რა მოსდის! ის ყოველთვის არანორმა-
ლურ მდგომარეობაშია. ჯანმრთელობა სულ უფრო და უფრო უარეს-
დება. თაშბაქოს წევა, უძილო ღამეები, მძიმე შრომა ის საბოლოოდ
მოისწრაფებს სიცოცხლეს და არც ცდილობს გამოვიდეს ამ ლეტარ-
გიიდან“.

ტომამ ზანი მიეშველა მეგობარს მისთვის ამ საბედისწერო
მომენტში. ზანის დახმარებით განაახლა მიმოწერა მიცკევიჩმა
მარია ვერეშჩაკთან, ისევ დაიწყო სანტიმენტალური დუელი
მათ შორის. სიყვარულით გაბრუებულმა მიცკევიჩმა ერთხელ
კიდევ გადაუშალა თავის მღელვარე გულისთქმა მარიას. პუტ-
კამერის მეუღლე პასუხობდა წერილებში, რომ ისიც უბედუ-
რია, იტანჯება, ენატრება... და თავისაკენ უხმობდა თავისი
ოცნების რომანტიულ გმირს.

მიცკევიჩმაც დაიჯერა და ვილნიუსისაკენ გაეშურა, სადაც
მაშინ ცოლ-ქმარი პუტკამერები იყვნენ გაჩერებული.

ცივად მიიღო პუტკამერის მეუღლემ მიცკევიჩი. როგორც
ჩანს, შერისხა კიდევ კადნიერებისათვის და კიდევ უფრო მო-
უშხამა შეყვარებულ პოეტს ისედაც გამწარებული სიცოცხლე.
მიცკევიჩი შემდეგში დიდხანს ნანობდა ამ დაუფიქრებელ ნა-
ბიჯს. ვერ ეპატიებინა თავისთვის ეს უჩვეულო გაბედულება
მარიას წინაშე.

თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო მათი უნუგეშო რომანი, მაგრამ ასე როდი სურდა მარია ვერეშჩაკს. მას არ უნდოდა და იქნებ არც შეეძლო შეეწყვიტა ეს შორეული ტრფიალი. მიცვევიჩი უკვე ველარ ბედავდა წერილების მიწერას, სამაგიეროდ ზანს ემუდარებოდა — შეეტყობინებინა მისთვის მარია აშბები. ზანი სიამოვნებით ასრულებდა მეგობრის თხოვნას.

ეს შუამავლობა ზედმეტი აღმოჩნდა. ყინული ისევ მარიამ გატეხა. მიცვევიჩმა მისგან სინანულით აღსავეს წერილი მიიღო:

„მე თქვენ შეურაცხყოფა მოგაყენეთ და ვიშასხურებ კიდევ თქვენს რისხვას. მე ვალიარებ ამას, მაგრამ თქვენც უნდა მომიტევოთ, რადგან მე უკვე საკმაოდ დავისაჯე ჩემი უგუნურების გამო. მე მტანჯავს სინდისის ქენჯნა და შავი ნაღველი. თუ თქვენ გასურთ ოდნავ მაინც დაამშვიდოთ ჩემი დატანჯული სული — მომიტევეთ. თავის დასაცავად მე შემეძლო მეტყვა, რომ თქვენ თვითონ გამომიწვიეთ. თქვენ შეეხეთ ჩემი სულის ყველაზე მგრძნობიარე სიმს. მოიგონეთ, გთხოვთ, რაც მითხარით დამცინავი სახით. მე ძლიერ ამაყი ვარ იმისათვის, რომ ავითანო ასეთი დამცირება. თქვენ გამომიწვიეთ და, მართალია, მეც კანდიერად მოგეჭეცით, მაგრამ ახლა ათიათასჯერ გთხოვთ მოტევენას და ვიმედოვნებ, რომ დამყვებით და მომიტევებთ. ვერ შევძელი მესარგებლა ჩემი გულისათვის ესოდენ ძვირფასი წუთებით. მე უნდა განახოთ თქვენ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, გელაპარაკოთ, გისმინოთ. თუ მომიტევებთ, გემუდარებით, მომწერეთ თუნდაც ერთი სტრიქონი (ტომაშის მისამართით). მშვიდობით, იყავით ჯანმრთელი და ბედნიერი, რამდენადაც შეუძლია ადამიანს იყოს ბედნიერი ამ ქვეყანაზე“¹.

რამდენიმე სტრიქონის ნაცვლად უმაღლვე ვრცელი წერილი აფრინა მიცვევიჩმა თავის სატრფოსთან და სინანულით სავსე სიტყვებს თავისი გულიც თან გააყოლა.

¹ წერილი გამოქვეყნებულია ა. პოგოდინის წიგნში: „Адам Мицкевич. Его жизнь и творчество“. т. 1. м. 1912 г.

მიმოწერა კვლავ განახლდა. მიცკევიჩი და მარია რამდენჯერმე შეხვდნენ კიდევ ერთმანეთს, და მათი სიყვარულის პარალელები ისევ მშვიდად და უწყინრად გაყვნენ ჟამთა მსვლელობას. მიცკევიჩი კიდევ დიდხანს უფოთავდა დაკარგული სიყვარულის გამო და მთელ თავის მღვლვარე გულისთქმას ლექსებსა და პოემებში აქსოვდა. შემდეგ დრომ თავისი გაიტანა. მარილას სახე თანდათან გაფერმკრთალდა მის ცნობიერებაში და ბოლოს შორეულ მოგონებად იქცა. მარილაც დიდხანს იმტკრევედა შორიდან თითებს, დროგამოშვებით მისი სანტიმენტალური წერილები ისევ უხსნიდა გულის იარას პოეტს. ერთხელ, ერთგულების ნიშნად, ბექედიც გაუგზავნა საჩუქრად, მაგრამ ბოლოს ისიც დამორჩილდა ჟამთა ვითარებას და „თანდათანობით დადნა, როგორც სანთელი გამოცალიერებულ ეკლესიაში“.

აღამ მიცკევიჩისა და მარია ვერეშჩაკის სიყვარულის ეს რომანტიკული ისტორია საინტერესოა არა მარტო ბიოგრაფიულის, არამედ ლიტერატურული თვალსაზრისითაც. მიცკევიჩის ლექსებისა და პოემების გაგება შეუძლებელია პოეტის ამ უნუგემო სიყვარულით გამოწვეული სულიერი დრამის გათვალისწინების გარეშე. მარია ვერეშჩაკი, როგორც ვნახავთ, ლიტერატურულ სახედ იქცა და ლამაზ სტრიქონებად გაიბნა მიცკევიჩის ნაწარმოებებში. მაგრამ რაც არ უნდა ძლიერი ყოფილიყო უნუგემო სიყვარულით გამოწვეული სევდა, ის მაინც ვერ იქცეოდა ადამ მიცკევიჩის „მსოფლიო სევდის“ მთავარ მიზეზად. ავტორი იმ რევოლუციურ-პატრიოტული ლექსებისა, რომელნიც ზევით განვიხილეთ, ვერ ჩაიკეტებოდა ინტიმურკამერული ლირიკის ჩარჩოებში. მარია ვერეშჩაკი მხოლოდ ერთი მხარე იყო იმ დიდი სევდისა, რომელიც ღრღნიდა სამშობლოდაკარგული პატრიოტი პოეტის გულს. მას სხვაც ბევრაჰქონდა საზრუნავი და სადარდებელი. მისი გატანჯული დედასამშობლოს ტრაგიკული ბედი საასპარეზო მოუხმობდა ბრძოლისა და თავისუფლების მომღერალს.

კაუნასში გატარებული წლები, ძლიერი სულიერი დეპრესიის მიუხედავად, მაინც ნაყოფიერი აღმოჩნდა პოეტისათვის. ის გატაცებული იყო ბაირონით, თარგმნიდა შილერს, სწავლობდა უცხო ენებს. ლირიკული ლექსებისა და ბალადების გარდა, ის მუშაობდა პოემებზე „გრაჟინა“ და „ძიადები“. მიცკევიჩი სწერდა ეჟოვსკის, რომ მას დიდი ლიტერატურული გეგმები აქვს. თუმცა ის კვლავ უჩიოდა მუზის უმადურობას; მაგრამ მაინც ინტენსიურად მუშაობდა, ახალ-ახალ ნაწარმოებებს გზავნიდა ვილნიუსში და ალტაცებაში მოჰყავდა მეგობრები.

კაუნასში მიცკევიჩი განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყო შილერის ლექსებით. ამ პერიოდის მის თითქმის ყველა წერილშია მოხსენებული დიდი გერმანელი პოეტისა და დრამატურგის სახელი. მიუხედავად იმისა, რომ მიცკევიჩის აზრით შილერის ლექსების თარგმნა „უსაზღვროდ ძნელია“, მას მაინც დიდი მონდომებით და გატაცებით გადაჰქონდა გერმანელი Sturm und Drang-ელი პოეტის სტრიქონები მშობლიურ ენაზე. შილერის ზოგიერთ ნაწარმოებს ის ღვთაებრივს უწოდებდა და კაუნასიდან ვილნიუსში სწერდა ეჟოვსკის: „შილერი დიდი ხანია, რაც ჩემს ერთადერთ და საყვარელ საკითხავს წარმოადგენს“.

შილერისადმი სიყვარული მიცკევიჩის გულში არასოდეს გამქრალა. ის ყოველთვის დიდი მოწიწებით იხსენიებდა თავისი საყვარელი პოეტის სახელს. უფრო გვიან, როცა მიცკევიჩის გონება ბაირონმა დაიპყრო, იგი სწერდა მალევსკის, რომ „ეს უდიდესი პოეტი ალბათ ვერ განდევნის ჩემი გულიდან შილერს“.

მეგობრებიც ამჩნევდნენ კაუნასის პერიოდში მიცკევიჩის ამ არაჩვეულებრივ გატაცებას შილერის პოეზიით. მალევსკი სწერდა „მე მოხარული ვარ, რომ მწუხარების ჟამს ასე მოგეწონა შილერი; მისი დიადი აზრები, მე ვფიქრობ, ნამდვილად გაგახარებენ. შილერსაც ისეთი ახალგაზრდობა ჰქონდა, როგორც შენ. ამ აზრმა ძლიერ ამაღლევა, იქნებ კოვნო იქცეს

შენთვის იმად, რასაც შილერისათვის წარმოადგენდა ჩაგვრა და გაქირვება ჯარისკაცთა სასწავლებელში...“

ცხადია, მარტო ეს არ იყო პოლონელი და გერმანელი ხალხების ამ გენიალური შვილების სულიერი სიახლოვის მიზეზი. თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეამ შეახმატებია ორივე პოეტის ჩანგის ელერა, ორივე თავგამოდებით იბრძოდა დესპოტიზმის წინააღმდეგ.

1820 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა მიცკევიჩის დედა ბარბარა მაევსკა — ეს ახალი მძიმე განსაცდელი იყო ისედაც გულამღვრეული პოეტისათვის. „დედა იყო ჩემი უდიდესი საწყუხარი და სიტკბოება, — სწერდა ის ო. პეტრაშკევიჩს. — მე არ შემეძლო მხარში ამოვდგომოდი მას, მაგრამ თავს ყოველთვის იმით ვინუგეშებდი, რომ ოდესმე ჩემი ბედნიერება მისთვისაც იქნებოდა მძიმე ხვედრის შემსუბუქება. ახლა ეს ოცნებები კვამლივით გაიფანტნენ და მე მარტოდმარტო დავრჩი“.

მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა პოეტზე ნოვოგრუდეკში ჩასვლამ, სადაც მას გამოცალიერებული სახლი და გაპარტახებული კარმიდამო დახვდა. კიდევ უფრო დასევდიანებული დაბრუნდა მიცკევიჩი კაუნასში. მისი მატერიალური მდგომარეობა გაუარესდა. ახლა მას ობოლ ძმებზედაც უნდა ეზრუნა. მაგრამ რა დახმარება შეეძლო გაეწია მათთვის ვალებში ჩაფლულ მგოსანს?

გულდაღახვრული პოეტის მძიმე ყოფას კაუნასში ოდნავ მაინც ამსუბუქებდა მისი რომანი ექიმ კოვალსკის ახალგაზრდა ლამაზ მეუღლე კაროლინასთან. მარია ვერეშჩაკთან ურთიერთობას ხელი არ შეუშლია ამ რომანისათვის. კაროლინა კოვალსკამ თავისი გულწრფელი და რეალური სიყვარულით ერთგვარი სიხალისე შეიტანა მიცკევიჩის უდიდამო ცხოვრებაში და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკირა მის პოეტურ ბიოგრაფიაში. იქნებ საფუძველს მოკლებული არ იყოს მიცკევიჩის ზოგიერთი ბიოგრაფოსის აზრი, რომ კაროლინა კოვალსკასთან ტრფიალმა გადაარჩინა მიცკევიჩი ახალგაზრდა ვერთერის საბედისწერო ნაბიჯისაგან.

კაუნასში მიცკევიჩს ლექსებისა და ბალადების საკმაო რაოდენობა დაუგროვდა. მან სცადა თავის თხზულებათა პირ-

ველი კრებულის დაბეჭდვა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. ლიტერატურული ჟურნალებისა და გამომცემლობების სათავეში კლასიციზმის მიმდევრები იღვნენ, რომელნიც ყოველგვარ დაბრკოლებებს უქმნიდნენ ახალგაზრდა რომანტიკოსის ტრიუმფალურ წინსვლას. მაშინ არც მის მასწავლებლებს, რომელთაც ის დახმარებისათვის მიმართავდა, კარგად არ ესმოდათ ამ თხზულებათა მნიშვნელობა.

მიცკევიჩმა თავისი „ბალადებისა და რომანსების“ ხელნაწერები ვარშავაში გაუგზავნა გამომცემლობის ხელმძღვანელს, მაგრამ მისგან უტიფარი პასუხი მიიღო: „ლექსები ვარშავაში იწერება და არა ვილნიუსში“.

მიცკევიჩს ამჯერადაც მისი ერთგული მეგობრები დაეხმარნენ. გამოცხადებული იქნა ხელის მოწერა, შეკრიბეს სახსრები, პოელაპარაკნენ გამომცემლობას ვილნიუსში და 1822 წლის მაისს გამოვიდა მიცკევიჩის პოეტურ ნაწარმოებთა პირველი კრებული — „ბალადები და რომანსები“, რომელიც ავტორმა თავის ვილნიუსელ მეგობრებს: იან ჩეჩოტს, ტომაშ ზანს, იუზეფ ეუოვსკის და ფრანციშეკ მალევსკის მიუძღვნა, „მათთან ერთად გატარებული სიკაბუჯის ბედნიერი წუთების მოსაგონებლად“.

ამ კრებულის გამოსვლით იწყება ახალი პერიოდი პოლონეთის ლიტერატურაში.

მიცკევიჩმა თავის „ბალადებსა და რომანსებს“ წაუძღვარა სპეციალურად დაწერილი სტატია „რომანტიკული პოეზიის შესახებ“, სადაც თავისი ლიტერატურული-ესთეტიკური შეხედულებების დალაგება სცადა. თვით სათაურიც მიუთითებს სტატიის შინაარსზე. ავტორი უპირველესად ყოვლისა მიზნად ისახავს განსაზღვროს რომანტიკული პოეზიის წარმოშობის საკითხი და მოიყვანოს სათანადო ნიმუშები. ის რეტროსპექტულად იხილავს დასავლეთის პოეზიის ისტორიას.

სტატიის დასაწყისში ბერძნული პოეზიის დახასიათება მოცემული. ავტორის აზრით, სხვა ხალხებთან შედარებით ბერძნებს წარმოსახვის მეტი უნარი ჰქონდათ, პოეზია კი წარმოსახვის ძალაზეა დამოკიდებული — წერს ის, და მალალ შეფასებას აძლევს ბერძნული პოეზიის გამომსახველობით

ძალას, ფორმის სინატიფესა და ცხოველმყოფელობას. მიცკევიჩის აზრით, ბერძნული პოეზიის ძალა აზრის სიღრმის, გრძნობის სიფაქიზის და წარმოსახვის ცხოველმყოფელობის ჰარმონიულ ერთიანობაშია. ბერძნებმა მოახერხესო, — ამბობს ავტორი, — შეეგუებიან ერთმანეთისათვის ფორმის სიდიადე — სისადავესთან, სრულყოფილობა — მრავალფეროვნებასთან, სილამაზე — სიმსუბუქესთან.

საყურადღებოა მიცკევიჩის აზრი იმის შესახებ, რომ ბერძენმა პოეტებმა გაცხრილეს მითები, ჩამოაშორეს მათ ყოველივე უხეში, მაზინჯი, მისცეს სათანადო სიმწყობრე, ჰარმონიულობა და, რაც მთავარია, დაუმორჩილეს იგი განსაზღვრულ მიზანდასახულობას. პოეტს მაშინ მეტი თავისუფლება და გავლენის მეტი სფერო ჰქონდაო, ასკენის მიცკევიჩი, და ასეთივე თავისუფლებას მოითხოვს თანადროულ პოლონურ ლიტერატურაშიც, რითაც რომანტიული პოეზიის პირველ პრინციპს აყალიბებს.

რაც შეეხება პოეზიის გავლენის სფეროს, აქ მიცკევიჩი უმთავრესად მის ხალხურობას გულისხმობს. ბერძენი პოეტები ხალხის მისწრაფებას გამოხატავდნენ და ხალხისათვის მღეროდნენო, — წერს მიცკევიჩი და დასძენს — ასეთი იყო კლასიკური ბერძნული სტილი პერიკლეს დროიდან ალექსანდრე მაკედონელამდეო.

ამის შემდეგ, პტოლომეოსთა ეპოქაში, მიცკევიჩის აზრით, იწყება ბერძნული პოეზიის დეკადანსი: პოეტები ჩამოშორდნენ ხალხს, ყურადღება სასახლეებს მიაპყრეს და „ამრიგად პოეზია, რომელიც ერთ დროს სახალხო მოთხოვნილებას წარმოადგენდა, რჩეულებისა და უსაქმურების გასართობად იქცა“.

ამის შემდეგ ავტორი გადადის რომაული პოეზიის დახასიათებაზე. მისი მტკიცებით, რომაელები ბერძნებთან შედარებით უხეშები და სასტიკნი იყვნენ, რის გამოც მათი პოეზიაც ტლანქია და უღაზათო. რომაული პოეზიის აღმავლობა, მიცკევიჩის აზრით, მაშინ იწყება, როცა ის ბერძნული პოეზიის გავლენას განიცდის. ამ დროს შემოდის რომის ლიტერატურაში ბერძნული მითები, თარგმნიან ბერძენ პოეტებს, ბაძავენ

მათ ფორმას. ყოველივე ეს, უმთავრესად, ლათინურ ენაზე დაწერილი იგივე ბერძნული პოეზიაა, ამბობს ის. მიცკევიჩი აქ მეტად საყურადღებო აზრს გამოთქვამს: ვინაიდან ხალხი იმ დროს დამონებული იყო არისტოკრატების მიერ და პოეტურ ნაწარმოებებს მხოლოდ ხალხის მცირე ნაწილი — ერთი მუჟა პატრიციები კითხულობდნენ, პოეზია ფაქტიურად არც კი არსებობდა. „ასე რომ, — წერს მიცკევიჩი, — რომაელებს ფაქტიურად არ ჰქონდათ პოეზია, რადგან ეს არ იყო ხალხური პოეზია, რომელიც გავლენას მოახდენდა მთელი ხალხის ხასიათსა და კულტურაზე და ამით შეასრულებდა თავის დანიშნულებას“.

ამრიგად, მიცკევიჩის იდეალს წარმოადგენს თავისუფალი ხალხური პოეზია, რომელიც ერის ხასიათისა და კულტურის ამალლების დიდ საზოგადოებრივ ფუნქციას შეასრულებს.

საინტერესოა მიცკევიჩის შეხედულებები შუა საუკუნეების პოეზიის შესახებაც. ის არ არის მაღალი წარმოდგენისა ამ პოეზიაზე. ეხება რა ჩრდილოეთის ურდოების შექრას და რომის იმპერიის ნგრევას, ხალხთა დიდ გადასახლებებს, ერებისა და მათი ენების აღრევას, მიცკევიჩი წერს, რომ მაშინ არ გამოჩენილან ისეთი დიდი ტალანტები, რომელნიც შესძლებდნენ ჰარმონიული წესრიგის შეტანას ამ არეულ-დარეულობაში. ამიტომ, მისი აზრით, ამ პერიოდის პოეზიას აკლია მთლიანობა, ფორმის გარკვეულობა, მიზანდასახულობა და ხალხურობა.

XVII საუკუნის კლასიკური პოეზიის აღორძინების პერიოდში პოეტები ფორმითაც და შინაარსითაც ბაძავდნენ რომაელებს, ან ახალი ხალხური რომანტიკული თემების კლასიკურ ფორმებში მოქცევას ცდილობდნენ, განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდნენ მეცნიერებასა და გონებას, მაგრამ ყოველივე ეს მოკლებული იყო სახალხო ინტერესს, რადგან ხალხს კლასიკური განათლება არ ჰქონდა. გადამუშავებული ხალხური თქმულებები უფრო უპასუხებდა ხალხის სულიერ მოთხოვნილებებს, ვიდრე სასახლეებში მოკალათებული ტრუბადურების პოეზია. განსაკუთრებით საინტერესოა მიცკევიჩის შეხედულებები ფრანგულ საკარო კლასიციზმზე. აქ თვალ-

ნათლივ ჩანს მისი პოზიცია იმ პერიოდში „ვარშაველ კლასიკოსებსა“ და რომანტიზმის მომხრეებს შორის წარმოებულ ლიტერატურულ დისკუსიაში.

მიცკევიჩის აზრით კლასიციზმის აღმოცენების დროს განმტკიცდა მეფის ხელისუფლება, საზოგადოების ყურადღების ცენტრში სასახლე მოექცა. არისტოკრატებმა იუკადრისეს ხალხური მანერები. მათმა მწერლებმა შეითვისეს კლასიკური პოეზიის გარეგნული ტონი და ფორმა. პოეტები ბუნებასა და ადამიანის ხასიათს კი არ აქცევდნენ ყურადღებას, არამედ არისტოკრატიულ საზოგადოებას. ერთნი დასცინიან სასახლის ეთიკეტის დარღვევას და ქმნიან სატირებს, მეორენი კჳუას არიგებენ და დიდაქტიზმში ვარდებიან. განსჯა და გონება ახშობს წარმოსახვას, გრძნობა შებოჳილია, გულის ფაქიზი ძგერა მხოლოდ სანტიმენტალიზმში ვლინდება, გონებამახვილობა იფლობა მაქსიმებსა და ანტითეზებში.

ფრანგული საკარო კლასიციზმის წარმომადგენლები ცდილობენ მიბაძონ ბერძნებს, მაგრამ ისინი მიმართავენ არა გენიალურ ოსტატებს, არამედ თეორეტიკოსებს, არა სოფოკლესა და ევრიპიდეს, არამედ არისტოტელეს „პოეტიკას“.

მიცკევიჩი მკაცრად უარყოფს ყოველივე ამას. იგი, როგორც რევოლუციური რომანტიზმის წარმომადგენელი, ვერ იტანს კლასიციზმის „გეომეტრიულ წესრიგს“ პოეზიაში, მწერლის ფანტაზიის თავისუფლების შეზღუდვას, იდეურ აბსტრაქტულობას, ანტიხალხურობასა და მაღალფარდოვანებას.

ასევე მსჯელობს ის ინგლისური პოეზიის გარჩევის დროსაც. სანამ ინგლისელი პოეტები იცავდნენ ხალხურობის პრინციპს, ჩოსერის სკოლისა და შექსპირის სახით შეუდარებელ შედეგებს ქმნიდნენ. მაგრამ შემდეგ ინგლისშიც შეიკრა ფრანგული მოდა. სენტ ჯეიმსის სასახლემ გადმოიღო ვერსაილის ეთიკეტები. ჩოსერმა და შექსპირმა გზა დაუთმეს კჳუაქყლეტია პოპს, გამოკოჳწიავებულ ადისონს და გონებამახვილ სვიფტს.

მიცკევიჩი წერს — ინგლისურმა პოეზიამ დეკადანსს მხოლოდ ჩვენს საუკუნეში დააღწია თავი ორი გენიოსის, ვალ-

ტერ სკოტისა და ბაირონის წყალობით. პირველი, მსგავსად არი-
ოსტოსა, ფართოდ იყენებს ხალხურ თემებს, მეორე კი გრძნო-
ბით აცოცხლებს თავის სახეებს და ქმნის ნაწარმოებებს, „რომ-
ლებშიც ვნებათა სული გამოსკვივის წარმოსახვის გრძნობად
ხაზებში“.

მიცქევიჩი მსჯელობს გერმანული პოეზიის შესახებაც და
აღტაკებული სტრიქონებს მიუძღენის თავის საყვარელ პოეტს
ფრიდრიხ შილერს.

ბოლოს მიცქევიჩი ასკვნის, რომანტიკული პოეზია მხო-
ლოდ ჩვენი გამოგონება არ არისო. ის კატეგორიულად წინა-
აღმდეგია პოეზიის მთელი ისტორიის ორ სკოლად, კლასიკურ
და რომანტიკულ სკოლებად დანაწილებისა და დასცინის იმათ,
ვინც ყველა პოეტს, დაწყებული ორფეოსიდან გათავებულა
ბაირონით, ამ თვალსაზრისით ალაგებს მარჯვნივ და მარცხნივ.
მიცქევიჩს სურს ასეთი კლასიფიკაციის მოყვარულთ ჰომე-
როსის ნესტორივით შესძახოს: „დაჰყავით ბრბო ხალხებად!“

პოეტი წერს, რომ ტერმინი „კლასიციზმი“ პირველად
გერმანელმა სწავლულებმა იხმარეს და ამის შემდეგ დაიწყო
მწერლების მარცხნივ და მარჯვნივ გადალაგებ-გადმოლაგება.
ყველაფერი აირია. ძნელი გახდა ცალკეული მწერლის ინდივი-
დუალობის დანახვა. იმის ნაცვლად, რომ კრიტიკოსებს მხატვ-
რულ ნაწარმოებთა გარჩევის გზით გამოეტანათ მსჯავრი,
წინასწარ აკვიატებული სკოლური ფორმულების მიხედვით
სკრიდნენ და კერავდნენ მწერალთა შთაგონების ცოცხალ
ნაყოფს, ნაწარმოებს, რომელსაც თავისი საკუთარი სიცოცხლე,
საკუთარი სუნთქვა და გულისცემა აქვს. „ვარშაველი კლასი-
კოსები“ კი, როგორც მიცქევიჩი წერდა, აქეთ-იქით ალაგებდ-
ნენ კლასიციზმის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს, თითქოს
მათ მიერ გამომუშავებული კანონები ლიტერატურულ მოვლე-
ნათა განვითარების აუცილებელი ნორმები ყოფილიყო.

გასაგებია, რომ მიცქევიჩი, რომელიც ღრმად გრძნობდა
შემოქმედებით პროცესს და კარგად ესმოდა მწერლის ინდივი-
დუალობის ფასი, ვერ გაიზიარებდა საკარო კლასიციზმის მე-
ხოტბე ვარშაველი ლიტერატურული სნობების მიერ გამოწე-
რილ რეცეპტებს. მართლაცდა, ხომ არ შეიძლება ყოველივე

ის, რაც ისტორიის მანძილზე შექმნილა დასავლეთის მწერლობაში, სხვადასხვა ერებისა და ეპოქების ნაწარმოებნი, კემპარიტი პოეზიის მდინარეები თუ ნაკადულები, რომლებიც ესოდენ ინდივიდუალურნი და თავისებურნი არიან, კლასიციზმისა და რომანტიზმის ორ ხელოვნურად გათხრილ არხში იქნას მოქცეული. ასეთი მეთოდის აუცილებელი შედეგი პოეზიის გაუპიროვნებაა, იმის უგულებელყოფა, რაც შნოსა და ლაზათს აღლევს ნამდვილ შემოქმედებას.

უდავოა, რომ ზოგად ლიტერატურულ პრინციპებს თავისი მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს, მაგრამ როდესაც ზოგადი პრინციპი კატეგორიული იმპერატივის ფორმას იღებს, ამით ის ხშირად ახშობს ან ჩრდილავს მწერლის ინდივიდუალობას, მის თავისებურებას, იმას, რაც სწორედ მისთვისაა დამახასიათებელი და რითაც იგი ამდიდრებს მსოფლიო ლიტერატურის საერთო საგანძურს.

თითქმის ყველა მწერალი აღიარებდა რაიმე ზოგად ლიტერატურულ პრინციპს, მაგრამ შემოქმედებით პროცესში ამ პრინციპის ახალსა და თავისებურ გადაწყვეტას ეძებდა. ისეთი შემთხვევაც ბევრია, როცა მწერლის შემოქმედებითი შრომის ნაყოფი ვერ თავსდება, ან უპირისპირდება კიდეც მის მიერვე აღიარებულ ზოგად პრინციპს. ასეთ შემთხვევაში უფრო ხშირად გამარჯვება შემოქმედებას რჩება, რა თქმა უნდა, თუ საქმე კანონზომიერებასთან გვაქვს და არა მარცხთან.

ამაზე სიტყვა იმიტომ ჩამოვაგდეთ, რომ ჩვენს წინაშე მიცკევიჩის კლასიციზმთან და რომანტიზმთან დამოკიდებულების გარკვევის ამოცანა დგას. თვითონ პოეტისათვის ამ საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა არ ჰქონია. მაშინაც კი, როდესაც წერდა სტატიას „რომანტიკული პოეზიის შესახებ“, იგი კარგად ვერც კი ერკვეოდა ამ „მაგიური სიტყვის“ მნიშვნელობაში. სიტყვა „რომანტიზმი“ პირველად გერმანელმა მეცნიერებმა იხმარესო, სამართლიანად აღნიშნავდა მიცკევიჩი, მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ავგუსტ ვილჰელმ შლეგელი, იოჰან ავგუსტ ებერჰარტი თუ ფრიდრიხ ბუტერვერკი ამ სიტყვას სულ სხვა მნიშვნელობით ხმარობენ, ვიდრე მისი თანამედროვე „ვარშაველი კლასიკოსები“. თვითონ მიცკევიჩისათვის კი რო-

მანტიკული, როგორც ჩანს, იმას ნიშნავს, რაც თავისუფალია, ხალხური, გრძნობის აღმძვრელი, სასარგებლო და გზის გამკვლევი.

ასეთ ზოგად პრინციპთა ჩარჩოში ასიოდე გენიოსი მოთავსდება. მიცკევიჩი კი ერთია და განუყოფელი. მას, ცხადია, ბევრი რამ აქვს საერთო რომანტიზმის სხვა წარმომადგენლებთან: ბაირონთან, შილერთან, ჰიუგოსა და ჰაინესთან, მაგრამ კიდევ უფრო მეტი განმასხვავებელი, თავისებური და ინდივიდუალური.

ცნობილია, რომ მიცკევიჩს „პოლონელ ბაირონს“ უწოდებდნენ, მაგრამ ეს გამოთქმა არისტოკრატიული სალონების ქარაქტუცა ასულების ფანტაზიას უფრო გამოხატავდა, ვიდრე ლიტერატურულ სინამდვილეს. მიცკევიჩს ასეთი პარალელები დამამკარებლადაც მიაჩნდა. ის ბაირონს პოეტური გენიის უდიდეს მოვლენად თვლიდა და მუდამ დიდის მოკრძალებით იხსენიებდა მის სახელს.

იტალიაში მოგზაურობის დროს მან ერთ-ერთ ისტორიულ ძეგლზე, რომელიც რამდენიმე ხნის წინ ბაირონს დაეთვალიერებინა, ნახა ქვაზე ამოკვეთილი სიტყვა „ბაირონი“. მეგობრებს უნდოდათ ამ სიტყვის გვერდით მისი გვარიც ამოეკვეთათ, მაგრამ მოკრძალებულმა პოეტმა ეს კადნიერებად ჩათვალა და კრინტის დაძვრაც აუკრძალა მათ ამის შესახებ. ასე აღმერთებდა ის ბაირონს, მაგრამ მიუხედავად ამისა ბაირონობა არასოდეს უცლია.

ჯერ კიდევ კაბუჯობის პერიოდში მეგობრებმა აცნობეს მიცკევიჩს, რომ ვარშავაში მას „პოლონელი ვალტერ სკოტი“ შეარქვეს. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ეს პარალელი დიდი პატივი იყო ახალგაზრდა პოეტისათვის, მან ბრიყვი უწოდა ამ შედარების ავტორს და დაუმატა: „უგუნურებმა მომნათლეს მე, მაშასადამე ნათლობა კანონიერი არ არისო.“

თუ ჯორჯ ბაირონის, ვალტერ სკოტის და ადამ მიცკევიჩის ერთ ქერქვეშ მოთავსება არ შეიძლება, როგორღა გააერთიანებდა „მაგიური სიტყვა“ — რომანტიზმი ისეთ სხვადასხვა საზოგადოებრივი და შემოქმედებითი პროფილის მწერლებს, როგორც არიან დასავლეთ ევროპაში შატობრიანი და მიუსე,

ჰაინე და ნოვალისი, ვორდსვორთი და შელი, კლაისტი და ჰოფმანი, ლეოპარდი და მანძონი, მაღამ დე სტალი, ჰოლდერ-ლინი, ლენაუ, ლამარტინი და სხვა მრავალი.

განა დროული არ იყო „ვარშაველი კლასიკოსებისათვის“ ჰომეროსის ნესტორის მაგვარად დაეძახა ვინმეს: „დაჰყავით რომანტიზმი მწერლებად!“

მარქსისტულმა ლიტერატურათმცოდნეობამ მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინდივიდუალობების შემცველი ეს ნაკადი ორ ჯგუფად გაჰყო: რეაქციულ და რევოლუციურ რომანტიზმად. ცხადია, რომ ბაირონს, ჰაინეს, მიცკევიჩს უფრო მეტი აქვთ საერთო ერთმანეთთან, ვიდრე ამ უკანასკნელთ შატობრიანთან, ვორდსვორთთან ან ნოვალისთან, მაგრამ ეს მსგავსებაც ზოგადი ლიტერატურული პრინციპების ფარგლებში რჩება. ვიმეორებ, მას ბევრი რამ აქვს საერთო ამ ლიტერატურული სკოლის სხვა წარმომადგენლებთან, პარალელებით გატაცებულ კრიტიკოსს ზოგჯერ დეტალებშიც შეუძლია ამ მსგავსების აღმოჩენა, მაგრამ ამით სავსებით ვერ გაირკვევა დიდი პოლონელი მწერლის შემოქმედების თავისებურება. მიცკევიჩმა ისე ღრმად და მრავალფეროვნად ასახა თავისი ეპოქის მაჯისცემა, ისე ნათლად და ზუსტად გადმოსცა მისი დროის ყოფითი სურათებიც კი (მაგ., „პან ტადეუში“), რომ ადვილი როდია ყოველივე ამის იმ სიბრტყეზე მოთავსება, რასაც რევოლუციურ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ძლიერი რეალისტური ტენდენციის აუცილებელი არსებობა გულისხმობს. ის, რომ მიცკევიჩი ხშირად მიმართავს ზღაპრებისა და ლეგენდების სამყაროს („ბალადები“ ან „ძიადები“), იმის საბუთს როდი იძლევა, რომ დავამციროთ საგნებისა და მოვლენების ასახვის ის რეალისტური ძალა, რომელიც მისი შემოქმედების საფუძველს წარმოადგენს. ჩვენ შემდეგაც გვექნება საშუალება აღვნიშნოთ, რომ მიცკევიჩი საზოგადოებრივი თუ ლიტერატურული მოღვაწეობის დროს მოქმედებისა და ასახვის სხვადასხვა, ზოგჯერ არასწორსა და შეუფერებელ ფორმებსაც ირჩევდა, მაგრამ საკითხი ხომ პირველ რიგში არსს ეხება და არა ფორმას. ასახვის ფორმა არ შეიძლება ამა თუ იმ ლიტერატურული სკოლის ერთადერთ განმსაზღვრელ მომენტად მივიჩნიოთ.

მიცვევიჩი ყოველთვის სინამდვილის ასახვას ცდილობს, იმის დახატვას, რასაც ხედავს და გრძნობს. მისი შემოქმედების დასაყრდენი რეალური სინამდვილეა, მის მიერ შექმნილი სახე-ები კონკრეტული და ტიპიურია.

დიდი რეალისტური ძალით გადმოსცემს მიცვევიჩი თავისა ეპოქის მაჯისცემას. იგი პოლონელი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის მემკვიდრეა. მისი შემოქმედების დიდი რეალისტური ძალა და რევოლუციური რომანტიკა მკიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ისევე როგორც ჰიუგოს, ჰაინეს, ბაირონის, შელის და რევოლუციური რომანტიზმის სხვა წარმომადგენლების შემოქმედებაში. მაგრამ ეს მსგავსება მაინც ვერ შორდება ზოგადი ლიტერატურული პრინციპების ფარგლებს. მიცვევიჩი ამკვიდრებს პოლონეთის ლიტერატურაში რევოლუციურ რომანტიზმს. მაგრამ შემდეგში დიდი რუსი მწერლის ა. პუშკინის მსგავსად თანდათანობით ისე ზრდის თავისი შემოქმედების რეალისტურ არსს, რომ მნიშვნელოვნად სცილდება ამ ლიტერატურული სკოლის ფარგლებსაც და უაღრესად მტკიცე საფუძველს უქმნის რეალისტურ მიმართულებას პოლონეთის ლიტერატურაში.

VII

მიცვევიჩის ნაწარმოებთა პირველი კრებული „ბალადები და რომანები“ ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებითი ძიების შედეგია. აქ ავტორის ლიტერატურული პროფილი ჯერ კიდევ არ არის მთელი სისრულით გამოკვეთილი, მაგრამ მისი მომავალი შემოქმედების მტკიცე საფუძველი მაინცაა ჩაყრილი. მიცვევიჩი ცდილობს თავის შემოქმედებით პრაქტიკაში განახორციელოს მის მიერ ზოგადად აღიარებული პრინციპი ლიტერატურის ხალხურობისა. ამისათვის ის ბალადების კონკრეტულ ფორმას ირჩევს. ცდილობს რა გადმოსცეს პოლონელი ხალხის სულისკვეთება, ის ხალხის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფს მიმართავს. სტატიაში „რომანტიკული პოეზიის შესახებ“ მიცვევიჩი წერდა, რომ უბრალო ხალხი თავის გულისთვის ლეგენდებსა და ზღაპრებში აქსოვს. ახლა ის თვით ცდი-

ლობს ამ ხალხურ ლეგენდებსა და ზღაპრებში ამოიკითხოს უბრალო ადამიანების ფიქრი და ოცნება. მის ცნობიერებაში კვლავ აღსდგა ზაოსიესა და ნოვოგრუდეკში გაგონილი ლეგენდები და ზღაპრები. მიცკევიჩი მხატვრულად ამუშავებს მათ, ისე, როგორც ბერძენი პოეტები ამუშავებდნენ ელინურ მითებს. ზღაპრულ ფანტაზიებს იგი თავისი რეალური გრძნობების ასპექტში ატარებს და ისე გადმოსცემს ბალადებსა და რომანსებში. კერეცა და განსჯა კი არ არის მისი მეთოდი, არამედ განცდა და ჩვენება. მიცკევიჩისათვის ლეგენდა ან ზღაპარი, ფერიებისა თუ ავი სულების ოინები წარმოსახვითი ბურუსი კი არ არის, არამედ ხილული რეალობა. პოეტი მათ ხედავს და განიცდის. დამახასიათებელია, რომ ამ კრებულში მოთავსებულ ერთ-ერთ ლექსს — „რომანტიკა“ მან ეპიგრაფად შექსპირის სიტყვები წაუმძღვარა:

მე მეჩვენება, თითქოს ვხედავ... — სად?
— ჩემივე სულის თვალთა წინაშე

და მართლაც, თქმულებების მთელი ეს ფანტასტიკური სამყარო თითქოს პოეტის სულის თვალთა წინაშეა წარმოდგარი და შემდეგ კონკრეტულ რეალობად ქცეული. პოეტი თვით თქმულებებს კი არ გადმოსცემს, არამედ მათი საშუალებით წარმოდგენილსა და დანახულს. გაგონილი და მოსმენილი მის პოეტურ მეობადაა ქცეული და პოეტური ემოციებით გამდიდრებული. ამიტომ არის, რომ მიცკევიჩის ბალადებშიც თვით ავტორის სულიერი ბიოგრაფია ჩანს.

ბალადაში „სვიტეზის ტბა“ გადმოცემული ამბავი ხალხურია. აქ პოეტი ღამეული ბუნების გრანდიოზულ სურათს ხატავს: ბროლის ნალივითაა მოდრეკილი სვიტეზის ტბა. ცაზე მონანავე ღამის მნათობის ანარეკლი გამკვირვალე წყლის ფსკერზე ნებივრობს. ზეცის მუქ თალზე გაბნეული ვარსკვლავებიც ციციანათელებივით ბრწყინავენ ტბის ძირში გადმოპირქვავებული ზეცის მეორე თალზე. თითქოს ცა და დედამიწა შეერთებულა და ტბის ნაპირას მდგარი პოეტი ზეცის ორ თალს შორის მოთარფატე ფრინველს დამსგავსებია. ჯადოსნური იდუმალებითაა მოსილი ეს ტბა. თუ მთვარიან ღამეს სვიტეზი

ასე მშვიდ და დიდებულ სანახაობადაა გაშლილი, უმთვარო
ლამით მის ნაპირას გავლა გულად ვაჟკაცსაც გაუძნელდება.

რადგან იქ მაშინ ბოროტ სულთა ღზინი იწყება,
თურმე აღქაჯთა ლაშქარი მოჰქრის.
იმათ შესახებ ზოგი იმგვარ ამბავს მოჰყვება,
რომ ლამით მსმენელს ერუანტელს მოჰგვრის.

ზოგჯერ იმ ტბაზე აღზნებული ხანძარი ბოლავს,
ისმის ყიჟინა და ბრძოლის ხმები.
ცაზე ნამდვილი ხელჩართული ჩაღდება ბრძოლა,
ქრიან რაშები, ელავენ ხმლები.

შემდეგ იმგვარი დუმილი და სიჩუმე დგება,
რომ ხმა უწყდებათ ბოროტსა სულებს;
მხოლოდ ქალწულის სევდიანი ისმის ვედრება
და მწუხარე ხმით ლოცვას ჩურჩულებს¹.

არ დამიჯერებთ, მაგრამ ასე ყოფილაო — ამბობს პოეტი და
ჰყვება ლეგენდას სეიტეზის ტბის შესახებ.

პლუტინელ პანს განუზრახავს თურმე გაეგო ამ ტბის საი-
დუმლოება, ქალაქიდან ოსტატები მოუწვევია, ნავი აუგია, ბა-
ღეებიც დაუწნავს და, ვინაიდან ასეთ საქმეში „უფლის ხელიც
უნდა ერიოს“, მღვდელი მოუწვევია, რომელსაც ტბისთვის
აიაზმა უსხურებია და ეკლესიაში წირვა გადაუხდია. ამის შემ-
დეგ მებაღურებმა ტბაში ნავი შეაყურეს და ბადე ზღვის
ფსკერზე ჩაუშვეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ბადე ამოსწიეს და

იმ ბადეს ბოროტ სულის ნაცვლად ამოჰყვა ქალი.
ყველა შეჰყურებს გაოცებული.
ტუჩები ქალწულს მარჯნისა აქვს, სახე კი მკრთალი
და ოქროს თმები დასველებული.

ზოგმა გაქცევა დააპირა, ზოგი შიშისაგან ადგილზევე გაქვავ-
და. ტბის ასულმა სალამურივით ტკბილი ხმით აუწყა მათ სეი-
ტეზის ტბის ამბავი.

¹ თარგმანი ვ. გაბესკირიასი.

ტბაზე, იქ. სადაც დასტურავენ თქვენი ნავები,
ლერწმებში გზას რომ იკვლევენ ძნელად,
სადაც თეთრ ყვავილთ დაუხრიათ ნაზად თავები,
ციხე-ქალაქი უოფილა ძველად.
სვიტები ერქვა იმ ქალაქს და ყოველდღე რთავდნენ
საყვარელ ქალაქს, უფრო ამკობდნენ
ბრძენი თავადი ტუგანი იმ ქალაქს მართავდა,
მისი მცხოვრებნი მით ამაყობდნენ.
მაშინ ხმაური არ ისმოდა ამ ულრან ტუისა,
მოსაელიანი იყო ალაგი.
აქედან ჩანდა დიდი ბქენი ნოვოგრუდისა —
ლიტვის მაშინდელი დედაქალაქის.

ერთხელ მტერი შემოესია ქალაქის მიდამოებს. ტუგანმა
იხმო ვაეჟაეები და საომრად გაეშურა. ქალაქში მხოლოდ ქა-
ლები და ბავშვები დარჩნენ.

შემოსეულმა მტერმა სძლია ტუგანის ლაშქარი და ქალაქის
გალავანს მოადგა.

დაუველ ქალაქს შეესივნენ რისხვით მტარვალნი,
ზარბაზნის ცეცხლით სწეავდნენ. აქევედნენ.
დედები, დები, მოხუცები, ბავშვნი მტირალნი
ძრწოდნენ და ცეცხლში დაბარბაებდნენ.

სვიტეზელებმა ცეცხლს მისცეს თავიანთი ქონება-საუნჯე
და უცხოთა მიერ დამცირებას სიკვდილი არჩიეს. კრულ იყოს,
ვინც თავი არ მოიკლასო, ისმოდა ბრძანება და

მაშინ ყველანი, საკუთარ სისხლს მოწყურებულნი,
თავებს უშეერდნენ ნაჯახს საკეთად.

მტერმა შემოანგრია გალავანი და ტუგანის ასულმა ასე შე-
კლალადა ღმერთს:

ქელს ვერ მოეუხრით, უფალო მტერს, ბოროტს და შვენეს;
მათ ჩვენს ქალაქში ნუ დაგვანახებ.
ღმერთო, მეხი და რისხვა ცისა გამოგვიგზავნე,
გაგვანადგურე, ცოცხლად დაგვმარხე!

ღმერთმა ისმინა სვიტეზელი ქალის ღალადი და ყველანი
ტბის ყვავილებად გადააქცია. მტერმა კრეფა დაუწყო ამ ყვა-

ვილებს, მაგრამ ტბამ სასტიკად იძია შური. ვინც მის წყალში ხელს ჩაჰყოფდა, სული ტანჯვაში ამოხდებოდა.

დროს აღარ ახსოვს ეს ამბავი, ყვავილთ გაჩენა.

დრომ დაგვივიწყა ყველანი ერთად.

მაგრამ, იცოდეთ, ის ყვავილნი ჩვენა ვართ, ჩვენა, ტბის ზედაპირზე რომ ჩანან თეთრად!

თქვა ტუგანის ასულმა და ისევ გაქრა ტბის ტალღებში.

ამ ბალადაში მიცქევიჩმა რამდენიმე ხალხური თქმულება გადაამუშავა, ერთი მწყობრი სიუჟეტით შეკრა და სამშობლოსა და ნამუსის დაცვის მოტივზე ააყურა.

„სვიტეზის ტბა“ მიცქევიჩმა მარია ვერეშჩაიკის ძმას, მიხეილს უძღვნა, რომელთანაც იგი მოცალეობის ეამს ხშირად დასეირნობდა ტუხანოვიჩის მიდამოებში.

ბალადა „სვიტეზელი ქალი“ კი თვით მარიასადმი სიყვარულითაა შთაგონებული. მაშინ პოეტი ამ სიყვარულის უღიბლობის მიზეზად ვერეშჩაიკის ქალს არ თვლიდა. ის თავის თავს ადანაშაულებდა ყველაფერში, და გულში სევდაჩაზვეული იწამლავდა ისედაც მოშხამულ ცხოვრებას. იქნებ კაროლინა კოვალსკასთან მისმა პარალელურმა ტრფიალმაც განაპირობა ამ ბალადის თავისებური სიუჟეტი, ის, რომ არა ქალის, არამედ ვაჟის ორგულობაზეა ლაპარაკი.

მთვარის ყოველ ამოსვლაზე ხედებოდნენ ერთმანეთს ტყეში კაბუკი მონადირე და უცხო ქალწული. არავინ იცოდა ვინ იყო ეს ქალი, ბინა სად ჰქონდა, საიდან მოდიოდა ლამლამობით, ან სად ჰქვებოდა გარიყრაეისას.

სიყვარულით გაღალატულნი მიყვებოდნენ ისინი მთვარის შუქზე მოლივლივე სვიტეზის ნაპირებს; არა მჯერათ შენი ერთგულების — ეჩურჩულებოდა ტყის ასული კაბუკ მონადირეს. ერთხელ ფიცით ჩამოართვა, თუ მიღალატო საშინფლი სიკვდილი იყოსო შენი ხვედრი... და ნიავეით გაქრა ბნელ ხეივანში. ამაოდ ბორგავდა კაბუკი მონადირე, ამაოდ მისდევდა სიყვარულის ქალღმერთის აჩრდილს, მოიღალა და ნალვლიანი გაჰყვა ტბის ნაპირს, მაგრამ...

ო, ღმერთო, ამას რას ხედავს თვალი:
უცებ გაიპო ტანი მდინარის
და ტალღას ზევით ამოჰყვა ქალი,
ქალი უნაზეს სიტურფით სავსე,
ფერმკრთალ ვარდივით ღიმორეული,
თრთოდა მოსილი ნისლისფერ ფლასით
ქანდაკის დარი მისი სხეული¹.

ტბის ფერია თავისკენ მოუხმობს ჭაბუკს:

— ლამაზო ვაჟო, — დღინებს ტკბილად
ტურფა ქალწული აღსავსე ეშხით, —
ქთვარით მოვერცხლილ სვიტეზის პირად
რისთვის დადინარ მარტო ღამეში?
მაცთურ ქალისთვის ასე რად დარდობ,
რისთვის იწამლავ სულის სიმშვიდეს.
ვინც გაჯადოებს და გტოვებს მარტო,
ის შენ გატყუებს, დაგცინის კიდევ.
თავი ანებე ოხვრას და სევდას,
ოპლად ხეტიას წყვილად ღამეში:
მომენდე, ვაჟო, წამოდი ჩემთან,
აქ ვინეტაროთ გრილ მდინარეში!
აქ მერცხალივით ძალგის შენ ფრენა,
წყლის ზედაპირზე სავსეს სიამით,
მოჯადოებულს ზვირთთა შრიალით,
ტბაში თევზივით ცურვა და ლხენა!
ღამით, როს ზვირთნი ციურ ნათელით
იწყებენ ციალს, მშვიდად დინებას,
თეთრ სარეცელზე წყლის შროშანების
ღვთიურ სიზმრებში ჩაგეძინება.

ველარ გაუძლო ჭაბუკი მონადირის გულმა ასეთ ცთუნებას,
გატეხა ტყის ასულისადმი მიცემული ფიცი და ცურვით იქით-
კენ გასწია, საიდანაც ტბის მაცთური ფერია მოუხმობდა.

მიუახლოვდა და იცნო. ეს იგივე ტყის ასული იყო, ამასწინ-
ნათ რომ ერთგულებას ეფიციებოდა. შეურაცხყოფილმა ფერი-
ამ ასე მიმართა ფიცის გამტეხ ჭაბუკს:

¹ თარგმანი ხ. ვარდლოშვილისა.

—განა ეს არის პირობა შენი,
 და ფიცი შენგან — ვედრებით თქმული?
 პირობის გამტეხს შერცხენა გელის,
 იქნები ყველგან შეჩვენებული!
 შენ არ ხარ ღირსი ტბაში ლივლივის,
 მუხთალო, ვერსად ვერ ჰპოვებ შეებას.
 შენს ლეშს მოითხოვს სამარე ცივი,
 შენს თვალებს მიწა ჩაეკონება!
 დე შენმა სულმა იმ ხის მახლობლად,
 სადაც პირველად ჩვენ დავდეთ ფიცი,
 ითასი წლობით იკვნესოს ობლად,
 და არ გამოჩნდეს მშველელი მისი.

საშინლად იძია შური ტყის ასულმა:

ღმუის მდინარე, ხმაურობს მკვეთრად
 შმაგი ზეირთების მოები მბორგაევი.
 და მონადირეს, ასულთან ერთად,
 სიღრმეში ჩანთქაეს მორევი შავი.

ასეთი უიმედობის მორევში შთაინთქა ადამ მიცკევიჩის სიყვარულიც მარია ვერეშჩაკთან. დაკარგულ სიყვარულსვე მისტირის მისი ლექსი „მზარილას საფლავი“, რომელშიც პოეტი უკვე აღარ ერიდება პუტკამერის მეუღლის სახელის პირდაპირ მოხსენიებას.

უცხო მგზავრი ხედავს იებით მოფენილ მშვენიერ ბორცვს და გამვლელ გოგონას ეკითხება—რა არისო ის? გოგონამ აუხსნა, რომ მარილას საფლავისაკენ სამი გზა მიდის. ერთს მიჰყვება სატრფო, მეორეს დედა, მესამეს მეგობარი, ყოველდღე მიდიან ისინი და დასტირიან: ერთი გულისსწორს, მეორე შვილს და მესამე დობილს. ლექსის ყოველ სტრიქონს რეფრენად მისდევს პოეტის გულის სევდიანი ამოძახილი: „აღარ არის ჩვენი მარილა!“.

... სხვა ლექსებში მიცკევიჩი უკვე ვერეშჩაკს ტუქსავს ორგულობისათვის. ლექსში „მე მიყვარს“ მარილას სული დაძრწის დედამიწაზე და შენდობას ითხოვს. ის ხედება პოეტს და უამბობს თავის თავგადასავალს. ამპარტავანმა მდიდრის ასულმა მარილამ უარყო მორცხვი და გაუბედავი ღარიბი ქაბუჯის

იუზიას სიყვარული. იუზიამ ვერ აიტანა ეს და მოკვდა სიყვარულით აღმოდებული. შემდეგ კი იგრძნო მარილამ სინდისის ქენჯნა, მაგრამ გვიანდა იყო. გზად მას აღმოდებული იუზია შემოეყარა, თავის კვამლში დაახრჩო და განსაწმენდელში გადაისროლა. 100 წელი უნდა იტანჯოს ახლა მარილამ, რომ თავისი მძიმე ცოდვა გამოისყიდოს. ლამამობით, როცა ცეცხლის ალიდან გამოიყვანენ, მიღის იგი იუზიას საფლავთან და დასტირის თავისი უგულო სიყვარულის მსხვერპლს, შემდეგ კი სახეს იცვლის, დაძრწის გარშემო და ხალხს აშინებს თავისი კუდიანობით. ასე გაგრძელდება, ვიდრე ვინმე მიწიერი არ მეტყვის „მიყვარხარო“, — უთხრა პოეტს მარილამ და გაქრა აჩრდილავით.

ამ ლექსს განმარტება არ ესაქიროება, მის შინაარსს მთლიანად განსაზღვრავს ჩვენს მიერ უკვე მოთხრობილი ამბავი მიცკევიჩისა და მარია ვერეშჩაკის სიყვარულისა. ერთს დავუმატებთ მხოლოდ: როგორც დავინახეთ, მიცკევიჩის ბალადებსა და რომანსებში ხშირადაა ლაპარაკი მარილას სიკვდილზე, მარილას სათლავზე, მარილას სულზე. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ უნუგემო სიყვარულით გაშმაგებული პოეტი ზოგჯერ ღმერთს შესთხოვდა დაესაჯა მისი ორგული სატრფო.

მიცკევიჩი სწერდა მარია ვერეშჩაკს:

„ძვირფასო მარია, მე თაყვანს გცემ და გაღმერთებ, როგორც ზეციურ არსებას, მაგრამ არ შემიძლია საშინელი მღელვარებისაგან თავის შეკავება, როცა მაგონდება, რომ შენ სამუდამოდ დაგქარგი და მე ამიერიდან მხოლოდ სხვისი ბედნიერების მოწმე ვიქნები, რომ შენ დამივიწყებ. მე ხშირად ერთსა და იმავე დროს ღმერთს შევთხოვ, რომ თუნდაც დამივიწყო, მაინც ბედნიერი იყო, და ამასთანავე მზად ვარ ვიყვირო, რომ შენ ჩემთან ერთად მოკვდე“.

ქალის ორგულობის თემა ისევე ხშირი სტუმარია მიცკევიჩის პოეზიის, როგორც მარია ვერეშჩაკზე ფიქრი—მისი ცხოვრებისა. მიცკევიჩი ხშირად წერს ქალზე, რომელმაც არ იცის ნამდვილი სიყვარული, უარყოფს იმას, ვისაც უყვარს და შემდეგ თვით იტანჯება მისივე ორგულობის შეგრძნების გამო.

ასეთი სახის ნაწარმოებები მისი პირადი ცხოვრების ანარეკ-
ლია. ასეთია ბალადა „შროშანაც“.

პანის მეუღლემ ომში წასულ ქმარს უღალატა, ახალგაზრდა
ჩაინდი შეიყვარა. ქმარი რომ დაბრუნდა, ქალმა მოჰკლა იგი,
მდინარის პირას დამარხა, საფლავზე შროშანები დარგო და
დაამღერა:

ისე იზარღე მალა,
როგორც ბატონი დაბლა,
როგორც ბატონი დაბლა,
ისე იზარღე მალა.¹

მკვლელმა ხმა დაარხია: ქმარი ომში წავიდა და ჯერ არ
დაბრუნებულაო. ატირებული ბავშვები დადიან, კითხულობენ
მამას, შემდეგ კი ნელ-ნელა ივიწყებენ. ცოლს კი არ ავიწყდება
მოკლული ქმარი, სინდისი ქენჯნის, არ ასვენებს. შემ-
დეგ მას ორი მაზლი ესტუმრება, იგი ამათაც ერთ წელს
აცდევინებს—ქმარი საცაა დაბრუნდებაო. ამასობაში მაზლებ-
საც დაავიწყდებათ ძმა და ორივეს შეუყვარდება რძალი.
ჩხუბს ატეხენ, ხმლებზე იკრავენ ხელს, პანის მეუღლე აშვე-
ლებს მათ, მარჩიელთან რჩევის საკითხავად მირბის და ბოლოს
თანხმდება გაყვეს ცოლად ერთ-ერთ მათგანს. ეკლესიაში
ძმები ისევ წაიჩხუბნენ, ისევ ხმლები იშიშვლეს, მაგრამ ამ
დროს

უცებ: გაირღვა ქარი,
სანთლებს ჩააქრობს ქარი;
წყდება დავა და შფოთი,
სდუმან, საყდარში ბნელა,
თეთრი აჩრდალი მოდის
ნაცნობ ნაბიჯით, ნელა.
დაწვა სიჩუმის ლოდი,
შიშით კანკალებს ყველგ;
იგი ძმებს შორის დგება,
ამოღებული ხმლითა,
და ყრუ საძარის ხმითა
დინჯად მიმართავს კრებას:

¹ თარგმანი ა. შირცხულავასი.

ბრძოლას მოელოს ბოლო,
 ბედზე ნურავინ ნანობს,
 ვაი, ბოროტო ცოლო,
 ვაი, ვერავნო ძმანო!
 მე ვარ ამისი ქმარი,
 მე ვარ თქვენი ძმა მკვდარი.
 მღვდელი, ოლარი შეჰკარ,
 ნურვინ ნუ ელის შევლას,
 ეამი აღსასრულს რეკავს,
 ჩემთან წამოდით ყველა.

და იმავე წუთს მიწა შეირყა, ეკლესია დაინგრა და სამივე თან ჩაიტანა. იქ, სადაც წინათ ეკლესია იდგა, შროშანები ამოვიდნენ და იმ სიმაღლეზე გაიზარდნენ, რა სიღრმეზედაც მოღალატე ცოლის მიერ მოკლული ქმარი იწვა.

იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ მიცკევიჩის ამ პერიოდის ლექსები მეტწილად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, პანის მუუღლეში კაროლინა კოვალსკა შეგვიძლია დავინახოთ, რომელთანაც ტრფიალს ჰაბუკი პოეტი საკმაოდ უდარდელად და ოდნავი ირონიითაც იხსენიებს მეგობრებისადმი მიწერილ წერილებში. აქ ისიც შეიძლება მოვიგონოთ, რომ მიცკევიჩი ორჯერ გამოიწვიეს ღუელში კაროლინას სხვა თაყვანისმცემლებმა. ასეა თუ ისე, მიცკევიჩის ბალადებში, როგორც ვხედავთ, ავტობიოგრაფიული ამბები არც ისე იშვიათად ცოცხლებიან პოეტის „სულის თვალთა წინაშე“.

მიუხედავად პოეტის მძიმე სულიერი განწყობილებისა, კაუნასის პერიოდის ნაწარმოებებში ზოგჯერ იუმორსაც ვხვდებით, რაც საერთოდ არ არის დამახასიათებელი მიცკევიჩისათვის „პან ტადეუშის“ გამოქვეყნებამდე. იუმორის საგნად ავტორი ცოლ-ქმარულ ურთიერთობას იღებს. „საუბარი ბედნიერი ოჯახური ცხოვრების შესახებ ნერვებს მიშლისო“, — წერდა მიცკევიჩი კაუნასიდან ერთ-ერთ მეგობარს. ეს გასაგებიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ მწერლის სულიერ განწყობილებას კაუნასში ყოფნის დროს. რაც თვითონ არ ჰქონდა განცდილი, იმაზე მიცკევიჩი საერთოდ ვერ წერდა. მუდამ დევნილსა და უსახლკაროდ მოხეტიალე პოეტს სად ჰქონდა ოჯა-

ხური სითბოს განცდის შესაძლებლობა! ეს ბედნიერება მას მაშინაც არ ელირსა, როცა უკვე ხანში შესული დაოჯახდა და ექვსი შვილის მამა გახდა. ამიტომაც მიტოვეიჩი ჯერ ქაბუჯური უღარდებლობით ეხება ამ თემას, შემდეგ კი სრულიად ივიწყებს მას.

„ბალადებსა და რომანებში“ შეტანილ ნაწარმოებთა შორის გარდა „შროშანისა“ აღსანიშნავია „ქალბატონი ტვარდოვსკაც“.

პანი ტვარდოვსკი ლაღობს, ქეიფობს, ოხოზობს და როცა ერთხელ კიქას გამოცლის, მის ფსევრზე უცნაურ არსებას ხედავს — „თვალეცბიერსა და სახებნელ“ კიხკას, რომელიც „სტვენს და კბილებს აკრაჰუნებს“, შემდეგ

კინკამ ქული შოხადა,
მოიფხანა ტუჩზედ ენა,
ახტა-დახტა იატაკზე,
ცერზე დაღა ცეროდენა.¹

ეს კინკა თურმე მეფისტოფელია, რომელსაც ამ შვიდი წლის წინათ ტვარდოვსკისთან დაუღვია ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ტვარდოვსკი ორი წლის შემდეგ რომში უნდა გამოცხადებულყო და ეშმაკისათვის თავისი გაყიდული სული ჩაებარებინა. მეფისტოფელი თურმე დიდი ხანია დაეძებს თავის მსხვერპლს და აი ახლა ძლივს იპოვნა.

შეშინებულ ტვარდოვსკის სურს ეშმაკობით დაუძვრეს სატანას და მოაგონებს მას, რომ ხარის ტყავზე დაწერილი ხელშეკრულების ძალით მას უფლება აქვს სიკვდილის წინ სამი სურვილის ასრულება ითხოვოს. ტვარდოვსკი იგონებს ძნელ ამოცანას: კარებზე რომაა დახატული, ის ცხენი შეუკაზმოს, ქვიშისაგან მათრახი დაუწნას, ტყის პირას თხილის გულისაგან კარპატების სიმაღლის სახლი აუგოს და ყაყაჩოს თესლით გადაუხუროს.

ეს დავალება არც ისე ძნელი აღმოჩნდა ეშმაკისათვის.

დატრიალდა უცებ კინკა
აშრიალდნენ უცებ ხენი,

¹ თარგმანი ა. მირცხულავასი.

წამს გაისმა თქარა-თქური
და ღუქნის წინ გაჩნდა ცხენი.

ტვარღოვსკი მოახტა ცხენს, გადაჰკრა ქვეშისაგახ დაწნული მათრახი და ელვის სისწრაფით გაჩნდა ტყის პირას, სადაც უკვე იდგა თხილის გულისაგან აგებული და ყაყაჩოს თესლით გადახურული კარპატების სიმაღლის სახლი.

არ გაუვიდა, ვერ მოიშორა ტვარღოვსკიმ მეფისტოფელი და ახლა მეორე დავალება მისცა:

პანმა უთხრა: პირველს მოვრჩით
ეს ფინჯანი ვნახოთ ახლა.
იბანავე ამ ფინჯანში,
შიგ ნაკურთხი წყალი გახლავთ.

ემშაკს სხვა გზა არ ჰქონდა — ჩახტა ფინჯანში, დაითუთქა, დაიღრიჯა, დაიკლაცნა, ვერ გაუძლო და უკანვე ამოხტა. ეს კიდევ ჰრადფერიანო, დაიქადა ტვარღოვსკიმ და ახლა მესამე დავალება მისცა — კარი გაიღო და ოთახში პანის საშინელი გარეგანობისა და ხასიათის მეუღლე შემოვიდა, ტვარღოვსკი ეუბნებოდა ჭინკას:

გაიცანი, ცოლი გახლავთ,
ამ სასახლეს ეშხით ართობს,
მე შენს ბუნაგს მივაშურებ,
შენ ამასთან დარჩი მარტოდ.
ვალერსე, ემსახურე,
ვალა იყოს ერთი წელი.
თუ პირობა დაარღვიე,
შენც აიღე ჩემზე ხელი.

ჯოჯოხეთის მბრძანებელსაც კი აძრწუნებს ეს დავალება. თავზარდაცემული მეფისტოფელი უკან-უკან იხევს, ერთს საშინლად დაიჭყვივლებს და ხერელში მიიმალება.

მიცკევიჩმა ამ ბალადაში თავისებურად გამოიყენა ფაუსტური თემა. ცხადია, მიცკევიჩს მიზნად არ დაუსახავს გოეთეს „ფაუსტის“ პირველი ნაწილის გამოქვეყნების შემდეგ ამ თემის სერიოზული დამუშავებისათვის მოეკიდა ხელი. ამის საშუალებას არც ბალადის ქანრი იძლეოდა. მან მხოლოდ გარეგნული

ფორმა გამოიყენა ეშმაკისათვის სულის მიმყიდველი პიროვნების ტრაგედიისა და სულ სწვა, იუმორისტული ხასიათი მისცა მას.

შესაძლებელია მიცკევიჩმა ამ ბალადის დაწერისას, გარდა „ფაუსტისა“, ისარგებლა ნიკოლო მაკიაველის ნოველით „ბელფაგორი“. ამ ნოველაში აღწერილია, თუ როგორ გამოაგზავნა პლუტონმა ეშმაკი ბელფაგორი ამ ქვეყნად, რათა ცოლი შეერთო. ბელფაგორმა მართლაც შეირთო ცოლი, მაგრამ ვერ აიტანა მასთან ცხოვრება და ისევ ჯოჯოხეთში ირჩია დაბრუნება.

კითხვაზე, იცნობდა თუ არა მიცკევიჩი მაკიაველის ნაწარმოებებს, პასუხის გაცემა არც თუ ისე ძნელია. იან ჩეჩოტისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში მიცკევიჩი აღნიშნავს — შილერსა და მაკიაველს ვკითხულობო. ისიც შესაძლებელია, რომ ამ ბელფაგორის თავგადასავალს მიცკევიჩი სხვა წყაროებითაც გაეცნო. ცნობილია, რომ ეს სიუჟეტი ჯერ კიდევ არაბეთსა და ინდოეთში იყო გავრცელებული, შემდეგ იგი შეტანილი იქნა თურქულ „ორმოც ვეზირში“. აქედან ზეპირსიტყვიერებით ან წერილობით გავრცელდა ევროპაში და ძლიერ პოპულარული გახდა იტალიურ ნოველისტიკაში. უფრო გვიან იგივე სიუჟეტი ლაფონტენმაც გამოიყენა.

იცნობდა თუ არ იცნობდა ამ წყაროებს მიცკევიჩი, ყოველ შემთხვევაში ცხადია — ბელფაგორსა და პან ტვარდოვსკის „სულის მეუფე“ ეშმაკს ერთნაირი ბედი ეწვიათ.

ეს ბალადა-ხუმრობაც ალბათ მეგობრების სალალობოდ დაწერა მიცკევიჩმა, მეგობრებისა, რომელნიც დაჟინებით ურჩევდნენ მას ცოლის შერთვას, რომ ამით მარტოობის კაეშანი გაექროთ მისთვის და მარია ვერეშჩაკი ცოტათი მაინც დაევიწყებინათ.

ბოროტ სულებთან ხელშეკრულების მოტივივეა გამოყენებული მის ორნაწილიან ბალადაში „ტუკაი ან გამოცდა სიყვარულისა“. აქაც მეგობრებს მოწყვეტილი და სიყვარულში გულგატეხილი პოეტის გულისთქმეა გამოხატული.

ზოგიერთ ბალადაში მიცკევიჩი გმირების სოციალურ უთანასწორობას უსვამს ხაზს. მდიდარმა მარილამ უარყო ღარიბი იუზია. იუზია ჯავრისაგან მოკვდა, მაგრამ შური იძია მარილამ.

ზე. ბალადაში „თევზი“ მდიდარმა პანმა შეატინა ღარიბი გოგონა ქმისა. ქმისამ თავი დაიხრჩო და მანაც შური იძია პანსა და მის შეუღლებზე — თევზქალად ქცეულმა ქვის ლოდებად აქცია ისინი. მაგრამ ეს მოტივი არ არის განვითარებული ამ კრებულში. არც მისი რევოლუციური იდეები და სიმღერები ჰპოვებს ამ პერიოდში ახალ და უფრო ოსტატურ გამოვლენას.

კაუნასში ცხოვრების დროს პოეტი კარგა ხანს სრულ დეპრესიაში იყო ჩავარდნილი, უპერსპექტივობის მელანქოლია ღრღნიდა მის სულს და საერთოდ ინდიფერენტულად იყო გარემოსადმი განწყობილი. ეს იმ შევნადვლიანობის შედეგია, რომლითაც აავსო პოეტის სული სამშობლოს უბედურებამ, კაუნასში განმარტობამ და მარია ვერუშაკთან განშორებამ. მაგრამ ყოველივე ამან მაინც ვერ ჩაახშო მიცკევიჩის პოეზიის კრიტიკული, მებრძოლი სული.

ლექსში „რომანტიკა“ იგი ეპაექრება კლასიციზმის დამცველ იან სნადეცკის, უარყოფს მის „მკედარ ქეშმარიტებას, — მიკროსკოპიდან დანახულ ცხოვრებას“ და ურჩევს გამადიდებელი შუშები გადაადგოს, გულში ჩაიხედოს, მოგონებისა და ფანტაზიის გზას მიჰყვეს და ასე უფრო მიაღწევს ქეშმარიტებას, ვიდრე ახლა, როცა თავი ჩაუქინდრავს, მიკროსკოპით საგნის თუ მოვლენის ნამცეცებს მისჩერებია და ხელს უმწეოდ ასავესავებს — გარშემო ვერაფერს ვხედავო.

მიცკევიჩი კი სივრცეს უსწორებდა თვალს, მოქმედების ფართო ასპარეზს ეძებდა და ბრძოლისათვის ემზადებოდა. „ბალადები და რომანსები“ ამ ბრძოლის მხოლოდ დასაწყისი იყო.

VIII

1823 წლის მეორე ნახევრიდან მიცკევიჩი რამდენადმე გამოფხიზლდა აღრინდელი მელანქოლიური ლეტარგიისაგან და უფრო ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას შეუდგა. ის თავისი ნაწერების მეორე კრებულს ამზადებდა გამოსაცემად. ამ კრებულის ძირითადი ნაწილი პოემა — „გრაჟინას“ და „ძიადების“¹ ცალკეულ თავებს უნდა დაეჭირა.

¹ მიცვალბულთა სულის მოხსენიება.

„გრაჟინა“ უკვე დამთავრებული იყო. პოეტი ზედმეტად კრიტიკულად უყურებდა ამ ნაწარმოებს; „ეს ერთადერთი ნაწარმოებია, რომლის გამოსვლა მე არ მახარებსო“, — სწერდა ის მეგობარს. უფრო მძიმედ მიდიოდა მუშაობა „ძიადებზე“. ამ დრამატიული პოემის ცალკეული სცენები მან რამდენჯერმე დაწერა და დახია. მეგობრებთან წერილებში ის ჩიოდა, რომ ვერ შესძლო ამ ნაწარმოებისათვის სათანადო ფორმის მიცემა. თავის „მახინჯ შეილსაც“ კი უწოდებდა „ძიადებს“ პოეტი და უსასრულოდ შეჰქონდა შესწორებები პოემაში.

მეორე კრებულს გამოცემაც დიდ წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული. მიცკევიჩი ამას წინასწარ ითვალისწინებდა, ამიტომ აფრთხილებდა ის მეგობრებს — ხელნაწერები არ ეჩვენებინათ არავისთვის, განსაკუთრებით ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორ ავგუსტ ბეკიუსისათვის, რომელიც საცენზურო კომიტეტის წევრი იყო. „წარმოიდგინე, რა შეიძლება მოხდეს, თუ ხელთნაწერი მას ჩაუვარდა ხელთ“-ო, სწერდა მიცკევიჩი ი. ჩეჩოტს.

მიცკევიჩის სიფრთხილე არ იყო საფუძველს მოკლებული, რეაქცია აძლიერებდა თავისუფალი აზრის დევნას. ვარშავის შეშინებული ლიბერალური ინტელიგენცია დუმილს არჩევდა. „აქ უკვე საკუთარი ჩრდილისაც ეშინიათ, — სწერდა მიცკევიჩს იან ჩეჩოტი ვარშავიდან. — ყველგან გვაფრთხილებენ, რომ საჭიროა დუმილი. აი რა შორს წავიდა კონსტიტუციური თავისუფლობა“.

მართალია, მიცკევიჩი დიდ სიფრთხილეს იჩენდა მოქმედების დროს; მაგრამ დუმილი მას არასოდეს გაუხდია თავის დევიზად, პირიქით, რაც უფრო მძვინვარებდა რეაქცია, მით უფრო მკაფიოდ გაისმოდა მისი პროტესტი. ამას მოწმობს მიცკევიჩის ნაწარმოებების მეორე კრებულის, რომელიც მან 1823 წელს გამოსცა და მთლიანად მარია ვერეშჩაკს მიუძღვნა.

კაუნასის პერიოდი მიიწურა. 1823 წლის სექტემბერში მიცკევიჩმა ორი წლის შევებულება მიიღო და სამუდამოდ დასტოვა ქალაქი, სადაც ბევრი მწარე დღე ენახა, მაგრამ საიდანაც, კომარული მოგონებების გარდა, თან წამოიღო პოლონეთის პირველი პოეტის სახელი.

კაუნასიდან წამოსვლის წინ მიცკევიჩმა იან ჩეჩოტისაგან მიიღო მის მიერ დახატული ვერეშჩაკის პორტრეტი. პოეტის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონია. ეს სიხარული მან გამოხატა ლექსში „მხატვარს“, სადაც გულითად მადლობას სწირავს მეგობარს, რომელმაც მოიპარა მარილას მისთვის ესოდენ ძვირფასი სახე და გამოუგზავნა მიტოვებულ პოეტს. მიცკევიჩი წერს, რომ ის არასოდეს არ მოაშორებს თვალს და ფიქრებს ამ პორტრეტს, რომლის ბინა ამიერიდან პოეტის გული იქნება.

რამდენად მძიმე უნდა ყოფილიყო ადამ მიცკევიჩის ცხოვრების მატერიალური მხარე, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ პოეტი, რომელიც დღენიდაც კაუნასიდან წასვლაზე ოცნებობდა, უკანასკნელ მომენტში შეშინდა და როცა მისი შვებულება უკვე გაფორმებული იყო და მის ადგილზე სხვა მასწავლებელს იყო დანიშნული, უარი თქვა წასვლაზე. მაგრამ მიცკევიჩი კაუნასში მაინც არ დარჩენილა; ნასესხები 10 — 15 მანეთით ჯიბეში ის დაუბრუნდა თავის სტუდენტობის ბუდეს — ქალაქ ვილნიუსს.

ვერც კაროლინა კოვალსკამ გააჩერა მეოცნებე პოეტი ამ ყრუ პროვინციულ ქალაქში. მიცკევიჩით გულწრფელად გატაცებულმა „კოვნოელმა ვენერამ“ ამის შემდეგ მთელი სიცოცხლე თავისი „ბუდუარებიდან გაფრენილ შევარდენზე“ ფიქრსა და ჯავრში გაატარა.

ვილნიუსელი მეგობრები აღტაცებით შეხვდნენ მათ წრეში დაბრუნებულ სახელოვან პოეტს, რომელმაც გაახარა ისინი თავისი ნაწარმოებების მეორე კრებულებით, განსაკუთრებით პოემა „გრაჟინათი“ და „ძიადების“ II და IV ნაწილებით.

„გრაჟინა“ მიცკევიჩის პირველი დიდი ეპიკური ნაწარმოებია. თუმცა თვით ავტორი, როგორც აღვნიშნეთ, კმაყოფილი არ იყო ამ პოემით, მაგრამ სინამდვილეში იგი დიდი მოვლენაა პოლონეთის ლიტერატურაში და მისი სახელოვანი ავტორის ღირსეული პირმშო. პატრიოტული საქციელი მამაცი ლიტველს ქალიშვილისა, რომელიც თავის სიყვარულს და ბედნიერებას სამშობლოს ინტერესებს ანაცვალებს, უკვე ორჯერ იყო დამუშავებული ავტორის მიერ: ერთხელ „ჟივილაში“, ხოლო მეორეჯერ „სვიტეზში“. ამის შემდეგ მიცკევიჩმა უფრო ღრმად შეი-

სწავლა ლიტვის ისტორია, გამოიყენა ისტორიული მასალები და დასწერა ნაწარმოები, რომელშიც უფრო ფართოდ, დამაჯერებლად და მაღალმხატვრულად გადმოსცა ლიტველი ხალხის გმირული ისტორიის ერთი ეპიზოდი. გმირობა და თავდადება ამ პოემაში სლავ ხალხთა ერთიანობის და გარეშე მტრებთან საერთო ძალით ბრძოლის სიმბოლურ სიმადლებზეა აყვანილი.

მიცკევიჩის ამ პოემაშიც ბევრი რამაა ხალხური, ლეგენდარული, ზოგჯერ ისტორიულ სინამდვილეს გადამცდარიც, მაგრამ ყოველივე ეს მკაცრად არის ავტორის შემოქმედებითი მრწამსის მიხედვით გააზრებული.

პოემაზე მუშაობის დაწყებისას მიცკევიჩს სურდა ისტორიული სიზუსტე დაეცვა, გმირებად ლიტვის ისტორიაში ცნობილი პირებიც გამოეყვანა, რომ ისტორიული გარემო და კოლორიტი შეენარჩუნებინა; მაგრამ პოემაზე მუშაობის დაწყებისთანავე ავტორი დარწმუნდა, რომ ეს მნიშვნელოვნად შეკვეცავდა მის პოეტურ თავისუფლებას, აუცილებელი განზოგადებების საშუალებას არ მისცემდა და ამიტომ ამაზე ხელი აიღო და შექმნა ნაწარმოები, რომელიც არც ისტორიულ სიმართლესაა მოკლებული, არც ისტორიული კოლორიტი აკლია და სიუჟეტიც ლაღად და თავისუფლად ვითარდება. მნიშვნელოვანია, რომ თუ თავის წინანდელ ნაწარმოებებში „ჟივილასა“ და „სვიტეში“ კაბუკ პოეტს ლიტველი ხალხის მტრებად რუსები გამოჰყავდა და მისი გმირები რუსეთის ლაშქართან ბრძოლას აწარმოებდნენ, ახლა, როდესაც უფრო ღრმად შეისწავლა ლიტველი ხალხის ისტორია, მან სწორად დაინახა ამ ხალხის ნამდვილი მტრები, გერმანელი დამპყრობლები, და მისი პოემა ლიტვაში შემოსეულ ტევტონებთან გმირული ბრძოლის ფონზე გაშალა. პოემის საფუძვლად აღებულია ლიტვისა და სლავი ხალხების გაერთიანებული ძალების ისტორიაში კარგად ცნობილი ბრძოლა გრიუნვალდთან ტევტონების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა სლავების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. გრიუნვალდის გმირების სახელი უკვდავყოფილი იქნა ლიტვეურ ფოლკლორში.

იღამ მიცკევიჩმა განმარტებითი ხასიათის შენიშვნები და-

ურთო თავის პოემას, რომელიც მისი თანამედროვე მკითხველის ცნობიერებაში აცოცხლებს გრიუნვალდის ბრძოლის საამაყო, მაგრამ საკმაოდ მივიწყებულ ეპიზოდებს.

ნაწარმოების დასაწყისშივე ავტორი ერთი მოხაზვით ხატავს ლიტვური ლამის გრანდიოზულ სურათს. ჩრდილოეთიდან მოძალებული ქარი მიერეკება ველზე გაწოლილ ბურუსს. ბნელში ჩანთქმული სამყარო უზარმაზარ თაღებიან სასახლეს ჰგავს, ცა მოძრავ გუმბათს, ხოლო ლეგა ღრუბლებში მოკიაფე ნამგალა მთვარე მის ვიწრო სარკმელს. ციდან ეშვება გიგანტური სვეტი ჩრდილისა, რომელიც ჩაყვება კატაბარდებით დაფარულ ნაპრალს და ჩადის ხევში, სადაც ბორგავს ხავსის მწვანე ხალიჩით გარშემორტყმული მდინარე. ქალაქს სძინავს. ხანდახან ისმის ციხის ქონგურებზე მოდარაჯე მცველების გადაძახილი.

ციხესთან ცხენებს მოაგელვებენ აბჯარასხმული ჯვაროსანი ტევტონები. ლიტველი მცველები სცნობენ მათ, ხიღს ჩაუშვებენ და სასახლის კარებს უღებენ უცხოთა ელჩებს. ავტორი გადმოგვცემს ლიტველების სიძულვილს გერმანელი ჯვაროსნებისადმი. ერთ-ერთი მცველი ამბობს, რომ ეს ელჩები, „გასუქებულნი ლიტველთა სისხლით“, მოვიდნენ ჯვაროსანთა საძალეთიდან და, ნება რომ მქონდეს, კისრით გადავუშვებდიო ყველას უფსკრულში.

კომენტარებში მიცკევიჩი განმარტავს ჯვაროსნებისადმი ლიტველების სიძულვილის მიზეზს. ის მიუთითებს საისტორიო წყაროებზე ჯვაროსანთა სისხლიანი თარეშის შესახებ, იმოწმებს ძველ მემკვიდრეთა ცნობებს და გერმანელი მწერლის ავგუსტ კოცებუს 1808 წელს რომში გამოცემულ წიგნს „ძველი პრუსიის ისტორია“, რომელსაც მიცკევიჩი, როგორც მისი კერძო წერილიდან ჩანს, კაუნასში გაეცნო. ავტორი აჩვენებს ჯვაროსან რაინდთა შავბნელ საქმეებს და მათ ისტორიულ მტრობას სლავი ხალხისადმი.

გვიან ლამეა და თუმცა ჯარისკაცები ნებას არ აძლევენ, ჯვაროსანთა თავგასული ელჩები მაინც დაჟინებით მოითხოვენ მთავარ ლიტავორთან შეშვებას. ლიტავორს ამ შუალამითაც არ სძინავს, მაგრამ ჯარისკაცთაგან ვერავინ ბედავს ასე გვიან

მის შეწუხებას. მაშინ გააღვიძებენ ლიტავორის ერთგულ რაინდს რიმიდს, რომელსაც ყოველთვის შეუძლია მთავართან შესვლა. ის მოახსენებს ლიტავორს ჯვაროსანთა ელჩების მოხელის ამბავს.

დიდი მხატვრული სიძლიერითაა აღწერილი ლიტავორისა და ბრძენი მოხუცის რიმიდის საუბარი. ლიტავორს, რომლის ისტორიული პროტოტიპია ნოვეგოროდ-სევერსკის მთავარი კორიბუტი¹, კონფლიქტი ჰქონდა ლიტვის მთავარ ვიტოლდთან² ქალაქ ლიდას გამო. „გრაჟინაში“ ეს კონფლიქტია აღწერილი. ვიტოლდი აცნობებს ლიტავორს, რომ დაუთმობს ქალაქ ლიდას, თუ ის ეხლავე გამოეშურება თავისი ჯარით მის დასაკავებლად. ლიტავორი ფიქრობს, რომ ცბიერ ვიტოლდს განზრახული აქვს ამ დაპირებით გამოიტყუოს ის სიმაგრიდან, რათა თავისი ლაშქრით გზაში ჩაუსაფრდეს და თავს დაესხას მოულოდნელად. ლიტავორს სურს ვიტოლდის წინააღმდეგ კავშირი შეკრას გერმანელ ჯვაროსნებთან, რომელთაც საფასურად ქალაქ ლიდაში მოპოვებული ნადავლის განაწილებას პირდება. ლიტავორს ესმის ამ ნაბიჯის საშიშროება და რომ რიმიდმა მის სახეზე მღელვარება არ შეამჩნიოს, თითქოს ლამპას ასწორებს, პატრუქს ძირს დასწევს და აქრობს სინათლეს. მათი საუბარი სიბნელეში გრძელდება. ლიტავორის გეგმაა შემოვლილი გზით მიადგეს ქალაქ ლიდას და მოულოდნელი იერიშით შემეუსროს ვიტოლდის ლაშქარი. ბრძენი რიმიდი წინააღმდეგია სლავ ხალხთა შორის სისხლისმღვრელი ომის გაჩაღებისა და ისიც მათი მოსიხბლე მტრების გერმანელი ჯვაროსნების დახმარებით. ბრძნული სიღინჯით არიგებს რიმიდი ლიტავორს, რომ საჭირთა პოლონელები, ლიტველები და რუსები გაერთიანდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ და არა უშუღლი სთესონ ერთმანეთს შორის. „სლავთა ერთიანობაა ჩვენი საფუძველი“, ამბობს ის და განაგრძობს: არის შემთხვევები, როცა გუშინდელი მტრები—მეზობლები ხელს გაუწვდიან ერთმანეთს და შერიგდებიან; ადამიანს

¹ „გრაჟინაზე“ მუშაობის დაწყებისას მიცკევიჩს მთავარ გმირად კორიბუტი ჰყავდა გამოყვანილი, შემდეგ კი ის ლიტავორით შესცვალა.

² ვიტოლდის სახელი მიცკევიჩს არ შეუცვლია პოემაში.

შეუძლია ოჯახში პურსა და რძეზე გველიც მიიჩვიოს; მოთვი-
ნიერებული ქვეწარმავალი მიცოცავს მისკენ, მასთან ვახშმობს,
ისვენებს, მაგრამ ჯვაროსანი გველის მიჩვევა არ შეიძლება;
სულერთია, ბოლოს მაინც გვიმტრობს, რადგან ნადავლით
მას ვერავინ გააძღვებს. არც ერთი ლიტველი არ იქნება ისეთი,
ბრძოლაში სიკვდილი რომ არ ერჩიოს ჯვაროსნებთან კავშირის
შეკვრას, ამბობს რიშვილი. მაგრამ ლიტავორი მაინც არ ცხრე-
ბა. მას სძულს ვიტოლდი, რომელსაც, მისი აზრით, სურს ყველა
მთავარი დაიმორჩილოს და ქვეშევრდომები მუდამ ომში ატა-
როს. განრისხებული ლიტავორი ამბობს: ჩვენი ბრძოლებით ის
ძლიერდება, რომის უბიდან ხაზარეთის ზღვამდე ყველა ქალაქი
დაიმორჩილა. მე კი რა მოვიპოვე შედეგად ამდენი ბრძოლე-
ბისა? — დიდება მხოლოდ; და ისიც ვერ შეედრება ვიტოლდის
დიდებას.

რიშვიდი ვერ ანელებს ლიტავორის ჩისხვას, ვერ აცკლევინ-
ებს გადაწყვეტილებას და სტოვებს მის დარბაზს, რომ
მოსვენების საშუალება მისცეს სამი დღე-ღამის უძინარს.

მოხუცი რაინდი ასრულებს მთავრის ნებას და ჯარების
შეკრების ბრძანებას გასცემს, თვითონ კი სასახლის მეორე მხა-
რეს გაემართება, სადაც ისვენებს მთავრის მეუღლე გრაჟინა —
ქ. ლიდას მფლობელის ასული, „ულამაზესი ქალი ნემანის
მხარეში“. გრაჟინა მამაცი მეომარი და მონადირეა, მძლავრი
ნებისყოფისა და ნათელი გონების ადამიანი, ერთგული მეუ-
ღლე და მეგობარი ახალგაზრდა ლიტავორისა.

რიშვიდი გრაჟინას გაანდობს ლიტავორის განზრახვას. გრა-
ჟინა შეშფოთებულია, მან იცის, რომ „ბედნიერება შუღლში
არ არის“, და მიდის მეუღლესთან, რათა იმოქმედოს მასზე და
ხელი ააღებინოს თავის საბედისწერო განზრახვაზე. მათი საუ-
ბარი გადმოცემული არ არის პოემაში. ეს ლიტავორისა და
რიშვიდის საუბრის განმეორება გამოვიდოდა. რიშვიდი კარე-
ბიდან უსმენდა ქმრისა და მეუღლის აღელვებულ საუბარს.
გრაჟინა მუხლებში ჩაუვარდა ქმარს. ცოტა ხნის შემდეგ კი
გამოვიდა დარბაზიდან და თავისი სამყოფელისაკენ გაემართა.
რიშვიდმა ყური ვერ მოჰკრა მათ უკანასკნელ სიტყვებს, ვერ
გაიგო, რითი გათავდა საუბარი. დერეფანში დაინახა, რომ გრა-

ქინას ბრძანებით გერმანელი ელჩები დაითხოვეს და ჯვაროსნები წავიდნენ განრისხებულნი იმით, რომ ისინი, ვისაც კეისრისა და რომის პაპის კარებზე მუდამ დიდი პატივით ღებულობდნენ, გაძევებული იქნენ ამ „პატარა მთავრის“ მიერ.

რიმელი კმაყოფილია, თუმცა ცოტათი ნაწყენიც, რომ მას არ დაუჯერა ლიტავორმა, ხოლო „მშვენიერი ცოლის ღიმილმა“ ერთბაშად მოუღობო გული. ეკვიც დაებადა, ვაი თუ გრაჟინამ თავისი და არა ლიტავორის ბრძანებით დაითხოვაო ჯვაროსანთა ელჩები. მოხუცა რაინდი კვლავ გაემართა მთავრის მეუღლისაკენ ამბის გასაგებად, მაგრამ ამ დროს შიკრიკები მოვარდნენ და ამბავი მოიტანეს, რომ ტევტონთა ჯარები უკვე ამხედრდნენ და ქალაქისაკენ მოიწევენ. ლიტავორმა ციხე-სიმაგრედან გაიყვანა ჯარები და ქალაქის მისადგომებთან სისხლისმღვრელი შეტაკება გაიმართა ჯვაროსნებისა და ლიტავორის მეომრებს შორის. ლიტავორს მხარში ედგა „რჩევაში მოხუცი, მაგრამ ბრძოლაში ჭაბუკი“ რიმელი. ზეცას სწვდებოდა აბჯრის ელარუნი და მეომართა საბრძოლო ყიჟინა. ლიტავორი წინ მიუძღორდა თავის ლაშქარს და მუსრავედა მტერს, მაგრამ ბოლოს ის მაინც მოიქანცა და მკლავებიც მოუღუნდა. ტევტონებმა იგრძნეს ეს, შემობრუნდნენ და შუბების ალყა შემოარტყეს მას. თითქოს ხსნა არ იყო, მაგრამ ამ დროს ბრძოლის ველზე შემოიჭრა ლიტველთა ცხენოსანი რაზმი და გარშემოერტყა თავის მეთაურს. ისევ გაჩაღდა ბრძოლა. მოედანზე გამოვიდა ჯვაროსანთა უკანასკნელი სამარქაფო რაზმი, ლიტავორის სასახლეში შეურაცხყოფილი ელჩის ფონ კნიპროდეს წინამძღოლობით. ლიტველთა დაღლილი ლაშქარი აირია, მაგრამ უცებ ვილაცამ დასქვივლა და გორაკზე გამოჩნდა შავ ცხენზე მჯდარი, შავწამოსასხამიანი მხედარი. ერთხელ კიდეც დაიქუხა შავმა მხედარმა, შავი ცხენი ჯვაროსანთა რაზმთან მიაგდო და შეუღვა მათ ჩხვას. ტევტონები შედრკენ და ტყეს მიაშურეს. ახლა ჯვაროსანთა მეთაურმა გამოაგელვა ცხენი მოედანზე. მისკენ ლიტავორი გაეშურა. ჯვაროსანმა სტყორცნა ისარი და ლიტავორი ცხენიდან გადმოვარდა. შავი მხედარი მიეჭრა ჯვაროსანს და ხმლით გაჰკვეთა იგი. შემდეგ ლიტავორთან მივიდა, გასისხლიანებული მუზარადი მოხსნა და იარა გაუსინჯა. ლიტავორი

გონს მოვიდა, მოიშორა ყველა და შავ მხედარს უთხრა, დადგაო ჩემი სიკვდილის ქამი და სთხოვა შეენახა საიდუმლოება. გათნებული უსმენდა შავი მხედარი მომაკვდავ რაინდს.

ეს არ იყო ხმა ლიტავორისა.

ლიტველთა სარდლობა რიმვიდმა იკისრა. შავმა მხედარმა დაქრილი მეომარი ცხენზე მოიგდო და სასახლისაკენ გაეშურა. გამარჯვება ლიტველებს დარჩათ. მთავრის დაღუპვით დაღონებული მეომრები ქალაქს დაბრუნდნენ.

უზარმაზარი კოცონი ანთეს მოედანზე და, ძველი ლიტუარი წესის თანახმად, მოიყვანეს ტყვე კნიპროდე ღმერთისათვის მსხვერპლად შესაწირად. შემდეგ ციხიდან მიცვალებული გამოასვენეს, რომ ლიტვის წარმართული წესის თანახმად კოცონზე დაეწვათ¹. ხალხი გაოცებული დარჩა, რადგან ეს არ ჰგავდა დაკრძალვის ჩვეულებრივ ცერემონიას; არც ცხენი მოჰყავდათ, არც მეძებრები და არც მისი მიმინოები. ცხედარი უკვე კოცონთან მიიტანეს, ლამპარი ანთეს, ქურუმმა ნიშნის მისაცემად ხანჯალი ასწია, მაგრამ ამ დროს შავმა მხედარმა ხალხი გაარღვია და დაიძახა: „შესდექით!“ არავინ იცოდა მისი ვინაობა, ახსოვდათ მხოლოდ მისი გამოჩენა გუშინდელ ბრძოლაში. შავმა მხედარმა მოიხსნა მუზარადი და ხალხის წინაშე წარსდგა მთავარი ლიტავორი. გაოცებული მეომრები ყიჟინით მიესალმნენ მეთაურს. ლიტავორმა მიმართა ხალხს: ის, ვისაც ახლა კოცონზე წვავენ, მეუღლეა ჩემი. მე ვიძიე შური, მაგრამ ის ცოცხალი აღარ არის... თქვა ეს ლიტავორმა და გასცა ბრძანება აეტანათ ცხედარი კოცონზე. და როცა ცეცხლის ალი ავარდა, თვითონაც გადაეშვა და ფერფლად იქცა გრაჟინას ცხედართან ერთად.

ასე თავდება ეს პოემა, რომელიც, როგორც ვიცით, არც თუ ისე ძალიან ახარებდა მის ავტორს. ძნელი არ არის გავარ-

¹ მიცკევიჩის შენიშვნებში განმარტებული აქვს მიცვალებულთა დაწვის ცერემონიალი და მაგალითად მოჰყავს პოლონელი ისტორიკოსის სტრეიკოვსკის მიერ აღწერილი ცერემონიალი ლიტვის დიდი მთავრის კვისტუსის დაკრძალვისა. წესის მიხედვით, მიცვალებულთან ერთად ცოცხლად სწვავენ მათ ცხენებს, სანადირო ძაღლებს და მიმინოებს, შემდეგ ფერფლს მოაგროვებდნენ და მარხავდნენ.

კვიით, რატომ იყო ასე უკმაყოფილო მიცკევიჩი ამ პოემით, რომელმაც მას დიდი სახელი მოუხვეჭა. ჯერ ერთი, როგორც ჩანს, ავტორს გრაჟინას თავგადასავალი არ მიაჩნდა რეალურად და დამაჯერებლად. ამიტომ პოემას მან დაურთო შენიშვნები, სადაც ცდილობს ერთგვარი ისტორიული დასაბუთება მოუძებნოს გრაჟინას არაჩვეულებრივ, ქალისათვის თითქოს შეუფერებელ თავგადასავალს.

მიცკევიჩისათვის ცნობილი იყო ისტორიკოსების მტკიცება, რომ ქალები არ სარგებლობენ პატივისცემით ძველ ლიტვაში. ის ცდილობს გააბათილოს ასეთი შეხედულება. ერთის მხრივ ის წერს: „გრაჟინას ხასიათი და მოქმედება შეიძლება მოგეჩვენოთ ზედმეტად რომანტიკულად და იმ პერიოდის ადამ-წესებისათვის შეუფერებლად. რადგან ისტორიკოსები ძველი ლიტვის ქალების მდგომარეობას არც თუ ისე მიმზიდველ ფერებში გვიხატავდნენო“ და თან, მიმართავს რა ისტორიულ წყაროებს გრაჟინას სახის რეალობის დასამტკიცებლად, ლიტვის ისტორიაში ცნობილი გმირი ქალების მაგალითებზე მიუთითებს. ის წერს, რომ ძველად დროშებზე და მონეტებზე გვირგვინოსანი ქალების გამოსახულება იყო; ცნობილია აგრეთვე გაღმერთებული ქურუმი-ქალების გეზონესა და კადინეს სახელები, მატინაებში მოთხრობილია ამბავი ერთი ლიტვური ქალაქის მცხოვრებ ქალთა გმირობის შესახებ: მამაკაცები რომ ომში წავიდნენ, ქალებმა მოაწყვეს ქალაქის დაცვა და, მტრის მოძალებას რომ ვერ გაუძლეს, სიკვდილი არჩიეს ტყვეობას. ლიტვის მთავრის კეისტუსის მეუღლე ბირუტისა და ვიტოლდის მეუღლის გმირობის მაგალითიც მოჰყავს მიცკევიჩს. კეისტუსის ცოლმა იხსნა ქმარი დალუპვისაგან.

ყოველივე ეს იმისათვის სჭირდება მიცკევიჩს, რომ დააჯეროს მკითხველი გრაჟინას სახის რეალობაში. სხვა საკითხია, ახერხებს ამას ავტორი თუ არა, მაგრამ თავისთავად ეს მისწრაფებაც საინტერესოა. მიცკევიჩი რომ კვლავ კლასიციზმის ტყვეობაში ყოფილიყო, ან მთლიანად რომანტიკული სკოლის ფარგლებში მოქცეულიყო, ასეთი ისტორიული ექსკურსები არ დასჭირდებოდა. კლასიციზმი არ მოითხოვდა ნაწარმოების გმირების მოქმედების რეალობას და დამაჯერებლობას. რომან-

ტიზმი მით უმეტეს. ცხადია, ეს სულ სხვა ლიტერატურულ-პრინციპის ძიებაა. წარმოსახულის განამდვილება, სახის ტიპიურობა და გარემოცვის ისტორიული დამაჯერებლობა — ეს მიცკევიჩის შემოქმედების რეალიზმისადმი მისწრაფების გამოხატულებაა. მართალია, ჭაბუკი პოეტის ეს მისწრაფება ჯერ კიდევ რომანტიკულ ბურჟუაზია გახვეული, მაგრამ ეს ბურჟუაზია თანდათან იფანტება და ბოლოს კრისტალური სიცხადით ვლინდება სინამდვილის რეალისტური საღებავებით გადმოცემის უნარი. ეს იმდენად მნიშვნელოვანია მიცკევიჩის შემოქმედებაში, რომ ამის უგულვებელყოფა არ შეიძლება. ცხადია „გრაჟინა“ რომანტიკული პოემაა, მაგრამ მწერლის რეალიზმისადმი მისწრაფება მაინც გამოსჭვივის მასში. და ეს მისწრაფება ისე ძლიერია და თავისებური, რომ თვით რევოლუციური რომანტიზმის ფარგლებშიც ვერ თავსდება. რა ვუყოთ, თუ ახალგაზრდა პოეტი ჯერ ვერ ახერხებს ამ მისწრაფებას გამოსახვის სრულყოფილი რეალისტური ფორმა მოუძებნოს. ეს არც ისე ადვილი იყო მაშინ, გასული საუკუნის 20-იან წლებში. სამაგიეროდ ის ამქადავებს ასეთ ტენდენციას და თეორიულად მაინც რეალიზმის გარკვეულ პოზიციასზე დგება. ამიტომ არის, რომ რომანტიკულ „გრაჟინას“ თვით ავტორი რეალიზმის თვალსაზრისით იხილავს და რაკი ხედავს, რომ მისი ლიტერატურული იდეალი ვერ განხორციელდა ამ ნაწარმოებში, უკმაყოფილოა და მკაცრადაც აკრიტიკებს მას.

ამასვე ადასტურებს მიცკევიჩის შეხედულებები პოემის მოქმედების ბუნდოვანების შესახებ. ის რომ რომანტიზმის (თუნდაც რევოლუციურის) ერთგული ყოფილიყო, არც ამ პრობლემას დასვამდა ასე მწვავედ. როგორც ჩანს, „გრაჟინას“ ერთ-ერთ სუსტ მხარედ ავტორს სწორედ ცალკეული ეპიზოდების ბუნდოვანებაც მიაჩნდა. ამისათვის დასჭირდა მას პოემისათვის „გამომცემლის ეპილოგი“ დამატებინა, რომელშიც ცდილობს განმარტოს ამ ნაწარმოების ბუნდოვანი ადგილები. ის ასე მიმართავს მკითხველს: ალბათ პოემის დასასრულით არ ხართ კმაყოფილი, ვერ გაიგეთ, როგორ მოხდა, რომ ჯარი გრაჟინას ენდო და ლიტავორი ასე გვიან ჩაება ბრძოლაში, როგორ შეცვალა გრაჟინამ ლიტავორის გადაწყვეტილება და გერმანე-

ლების წინააღმდეგ მიმართა მახვილი? ტყუილად ეძებთ, მკითხველო, ამ კითხვებზე პასუხს, ამბობს გამომცემელი. ავტორს, ვინც ეს პოემა დაწერა, თვითონაც არ გაურკვევია ყოველივე ეს. მან მხოლოდ ის დაწერა, რაც ნახა და გაიგონა. „შემდეგ შევცადე ამ საიდუმლოებათა გახსნა, შევხვდი მოხუც რიმვიდს, მაგრამ მას სიტყვა ჰქონდა მიცემული ლიტავორისათვის, არ გაემხილა ყოველივე ეს და არაფერი მითხრა; შემდეგ ვესაუბრე კარისკაცს, რომელიც მაშინ სასახლეში იყო, და მან განმიმართა, რაც ჩვენთვის გაუგებარი იყო, სახელდობრ:

1. რითი გათავდა ლიტავორის და გრაჟინას საუბარი ციხე-დარბაზში. დაეთანხმა ქმარი ცოლს თუ არა?

ირკვევა: ბევრი ემუდარა გრაჟინა ლიტავორს, მუხლებშიც ჩაუვარდა გაეკრპებულ ქმარს, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა და გაწბილებული გამოვიდა დარბაზიდან.

2. ვისი ბრძანებით გააძევეს ჯვაროსანთა ელჩები, ლიტავორის თუ გრაჟინასი?

ირკვევა: გრაჟინასი.

3. როგორ გახდა გრაჟინა ლიტავორის ჯარის სარდალი?

ირკვევა: ელჩების მუქარით დაშინებული გრაჟინა ისევ გაიქცა ქმართან. ლიტავორს ღრმად ეძინა. გრაჟინას არ გაუღვიძებია ის. სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო მან ქმრის ღირსების გადასარჩენად. აიღო მისი ხმალი, დაიხურა მისი მუზარადი, მოიხურა მისი მოსასხამი, კარისკაცს უბრძანა, კრინტი არ დაძრაო, გამოიკეტა კარები და რაკი შორიდან უკვე ისმოდა ბრძოლის ხმა, ცხენს მოახტა და გაეშურა ბრძოლის ველისაკენ. ლაშქარმა კი ლიტავორად შეიცნო მთავრის მეუღლე.

4. რატომ გამოვიდა ბრძოლის ველზე ლიტავორი ასე გვიან?

ირკვევა: ხმაურმა გამოაღვიძა მთავარი. უხმო მსახურებს, ვერავინ ნახა. (შე შიშით აცახცახებული ვუსმენდი, ფარდას მოფარებულო, ამბობს კარისკაცი). ეძება. გრაჟინა, ეძგერა დაკეტილ კარებს... გაამტვრია, გაიქცა მეუღლისაკენ, შემდეგ ისევ დაბრუნდა და

აივანზე გავარდა. რიყრაყი უკვე დაწყებულიყო, ერთხელ კიდევ გასძახა მსახურთ, მაგრამ არაინ გამოჩნდა, მოახტა ცხენს და ისიც გაეშურა ბრძოლის ველისაკენ.

5. რა მოხდა ცახეში, სადაც ლიტავორმა დაქრილი გრაჟინა მიიყვანა?

ირკვევა: მომაკვდავი გრაჟინა ემუდარებოდა ქმარს—მაპატიე, მე მხოლოდ ერთხელ მოგატყუეო ჩემს სიცოცხლეში, ლიტავორი კი ტიროდა. ვერ გავუძელდა გავიქეცი. დანარჩენი ყველამ იცითო“, დაასრულა თხრობა კარისკაცმა.

შემდეგ რიმიდიც მოკვდა. საიდუმლო გაიხსნა და ახლა აღარავინაა ისეთი ნოვოგრუდეკში, ვისაც ლექსი არ შეეთხზას გრაჟინას შესახებ და ამ დაბლობსაც სახელივანი ლიტველი ქალის სახელი ეწოდარ, დასძენს გამომცემელი.

ასე გახსნა მიცკევიჩმა თავისი რომანტიკული პოემის ყველა „საიდუმლოება“, თუმცა ის, რაც „გამომცემლის ეპილოგშია“ განმარტებული, ისედაც ცხადია დაკვირვებული მკითხველისათვის. ავტორს შეეძლო ამ „საიდუმლოების“ გამოცნობა მკითხველისათვის მიენდო, მაგრამ რომანტიკული ბუნდოვნების უარყოფამ და მოქმედების განვითარებაში ლოგიკური სიცხადის შეტანის სურვილმა დააწერინა მას ეს ეპილოგი.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, პოემა „გრაჟინა“ მიცკევიჩის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. ავტორმა ერთხელ კიდევ დახატა ტუგანის ასულისა და ჟივილას მსგავსი სახე სამშობლოსათვის თავდადებული გმირი ქალისა, რომელიც ყველაფერს სწირავს თავისი ქვეყნის თავისუფლების საქმეს.

რიმიდის სახით მიცკევიჩი მოუწოდებს სლავ ხალხებს საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალით ბრძოლისაკენ. ავტორი ნათლად გამოხატავს თავის მისწრაფებას—რეალისტური სიცხადე შეიტანოს ნაწარმოების გმირთა მოქმედებასა და სიუჟეტის დამაჯერებლად განვითარებაში.

„გრაჟინამ“ დიდი სახელი მოუპოვა მის ავტორს. ვარშაველი სკეპტიკოსებიც კი იძულებული გახდნენ ეღიარებინათ ადამ მიცკევიჩის დიდი პოეტური ტალანტი.

„ძიადები“ რთული ლიტერატურული ჟანრის და კომპოზიციის ნაწარმოებია. პოემაში ერთმანეთს ცვლიან ეპიკური, ლირიკული და დრამატიული სცენები. თხრობის განვითარება ფრაგმენტულია. პოემის ცალკეულ ნაწილებს შორის მტკიცე სიუჟეტური კავშირი არ არის. ზოგჯერ დარღვეულია ლოგიკური სიმწყობრეც. ნაწარმოების ერთიანი გეგმა, როგორც ჩანს, ავტორს წინასწარ მოფიქრებული არ ჰქონია. ის წერდა ცალკეულ სცენებს მისი საზოგადოებრივი თვალსაზრისისა და განწყობილების განვითარების ცალკეულ საფეხურთა შესაბამისად. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად პოემა მაინც იდეური განვითარების ერთ მთლიან ხაზზეა აგებული. მისი ფორმა, მართალია, გარეგნულად უმწყობროა და ფრაგმენტული, მაგრამ შინაგანი იდეური და ემოციური ერთიანობის მქონე მაინცაა.

ნაწარმოები ისეთ მძივს ჰგავს, რომლის გამჟოლ ძაფზე სხვადასხვა ზომის, ფერის და ღირებულების მარგალიტებია ასხმული. შეიძლება ეს მარგალიტები ერთმანეთს არ ჰგავდნენ, მაგრამ ერთად, ერთ მძივად შეკრულნი მაინც მთლიანობისა და ოსტატობის ნიშნით არიან აგებულნი. თუმცა მიცკევიჩი დროგამოშვებით, თითქმის მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე წერდა „ძიადებს“, ის მაინც დაუმთავრებელი დარჩა. ახლა ძნელი მისახვედრიცაა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ნამდვილი დასაწყისი ან დასასრული ამ პოემისა. ყოველ შემთხვევაში, დასრულებული II და IV ნაწილები და I და III ნაწილების ფრაგმენტები საშუალებას არ იძლევიან დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ პოემა მთლიანი სახით. III ნაწილის ფრაგმენტები და ცალკეული ლექსები, რომლებიც ავტორმა როგორღაც „ძიადების“ ნაწილებად გამოაცხადა, გვაფიქრებინებს, რომ მას არასოდეს არ უცდია ამ ნაწარმოების ერთ მთლიან კომპოზიციურ ჩარჩოში მოქცევა. როგორც აღინიშნა, მიცკევიჩი, როდესაც ასე თუ ისე მაინც განიცდიდა კლასიციზმის გავლენას, იმ აზრს ადგა, რომ ნამდვილი დრამა არ არსებობს მოქმედების ერთიანობის გარეშე, და ტომამევე-

სკის მიუთითებდა „იაგელონიდას“ სიუჟეტურ დაფანტულობაზე. ახლა კი ის თვითონაც არ ზრუნავს „ძიადების“ კომპოზიციურ მთლიანობაზე. ნაწარმოები დამთავრებული რომ იყოს, შესაძლებელი იქნებოდა უფრო გარკვეული წარმოდგენა გვექონოდა მისი კომპოზიციის თავისებურებაზე, ახლა კი ისლა დაგვრჩენია სინანული გამოვთქვათ მისი დაუმთავრებლობის გამო და ვარაუდებისაგან თავი შევიკავოთ. რაც ამჟამად ხელთ გვაქვს, ისიც მიცკევიჩის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის და პოლონური პოეზიის შედეგს წარმოადგენს.

ძიადები, მიცკევიჩის განმარტებით, წინაპრების სულთა მოხსენიებას ნიშნავს. ძველი ლიტერული წარმართული წესჩვეულებისამებრ მორწმუნეებს სჯეროდათ, რომ თუკი განსაზღვრულ დღეს სადმე სასაფლაოს ახლოს უკაცურ ქოხში დადგამდნენ სანოვაგეს და მიცვალებულთა სულებს მოუხმობდნენ, ისინი გამოცხადდებოდნენ და მათთან საუბარსაც გამართავდნენ. მორწმუნენი ფიქრობდნენ, რომ ასეთი გამასპინძლებით მძიმე ხვედრს უმსუბუქებდნენ ჯოჯოხეთსა და განსაწმენდელში მყოფ მიცვალებულთ.

წარმართობის ამ გადანაშთმა მიცკევიჩის დრომდეც მიაღწია. ჯერ კიდევ ბავშვის ფანტაზიას იტაცებდა ზაოსიესა და ნოვოგრადეკში ნანახი რიტუალები ამ რელიგიური კულტისა. შემდეგში კი ის წერდა:

„აღმალლებული მიზანი წესჩვეულებისა, უკაცური ადგილი, ღამე, ფანტასტიკური გარემოცვა ოდესღაც ძლიერ აღლევებდა ჩემს წარმოსახვას; მე გატაცებით ვუსმენდი ზღაპრებს, ლეგენდებსა და სიმღერებს მიცვალებულთა შესახებ, რომელნიც საიჭიოდან ბრუნდებიან რაიმე თხოვნით ან გაფრთხილებით, და ყველა ამ საოცარ, შეთხზულ ამბავში შეიძლებოდა დანახვა განსაზღვრული მორალური და იდეური მისწრაფებისა, რომელიც სახეობრივად იყო წარმოდგენილი უბრალო სოფლელი ადამიანების მიერ“.

როგორც ვხედავთ, მიცკევიჩი საღი რეალისტური თვალსაზრისით აღიქვამს ძიადების რელიგიურ რიტუალს. მას ამ რიტუალის მორალურ-იდეურ მისწრაფებათა სახეობრივი წარმოდგენა აინტერესებდა და არა მისი სარწმუნეობრივი მხარე. მითიურ

ამბებში ის მასალას ხედავს და არა ასახვის საშუალებას. მითოსი ამ შემთხვევაში ფორმაა, რომელშიც კონკრეტული რეალური შინაარსი ვლინდება. სულების ეს სამყარო, ასე მრავალფეროვნად და წარმტაცად აღწერილი „ძიადებში“, რომანტიკოსი პოეტის წარმოსახვისა და ილუზიების სფეროში გაქცევას კი არ წარმოადგენს, არამედ რეალობის ასახვის თავისებურ საშუალებას. ეს ფორმა მიცკევიჩთან არასოდეს არ გამოდის პირობითობის ფარგლებიდან. ის არ არის რელიგიური განწყობილებით შებოჭილი ადამიანი. მიცკევიჩი ყოველთვის ანელავნებს თავის საღ კრიტიკულ დამოკიდებულებას ფანტასტიკის სამყაროსადმი. მას კი არ სჯერა მისი ნამდვილობა, არამედ სინამდვილის პოეტურ ასახვის პირობით ფორმად იყენებს მას. მიცკევიჩი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს თავის რეალისტურ მისწრაფებებს შესაფერი ფორმა მოუძებნოს. ის ფანტასტიკურის განამდვილების ხერხს მიმართავს და არა სინამდვილის ასახვის რეალისტურ ფორმას. ამაში ვლინდება მიცკევიჩის, როგორც რევოლუციური რომანტიზმის წარმომადგენლის, თავისებურება. თუკი სხვა რომანტიკოსები სინამდვილეში ვერ პოულობდნენ თავიანთი იდეალების განხორციელების ფორმებს და ფანტასტიკის სფეროში გარბოდნენ, მიცკევიჩი, რომელიც ასევე ვერ პოულობს თავისი იდეალის სინამდვილეში განხორციელების გზებს, სინამდვილიდან კი არ გარბის, არამედ ფანტასტიკის სამყაროს იყენებს ამ სინამდვილის გამოსახატავად და, რაც მთავარია, გარდასაქმნელად.

ბესარიონ ბელინსკი, რომელიც აღტაცებული იყო მიცკევიჩის პოემით, წერდა, რომ იგი ისეთ პოემათა რიცხვს მიეკუთვნება, „რომლებშიც ადამიანის ცხოვრება წარმოდგენილია, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ჰემმარიტად, მხოლოდ თავის ყველაზე უფრო საზეიმო გამოვლენაში, ყველაზე უფრო ლირიკულ წუთებში.“¹

ადამიანის ცხოვრების ჰემმარიტება აინტერესებდა მიცკევიჩს ამ პოემის წერის დროს და არა მითებისა და ლეგენდების ფანტასტიკური სამყაროს აღწერა. მაგრამ „ადამიანის ცხოვ-

¹ В. Г. Белинский, собр. соч. в трёх томах, т. I. 1948 г., стр. 110.

რების ქეშმარიტება“ ზოგადი ცნებაა, „ძიაღებში“ კი ავტორი უფრო კონკრეტულ მიზანსაც ისახავს. ის აქაც არ ლაღატობს „რომანსებისა და ბაღაღების“ ლიტერატურულ პრინციპს და რეალური თუ მისტიკური სამყაროების მთელი ეს ერთობლიობა კვლავ კრისტაღღება „პოეტის სულის თვალთა წინაშე“.

მიცყევიჩის ხატება ამ დროს მარია ვერეშჩაკი იყო, — ის იღვა მგოსნის სულის თვალთა წინაშე, — და რა გასაკვირია, თუკი პოემის II და IV ნაწიღებში, რომღებიც მარიღას გამო სეღდის კულმინაციის ეამს იწერებოღდა, ამ ქაღს ასე დიდი ადღგიღი აქეს დათმობიღი. მარიღას სახე ამის შემღღეგაც სღღევს მიცყევიჩის მთელ შემოქმეღღებას, მაგრამ აქაც, ისევე როგორც გვიან, იგი პოეტის მხოლოდ პირად, ინტიმურ გრძნობებს კი არ გამოხატავს, არამედ ლიტერატურულ სახეღდაა ქცეული, რომელშიც ვღინღება სამშობღოს ტრადიკული ვითარებით გამოწვეული „მსოფღიო სეღდა“ და მგზნებარე პროტესტი არსებული დესპოტური რეჟიმის წინააღმღდეგ.

„ძიაღებში“ ფართოღდაა გამოყენებული ლიტერული ფოღკლორი. მიცყევიჩი, როგორც თავის „რომანსებსა და ბაღაღებში“, აქაც აცოტხღებს ზაოსიესა და ნოვოგრუღდეკის მიღამოებში მოსმენიღ ამბებს.

პოემის II და IV ნაწიღები დასაბეჭღად გამოზადებული იყო, როცა მიცყევიჩმა დაწერა პროლოგი „აჩრდიღი“, რომელიც ერთგვარად ტონის მიმცემია მთელ ნაწარმოებისათვის. აქ ის წერს თვითმკვღელი ქაბუკის შესახებ (შემღღეგ ირკვევა, რომ მისი სახელია გუსტავი), რომღის აჩრდიღი ლამღამობით დგება სასაფღაოღდან და იტანჯება თავის მიერ ჩადენიღი დანაშაუღის გამო. ის ჩივის, რომ საფღავშიც არ აქეს მოსვენება, რომ მას საშინელი სასჯელი აქეს მისჯიღი — აღღგეს მკვღრეთით, იმას შეზღღდეს, ვისთვისაც თავი მოიკღა (იგუღლისხმება მარია ვერეშჩაკი), ისევე განშორღდეს, კვლავ მოკვღდეს, მაინც ახსოვღდეს და იტანჯებოღდეს.

რა დანაშაული ჩაუღღენია ასეთი ამ ქაბუკს, რომ ასე სასტიკად დაუსჯია განგებას? ის თვითონ ამბობს: როცა ის შემზღღებოღდა, მე თვალს ვხრიღი ძირს, სიტყვას რომ გაიღღებღა, ვღღუმღდი, რაც ჩემს მეგობრებს უცნაურ ახირებად ეჩვენებოღდათო.

როგორც ჩანს, პოეტი ამ დროს თვითონაც ტუქსავდა თავის თავს მარია ვერეშჩაკის წინაშე ზედმეტი მოკრძალებულობის გამო. ახლა კი მისგან მიტოვებული პოეტის აჩრდილი კვლავ ოცნებობს შეხვდეს მარილას და თუნდაც ერთი საათით დაარღვიოს მისი ბედნიერება. მკვდარი ჭაბუკის აჩრდილი იმას ელტვის, რომ სულეთში მაინც შეერთდეს თავისი ოცნების განუყრელ თანამგზავრთან.

ასე გადაშალა მიცვევიჩმა „ძიადებში“ მარილასადმი თავისი სიყვარულის ფანტასტიკური ისტორიის პირველი ფურცელი.

პოემის მეორე ნაწილი მიცვალებულთა სულის მოხსენიებით იწყება. მისანი მოუხმობს სულებს განსაწმენდელიდან და პირველად ზეკასა და ჯოჯოხეთს შორის მოფარფატე პატარა ანგელოსები ჩნდებიან. ისინი უარს აცხადებენ საჩუქრებზე და ჩივიან: ამქვეყნად ჩვენ მუდამ მხიარულად ვიყავით, საკმელოც ბევრი გვქონდა და სათამაშოებიც, ახლა კი გვაკლია ეს სიხარული, რადგან ღმერთის ნებით ვინც ამ ქვეყნად სიმწარეს არ გამოცდის, სიკვდილის შემდეგაც ვერ შეიძნობს სიხარულსო, და ეს სიმწარე რომ გამოსცადონ, მიცვალებულ ბავშვთა სულები მდოგვის მარცვლებს სთხოვენ მისანს.

ღამით გლეხები ქოხში ცეცხლს ანთებენ, არაყს ზღიან და ახლა უკვე ჯოჯოხეთიდან მოუხმობენ სულებს. გამოჩნდა სამი წლის წინ გარდაცვლილი მათი მებატონის აჩრდილი. ის სასტიკადაა დასჯილი განგების მიერ. იგი აჩრდილივით დაეხეტება ამქვეყნად და ყვავ-ყორნები კორტნიან მის სხეულს. ფრინველთა გუნდი აქაც შემოყვება ბოროტ მებატონეს. ყორნები მას იმაში სდებენ ბრალს, რომ სიბრაღული არ იცოდა, შიმშილით ხოცავდა მათ; ერთხელ სამი ღლის მშვიერმა ტყეში პანტა ვაშლი მოვკორტნე, დამიჭირა და შავი ღლე დამაყენაო, — ამბობს ყორანი და ყველანი ემუქრებიან ხარბ მებატონეს — სადაც არ უნდა წააწყდე საკმელს, სულერთია, ერთ ნამცეცსაც არ გარგუნებთო, და მებატონეც იძულებულია მშვიერი დამჩროდეს მინდორ-ველად. ვერც ახლა შევლის მას მისანი, რადგან სანოკავით რომ გაუმასპინძლდეს, მაინც ყვავ-ყორნები დაესევიან და ყველაფერს პირიდან ამოაცლიან. ამიტომ მებატონე არც კი ეკარება მიცვალებულთა სულის საოხად.

გამოტანილ საქმელს. აქედან გამომდინარეობს მეორე შეგონება: ვისაც ამქვეყნად ადამიანობა არ გამოუჩენია, იმქვეყნადაც ვერ ელირსება ადამიანურ ცხოვრებას.

პოემის ამ ადგილიდან უკომენტაროდაც ჩანს ავტორის განზრახვა, აჩვენოს სოციალური უთანასწორობის სურათი, მებატონეთა გულქვაობა და გლეხების სიდუხჭირე, ეს კიდევ ერთა ნიმუშია იმისა, რომ მიცკევიჩი ფანტასტიკური სახეებითა და თხრობის რომანტიკული მანერით სრულიად რეალურსა და კონკრეტულ-ისტორიულ სინამდვილეს გადმოსცემს.

ამის შემდეგ მისანი უწყინარ სულებს იხმობს, რომელთაც რამე დანაშაული არ მიუძღვით, არც მსჯავრდებულნი არიან, მაგრამ ზეცაში მაინც ვერ მოხვდნენ, რადგან ამქვეყნად არც თავისთვის უცხოვრიათ და არც სხვისთვის.

ციდან თითქოს ცისარტყელას ქამარს მოყვება მწყემსი ქალწული ზოსა. იგი კრავს მისდევს, მაგრამ ვერ ეწევა, — კრავი სულ წინ გარბის; სურს პეპელა დაიჭიროს, მაგრამ ისიც ხელიდან უსხლტება. ეს კრავი და პეპელა ბედნიერების სიმბოლოა, ხოლო ზოსას ამოო ცდა ისინი დაიჭიროს — სასურველი, მაგრამ მიუღწეველი ბედნიერების გამოხატულება.

მწყემსი ქალწული მარილას ორეულია. მისი დანაშაული ის არის, რომ არც თვითონ ირგო და არც სხვას არგუნა ბედნიერება, არავის იკარებდა, — სიყვარულს რომ თხოვდნენ, არ ჰასუხობდა, კოცნას რომ ევედრებოდნენ, უარს ამბობდა. იგი თითქოს ახლაც არ ჩანს უბედური, ლაღად დასრიალებს ზეცის თაღებში, ცისარტყელისაგან იწნავს გვირგვინს, ჩიტებსა და კრიჭინებს დასდევს, მხიარულობს, მაგრამ ნამდვილად ბედნიერი მაინც არ არის: მას სინანული და მოწყენილობა თან სდევს მუდამ და სრულყოფილი ბედნიერება კრავივით და პეპელასავით უსხლტება ხელიდან.

რით გაგიმასპინძლდეთო, ჰკითხავენ მწყემს ქალს, მაგრამ მას არა შია, მხოლოდ ვაეებთან საუბარი და თამაში მინდაო, მენატრება ვინმემ ხელი მომხვიოს და მიწასთან მიმიზიდოსო.

ამ ეპიზოდიდან მესამე შეგონება გამომდინარეობს: ვინც ამქვეყნად მიწიერს არ ეზიარება, ვერც ზეცაში ჰპოვებს ბედნიერებას.

პოეტის ეს წართული თქმები უშუალოდ მარია ვერეშჩაკისადმია მიმართული, რომელიც არც მიცკევიჩის გულისთქმას დაჰყვა და თითონაც სანთელივით დადნა სევდასა და სინანულში. მაგრამ ისინი, ამავე დროს, ღრმა და ფართო მორალურ აზრსაც შეიცავენ, — ადამიანთა ერთმანეთისაგან დამაშორებელი ეგოიზმის წინააღმდეგ არიან მიმართული, ადამიანებს შორის ერთობის, თანაგრძნობის, სიყვარულის მაღალ იდეალს გამოხატავენ.

მისანი სანოვაგეს დააწყობს ყოველ კუთხეში, კარებს გააღებს, სანთელს აანთებს, ფარდებს ასწევს და კვლავ სულებს მოუხშობს. გამოჩნდება გაფითრებული ქაბუკის. აჩრდილი. როცა შეესიტყვებიან, იგი სდუმს, საკმელს შესთავაზებენ — არ ეკარება, რა გინდაო, რომ ეკითხებიან, ხმას არ იღებს. გაბრაზებულ მისანს მისი გარეთ გაგდება სურს, ხოლო ის ადგილიდან არ იძვრის და გაოგნებული მისჩერებია ოთახის კუთხეში კუბოზე მჯდარ ძაძით მოსილ მწყემს ქალს. არავენ იცის ამ ქალის მწუხარების მიზეზი, ვის დასტირის? ჰკითხავენ და არც ის იღებს ხმას. ვაჟის აჩრდილს რომ შეხედავს, თითქოს გაციუნებას აპირებსო. მისანი ეტყვის, რას ხედავო მასში სასაცილოს და გაიფიქრებს, ეს მწყემსი ქალი უნდა იყოს ამ აჩრდილის გაოგნების მიზეზი. ქალს გაიყვანენ, აჩრდილი კი ჩუმად მიჰყვება მას. ამით თავდება „ძიადების“ II ნაწილი.

უკვე პოემის ამ ნაწილიდან ჩანს მთელი ნაწარმოების ხასიათი და ავტორის მიზანდასახულობა. მიცვალებულთა სულის მოხსენიების მთელი ეს ფანტასტიკური რომანტიკა მწერლის მიერ არჩეული ფორმაა განსაზღვრულ „იდეურ და მორალურ მისწრაფებათა“ გადმოსაცემად. II ნაწილის ყოველ ცალკე ეპიზოდს, ყოველ ცალკე გამოცხადებას, რაოდენ რომანტიკულ ბურუსშიც არ იყოს ის გახვეული, მაინც გარკვეული სოციალური და მორალური შინაარსი აქვს. პატარა ანგელოსების თუ კისკისა ზოსას თითქოსდა ჰაეროვანი უდარდელი ცხოვრებაც რაღაც სევდითაა დამძიმებული. ამ სევდას თავისი მიზეზი აქვს. ის სასჯელია მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო. ეს დანაშაული მსუბუქია, თითქოს შეუმჩნეველიც, მაგრამ ხანდახან მაინც მძიმე შედეგის მომტანი. მიცკევიჩის მიერ სადად და

მოკლედ გამოთქმულ აზრს თავისი ღრმა და დიდი სოციალური მნიშვნელობის ქვეტექსტი აქვს. მართლაც და რატომ არ არიან სავსებით ბედნიერნი პატარა ანგელოსები? რატომ არიან ისინი სიხარულს მოკლებულნი? რითაა მათი სული დამძიმებული, რომ გზას ვერ პოულობენ და ზეცას ვერ აღწევენ? — მხოლოდ იმით, რომ მათ ამქვეყნად სიმწარე არ უნახავთ, ყველაფერი ჰქონდათ, ტკბილეულობაც, თოჯინებიც, დარბოდნენ, ყვავილებს კრეფდნენ, მაგრამ სიმწარე არ უგემიათ. ჩანს, ისინი მდიდარი, უზრუნველყოფილი მშობლების შვილები არიან! ღარიბი გლეხის შვილებს კი ტკბილეულობა და თოჯინები არა აქვთ, და მიცკევიჩის სიმპათიაც იმათკენაა, ვისაც ამქვეყნიური ცხოვრება აქვს გამწარებული.

ყვავ-ყორნებისაგან გატანჯულ მებატონის ეპიზოდში წამოჭრილ თემას სოციალური უთანასწორობისა მიცკევიჩი ავითარებს და ამთავრებს მეორე ეპიზოდში, სადაც უკვე გარკვევით უპირისპირებს ერთმანეთს მებატონე^მ და გლეხებს, რომელთა სულები ღამის ფრინველთა სახით არიან გამოყვანილი. მებატონე თითქოს იმ პატარა ანგელოსების მამაა, რომელსაც შეეძლო ასეთი უზრუნველი და სვეგაუმწარებელი ცხოვრება შეექმნა შვილებისათვის, მაგრამ რით? — გლეხების ყვლეფით, მათი უბედურებით. გლეხები დამშეულები იყვნენ. — ერთმა მათგანმა, სამი დღის უქმელმა, ტყეში ორი პანტა ვაშლი მოწყვიტა, რისთვისაც მებატონემ ძაღლები მიუსია მას. გლეხი დაიპირეს, მიწაზე დააგდეს, ცემეს, მებატონე კი ყვიროდა — იმდენი ურტყით, რომ ძვალი და რბილი ერთმანეთს გაეყაროსო. და მერე რატომ? განა ის ნაყოფი ყველასათვის არ არის გაჩენილი? კითხულობს გლეხის სული და მოუწოდებს მასავით დაჩაგრულთა სულებს, შური იძიონ გულქვა მებატონეზე.

ახლა მეორე წარუდგება ბატონს საჩივრით: თავისი ბავშვით იგი შიმშილისაგან ძალაგამოღებული მილასლასდა მის კართან და მოწყალება თხოვა ბატონს, რომელსაც წვეულება ჰქონდა გამართული. განრისხებულმა ბატონმა კი (მას ჯიბეში ხელები ჩაეწყო და ოქროებს აჩხრიალებდა) ჩათარს უბრძანა, კინწისკვრით გააგდეთ ეს თავნები აქედანო; გაგვადგეს მამა-შვილი ქუჩაში და ორივეს თოვლში ამოგვხდა სულიო, — ამბობს გლე-

ხი; ახლა კი გვლვბთა სულები შეერთებულან და ისეთი სასჯელი დაუდვიათ მებატონისათვის, რომ მას ჯოჯოხეთი მონატრებია.

უდარდელ ზოსას ეპიზოდსაც, როგორც აღვნიშნეთ, ღრმა სოციალურ-მორალური პრობლემატკა მსკვალავს. ზოსა, ეს ფრთებფარფატა, კეკლუცი ასული, სხვის სიყვარულს რომ უარყოფს, თვითონაც რომ იკლებს ბედნიერებას და სხვასაც სიცოცხლეს უშხამავს, მიცკევიჩის წარმოდგენილი ჰყავს მალალი იდეის — ამკვეყნიური ან, როგორც თვითონ ამბობს, „მიწიური“ ცხოვრების პრიმატისა და ადამიანთა კეთილდღეობისათვის ზრუნვის აუცილებლობის გამომხატველ სიმბოლოდ. მიცკევიჩი უკვე თავის ფილარეტულ ლექსებშიც გმობდა საზოგადოებისაგან გამოთიშულ, კარჩაკეტილ ადამიანებს, რომლებიც არ მოკმედებენ, არ იბრძვიან, სხვებს არ ეხმარებიან, სხვისი ბედნიერებისათვის არ ზრუნავენ და კვეყნისათვის უსარგებლონი რჩებიან. ამ ეპიზოდის დევიზია იმათი უარყოფა, „ვინც კვეყნად ცხოვრობს, მაგრამ არა კვეყნისათვის“, ან ბარათაშვილის ანალოგიური თქმით რომ გამოვხატოთ, მხოლოდ იმისათვის ცოცხლობს, რომ „იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

უგულობის, სოციალური უსამართლობის და უმოკმედობის შედეგი ის არის, რომ ირგვლივ წყვიდიადი, საშინელება, ბორბობება, ტანჯვა და წვალება სუფევს. და აი ყოველივე ამის კულმინაცია: უკანასკნელი ეპიზოდი — აჩრდილი ფერმკრთალი ქაბუკისა, რომელსაც დაკოდილი გულიდან სისხლი სდის და რომელიც დგას, როგორც სიმბოლო პოლონეთის ეროვნული ტრაგედიისა.

ასე ვითარდება პოემის კვეტექსტი, რომელიც წარმოდგენს მის აზრსა და შინაარსს, საფუძველსა და ხერხემალს. მწერლის მიერ არჩეული გამოსახვის ფანტასტიკურ-რომანტიკული ფორმა, მთელი ეს წარმართული რელიგიური რიტუალი, ყველა ეს — სული და აჩრდილი, ანგელოსი და ღამის ფრინველი პოეტური მირაჟი კი არ არის, არამედ რეალური სინამდვილის, სოციალური და მორალური იდეების სიმბოლური გამოხატვის საშუალება.

პოემის IV ნაწილის მოკმედება ქსენქის ოთახშია გადატანი-

ლი. სულიერი მამა ხლამოს ლოცვისათვის ამზადებს ბავშვებს. შემოდის ქაბუკის (გუსტავის) ჩვენთვის უკვე ცნობილი აჩრდილი, რომელიც ახლა თავს განდევნის უწოდებს. ბავშვები შეშინდებიან, მიცვალებული ბოროტი სული ჰგონიათ, მაგრამ აჩრდილი ამშვიდებს მათ, მე მხოლოდ ქვეყნისათვის ვარ მკვდარიო. მან არც კი იცის, საიდან მოვიდა ამ სახლში — სამოთხიდან თუ ჯოჯოხეთიდან, — აგონდება მხოლოდ, რომ აქ უწინაც ყოფილა. ახლა ქსენძის სახლი უსაქმურობის მყუდრო ბინაა. ქსენძიც იმათ რიცხვს ეკუთვნის, ვინც „ამქვეყნად ცხოვრობს და არა ქვეყნისათვის“. მისთვის სულერთია, რა ხდება ქვეყნად, სიმშვიდეა თუ არეულობა, ხალხი გაჭირვებაში თუ არის, სიყვარულით თუ იღუპება. იგი მშვიდად ზის ბავშვებში და სხვა არაფერი აინტერესებს, გარდა „საკუთარი პატარა სახლის სიზარულისა“. მას არც სიყვარული აწუხებს და ამითაც ბედნიერია: დღისით წყნარადაა, ღამითაც მშვიდად ძინავს. მაგრამ მან არ იცის და ვერც გაიგებს, თუ როგორი ცეცხლი ანთია განდევნილის გულში, — „მარადიული ცეცხლი“, რომელიც „ლითონს ალღობს, ქვას ადნობს და სულ უფრო ძლიერდება“.

ბავშვები გათამამდებიან და დასცინიან გუსტავს, რომელიც საფრთხობელას, ჩონჩხივით გამხდარს და ძონძებით შემოსილ მაწანწალას ჰგავს. გუსტავი ჰყვება ბავშვების გასაფრთხილებლად, რომ როცა ის ახალგაზრდა იყო, სოფელში მასავით უბედურ ღამაზე ქალიშვილს შეხვდა, რომელსაც ყველანი დაედევნენ, კაბაზე ხელს ავლებდნენ, თვალებში თითს ჰკრავდნენ, დასცინოდნენ და ხარხარებდნენ. მეც მხოლოდ ერთხელ გამეცინა და აი ამისათვის ვარ ახლა დასჯილიო. მაგრამ რა ვიცოდი, მეც იმ საცოდავ ქალს დავემსგავსებოდიო — ამბობს განდევნილი.

აბელიარის ელოიზასა და ვერთერიდან განდევნილის საუბარი უცნობ ასულზე გადადის, რომლის სახელსაც ის ჯერ არ ახსენებს, მაგრამ რომელსაც ჩვენ უკვე კარგად ვიცნობთ.

მკითხველი ალბათ ამჩნევს, თუ კვლავ როგორ შემოდის პოემაში მარილას თეთრი აჩრდილი. განდევნილმა არ იცის, რად შეუყვარდა მას ეს ქალი ასე ძლიერ, ან რა დანაშაული მიუძღვის მის წინაშე. იქნებ ის, რომ სიყვარული შეჰხვდა, ან თვალებში შეხვდა იმას, ვინც მასზე არ იყო დანიშნული, მაგრამ

მისი სული ზომ ღვთაებრივ სიყვარულს ეძებდა, იდეალურსა და აღმაღლებულს, იმას, რაც ამქვეყნად თურმე არ არსებობს. გუსტავის ფანტაზია პოეტების მიერ მოგონილ სივრცეში ეძებდა თავისი ცხოვრების იდეალს. მთელი მსოფლიო მოვლო და ეს იდეალი აქ, ამ ქალაქში იპოვა, რათა ისევ სამუდამოდ დაეკარგა. მარტო დარჩნენ ის და მისი იღუმალე მეგობარი, რომელიც ახლა თურმე გარეთ ქარსა და ყინვაში დგას და იცდის. განდევილი თხოვს ქსენძს, ნება მისცეს ამ თბილ ოთახში შემოიყვანოს თავისი თანამგზავრი და ყველას გასაოცრად შემოაქვს კვიპროზის ტოტი.

ეს ტოტი მისი განუყრელი მეგობარია, „მისი სევდიანი სულის დევიზი“, გამოთხოვების მოსაგონარი. ეს ის ტოტია, მარილამ რომ გაუწოდა მიცკევიჩს ტუხანოვიჩში ქორწინების წინ გამომშვიდობებისას და რომელსაც მიცკევიჩი ყველგან თან დაატარებდა. ამ ტოტს მოგონება ახლავს თან, მოგონება იმ საბედისწერო ღამისა, როცა იმ ასულმა უკანასკნელი „მშვიდობით“ უთხრა. ესლა დამრჩაო, ამბობს განდევილი, ახლა მეგობრად, ის არისო ჩემი გულის მესაიდუმლე, მას არ მოსწყენიაო ჩემი ოხვრა და გოდება. თუ გინდა მარტო დაგტოვებო და თვითონ დაელაპარაკეო, — ეუბნება განდევილი ქსენძს და ტოტს თხოვს, შენ უამბე, თუ როგორ ვღვრიდი ცრემლებს განშორების გამო, როგორ ჩაგრგე ქვიშაში და გრწყავდი ცხარე ცრემლებით, როგორ იზარღე და ამოიყარე ყლორტები და როგორ ვნატრობდი, რომ სევდით მოკლულს მის ნაწნავთა ჩრდილი დამცემოდა საფლავზე.

ღმერთი მოგიტევებს ცოდვებსო, ეუბნება ქსენძი, მაგრამ განდევილს მაინც არ ესმის, რა ცოდვა აქვს ჩადენილი. ნუთუ უმწიკვლო სიყვარული შეცოდებაა, განა სიყვარული თვით ღმერთმა არ შექმნა? მისი ნება არ იყო მათი დაახლოება? მაგრამ ვერ შევერთდითო, ამბობს ის, ჩვენს სულებს კი კავშირი არ გაუწყვეტიათ, ახლაც ერთ ორბიტში დასრიალებენ და სევდისაგან განთავისუფლებულნი ალბათ ოდესმე სულეთში შეხვდებიანო ერთმანეთს.

შემდეგ განდევილი წარმოთქვამს შესანიშნავ ლირიკულ მონოლოგს, რომელშიც კაუნასელი ვერთერის ცხოვრების ერთ

ეპიზოდს გადმოსცემს. ერთხელ მარია ვერეშჩაკმა წერილი მოსწერა: დამივიწყე, რადგან ჩემი მოგონება სულს გიშფოთებს და ჯანმრთელობას გირღკვესო. ეს მოგონება-მონოლოგი ამ წერილის ეხია ალბათ. განდევნილი იგონებს, რომ შემოდგომის ერთ საღამოს, ტუხანოვიჩიდან გამგზავრების წინ, ბაღში დახეტილობდა. ბუნებაც მის აფორიაქებულ ფიქრებს ჰგავდა მაშინ; მიწაზე თეთრი ბურუსი იყო გაწოლილი, ცა მოიქუფრა, ღრუბლებს შორის საცოდავად დაფარფატებდა ნამგალა მთვარე, ვარსკვლავები უკუნეთში ჩაიძირნენ და მხოლოდ ერთი ცთომილი ვარსკვლავიდა კიაფობდა მის თავზე. ბნელ ხეივანში გამოჩნდა იმ ასულის თეთრი აჩრდილი. იგი თვალებდახრილი და სევდიანი იდგა გუსტავის წინაშე. „მიედივარო“ უთხრა ვაჟმა. „კარგად იყავი, დამივიწყეო“, მიუგო ქალმა. ქალის ეს სურვილი სასაცილოდ ეჩვენა ვაჟს: „განა შეიძლება ასეთი ბრძანების შესრულება!“ გაკვირვებული მიმართავს იგი მარილას, „აბა შენს აჩრდილს უბრძანე მოგშორდეს და მუდამ ნუ გდევს თანო; არა ვერ დაგივიწყებო“ — ამოიკვნესა ვაჟმა, ხელი მოხვია და მათი პირველი ამბორი ორი სხივის შეერთებას ჰგავდა. თითქოს ორი ფანდურის¹ ჰაეროვანი ბგერები გაერთიანდა, ორი სული. ზეცა მიიბნინდა და დედამიწა დამსხვრეულ ტალღებად გაწვა მათ ფეხქვეშ¹. „მშვიდობითო“ — წაიჩურჩულა, კვიპაროზის ეს ტოტი გადმომცა, კიდევ ერთხელ გაიციალა ხეივანში და გაქრა, ჩემთან კი დარჩაო სიბნელე, მარტობის სევდა და კვიპაროზის მოტეხილი ტოტი — იგონებს აჩრდილი.

ეს მოგონება კიდევ უფრო აშმაგებს განდევილს. მისი გონება დაფანტულია, სიტყვები დაბნეული, ქადაგება — გენიალური პოეტურა ბოდვა. უძილო ღამის ზმანებას ჰგავს გუსტავის წარმოსახვაში მორიალე ბნელი სახეები; ისინი ურჩხულივით იზრდებიან, არდევვენ პირადი უბედურების ფარგლებს, მსოფლიო სევდას ერთვიან და სოციალური შინაარსით ივსებიან. ქვეყნად უსამართლობა რომ მოისპოს, გუსტავის მხურვალე ფანტაზია მოუხმობს ზღაპრულ გმირს, რომელიც ძირს დასცემს ურჩხულს, მეფეებს მოჰგლეჯს თავიდან გვირგვინებს,

¹ აქ გამოყენებულია ადგილი შილერის ლექსიდან „ამალია“.

შემუსრავს დესპოტურ დინასტიათა ტახტებს, და მწყემსის კომბალს აქცევს მსოფლიო ძალაუფლების სამეფო კვერთხად.

ასე გადადის მიცკევიჩთან პირადი და ინტიმური საერთო, ზოგადსა და სიმბოლურზე. სულის სევდიანი შფოთვა ტიტანური ძალის პროტესტად იქცევა, დათრგუნვილი სიყვარულის გოდება — დიდი სოციალური აზრის მოწოდებად და ასე მალღდება იგი როგორც თავისი ეპოქის ყველაზე მოწინავე აზრების ერთ-ერთი უძლიერესი მქადაგებელი. ქეშმარიტად, მიცკევიჩამდე ასე არავის არ უმღერია, არავის მოუწოდებია ხალხისათვის ასე ძლიერად მწყემსის კომბალით შეეცვალათ სამეფო კვერთხი.

ამის შემდეგ პოემაში კვლავ იწყება სიყვარულის ლირიკული მელანქოლია. განდევილი იგონებს მარილას ჩვენთვის უკვე ნაცნობ პორტრეტს და თავის მიერვე დაგმობილი მოკრძალებით ამბობს, რომ ვერ გაბედავს უბრალო სუნთქვითაც კი შეეხოს მის დაუცველ ტუჩებს; რომ დაწოლის წინ მთვარის შუქზე ისე არ გაიხსნის საყელოს, რომ კვიპაროზის ტოტი არ ააფაროს მის თვალებს.

აქ მიცკევიჩის ლექსი ისევ დინჯად ჟღერს, ისევ ნაზი და ჰაეროვანია მისი ბგერები. ისევ სევდის ბურუსი, მთვარეულის მსუბუქი მოძრაობა და განდევილის ფიქრთა უწესრიგო მოზღვაება. ეს ფიქრები შავი ღრუბლებივით მძიმედ მოძრაობენ, ვარსკვლავები ღამის მრუბე ფონში იძირებიან და თვალშეუღვამი ბნელეთი ეშვება დედამიწაზე...

მაგრამ განდევილი კვლავ გამოფხიზლდება, მის გონებას ბურუსი გადაეცლება, მოგონებები ისევ აეშლებიან და ის უამბობს ქსენძს, თუ როგორ ინახულა დედის სიკვდილის შემდეგ თავისი გაპარტახებული კარმიდამო, სადაც ერთგული ძაღლის მეტი არავინ დახვედრია. გუსტავმა მაშინ ის ბალიც ნახა, რომელშიც მარილასთან ერთად ხშირად უსეირნია, იმ ცაცხევის ხეივანსაც გაჰყვა, სადაც ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, და იმ ფანჩატურთან შეჩერდა, სადაც ერთმანეთს განშორდნენ.

შემდეგ იგი თავისდა უნებურად მიდის იქითკენ, სადაც გაჩირალდნებული სასახლე დგას, გარშემო ეტლები მოძრაობენ, მსახურები დაფუსფუსებენ, განათებულ დარბაზებში სტუმრე-

ბი ირევიან, მაგიდა გაშლილია. „დღეგრძელი იყვენო“ — ამ-
ბობს ვილაც და ამ სიტყვებს ყველანი იმეორებენ... ახსენეს
ერთი სახელი... ახსენეს მეორეც... გუსტავის გონებას თითქოს
შავმა ღრუბელმა გადაუარა... წამოიშალნენ კოშმარული მოგო-
ნებანი... ციდან დაეშვა ღუმლის ფარდა... და ვილაცამ, იქნება
იმან... დიად, შეიძლება იმანაც... „დიდად გამდლობთო“ წაი-
ჩურჩულა... და გონწასული ქაბუკი პირქვე დაემხო დედამი-
წაზე.

ასე განმდევნა სიკვდილის ანგელოსმა სამოთხიდანო, ჰყვე-
ბა გუსტავი. ამას მოსდევს ტანჯვისა და სიყვარულის მძაფრი
კონტრასტი: იქ ქორწილი და მხიარულებაა, აქ კი პირქვე დამ-
ხობილი მიჯნურის უნუგეშო ქვითინი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბურუსმა ისევ გადაიყარა. გონმიხ-
დილი ვაჟი ფეხზე წამოდგა. მის სიტყვებში ლითონის ქლერა
გაისმა და სიყვარულის მგოსანმა, ტუჩებზე მუდამ ია და ვარდი
რომ ეფინა, დასწყევლა ის, ვინც უყვარს, ვისი სიტურფე ანგე-
ლოსებსაც კი შეშურთ, მაგრამ ვინაც ოქროსა და ბრწყინვალე-
ბაზე ჰყიდის ყველაფერს.

მაგრამ იმდენად დიდია გუსტავის სიყვარულის ძალა, რომ
თუნდაც ანგელოსზე და პოეტის ოცნებაზე უფრო მშვენიერი
მზეთუნახავი მოჰგვარონ, მას მაინც ურჩევნია თავისი უგულო
სატრფოს შეხედვაც კი. იმ ასულს ქვეყნის სიმდიდრე რომ მოჰ-
ყვეს, ოქროს მდინარეები ან სამოთხის სრული სიტკბოება, ან
თუნდაც მთელი სამეფო ცისა, და მან იმ სიცოცხლის უმცირე-
სი ნაწილი რომ თხოვოს, რომელსაც გუსტავი მთლიანად თა-
ვის გულისსწორს სწირავს, იგი ერთი წამითაც არ გაუყოფდა
მას ამ სიყვარულს.

ასე გრძელდება სიყვარულის ღალადისი, ვიდრე მის გულ-
ში კვლავ ბოლმა არ დაგუბდება და იგი სატანური სიძულვილით
შეპყრობილი არ შესძახებს:

დიდებულო ბატონებო, ბედის დასაციანად საქორწილო
საღღეგრძელოსათვის მე თვით შეგვისებთ სასმისებს ღვინით,
შენ კი, მახინჯო გომბიოვ, გვირგვინს მოგხდი თავიდან და სა-
ხრჩობელის ყულფად წაგიქერ ყელზე. მოვდივარ! ხელს და-
გავლებ და ჯოჯოხეთის ალში გადაგასერი ვით ჩემს საკუთ-

რებას“. აქ იძრობს იგი მახვილს, მაგრამ განა მას ძალუძს ეს ჩაიღინოს? ის ხომ მაშინ უფრო ბოროტი უნდა იყოს, ვიდრე უბოროტესი სატანა. არა, ის ამას არ იზამს, მახვილს ისევ ჩააგებს და იტყვის:

დაე სინდისის მახვილმა განგმიროს იგი. მე კი არც არავის მოვკლავ, არც არავის დაეჭრი, მშვიდად შევალ იმ სასახლეში და ყურს დაუვადებ, როგორ წარმოსთქვამენ სადღეგრძელოებს ოქროქსოვილით შემოსილი ვიგინდარები. შევალ 'ამ ტოტით, ტალახითა და ბლახ-ბულახით შეგლესილი თმებით, შევალ ამაყი და დაუდგები იმათ სუფრასთან. ყველანი გაოცდებიან. ჩემსკენ წამოვლენ, ჩემს სადღეგრძელოს შესვამენ—და დაბრძანდითო, მეტყვიან თავაზიანად; მე კი საღ კლდესავით ვიქნები გაჩერებული და მათ ყბედობას მხოლოდ დუმილით ვუპასუხებ. დარბაზში ცეკვა იქნება, დეზების ქლარუნი, ეპოლეტების ელვარება, მეც მიმიწვევენ, „გამხიარულდითო“ მეტყვიან ალბათ. ჩემი პასუხი იქნება — არცერთი სიტყვა. შემდეგ ის მოვა ანგილოსის სიტურფით სავსე და მომმართავს: „ჩემო, ვინც არ უნდა იყო, შენ ძვირფასი სტუმარი ხარ ჩემთვის, მითხარი მხოლოდ საიდან მობრძანებულხარ?“ ჩემი პასუხი ისევ დუმილი დარჩება. მკითხავს, რა გქვიანო, და მე მაინც დუმილით ვუპასუხებ.

მდუმარედ გაეგმირავ გველის სიძულვილის შხამით აღსავსე თვალებით (თვალი ხომ გველივით გესლავს), ჯოჯოხეთის ალად მოვედები მის ლამაზ თვალებს, გულში სამუდამოდ ჩავრჩები, დღეს მოვეუწამლავ და ღამით ზმანებას დავურლვევ.

მაგრამ ამაოა გუსტავის ეს ქადილიც. ეს ხომ მის ბუნებას არ ძალუძს. მისი სულის სინაზე ქარიშხლად ვერ გადაიქცევა. მის მოყვარულ გულს სატანა ვერ დაეუფლება. დაწყნარდება ეს გული, სევდა წაიღებს და კვლავ სიყვარულით ამეტყველებს: ო, არა, ჩემი სატურფო ხომ სუმბულივით ნაზია, სამიშნია დილის ცვარიც კი რომ შეეხოს მას, მცირე მოძრაობაც აღელვებს იმას და სულს უშფოთებს უხეში ბგერა. მისი სიხარული უმალ ჩაქრება, თუ ჩემს გულს სევდის აჩრდილი შეეხო; ჩვენ კარგად გვესმის ერთმანეთისა, ერთი რომ იფიქრებს, მეორე ხვდება. ორთავენი ერთ წრედ ვართ ისე მჭიდროდ შეერთე-

ბულნი, რომ ჩემს სულში აღძრული გრძნობა უმაღლესი იმის გულამდე აღწევს, უკან მიბრუნდება და კვლავ ჩემს თვალებში აკიაფდება, — თითქოს სარკეში აირეკლაო. ვერა, ვერ შევეძლებ დავარღვიო მისი სიმშვიდე, მსჯავრის ნიღაბით ვერ დავფარავ სანატრელ სახეს. ან რა საბაბი მაქვს მსჯავრისდებისა, განა რა ჩაიდინა მან ასეთი? რა დააშავა ჩემს წინაშე? იქნებ თვალს მიხვევდა? მაგრამ რითი? რა შემპირდა? ან იქნებ თვალთა შუქით მიგებდა მახეს? ო, ანა, არც სიზმრად და არც ცხადად. მე თვით ვკვებავდი ჩემს სისულელეს. თვით დავამზადე შხამი და თვით მოვიწამლე. მაშ რაღას ვშმაგობ? რა უფლება მაქვს? რას წარმოვადგენ? მე ხომ არც ჩინი გამაჩნია, არც ღიღება და პატივი. სიყვარულიდა მბაღია კუბოს ფიცრამდე. მე ეს მესმის და ამიტომ არც კი მიცდია მომეპოვებინა მისი თანაგრძნობა. ახლოს ყოფნა მინდოდა მხოლოდ — შებინდებისას მომეკრა თვალი და კვლავ მეხილა გარიჟრაჟისას.

გუსტავის მონოლოგი გრძელდება, „ძიადების“ IV ნაწილი დასასრულს უახლოვდება. მიცკევიჩი კი ვერ დასტოვებს თავის გმირს — მარილას ხატების წინ დამხობილს. ის მაშინ მიცკევიჩი აღარ იქნება, და პოემაში კვლავ იქრება მაჟორული ტონი. გუსტავი წყლში გაიმართება. სევდისაგან იბადება ძალა და პროტესტი. მას უკვე აღარ სურს მოწყალება და, რაც მთავარია, „შეგნების უკანასკნელი ნამცეცის“ დაკარგვა. ის ამაყია, ამპარტავანიც და არ შეჰფერის მუდამ სამოწყალოდ იყოს ხელგაშვერილი. და აი ჩვენს თვალწინ კვლავ მალღდება პროტესტანტი და მუამბოხე, რომელმაც შეგნების ალაში აღმართა და ხელის ერთი ზონით უარყო სიყვარულის შაქარყინული.

და ახლა ის ასე მიმართავს ქსენძს: თუკი კვლავ შეგზვდა ის ასული თუ დედაკაცი, და გვითხა როგორ მოვეკედი, ასე უთხარი—არ მოჰკვდარა-თქო დარღისაგან გულგახეთქილი, ვნახეთქო ლოყებლადეა, სახემცინარი, სულაც არ ახსოვდა-თქო გულის სატრფო და უყვარდა-თქო ბანქოს თამაში, ღვინის სმა და ცეკვა-ტრიალი.

მახვილი გაიღვებს. გუსტავი გულში დაიცემს ხანჯალს. ქსენძი შეძრწუნებულია, მაგრამ გუსტავი ამშვიდებს: ნუ გეშინია, მე მხოლოდ ის გიჩვენე, რაც დასაწყისში იყო; ეს უცნაუ-

რი მახვილი სხეულს არა ჰკლავს, ის მხოლოდ სულს გმირავს სასიკვდილოდ, ჩემი სული კი უკვე ორჯერ გაგმირა ჯაღო მახვილმა, — ორმა თვალმა ქალისამ.

და გუსტავის ფიქრი ინტიმურიდან კვლავ საზოგადოებრივზე გადადის. ის მოითხოვს ქსენძისაგან აღადგინოს ძიადების წარმართული წეს-ჩვეულება და ნაწარმოების ქვეტექსტში კვლავ აღედრება სოციალური მოტივი. გუსტავი ამბობს, რომ მსახურის ერთი ცრემლი უფრო ძვირფასია, ვიდრე ფარისევლური ნეკროლოგები, მოსყიდულთა ბრბო და სამგლოვიარო კატაფალკები. ხალხის მიერ დანთებული სანთელი გროშად ღირს, მაგრამ უფრო ძლიერ ანათებს, ვიდრე ცრუ პანაშვილებზე ფარისევლურად ანთებული ათასი ქალი და თუკი გლეხები საფლავზე ერთ მუჭა ფქვილს დაყრიან, ხაქოსა და ტკბილ თაფლს მიიტანენ, სულს ეს უფრო შეერგება, ვიდრე ყველაზე დიდებული მეჯლისი, რომელსაც მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად იხდიან ღრუბელივით მოჯარებული მემკვიდრეები.

აქ ისევ მოსჩანს მიცკევიჩის „მწყემსის კომბალი“, რომელმაც სამეფო კვერთხი უნდა შეცვალოს. ავტორი ისევ უბრალო ადამიანებს მოუხმობს, მდიდრებსა და ოქრო-ვერცხლით მოკვდილ ბლენძებს ქირდავს და არისტოკრატიული საზოგადოების წინაშე ისევე დგება ბრალმდებელივით, როგორც გუსტავი იდგი ამაყი და თავაწეული მარილას ქორწილზე თავმოყრილი მუქთახორების წინაშე.

მიცკევიჩი აღიდებს შრომასა და მშრომელს. ის ეკამათება ქსენძს. რომელსაც სამყარო უსულო ჩონჩხი ჰგონია. მაშ ვინ მოიყვანაო მოძრაობაში ამდენი საიდუმლო შენაერთი? ვინ არისო ამის ექიმი? ან იქნებ გგონიათ ამ ქვეყანაზე ყველაფერს საათივით სასწორი ამოძრავებს? — ამბობს ის და წარმოთქვამს რამდენადმე ბუნდოვან, მაგრამ დიდებულ სიტყვებს: „თქვენ გონებამ გიჩვენათ ზამბარები და ბორბლები — გასაღებიანი ხელები კი ვერ შენიშნეთო“. რას უნდა ნიშნავდეს ეს ხელები, რომელთაც გასაღები უჭირავთ? ალბათ საქმეს, შრომას. მიცკევიჩი აქ გოეთეს მსგავსად უნდა ამბობდეს, რომ „პირველადვე აყო საქმე“.

ასევე საინტერესოა გუსტავის საუბარი ფარვანებთან. ფრთოსანთა ეს გუნდი სადღაც წყვილიადის მიჯნაზე იმყოფება. სიცოცხლეში ისინი აქრობენ ქვეშარიტების სხივებს, ხოლო საშინელი სამსჯავროს წინაშე წარმდგარნი წყვილიადში იძირებიან. განგების განჩინებითვე ფარვანის სული, რომელსაც სინათლეს სძულს, სინათლისაკენ უნდა მიისწრაფოდეს. ეს მათი დანაშაულის მკაცრი შურისგებაა. მაგრამ რა არის ამ სიმბოლოს აზრი? ვინ არიან ეს ფარვანები, „რომლებიც ქვეშარიტების სხივებს აქრობენ?“ მოუხსმინოთ გუსტავს: „აი ეს ფარვანა, ასე გამოკოპწიავებული რომ არის, სიცოცხლეში პატარა მეფე იქნებოდა, ან მდიდარი პანი. მისი სიმდიდრის გაშლილი ფრთები ჩრდილად ეცემოდა ქალაქებსა და სოფლებს, ხოლო ეს მეორე დაგრეხილი და შევტრუხა ცენზორი¹ იყო, ჯიუტი, რეგენი და უთავბოლო; ის თავს დასტრიალებდა ხელოვნების მშვენიერ ყვავილებს, ჰქირდავდა სილამაზეს, აღმაღლებულ გრძობას. ის ყველაფერს ღუპავდა, რასაც კი თვალს მოჰკრავდა, შხამიანი ხორთუმიტ ნესტრავდა წმიდა მშვენიერებას, მეცნიერების მარცვალს კი ჩანასახშივე სპობდა.

ესენი კი, ბზუილით სიბნელეში რომ დაფარფატებენ — დიდგვაროვანთა მლიქვნელებია, კალმით მოვაქრე მწერლუკანები, საითყენაც უბრძანებს მათ ბატონის ხმა, ისინიც იქითკენ მიფარფატებენ რაიმეს გასაფუქებლად, კეთილი აზრის ნათესს ძირშივე სპობენ, რათა ყლორტებმა კვლავ არ იყაროს...“

ფარვანები ცდილობენ მოსპონ სინათლე, მაგრამ სინათლეშივე იღუპებიან. აქ მიცკევიჩი წარმოგვიდგება, როგორც სოციალური უსამართლობის მამხილებელი, მებატონეების, მეფეების, მათი მოხელეების, მლიქვნელების და ცრუ მოკალმეების წინააღმდეგ მებრძოლი, ხალხის, უბრალო ადამიანების შრომისა და მშრომელების დიდი დამცველი.

„ძიადების“ მეოთხე ნაწილი მიცკევიჩის ჭაბუკობის პერიოდის უკანასკნელი ნაწარმოებია. ეს ჯერ კიდევ არ არის მისი

¹ კომენტატორები აღნიშნავენ, რომ აქ მიცკევიჩი გულისხმობს ვილნიუსელ ცენზორს ქსენი კლონევიჩს, რომელიც აბრკოლებდა მიცკევიჩის პირველი ლექსების კრებულის დაბეჭდვას.

შემოქმედების მწვერვალი. პოეტი კვლავ ზევით მიიწევს და რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ვაჟკაცდება მისი ხმა.

ამის შემდეგ თითქოს „ძიადების“ სხვა ნაწილები უნდა განგვეხილა, მაგრამ ეს შეუძლებლად მიგვაჩნია; როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიცკევიჩის შემოქმედების ცალკეული ეტაპები მკიდროდ არის დაკავშირებული მისი ცხოვრების საფეხურებთან, და თუ მიცკევიჩის ცხოვრების ამ ახალ, მნიშვნელოვან საფეხურს არ გავეცანით, ძნელი იქნება „ძიადების“ დანარჩენი ფრაგმენტების გაგება.

X

ფილარეტების მოძრაობამ პოლიციის ყურადღება მიიპყრო, ჯერ ჩუმი ძიება დაიწყო, თვალთვალი, ჯაშუშური ქსელის გაბმა. ამ ძიებას პირუწაარდნილი შოვინისტი და რეაქციონერი ნოვოსილცევი ხელმძღვანელობდა. დაიწყო სასტიკი რეპრესიები. ამის საბაზად გამოიყენეს ვილნიუსის გიმნაზიაში მომხდარი შემთხვევა. აქ ვილაცამ მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი სიტყვა „გაუმარჯოს კონსტანციას!“ ასე გადაასწორა: „გაუმარჯოს კონსტიტუციას!“ შემდეგ სხვაგანაც გაჩნდა მსგავსი წარწერები: „გაუმარჯოს კონსტიტუციას, ძირს დესპოტები“, და ეს იმ დროს, როცა ალექსანდრე პირველი და მისი ერთგული დამკავებები — დიდი მთავარი კონსტანტინე და სენატორი ნოვოსილცევი ძირს უთხრიდნენ მეფის მიერვე დამტკიცებულ 3 მაისის კონსტიტუციას და პოლონეთის სამეფოსა და დემოკრატიული თავისუფლების გამოვლენის ყოველგვარ ნიშანწყალს სპობდნენ.

მალე ნოვოსილცევის განკარგულებით დაპატიმრებებიც დაიწყო. 1823 წელს 23/24 ოქტომბერს ღამით შეიპყრეს ადამ მიცკევიჩიც და სახელდახელოდ ციხედ გადაკეთებულ ბაზილიკურ ეკლესიაში მოათავსეს.

„ძიადების“ III ნაწილის წინასიტყვაობაში მიცკევიჩი წერს, რომ ნოვოსილცევს სურდა ეს საზოგადოება, რომლის მიზანი „მშობლიური ენისა და ეროვნული კულტურის დაცვა“ იყო, მეფის საწინააღმდეგო აჯანყებად წარმოედგინა. მან რამდენიმე ასეული ახალგაზრდა დააპატიმრა და სამხედრო ტრიბუნალი შექმნა მათ დასასჯელად... ნოვოსილცევი იყო ერთსა

და იმავე დროს ბრალმდებელიც, მოსამართლეც და ჯალათიც. მან დახურა სკოლები ვილნიუსში და მოწაფეებს მიუსაჯა „სამოქალაქო სიკვდილი“, — აუკრძალა სადმე სხვაგან სწავლა ან სამსახურში შესვლა. მრავალი სტუდენტი გაიგზავნა ციმბირსა და აზიის გარნიზონებში.

ცხოვრებამ ერთბაშად ჩააბა მიცკევიჩი პრაქტიკულ ბრძოლაში, რომლისაკენ ასე გაცხარებით მოუწოდებდა იგი ფილარეტების საზოგადოებას. პოეტში დიდი გარდატეხა მოხდა. უნუგემოდ შეყვარებული ვერთერი თავისუფლებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში ჩადგა. ციხის საკანში მან ასეთი მნიშვნელოვანი წარწერა გააკეთა: **ქ მოკვდა გუსტავი და დაიბადა კონრადი“.**

დაპატიმრებულები მიცკევიჩის საკანში გროვდებოდნენ ღამლამობით და გათენებამდე აგრძელებდნენ საუბარს. მიცკევიჩი ხშირად გამოდიოდა ტუსალი მეგობრების წინაშე იმპროვიზაციით. ფილარეტების ვაქცაცური მოქცევა სატუსალოში დაკითხვის დროს ამტკიცებს, რომ ისინი საკმაოდ იყვნენ მომზადებულნი ბრძოლისათვის. მათ გაუძლეს პრაქტიკულ გამოცდას, კარგად ეჭირათ თავი დაკითხვებზე და მიუხედავად მუქარისა და ზოგჯერ წამებისაც, სულმდაბლობა არავის გამოუჩინია.

მიცკევიჩი ლელეველის შუამდგომლობით და თავდებობით გაათავისუფლეს 1824 წლის აპრილში. ჩეჩოტი და ზანი კვლავ ციხეში იყვნენ. ადამი ვილნიუსში მოეწყო კაროლინა კოვალსკას დახმარებით. მარილასაც მიაწვდინა ხმა ტ. ზანის მეშვეობით. მარია პუტკამერის სანტიმენტალური და ოდნავ არტისტიკული წერილები ახლა უკვე აღარ მოქმედებდნენ ისე ძლიერად მიცკევიჩზე. იგი გარდაიქმნა ციხეში, მომწიფდა პოლიტიკურად, და უფრო გარკვევით იგრძნო თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე. ამიტომ წერილის ნაცვლად ციხეში დაწერილი ლექსი „ახალი წელი“ გაუგზავნა მარილას. ეს ლექსი იმითაა საინტერესო, რომ კარგად გამოხატავს ავტორის განწყობილებას პატიმრობის დროს. თვითონ პოეტი აღნიშნავს, რომ ის დაწერილია გერმანული მწერლის ყუან-პოლ რიხტერის მიბაძვით. პოეტი მიულოცავს მარილას ახალ წელს, რომელიც ზღაპრუ-

ლი ფენიქსივით ხელახლად იშვება და თავის თავს ჰკითხავს, თუ რას ისურვებდა მომავალ წელიწადს.

მხიარულებას? არა! მან უკვე იხილა ელვის გაელვება ცის ტატნობზე, მაგრამ იგი გაჰქრა და გარემო უფრო საშინელმა წყვილიადმა მოიცვა, ააჯერ უფრო საშინელმა, ვიდრე სამარის სიბნელეა.

სიყვარულს? — ვიგემო სიყვარული, მაღალი ოცნება, სა-მოთხის ხილვა, მაგრამ ცის სიმალიდან ძირს დამანარცხეს და მაგრძნობინეს დაცემის სიმწარე და ტკივილი. არა, არ მინდათ მე სიყვარული.

მეგობრობას? — ესეც წარმავალიაო და ისურვებს ციხის სა-კანში დარჩეს სამუდამოდ, იწვეს მუხის ხმელ ნარზე, როგორც სიკაბუკის წლებში, მხოლოდ ოცნებები შერჩეს, უყვარდეს ხალ-ხი, უყვარდეს მთელი ქვეყანა „მოშორებულს ამ ქვეყნისაგან“.

საპატიმროს შთაბეჭდილებანი ასახა მან ლექსში „ადამ სუ-ზინს“¹. ის ხოტბას ასხამს თავისი ფილარეტელი მეგობრის, სუზინის სიმტკიცეს, რომელსაც ვერ აშინებდა ბორკილები და რაკი ერთხელ აჯანყდა; აღარც დანებდა. ის მზად იყო მეგო-ბრებისათვის გაეწირა თავი. ასე ამაყად დუმილი მხოლოდ სუა-ზინს შეეძლო, ამბობს მიცკევიჩი. ეს სუზინი და მიცკევიჩის უახლესი მეგობრები ჩეჩოტი და ზანი ერთად გადაასახლეს ორანიენზურგში. მიცკევიჩიც უცდიდა თავის რიგს. შეწყალე-ბის იმედი არავის ჰქონდა. ეს უღმობელი რეაქციის პერიოდი იყო. ალექსანდრე I, რომელიც პოლონეთის სამეფოს ჩამოყა-ლიბების დროს იძულებული იყო ლიბერალური კონსტიტუცი-ის დამტკიცებაზე დათანხმებულიყო, ახლა თვითვე ცდილობდა გაეუქმებია კონსტიტუციური უფლებანი და პოლონეთის სამე-ფო მთლიანად რუსეთის იმპერიისათვის შეეერთებინა.

ნოვოსილცევის აღვირაზნილი თარეში და პოლონური პა-ტრიოტული ორგანიზაციების დარბევა კიდევ უფრო აძლიე-რებდა მოძალადეთა მიმართ წინააღმდეგობას. კვლავ დაიწყო მოქმედება „ნაციონალურ-პატრიოტულმა საზოგადოებამ“,

¹ ფილარეტებს ორგანიზაციის წევრი ადამ სუზინი მიცკევიჩთან ერთად იჯდა საკანში.

რომელსაც მეფის მთავრობის მიერ დაპატიმრებული, ნაწამები და შლისერბურგის ჯურღმულეებში სულამომხდარი ვალერიან ლუქასინსკის ნაცვლად ახლა პოლონელი პატრიოტი პოლკოვნიკი სევერიან კრეჩიანოვსკი ედგა სათავეში. ამ საზოგადოებამ კავშირი დაამყარა რუს დეკაბრისტ რევოლუციონერებთან — ბესტუჟეევ-რიუმინთან და მურავიოვ-აპოსტოლთან.

მიცკევიჩი ამ განწყობილებით ცხოვრობდა. ის ციხეში გამოიწრთო და ახლა მოქმედების უფრო ფართო პროგრამით გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე.

1824 წლის 22 ოქტომბერს მიცკევიჩს წინადადება მისცეს ორ დღეში დაეტოვებინა ვილნიუსი და გამგზავრებულიყო პეტერბურგს. 24 ოქტომბერს მიცკევიჩი, მალეესკი და იუზოვსკი რუსეთში გაემგზავრნენ. ფაქტიურად ეს გადასახლება იყო. ამის შემდეგ მიცკევიჩს არასოდეს აღარ უხილავს თავისი სამშობლო.

მიცკევიჩი შიშით მიდიოდა შორეულ მხარეს. ის ფიქრობდა, რომ მისდამი მტრულად განწყობილ ხალხში მოხვდებოდა. მან რა იცოდა, რომ რუსეთში თავისუფლებისათვის მეტბრძოლ პოეტს მეგობრულად გაუწვდიდნენ ხელს რუსი ხალხის საამაყო შვილები — პუშკინი, რილევი, ბესტუჟევი და სხვები.

ვილნიუსიდან გადასახლების დროს მიცკევიჩი უკვე სახელმძღვანელო პოეტი იყო. მის შესახებ სტატიებს ვარშავაშიც წერდნენ. ზოგნი, მართალია, თავს ესხმოდნენ ახალგაზრდა პოეტს, მაგრამ დამცველებიც ბევრი ჰყავდა. ასე მაგალითად, ცნობილი პოლონელი კრიტიკოსი მ. გრაბოვსკი სწერდა ბ. ზალევსკის: „მასში ჩანს გენიოსი, რომელმაც დაამსხვრია თავისი დიდი ხნის ბორკილები და ახალგაზრდული გატაცებით გაეშურა მეორე ნაპირისაკენ“. ერთ-ერთი მისი თანამედროვე წერს შემუარებში: „მიცკევიჩი მაშინ ახალი მოვლენა იყო. თავისი ნაწარმოებებით ის მაშხალასავით ავარდა ბრბოს ზემოთ და ჩაუქრობელ ვარსკვლავებად გაიშალა. ზოგმა გაიგო ეს არაჩვეულებრივი მოვლენა, სხვებმა ჯერ კიდევ ვერა, მაგრამ ყველას თვალი მისკენაა მიპყრობილი“.¹

¹ იხ. Станислав Струмф-Вонткевич, „Путь Мицкевича“, издательство „Полония“, Варшава, 1955 г. стр. 24.

1824 წლის 3 ნოემბერს მთელი ღამე წვიმდა პეტერბურგში. დილით პეტრე-პავლეს ციხიდან ზარბაზნების სამგზისი ბათქით აცნობეს მოსახლეობას მოახლოებული საფრთხე. ნევა აღიდდა, ნაპირები გადმოლახა და ნიაღვარი ქუჩებში შეიქრა. მოსახლეობამ ზემო სართულებსა და სახურავებს შეაფარა თავი. მდინარის ზვირთებს მიჰქონდა დამხრჩვალ ადამიანები, შინაური საქონელი და ავეჯი. ხალხი პანიკამ მოიცვა. ქალაქის თავზე შავი ღრუბლები გადადიოდა, მეორე დღით წყალმა დაიკლო და გამოიღარა.

საშინელ სანახაობას წარმოადგენდა პეტერბურგის ნევისპირა ქუჩები. ირგვლივ აოხრებული და დანგრეული სახლები, ქუჩებში გამორიყული დამხრჩვალ ადამიანების გვამები და შინაური საქონლის ლეში ეყარა.

ამ საშინელი კატასტროფის დროს ჩამოვიდნენ მიცკევიჩი და მისი მეგობრები პეტერბურგს. ისინი მაშინვე დაუკავშირდნენ იქაურ თანამემამულეებს, იოსებ პრევევალსკის, კასპარ ცელვატრსა და სანკოვსკის. მიცკევიჩი განსაკუთრებით დაუმეგობრდა პოლონელ მხატვარს იუზეფ ოლეშკევიჩს, რომელთანაც ხშირად დადიოდა ატელიეში. ოლეშკევიჩი მაშინ გატაცებული იყო იაკობ ბოემეს, სკელენბორგის და წმიდა მარტინის მისტიკური მოძღვრებით. სწავლობდა კაბალასა და ბიბლიას. მას სურდა მხატვრობის ენით გადმოეცა თავისი შინაგანი წუხილი, ის, რაც მის სულში ფორიაჟობდა. ამასვე ცდილობდა ჭაბუკი პოეტი და იქნებ ამიტომაც გამონახეს მათ ასე სწრაფად საერთო ენა.

ოლეშკევიჩი ჰუმანისტი იყო და მეოცნებე, ცდილობდა ჩაწვდომოდა საგანთა საიდუმლოებას, აესახა ის, რაც უხილავია და რაც მატერიის ფორმაში ვლინდება. როგორც ჭაბუკი მიცკევიჩი პოეზიაში, ოლეშკევიჩიც ცდილობდა ის გამოეხატა მხატვრობაში, რასაც „თავისი სულის თვალთა წინაშე ხედავდა“.

ოლეშკევიჩი შეძრწუნებული იყო ცარიზმის დესპოტური რეჟიმით, ჟანდარმერიის სისასტიკით და ტუსალებისადმი არადამიანური მოპყრობით, ბარბაროსობის ნაშთად თვლიდა შპიცრუთენს. მან სკადა ტილოზე გადაეტანა ის საშინელი

შთაბეკდილება, რომელიც ერთხელ მიიღო, როცა შემთხვევით წააწყდა ტუსაღის შპიცრუთენით დასჯას და უყურა, თუ ჯონის 6000 დარტყმით როგორ აქციეს ადამიანი სისხლიან ჩერად.

შემოქმედებისა და თავისუფლების საკითხებზე საუბარში ათენებდნენ ოლეშკევიჩი და მიცკევიჩი ლამეებს პეტერბურგში. აქვე გაეცნო მიცკევიჩი ბესტუჟევსა¹ და რილეევს, რომელთაც იცოდნენ პოლონური ენა და დაინტერესებულნი იყვნენ პოლონური ლიტერატურით. რილეევი თარგმნიდა პოლონელი მწერლების ნაწარმოებებს, განსაკუთრებით ი. ნემცევიჩის. მან ჯერ კიდევ 1821 წელს თარგმნა ქაბუკი მიცკევიჩის ბალადა „შროშანა“. ამიტომაც გასაგებია რილეევისა და ბესტუჟევის ასეთი დამეგობრება პოლონელ პოეტთან.

სამშობლოდან განდევნილი ახალგაზრდა პოეტი სხვა დეკაბრისტებმაც დაიახლოვეს და, როგორც ჩანს, თავიანთი შეთქმულების ამბავიც გაანდევს. მიცკევიჩის დეკაბრისტებთან ურთიერთობიდან ისიც ჩანს, რომ ის მაინცდამაინც დიდ იმედს არ ამყარებდა ამ მოძრაობაზე. ეკვობდა, რომ მასებს მოწყვეტილი დეკაბრისტები გადატრიალების მოხდენას შეძლებდნენ.

ამ საიდუმლო ორგანიზაციის წევრებმა არ იცოდნენ რა ლოზუნგებით მიემართათ ხალხისათვის — წერდა შემდეგ მიცკევიჩი. მიუხედავად ამისა, ის მაინც ფაქტია, რომ დეკაბრისტებმა დიდი გავლენა მოახდინეს მიცკევიჩზე. ვილნიუსის სატუსაღოს შემდეგ ეს მეორე რევოლუციური ნათლობა იყო მისთვის. შეთქმულთა პოლიტიკური ზრახვების გარდა მიცკევიჩს იტაცებდა დეკაბრისტების — რილეევისა და ოდოევსკის ღრმა პათოსით გამსჭვალული ლექსები, რომლებსაც ისინი თავიანთ ფარულ სხდომებზე კითხულობდნენ. განსაკუთრებით აქტივობდა კონრად რილეევი, რომლის ძლიერ ტემპერამენტს ალტაცებაში მოჰყავდა მიცკევიჩი და, ვინ იცის, იქნებ მართლაც ამ რაინდის სახე ეღვა წინ პოლონელ პოეტს, როცა თავის ვალებნროდს რილეევის სახელს, კონრადს არქმევდა.

მიცკევიჩმა და მისმა მეგობრებმა სამი თვე დაჰყვეს პეტერ-

¹ ბესტუჟევთან მიცკევიჩი შეხვდა ალექსანდრე გრიბოედოვსაც.

ბურგში და შემდეგ ერთ სუსხიან ზამთრის დღეს სამხრეთისაკენ, ოდესისაკენ გაემგზავრნენ.

შემთხვევითი არ არის მიცკევიჩის სურვილი ოდესაში გამგზავრებისა. აქ მაშინ „სამხრეთის საზოგადოების“ ძლიერი არალეგალური ორგანიზაცია მოქმედებდა, რომელსაც კავშირი ჰქონდა დამყარებული პოლონეთის „პატრიოტულ საზოგადოებასთან“. კიევში მოლაპარაკებაც კი წარმოებდა ერთის მხრივ პესტელსა და ვოლკონსკის, ხოლო მეორეს მხრივ იაბლონოვსკის შორის. აღსანიშნავია, რომ პეტერბურგიდან ოდესისაკენ მიმავალმა მიცკევიჩმა სწორედ კიევის ოლქი გაიარა და სოფელ სტებლევოსა და პუსტოვაროვკაში დეკაბრისტებს: გოლოვინსკსა და ზალესკის შეხვდა. მიცკევიჩს მათთან კავშირი არც შემდგომ გაუწყვეტია. ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ ოდესასა და მოსკოვშიც და გულითადი მეგობრობის ნიშნად მიცკევიჩმა მათ თავისი ცნობილი პოემა „კონრად ვალენროდი“ უძღვნა.

მიცკევიჩს ოდესაში თან მიჰქონდა კ. რილეევის და ა. ბესტუჟევის სარეკომენდაციო წერილები პოეტ ა. ი. ტუმანსკისთან, ხოლო უკან მიყვებოდა ჟანდარმერიის საიდუმლო მიწერილობა ოდესის ოხრანკისადმი — თვალყური ედევნებინათ ამ „საექვო პირისათვის“.

რილეევი სწერდა ტუმანსკის: „შეიყვარე მიცკევიჩი და მისი მეგობრები მალევსკი და ეჟოვსკი. კეთილი და შესანიშნავი ყმაწვილებია: თუმცა ამისი მოწერაც არ არის საჭირო; გრძნობებისა და აზრების მიმართულებით ისინი უკვე ჩვენი მეგობრები არიან, მიცკევიჩი კი, გარდა ამისა, პოეტია — თავისი ერის საყვარელი შვილი“.

ა. ბესტუჟევი კი სწერდა: „შენთან რეკომენდაციას ვუწევ მიცკევიჩს, მალევსკის და ეჟოვსკის, პირველის სახელს შენ უკვე იცნობ, მე თავდები ვარ მისი სულისა და ტალანტისა. მისი მეგობარი მალევსკიც მშვენიერი ყმაწვილია. გაიცანი ისინი, დაარიგე და მიუალერსე საცოდავებს...“ ცხადია, ტუმანსკი კარგად შეხვდებოდა მიცკევიჩს, რადგან, გარდა იმისა, რომ ეს სარეკომენდაციო წერილები მიიღო, უკვე იცნობდა მიცკევიჩის პოეზიას და თარგმნილიც ჰქონდა მისი სონეტი „მოგონება“:

ოდესაში ჩასვლისთანავე 1825 წლის 21 თებერვალს მიც-
კევიჩი სწერდა ოდინეცს: „გადავსერე მთელი ევროპა ჩრდილო-
ეთიდან სამხრეთისაკენ და, რაც უფრო გასაოცარია, მხოლოდ
მარხილით — ეს კი აქ გაუგონარი ამბავია. მე მივდიოდი თვალ-
უწვდენელ ველებზე, სადაც ერთი სადგურიდან მეორე სად-
გურამდე თითქმის 300 ვერსის მანძილზე არაფერი ჩანდა, გარ-
და ცისა და დედამიწისა. კიევის გუბერნიაში მე ერთ სოფელში
შევუხვიე და პირველად ვნახე კლდეები, რის შესახებ ჩვენ
მხოლოდ წიგნში ამოგვიკითხავს. ეს ჩვენთვის ახალი და მიმ-
ზიდველი სანახაობა იყო. უზარმაზარი აჩხორილი გრანიტები
და მათ შორის პირქუში ხეობები, რომლებიც კვლავ ველებში
გადიან. მე ვნანობდი, რომ ყოველივე ეს ზაფხულში არ ვნახე,
როცა მთები და ფერდობები შემკულია წყალვარდნილებით,
მწვანე ნარგავებით და ვაზნარით. რა უნდა იყოს კავკასიის გო-
ლიათები, თუკი ეს პოეზიები ასე შთამბეჭდავად გამოიყურე-
ბიან. გადავწყვიტე ვნახო კავკასია“:

როგორც ჩანს, მიცკევიჩს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი
კავკასიაში მოგზაურობა, რადგან რამდენიმე დღის შემდეგ,
4 მარტს, ის სწერდა ო. პეტრაშკევიჩს: „ცოცხალი ვარ და კავ-
კასიაშიც მივდივარ“. სამწუხაროდ მიცკევიჩი კავკასიაში არ
ჩამოსულა, თორემ ყირიმის სონეტებზე ნაკლებ შედევრებს
როდი შესძენდა მსოფლიო ლიტერატურას, პუშკინისა და
ლერმონტოვის მსგავსად რომ ეხილა „კავკასიის გოლიათები“.

მოსკოვში დაბრუნების შემდეგაც არ აუღია მიცკევიჩს ხელი
კავკასიაში გამგზავრების განზრახვაზე. 1828 წლის 15 აპრილს
ის სწერდა ტომაშ ზანს: „ზაფხულისთვის მე ორნაირი გეგმა
მაქვს: კავკასია ან ყირიმი“.

ოდესაში ტუმანსკიმ ხელგაშლილად მიიღო პოლონელი მე-
გობრები. მალევესკი ჩქარა გრაფ ვორონცოვის კანცელარიაში
მოეწყო სამსახურში, მიცკევიჩი და ეუოვსკი „ადგილის განთა-
ვისუფლებას“ უცდიდნენ.

ოდესა მაშინ პეტერბურგს ბაძავდა. აქ ჯერ ვორონცოვის,
ხოლო შემდეგ ჟანდარმერიის გენერლის ვიტტეს სალონებში
ბრწყინვალე მეჯლისები იმართებოდა. მიცკევიჩი ამ სალონე-
ბის სასურველი სტუმარი გახდა. ვიტტეს დედა, შემდეგში პო-

ტოცკის მეუღლე, არა ერთხელ ყოფილა ცნობილი პოლონელი პოეტების ტრემბიციკისა და სლოვაკის ხოტბის საგანი. ის დაუახლოვდა გენერალ ვიტტეს და მის საყვარელს, სამგზის ქმარ-გაყრილ გრაფის ასულ სობანსკას. მიცკევიჩისა და სობანსკას ურთიერთობა უფრო მიცკევიჩ-კაროლინა კოვალსკას რომანს ჰგავდა, ვიდრე მიცკევიჩ-ვერეშჩაიკისას. პოლონელ პოეტს მოსწონდა ეს ოცდაათი წლის ლამაზი ქალი, რომელიც მისი თქმით „თვალებიდან ვნებიან შუქს აფრქვევდა“. რაც შეეხება სობანსკას, ის ერთსა და იმავე დროს ორ საქმეს აკეთებდა: ერთის მხრივ მიცკევიჩს ეაშიკებოდა, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც გამოირკვა, მის შესახებ ჯაშუშურ ცნობებს აწვდიდა გრაფ ვიტტეს.

მიცკევიჩი ოდესაში ჟანდარმერიის გაძლიერებული მე-თვალყურობის ქვეშ იმყოფებოდა. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან მის მოქმედებას თვით იმპერატორი, ალექსანდრე I ადევნებდა თვალყურს. მთავარი შტაბის უფროსი დიბიჩი 1825 წლის 2 თებერვალს სწერდა განათლების მინისტრს შიშკოვს, „რომ მისმა უღიდებულესობამ იმპერატორმა ინება“ არ გაეჩერებინათ ეუოვსკი და მიცკევიჩი სამხრეთის რაიონებში, არ მიეცათ მათთვის ადგილი რიშელის ლიცეიში და სადმე სხვაგან, ცენტრალური რუსეთის რომელიმე ოლქში გადაეყვანათ¹.

ამის შემდეგ გასაგებია, თუ რატომ გამოუცხადეს მიცკევიჩს, რომ ოდესაში მასწავლებლის ვაკანტური ადგილი არ არის.

სანამ მიცკევიჩის ოდესიდან გამგზავრების საქმე მოგვარდებოდა, კარგა ხანმა განვლო. მან, ცხადია, კარგად იცოდა ნამდვილი მიზეზები მისდამი ასეთი დამოკიდებულებისა და „უღარდელი“ სალონური ცხოვრებით ცდილობდა დაეთარათავისი ნამდვილი მისწრაფებანი. ოდესაში ცხოვრებით ის უკმაყოფილო იყო, მაგრამ იტალიურმა ოპერამ, წვეულებებმა და ოდესელმა ლამაზმანებმა იგი მაინც დროებით მოსწყვიტეს სერიოზულ ლიტერატურულ მუშაობას. მისი ამ პერიოდის

¹ იხ. ამის შესახებ Б. Ф. Стахеев, Мицкевич и прогрессивная русская общественность, Москва, 1956, გვ. 21.

ლექსები უმთავრესად ამ ლამაზმანების ალბომებისათვის იწერებოდა და, ცხადია, მათ შინაარსსაც ასეთი დანიშნულება განსაზღვრავდა.

გარდატეხა მხოლოდ ყირიმში მოგზაურობის შემდეგ დაიწყო. გრაფმა ვიტტემ წინადადება მისცა მიცკევიჩს მის კომპანიასთან ერთად, რომელშიაც, რა თქმა უნდა, სობანსკაც შედიოდა, რამდენიმე ხნით ყირიმში გამგზავრებულიყო. მიცკევიჩმა სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. მან, ცხადია, მაშინ არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ ვიტტეს ამ გამგზავრების ნამდვილი მიზანი გასეირნება კი არ იყო, არამედ — პეტერბურგიდან მიღებული განკარგულებისამებრ ყირიმის მხარის საინსპექციო დათვალიერება¹.

ოდესიდან ისინი გემით სევასტოპოლს ჩავიდნენ, აქედან ბალაკლავაში, შემდეგ კი ცხენებით გადალახეს კიკინეიში — ჩავიდნენ იალტაში, გაიარეს აიუღალი, ალუშტა, ჩატირდალი, ჩუფუთკალე და ყირიმის ძველ დედაქალაქ ბაღჩისარაიში შეჩერდნენ. ვიტტე თითქმის ყოველთვის დაკავებული იყო, რაც მიცკევიჩსა და სობანსკას სასიამოვნო განმარტოების საშუალებას აძლევდა.

ყირიმში ერთ მივარდნილ ადგილას, აჯუდას მთებში, მიცკევიჩი შეხვდა განდევნილით მცხოვრებ პოლონელ პოეტს გუსტავ ოლიზარს, რომელიც დეკაბრისტებთან იყო დაკავშირებული.

ამ მოგზაურობამ პოეტი ახალი შემოქმედებითი ენერგიით აავსო. უფრო ჯვიან, 1826 წლის 22 თებერვალს, ის სწერდა ოდინეცს: „ჩემმა მუზამ, რომელიც დიდხანს სდუმდა ოდესაში, გამოცოცხლება იწყო“.

მიცკევიჩი ოდესაში დიდხანს არ დარჩენილა. მეფემ ვიტტე ტაგანროგში გაიწვია, მიცკევიჩმა კი სობანსკას დახმარებით მოსკოვში ცხოვრების უფლება მიიღო და 13 ნოემბერს დილით დილიქანსით გაემგზავრა ოდესიდან. თვალცრემლიანი სობანსკა სამუდამოდ დაემშვიდობა „თავის ბაირონს“. ახლა ვერავინ იტყვის — ამ ცრემლებში გულწრფელობის ნატამალი თუ ერიო.

¹ იმასთან დაკავშირებით, რომ ალექსანდრე I აპირებდა ყირიმში ჩასვლას.

ყოველ შემთხვევაში, მიცკევიჩთან ხანმოკლე ნაცნობობამ მისა სახელი ისტორიას შემოუნახა.

ერთი თვე მოუნდა მიცკევიჩი ოდესიდან მოსკოვს ჩასვლას, როგორც ჩანს, ენდარმერიას არ გამოეპარა ოდესას მიმავალი პოეტის კიევის ოლქში შეჩერებისა და დეკაბრისტებთან: გოლოვინსკსა და ზალევსკისთან შეხვედრის ამბავი. ამიტომ უკან მიმავალ პოეტს ისეთი მარშრუტი დაუტკიცეს, რომ მას ასეთი შეხვედრის საშუალება არ განმეორებოდა.

მიცკევიჩის ოდესაში და ყირიმში ყოფნა ლექსების შესანიშნავი ციკლით აღინიშნა. თავისი ყირიმული შთაბეჭდილების შესახებ მიცკევიჩი იოახიმ ლელეველს სწერდა: „ოდესაში ცხოვრება აღმოსავლური იყო, უბრალოდ რომ ვთქვათ, უსაქმური, მაგრამ მე ვნახე ყირიმი! გადავიტანე ზღვის საკმაოდ ძლიერი ღელვა. მე ერთი მცირეთაგანი ვიყავი, ვისთვისაც ზღვას არ უწყენია და საკმაო ძალაც შევიწარმინე, რომ დავმტკბარიყავი ამ საინტერესო სანახაობით. ჩატირდალზე ფეხით ვთელავდი ღრუბლებს (სადაც თითქოს ძველებს ტაბლა მიუერთმევიათ), მეძინა გირეების სავარძელზე და დაფნის ტყეში განსვენებული ხანის მეკუქნავესთან ვთამაშობდი ქადრაკს. ვნახე აღმოსავლეთი მინიატურაში“.

ამ გამგზავრების შედეგი იყო სატრფიალო და ყირიმული სონეტების მთელი ციკლი. როგორც ჩანს, ამ სონეტებზე მიცკევიჩი მუშაობას მოსკოვშიც განაგრძობდა და 1826 წელს ისინი ცალკე წიგნად დაბეჭდა. ეს იყო მიცკევიჩის ლექსების რუსეთში გამოქვეყნებული პირველი კრებული. „სონეტებმა“ დიდი გამოხმაურება ჰპოვა რუს მწერალთა წრეებში, სადაც პოლონელმა პოეტმა ნელ-ნელა ბევრი მეგობარი შეიძინა.

მოსკოვში ჩასვლისთანავე მიცკევიჩი გენერალ-გუბერნატორის, თავად დიმიტრი გოლიცინის კანცელარიაში მოეწყო სამსახურში. მძიმე პერიოდი იყო მაშინ. დეკაბრისტების შეთქმულების განადგურების შემდეგ სასტიკი რეპრესიები დაიწყო, მასიური დაპატიმრებანი, სიკვდილით დასჯა, ციმბირში გადასახლება. ხალხს ხმამაღლა ლაპარაკისა ეშინოდა. დაცალიერებულ ქუჩებში განუწყვეტლივ დადიოდნენ პატრულები. აქა-იქ, დიდ-

გვაროვანთა ოჯახებში ხანდახან მაინც იკრიბებოდნენ მოსკო-
ველი ლიტერატორები.

მიცკევიჩისა და მის მეგობრებსაც მართებდათ სიფრთხილე.
რეაქციის ეს შავი ღრუბელი, რომელმაც საზოგადოებრივი
ცხოვრების ჰორიზონტზე გადაიარა, ცხადია, მის ლექსებშიც
იგრძნობა. ეს იყო რაღაც საშინელის მოლოდინი. თუ როგორ
განიცდიდა მიცკევიჩი რილეევისა და მისი ოთხი მეგობრის
ჩამოხრჩობას და ა. ბესტუჟევის საკატორლო სამუშაოზე განწე-
სებას, ადვილი მისახვედრია. ის ცდილობდა საზოგადოებაში
არ გამოჩენილიყო, ერიდებოდა ლიტერატურულ შეკრებებში
მონაწილეობის მიღებას. მიცკევიჩი სწერდა ტომამ ზანს მოა-
კოვიდან: „დეკემბრიდან, როგორც იცით, მოსკოვში ვარ, ჯან-
მრთელად, შემძლია ვთქვა კიდევ, რომ სრულიად ჯანმრთე-
ლად, თვალების ტკივილი რომ არ მაწუხებდეს. ვცხოვრობ
ფრანციშეკთან და ეეთან, გვაქვს საკმაოდ კარგი სუფრა და ვარ-
სებობთ, არა უშავს რა, წიგნებს ხელს არც ისე ხშირად ვკიდებ,
ვეტანებით ჭადრაკს და უფრო ხშირად ვლაცობთ. არავითარი
ნაცნობობა და არავითარი კომპანია, გარდა საკუთარი თავისა,
არა გვყავს“.

მიცკევიჩი ისევ ჩივის: „ოდესიდან გამგზავრების შემდეგ,
სადაც მე ფაშასავით ვცხოვრობდი, ჩემი მუზა გაზარმაცდა, არ
შემძლია დავამთავრო ლიტერული მოთხრობა¹, რომელმაც უნ-
და დაასრულოს მესამე ტომი. მაგრამ იმედი მაინც მაქვს, რომ
დავამთავრებ“.

მიცკევიჩის ზოგჯერ იწვევდნენ ლიტერატურულ შეკრებებ-
ზე; მაგრამ იგი ჩვეულებრივ თავს არიდებდა მათ. ერთხელ
მაინც ველარ მოითმინა და წავიდა, ან როგორ შეეძლო უარის
თქმა, როცა მის ნაცნობ სობოლევსკისგან ასეთი ბარათი მიი-
ლო: „ალექსანდრე პუშკინი დღეს კითხულობს ნაწყვეტებს თა-
ვასი „ბორის გოლუნოვიდან“. მიცკევიჩს მანამდე შემთხვევა არ
ჰქონია პუშკინთან შეხვედრისა; იგი მის სახეს მხოლოდ სურა-
თებიდან იცნობდა. მღელვარებას ძლივს იკავებდა პოეტი, რო-
დესაც სობოლევსკის სახლის კარებთან შეჩერდა და ზარს ჩა-

¹ აქ მიცკევიჩი „კონრად ვალენროდს“ გულისხმობს.

მოჰყარა. ზამდენიმე წუთის შემდეგ ადამ მიცკევიჩი და ალექსანდრე პუშკინი, ერთ წელს დაბადებული ორი ახალგაზრდა გენიოსი პირისპირ შეხვდნენ და ძმურად გაუწოდეს ხელი ერთმანეთს. აქ ჩაეყარა საფუძველი მათ დიდ მეგობრობას.

სობოლევსკის სტუმართა შორის პუშკინისა და მიცკევიჩის გარდა იყვნენ ვენევიტიანოვი, პოგოდინი, როშალინი და კირეევსკი. პუშკინმა „ბორის გოდუნოვი“ წაიკითხა. ყველანი აღტაცებით უკრავდნენ ტაშს და ულოცავდნენ ავტორს. პუშკინის ნაწარმოების პოეტური ძალით გაოგნებული მიცკევიჩი მორიდებით იღვა. მან მხოლოდ ერთადერთი წინადადების თქმა მოახერხა და ისიც რატომღაც ლათინურად. ეს საღამო დაუვიწყარი იყო მიცკევიჩისათვის.

მიცკევიჩი მოსკოვში ფაქტიურად გადასახლებული იყო და აქაც მუდამ ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, რაც, რა თქმა უნდა, მძიმედ მოქმედებდა მის სულიერ მდგომარეობაზე. თავის ერთ-ერთ წერილში ოდინეცისადმი მიცკევიჩი წერდა: „მე დიდი ხანია ვუცდი ბრწყინვალე სიხარულს, ვიდრე ხელს მოვკიდებდე კალამს, რომ მივწერო იუზიას, მაგრამ ასეთი სიხარული ძლიერ იშვიათია; შეიძლება იყო უდრეკი და ურყევი ბოროტი ბედისწერის წინაშე — მე მინდა ვიყო ასეთი და ვიქნები კიდევ, — მაგრამ მხიარული? აქ?... ძნელია!“.

პირველ ხანებში მიცკევიჩი იმედოვნებდა, რომ მის საქმეს გადასინჯავდნენ და სამშობლოში დაბრუნების უფლებას მისცემდნენ, მაგრამ ჩქარა ეს იმედები გაუცრუვდა. „ბოლოსდაბოლოს ცხადი შეიქნა, რომ მე მომავალშიც არაფერს არ უნდა მოველოდეთ“, სწერს ის ოდინეცს.

მიცკევიჩის მატერიალური მდგომარეობაც გაუარესდა, „ოღესაში ფაშასავით ეცხოვრობდი, აქ კი როგორც უკანასკნელი იანიჩარიო“ — აცნობებს ის მეგობრებს. მაგრამ მიცკევიჩის პოეტურმა ტალანტმა მაინც თავისი გაიტანა. მან ნელ-ნელა გაიჩინა ნაცნობ-მეგობრები და თაყვანისმცემლებიც. ახლა ის უფრო ხშირად დადიოდა გამოჩენილი რუსი მწერლების ლიტერატურულ შეკრებებზე. ხშირი სტუმარი იყო პოგოდინის, ვიანჰემსკის, სობოლევსკის, ვოლკონსკაიას და ძმების კირეევსკების

ოჯახებში. აქ ხვდებოდა ის პუშკინს, გრიბოედოვს, ჟუკოვსკის, ვენევიტიანოვს, ბარიატინსკის, დელვიგს, კოზლოვს, შევი-რიოვს და სხვებს.

რუსეთის მოწინავე მწერლებმა გულთბილად მიიღეს სამ-შობლოდან განდევნილი პოეტი. ისინი დიდ პატივს სცემდნენ მის პოეტურ ტალანტს, თარგმნიდნენ მის ნაწარმოებებს და ლექსების კრებულის გამოცემაშიც ეხმარებოდნენ.

მართალია, მიცკევიჩი მოსკოვში, როგორც აღვნიშნეთ, გა-დასახლებული იყო და ნოვოსილცევის მიერ დადებულ სას-ჯელს იხდიდა, მაგრამ რუსი მეგობრების სტუმართმოყვარეო-ბამ მას ისეთი თბილი და საინტერესო გარემო შეუქმნა, რომ რუსეთში გატარებულ წლებს იგი თავისი ცხოვრების საუკეთე-სო წლებად თვლიდა. აქ ეზიარა იგი დიდ რუსულ კულტურას, აქ განუმტკიცდა მას ხალხთა ერთიანობის იდეა, აქ მიიღო მან ნამდვილი რევოლუციური იდეურ-პოლიტიკური წრთობა.

მიუხედავად იმისა, რომ მიცკევიჩი მუდამ შეურიგებელი იყო ცარიზმის პოლიტიკასთან, მას ეს სიძულვილი რუს ხალხზე არასოდეს არ გადაუტანია. პირიქით, იგი რუსეთის მოწინავე პროგრესულ ინტელიგენციასთან ერთად იბრძოდა საერთო მიზნისათვის — თავისუფლებისათვის. მიცკევიჩს ისევე ეხუ-თებოდა სული „ხალხთა საპყრობილეში“, როგორც პუშკინს, ლერმონტოვს და დეკაბრისტებს. ის ისევე გაშმაგებით იბრძოდა ცარიზმის წინააღმდეგ, როგორც რუსეთის მთელი მოწინავე პროგრესული ინტელიგენცია. ამიტომ არის, რომ მოწინავე რუ-სი მეგობრების წრეში მოხვედრილმა პოლონელმა პოეტმა თავი საკუთარ დიდ ოჯახში იგრძნო და ხარბად დაეწაფა რუსული ლიტერატურის უმდიდრეს საგანძურს.

რუსული მწერლობით გატაცებული მიცკევიჩი სწერდა ოდი-ნეტს: „ლიტერატურაში ჩვენ ჩამოვრჩით მთელი საუკუნით. აქ გოეთეს ყოველი პატარა ლექსი საერთო აღტაცებას იწვევს და მყისვე ითარგმნება... ჩვენთან კი პატივცემული დმოხოვსკა პოლონური პოეზიის იდეალად კოზიანის „გეორგიკას“ თვლის“.

არც რუსი მწერლები აკლებდნენ პატივისცემას თავიანთ პოლონელ მეგობარს. მოსკოვის ლიტერატურული სალონების კარები მუდამ ღია იყო მიცკევიჩისათვის. ყველა აღტაცებული

იყო მისი პოეტური ნიჭით. განსაკუთრებულ გაცემას იწვევდა პოლონელი პოეტის შეუღარებელი უნარი იმპროვიზაციისა. როცა ერთხელ პუშკინმა მოისმინა მიცკევიჩის იმპროვიზაცია ფრანგულ ენაზე, გადაკოცნა და აღელვებით წამოიძახა: „რა გენიოსია! რა ღვთაებრივი ცეცხლია რა ვარ მე მასთან შედარებით!“¹

პუშკინის ეს გატაცება და თავმდაბლობა ორი დიდი პოეტის გულწრფელი მეგობრობის ნიშანია.

მიცკევიჩის ახლო მეგობარი და მისი ლექსების მთარგმნელი ვიაზემსკი წერს: „იმპროვიზირებული ლექსები მკერ და ბრწყინვალე ნაკადად იფრქვევა მისი ბაგეებიდან. მის იმპროვიზაციაში იყო აზრი, გრძნობა, სურათები და უაღრესად პოეტური გამოთქმები. შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ ის აღვზნებულად კითხულობს წინასწარ დაწერილ პოემას“.

მიცკევიჩის იმპროვიზაცია მუსიკის აკომპანიმენტის თანხლებით მიმდინარეობდა. პოეტი თავს უკან გადასწევდა, თავლებს ოდნავ მოხუჭავდა და ზინაიდა ვოლკონსკაია გაუბედავად რომ აალებდა პირველ აკორდებს, გაისმოდა მიცკევიჩის ხავერდოვანი ხმა. ის უღვის სისწრაფით ქმნიდა სახეებს, შედარებებს, რითქებს, და თვითონაც წარმტაცი, ადვილად იტაცებდა მსმენელთა გულებს.

ბიოგრაფები ამბობენ, რომ ეს იმპროვიზაციები არა ნაკლებ პოპულარობას უქმნიდა მას რუს მწერლებში, ვიდრე ბევრ მათგანისთვის გაუგებარ ენაზე დაბეჭდილი მისი ლექსები.

მოსკოვიდან პეტერბურგს გამგზავრების წინ მიცკევიჩი სობოლევსკების ოჯახში ერთხელ კიდევ შეხვდა პუშკინს. იმ საღამოს მიცკევიჩმა თავისი დიდი რუსი მეგობრის ფიქრებში საკუთარი აზრებიც ამოიკითხა. პუშკინი რაღაც უგუნებოდ იყო. მეფის რუსეთს საპყრობილეს უწოდებდა, თვით მეფეს კი აზროვნების ცენზორს. სიძულვილიც არ არისო ამ ქვეყანაში ადვილი, ამბობდა იგი, რითაც აღტაცებაში მოყავდა ასეთივე შეხედულებებით გამსჭვალული პოლონელი პოეტი.

თითქოს ერთი ჩანგის სიმებს ეხებოდა იმ ღამეს ორივე გე-

¹ კრებულში „Пушкин — критик“. Москва. 1950 г. стр. 731.

ნოსი. ერთნაირად სცემდა მათი გულები, ერთ მხარეს მიჰქროდნენ მათი ფიქრები.

ოთახში მძიმე განწყობილების ბურუსი იდგა, არც ერთს არ უნდოდა დაერღვია ეს სასიამოვნო გარინდება. ისინი ჩუმად ისხდნენ და თამბაქოს ბოლს აყოლებდნენ თავიანთ მღელვარე ფიქრებს. შემდეგ პუშკინი უხმოდ წამოდგა და ისე გავიდა ოთახიდან, რომ არც კი დამშვიდობებია მეგობრებს.

XI

1826 წელს მიცკევიჩმა მოსკოვის უნივერსიტეტის სტამბაში თავისი ხარჯით გამოსცა სონეტების წიგნი, რომელიც იმათ მიუძღვნა, ვინც მასთან ერთად იმოგზაურა ყირიმში.

წიგნის პირველი ნაწილი ე. წ. „სატრფიალო სონეტებისგან“ შედგება. ამ ლექსების ეპიგრაფად მიცკევიჩმა პეტრარკას პირველი სონეტიდან ასეთი ადგილი ამოირჩია: „როცა ნაწილობრივ მე სხვა ვიყავ, ვიდრე ახლა — ადამიანი“... ამით თითქოს მას სურს თქვას, რომ ეს ლექსები არ გამოხატავენ მის იმდროინდელ განწყობილებას. პოეტი იქნებ ბოდიშსაც იხდის იმის გამო, რომ დეკაბრისტების აჯანყების ჩაქრობისა და რეაქციის სისხლიანი თარეშის პერიოდში სატრფიალო სონეტებს ბეჭდავს. არც ის არის შემთხვევითი, მიცკევიჩი ლექსის ასეთ ფორმას რომ ირჩევს. ეს ალბათ ნაწილობრივ პეტრარკას გავლენასაც მიეწერება. პოეტი იტალიელი ლირიკოსის მუზის ლაურას სახელსაც არ ცვლის, თუმცა ამ სახელში, ცხადია, მიცკევიჩი თავის ადრინდელ და ოდესეღ ლაურებს გულისხმობს.

პეტრარკათი გატაცება შემთხვევითი არ არის. მიცკევიჩი ჯერ კიდევ ვილნიუსის უნივერსიტეტში ისმენდა იტალიელ კაპელის ლექციებს ლიტერატურის ისტორიაში. ფილომატების ერთერთ სხდომაზე მან მოხსენებაც წაიკითხა თემაზე: „პეტრარკა, როგორც პოეტი, ფილოლოგოსი და მორალისტი“. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიცკევიჩის ზოგიერთი სონეტი ადრე, ჯერ კიდევ 1818 წელსაა დაწერილი. რომ პეტრარკამ ოდესაში მიცკევიჩის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, ამას ისიც მოწმობს, რომ აქ ის იტალიური ენის გაკვეთილებს იღებდა.

მართალია, სონეტის მკაცრად განსაზღვრული ფორმა ზღუდავს პოეტის ფანტაზიას და აიძულებს მას პოეტიკის „გეომეტრიულ წესრიგს“ დაემორჩილოს, მაგრამ მიცქევიჩმა იმდენი სიღბო და სითბო შეიტანა თავის სონეტებში, რომ ეს შეზღუდულობა არც იგრძნობა.

საერთოდ იმ დროს სონეტს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, განსაკუთრებით კრიტიკოსთა შორის. აღსანიშნავია, რომ პუშკინი იცავდა ლექსის ამ ფორმას და თითქოს „ანტისონეტისტების“ გამოსაჯავრებლად დაწერა „სონეტი“ სონეტის შესახებ, რომელსაც ეპიგრაფად ვორდსვორთის სიტყვები წარუშმღვარა: „Scorn not the sonnet, critic“¹. ამ ლექსში პუშკინი აღნიშნავს, რომ მკაცრ დანტეს არ სძულდა სონეტი და ამ ფორმით გადმოსცემდა პეტრარკა თავისი სიყვარულის მხურვალეობას, რომ ის უყვარდა „მაკბეტის“ ავტორს და მათში გამოხატავდა კამოენსი სევდიან ფიქრებს, რომ ვორდსვორთმა ის თავის იარაღად აირჩია, ხოლო დასასრულ:

მთების ჩეროში შეხიზნულმა ლიტვის მგოსანმა²
თავის სამშობლოს უკვდავების ხმით შემშოსავმა,
მრავალ ოცნებას შემოავლო სონეტის რკალი³.

პოეტური ფორმის უბადლო ოსტატმა მიცქევიჩმა ნამდვილი შნო და ლაზათი მისცა პოლონურ სონეტს.

ლიტერატურის ზოგიერთმა ისტორიკოსმა პეტრარკასა და მიცქევიჩის შედარებითი შესწავლა სცადა, მაგრამ ისინი სწორ დასკვნებამდე ვერ მივიდნენ. ასე მაგალითად, პოგორდინი⁴ ფიქრობდა, რომ ამ ორ პოეტს შორის მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ იტალიელი პოეტი გარდაცვლილ ლაურას სულს მისტირის, ხოლო პოლონელი ცოცხალ მარილას ამკობს. იმასაც აღნიშნავენ, თითქოს პეტრარკას სიყვარული ფილოსოფიურია, უნივერსალური და „მარადიული სიყვარულის ზოგად

¹ ნუ შეიძულებ სონეტს, კრიტიკოსო.

² იგულისხმება ადამ მიცქევიჩი.

³ თარგმანი პაოლო იაშვილისა.

⁴ А. Погдин, Адам Мицкевич, т. I. М. 1912.

იდეებს გამოხატავს“, ხოლო მიცკევიჩისა მოკლებულია ასეთ განზოგადებას. ასეთი მსჯელობა დამაჯერებელი არაა, რადგან, ჯერ ერთი, მარილა ცოცხალია, მაგრამ მიცკევიჩი ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო, სწორედ „გარდაცვლილ სიყვარულს“ დასტირის, და მეორეც იმიტომ, რომ როგორც „ძიადების“ გარჩევის დროს ვნახეთ, ამ სიყვარულით გამოწვეული სევდა განზოგადებულია და „მსოფლიო სევდის“ სიმალეზეა აყვანილი. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, თითქოს პეტარკასა და მიცკევიჩის სატრფიალო სონეტებს შორის განსხვავება არ იყოს, პირიქით, ეს სონეტები სხვადასხვა ეპოქაში იწერებოდა სხვადასხვა მსოფლშეგრძნების მქონე პოეტების მიერ და ამიტომ, გარეგნული ფორმის გამოკლებით, მათ შორის მსგავსება არც ისე საგრძნობია.

მიცკევიჩმა სატრფიალო სონეტების ციკლში შეიტანა ჯერ კიდევ 1818 წელს დაწერილი ლექსი „მოგონება“, რომელიც მის პირველ კრებულშიც იყო გამოქვეყნებული. ამ სონეტში ავტორი მიმართავს თავის ლაურას — მარია ვერეშჩაკს და იგონებს იმ ბედნიერ დროს, როცა ყველასაგან მოშორებულნი ისინი ერთმანეთს ეკუთვნოდნენ და უსმენდნენ ნაკადულების ჩხრიალს, ტკბებოდნენ აყვავებული ბუჩქების ცქერით და ღამის ბნელ სამოსელში ახვევდნენ თავიანთი სიყვარულის საიდუმლოებას.

ეს ლექსი სონეტის კლასიკური ფორმითაა დაწერილი და მიუხედავად იმისა, რომ ოცი წლის ჭაბუკის კალამს ეკუთვნის, იმთავითვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. „მოგონება“ ჯერ კიდევ მიცკევიჩის ჩამოსვლამდე იყო რუსეთში ცნობილი: 1823 წელს ის თარგმნა ვ. ი. ტუმანსკიმ, რომელსაც შემდეგ, როგორც ვიცით, პირადად გაეცნო მიცკევიჩი ოდესაში. კ. რილევემა დაწერა მიბაძვა ამ სონეტისადმი.

მიცკევიჩის სატრფიალო ლირიკა ძველ ჰანგზე ჟღერს: ისევ უსასრულო სევდა, სურვილი — გაექცეს, მოშორდეს სატრფოს, განმარტოვდეს. პოეტი აქაც პასიურია, სხვისი შემყურე, სხვისი მთხოვნელი. სონეტში „ლაურასადმი“ ის ტკბება თავისი მარტობით, გარინდებული უყურებს სატრფოს მშვენებას, უსმენს მის სიმღერას, რომელიც ანგელოსის სიმღერას ჰგავს... მაგრამ

რაც უფრო ძლიერია პოეტის სიყვარული, მით უფრო უმწეოა მისი ნებისყოფა. ის მზადაა სევდა გულში ჩაიკლას, დადუმდეს, ოღონდ არ შეაშფოთოს „სატრფო გულისა“. პოეტი იმასაც შეურიგდება, თუ მისი სანეტარო სხვას გაჰყვება. მაშინ ის იოცნებებს ზეციურ ქორწინებაზე, რომელიც მათ სულებს შეაერთებს. ეს ძველი, ჩვენთვის უკვე ნაცნობი მოტივია. აქ კვლავ ის გუსტავი დგას ჩვენს წინაშე, რომელიც თითქოს ვილნიუსის საპყრობილეში მოკვდა, მაგრამ რომელიც ყოველთვის ზღაპრული ფენიქსივით აღდგება ხოლმე, როცა მიცქევიჩი სიყვარულის სევდიან სიმღერას მღერის.

აი ეს სონეტიც:

გიხილე, სულმა უეცარი იწყო ხარება,
როს უცნობ შუბლზე ენახე შუქი ძველი ოცნების;
თვალენი მზე და მღუმარება, ზღვა გაოცების,
და გაზაფხულის შევიცანი გამოდარება.

შენ ღელუნებდი და ეგ ტბილი ხმა ნეტარებად
გულს მელვრებოდა, სიცოცხლის და შვების მომცემი;
თითქოს მეძახდნენ შორეთიდან ანგელოსები,
და ზეცის ეამმა გადარჩენის ზარი დარეკა.

სულ! თუ კი შენც აგაღელვა ნათელმა წუთმა,
მითხარი ჩუბად საჩუმარი ამბავი გულთა,
ნუ სწუხარ, ჩვენზე შური ძლევიტ რომ აღორძინდა,

რომ უნდა ფარულ სიყვარულით მიყვარდე ზუღამ.
ღე, მიწიერი ეკუთვნოდე ბედით მოცინარს —
შენს სულთან ღმერთმა, იცოდე, მე დამაქორწინა !.

სონეტში „დილა და საღამო“ ისევ მიცქევიჩის სიჭაბუკის ორეულის გუსტავის ქედმოხრილი სიყვარული ჩანს. მიჯნურთა ტრფიალება აქ მზისა და მთვარის მოძრაობაა: ერთი რომ ბრწყინავს, მეორეს ფერი ეკარგება. დილით, როცა აღმოსავლეთიდან აღმოდებულ ღრუბლების თაიგულში მზე ამობრწყინდება, სევდიანი, ფერმკრთალი მთვარე დასავლეთისაკენ მიე-

¹ თარგმანი თ. ჩხენკელისა.

შურება. მზის შუქნაფრქვევი ვარდის კოკორი ყელს რომ მოი-
ღერებს და თვალწარმტაცად გადიფურჩქნება, ცვარით დამძი-
მებული ია თავს დაბლა ხრის და შუქს ემალება.

დილით ოქროს დალალებიანი ლაურა აივანზე გამოვა და
ვარდის კოკორივით გაიშლება. პოეტი კი ისევ იასავით თავდახ-
რილი დგას და მის შუქს გაურბის. უკვირს ლაურას, რატომ
არიან გარიყრაყისას ასე სევდიანი მთვარე, ია და მისი სატარფო.

მაგრამ მწუხრის უამს, როცა ციდან ბნელი ჩამოეშვება, დი-
დებული პირბადრი მთვარე ამოცურდება, მაშინ იაც თავს მალ-
ლა ასწევს და მის სხივებში გაიფურჩქნება. აივანზე ისევ ჩნდება
ლაურა უფრო ლამაზი და გაბრწყინებული, ვიდრე დღისით
კაშკაშა მზეზე: სევდიანი პოეტი კი კვლავ თავდახრილი დგას
მის წინაშე.

ამ სონეტის სინატიფემ და მელოდიურობამ შთააგონა ლი-
რიკული მუსიკის დიდოსტატი პ. ჩაიკოვსკი და მის ტექსტზე
შესანიშნავი რომანსი შექმნა.

მიცკევიჩის მსუბუქი, თითქოს და მთვარის სხივებით ამო-
ქარვული სტრიქონები კვლავ ტუხანოვიჩის ლამის იდილიებს
უბრუნდება და ჰაეროვანი სიყვარულის ვარდის სურნელებას
აფრქვევს. აქ ისევ ჩნდება მთვარიან ღამეს მთვარეულივით
მოხეტიალე პოეტი, თავისი ოცნების თეთრ ყვავილს რომ ევ-
ლება თავს.

სონეტი „ნემანისადმი“ ამავე ჰანგზეა აუღერებული. პოე-
ტი იგონებს წუთებს, როცა ჯერ კიდევ რალაცის იმედი ჰქონ-
და. ახლა კი ყველაფერი გათავდა. ყველაფერი გაქრა... წავი-
და... და წუხს, რომ იმ იმედებს თან არ გაჰყვნენ მისი ცრემ-
ლებიც.

პოი ნემანო, მშობლიურო ჩემო მდინარეე,
აწ საით ვლიან ის ზვირთები, როცა მე ბაღლი
მათ მდინარებას ბობოქარი ოცნების ტალღით
თან მივეყებოდი ამ სევდიან დღეთ უწინარეს.

მიჯნური ჩემი ჰველს ციმციმას პირმოცინარო
და ყვავილებით თავშემკული უმზერდა მაღლით,
ვიყავი შლეგი და რამდენჯერ ოცნებით დალილს
ცრემლებით სახე გადმიშლია წყალზე მჩინარო.

აწ საით ვლიან, ო, ნემანო, წყალნი მშფოთარნი,
ან ის ბაღლობა უვიწყარი მზით შემომდგარი,
გულზე რომ მფენდა იმედების ვარდებს მშვენიერს,

სად გაღიკარგა სიკბაბუკის მხურვალე აღთქმა,
ან თქვენ სადა ხართ, მეგობარნო, შენც, სულს, სად ხარ?
წაგშლიათ კვალნი — მხოლოდ ცრემლი მე დამშეთენია.¹

მიცკევიჩის სატრფიალო სონეტებს საკუთარი შინაგანი კომპოზიცია აქვს, ისეთივე, როგორც „ძიადებს“. აქაც სიყვარულის ნაზი მელოდები თანდათან გადადის უკმაყოფილებაში, საყვედურში, შემდეგ სიმკაცრესა და წყევლა-კრულვაში, ბოლოს კი ისევ თავის პირველსაწყისს უბრუნდება და ჰაეროვან ბგერებად იფრქვევა ლაურა—მარილას წინაშე. პოეტის ემოციებსაც თავისი გადასვლები აქვს. ჯერ სინაზე, სიყვარული, თხოვნა, ხოტბა, გაღმერთება; შემდეგ გულის ტკივილი, უკმაყოფილება, საყვედური, გაშმაგება; ბოლოს კვლავ ღირებულების მოზღვაება, ღვათებრივი მშვენიერების ხოტბა, ცრემლები, მუდარა და მორჩილება.

მაგალითისათვის ავიღოთ სონეტი „განშორება“, სადაც პოეტი გუსტავივით უჩივის სატრფოს სიმკაცრეს და გულცივობას. ის წერს, რომ მისი მშვენიერი თვალებიდან ერთსა და იმავე დროს მაცოცხლებელ ბაღზამსა და სასიკვდილო შხამსაც სვამდა. სიყვარულის სევდიან წუთებში სატრფოს მშვენიერებით მოჯადოებული პოეტი თხზავდა ლექსებს. მათი ეხო ახლაც ეღერს ტუხანოვიჩის ტყეში. მაგრამ შემდეგ ყველაფერი გაქრა და აწ „ვისლა უმღეროს, თუ ამ სიმღერას არავინ ისმენს“.

როცა მიცკევიჩი ასეთ ლექსებს წერდა კაუნასში, ის მართლაც იტანჯებოდა მარილასადმი უნუგემო სიყვარულით. ოდესაში მიცკევიჩის პირადი ცხოვრება და განწყობილება მნიშვნელოვნად იყო შეცვლილი. აქ პოეტი უკვე აღარ ათენებდა ღამეებს ვერეშჩაკზე ფიქრში, არც ოდესელი ლამაზმანები აძლევდნენ მას ამის საშუალებას, და არც პოეტი იყო ისე დადარდიანებული, როგორც კაუნასში. ამიტომ სატრფიალო სონეტების დიდი ნაწილი წარსულის ეხო უფროა, ვიდრე აწმ-

¹ თარგმანი თ. ჩხენკელისა.

ყოს სინამდვილის გამოხატულება. ეს სონეტები განწყობილებითა და ხასიათით იმ დროს ეკუთვნიან, როცა მიცკევიჩი, პეტრარკას თქმისა არ იყოს, „ნაწილობრივ სხვა იყო, ვიდრე ახლა — ადამიანი“. ძალაუნებურად იბადება კითხვა, ხომ არ არის ეს მოგონილი, პოეტური სევდა? ზანისა და ჩეჩოტისადმი მიმართულ წერილში მიცკევიჩი სხვათა შორის ამბობს — ლიტვაში რომ ჩამოვსულიყავი „იქაც მოვიგონებდიო რამე სევდას ჩემთვის“. გოეთეს ერთ-ერთ ლექსში ასეთი სტრიქონია: „მე მიყვარს სიყვარულიო“. იქნებ მიცკევიჩსაც სიყვარული უყვარს და არა ის, ვის სახელსაც თავის სონეტებში აღმერთებს. იქნებ აქ ეს სიყვარული უფრო წარმოსახვითი იყოს, ვიდრე რეალური. შეიძლება პოეტმა იმიტომაც შეცვალა მარილა ლაურათი, რომ უკვე არა ნამდვილი, არამედ წარმოდგენილი სიყვარული იდგა მისი სულის თვალთა წინაშე.

სონეტში „მორჩილება“ მიცკევიჩი წერს: უბედურია, ვისაც უყვარს და სანაცვლო გრძნობას ეძებს. უფრო უბედურია, ვისაც არ უყვარს და ცალიერ გულს აწვალებს. მაგრამ ყველაზე უბედური ის არის, ვისაც არ უყვარს, მაგრამ არც შეუძლია დივიწყოს, რომ უყვარდა. საფიქრებელია, რომ აქ მიცკევიჩი „უბედურთა“ ამ მესამე ჯგუფს უფრო ეკუთვნის. მართალია, მარილას ხსოვნა ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ ახლა იგი უფრო მოგონებაა, ვიდრე სინამდვილე. მიცკევიჩი კი სინამდვილის პოეტია, ამიტომ მარილა მის სონეტებში უფრო მოგონების სახით შემოდის, ხოლო მის სინამდვილეს სხვა ბევრი მარილაც ახლავს.

„სატრფიალო სონეტებში“ ბევრია ოდესური და ყირიმული სინამდვილის გამოხატველი ლექსიც. აქ მიცკევიჩი არისტოკრატიულ სალონებში ტრიალებდა. აკვირდებოდა ამ სალონებში მოფარფატე „ფარვანების“ ცხოვრებას, ლექსებს უძღვნიდა მათ ან აღწერდა მათ ყოფას. ამიტომაც ამ ლექსებში უკვე აღარ არის სიმბოლურად აღმალლებული სიყვარული. ეს უფრო მხილებაა არისტოკრატიული წრეების ფუქსავატური ცხოვრებისა. მიცკევიჩის ამ ლექსებში ისევ ჩნდება ირონია, კრიტიკული ტონი, გაკიცხვა და ზოგჯერ გამანადგურებელი სატირაც. როცა ის „ოდესელ დანაიდებზე“ წერს, გრძნობთ გეს-

ლიან დაცინვას. ის დრო წავიდაო, ამბობს პოეტი, როცა ლამაზი ასულები მინდვრის ყვავილებს უძღვნიდნენ ქაბუკებს და მაკანკლებად მტრედებს უგზავნიდნენ. ახლა საუკუნე გაიჟდა, თქვენ კი გაძვირდითო, — მიმართავს ის დანაიდებს. ერთს ოქროები უნდაო, მეორეს ლექსების მიძღვნა. ერთი რომ გულს გთავაზობს, მეორე ცოლად წაყვანას გთხოვს. პოეტი ამბობს, რომ ის არ ძუნწობდა, ყველაფერს აძლევდა ამ კეკლუცებს, ოქროსაც, ლექსებსაც, სახელსაც, მაგრამ გულს არასოდეს.

უფრო მეტი სარკაზმია ლექსში „გამომშვიდობება“. ეს ლექსი, ალბათ კაროლინა სობანსკასადმია მიძღვნილი. როგორც ჩანს, მიცკევიჩმა შეიტყო „ოდესელი ვენერას“ ჯაშუშური საქმიანობა და ისეთი სასტიკი სონეტი უძღვნა ამ „მადრიგალების მოყვარულ“ დიაცს, რომ სამარცხვინო ბოძზე მიაღურსმა სამუდამოდ.

მიცკევიჩის სატრფიალო სონეტები ერთის მხრივ წარსულის დიდი და სპეტაკი სიყვარულის მოგონებაა, ხოლო მეორეს მხრივ — არისტოკრატიული სალონების გარყვნილი და ფუქსავატური ცხოვრების მხილება. ამ სონეტებს არ აკლია სოციალური რეზონანსი, მიცკევიჩის მახვილი თვალი კარგად ამჩნევს, რაც დასაგმობია, და კიდევაც გმობს, თუნდაც თავისი ინტიმური ცხოვრების რთული ხლართებით დაკავშირებულიც იყოს მასთან.

მიცკევიჩი ხედავდა, რომ არისტოკრატიულ სალონებში ყველაფერი ფულზე ხურდავდებოდა, ფულით და ჩინებით ზომავდნენ ადამიანის ღირსებას, ფულზე ჰყიდდნენ სიყვარულსა და პატიოსნებას. ვისაც ფული არ ჰქონდა, ადამიანად არ მიაჩნდათ, მით უმეტეს ღირსეულ კაცად.

მიცკევიჩს ოდესაში შეუყვარდა ვიღაც მდიდრის ასული, რომლის სახელსაც ის არ ამხელს. მათი დაქორწინების საკითხიც დაისვა. მაგრამ ქალის დედამ და ბიძამ იმის გამორკვევა დაიწყეს, თუ რა ქონება, ჩინი, მამული და შემოსავალი ჰქონდა პოეტს და როცა გაიგეს, რომ მას არაფერი ამის მაგვარი არ გააჩნდა, ქალი გადაჰკარგეს და ქორწინება ჩაშალეს. ამაზე მიცკევიჩმა სარკასტული სონეტი დაწერა, რომელშიც ამბობს: „დღეიკო და ბიძიკო, სული მე მხოლოდ ერთი მაქვს, ჩემი მა-

მული პარნასია, შემოსავალი კალამმა უნდა მომცეს, ჩინი კი შთამომავლობამ“.

მიცკევიჩის გული დაცალიერდა. ძველი სიყვარული მოგონებად იქცა, „ოდესელ დანაიდებს“ კი გულთან საერთო არაფერი ჰქონდათ. როგორც ის თვითონ წერს, მისი გული დაემსგავსა უდაბნოში მდგარ ტაძარს, რომელშიც შესვლა ღვთაებას არ სურს, ხოლო ადამიანს — არ ძალუძს. ეს ნართაული თქმა იმას ნიშნავს, რომ მისმა ღვთაებამ—მარილამ არ ისურვა მისი გულის ტაძარში შესვლა, ხოლო სხვები ამ წმიდა ადგილის დაკავების ღირსნი არ იყვნენ.

XII

აღმოსავლეთი ყოველთვის იპყრობდა რომანტიკოსი მწერლების ყურადღებას. ვერც მიცკევიჩი აცდა ამ გატაცებას. ის იცნობდა ბაირონის, გოეთესა და მურის აღმოსავლურ ნაწარმოებებს. ყირიმში მოგზაურობის დროს კი შემთხვევა მიეცა თავადაც ენაზა „აღმოსავლეთი მინიატურაში“, გაცნობოდა „თავრიდის ეგზოტიკურ თავისებურებებს“ და გასაგებია. რომ ეს პუშკინის პოეზიაში ერთხელ უკვე ამღერებული მხარე მის შემოქმედებაშიც აეღერდა მთელი თავისი წარმტაცი სილამაზით.

როდესაც მიცკევიჩი ყირიმში მიდიოდა, აღმოსავლეთის ქვეყნების ცხოვრებას საფუძვლიანად იყო გაცნობილი. მან სპეციალურად შეისწავლა მისი თანამემამულის, ცნობილი ორიენტალისტის სენკოვსკის და აგრეთვე მურავიოვ-აპოსტოლისა და ჰამმერის შრომები აღმოსავლეთის და კერძოდ ყირიმის შესახებ.

დადი შთაბეჭდილება მოახდინა მიცკევიჩზე აკერმანის ტრამალებმა, შავი ზღვის სანაპირომ, ჩუფეთ-კალესა და კიკინეიზის მთებმა, ტარანკუტის და ბალაკლავის ციხე-სიმაგრეებმა.

„ყირიმულ სონეტებში“ მიცკევიჩმა შთაგონებულად უმღერა ბუნების წარმტაც სილამაზესა და სიდიადეს. თუ სატრფიალო სონეტებში ის მომეტებულად თავის ინტიმურ განწყობილებებს გამოხატავდა, აქ მისი ჩანგი უფრო პატრიოტულ მო-

ტივებზე აღერდა. ამ „სიუხვისა და სილამაზის მხარეშიც“ ის თავის უბედურ სამშობლოზე ფიქრობდა, პუშკინის თქმისამებრ, „ზღვისპირა კლდეებს შორის თავის ლიტვას იხსენებდა“.

„ყირიმული სონეტების“ პირველსავე ლექსში „აკერმანის ტრამალები“¹ პოეტი ასე იგონებს მშობლიურ ლიტვას.

შეჩერდით... მესმის ღრმა დუმილში ეცმა ფრთებისა
თვით შევარდნისთვის თვალუწვდენი წერობისა.
პესმის, პეპელა თუ ყვავილთან როგორ მიფრინდა,
თუ რანაირად მისრიალებს მიწაზე გველი.
ამ სიჩუმეში ყურს მოკვრავდი ხმას თვით ლიტვიდან...
მაგრამ ვიაროთ — ხმის მოცემას არვისგან ველი.

ვერაფერი ანელებს პოეტის სევდას სამშობლოს გამო, ვერც მის წინ გაშლილი ზღაპრულად ლამაზი მხარე, ვერც ყირიმის ლაქვარდოვანი ცა, ვერც ბაიდარის იადონის მგზნებარე ჰანგი, სალპირელი ლამაზმანების ნაზი სიმღერა, ლალისფერი თუთები თუ მზეზე მოელვარე ნარინჯები. ყოველივე ამას, ამბობს პოეტი:

მერჩია, ლიტვავ, შენი ველის და ტყის შრიალი.
(„პილიგრიმი“).²

აქ ერთმანეთში გადანასკველია მშვენიერების სიხარული და სამშობლოს სევდა. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი ბუნების სილამაზის წარმტაც გარემოცვაში და გრაფის ასულ სობანსკას „თვალებიდან დაფრქვეულ შუქში“ გახვეული, მას გული მაინც წარსულისაკენ, სამშობლოსაკენ მიუწევს:

ყოველი სახე ჩემს გარშემო ბრწყინავს სიამით,
მე წარსულისკენ რად მიმაფრენს ფიქრი მღელვარე?

¹ ეს ლექსი მიცკევიჩის ჯერ კიდევ ყირიმში მოგზაურობამდე ჰქონდა დაწერილი. 1925 წელს, გაზაფხულზე ის თავის პოლონელი მეგობრის მანროცის სანახავად ჩავიდა აკერმანს. მახროცი ფილარეტების საზოგადოების წევრი იყო და მიცკევიჩის სურდა მეგობრისათვის ამ საზოგადოების მუშაობის შესახებ ეამბნა.

² თარგმანი კ. კიკინაძისა.

დასმულ კითხვაზე, თვით ავტორი იძლევა პასუხს:

რისთვის მკლავს დარდი—უცხო მხარეს დავალ მწუხარე
და იგი მახსოვს, არეინ მხიბლავს სხვა იმის გარდა,
სიყმაწვილეში ვინაც ასე ძლიერ მიყვარდა.

ჩემი სამშობლო მე წარმართევს — ძვირფასი მხარე,
სადაც პირველმა სიყვარულმა გული გამსკვალა,
მისი ერთგული, ნეტავ, სატრფოს ვახსოვარ კვალად?
(„პოლიგრიმი“)

მიცქევიჩი აქაც აწმყოს სურათებში წარსულის მოგონებებს აქსოვს, მაგრამ ეს წარსულში რომანტიკული გაქცევა როდია, ის აქ ახლო წარსულს, ვილნიუსში გატარებულ წლებსა და მარილასთან გატარებულ დღეებს, ფაქტიურად იმავე აწმყოს გულისხმობს. უკუქცევის ასეთი გრძნობა განსაკუთრებით მაშინ შეიპყრობს ხოლმე პოეტს, როცა სამშობლოზე სევდა შემოაწვება:

გონო! — შენს ფსკერზე გველი ბუდობს მოგონებათა,
როჟელსაც სძინავს, როცა გვარყევს ქარი ვენებათა,
ხოლო როდესაც გული კმუნავს—ულმობლად გვსუსხავს.
(„ზღვის მყუდროება“)¹

პოეტი ყველგან და ყოველთვის იხსენებს მშობლიურს, ახლობელს, იმას, რაც მას თავის დაკარგულ სამშობლოსთან აკავშირებს. ამიტომ დასტირის ის პოტოცკას საფლავს და თითქოს შურს კიდევ მისი ბედი—რომ მასთან ხშირად მოდიან პოლონელები, მუხლს იყრიან მის საფლავზე და პოლონურ ენაზე საუბრობენ, პოეტი შესთხოვს თანამემამულეს, რომ იგიც, როცა სევდაში დაღვეს სულს, პოტოცკას გვერდით მიაბარონ მიწას, რათა მანაც ისმინოს მშობლიური ენა და პოეტმა, რომელიც პოტოცკას ხსოვნის სიმღერას იტყვის, მასაც უმღეროს, როცა მის ობოლ საფლავს იხილავს.²

¹ თარგმანი თ. ჩხენკელისა.

² პოტოცკას შესახებ ცნობებს მიცქევიჩი გვაწვდის კომენტარებში და, ეყრდნობა რა რ. მურავიოვ-აპოსტოლის წიგნს „მოგზაურობა ტავრიდში“, იმოწმებს ყირიმში გავრცელებულ თქმულებას, რომ ამ საფლავში განისვენებდა 9. მიხ. კვესელავა.

მარტოობისა და დავიწყების ეს გრძნობა მუდამ თან სდევს შორეულ მხარეს გადასროლილ, სამშობლოს, კარმიდამოსა და ტოლ-მეგობრებს მოწყვეტილ პოეტს. მიცკევიჩი წუხს, რომ იგი დაივიწყეს და მეგობრულ ხელს არავენ უწყდის, რომ სიკვდილის ეამსაც არავენ ეტყვის მშვილობას.

შესანიშნავ ლექსში „გრიგალი“ მიცკევიჩი ხაზავს თავისი აფორიაქებული სულის შესაფერის სურათს: ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდება,¹ იალქნები დაიფლითებიან, საქე ტყდება;

გრიგალი არევეს გარეშემოს ზათქით, ფეთებით,
ტალა ტალაზე გადაღის და გააქვს ზანზარი,
და ხომალდისკენ მოაბიჯებს ხმაშესაზარი
სიკვდილი — როგორც მეომარი რისხვით შემტევი.

გადარჩენის არავითარი იმედი არ არის და სასოწარკვეთილი მგზავრები ეთხოვებიან სიცოცხლეს:

ზოგი მეგობარს ეთხოვება ჩუმი ოცნებით,
ჭედამზობილა და ჩამოსდის ცრემლები უხვი,
ზოგი ღმერთს უხმობს—განარიდოს სიკვდილის მწუხარი—

მოგზაურთა შორის პოეტიც არის; ის დგას განმარტოებით, არც ლოცვა სურს და არც არავენ ჰყავს მშვილობის მთქმელი.

და მხოლოდ ერთი მოგზაური ფიქრობს მოწყენით:
ო, ნეტარია, ვისაც ბრძოლით დააცვდა მუხლი,
ვისაც ჰყავს სატრფო, ანდა ახსოვს წმიდა ლოცვები.²

ეს ლექსი თითქოსდა ცხოვრების ტალღებისაგან გარიყული მიცკევიჩის სულიერი განწყობილების ბაირონული გამოხატულებაა; პოეტი ხედავს, რომ მისი ცხოვრება ფრთებშეკრულა

ნებს ქერიმ-გირეის ჰარემის ტყვე ქალი პოლონელი პოტოცკა. მიცკევიჩს იქვე მოჰყავს მურავიოვ-აპოსტოლის აზრიც, რომ ამ საფლაკში არა პოლონელი, არამედ ქართველი ქალია დასაფლავებულიო, და არ ეთანხმება მურავიოვ-აპოსტოლის ამ მტკიცებას.

¹ ასე მოხდა სინამდვილეშიც. მოგზაურები ოდესიდან სევასტოპოლში რომ მიკურადნენ, ზღვაზე ძლიერი ქარიშხალი მძვინვარებდა.

² თარგმანი თ. ჩხენკელისა.

და შებოქილია, რომ მას მხარში არავენ უდგას, გზას არ უჩვენებს, რომ პრომოთეს მსგავსად იგი მარტოხელა ებრძვის ცისა და დედამიწის უსამართლობას.

მიცკევიჩის არ აკმაყოფილებს ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობა. ლექსში „ნაოსნობა“ იგი ავითარებს „გრიგალის“ მოტივებს. ისევ აბობოქრებული ზღვის სურათები და გემი, რომელიც ტალღებს მიაპობს. პოეტის ფიქრი და ოცნება წინ უსწრებს ცხოვრების დინებას, მისი წარმოსახვა იალქნებივითაა დაქიმული, და რათა გემის სისწრაფეს გაუსწროს, იგი სივრცეს გასძახის მომავლისაკენ ხელგაშვერილი... მაგრამ ამჟამად, ადამიანი ვერ გაასწრებს ცხოვრების გემის სისწრაფეს. სასოწარკვეთილი პოეტი „გემის მკერდზე“ დაეცემა და ეჩვენება, თათქოს მაინც აჩქარებს მის მოძრაობას.

მაშინ ვიგრძენიო, ამბობს პოეტი, თუ რას ნიშნავს ფრინველად ყოფნა.

კიდევ რამდენიმე ხანი და ეს ლაგამმიშვებული ლტოლვა მომავლისაკენ გამოხატულებას ჰპოვებს ლექსში „ფარისი“. „ყირიმის სონეტებში“ უკვე მოისმის ფარისის შავი ტაიქის კიხვინი.

ლექსში „ბალჩისარაი ღამით“ მიცკევიჩი ელვას ადარებს ცეცხლოვანი ფარისის გადაქროლებას. წინსროლისა და თავდავიწყების იდეას გამოხატავს სონეტი „ბაიდარიც“. პოეტა აქ ხან ცხენს მიაქროლებს, ხან ზღვის ზვირთებში გადაეშვება, რომ „ფიქრი მისი შავად მღელვარი“ წამით მაინც მიეცეს თავდავიწყებას.

მუდამ შორეულსა და უხილავს მოუხმობდა მიცკევიჩის ფანტაზია, სჯეროდა, რომ სადღაც შორს აღთქმული ქვეყანა არსებობდა და რომ იქ ადამიანი თვითონ იყო თავისი ცხოვრების კანონმდებელი. მაგრამ მომავალი ცხოვრების ეს ბროლის კოშკი მაინც ბურუსით იყო მოსილი. პოეტი ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული მის რეალურ ფორმებში. მას სწამდა, რომ ის მყობადი ცხოვრება კარგი იყო და სასურველი, მაგრამ სახელდობრ როგორი, მას ამისი დანახვა არ შეეძლო.

მიცკევიჩი დარწმუნებული იყო, რომ ადამიანური არსებობის გემი იმ აღთქმულ ქვეყნისაკენ მიცურავდა, რომ ის ოდეს-

მე მიაღწევდა კიდევ მის ნაპირებს, მაგრამ როდის, ეს მან არ უწყობდა. პოეტი სრულიადაც არ ფიქრობდა, რომ მომავლის გზა სწორი და უხიჯათო იყო. პირიქით, მან იცოდა, რომ ამ გზაზე ათასი სიძნელე და დაბრკოლება დაუხვდებოდა, რომ ჯერ უვალი გზა იყო გასათელი, მაგრამ ამის არ ეშინოდა. იგი მუდამ საბრძოლველად იყო შემართული და იაზონივით წინ მიუძღოდა თავისი დროის გულზედად არგონავტებს.

„ყირიმულ სონეტებში“ მიცკევიჩი პოეტური პეიზაჟების ხატვის შეუდარებელ ოსტატად გვევლინება. ის მიმართავს გაბედულ და ძლიერ შედარებებს, ქმნის გრანდიოზულ სახეებს. რათა ლექსის წერის დროს ნათლად წარმოედგინა ნანახი პეიზაჟი, მიცკევიჩი თვითონ აკეთებდა ჩანახატებს და შემდეგ მათი მიხედვით აღადგენდა ხოლმე ნანახ სურათს.

მრავალფეროვანი და ემოციურია მისი სონეტების პოეტური ქსოვილი. თქმები ხატოვანია, მდიდარი და გამომსახველი. ყოველი სახე ჰარმონიულ კაეშირშია პოეტის განწყობილებასთან. ეს განწყობილება უმთავრესად ორგვარია: ლირიკული მელანქოლიით დაბინდული, ან პირიქით, მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალული. როცა პოეტის გულს კაეშანი მოიცავს, გარემოც სათანადოდ ეხმაურება მის განწყობილებას. ამ დროს თითქოს ცაც და დედამიწაც გარინდებულა, ზღვა დაწყნარებული, ტრამალები სუნთქვაშეკრული, ნიავიც არ ქრის, ხის კენწეროები არ ირხევიან, ფოთლები იღუმალად ცაცცახებენ და ნაკადულებიც თითქოს ძილში ჰყვებიან ზღაპრებს. მწუხრის ეამი ახლოვდება, ველებზე წვეება საღამოთა ყრუ მეუფება და ირგვლივ დუმილი გამეფდება — ყრუ და მაშფოთებელი დუმილი. ახლა თითქოს ვარდის ფურცლების თრთოლვაც ისმის და ფარვანების ფრთების ფარფატიც; ისმის, როგორ მიფრინავს პეპელა ყვავილებთან, როგორ მისრიალებს მიწაზე გველი ან როგორ ოხრავენ უსურვაზის ჩრდილით შებურვილი სავანენი შეყვარებულთა და პოეტის მშფოთვარე სულიც იწყებს თვლემას „შელამების მყუდრო კალთაში“.

ასეთი ლექსები მარტო სიტყვებით კი არა, ბგერებითაც გამოხატავენ პოეტის განწყობილებას, ყოველი სიტყვა თითქოს საგანგებოდაა საგალობლად შერჩეული. თანხმოვნების სიმ-

კვეთრე იძირება ხმოვანთა მელოდირ დინებაში და პოლონური ენისათვის დამახასიათებელი მფშინავი ბგერები აბრეშუმივით შრიალებენ სტრიქონებში. სამაგიეროდ, როცა პოეტის სული მეტრძოლი სულისკვეთებით განიმსკვალება, ბგერათა მკვეთრი დისონანსები დაფდაფებივით შემოიჭრებიან ლექსში; სადღაც ბნელ ფონზე გაილეკებს ფრთიანი ფრაზა, გრიგალივით ჩამოიქროლებენ ომახიანი სტრიქონები და ბუნებაც მყისვე აბობოქრდება. ზღვა ვეფხვივით შემართული აწყდება ლოდებს, ტალღები ვეშაპებივით მოიმართებიან ნაპირებისკენ და ჯარისკაცებივით იერიში მოაქვთ ციხის კედლებზე, აფრა-აწყვეტილი გემები ხან ჩაყვინთავენ ტალღათა უფსკრულში, ხან ზე იწევიან „შემართული მკერდის მახვილით“. შემდეგ პეიზაჟი ისევ იცვლება, მთები იხსნიან ბინდისფერ ყაბალახებს, ცა გადაიყრის ღრუბელთა ლაშქარს, ნაომარი ზღვა დაწყნარდება და

ნელა ერხევა სხივოსანი გულმკერდი წყალსა,
ვით სანეტარო ოცნების დროს დანიშნულ ქალსა,
როს გაიღვიძებს ამოხვნეშით და კვლავ იძინებს.

(„ზღვის მყუდროება“)¹

იმავე ლექსში ასეთი შედარებაა:

შიშველ ანძებზე, ნაომარი დროშების დარად,
თვლემენ უძრავად იალქნები ძირს დაშვებულნი.

მიცკევიჩი ქმნის გრანდიოზულსა და გაბედულ პოეტურ სახეებს. ასე მაგალითად: ლექსში „პოტოცკას საფლავი“ უთვალავი ვარსკვლავები, „გაზაფხულის მხრიდან“ პოლონეთისაკენ რომ მიედინებიან, შორეულ სამშობლოზე მეოცნებე პოტოცკას ცეცხლოვანი მზერით ზეცის თაღზე ამომწვარი ნაკვალევია.

მკვეთრი პოეტური ფერებით ხატავს მიცკევიჩი ყირიმის აღმოსავლურ ხალიჩასავით გადაშლილ პეიზაჟს. „გაზაფხულის მხარის“ კოლორიტი რომ შეინარჩუნოს, პოეტი ზოგჯერ აღმოსავლელ პოეტებსაც მოიშველიებს. ლექსში „კიკინეიზის მთები“ ის ქმნის ასეთ გრანდიოზულ და პოეტური გამბედაობით აღსავსე სახეს: ზღვა არის ზეცა დედამიწისა, კონცხი — გიგან-

¹ თარგმანე კ. კიკინაძისა.

ტური, ფრთაგაშლილი და ამ ცაში შეცურებული ფრინველი, მისი ფრთები — შავი ღრუბლებია, ხოლო მათი მოძრაობა — სიმურლის ფრენა¹.

მიცკევიჩის ეხერხება ბუნების გრანდიოზული სურათების ხატვა.

სტატიისში „ვლადიმერ ბენედიქტოვის ლექსი“ ბელინსკი მკაცრად აკრიტიკებს ამ პოეტის ლექსს „Утес“, მის „ცივ რიტორულობას“; აღნიშნავს რა, რომ ავტორს უნდოდა „выразить идею величия в могуществе“, მაგრამ იღეა ვერ შერწყა ფორმასთანო. ბელინსკის მოჰყავს საპირისპირო მაგალითი მიცკევიჩის „ყირიმული სონეტებიდან“ და წერს: „მიცკევიჩს, მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს პოეტს“,² კარგად ესმოდა ეს დიდებულება და ჰიპერბოლიზმი აღწერისა და ამიტომ მის „ყირიმულ სონეტებში“ ცოცხალ ფერებად ისახება „ოდალისკების მსგავსი აღმოსავლური ღამე“, „ღრუბლების თარეში“ ჩატრდალისა და აიუდალის მთებში, არწივებისთვისაც მიუწვდომი კიკინეიზი, ღრუბლების აკვანში მთვლემარე მეხი თუ თარხანგუტის შუქურები. მისი ლექსები რიტმულია, ტემპერამენტული, თავისუფალი მარმარილოს სიცივისაგან, რომელიც ჩვეულებრივ ახლავს ხოლმე სონეტის ფორმას.

პეიზაჟის პოეტური ხატვის მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მიცკევიჩის სონეტი „ბაღჩისარაი ღამით“.

მლოცველთა გუნდი დაიშალა ფეთქვით, ზრიალით
აზანის დვრინი გარინდებული არეებს წვდება;
მოდის დარცხვენილ საღამოსთან ვერცხლისფერთმება
ღამის მეუფე, ამაყი და ალერსიანი.

ზეცის პარემში ვარსკვლავებმა იწყეს ციალი;
მათ შორის თითქოს სიზმარეულ ოცნებად წვება

¹ შენიშვნებში მიცკევიჩი თვითონ მიუთითებს ამ სახის წყაროზე: ფიროდუსის „შაჰ-ნამეში“ აღწერილია გიგანტური ფრინველი სიმურლი, რომელიც ისე დიდია, როგორც მთა, ძლიერი, როგორც ციხე-სიმაგრე; მას კლანჭებით შეუძლია სპილოს წაღება. რაინდები რომ დაინახა, სიმურლი ისე მოწყდა ადგილს, როგორც ღრუბელი, როგორც კლდე, ჭარიშხალოვით გაფრინდა და მისმა უზარმაზარმა ჩრდილმა რაინდთა მწკრივებს გადაუქროლა.

² В. Белинский. Собрание сочинений, 1948, т. 1, стр. 164.

თეთრი ღრუბელი, ფრთის ფარფატი და ნება-ნება
დაღლილ გედივით ლაქვარდებში რომ მისრიალებს.

აქ მიმწუხრისას კვიპაროსთა წვეროკინები
ჩრდილებს ისერიან... შორს ვეება შავი კლდეები
ებლისის ტახტზე თავს იყრიან, როგორც დევები.

მათ მწვერვალებზე უეცარი გამობრწყინებით
ხანდახან ელვა აიჭრება ვით ბედუინი,
ჯავარდნით რომ გადასეროს ზეცის ღუმელი!

მიცკევიჩის ძლიერ აინტერესებდა, თუ როგორ მიიღებდა საზოგადოება მის სატრფიალო და ყირიმულ სონეტებს. ის ჩვეულებრივ პირველი თვითვე სდებდა ხოლმე მსჯავრს თავის ნაწარმოებებს. 1827 წლის 14 აპრილს მიცკევიჩი სწერდა ოდინეცს: „ცოტათი ვშიშობდი „სონეტებზე“, რომ არ გაყინულიყვნენ სადმე. მაინტერესებდა, რას იტყოდა საზოგადოება, თუმცა მართალი გითხრა, მე წინასწარ ვიცოდი ყველაფერი, რომ მანდილოსნები არ შეხვდებოდნენ კეთილგანწყობილად, რომ მკითხველთა უმრავლესობა არ იქნებოდა გატაცებული. ვაღიარებ მხოლოდ, რომ კლასიკოსებისაგან მოველოდი ქებას თუ არა, მეტ შემწყნარებლობას მაინც, თუმცა მათ გაცოფებულ ოპოზიციას მე არც გავუკვირვებოვარ...“

მიცკევიჩმა ისედაც იცოდა, რომ მისი სონეტები კლასიციზმის მიმდევრების მხარდაჭერას ვერ ჰპოვებდნენ. ის ხედავდა იმ პოზიციებთან თავის პრინციპულ სხვაობას, რომელზედაც „კლასიკოსები“ იდგნენ. მიცკევიჩი არ სცნობდა მათი პოეტიკის პრინციპებს, იცოდა, რომ მათ დაეკარგათ სიახლის შეგრძნება, რომ ისინი, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის სხვა ქვეყნებში ახალმა ლიტერატურულმა სიომ დაჰბერა, მაინც ჯიუტად ჩასჭიდებოდნენ თავიანთ ძველებურ „პიტიკას“ და მუყაოს ხმლებს იქნევდნენ გაშმაგებით. მიცკევიჩი წერდა: „ყველაფერი შეიცვალა მათ გარშემო ლიტერატურაში, დაწყებული გიბრალტარიდან ვიდრე თეთრ ზღვამდე, ისინი კი კვლავ თავიანთ სკოლურ პოეტიკაზე დგანან, როგორც გემები ღუზაზე“.

ამიტომაც მიცკევიჩის გულთან ახლო არ მიჰქონდა გაბორო-

¹ თარგმანი თ. ჩხენკელისა.

ტებული სისინი, რომლითაც ხვდებოდნენ ვარშაველი ლიტერატურული სნობები. ახალგაზრდა პოეტის ყოველ ახალ ნაწარმოებს და არც დიდ ყურადღებას აქცევდა მათ აზრს. მას უფრო სხვების, მისთვის მეტად ავტორიტეტული პიროვნებების: ბოროვსკისა და ბრიძინსკის აზრი აინტერესებდა. „ვილნიუსში — ბოროვსკის, ვარშავაში — ბრიძინსკის აზრი ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველა განცვიფრების ნიშანი თაყვანისმცემლებისა და მოწინააღმდეგებისო“, — სწერდა მიცკევიჩი ოდინეცს.

„ყირიმულ სონეტებზე“ გამოხმაურება მართლაც სხვადასხვაგვარი იყო. ერთნი, როგორც თვითონ მიცკევიჩი სწერს წერილში იუზეფ ეკოვსკის, ირწმუნებოდნენ, რომ მას არ უნდა დაებეჭდა ასეთი „მოუმწიფებელი ლექსები“, მეორენი პირიქით, აცხადებდნენ, რომ მისი სონეტები პეტარაკას სონეტებს სჯობია, რომ თუკი ოდესმე პოლონეთს ექნება ორიგინალური ლიტერატურა, მიცკევიჩი იქნება მისი მამა. მიცკევიჩი კი დასძენდა, „ყველა ეს ქება და ლანძღვა ერთნაირად სულელურიაო“.

აღსანიშნავია, რომ ბევრი კრიტიკოსი მიცკევიჩს უკიჟინებდა ლექსთაწყობის მიღებული წესების უგულვებელყოფას, ზოგან ენის გრამატიკული წესების დარღვევასაც, მაგრამ მიცკევიჩი მტკიცედ იღვა თავის პოზიციაზე და წერდა, რომ სინტაქსური თავისუფლებისაგან ის არასოდეს არ განიკურნება და რომ მას ურჩევნია ამ შემთხვევაში თავის სმენას ენდოს და არა ვინმეს ეთათბიროს.

იოახიმ ლეღეველმა მიცკევიჩს გაუგზავნა ვარშავაში დაბეჭდილი რეცენზიები „სონეტებზე“. მიცკევიჩი ისევე ვერ დააკმაყოფილა ამ რეცენზიებმა, როგორც საერთოდ არ აკმაყოფილებდნენ მას რეცენზიები, რომლებშიც სხვა მწერლების მისთვის საყვარელი ნაწარმოებები იყო გარჩეული. მიცკევიჩი არც თვითონ ეკამათებოდა თავის ლიტერატურულ მოწინააღმდეგეებს და არც სხვას ურჩევდა ამას. ის არიგებდა ოდინეცს: „რატომ ეჩხუბები მათ? გაიცინე და განაგრძე წერაო“, და ამას იმიტომ კი არ სჩადიოდა, თითქოს ქედმაღლობდა და ნაკლს ვერ ხედავდა თავის ნაწარმოებებში, პირიქით, აი რას სწერდა ის

ო. ლელეველს: „ამდენი კრიტიკული სტატიების შემდეგ მე გაცილებით უფრო მეტ და უფრო სერიოზულ შეტომებში ვგაძნობ თავს დამნაშავედ, ვიდრე მიმითითებენ, და მე თვითონ რომ დამეწერა რეცენზია ჩემს ლექსებზე, ის ყველაზე მკაცრი იქნებოდა. მაგრამ მე არ აღვნიშნავდი იმას, რაზეც მიკვირებენ კრიტიკოსები, იმდენად განსხვავდებიან ჩვენი აზრები და შეხედულებები“.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მიცკევიჩის „სონეტებმა“ უფრო მეტი გამოხმაურება პეტერბურგსა და კიევში ჰპოვეს, ვიდრე ვარშავაში. მიცკევიჩი, ცხადია, ნასიამოვნები იყო რუსი მწერლების ასეთი გულთბილი დამოკიდებულებით; ის სწერდა ოდინეცს: „უუკოვსკი, რომელიც გავიცანი და რომელიც კეთილადაა ჩემდამი განწყობილი, წერს, რომ თუ კალამს ისევ მოჰქიდა ხელი, თარგმნის ჩემს ლექსებს. პუშკინმა თარგმნა „ვალენტიდის“ ორიოდ ათეული სტრიქონი. რუსები თავიანთ სტუმართმოყვარეობას ლექსებზედაც ავრცელებენ და თარგმნიან ჩემს ლექსებს თავაზიანობის გამო“.

„ჩემმა ლიტერატურულმა დიდებამ, — ატყობინებს მიცკევიჩი ტ. ზანს, — რომელიც მოსკოვში უხვად იფურჩქნება და ფართოდება „სონეტების“ მრავალრიცხოვანი თარგმანის გამო, ყველგან კარგი მიღება მომიმზადა“.

მართლაც, „ყირიმის სონეტებს“ მიცკევიჩის მოსკოვში ყოფნის პერიოდშივე თარგმნიდნენ პ. ვიაზემსკი, ა. ილიჩევსკი, ვ. შჩასტნი, ი. კოზლოვი, ი. ბენედიქტოვი, ლიუბიმიჩ-რომანოვიჩი და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ მიცკევიჩის პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი იყო ლერმონტოვიც, რომელმაც თარგმნა მისი ნოინეტი „მთების ხედი კოზლოვის მინდვრებიდან“ და „პილიგრიმი“.

სონეტებმა მართლაც დიდი სახელი მოუხვეჭა მიცკევიჩს. გარდა იმისა, რომ მათ ცნობილი რუსი პოეტები თარგმნიდნენ, დიდი რუსი კომპოზიტორები, მათ შორის ჩაიკოვსკი და გლინკა, რომანსებს წერდნენ ამ სონეტების მიხედვით.

მიცკევიჩის პოეზიის რუსეთში პოპულარიზაციის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის პ. ვიაზემსკის, რომელმაც

თარგმნა მისი „ყირიმული სონეტები“. პ. ვიაზემსკი წერდა: „მიცკევიჩი ეკუთვნის რჩეულთა იმ მცირე რიცხვს, რომელთაც მინიჭებული აქვთ ბედნიერი უფლება — იყვნენ თავიანთი ხალხის ლიტერატურული დიდების წარმომადგენელნი...“

„ყირიმული სონეტების“ ქართულ ენაზე თარგმნა უშუალოდ დაკავშირებულია ცნობილი ქართველი დრამატურგის გიორგი ერისთავის სახელთან. როგორც ცნობილია, გ. ერისთავი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო 1834 წელს გადასახლეს ვილნიუსში. აქ ის მსახურობდა მესამე ფეხოსანთა დივიზიაში, რომელიც ხშირად იცვლიდა ადგილსამყოფელს პოლონეთისა და ლიტვის ტერიტორიაზე ¹.

გ. ერისთავმა შეისწავლა პოლონური ენა, გაეცნო მიცკევიჩის შემოქმედებას და შეუდგა მისი ლექსების თარგმნას. როცა ის ვილნიუსში ჩავიდა, მიცკევიჩი უკვე ემიგრაციაში იყო წასული, მაგრამ ამ ქალაქში, სადაც პოეტმა თავისი სტუდენტობის წლები გაატარა, მუდამ ცოცხალი იყო მისი ხსოვნა.

გ. ერისთავი იყო ქ. ვოლკოვსკში და პოლონეთის სხვა ქალაქებსა და სოფლებში. საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ავტოგრაფები გ. ერისთავის ლექსებისა, რომლებიც პოლონეთსა და ლიტვის ტერიტორიაზე ყოფნის დროს არის დაწერილი. შემონახულია 3 რვეული (18012 — 6, 18015 — 6, 18032 — 6), რომლებშიც ორიგინალური ლექსების გარდა მოთავსებულია მიცკევიჩის, პეტრარკას, შილერის, ჰიუგოს, ლერმონტოვის, კრილოვის, ბერანჟესა და რიუკერტის ² ლექსების თარგმანები. მიცკევიჩის „ყირიმული სონეტებიდან“ გ. ერისთავს უთარგმნია „აკერმანის ველები“, „ბაღჩისარაია“, „ჰარამხანის საფლავი ყირიმში, ბაღჩისარაიაში“ ³, „პოტოცკას საფლავზედ“ და „პილიგრიმი“; ხოლო სატრფიალო სონეტებიდან — „მოგონება“.

ერისთავის ხელნაწერ რვეულებში შეტანილია აგრეთვე ლექსი „გაქსუებული, მიბაძვა მიცკევიჩისა“. ახლა ძნელია გა-

¹ იხ. ა. გაჩეილაძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.

² გ. ერისთავი ასე წერს: რიუკერტი.

³ ორიგინალში სათაური უფრო მარტივია: „ჰარემის საფლავები“.

მორკვევა, თუ რატომ უწოდებს გ. ერისთავი ამ ლექსს მიბაძვას. ფაქტიურად ეს მიცკევიჩის ცნობილი ლექსის „მორჩილების“ შემოკლებული თარგმანია. თუ ამ ლექსებს მიცკევიჩის სხვა ლექსების თარგმანებს შევადარებთ, შეიძლება ასეთი ჰიპოტეზა გამოვთქვათ: ის, რასაც ერისთავი მიბაძვას უწოდებს, თავისუფალი თარგმანია, ხოლო დანარჩენი თარგმანები ბწყარედს უფრო ჰგავს, ვიდრე პოეტურ თარგმანს. როგორც ჩანს, ერისთავი ასეთი შემოქმედებით თარგმანს მიბაძვას უწოდებდა, მით უმეტეს, რომ მთარგმნელი არ იცავს სონეტის ფორმას და ლექსიც შემოკლებული აქვს. თუ ორიგინალში, როგორც ამას სონეტის კანონიკური ფორმა მოითხოვს, 14 სტრიქონია (4 — 4 — 3 — 3), ერისთავის თარგმანში მხოლოდ ათია. მთარგმნელი იცავს ორიგინალთან დიდ სიახლოვეს სონეტის პირველი და მეოთხე სტროფების თარგმნის დროს (გარდა პირველი სტროფის მეოთხე სტრიქონისა). რაც შეეხება დედნის მეორე და მესამე სტროფებს, აგრეთვე პირველი სტროფის მეოთხე სტრიქონს, ისინი მთარგმნელს შეუცვლია ერთი ორიგინალური სტროფით. შესაძლოა, ასეთი თავისუფლების დაშვების გამოც უწოდებს ერისთავი ამ თარგმანს მიბაძვას. ყოველ შემთხვევაში, „გაქსუებული“ უფრო პოეტურია, ვიდრე მიცკევიჩის სხვა ლექსების ერისთავისეული თარგმანები. მოვიტანოთ ნიმუშები. მიცკევიჩის მსუბუქი და ჰაეროვანი სონეტი „პოტოცკას საფლავი“ ერისთავს ასე მძიმე და მძორე სტრიქონებით აქვს გადმოცემული:

პოლშის ისულო, მოვეუდები მეც ამ შწირობაში,
 მხოლოდ კი მოყვართ ახლოს აქა დამფლან საფლავში,
 ხშირად მგზავრი დაიწყებს შენს საფლავზედ უბნობას,
 მაშინ მეც მაცხოველებს მშობლიურ ენის ბგერა
 და მღერალიც სამარეს შენზედ იწყობს გალობას,
 იქნებ ჩემსა საფლავზედ, ჩემთვის მან სთქუას სიმღერა.

სამაგიეროდ „მორჩილება“ ან, ერისთავის მიხედვით, „გაქსუებული“ უფრო მსუბუქია და ცოცხალი:

მებრალის იგი, ვინც არის ამაოდ შეყვარებული,
 გაი მას, ვისცა აქვს გული, ტრფობისთვის გაცივებული,

მაგრამ უმეტეს მებრალვის, ვინც იყო ერთგვის ტრფიალი, ვის შეეცალა სამსალად ტრფობისა სავსე ფიალი. მებრალვის, ვწუხვარ, რა ვნახავ ქაბუკა ქალსა ორგულსა მავალს უგრძნობლად, უსაგნოდ, სულითა გაქსუებულსა, მისი გული არს მსგავსება დარღვეულისა ტაძარის, დმერთთანა გაატევებულის, მსხვერპლი ქარისა, ავდარის. კაცი ვერ ბედავს მუნ შესვლას, რათა აღანთოს ლამპარის, და მისსა საკურთხეველში დასთხიოს ცრემლი მღულარის.

გ. ერისთავის თარგმანები საერთოდ, რა თქმა უნდა, სუსტია, მაგრამ თავისთავად საყურადღებო ფაქტია, რომ მომავალში ცნობილი ქართველი დრამატურგი ჯერ კიდევ 1837 — 38 წლებში თარგმნიდა დიდი პოლონელი პოეტის ლექსებს.

XIII

თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებზე, პოემა „კონრად ვალენროდზე“ მუშაობას მიცკევიჩი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კაუნასის პერიოდში შეუდგა. იმ პერიოდის წერილებიდან ირკვევა, რომ ის აგროვებდა ისტორიულ მასალებს, ძველ ქრონიკებსა და მატეანეებს ლიტველი ხალხის წარსულის შესასწავლად. მას სურდა, რომ პოემისთვის საფუძვლად ისტორიული ფაქტები დაედვა. მიცკევიჩს ამის გარეშე ნამდვილი დრამატიული ნაწარმოები ვერც წარმოედგინა. მისი აზრით, უპირველესად ყოვლისა საჭირო იყო ისტორიული მასალების დაზუსტება, იმის დადგენა, თუ სად და როდის ხდება მოქმედება.

მიცკევიჩი ოდინეცის დრამის „იზორას“ შესახებ სწერდა ავტორს: „ბევრი რამ კარგია, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ის არ მომწონს, რომ ვერ გაიგებ სად ხდება მოქმედება, რომელ საუკუნეში. ვშიშობ, რომ ეს ბარონები ისევე გამოგონილნი არ იყვნენ, როგორც სათათრეთის ხანები და ბიზანტიელი რაინდები სკიუდერისა და დელა-კალპრენდის¹ რომანებში. თუ თვალწინ არ გიდგას ასეთი მოქმედების განსაზღვრული ეპოქა,

¹ სკიუდერი მადლენ (1607—1701) და კალპრენდ გოტიე დე კოსტ (1610 — 1663) ფრანგი რომანისტები არიან.

აუცილებლად ჩაეარდები წინააღმდეგობაში, ცრუ პათოსსა და დეკლამაციაში“. მიცკევიჩი განუმარტავდა ოდინეცს: „სადაც არ არის ნათელი, მწერლის მიერ კარგად შეგნებული აზრი, სადაც არ არის უბრალო და ძლიერი გრძნობა, იქ, მიუხედავად ყოველგვარი დიალოგებისა და მეტაფორებისა, მაინც ვერაფერს იპოვნის მკითხველი“.

„კონრად ვალენროდის“ შენიშვნებში მიცკევიჩი წერს: „ჩვენ ამ ნაწარმოებებს ისტორიული ვუწოდებთ, რადგან მოქმედ პართა დახასიათება და მასში მოთხრობილი ამბები ისტორიულ მონაცემებზეა დამყარებული“. ამავე დროს, მიცკევიჩი აღნიშნავს, რომ იმ პერიოდის ქრონიკებსა და მათიანეებში ყველაფერი როდია ნათელი, რომ ზოგი რამ იქ მიხვედრას, დამატებას, შეესებას, გამოცნობას მოითხოვს.

ყოველივე ეს აუცილებელი იყო კონრად ვალენროდის ცხოვრების გადმოცემის დროს. ქრონიკების მიხედვით ვალენროდის ცხოვრებაში ბევრი რამაა ბუნდოვანი, გაურკვეველი. გაურკვეველია მისი წარმოშობაც. როგორც ჩანს, ის არ ყოფილა ცნობილი გერმანული გვარის—ვალენროდების ნამდვილი შთამომავალი, თუმცა თვითონ ქრონიკებში თავს ამ გვარის წარმომადგენლად აცხადებს. საიდუმლოებითაა მოსილი მისი სიკვდილიც: მათიანეები გვაუწყებენ, რომ ვალენროდი უეცრად გარდაიცვალა 1394 წელს. ვალენროდის შესახებ ისტორიკოსთა ცნობები სხვადასხვაგვარია. ერთნი უარყოფითად ახასიათებენ მას, როგორც ამპარტავანს, მკაცრს, ლოთს, მეორენი კი თვლიან ძლიერი გონებისა და მტკიცე ნებისყოფის მქონე, მამაც და კეთილშობილ ადამიანად. გაუგებარია, რას ეყრდნობოდა მისი ასეთი დიდი ავტორიტეტი ჯვაროსანთა შორის, რითი დაიმსახურა მან ორდენის დიდი მაგისტრის ტიტული. რატომ იქცეოდა ასე უცნაურად ლიტველებთან ბრძოლაში, რატომ გაიქცა პრუსიაში და სხვა.

ა. მიცკევიჩის განმარტებით, ყველაფერი ცხადი გახდება, თუ იმას ვაღიარებთ, რომ ის ლიტველი იყო და ჯვაროსანთა ორდენს შურის საძიებლად მიემხრო.

მის განკარგულებაში მყოფ მეტად ძუნწ ისტორიულ მასალაზე ა. მიცკევიჩმა შესანიშნავი პატრიოტული პოემა შექმნა.

თანაც მას არ შეუბოკია თავი ამ მასალით. პირიქით, ქრონიკებსა და მათიანეებში მოცემული ზოგიერთი ცნობის გამოყენებით მან დაწერა თავისუფალი, სრულიად ორიგინალური პოემა, რომლის ცენტრალური გმირი ხალხის თავისუფლები-სათვის ბრძოლაში ყოველგვარი პირადი ინტერესების მსხვერპლად შეწირვის სიმბოლოდ იქცა. მისი კონრად ვალენროდი მზად არის ყველაფერი გაწიროს, ოღონდ რამე არგოს თავის მამულს — ლიტვას, დაიცვას იგი ტევტონთა შემოსევებისაგან. შემთხვევითი როდია, რომ მიცკევიჩმა თავისი პოემის ეპიგრაფად აიღო მაკიაველის სიტყვები წიგნიდან „Il Principe“ („მთავარი“): „უნდა იცოდე, რომ ბრძოლა ორგვარია... ამიტომ უნდა იყო მელაც და ლომიც“. ლომ კონრად ვალენროდს მოუხდა მელიის ხერხი გამოეყენებინა: ქართველთა ეროვნული გმირის, გიორგი სააკაძის მსგავსად ის შეუერთდა მტრებს, ტევტონებს, დაიმსახურა მათი ნდობა, მოიპოვა მათი მთავარსარდლის პოსტი, ტევტონთა დიდი მაგისტრის ტიტული, და გამოუძღვა ჯვაროსნებს ლიტველების წინააღმდეგ, შემდეგ კი უღალატა და გაანადგურა ისინი. ამისათვის მან გასწირა როგორც საკუთარი, ისე თავისი მეუღლის ალდონას სიცოცხლე.

დიდი სიძლიერით არის დაწერილი პოემის ყველა ეპიზოდი, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩევა ვაიდელოტის სიმღერა და მოთხრობა. ვაიდელოტი მოუწოდებს კონრადს შურისძიებისაკენ; მან იცის ძველი ხალხური თქმულებებისა და სიმღერების ძალა, იცის, რომ მათშია შემონახული ხალხის სიმტკიცე, მისი ფიქრი და ოცნება:

გადმოცემანო სჯულის კიდობნად
დგახართ ნამყოს და მომავალს შორის,
თქვენში ინახავს ხალხი თვის გრძნობებს,
ხალხის ფიქრი ხართ, მისი ხალის სწორი. ¹

მიცკევიჩი, რომელიც ადრიდანვე დასდგომოდა ლიტერატურის ხალხურობის პრინციპს, თავის ნაწარმოებებში შესა-

¹ თარგმანი კ. ლორთქიფანიძის, კ. კაჭინაძის და ი. აბაშიძისა.

ნიშნავად იყენებდა ძველ თქმულებებსა და ლეგენდებს. „კონრად ვალენროდშიც“ ვაიდელოტის სახით ის გადმოსცემს ამ თქმულებების ძალასა და უკვდავებას. შეიძლება ბევრი მოგონილი ამბავი ნაცარ-ტუტად იქცეს... ყაჩაღებმა წაიღონ ოქრო და ვერცხლი, მაგრამ ალალი გულის მართალი სიმღერა მუდამ უკვდავი დარჩება, საუკუნეებს გაუძლებს და როცა წაბილწული სულები ვერ შესძლებენ მის შენახვას, მთებსა და ძველ ციხე-კოშკებს შეათარებს თავს და შემდეგ კვლავ მძლავრ გალობად გადაეცემა შთამომავლობას.

ვაიდელოტის სიმღერაც მოგვითხრობს ლიტვის ვაებას, იხსენებს მტრების მიერ გადამწვარ ქალაქებს, დანგრეულ ციხე-სიმაგრეებს, მოძმეთა საფლავებს და მოუწოდებს:

ო, ვისაც შეგრჩათ ლიტვერი სული,
ამ საფლავებზე თავი დაეხაროთ,
ბოლმით ვიმღეროთ და ცრემლი ვღვაროთ.

ამ სიმღერათა ძალის გადმოცემით მთავრდება პოემა. ჰალანს არ სურს ვალენროდთან ერთად მოიკლას თავი მხოლოდ იმიტომ, რათა შეთხზას სიმღერები კონრად ვალენროდის გმირული საქმეების შესახებ:

„არა, მე უნდა ცოცხალი დავრჩე,
რომ შენს გმირობას მღეროდეს ყველა.
დაე მომავალ საუკუნეებს
შენი ამბები ესმათ, რაინდო!
მღეროდეს ლიტვა, მღეროდეს ხალხი, —
მტერი ბალღებმაჲ რომ არ დაინდონ!“

„კონრად ვალენროდმა“ მკითხველთა ფართო წრეების მოწონება დაიმსახურა. ის განსაკუთრებით პოპულარული იყო რუსეთში. აღსანიშნავია, რომ გამოქვეყნებიდან სულ რაღაც ხუთი წლის განმავლობაში/პოემა ოთხჯერ იქნა თარგმნილი რუსულ ენაზე: შევირიოვის, ვლოჯჩენკოს, სკალსკის და ეპიგლევის მიერ. ეს პოემა ისე მოეწონა ა. ს. პუშკინს, რომ ისიც შეუდგა თარგმნას, მაგრამ არ დაუმთავრებია.

არც რეაქციას ეძინა. მიუხედავად რა პოემის პატრიოტულ შინაარსსა და მის იდეურ მიმართულებას, მეფის დამქაში ნოვო-

სილცევი მოხსენებით ბარათებს უგზავნიდა მეფის ნაცვალს და გრაფ ჩერნიშოვს, რათა მათ ყურადღება მიექციათ არალეგალური პატრიოტული ორგანიზაციის, „ფილარეტების“ ყოფილი წევრის, მიცკევიჩის ამ ნაწარმოების „დასაძრახ შინაარსზე“. ნოვოსილცევის აზრით, პოლონელი მწერლები ცდილობენ ხოტბა შეასხან, განადიდონ და გააძლიერონ პოლონეთის წარსული, - მისი მხედართმთავრების გმირული საქმეები და ამით საზრდოს აძლევენ პოლონურ ნაციონალიზმს. გაქნილი ნოვოსილცევი წერდა, რომ თავისთავად წარსულის ხოტბა არ არის დასაძრახი, „მაგრამ საქმე სხვა სახეს მიიღებს, თუ ასეთ პატრიოტიზმს შეუერთდება ოცნებები მომავალ დამოუკიდებელ პოლონეთზე...“ ამიტომ მისი დასკვნაა, რომ ისეთი ნაწარმოებები, რომელთა რიცხვს ეკუთვნის მიცკევიჩის პოემა „კონრად ვალენროდი“, საზიანოა და დანაშაულებრივი და რომ ისინი, „შემოსილნი პოეზიის მიმზიდველი ფორმით, აღვივებენ ფარულ მტრობას და ამზადებენ თანამემამულეთა მუხანათურ ღალატს“.

ნოვოსილცევის ჯამუშური „ესთეტიკური შეხედულებანი“ გასარჩევად გრაფ ბენკენდორფს გადაეცა, მაგრამ ეს საქმე რატომღაც შეაჩერა ნიკოლოზ I-მა. ვარშავის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ პოლონეთის ახალმა მთავარმართებელმა პასკევიჩმაც დასწერა ახალი ჯამუშური „თხზულება“, მიუთითა ნოვოსილცევის ძველ მოხსენებით ბარათზე და მოითხოვა „კონრად ვალენროდის“ აკრძალვა; პასკევიჩი განსაკუთრებით აღშფოთებული იყო მიცკევიჩის ი. ლეღევლისადმი მიძღვნილი ლექსით, რომელშიც „უმთავრესი მაშფოთარი“ ახალგაზრდობის გამანათლებლად იყო მონათლული.

მეფის ცენზურამ ამის შემდეგ აკრძალა არა მარტო „კონრად ვალენროდი“, არამედ საერთოდ მიცკევიჩის ნაწარმოებების ბეჭდვა და მისი სახელის ხსენებაც კი, რითაც საუკეთესოდ დაახასიათა მიცკევიჩის შემოქმედების რევოლუციურ-პატრიოტული სულისკვეთება.

„კონრად ვალენროდი“ ცნობილი გახდა საქართველოშიც. მართალია უკანასკნელ დრომდე ვალენროდი არ ყოფილა თარგმნილი ქართულ ენაზე, მაგრამ მას ისედაც იცნობდა ქართველი

ინტელიგენცია. საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ცნობილი ადგილი აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლიდან“.

მე მიცკევიჩის გმირებში
მომწონდა ვალენროდია,
ის მამხნევებდა ვაჟაკად,
გულს შორდებოდა ლოდია.
მეც გამიტაცა ოცნებამ,
რომ შევწეოდი მხარესა,
და, ბოლოს ტკბილის მომლოდნე,
უშიშრად ვსვამდი მწარესა,
და დავაპირე მხედრობა,
რომ ხელში მეგდო სარდლობა,
და მოლაღატედ დასახულს —
ბოლოს მიმელო მადლობა...

ამჟამად ჩვენ გვაქვს პოეტების კ. ლორთქიფანიძის, კ. ჭიჭინაძისა და ი. აბაშიძის მიერ შესრულებული სრული თარგმანი ამ პოემისა.

XIV

მიცკევიჩი თანდათან გაერთო მოსკოვის საზოგადოებაში. ის პეტრე ვიაზემსკისა და ზინაიდა ვოლკონსკაიას ლიტერატურული სალონების ხშირი სტუმარი გახდა. აქ ხვდებოდა ის ცნობილ რუს მწერლებს, აქვე გაეცნო ის ბეთჰოვენისა და გოეთეს ყურადღებით შემკულ გამოჩენილ პიანისტ ქალს მარია შიმანოვსკას, რომელიც გარდა მაღალი ხელოვნებისა, უებარი სილამაზითაც ხიბლავდა მიცკევიჩს. მოსკოვშივე დაუახლოვდა ის იოანნა ზალესკას და გული სიყვარულით აუძგერა 17 — 18 წლის კაროლინა იანიშს, რომელიც ბავშვური გატაცებით მიენდო სახელოვან პოეტს. როგორც ჩანს, არც მიცკევიჩი იყო გულგრილად განწყობილი მისადმი. 1849 წლის აპრილს, როცა საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებოდა, იგი პეტერბურგიდან მოსკოვს დაბრუნდა სპეციალურად კაროლინა იანიშთან გამოსამშვიდობებლად.

საოცარი სიმშვიდით შეხვდა შეყვარებული გოგონა ამ თავზარდამცემ ცნობას, მას ერთი წუთითაც არ უგრძნობინებია მიცკევიჩისათვის თავისი გულის ვარამი, რომ ამით არ შეეწუ-

ხეზინა სათაყვანო არსება. სადღაც, თვალის უბეებში თითქოს აციმციმდა ცრემლი, მაგრამ ასულმა თავი შეიკავა, რადგან იცოდა, რომ მიცკევიჩის არ უყვარდა ასეთი სცენები. „ამერიიდან ვერასოდეს რომ ვერ გნახო, ჩემი ცხოვრება მაინც მშვენიერი იყო“, ჩურჩულით უთხრა კაროლინამ მიცკევიჩს, კარგბამდე მიაცილა, და როდესაც მგოსანი სამუდამოდ მიეფარა მის თვალს, გამოტრიალდა, ლოგინზე დაემხო და აქვითინდა.

არც მიცკევიჩისათვის იყო ადვილი ეს განშორება. ის ერთ დროს ფიქრობდა ცოლად შეერთო კაროლინა, მის ნათესავებთანაც ჰქონდა ამაზე მოლაპარაკება, მაგრამ შემდეგ ხელი აიღო თავის განზრახვაზე, რადგან სამშობლოდან გადახვეწილ ღარიბ მგოსანს არ სურდა ეს სპეტაკი ბავშვი თავისი მძიმე ცხოვრების თანაზიარი გაეხადა. კაროლინა იანიშისადმი უნდა იყოს მიძღვნილი მიცკევიჩის მშვენიერი სონეტი

№-სადმი

მიცქერ თვლებში... ო, უმანკო ეგ მზერა შენი
დაგლუპავს ბავშვო, — ჩემს თვლებში იქედნებია,
გაქეც იმათ — ვიდრე შხამი არ შეგხებია,
გაქეც — რომ არ დაიწყევლო სიცოცხლის დღენი
მე ამაყი ვარ! — შემრჩა კვლავ ეს ციური ძღვენი, —
გულახდით გეტყვი: მე ობლობა წილად მრგებია,
როგორ გავბედავ, როს სიცოცხლე შემომკლებია,
ენებას ვუმსხვერპლო ეს სიცოცხლე ყვავილად მჩენი?
არა, სულმდაბალ მოტყუებით მე არ შეგაცდენი
შენ ხომ ბავშვი ხარ! შენ ჯერ გართობს უბიწო ჟინი,
მე — დავფერფლილვარ... სულ სხვადასხვა გზა გვაქვს მე და შენ;
ჩემი ზედრია სამარის ქვა, შენი კი ლხინი!

ო, ნორჩო სუროვი! შენ ალვისხეს მოხვით მკლავი,
დაე, ეკლებმა მორთოს ჩემი მწირი საფლავი! ¹

ამაო იყო მიცკევიჩის ეს შეგონება. კაროლინა იანიშს ისე ძლიერ უყვარდა „უკვე დაფერფლილი“ ახალგაზრდა პოეტი, რომ ადვილი როდი იყო მისთვის დაეძლია „უბიწო ჟინი“.

¹ თარგმანი ს. ფაშალიშვილისა.

ხედავდა რა კაროლინას ასეთ გულწრფელ სიყვარულს, მიცკევიჩმა რუსეთიდან სამუდამოდ გამგზავრების წინ მშვენიერი ლექსი ჩაწერა კაროლინას ალბომში. ამ ლექსში პოეტი კვლავ დაბრუნების იმედს აძლევდა განშორებით გულდაწყვეტილ გოგონას. იგი წერს. როცა შემოდგომის სუსხიან დღეს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მომავალი ფრინველები მწკრივად გადაიქროლებენ, ნუ იტყვი მათ საყვედურს, მეგობარო. იცოდე, რომ გაზაფხულზე ისინი კვლავ დაუბრუნდებიან სასურველ ადგილს. თუკი ოდესმე ჩემს სვედამწვარ ცხოვრებაში იმედმა გაიელვა, სიხარულის ფრთებს გამოვიხსამ და სამხრეთიდან ჩრდილოეთში გამოვეშურებო შენსკენ.

კაროლინა იანიში გრძნობდა, რომ ეს განშორება სამუდამო იყო და ღრმა ლირიზმითა და გულწრფელი სიყვარულით გამთბარი წერილი დაადევნა სამხრეთისაკენ გაფრენილ არწივს. ეს წერილი დღემდე ამშვენებს მიცკევიჩის თხზულებათა კრებულს.

„მშვიდობით, ჩემო მეგობარო — წერს კაროლინა, — კიდევ ერთხელ გწირავ მადლობას ყველაფრის — მეგობრობის, სიყვარულის გამო. შემოგფიცე ამ სიყვარულის ღირსი ვიყო, ისეთი ვიყო, როგორც შენ გსურს. თავში არასოდეს გაივლო აზრი, რომ მე შემიძლება დავარღვიო ეს ფიცი — ესაა ჩემი ერთადერთი თხოვნა. ეს. ალბათ, ჩემი უკანასკნელი სიტყვებია, შენდამი მიმართული. გჯეროდეს ჩემი ფიცისა, ხოლო როცა დაგავიწყდება, გადაიკითხე ეს წერილი და ის იფიქრე, რომ შენდამი მოცემული ფიცი ჩემთვის წმიდაა და მე უნდა შევინახო ის, რადგან მიყვარხარ. მეგობარო ჩემო! მე დარწმუნებული ვიქნები, რომ შემისრულებ უკანასკნელ თხოვნას და ჩემზე ფიქრისას არაფერს არ უსაყვედურებ შენს თავს, არ მოისურვებ გააწვილო ჩემი რწმენა. თუკი შეცოლინება. რომ ჩემში არასოდეს დაეჭვდები, მე ვიქნები დამშვიდებულო, კმაყოფილი და ბედნიერი, როგორც ახლა ვარ, როცა უნდა დაგშორდე და შესაძლებელია სამუდამოდაც. ყველაფერი კარგად გამოვიდა, და თუკი ამიერიდან ვერასოდეს გნახავ, მუდამ ვიქნები დარწმუნებული, რომ ჩვენთვის ორთავესთვის ასე სჯობს, რადგან ასეთი დღეთის ნება. ჩემი ცხოვრება შეიძლება კიდევ იმით იყოს მშვენიერი, რომ გულის სიღრმიდან ამოვიღებ ხოლმე შენს შესახებ მოგონების

საგანძურებს და სიხარულით გადავსინჯავ, რადგან ყოველი მათგანი წმიდა წყლის აღმასია... მშვიდობით, მეგობარო ჩემო! მეტს არაფერს გეტყვი განშორების უამს, რადგან რაც სათქმელი მაქვს, არ შემოძლია სიტყვებით გამოთქვა, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ხომ გესმის ჩემი და იცი ჩემი სიყვარულის ამბავი, თუნდაც ის მუნჯი იყოს. და მაინც, როცა ვფიქრობ, რომ შეიძლება აწ ერთი სიტყვაც კი ვერასოდეს გითხრა, არ შემოძლია დავასრულო წერილი. მაგრამ ასე უნდა მოხდეს, მშვიდობით, მეგობარო ჩემო მე ხომ ვიცი, რომ გიყვარვარ. მშვიდობით”.

კაროლინა იანიშმა გასაოცარი ერთგულებით შეინახა ეს სიყვარული. დღე და ღამ მიცკევიჩზე ფიქრობდა, ლექსებს უძღვნიდა მას, თარგმნიდა მის ნაწარმოებებს და აღმერთებდა მის ხსოვნას. კაროლინამ თარგმნა გერმანულ და ფრანგულ ენებზე „კონრად ვალენროდი“ და „თავისი ხატების“ ზოგიერთი სხვა ნაწარმოებიც. მიცკევიჩს მისთვის ერთხელაც არ მოუწერია წერილი, კაროლინა კი სიკვდილამდე მისი ერთგული დარჩა.

1890 წელს, მიცკევიჩის გარდაცვალებიდან 35 წლის შემდეგ, უკვე ღრმად მოხუცებული კაროლინა წერს პოეტის ვაჟს ვლადისლავს:

„სამი დღის წინ, 18 აპრილს შესრულდა 60 წელი იმ დღიდან, რაც მე უკანასკნელად ვნახე ოკი... ვინც კიდეც ცოცხალია ჩემს მეხსიერებაში. ჩემს წინ არის მისი პორტრეტი, მაგიდაზე დგას მისი ნაჩუქარი თიხის ვაზა, თათზე მისი ბეჭედი მიკეთია. ჩემთვის არ შემწყვდარა მისი სიციცხლე. მე დღესაც ისე მიყვარს ის, როგორც მიყვარდა განშორების ამდენი წლების მანძილზე. ის ახლაც ჩემია, როგორც მაშინ“.

მიცკევიჩის ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე მარია შიმანოვსკამ. ეს ქალი იმ ეპოქის უდიდეს ადამიანთა წრეში ტრიალებდა. ცნობილია, რომ მის ალბომში აღბეჭდილია გოეთეს, მურის, შატობრიანის, ბერანეეს, ბეთჰოვენის,

როსინის, ბახის, ჰენდელის, მოცარტის, კარამზინის, ჟუკოვსკის, კრილოვის, დენის დავიდოვის, გნედიჩის და სხვათა ავტოგრაფები, შიმანოვსკას ალბომში ჩაწერილია პუშკინის ლექსიც.

მიცკევიჩი და შიმანოვსკა უმთავრესად ზინაიდა ვოლკონსკაიას სალონში ხედებოდნენ ერთმანეთს. ამ სალონში მოიხვეჭა მიცკევიჩმა სახელი, როგორც შესანიშნავმა იმპროვიზატორმა.¹ აქვე ხედებოდა ის პუშკინს. ვოლკონსკაიას სალონი აღწერა მიცკევიჩმა თავის შესანიშნავ ლექსში „ბერძნული ოთახის გამო“. აქ ყველაფერი წარსულის მოგონებაა, ყველაფერში ელადის სუნთქვა იგრძნობა, აქ მარმარილოში სთვლემენ ძველი კერპები, აქ ეძლეოდა პოეტი თავდავიწყებას და მოჯადოებული უსმენდა შიმანოვსკას თითებიდან დაფრქვეულ ბგერებს.

მიუხედავად ასეთი გარემოცვისა, არც აქ ავიწყდება პოეტს სიჭაბუკის წლები და პირველი სიყვარულის „მოგონება“. ის კვლავ აცოცხლებს მარია ვერეშჩაიკის ჟამთა სვლაში ოდნავ გაფერმკრთალებულ სახეს. პოეტი იგონებს, რომ მისი სიჭაბუკე გაბრწყინებული იყო მარიას ღიმილით და ამბობს, რომ არ ძალუძს დაივიწყოს ის, ვინც საუკუნოდ შებოჭა მისი სული. მარიას ერთი გახსენება აქრობს ყოველგვარ ბედნიერებას და კვლავ ტანჯვას და წვალებას იწვევს მასში. მაგრამ, როგორც ეტყობა, ახლა ყოველივე ეს უფრო „პოეტური კაპრიზია“, ვიდრე ნამდვილი განცდა.

მოსკოვში მიცკევიჩმა იმდენი სასიყვარულო ქსელი გააბა, რომ შემდეგ თვითონ შეშინდა და კიპრიან დაშკევიჩს მისწერა, — ალბათ გაქცევა მომიხდებოდა აქედან. იქნებ ესეც იმის ერთ-ერთი პატარა მიზეზი იყო, რომ მიცკევიჩი მოსკოვიდან პეტერბურგში გაემგზავრა.

მოსკოველმა მეგობრებმა ზეიმით გააცილეს პოლონე-

¹ რუს მხატვარს გ. მისოედოვს დახატული აქვს სურათი „ა. მიცკევიჩი ვოლკონსკაიას სალონში იმპროვიზაციის დროს“.

ლი პოეტი. პეტერბურგში ჩასვლისთანავე მიცკევიჩი სწერდა ოლინეცს:

„მოსკვიდან სინანულით წავედი. მე იქ მშვიდად ვცხოვრობდი, ისე რომ არც დიდი სიხარული ვიკოდი და არც სევდა. წასვლის წინ ლიტერატორებმა გამოსათხოვარი სალამო მომიწყვეს (მე უკვე არაერთხელ მიკეთებენ ასეთ სიურპრიზს), იყო ლექსები და სიმღერები, მისახსოვრეს ვერცხლის თასი დამსწრეთა გვარების წარწერით. მე ძლიერ აღელვებული ვიყავი“.

პეტერბურგში მიცკევიჩის ძველი ნაცნობ-მეგობრებიც დახვდნენ. აქ იყვნენ მაშინ პუშკინი, ვიაზემსკი, ჟუკოვსკი, კრილოვი. პუშკინი მაშინ თავისი დეკაბრისტი მეგობრების ბელით იყო შეძრწუნებული: „Послание в Сибирь“ მას ახალი დაწერილი ჰქონდა. ამ დღეებშივე დაწერა მან ლექსი „მოგონება“, რომელიც ისე ახლო იყო მიცკევიჩის განწყობილებებთან, რომ ამ უკანასკნელმა ის პოლონურ ენაზე თარგმნა.

პუშკინი და მიცკევიჩი კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. პუშკინი ძველებურად იყო გატაცებული „კონრად ვალენროდით“, გრძნობდა ამ პოემის მნიშვნელობას თანადროულობისათვის, მის პოეტურ ძალას. ის ნაცნობ პოლონელს სიტყვა-სიტყვით ათარგმნიებდა „ვალენროდს“ და სიამოვნებით უსმენდა პოლონური ლექსების ელერას. პუშკინი ხედავდა, რომ „ვალენროდში“ გამოხატული იყო ფილარეტებისა და დეკაბრისტების დიდი ტრაგედია.

მიცკევიჩი პეტერბურგშიც ჩაება ლიტერატურული წრეების მუშაობაში. იქვე იყო მარია შიმანოვსკას ოჯახიც, სადაც ატარებდა მიცკევიჩი უმთავრესად დროს. მხატვარი ოლეშკევიჩიც ხშირი სტუმარი იყო ამ წრისა. მან დახატა მარია შიმანოვსკას შესანიშნავი პორტრეტი. უსახლკარო და უოჯახო მიცკევიჩი შიმანოვსკას ბავშვებთან თამაშში ერთობოდა. პოეტი რაღაც ძლიერი და უჩვეულო სიმპათიით გაიმსჭვალა მისი ჯოჯონა ცელინასადმი. ისინი ხშირად თამაშობდნენ ერთად, ცელქობდნენ და ტოლებივით ებუტებოდნენ ერთმანეთს. ცელინა მაშინ 10 წლისაც არ იყო.

პეტერბურგში ხელახლა გამოიცა მიცკევიჩის ლექსების კრებული. ამ გამოცემას მან წარუძღვარა წინასიტყვაობა „ვარშაველი კრიტიკოსებისა და რეცენზენტების შესახებ“, რომელშიც შუბლმაგარი კლასიციზმების გესლიანი თავდასხმებისაგან მოთმინებიდან გამოსული პოეტი საკადრის პასუხს აძლევს ვარშაველ ლიტერატურულ სნობებს. უკვე სტატიის ეპიგრამებიდან ჩანს ავტორის მეტობოლი, შემტევი ტონი. ეს ეპიგრამა წარმოადგენს პერიფრაზს ნემცევიჩის კომედიის „დეპუტატის დაბრუნების“ ერთი წინადადებისა და ასე იკითხება: „დაიძახეს: ნებას არ მოგცემთო და პრალისაკენ გაქუსლეს“.

მიცკევიჩი წერს, რომ მის ამ კრებულში მოთავსებული ლექსები უკვე ცნობილია მკითხველებისათვის და რომ მას მოსმენილი აქვს მათი ლანძღვაც და ქებაც, მაგრამ ერთნაირი გულგრილი დუმილით შეხვდა ყოველივე ამას. მიცკევიჩი არ არის ისე ქედმაღალი, რომ კრიტიკის მოსმენა არ სურდეს, იგი პრინციპულად იცავს თავის პოზიციას და კიდევაც განმარტავს, თუ, ჯერ ერთი, რატომ უარყოფს ის კატეგორიულად ბრალდებას, თითქოს პროვინციალიზმის შემოტანით“ რყვნიდეს ლიტერატურულ სტილს. მისი თქმით, ამას ის შეგნებულად სჩადის, რადგან როცა ხალხური შემოქმედების მოტივებზე წერს ბალადებს, შესაფერის ხალხურ გამოთქმებსაც ხმარობს, უცხო მწიგნობრულ ენისათვის, მაგრამ დამახასიათებელს ხალხური მეტყველებისთვის. პოეტი აღნიშნავს, რომ არა მართო ის, მიცკევიჩი, არამედ სხვა მწერლებიც მიმართავენ ასეთ შემთხვევებში „პროვინციალიზმს“: ბერნსი, ჰერდერი, გოეთე, სკოტი, კარპინსკი, ბ. ზალესკი და თვით პოლონური კლასიციზმის მეთაური ტრემბიციცი.

მიცკევიჩი დასცინის იმათ, ვინც „ავტორიტეტულად“ კარნახობს მწერლებს სტილის წესებს, გონებაშეზღუდულ რეცენზენტებს, რომელნიც შეიძენენ აკადემიურ ლექსიკონს და ჰგონიან, რომ შეუძლიათ პოეტური ენის მსაჯულები იყვნენ. შემდეგ მიცკევიჩს მოჰყავს ვარშაველი რეცენზენტების სრულიად ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებანი. ერთნი წერენ:

რომ მიცკევიჩმა აამალა პოლონური ლიტერატურა და მას ნამდვილი ეროვნული სახე მისცა, მეორენი კი უკიჟინებენ, რომ ის იწვევს პოლონურ ლიტერატურის დაცემას და რყვნის მას. ერთი რეცენზენტი წერდა — მოხარული ვართ, მიცკევიჩმა ბალადების წერა რომ მიატოვა და სონეტებზე გადავიდა, რაც უეჭველად უკვდავს ჰყოფს მის სახელსო; ჩვენ ვწუხვართო — უპასუხებდა მას მეორე რეცენზენტი, — რომ მიცკევიჩმა ბალადების წერა მიატოვა და სონეტებს მიმართა, რაც სრულიად უცხოა ჩვენი ლიტერატურისთვისო. ერთნი ფიქრობენ, რომ მისი სონეტები წარმტაცია, კეთილშობილი და მშვენიერი, სხვათა აზრით კი ისინი მონური, მძიმე და უხეშნი არიან; ვილაც ამტკიცებს, სონეტი საერთოდ შუა საუკუნეების ბარბაროსული მონაგონიაო; რაღაც ამის მსგავსს, მგონი, ჰორაციუსიც წერდაო, კარნახობს მეორე.

მიცკევიჩი შეუბრალებლად აცამტვერებს ამ „გაუნათლებელი რეცენზენტების“ არგუმენტებს. განსაკუთრებით მკაცრად აკრიტიკებს ის პოლონური ბიბლიოთეკის დირექტორის ფრანციშეკ სალუზი დმოხოვსკის გამოხდომებს და ნილაბს ხდის მას, როგორც უვიცს ლიტერატურის საკითხებში.

განა გოეთეს, ბაირონს, შურს ასევე არ უკიჟინებდნენ ნაცარქექია რეცენზენტები პროვინციალიზმის შემოღებას, ენის წარყვნას, კანონების დარღვევას, გრამატიკის წესების უგულვებელყოფას? მაგრამ მათმა გენიამ ძლევამოსილად ჩაახშო ამ პედანტი ფილოლოგების წკავწკავი. ასეთივე ბრძოლის გადატანა უხდებოდა მიცკევიჩსაც პოლონურ ლიტერატურაში. მას უნდა გადაელახა „აკადემიური ფილოლოგიის“ ნილაბს ამოფარებული რეაქციულ-ანტიდემოკრატიული მწერლების მიერ დადგენილი მკაცრი საზღვრები და გზა გაეხსნა მდიდარი, მრავალფეროვანი, ხატოვანი, მოქნილი და ბრძნული ხალხური გამოთქმებისათვის. სამართლიანად წერს მიცკევიჩი, რომ სასკოლო რიტორიკოსები დანტეს დროიდან დაწყებული ლამარტინამდე ოხვრით გამოთქვამდნენ სინანულს, რომ პოეტებს აქვთ ტალანტი, მაგრამ აკლიათ განსწავლულობა და აღნიშნავს, რომ ეს „მოთქმა რიტორებისა ჩვეულებრივ ძლიერდ-

ბოდა დიდ ლიტერატურულ გადატრიალებათა პერიოდებში. „მსოფლიო ლიტერატურის ისტორია გვარწმუნებს ჩვენ, — განაგრძობს მიცკევიჩი, — რომ გემოვნების დაცემა და ტალანტების სიმცირე ყველგან ერთი მიზეზით წარმოიშობა, სახელდობრ იმით, რომ ლიტერატურა იზღუდება განსაზღვრული წესების, ფიქრებისა და აზრების ფარგლებში, რომელთა ამოწურვის შემდეგ ახალი საკვები მასალის უქონლობის გამო იწყებს შიმშილსაც და სიკვდილსაც“. ამის მაგალითად მიცკევიჩს მოჰყავს ბიზანტიური ლიტერატურა, ბერძნული კულტურის ყველაზე მდიდარი მემკვიდრე, რომელმაც არ მოისურვა ანგარიში გაეწია პროგრესისათვის და მიეღო ახალი ფორმები. შემდეგ მიცკევიჩი გადადის „ვარშავის სკოლის“ კრიტიკაზე და, როგორც ერთ დროს ბაირონი ამათრახებდა თავის „ინგლისელ ბარდებსა და შოტლანდიელ მიმომხილველებში“, კონსერვატიულ, ჩამორჩენილ ლიტერატურულ სკოლას, ქვას ქვაზე არ სტოვებს ვარშავის ლიტერატურულ პარნასზე, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ „გარშემო ლიტერატურაში ყველაფერი შეიცვალა გიბრალტარიდან თეთრ ზღვამდე, ისინი კვლავ ღუზაჩაშვებულ გემივით უძრავად დგანან თავიანთ სკოლურ პოზიციაზე“.

დიდ პოლონელ პოეტს ლიტერატურულ რეაქციონერებთან ბრძოლაში მხარი დაუჭირა რუსულმა პროგრესულმა პრესამ. მიცკევიჩის ეს წერილი იმავე წელს გადაბეჭდა „Московские ведомости“-მ (1829 წ. № 17). თანდართულ კომენტარში რედაქცია წერდა: „მიცკევიჩი უდავოდ პოლონეთის პირველი პოეტია, და ერთ-ერთი პირველთაგანი მსოფლიო ლიტერატურის სამყაროში“. მსგავსად სხვა გენიოსებისა, გაბედულად რომ იცავდნენ ახალ გზებს პოეზიაში, მიცკევიჩსაც სინარულის ყიჟინით შეხვდნენ სიტყვაკაზმული მწერლობის მოწინავე პროგრესული წარმომადგენლები. ვარშაველი კრიტიკოსები კი აღშფოთებული იყვნენ, რომ ჭაბუკმა პოეტმა გაბედა დაეგლიჯა მათი სასკოლო წესების აბლაბუდა და თავისუფლად ამოესუნთქა. მათ განიზრახეს მიცკევიჩის დასჯა, მაგრამ რით დაესაჯათ? ლიტერატურულ ობობებს სად შეეძლოთ მისი კვლავ შებოჰვა. მათ ისღა დარჩათ, რომ კვლავ შედ-

გომოდნენ მიცკევიჩის მიერ დაგლეჯილი კლასიციზტური პოეტიკის ქსელის შეკეთებას. „მაგრამ მიცკევიჩმა განიზრახა, — წერს გაზეთი, — მათი შრომის ამოება ეჩვენებინა და გამოსცა ლექსების კრებული; რომელსაც პასუხი წარუძღვარა. ამ პასუხში იმდენი დამაჯერებლობა და ჭეშმარიტებაა, რომ გადავწყვიტეთ გაგვეცნო ის ჩვენი მკითხველებისათვის“.

ბესარიონ ბელინსკი აღნიშნავდა, რომ მანამდე ევროპაში არასოდეს არ ყოფილა ასეთი ერთსულოვანი და ძლიერი მისწრაფება კლასიციზმის, სქოლასტიზმის, პედანტიზმის ან „პლუტიციზმის“ ბორკილთა მოშორებისაკენ. იგი წერს, რომ თუკი ბაირონმა და ვალტერ სკოტმა თავიანთი ნაწარმოებებით პოპისა და ბლერის სკოლა გასრისეს და ინგლისს დაუბრუნეს რომანტიზმი, ასევე გამოჩნდა საფრანგეთში ვიქტორ ჰიუგო, იტალიაში — მანძონი, ხოლო პოლონეთში — მიცკევიჩი.

მიცკევიჩმა პეტერბურგში ხელმეორედ გამოსცა „კონრად ვალენროდი“. ნოვოსილცევმა ისევ სცადა ცენზურის ყურადღება მიექცია ამ ნაწარმოებისათვის, მაგრამ მეფის მოხელეების გონებასიჩლუნგემ და ავტორის მიერ ამავე პოემაში აღწერილმა „ლომისა და მელის“ პოლიტიკამ წიგნი მაშინ გადაარჩინა აკრძალვას.

მიცკევიჩის პოეტური ტალანტი რუსეთში დავაჟკაცდა. გარდა ჩვენს მიერ უკვე განხილული ნაწარმოებებისა, მიცკევიჩმა რუსეთში დაწერა ბევრი საალბომო-სატრფიალო ლექსი და აღმოსავლეთის თემებზე აგებული ნაწარმოებები: „შანფარი“, „ალმოტენაბი“ და მსოფლიო პოეზიის ჭეშმარიტი შედევი „ფარისი“.

„შანფარს“ მიცკევიჩმა თვითონ დაურთო განმარტებანი და ცნობილი ორიენტალისტის სენკოვსკის მიერ შედგენილი შენიშვნები. ავტორი წერს, რომ ეს ლექსი წარმოადგენს ერთ-ერთი არაბული ყასიდის თარგმანს. მას ხელთ ჰქონია ამ ნაწარმოების პ. დე სასისეული ფრანგული თარგმანი. შანფარი მაჰმადის წინა პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული რაინდი ყოფილა, ასიღების შთამომავლობისა. მისთვის შეურაცხყოფა მიუყენებიათ სალამანების გვარეულობის რაინდებს, რის გამო შანფარს შურისძიება მოსურვებია, მაგრამ

მისი რაინდები არ გაჰყოლია. მაშინ მას ფიცი დაუდგია, მართო წავალ შურის საძიებლად და მანამ არ დავბრუნდები, ვიდრე 100 სალამანელ რაინდს არ მოვკლავო, და წასულა კიდეც და 99 სალამანელი მოუკლავს, მაგრამ შემდეგ ის შეუპყრიათ, თავი მოუკვეთიათ და მინდორში გადაუგდიათ. ერთ-ერთ სალამან რაინდს შანფარის მოკრილი თავისთვის ფეხი წაუყრავს, თითში დაქრილა და ამით მომკვდარა. ასე შეუსრულებია შანფარს ფიცი 100 სალამანელ რაინდის მოკვლის შესახებ. მიცკევიჩის ლექსში შენარჩუნებულია აღმოსავლური კოლორიტი და სახეები.

„აღმოტენაბი“, რომლის თემა მიცკევიჩმა პეტერბურგში გამოცემული „არაბული ანთოლოგიიდან“ აიღო, ეხება არაბი პოეტის და რაინდის აღმოტენაბის მოგზაურობას ეგვიპტეში თავისი მეგობრის, ეგვიპტის სულთანის აბუ-ხოჯა ფატის გარდაცვალების გამო.

მიცკევიჩის ეს „აღმოსავლური ლექსები“ არც თუ ისე ორიგინალურია და ნაკლებ მიმზიდველიც, რადგან ავტორი, როგორც ჩანს, მასალით იყო შებოქილი. სამაგიეროდ მისი „ფარისი“ დიდი პოეტის ქეშმარიტად გენიალური ნაწარმოებია, რომელიც სრულყოფილად გამოხატავს მის განწყობილებას და მისწრაფებას. „ფარისში“, რომელიც პოეტმა ივანე კოზლოვს მიუძღვნა, გადმოცემულია მიცკევიჩის დაუღებარი სულის წინსწრაფვა, ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალახვის ეინი, ფიქრები და ქროლვა არაბი ბედუინისა, რომელსაც არ აშინებს უდაბნოთა უკაცური საშინელება, ქვიშის ქაოსი, გრიგალთა მძინვარება და ყვავ-ყორანთა ჩხავილი... ის მიიწევს წინ, მიჰქრის მალა, ცის ლაყვარდისაკენ და ნეტარებით ერწყმის მას.

მშრალი ზღვის ტალღებს — ქვიშის უდაბნოს — მედგრად მიარღვევს არაბი ბედუინის ყორნისფერი მერანი — მიცკევიჩის დაუცხრომელი წინსწრაფვის სიმბოლო. სირაქლემის ფრთებივით ფრიალებს მისი აშლილი ფაფარი. ფლოქვები ქვიშის მორევში ეფლობა, ნალებიდან ელვის ნაპერწკლები სცივია, მიჰქრის და მიარღვევს მერანი ყოველგვარ დაბრკოლებას. უდაბნოს სტიქიის წინააღმდეგ ამხედრებულ ბედუინს ვერ

აჩერებს ვერც ცად აწვდილი კლდეები, ვერც ძერების, მზის თუ ღრუბლების მუქარა; გრიგალივით ჩაუქროლებს ის თაზისის პალმას, მაგრამ მაინც არ შეჩერდება; უდაბნოში დაღუპული ქარავენის ჩონჩხებს წააწყდება, არც ეს შეუცვლის ფერს; კვლავ წინ მიიწევს; გზად გრიგალი შემოეყრება, პირამიდისებურად ახვეტს ქვიშას, დაატრიალებს ბედუნს, ზეაიტაცებს, მაგრამ უშიშარი მხედარი გაშმაგებით იბრძვის, არ ნებდება; შემდეგ გრიგალიც მოილლება, მიწყნარდება და დამარცხებული პირამიდა ძირს ქვიშის წვიმად ჩამოეშვება. მხედარი კი ისევ მიჰქრის და მალდა, სულ მალდა, ვარსკვლავეთისკენ მიარღვევს სივრცეს. ამ შმაგი ქროლვით გალაღებული პოეტი — ბედუინი ამბობს:

რა კარგი არის, მხრები ლაღად რომ გაგიშლია!
 სამყაროს მკლავი გაუწოდე ალერსიანად,
 ვგონებ ჩაიყრა დედამიწა მკერდში მთლიანად!
 ცისფერ სივრცეში ფიქრი ჩემი მიეჭანება,
 სულ ზევით, ზევით — ცის გუმბათის თაღს ეტანება,
 ვით ფუტკრის ნესტარს გადაჰყვება თან მისი გული,
 მეც ლაქვარდ ცაში ფიქრთან ერთად ჩაეჭირე სული! ¹

„ფარისი“ მიცკევიჩის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. ის ნათლად გამოხატავს პოეტის მებრძოლ განწყობილებას. მთელი თავისი ბოზოქარი ცხოვრების მანძილზე პოეზიის ამაცხი ბედუინი მიცკევიჩი არასოდეს ჩამომხტარა თავისი ყორნისფერი რაშიდან და არასოდეს მინებებია მშვიდი ცხოვრების პალმების ჩრდილში განცხრომას. მისი მკაცრი და უსამართლო ეპოქის ქვიშის უდაბნოს მიარღვევდა მისი დაუდგარი სული, უკუნეთ ღამეს აპობდნენ პოეტის კალმის ნაპერწკლები და მისი ლალი ფანტაზია მომავალი ბედნიერი ცხოვრების ვარსკვლავეთს ეთამაშებოდა.

პოლონელი პოეტის „ფარისის“ საქართველოში ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ გამოეხმაურა.

რამდენი რამ არის საერთო ამ ორი გენიოსის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, მათ ფიქრებსა და მისწრაფებებში! მიცკევიჩის პოლონეთი და ბარათაშვილის საქართველო დიდი რუსი ხალხის საუკეთესო შვილებთან ერთად გმირულად იბრძოდ-

¹ თარგმანი კ. კვიციანიძისა.

ნენ ცარიზმის წინააღმდეგ! პოლონეთისა და საქართველოს სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის მსგავსებას ბუნებრივად უნდა წარმოეშვა ხალხის გულის მსაიდუმლო მიცევიჩისა და ბარათაშვილის ფიქრებისა და ოცნებების მსგავსება-ნათესაობა. ვის უნდა შეეწყო ხმა და შეეერთებინა გულისთქმა, თუ არა მიცევიჩისა და ბარათაშვილს.

ცხოვრებაც თითქოს ერთნაირი ჰქონდათ ორივე პოეტს. ადამი კაუნასში იტანჯებოდა, ტატო განჯას. პირველს მარია ვერეშჩაკის სიყვარული კლავდა, მეორეს კატინა ჭავჭავაძისა. ერთს გრაფი პუტკამერი ედგა დაბრკოლებად, მეორეს — მთავარი დადიანი. ქართველი პოეტი მტკვრის პირას იყო ჩაფიქრებული, პოლონელი — ნემანის პირას. ერთი თურქეთში მოკვდა, მეორე აზერბაიჯანში. ორივე ორჯერ გაასვენეს და ასე მიაბარეს მშობლიურ მიწას. ორთავეს ერთნაირი სევდა ჰქონდა, ერთი გულის ჯავრი, ერთი ფიქრი და ოცნება.

მაშინ ქართველებს პოლონეთში ასახლებდნენ, პოლონელებს — საქართველოში. თბილისში კაზიმირ ლაპჩინსკი რუსთაველს თარგმნიდა, ვილნიუსსა და ვარშავაში გიორგი ერისთავი ადამ მიცევიჩს. პუშკინი და ლერმონტოვი მეგობრულად უწვდიდნენ ხელს მიცევიჩისა და ბარათაშვილისა. მაშინ ყველა დიდი გული ერთნაირად ძგერდა, ყველას ფიქრი ერთი მიზნისაკენ ისწრაფოდა. სამშობლო და თავისუფლება ეწერა მათი პოეზიის დროშებზე, და რა გასაკვირია, თუ შავი რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთმანეთს ხმას უწყობდნენ ხალხის საუკეთესო შვილები, მისი ფიქრისა და ოცნების გამომხატველნი. ეს ფაქტია და საყურადღებო ფაქტიც. მაგრამ ყოველივე ეს ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს არა „ფარისისა“ და „მერანის“ შორის პარალელების გასავლებად, არამედ როგორც ქართულ-პოლონური კულტურული ურთიერთობის ისტორიის მნიშვნელოვანი ფურცელი. მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება დაისვას დიდი პოლონელი პოეტის ა. მიცევიჩისა და ქართული პოეზიის სიამაყის ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულების საკითხი.

მიცევიჩის „ფარისისა“ და ბარათაშვილის „მერანის“ ურ-

თიერთობას ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიაქციეს ყურადღება. ამ საკითხზე თავიანთი აზრი გამოთქვეს ი. მეუნარგიამ და კ. აბაშიძემ. შემდეგშიც ბევრი დაიწერა ამ ორი გენიალური ნაწარმოებზე იდეური ნათესაობის შესახებ¹. აღინიშნა, რომ მიცკევიჩის შემოქმედებას საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება 1832 წლის შეთქმულების დროს მიაქციეს. შეთქმულების ზოგიერთი მონაწილე ერთ-ერთ საიდუმლო კრებაზე თურმე მიცკევიჩის „ფარისის“ კითხვის საბაზით გამოცხადებულა. დიმიტრი ყიფიანი წერს თავის მემუარებში: „იენისის პოლო რიცხვებში თ. ელიზბარ ერისთავმა ავთანდილოვის პირით, სხვათა შორის, მეც დამპატიყა თავის ბინაზე სადილად. ის ცხოვრობდა მაშინ თავისი სიძის — კოლეგიის მრჩეველ მელნიკოვის სახლში. მე გავუარე ავთანდილოვს, მერე ვახტანგ ორბელიანს და მერე ჩვენ სამნი წავედით ელიზბართან, სადაც ჩვენ დაგვხვდნენ: ზემოთ ნახსენები სოლომონ ივანეს-ძე რაზმაძე, დოდაშვილი და ელიზბარის ძმა, არტილერიის პროპორჩიკი დიმიტრი. შემდეგ მოვიდნენ: ალექსანდრე ორბელიანი და გიორგი ერისთავი 1-ლი, აქ ელიზბარმა გამაცნო მე თავის ძმას. რომ სტუმრები რამეთი გაერთოთ, სთხოვეს რაზმაძეს წაეკითხა მის მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილი მიცკევიჩის „ფარისი“.

ისიც ცნობილია, რომ ბარათაშვილი ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს გაეცნო მიცკევიჩის „ფარისს“. ამის უტყუარ საბუთს იძლევა ი. მეუნარგია, რომელიც ბარათაშვილის ბიოგრაფიაში წერს: „რუსულ ღრამატიკას და ენას ასწავლიდა მაღალ კლასებში მასწავლებელი დემენტევი, რომელიც ეხლაც ცოცხალია და იმყოფება ქალაქ თბილისში. ამათ კარგად იცოდა თავისი ხელობა და მისმა შეგირდებმა — მათ შორის ბარათაშვილმა — ჩინებულად ისწავლა რუსული ენა... მეტადრე კარგად კითხულობდა თურმე ეს მასწავლებელი მიცკევიჩის ლექსს „ფარისს“, რუსულად ნათარგმნს“.

დემენტევეს ალბათ ხელთ ჰქონდა ქურნალ „Подснеж-

¹ იხ. გრ. აბაშიძის წერილი „ა. მიცკევიჩის პირველი მთარგმნელებისა და „ფარისის“ გარშემო“, ლიტერატურა და ხელოვნება“. 1948 წ. 7

ნიკ“-ის 1829 წლის ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა ვ. შჩასტნის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი „ფარისი“ მიცკევიჩისა. როგორც მთარგმნელის შენიშვნიდან ირკვევა, მას ეს ლექსი ხელნაწერიდან უთარგმნია თვით ავტორის თხოვნით. სოლომონ რაზმაძესაც, ცხადია, ხელთ „ფარისის“ შჩასტნისეული თარგმანი ექნებოდა. ამიტომ გასაგებია პოეტ გრ. აბაშიძის სწორი შენიშვნა, რომ რაზმაძის თარგმანი შორდება ორიგინალს. მიუხედავად იმისა, რომ შჩასტნის თარგმანი უკანასკნელ დრომდე იბეჭდებოდა, ის მაინც ვერ ჩაითვლება მაღალხარისხოვნად და ზუსტად. მით უმეტეს შჩასტნის სუსტი თარგმანის კიდევ უფრო სუსტად გადმოქართულება დაშორებული იქნებოდა ორიგინალიდან.

ნ. ბარათაშვილი ალბათ „ფარისის“ რაზმაძისეულ თარგმანსაც იცნობდა, რადგან, როგორც ცნობილია, ეს ხელნაწერი გრ. ორბელიანს გაეგზავნა და მასთან ინახებოდა.

დიდი პოლონელი პოეტის მღელვარე გულისთქმა ყველგან იწვევდა გამოძახილს, სადაც თავისუფლებისათვის ბრძოლის მოწოდება გაისმოდა. მიცკევიჩის „ფარისი“, სანამ პოლონურ ენაზე დაიბეჭდებოდა, უკვე ითარგმნა რუსულად, ცოტა ხნის შემდეგ კი ქართულადაც. საქართველოში მაშინ ბევრი პოლონელი ცხოვრობდა. მათი უმრავლესობა 1831 წლის „ვარშავის აჯანყების“ შემდეგ იქნა გადმოსახლებული. ბევრ მათგანს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიისა და ქართული კულტურის წინაშე. მათი ცხოვრება და მოღვაწეობა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. საჭირო კი არის, რადგან ამას მოითხოვს ხალხთა კულტურული ურთიერთობის ისტორიის ცალკეული საინტერესო მოვლენების გარკვევის ინტერესები. ამ მხრივ პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობა ბევრ საყურადღებო მასალას იძლევა. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ პირველი სტატია შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და ამ პოემის პირველი სრული თარგმანიც უცხოელთაგან პოლონელებს ეკუთვნით. ქართველი და პოლონელი ხალხების ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის მრავალი საყურადღებო ფაქტი არსებობს. ამ ურთიერთობას უფრო ხანგრძლივი

ისტორია აქვს, ვიდრე ეს ჩვენს ლიტერატურაშია ცნობილი. საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს პოლონელების მოღვაწეობა საქართველოში უმთავრესად 1831 წლის ვარშავის აჯანყების შემდეგ იწყებოდეს. ეს ასე არ არის. ამ საკითხის გარკვევა კი იმიტომაც არის საჭირო, რომ სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ პოლონელების საქართველოში მოღვაწეობის ისტორიისა და მათი ჩვენში მოგზაურობის მიზეზების შესახებ. ამ საკითხებს დიდი ინტერესით ეკიდებიან თანამედროვე პოლონელი მეცნიერები, განსაკუთრებით ცნობილი ისტორიკოსი მ. რაიხმანი.¹ ამ უკანასკნელს გულმოდგინედ აქვს შეკრებილი პოლონელების კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, მოგზაურობისა და მოღვაწეობის ფაქტები. თუმცა მისი ცნობები ცალმხრივია, რადგან მარტო პოლონურ მასალებს ეყრდნობა და არ ითვალისწინებს ამ საკითხის გარშემო არსებულ საინტერესო ქართულ დოკუმენტებს, მაგრამ ისინი მრავალს შემთხვევაში ახალ შუქს ჰფენენ პოლონელთა და ქართველთა კულტურული ურთიერთობის ჯერ კიდევ დეტალურად შეუსწავლელ პრობლემას.

მ. რაიხმანის შრომებიდან ჩვენ ვიგებთ, რომ კავკასიაში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს (სამხედრო გზით) უმოგზაურიათ პოლონელ სასულიერო პირებს — კათოლიკე-იეზუიტ მისიონერებს, რომელნიც დაინტერესებულნი ყოფილან ირანის პოლიტიკით კავკასიელი ხალხების მიმართ. ორ მათგანს, ვეჩერკოვსკისა და კრუსინსკის, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ წიგნებიც დაუწერიათ თავიანთი მოგზაურობის შესახებ, პირველს აზერბაიჯანულ, ხოლო მეორეს პოლონურ ენაზე. კერძოდ, ისტორიკოს ტ. კრუსინსკის აღწერილი აქვს ჩრდილოეთ კავკასია, თერგის ხეობა, არაგვისპირა ველები და თბილისი. ამ მასალების გამოქვეყნებამ დაარღვია პოლონურ ისტორიოგრაფიაში თანამედროვე პოლონელი მკვლევრის ვ. გომულიცკისა და სხვების მიერ დამკვიდრებული აზრი, თითქოს პირველი პოლონელი მოგზაური კავკასიაში, რომელმაც ეს

¹ მეტადრე აღსანიშნავია მისი შრომა: „Polacy w gorach Kaykacy do konca XIX w“. 1955.

მხარე ევროპას გააცნო, იან პოტოცკი ყოფილიყო. მართალია, პოტოცკი ამ საქმის პიონერი არ ყოფილა, ძაგრამ მას მინდოდი დამსახურება მიუძღვის ამ მხრივ. მისი წიგნები: „სარაგოსაში ნაპოვნი ხელნაწერები“ და „მოგზაურობა ასტრახანი-სა და კავკასიის სტეპებში“ ბევრ საყურადღებო ისტორიულ ცნობას შეიცავს. აღსანიშნავია, რომ ი. პოტოცკი ხმარობს არა მაშინდელ ლიტერატურაში საერთოდ გავრცელებულ გეოგრაფიულ სახელწოდებას „კაზბეკი“ ან „ელბრუსი“, არამედ საკუთრივ ქართულ სახელებს „მყინვარი“ და „იალბუზი“, რაც პოლონელ მკვლევართა სამართლიან ინტერესსა და გაცემას იწვევს, რადგან, როგორც ცნობილია, პოტოცკიმ შორიდან ნახა მყინვარი, ისე რომ საქართველოში არც ყოფილა. პოტოცკი დაინტერესებული იყო ჩერქეზული, ოსური და აფხაზური ენებით. ჩერქეზულს მას ასწავლიდა პოლონელი კაპიტანი ვიტკოვსკი, რომლის შესახებაც ცნობები თვითონ მოჰყავს თავის „მოგზაურობაში“. ი. პოტოცკის შემდეგ XIX საუკუნის დასაწყისში ბევრ პოლონელს მოუხდა საქართველოში ყოფნა. როგორც ვიცით, ნაპოლეონის არმიაში მრავალი ათასი პოლონელი იყო. ბევრი მათგანი ტყვედ ჩავარდა. მეფის მთავრობამ პოლონელ სამხედრო ტყვეთა ნაწილი კავკასიაში გადმოასახლა. პოლონელი კაპიტანი ნოვაცი ტყვეობიდან გაიქცა და საქართველოს შეაფარა თავი. აქ დაწერა მან წიგნი საქართველოს შესახებ, რომელიც 1833 წელს გამოიცა პოზნანში¹. ნოვაცი აღტაცებით აღწერს საქართველოს მთების სილამაზეს.

1831 წელს ვარშავის აჯანყების შემდეგ საქართველოში გადმოსახლებული პოლონელი პატრიოტების მოღვაწეობა ჩვენში და ზოგიერთი მათგანის მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში ცნობილია და ამ საკითხს აქ არ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ჩვენს ლიტერატურაში უცნობ პოლონელ მოღვაწეს ვოიჩეხ პოტოცკის, რომელმაც მოიარა გაგრის მიდამოები, ბზიფისა და ენგურის ხეობა, სამეგრელო და თავისი შთაბეჭდილებების მშვენიერი წიგნიც დაწერა. აღსანიშ-

¹ Podróże do Georgji w czasie mojej niewoli w Rosji odbute w roky 1813, 1814 i 1815" (Poznan, 1823).

ნავია აგრეთვე პოლონელი ოფიცერი ლეონ გერშევსკი, რომელიც ნიუეგოროდის დრაგუნთა პოლკში მსახურობდა, დაკავშირებული იყო საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტებთან, ერთხანს თბილისში ცხოვრობდა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაწერა წიგნი „მოგონებანი გადასახლებიდან“, რომელიც 1852 წელს დაიბეჭდა პოზნანში. პოლონელები, რომლებიც საქართველოში გასული საუკუნის 40-იან წლებში გადმოსახლეს, საიდუმლო საზოგადოების „პოლონელი ხალხის თანამეგობრობის“ მუშაობაში მონაწილეობისთვის იყვნენ რეპრესირებულნი და არა 1831 წლის ვარშავის აჯანყებაში მონაწილეობისათვის, როგორც ეს შეცთომით არის აღნიშნული ჩვენს ლიტერატურაში. ამ საზოგადოებას ცნობილი პოლონელი რევოლუციონერი შიმონ კონარსკი მეთაურობდა. კონარსკიმ რუსეთის, ბელორუსიისა და ლიტვის მრავალ ქალაქში შექმნა საიდუმლო საზოგადოება. ის მოითხოვდა მეფის მთავრობის დამხობას, გლეხთა განთავისუფლებას და დემოკრატიული წყობილების დაარსებას. კონარსკის საქმეზე 1839 წელს პასუხისგებაში მისცეს 215 კაცი. ბევრ მათგანს სამუდამო კატორღა მიესაჯა, ბევრიც გადასახლეს. თვითონ კონარსკი დახვრიტეს 1839 წელს. კონარსკის თანამებრძოლ პოლონელთაგან ზოგიერთი საქართველოში გადმოსახლეს, მათ შორის ცნობილი პოლონელი პოეტი ტადეუშ ლადა ზაბლოცკი. ჩრდილოეთ კავკასიაში მოგზაურობის შემდეგ ზაბლოცკი 1842 წელს სამხედრო გზით საქართველოში ჩამოვიდა. საქართველოს ბუნებით აღტაცებულმა პოეტმა მრავალი შესანიშნავი ლექსი უძღვნა ჩვენს სამშობლოს. ეს ლექსები რამდენჯერმე გამოქვეყნდა პოლიანეთში. ზაბლოცკის საქართველოში მოღვაწეობა და მისი ურთიერთობა ნ. ბარათაშვილთან გამოიკვლია განსვენებულმა მკვლევარმა ლ. ასათიანმა, რომელმაც 1936 წელს გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ სპეციალური სტატია დაბეჭდა ამ საკითხზე.

საქართველოში იმოგზაურა აგრეთვე ტ. ზაბლოცკის ახლო მეგობარმა, კონარსკის საქმეზევე გადმოსახლებულმა პოეტმა ვლადისლავ შჩელნიცკიმ, რომლის „ნაწყვეტები კავკასური ესკიზებიდან“ 1860 წელს დაიბეჭდა პოლონურ ენაზე ქ. ვი-

ტომირში. სრულიად ახალგაზრდა, 26 წლის შჩელნიცკი 1846 წელს გარდაიცვალა თბილისში. აქვე ცხოვრობდა ორი წლის განმავლობაში და მუსიკის გაკვეთილებს აძლევდა შ. კონარსკის თანამებრძოლი ლეონ იანიშევსკი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იანიშევსკიზე საქართველოს სამხედრო გზით მგზავრობამ. ეს შთაბეჭდილებანი მან აღწერა წიგნში „სახეები და ფიქრები თბილისისაკენ მგზავრობის დროს“. ამდენივე ხანა დაჰყო ჩვენში იმავე საქმეზე გადმოსახლებულმა მიხალ ბუტოვტ-ანჯეიკოვიჩმა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მყინვარმა, რომელიც შესანიშნავად აღწერა თავის წიგნში „კავკასიური ესკიზები“. აღსანიშნავია აგრეთვე პოლონელი პოეტის ქსავერი პეტრაშკევიჩის მოღვაწეობა საქართველოში. პეტრაშკევიჩი გატაცებული იყო ადამ მიცკევიჩის პოეზიით და დიდი პოლონელი პოეტის „ყირიმული სონეტებით“ შთაგონებულმა დასწერა ლექსების ციკლი „კავკასიური სონეტები“. აქვე შეიძლება აღგვენიშნა სტანისლავ ვინნიცკის (გარდაიცვალა საქართველოში), ფრანციშეკ სავიჩის, ექიმ იან ვეუბიცკის, ენათმეცნიერ კონსტანტინ ზახის და სხვათა მეტად ნაყოფიერი და საყურადღებო მოღვაწეობა საქართველოში. ყოველი მათგანი დაკავშირებული იყო კონარსკის შეთქმულებასთან და თავისებურად ხელს უწყობდა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას საქართველოში.

პოლონელების ახალი ტალღა მოაწყდა საქართველოს 1844 წლის შემდეგ, როცა მეფის ოხრანკამ აღმოაჩინა და დაარბია ახალი საიდუმლო საზოგადოება — „პოლონელი ხალხის კავშირი“. ამ საზოგადოების წევრთაგან საქართველოში სხვებთან ერთად გადმოასახლეს ოფიცერი მატეუშ გრალევსკი, რომელმაც კავკასიაში 9 წელზე მეტი დაჰყო. ერთხელ მას მოუხდა ფეხით გაეელო საქართველოს სამხედრო გზა თბილისიდან ვლადიკავკავამდე. თუ რამდენად დაინტერესებული იყო გრალევსკი ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებით, ჩანს მისი ორი შრომიდან: წიგნიდან „საქართველო ოსეთის ჩათვლით“, რომელიც გამოიცა 1875 წელს ლვოვში, და სტატიიდან „ქართველების შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „Braterstva“-ში. იმ პოლონელთა შორის, რომელნიც საქარ-

თველოში მოღვაწეობდნენ, განსაკუთრებული ადგილი უკიდრავს ქართული კულტურის დიდ მოამაგეს კაზიმირ ლაპჩინსკის, რომელიც 1844 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო იქნა გადმოსახლებული საქართველოში. აქ ის გაეცნო გიორგი ერისთავს, რომელიც ადრე, როგორც ვიცით, პოლონეთში იყო გადასახლებული, იცოდა პოლონური ენა და ნათარგმნი ჰქონდა ადამ მიცკევიჩის რამდენიმე სონეტი. ცხადია, კაზიმირ ლაპჩინსკისა და გიორგი ერისთავს შორის მეგობრული ურთიერთობა უნდა დამყარებულიყო. ასეც მოხდა. მათი გაერთიანებული და გულმოდგინე შრომის ნაყოფი იყო შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი პოლონური თარგმანი. გარდა ამისა, კ. ლაპჩინსკის კალამს ეკუთვნის მოგონებები საქართველოს შესახებ, კავკასიის მთების აღწერილობა, ქართული ანდაზების პოლონური კრებული, წიგნი „თბილისიდან არარატამდე“ და სხვა შრომებიც. კაზიმირ ლაპჩინსკის საქართველოში მოღვაწეობა სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

ყურადღების ღირსია სხვა პოლონელების ღვაწლიც საქართველოს ცხოვრების უცხოეთში პოპულარიზაციის საქმეში. აქ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანი მოვიხსენიეთ. მათი რიცხვი გაცილებით დიდია. საქართველოში გადმოსახლებული ბევრი პოლონელი, განსაკუთრებით ი. ხოძკო, მიცკევიჩის პირადი მეგობარი იყო. საქართველოში გადმოხვეწილ პოლონელებს თან მოჰქონდათ მათი დიდი პოეტის ადამ მიცკევიჩის სახელი, რაც, ცხადია, კიდევ უფრო აღვივებდა იმ დიდ სიყვარულს, რომლითაც სარგებლობდა მიცკევიჩი საქართველოში.

XV

მეგობრების დახმარებით მიცკევიჩმა როგორც იქნა შიილო საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვა, რომელზედაც ჯერ კიდევ ჭაბუკობის დროიდან ოცნებობდა. დიდ პოლონელ პოეტს გულთბილად გამოემშვიდობნენ პოგოდინთან გამართულ საუზმეზე პუშკინი, ხომიაკოვი, შჩეპკინი, ვენელინი, აქსაკოვი, ვერტოვსკი და ვენევიტიანოვი. მიცკევიჩს თავისი ძველი პეტერბურგელი მეგობარი ოლეშკევიჩიც არ დავიწყებია, — ინა-

ზულა მისტიკოსი მხატვარი, რომელიც ძველებურად ებრძოდა შთაგონებას და ცდილობდა განყენებულისა და უხილავის გადატანას ტილოზე.

მიცკევიჩი ჩქარობდა, თითქოს გული ეუბნებოდა, რომ მცირე დაყოვნებას შეეძლო ჩაეშალა მისი გამგზავრება: პეტერბურგელ მეგობრებს კარგად არც კი დამშვიდობებია, არც მარია შიმანოვსკას ოჯახში შეუვლია, ისე ავიდა 1829 წლის 15 მაისს გემ „გეორგ II“-ზე. მართლაც ცალი ფეხით გაასწრო მიცკევიჩმა ხიფათს: უკვე დაწერილი იყო ბრძანება მისი დაკავების შესახებ, მაგრამ ვიდრე ეანდარმერია ამოქმედდებოდა, პოლონელი პილიგრიმი უკვე გაპყურებდა ბალტიის ზღვაში გასული გემის ბაქნიდან ახალსა და შორეულ სივრცეს.

მიცკევიჩი ახლა უფრო დიდი და ძლიერი იყო, ვიდრე მაშინ, როცა წყალდიდობის დღეებში პირველად ესტუმრა ჩრდილოეთის პალმირას. კარგად უთხრა რუსმა პოეტმა კოზლოვმა პოლონელ პოეტს ოდინეცს: „Взяли мы его у вас сильным, а возвращаем могучим“.

ლუბეკის გავლით მიცკევიჩი ჰამბურგს ჩავიდა, სადაც რამდენსამე ხანს დარჩა. აქედან პირველსავე წერილს მარია შიმანოვსკას სწერს, რომელსაც უჩივის: მიუხედავად იმისა, რომ ეს მოგზაურობა ჩემი სურვილითაა და ბევრ საინტერესო რამესაც ვხედავ, მაინც თან მდევს სევდა, რადგან ვიცი, არსად არავინ შემხვდება, არავინ მომესალმება, არავის გაუხარდება ჩემი ნახვა.

იქნებ აქაც მეღაენდებოდეს მიცკევიჩის ჩვეულება, — ქალებისადმი მიწერილ წერილებში სულ სევდაზე ილაპარაკოს, „სევდა მოიგონოს“, თორემ ეს დიდი ხნის ნანატრი მოგზაურობა სინამდვილეში ხალისით ავსებდა მის სულს. ამავე დღეს ფრ. მალევსკისადმი მიწერილ წერილს ასე იწყებს პოეტი: „მე ჯანმრთელი და მხიარული ვარ, ძვირფასო ფრანციშეკ“... და შემდეგ: „თუმცა მარტო ვარ, მაგრამ სული არ მაქვს დამძიმებული“.

მიცკევიჩი აცნობებს მალევსკის, რომ დღიურს წერს და რომ უკვე მთელი ტომი დაწერა, მაგრამ ეს დღიურები როგორღაც დაიკარგა და ჩვენამდე არ მოღწეულა.

ივლისის დასაწყისის მიცვევიჩი ჰამბურგიდან ბერლინს ჩავიდა. აქ ის ეძებდა ჟუკოვსკის. ჰეგელის ორ ლექციასაც დაესწრო, მაგრამ გული ვერ დაუდო. მეჯავრებიანო ჰეგელიანელები, სწერდა ის მალევსკის. ჰეგელმა ორი ლექცია მოანდომა საკითხს, თუ რა განსხვავებაა „Sein“-სა და „Werden“-ს შორისო, — წერს ის და დასძენს, ვერაფერი გავუგე აქაურ მეტაფიზიკოსებსო.

თავის ბერლინურ შთაბეჭდილებებს მიცვევიჩი უზიარებს მარია შიმანოვსკასაც. ამ შემთხვევაშიც იგი ჩვეულებისამებრ თავის სევდაზე წერს — არაფერი მომწონსო და თქვენთან უკეთესი იყოო.

შიმანოვსკას დიდი ნაცნობობა ჰქონდა ბერლინში. მისი სარეკომენდაციო წერილით ინახულა მიცვევიჩმა გოეთეს ახლო მეგობარი, მუსიკის პროფესორი კარლ-ფრიდრიხ ცელტერი, რომელმაც მიცვევიჩის შესახებ თქვა — დიდი პოეტიანო.

ბერლინში მიცვევიჩი შეხვდა პოლონელ ახალგაზრდებს. თანამემამულეებმა ალტაცებით მიიღეს თავიანთი საამაყო პოეტი. ბერლინის უნივერსიტეტის პოლონელ სტუდენტთა კრებაზე მიცვევიჩმა უამბო ახალგაზრდებს სამშობლოს ყოფაცხოვრების შესახებ. ყველა სულგანაბული უსმენდა ორატორს, მაგრამ ის უცებ შეჩერდა და თქვა, მე ახლა იმპროვიზაციაზე გადავალო. ამ შეკრების ერთ-ერთი მონაწილე წერს:

„...დიდი პოეტი ერთი წუთის განმავლობაში ჩუმად და უძრავად იდგა. შემდეგ რაღაც საოცარმა ძალამ გააცისკროვნა მისი სახე. არაჩვეულებრივი ელვარებით და გამომსახველობით სავსე მზერა ელექტრონის ნაპერწკლებად მოედო მაყურებლებს. მთელი მისი არსება არაამქვეყნიური იყო. რა მომჯადოებელი იყო მისი ხმა! რა მიუწვდომელი ძალა ედერდა მის სიტყვებში!“¹

მისმა მეგობარმა პოეტმა სტეფან გარჩინსკიმ მიცვევიჩს პროფესორი ჰანსი გააცნო, რომელიც საფრანგეთის რევოლუციასა და ნაპოლეონის შესახებ კითხულობდა ლექციებს ბერ-

¹ Станислав Струмф-Войткович, „Путь Адама Мицкевича“, изд. „Полония“, Варшава, 1955 г. стр. 40.

ლინის უნივერსიტეტში და რომელმაც ერთ-ერთ ლექციაზე თქვა, რომ ნაპოლეონზე დიდი ეპოსის შექმნა მხოლოდ მიცკე-ვიჩს შეუძლიაო.

ამ ლექციას თვითონ მიცკევიჩიც ესწრებოდა.

ბერლინიდან პოეტი დრეზდენს გაემგზავრა, აქ მან 10 დღე დაჰყო და წერილით აცნობა მალევსკის, რომ დრეზდენი უფრო მოეწონა, ვიდრე ბერლინი და რომ თითქმის ყოველდღე დადის დრეზდენის გალერეაში.

დრეზდენში მიცკევიჩმა ზინაიდა ვოლკონსკაიას წერილი მიიღო, რომელიც ატყობინებდა ახლო მომავალში ევროპაში თავისი მოგზაურობის შესახებ. სექტემბრიდან რომში ვიქნებიო, წერდა ის და თხოვდა პოეტს რომში ჩასულიყო და მასთან დაბინავებულიყო. შიმანოვსკაც ატყობინებდა მიცკევიჩს, რომ ზ. ვოლკონსკაია რომში მიემგზავრება და იქ „უცდის პოლონელ ბაირონს“.

დრეზდენში მიცკევიჩი გაეცნო გენერალ კაროლ კზიაზე-ვიჩს, რომელიც ემიგრანტებისაგან პოლონურ ლეგიონს ადგენდა. იქ მაშინ ძალიან ბევრი პოლონელი ცხოვრობდა, რომლებთანაც მოგზაურმა პოეტმა მალე გამონახა საერთო ენა.

მიცკევიჩმა რამდენიმე დღე დაჰყო პრალაში, შემდეგ კარლსბადში, სადაც შეხვდა ოდინეცს, რომელიც თან დაჰყვებოდა პოეტს შემდგომ მოგზაურობაში. მარიენბადში მეგობრებმა მეტერნიხი ინახულეს, აქედან კი, შიმანოვსკასა და ცელტირის სარეკომენდაციო წერილებით, ვაიმარს გაემგზავრენ გოეთესთან შესახვედრად.

მსოფლიოს ყველა კუთხიდან მიისწრაფოდენ მაშინ მწერლები „ვაიმარელი ოლიმპიელის“ სანახავად. გოეთე მრავალრიცხოვან სტუმრებს მუდამ გულთბილად ხვდებოდა. მან იცოდა, რომ ეპოქის პარნასზე მისი ტახტი ყველაზე მაღლა იდგა და მისი დადაფნული თავი ამაყად და მოწყალებულად გადმოჰყურებდა გარშემო მოფუსფუსე კალმონებს.

პოლონელი პოეტების ჩამოსვლის ამბავი გოეთეს მისმა რძალმა ოტილიამ მოახსენა, და მარია შიმანოვსკაც უხსენა, რამაც საამური მოგონებით აავსო გოეთეს სული. ვიზიტი მეორე დღისთვის დაინიშნა, 19 აგვისტოსათვის.

ეს შეხვედრა დაწვრილებით აქვს აღწერილი ოდინეცს. სასტუმროს, სადაც მიცკევიჩი და ოდინეცი ცხოვრობდნენ, დაწვრილ დროს ოტილიას ელეგანტური ეკიპაჟი მოადგა, რომელმაც ორივე პოეტი გოეთეს სახლთან მიიყვანა. მოხუცმა მსახურმა ისინი მისაღებ ოთახში შეიყვანა და მარტო დასტოვა. გოეთეს ჩვეულებად არ ჰქონდა სტუმრებს მისაღებში დახვედროდა, იგი შემდეგ, ცოტა შეგვიანებით შემოდის და ხოლმე. მიცკევიჩი და ოდინეცი გულისძგერით უცდიდნენ, როდის გამოჩნდებოდა ვაიმარელი გენიოსი.

მაგიდაზე ქალაქის ნახევი ეგდო, მიცკევიჩმა იცნო გოეთეს ხელი, რომელიც წინათ შიმანოვსკას ალბომში ენახა. ოდინეცს სულმა წასძლია და დიდი გოეთეს ავტოგრაფი ჩუმად ჯიბეში ჩაიდო.

15 წუთი იცადეს, ზემო კიბეზე ნაბიჯების ხმა გაისმა... კარი გაიღო და შემოვიდა „იუპიტერი“. ორთავე მეგობარი წამით დაიბნა, ოდინეცს ალბომი მოედო. მომჯადოებელმა ღიმილმა გაუნათა გოეთეს მკაცრი სახე და იგი ფრანგულად მიესალმა სტუმრებს: „მომიტყვეთ, ბატონებო, რომ გაცდევინეთ. ჩემთვის ძლიერ სასიამოვნოა შევხვდე ქ-ნ შიმანოვსკას მეგობრებს, რომელიც მეც მღებს პატივს თავისი მეგობრობით“, და დაუმატა: „ის ისევე მომხიბვლელია, როგორც ლამაზი და ისევე კეთილი, როგორც მომხიბვლელი“.

მასპინძელი მიცკევიჩს მიუბრუნდა, გამიგია, რომ თქვენ ახალ მიმართულებას მეთაურობთ პოლონეთში და დასძინა: „მე გამოცდილებით ვიცი, თუ რა ძნელი საქმეა ეს. ეს იგივეა, რაც ქარის წინააღმდეგ სვლა“.

მოხდენილად უპასუხა ამ კომპლიმენტს მიცკევიჩმა: „ჩვენ კი თქვენი გამოცდილებით ვიცი, რომ დიდი გენიოსები მსვლელობის დროს თავისავენ აბრუნებენ ქარს“. გოეთემ სთქვა, რომ ის სამწუხაროდ ცუდად იცნობს პოლონურ ლიტერატურას, მაგრამ ჟურნალებიდან სმენია მიცკევიჩის სახელი და წაუკითხავს მისი პოემის ნაწყვეტი (ალბათ კაროლინა იანიშის მიერ გერმანულად თარგმნილი „კონრად ვალენროდი“, რომელიც ოტილიას გადმოცემით გოეთეს მუდამ საწერ მაგიდაზე ედო).

გოეთემ დიდი ინტერესით მოუსმინა მიცკევიჩს, რომელმაც შოკლედ მოუთხრო პოლონური ლიტერატურის ისტორია. შემდეგ საუბარი შეეხო სხვადასხვა ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობის საკითხს. გოეთემ გამოთქვა ღრმა აზრი, რომ ეს ლიტერატორები სულ უფრო და უფრო ემსგავსებიან ერთმანეთს, მაგრამ მაინც არასოდეს დაჰკარგავენო ნაციონალურ თავისებურებას.

პოეტები წამოდგნენ. გოეთემ ბოდიში მოიხადა, რომ წვიმის გამო ვერ დაათვალიერებინა მათ „თავისი პატარა ბაღი“, იმედი გამოსთქვა, რომ კიდევ ექნება შემთხვევა „ოტილიასთან სადილზე დასტკბეს მათი საზოგადოებით“ და, დაემშვიდობა.

მეორე დღეს ოტილიასთან 12 კაცი შეიკრიბა, ოჯახის წევრები და ახლობლები. 3 საათზე შემოვიდა გოეთე. იგი მიესალმა ნათესავეებს, მიცკევიჩთან მივიდა, უჩვენა პატარა გოგონა და უთხრა: „ეს ჩვენი შილერის შვილია“.

სადილზე მიცკევიჩი გოეთეს გვერდით იჯდა. ოდინეცი წერს, რომ საუბარი მხოლოდ მაშინ ესმოდა, როცა გოეთე ხმამაღლა ლაპარაკობდა და ყველა უსმენდა. სასახლის მრჩევლის ჰერცოგის პირადი ექიმის კარლ ფოგელის შენიშვნას, რომ „თეორია მუდამ წინ უნდა უსწრებდეს პრაქტიკას“, გოეთემ უპასუხა: „პრაქტიკა მუდამ გვერდით უნდა მიყვებოდეს თეორიას, რადგან ადამიანებს არ ძალუძთ შექმნან სული სხეულის გარეშე“. გოეთემ დაწვრილებით უამბო ეკერმანს, რაც წინააღმდეგ მიცკევიჩისაგან მოისმინა ხალხური სიმღერების შესახებ.

სამი საათის შემდეგ გოეთე დაემშვიდობა ყველას და ავიდა ზევით.

წვიმამ გადაიღო. ოტილიას მოწვევით სტუმრები ბაღში გავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ქალბატონმა ფოგელმა მიიწვია ისინი ჩაიზე.

28 აგვისტოს მიცკევიჩი კვლავ შეხვდა გოეთეს. ამ დღეს დარბაზში ბევრ სტუმარს მოეყარა თავი, გოეთესთვის 80 წლისთავის მოსალოცად. მიცკევიჩს ოდინეცის გარდა მხატვარი დავიდ დ'ანჟიეც ახლდა. სადილი გოეთემ ოტილიასთან

გაატარა, უცხოელი სტუმრები კი დარბაზობაზე მიიწვიეს, რომელსაც კანცლერი მიუღერი ხელმძღვანელობდა. საღამოთი ყველანი თეატრში იყვნენ და „ფაუსტს“ უყურეს.

ოღინეცი გადმოგვეცემს, რომ გოეთემ ჰკითხა მიცკევიჩს, თუ რა აზრისაა იგი „ფაუსტის“ წარმოდგენის შესახებ და თან დაუმატა, „ის სცენისათვის არ არის განზრახული“. მიცკევიჩს უპასუხნია, ცალკეული სცენები კარგიაო, მაგრამ მთლიანად სპექტაკლზე არაფერი უთქვამს. ამან, როგორც ჩანს, ცოტათი შეურაცხყო გოეთე, რომელმაც მაშინვე შესწყვიტა თურმე ამ საკითხზე ლაპარაკი.

მეორე დღეს დილით მიცკევიჩს გოეთეს შემდეგი წერილი მიართვის:

„მოკრძალებით ვთხოვ ბ-ნ მიცკევიჩს, ამის მომტან ბ-ნ შმელერს ჩამოდენიშე საათი შესწიროს ესოდენ საინტერესო სტუმრის პორტრეტის შესაქმნელად და ამასთანავე შეუთანხმდეს მას დროის შესახებ.

ღრმა პატივისცემით
ი. ვ. გოეთე“.

შმელერი ცნობილი მხატვარი იყო, რომელიც გოეთეს პორტრეტებს ხატავდა. მიცკევიჩი ძალიან ნასიამოვნები იყო, რომ გოეთემ მოისურვა მისი პორტრეტი თავის კოლექციაში ჰქონოდა და, რა თქმა უნდა, მაშინვე დასთანხმდა. მიცკევიჩის შმელერისეული პორტრეტი ახლაც ინახებენ გოეთეს ვაიმარის მუზეუმში.

ვაიმარში გოეთესთან იმ დროს ცხოვრობდა აგრეთვე ცნობილი ფრანგი მოქანდაკე დავიდ დ'ანჟიე, რომელიც გოეთესვე თხოვნით მაშინვე შეუდგა ადამ მიცკევიჩის ბიუსტის გამოძერწვას.

საღამოთი მიცკევიჩი და ოღინეცი ისევ ავგუსტთან და ოტილიასთან იყვნენ. გოეთეც მოვიდა და ორი საათი დაჰყო მათთან.

გერმანელ მწერალს ლუი ფიურნბერგს თავის მოთხრობაში „შეხვედრა ვაიმარში“ აღწერილი აქვს ეს ეპიზოდი.

იმ საღამოს ოტილიასთან სულ რამდენიმე სტუმარი იყო — კარის მრჩეველი ფოგელი თავისი მეუღლით და უფლისწულების აღმზრდელი, ბუნებისმეტყველი სორე. გოეთეს მოსვლას არავენ მოელოდა. ისიც იცოდნენ, რომ ის წინასწარი შეტყობინების გარეშე არასოდეს არ მოვიდოდა, თუნდაც თავისი ვაჟის ოჯახში, ამიტომ იმ საღამოს ყველა სახტად დარჩა, როცა მოულოდნელად კარი გაიღო და ოთახში გოეთე შემოვიდა. ამ უეცარი სტუმრობით აფორიაქებული მიცკევიჩი და ოდინეცი, ისევე როგორც სხვებიც, ფეხზე წამოიჭრნენ და დიდი მწერალი მაგიდასთან მიიწვიეს. გოეთე მიცკევიჩის გვერდით დაჯდა და უმეტესი დრო მასთან საუბარში გაატარა. სორემ ყური გაიმახვილა, მათი საუბრის შინაარსიდან თითქმის ყველაფერი გაიგო და შემდეგ ჩასწერა კიდეც. გოეთე უმთავრესად ხალხური პოეზიის საკითხებით დაინტერესდა. როგორც ცნობილია, ცხოვრების უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში იგი გულმოდგინედ სწავლობდა ხალხთა შემოქმედების ნიმუშებს, განსაკუთრებით ბერძნულსა და სერბიულ ფოლკლორს. მიცკევიჩმა მას უამბო პოლონური ხალხური პოეზიის ტონალობის თავისებურებაზე, რამაც დიდად დაინტერესა ვაიმარელი ოლიმპიელი. ორივე მწერალმა აღიარა, რომ ხალხური შემოქმედება დაუშრეტელი წყაროა ქემმარტი პოეზიისა. გოეთეს ესიამოვნა კიდეც, როცა მიცკევიჩმა უთხრა, რომ ბევრი მისი ლექსი ძალიან ახლო დგას ხალხურ პოეზიასთან.

პოლონელი პოეტის მოკრძალებულ კითხვაზე, თუ რატომ ეღერენ ასე სევდიანად გერმანული ხალხური ლექსები, გოეთემ მიუგო, იმიტომ რომ თვით ჩვენი ხალხის მთელი ისტორიაა სევდით მოსილიო და 30-წლიანი ომის გამანადგურებელი შედეგები მოიყვანა მაგალითად.

გოეთე კარგ გუნებაზე იყო, ბევრს ხუმრობდა, იცინოდა და როცა წასასვლელად მოემზადა, გათამამებული ოდინეცი მივიდა მასთან და სთხოვა დამლოცეო. გოეთემ გაიციინა და თავზე სიყვარულით ხელი გადაუსვა ნეტარებით დამდნარ ახალგაზრდა პოეტს, რომელიც ნიშნად მოწიწებისა პოლონური ჩვეულებისამებრ იდაყვზე ეამბორა გერმანელ გენიოსს.

როცა გოეთემ მიცკევიჩის ხელი გაუწოდა, ისიც მღელვარებით-საგან აცახცახდა და მხარზე ემთხვია თავის სათაყვანებელ მწერალს. გოეთემ ორივე ხელი მოხვია მას კისერზე და შუბლზე აკოცა.

ოდინეცი კიდევ უფრო გათამამდა და ახლა ავტოგრაფი და ფრთის ორი კალამი სთხოვა გოეთეს სამახსოვროდ. ეს ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იქნებოა ჩვენთვის, — ჩაუბრუნო მიცკევიჩმაც. გოეთემ ისევ მომჯადოებლად გაიღიმა, ნიშნად თანხმობისა თავი დაუქნია მათ, გასასვლელისაკენ გაემართა, შემდეგ კარებთან ისევ შემობრუნდა, თითები ტუჩებთან მიიღო, კოცნა გაუგზავნა პოლონელ სტუმრებს და ნელა დაეშვა კიბეებზე. ვიღრე მისი ფეხის ხმა მიწყდებოდა, მიცკევიჩი და ოდინეცი არც განძრეულან. შემდეგ ოტილიას უთქვამს მათთვის, არ მახსოვს გოეთეს ასეთი პატივი სხვა რომელიმე უცხოელისათვის დაედოსო.

10 წუთის შემდეგ გოეთეს უფროსმა შვილიშვილმა შემოიტანა ოქროთი მოვარაყებელი ორი ფურცელი წარწერით „გოეთე“ და ფრთის ორი კალამი, რომლითაც გენიოსი პოეტი წერდა თავის უკვდავ ნაწარმოებებს.

იმ ღამეს მიცკევიჩის თვალი არ მოუხუჭავს. მთელი ღამის განმავლობაში გარინდებული უყურებდა იგი ლეგა ღრუბლების მოძრაობას ცაზე და უსმენდა აგვისტოს შხაპუნა წვიმის ხმაურს. ოდინეცს მშვიდად ეძინა. დილის 5 საათზე მიცკევიჩი ფრთხილად წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და ოდინეცს გადახედა, რომელსაც ბალიშისთვის მკლავები მოეხვია და ტუჩებზე ღიმილი უთამამებდა. სიზმარში თუ ცხადში ორივე მეგობრის ფიქრი იმ დაუვიწყარ შეხვედრას დასტრიალებდა.

მიცკევიჩი ფრთხილად გავიდა ქუჩაში. წვიმას გადაელოცის დაფიონი წითლად შეეღება ამომავალ მზეს. წაბლის ხეებიდან ჩიტების გაუთავებელი ყრიაშული მოისმოდა.

„სალამი შენდა სასურველო გარიჟრაჟო“ წაიჩურჩულა დილის მშვენიერებით აღელვებულმა პოეტმა და მისდა უნებურად იქითკენ გასწია, სადაც გოეთეს სახლი ეგულებოდა. მის ბაღთან შეჩერდა და ისევ ჩუმად წარმოსთქვა: „აკი გიხილე, გენიოსო, შეგიცანი და შეგიყვარე...“

სახლის გარშემო დარაჯებივით იდგნენ წაბლის, ცაცხვისა და ალვის უზარმაზარი ხეები. სურო და გარეული ვაზი მიცოცავდა ფანჯრისაკენ, რომელსაც დილის მზის სხივები ეთამაშებოდა.

ქუდმოხდილი იდგა მიცკევიჩი ამ სარკმლის წინ და ფიქრობდა: ნეტავ თუ სძინავს ახლა მოხუცს? ან იქნებ გაღვიძებულია და მისი გამოუცნობი მზერა მიპყრობილია ხის კენწეროებისაკენ, რომელთაც ნელ-ნელა არწევს დილის ნიავი... ახ, ნეტავი გრძნობდეს იგი სითბოს გულისას, რომელიც ახლა მისთვის ძგერს, გაითქრა მან.

დილის 8 საათზე ეკიპაჟი მოადგა სასტუმროს და პოლონელმა პოეტებმა დასტოვეს ვაიმარი.

რამდენიმე დღის შემდეგ გოეთე წერდა ცელტერს, — პოლონელი პოეტი იყო ჩემთან და იმის მიუხედავად, რომ სტუმრების მიღება მიძნელდება, მაინც გთხოვ, ხანდახან უარს ნუ იტყვი ასეთ სარეკომენდაციო ბარათებზეო. გოეთე განმარტავს: „წუთიერი უსიამოვნებისაგან სასიამოვნო დაკვირვება იბადება და მართლაც ასე მოხდა ამჯერადაც. საინტერესო იყო დაკვირვება და მოსული პოლონელების შედარება მიმავალ ინგლისელებთან. არასოდეს არ მინახავს ამაზე უფრო სრულქმნილი წინააღმდეგობა“.

როგორც ჩანს, მიცკევიჩმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გოეთესა და მისი ოჯახის წევრებზე. ერთი წლის შემდეგ, 1830 წელს ოტილია წერდა მიცკევიჩს:

„შეგიძლიათ სრულიად დარწმუნებული იყოთ, რომ ჩვენს ოჯახში თქვენი სახელის ხსენებას განაგრძობენ არა მარტო პატივისცემით, არამედ სიამოვნებითაც. იმედი არ გაგიცრუდებათ, თუ ფიქრობთ, რომ ჩვენ სამუდამოდ გეგერჩება თქვენდამი ასეთი გრძნობა. ამრიგად შეგიძლიათ დაასკვნათ, რამდენად სასიამოვნო იქნებოდა ჩემთვის თქვენი წერილი, თუნდაც სრულიადაც არ იყოთ სახელმოხვეჭილი ადამიანი, რაც აგრეთვე უმნიშვნელო როდია ჩემთვის. არ გააეცინოთ ჩემს გულახდილობაზე. მე ვიზიარებ შილერის აზრს, რომ „ცხოვრების ყოველგვარ სიკეთეზე უმაღლესი მაინც ღიღბაა“ და ჩემსავით რომ გენახათ, თუ როგორის ალტაცებით ათვალთვრებდა თქვენს პორ-

ტრეტს ერთი პოლონელი, თქვენთვისაც ცხადი შეიქნებოდა, რომ დიდება ყველაფერზე მშვენიერია და მტკიცე რგოლი, რომელიც თაობათა მანძილზე აკავშირებს ადამიანს მის სამშობლოსთან, მის ხალხთან. როგორ მინდოდა, რომ გენახათ თქვენი ახალგაზრდა თანამემამულის სახის გამომეტყველება — თქვენ მაშინვე დაეთანხმებოდით ჩემს აზრს, რომელსაც უკანასკნელ საღამოს ასე ცხარედ უარყოფდით და მომავალში უფრო მეტ სიხარულს მოგანიჭებდათ დაფნის გვირგინი, რომლითაც თქვენი ხალხი გამკობთ“. და შემდეგ: „ჩემი მამათილო, მადლობა ღმერთს, ძალიან კარგად გრძნობს თავს და ძალიან ბევრს მუშაობს „ფაუსტის“ მეორე ნაწილზე. ის არა მარტო მე მავალებს გადმოგცეთ უგულითადესი საღამო, არამედ თქვენც გთხოვთ მოკრძალებით გადასცეთ თავადის ასულ ვოლკონსკაიას მისი მადლობა წერილისა და საჩუქრის გამო, რითაც ის განხარებული და ნამამოვნებია, როგორც მისი სამახსოვრო ნიშნით“.

არსებობს აგრეთვე გოეთეს შვილის ავეუსტის ბარათი მამისადმი ნეაპოლიდან მიწერილი, რომელშიც სხვათა შორის წერია:

„ჩვენ საუზმეზე ვისხედით, როცა ლაქიამ მოგვახსენა ორი პოლონელის მოსვლის შესახებ, და როგორ ფიქრობთ, ვინ იყვნენ ისინი? მიკვეიჩი და ოდინეცი! რა სიხარული იყო!!!“

ასეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა პოლონელმა პოეტმა გოეთესა და მისი ოჯახის წევრებზე.

შემდეგ მიკვეიჩმა ისევ დაიჭირა მოგზაურის არგანი, გადაიარა ალპები და იტალიაში ჩავიდა. საღდაც ალპებში სპლიუგენთან პოლონელ პილიგრიმს კვლავ წამოეწია მარია ვერეშჩაიკის აჩრდილი, რომელსაც მამკიდევ ერთი მშვენიერი ლექსი უძღვნა.

ეს ლექსი ძველებურ ჰანგზეა ამღერებული: შენთან განშორება არასოდეს შემიტყვია; ხმელეთსა და ზღვაში ყველგან შენი სახე დამყვება, ყველგან შენ დაგეძებ, უმაღურო, აქ ზეცის საფეთქელთანაც შენი ერთგული ვარ. ყველგან, ღრუბლებსა

და უფსკრულში, ვეძებ პოლარულ ვარსკვლავს, ლიტვას და შენს სახელს. უმადურო, იქნებ ახლა წვეულების დედოფალი ხარ, იცინი და ახალი ინტრიგის ქსელში ახვევ ვინმეს გულს, ჩვენს სათუთ რომანს კი დუმილით იგონებ. მითხარ, ბედნიერო, ვინ არის დღეს შენი მონა. საამური სიზმრები გაქვს თუ უფრო საამური გამოღვიძება. ნუთუ გულში არ გაგივლის სიბრაღული! ეს მძიმე წლები რომ ერთად გაგვეტარებინა, მე ლექსებით მოვიშორებდი დალლას, ხელს ჩაგვიდებდი და ვივლიდით ამ მალღობებზე, ნაკადულებს გადაგატარებდი, ხელის გულით მზეს მოგიჩრდილავდი, სადმე ქოხში ღამეს გავათევდით და შენ ჩემს მხარზე თავდაყრდნობილს ჩაგვიძინებოდა... და ასევე გამოგელვიძებოდა...

ამოდ დაშვრა მანფრედის ეს ნატვრა. ასტარტა არ გამოცხადა მას და პოლონელი ბაირონი გაჰყვა ინგლისელი ბაირონის გზას იტალიისაკენ.

ბევრი იხეტიალა მიცკევიჩმა ოდინეცთან ერთად იტალიაში: ჯერ ვენეციაში ჩავიდნენ, გაიარეს ფერარა, ბოლონია, ფლორენცია და რომში შეჩერდნენ. აქ მათ მეორე დღესვე დაათვალიერეს კაპიტოლიუმი, ფორუმი, ვატიკანი, სანტა მარია მაჯორე, პეტრეს ტაძარი... მის თვალწინ გადაიშალა ქვებად ქცეული ისტორია დიდი რომის იმპერიისა. „რომმა მე გამაბარუა. წმ. პეტრეს გუმბათმა დაფარა ყველა იტალიური ძეგლიო“, სწერდა მიცკევიჩი ფრ. მალევსკის. თვალის ერთი გადავლებითაც უდიდესი შთაბეჭდილება მიიღო მან მუზეუმებში: „შენ რომ დრეზდენის, ვენეციის და ფლორენციის ყველა მონუმენტი და სტატუა მოაგროვო, ყოველივე ამას ვატიკანის ერთ კუთხეში მიმალავდიო“, დასძენს ის იქვე.

აღტაცებულ წერილებს რომიდან ხშირად ცვლის ჩივილი მოწყვეტილობაზე, კარჩაკეტილობაზე, განსაკუთრებით კი სიცივეზე, ნესტსა და წვიმებზე, რაც, როგორც ჩანს, ძლიერ აწუხებდა მას. მიცკევიჩი წერს, „მუზამ მიიძინა“ და გაზაფხულამდე ვერაფერს დავწერო.

რომში ყოფნის დროს პოეტს 30 წელი შეუსრულდა, მაგრამ იგი ისევ ისე მარტო იყო. სამშობლოდან განდევნილ მიც-

კევიჩის საშუალება არ მისცემია ცხოვრების თანამგზავრი ეპო-
ვა და ოჯახს მოჰკიდებოდა, რის გამოც იგი ხუმრობით წერს:
„წავიდა, მამასადამე, დრო, როცა მამაკაცები თვითონ ირთა-
ვენ ცოლს, და დადგა დრო, როცა მათ ცოლს სხვები რთავენ“.

რომში მიცკევიჩმა მოძებნა ზ. ვოლკონსკაია და ოჯახის
წევრივით გაუშინაურდა. თავადის ქალმა გააცნო მას „რომის
დიდი საზოგადოება“. მისი ხშირი მასპინძლები იყვნენ ელჩი გა-
გარინი და თავადი გოლიცინი. მათ სალონებში მიცკევიჩი ბევრ
ცნობილ პირს შეხვდა, მათ შორის მხატვარ ტორვალდსენს,
რომელსაც შიმანოვსკას ბიუსტი ჰქონდა გაკეთებული. აქვე
გაეცნო ის გრაფის ასულ ტერეზა გვიჩიოლის, რომელიც 10
წლის წინათ ბაირონის სატრფო იყო და რომელსაც თავისი
მომხიბვლელობა ჯერაც არ დაჰკარგოდა. ტერეზა გვიჩიოლი
ლორდ ბაირონის პატივსაცემად თმებს ახლაც ინგლისურად
ივარცხნიდა. აქ დაუახლოვდა ის მოსაწყენსა და რევოლუ-
ციებით დაშინებულ იტალიელ არისტოკრატიას, მუდამ ბედის
მამძიებელ პოლონელ ემიგრანტებს, რუს თავადებსა და მდიდარ
ვაჭრებს.

12 დეკემბერს მიცკევიჩი მიიღო ჰოლანდიის ყოფილმა დე-
დოფალმა, ნაპოლეონის რძალმა ჰორტენზიამ, სადაც საფრან-
გეთის მომავალ იმპერატორს ლუი ნაპოლეონს შეხვდა. შემ-
დეგ ზ. ვოლკონსკაიასთან გაიცნო ვერა ხლიუსტინა და მისი
ლამაზი ქალიშვილი ანასტასია; აგრეთვე გრაფ ანკვიჩის ასუ-
ლი ევა-ჰენრიეტა და მისი ნათესავი მარსელინა, აქვე შეე-
მატნენ მის ნაცნობთა რიცხვს ლედი რასსელი და ლედი ჰამილ-
ტონი; მიცკევიჩი ონეგინივით დადიოდა მათ მიერ გამართულ
ბალ-მასკარადებზე, მაგრამ თანდაყოლილ სევდას ვერსად ვერ
იშორებდა: „არ ვიცი, ასე ხშირად რატომ შემიპყრობს ხოლმე
სევდა სამშობლოზეო“ — სწერს ის მალევსკის.

ნელ-ნელა ურიცხვი მუზეუმისა და სამხატვრო გალერე-
ების თვალიერებაც მოსწყინდა მიცკევიჩს. იგი გაზაფხულს
უცდიდა, რომ ცოცხალი ბუნების ხილვით გახალისებულიყო.
ამ დროს ის ხან პოლონური ბიბლიოთეკის დაარსებაზე და
პოლონეთის ისტორიის დაწერაზე ოცნებობს, ხანაც ბაირონი-

ვით აღმოსავლეთში მოგზაურობაზე. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ოცნება იყო. სინამდვილეში ის თბილად შეფუთვნილი იჯდა მთელი დღეობით გაყინულ ბუხართან, სიცივისაგან ძიგძიგებდა და ჩიოდა, რომ ბუხარს იტალიაში, როგორც ჩანს, უფრო დეკორაციისათვის აკეთებენ, ვიდრე ბინის გასათბობადო.

გაზაფხულზე მიცკევიჩის მუზა თითქოს გამოცოცხლდა. ხელოვნების ძეგლებიც ახლა უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენენ მასზე, მაგრამ ფიქრი, რომ ის განდევნილია სამშობლოდან, ჩამოშორებულია ტოლ-მეგობრებს და სადმე უცხოეთში უნდა ამოხდეს სული, ისევ უწამლავს წუთისოფელს, ისევ უმღვრევს გუნებას. იგი ამბობს, რომ მას რაღაც უხილავი ძალა მიერეკება ერთი ადგილიდან მეორისაკენ.

მიცკევიჩმა მცირე ხნით იმოგზაურა სიცილიაში, ფიქრობდა ისევ შვეიცარიაში წასვლაზე, ერთხელ კიდევ ჩავიდა ნეაპოლში, დაათვალიერა ვეზუვი, — მის კრატერს „ხახაში ჩახედა“, „მის ცეცხლზე პაპიროსი მოუკიდა“, — ინახულა პესტუმის ნანგრევები და სხვა უძველესი ნაგებობანი, სადაც ფრესკებისა და სურათების ცქერით დატკბა, შემდეგ კი ისევ ენევეაში გაემგზავრა. მაშინ ენევეაში ა. ი. ტურგენევი ცხოვრობდა და, როგორც ა. ხლიუსტინას მიცკევიჩისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, ძლიერ ნანობდა, რომ ვერ შეხვდა პოლონელ პოეტს, რომელსაც დიდად აფასებდა. ასევე ვერ შეხვდა ის მოსკოველ მეგობარს ს. სობოლევსკის, რომელსაც წერილებით დაეძებდა და რომელიც თურმე ენევეაში მის მეზობლად ცხოვრობდა.

ამ პერიოდის მიცკევიჩს ასე ახასიათებს კრასინსკი ენევიდან მამისადმი მაწერილ წერილებში: რასაც ამ კაცზე ვარშავაში წერენ, სულ ტყუილია — წერს ის, და დასძენს, რომ მიცკევიჩი არის „ადამიანი ფართო განათლებით, იცის პოლონური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული. იტალიური, ლათინური და ბერძნული ენები. კარგად არის გაცნობილი ევროპის პოლიტიკას, შესწავლილი აქვს ისტორია, ფილოსოფია, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ლიტერატურა. შეიძლება ითქვას, არაფინა ისეთი მკოდნე კაცი მთელს პოლონეთში, როგორიც იგია. როცა მის საუბარს უსმენ, გგონია, რომ არ არსებობს ისეთი

წიგნი, რომელიც მას არ წაეკითხოს. ...ის მე მეჩვენება იდეალად განსწავლული ადამიანისა, სრულყოფილ გენიოსად“.

იმავე კრასინსკის თქმით, მიცკევიჩი „არის ადამიანი, რომელიც ევროპული კულტურის დონეზე დგას, ადამიანი, რომელსაც მშვენივრად შეუძლია შეუთავსოს ერთმანეთს ცხოვრების მშრალი რეალობა და ყველაზე ამადლებული გაგება პოეზიისა და იდეალური ფილოსოფიისა. მას უწმიდესი მისწრაფებანი და სურვილები აქვს, ამასთანავე ფართო გონება, რომელიც მოიცავს ყველა მეცნიერებას და ხელოვნებას; ის მშვენივრად მსჯელობს პოლიტიკურ და მეცნიერულ პრობლემებზე“; „მან მთლიანად დამარწმუნა მე, რომ მყვირალობა მავნებელია მოქმედებაშიც, მსჯელობაშიც და წერაშიც, და რომ სიმართლე და მხოლოდ სიმართლე შეიძლება იყოს მშვენიერი და მიმზიდველი ჩვენს საუკუნეში; რომ სტილის ყოველგვარი შეფერადება, ბრჭყვიალება არარაობაა, თუკი იდეა არ არის, რომ ყველაფერი ამ იდეაზეა დამოკიდებული და თუ გსურს ჩვენს დროში რამე მნიშვნელობა გქონდეს, საჭიროა სწავლა, სწავლა და ყველგან სიმართლის ძებნა, ისე რომ არ გაგიტაცოს ბრჭყვი-ალა საგნებმა, რომელნიც ერთი წამით ანათებენ, როგორც ციციანათელები გაზაფხულის ბალახებში, შემდეგ კი სამუდამოდ ქრებიან“.

მიცკევიჩის სული ისევ სიყვარულს მოითხოვდა და ეს სიყვარული მან ევა-ჰენრიეტა ანკვიჩში ჰპოვა. ისინი ერთად დახეტიალობდნენ რომის სიძველეთა დასათვალიერებლად. ანკვიჩის ასული მისი გზის მაჩვენებელი, მისი ჩიჩერონე გახდა; მას უძღვნა მიცკევიჩმა თავისი მშვენიერი ლექსი „ჩემს ჩიჩერონეს“, დაწერილი რომში 1830 წლის აპრილს, „მიპატი-ებდა ნეაპოლში“ და „მესიზმრა ზამთარი“. მიცკევიჩს სურდა ცოლად შეერთო „თავისი ჩიჩერონე“, მაგრამ გრაფი ანკვიჩი ამის წინააღმდეგ წავიდა და არც ევა-ჰენრიეტა იკლავდა თავს მიცკევიჩისთვის, რადგან მისი წარმოდგენით, „პოლონელი ბაირონი“ გარეგნობით და მოქცევითაც „უფრო ბაირონუ-ლი უნდა ყოფილიყო“.

1830 წლის მაისს ისინი დაშორდნენ ერთმანეთს. ანკვიჩები რომიდან წავიდნენ და ევა-ჰენრიეტამ თან წაიღო მიცკევი-

ჩის ლექსების ორი წიგნი და მშვენიერი მოგონება რომის ნანგრევებზე გატარებული დღეებისა.

მოგზაურმა პოეტმა ამის შემდეგ რამდენიმე ხანი მილანში დაჰყო, საიდანაც ისევ რომს დაბრუნდა. აქ ერთხელ კიდევ მოევიწყა მას მარია ვერეშჩაკის აჩრდილი. მიცკევიჩმა მისგან მიიღო წერილი, რომელშიც პუტკამერის მეუღლეს, როგორც ჩანს, „იგონებს მისთვის რამე სევდას“ და წერს, თუ როგორ იტანჯება მიცკევიჩთან დაშორების გამო, როგორ ენატრება მისი ნახვა, რომ ჯავრისაგან დნება, სიკვდილი უახლოვდება, და სანტიმენტალურ ანდერძს უტოვებს, ჩემს საფლავის ქვაზე ჯვარი ამოჰკვეთეო.

1830 წელს იტალიაში დაწერა მიცკევიჩმა თავისი შესანიშნავი ლექსი „ო, პოლონელო დედაც“, რომელშიც გამოხატა თავისი ხალხის ეროვნული ტრაგედია. პოეტი აფრთხილებს პოლონელ დედას იმ საშინელი აუცილებლობის გამო, რომელიც მის შვილს, და საერთოდ ყველა პოლონელ ახალგაზრდას მოეღის: ციხე, ციმბირი ან სახრჩობელა. ის მოუწოდებს დედას, ბავშვობიდანვე შეაჩვიოს შვილი ტანჯვას, წამებას, ბორკილებს, მალაროს ხელგორგოლებს და ყოველგვარ ხიფათს, რომ მომავალში არ შედრკეს სახრჩობელის მარყუჟის, ნაჯახის და ჯალათების წინაშე. პოეტი ამბობს, რომ ამ ახალგაზრდებს არ მოელოთ ნამდვილი რაინდული ბრძოლა, ხელში მახვილით შეტაკება მტერთან, როგორც უწინ იყო. ახლა სულ სხვაგვარად ხდება: ჯაშუში დაასმენს, შეიპყრობენ, ბნელ საკანში ჩაადებენ, შემდეგ მოსყიდული სასამართლო გამოუცხადებს განაჩენს და ძეგლად სახრჩობელას დაუდგამენ. მათი დიდება კი დედის უნუგეშო მოთქმა და თანამემამულეთა ყრუ გოდება იქნება.

ეს ლექსი სამშობლოს ინტერესებისათვის მსხვერპლის გაღებისაკენ მოუწოდებს პოლონელ პატრიოტებს.

XVI

1815 წლის კონსტიტუციამ მხოლოდ დროებით შეაფერხა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება პოლონეთში. შლიახტა კმაყოფილებას გამოსთქვამდა კონსტი-

ტუციით მოპოვებული უფლებებით და არც ფიქრობდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე. მაგრამ მალე გამოიჩინა, რომ ეს კონსტიტუცია მხოლოდ მანევრი იყო ალექსანდრე პირველისა, რომელიც სრულიადაც არ ფიქრობდა დიდხანს გაეგრძელებინა „ლიბერალიზმის კომედია“. დაიწყო კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა, ცალკეული პუნქტების გაუქმება და ბოლოს აშკარა მუქარა კონსტიტუციის სრული გაუქმებისა. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში. პოლონეთის სამეფოში თითქოსდა კონსტიტუციური მონარქია იყო შემოღებული, მაგრამ ქვეყნის ფაქტიური ბატონ-პატრონი პოლონეთის ჯარების მთავარსარდალი დიდი მთავარი კონსტანტინე და იმპერატორის კომისარი ადმინისტრაციულ საბჭოსთან სენატორი ნოვოსილცევი იყვნენ. მეფის ნაცვალი, ავადმყოფი და კოკლი მოხუცი გენერალი ზაიონჩკა მათ ხელში უბრალო სათამაშო ბურთს წარმოადგენდა. კონსტანტინემ და ნოვოსილცევმა იერიში მიიტანეს ლიბერალთა მოძრაობაზე, დახურეს მათი ეურნალები და გაზეთები და საერთოდ მკაცრი ცენზურა დააწესეს პრესაზე.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის განვითარებითა და რუსეთის იმპერიაში აჯანყებების გახშირებით დაშინებულმა იმპერატორმა მოქმედების სრული თავისუფლება მისცა დიდ მთავარ კონსტანტინეს პოლონეთში, რითაც ფაქტიურად ხაზი გადაუსვა 1815 წლის 3 მაისის კონსტიტუციას, რომელზედაც ასე დიდ იმედებს ამყარებდნენ პოლონელი პატრიოტები. რეაქციის ამ შემოტევის მიმართ შლიახტის ოპოზიცია იმ დროს საკონსტიტუციო უფლებების დაცვის მოთხოვნაზე შორს არ მიდიოდა. სეიმში შეჰქონდათ პეტიციები, რომლებშიც პროტესტს აცხადებდნენ პოლონეთის სამეფოს მთავრობის ანტიკონსტიტუციური მოქმედების წინააღმდეგ, მაგრამ ამ პროტესტს არც მთავრობა, არც სეიმი და არც იმპერატორი ყურად არ იღებდნენ. ამასობაში ნოვოსილცევი აძლიერებდა შეტევას ლიბერალური იდეების გავრცელების წინააღმდეგ.

არისტოკრატიული მთავრობის მხარდაჭერით გაძლიერდა

კათოლიკური ობსკურანტიზმიც. განათლების ლიბერალური მინისტრი, კათოლიციზმის წინააღმდეგ მებრძოლი პოტოცკი აძულებული გახდა თანამდებობიდან გადამდგარიყო და განათლების საქმე რეაქციონერებმა იგდეს ხელთ. რამდენიმე წლის განმავლობაში განახევრდა სკოლების რაოდენობა, დაიწყო რეპრესიები, დაპატიმრება-გადასახლებანი. საზოგადოებრივი და სტუდენტთა ორგანიზაციები დაშალეს და ხელმძღვანელები დაატუსაღეს.

პოლონეთში მეფის მთავრობის აშკარა რეაქციულ კურსს მხარს უჭერდა პოლონელ მემამულეთა უმრავლესობა; პოლონეთის სეიმი ქედმდაბლურად ეხმარებოდა ცარიზმს ანტინაციონალურ-რეაქციული პოლიტიკის გატარებაში. პოლონელი მემამულეებიც დღითი დღე აძლიერებდნენ გლეხების ექსპლოატაციას. საგარეო ვაჭრობის შედარებითი თავისუფლების მოპოვებით ისინი სწრაფად მდიდრდებოდნენ. ამან შეანელა მემამულეთა შორის პოლონეთის მიწა-წყლის გაერთიანებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. პრუსიისა და ავსტრიის მიერ მიტაცებულ პოლონურ ტერიტორიაზედაც მემამულეების თავის მხარეზე გადმობირების მიზნით პრუსიისა და ავსტრიის მთავრობებმა გაატარეს რიგი რეფორმებისა და შლიახტის მნიშვნელოვანი ნაწილი თავიანთი პოლიტიკის ყურმოჭრილ მონებად გაიხადეს.

რეაქციის გაშიშვლებულ შემოტევას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება მოჰყვა. ემიგრაციაში გაქცეული და გადასახლებული პოლონელი პატრიოტები კმნიან საიდუმლო რევოლუციურ ორგანიზაციებს და სამშობლოს გასათავისუფლებლად ბრძოლისთვის ემზადებიან. ისინი კავშირს ამყარებენ რუსეთის რევოლუციურ ორგანიზაციებთან და გაერთიანებული ძალებით ცდილობენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ფილარეტების ორგანიზაციის დარბეული და რუსეთში გასახლებული წევრებიც განაგრძობენ მოქმედებას.

საიდუმლო ორგანიზაციები გაჩნდა პოლონეთის სამეფოშიც. მათ მეთაურს მაიორ ლუკასინსკის კავშირი ჰქონდა რუსეთის სხვა საიდუმლო ორგანიზაციებთანაც. პოლიციამ მიაგ-

ნო მათ კვალს. 1822 წელს ლუკასინსკი დააპატიმრეს და, თუმცა სასამართლომ 7 წელი ციხე მიუსაჯა, სიკვდილამდე, 1868 წლამდე, შლისელბურგის ციხეში ჰყავდათ იგი გამომწყვდეული.

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად პოლონეთის მთელ ტერიტორიაზე და ემიგრაციაშიც ძლიერდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. კვლავ დაიწყო მოქმედება „პატრიოტულმა საზოგადოებამ“ და კავშირი დაამყარა რუსეთის თავადაზნაურულ „სამხრეთის კავშირთან“, თუმცა მათ შორის პრინციპული სხვაობა იყო პოლიტიკურ შეხედულებებში. პოლონური პატრიოტული საზოგადოების მეთაურები კონსტიტუციური მოძრაობით კმაყოფილდებოდნენ, რუსი დეკაბრისტი რევოლუციონერები კი რესპუბლიკურ იდეებს იცავდნენ და თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ პოლონეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას მოითხოვდნენ. პოლონურ პატრიოტულ ორგანიზაციასა და დეკაბრისტებს შორის მოლაპარაკებები წარმოებდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი პლატფორმის გამოსამუშავებლად. ამიტომ იყო, რომ მიცკევიჩი ასე დაუახლოვდა დეკაბრისტებს და ამიტომაც აფასებდნენ დეკაბრისტები დიდ პოლონელ პოეტს.

ალექსანდრე I სიკვდილს და ნიკოლოზ I ტახტზე ასვლას ცარიზმის პოლიტიკა პოლონეთისადმი არ შეუცვლია. პირიქით, რეპრესიები კიდევ უფრო გაძლიერდა. დეკაბრისტების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ აღმოაჩინეს „პოლონური პატრიოტული საზოგადოება“ და მისი მეთაურები სასამართლოს გადასცეს. განმათავისუფლებელი მოძრაობა ამით, ცხადია, არ ჩამქრალა, ისევ დაარსდა ახალი საიდუმლო ორგანიზაციები და თუმცა ამ ორგანიზაციებსა და მათ წევრებს შორის არ იყო აზრთა ერთიანობა, ისინი მაინც სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მიცკევიჩი და მისი მეგობრები მოკლებულნი იყვნენ საშუალებას უშუალო მონაწილეობა მიეღოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ისინი ჯერ გადასახლებაში იყვნენ, ხოლო შემდეგ ემიგრაციაში; მაგრამ მიცკევიჩის შემოქმედება მთლიანად ამ მოძრაობის რევოლუციურ-დემოკრატიული

სულისკვეთების გამოხატულებას წარმოადგენს, მისი პოემები და ლექსები მოუწოდებენ პოლონელ ხალხს გაერთიანებულსა და სახელმწიფოებრივი თავისუფლების მოპოვებისაკენ. ამიტომ არის მისი პოეზია გაქლენთილი მებრძოლი რევოლუციური სულისკვეთებით.

ივლისის რევოლუციამ საფრანგეთში, განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებამ ბელგიაში და დემოკრატიული ბრძოლების განმტკიცებამ იტალიაში ახალი იმედი და ძალა შემატა პოლონელ პატრიოტებს და მათ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ეს მოძრაობა ფართოდ გაიშალა. საიდუმლო ორგანიზაციებში გაერთიანდნენ პატრიოტთა ფართო ჯგუფები.

29 ნოემბერს სადამოთი, საიდუმლო საზოგადოების ერთი ჯგუფი შეიჭრა ბელვედერში. კონსტანტინე მეუღლის ბუდუარში დაიშალა. აჯანყებულთა მეორე ჯგუფმა არსენალი იგდო ხელთ. ქალაქის ხელოსნობა, მუშები და აგრეთვე სტუდენტობა შეიარაღდა და შეუერთდა აჯანყებულებს.

უცხოეთში გადახვეწილი მიცვევიჩი ამ აჯანყების სულისჩამდგმელი იყო. ქუჩებში გამოკრული იყო ტრანსპარანტები დიდი პოლონელი პოეტის სიტყვებით. მისი „ოღა ახალგაზრდობას“ პროკლამაციების სახით იბეჭდებოდა და ფართოდ ვრცელდებოდა აჯანყებულთა შორის. იგივე ლექსი დაიბეჭდა მეამბოხეთა ჟურნალის „პოდხორუნიის“ პირველი ნომრის პირველ გვერდზე.

მაღე აჯანყებამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო და თავისი მძლავრი სოციალური მოთხოვნებით შლიახტის შემფოთება გამოიწვია. არისტოკრატიას დამოუკიდებელი ფეოდალური პოლონეთის აღდგენა სურდა და არა სახალხო რევოლუცია. შლიახტის ინტერესები სრულიად არ ითვალისწინებდა მშრომელი მასების მოთხოვნლებათა დაკმაყოფილებას. მთავრობას და შეძლებულ კლასებს სოციალური რეფორმების უფრო ეშინოდათ ვიდრე ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვისა. ამიტომ შლიახტის დიდი ნაწილი აჯანყებას დაუპირისპირდა. პოლონელმა გენერლებმა უარი თქვეს აჯანყებულთა შეიარაღებულ ძალების ხელმძღვანელობაზე. ადმინისტრაციულმა

საბჭომ მანევრებს მიმართა. თავის შემადგენლობაში შეიყვანა აჯანყების მომხრეები, მათ შორის ი. ნემცევიჩი, ა. ჩარტორიისკი, ი. ლელეველი და სხვები. შემდეგ ეს საბჭო დაიშალა და დროებითი მთავრობა შედგა, რომელსაც სურდა მოლაპარაკების დაწყება პეტერბურგთან, რაც ფაქტიურად კაპიტულაციას ნიშნავდა. აჯანყებულთა მეთაურად გენერალი ხლოპიციკი დაინიშნა. როცა ხლოპიციკიმ ძალაუფლება ხელთ იგულო, ემისრები გაგზავნა ნიკოლოზ პირველთან, ერთგულება აღუთქვა და სთხოვა პოლონეთისათვის ლიტვის, ბელორუსიისა და უკრაინის ტერიტორიების შეერთება. მან ისევ მოახდინა მთავრობის რეორგანიზაცია და დროებითი მთავრობის ნაცვლად შექმნა ნაციონალური საბჭო. ნიკოლოზ პირველმა უარპყო ხლოპიციკის თხოვნა და სრული მორჩილება მოითხოვა. ხლოპიციკიმ კაპიტულაციისაკენ მოუწოდა აჯანყებულებს. აჯანყებულთა მასამ მხარი არ დაუჭირა მას და ის იძულებული გახდა გადამდგარიყო. ამ არეულობაში შეიკრიბა სეიმი, გამოცხადდა ნიკოლოზ პირველის გადაყენება პოლონეთის ტახტიდან და შეიქმნა ნაციონალური მთავრობა ა. ჩარტორიისკის მეთაურობით. მთავრობა ცდილობდა რადიკალური ელემენტების დაშოშმინებას და შინაგანი „რევოლუციური საშიშროების“ ლიკვიდაციას. რევოლუციური მასები კი აშკარად ცარიზმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და რუს ხალხთან ერთიანობაში ხედავდნენ თავიანთ ძალას. ვარშავაში მოეწყო გრანდიოზული სამგლოვიარო დემონსტრაცია საკვდილით დასჯილი დეკაბრისტების პატივსაცემად. გადმოსროლილი იქნა ღრმავაროვანი, პოლონელი და რუსი ხალხების ერთიანობის გამომხატველი ლოზუნგი: „თქვენი და ჩვენი თავისუფლებისათვის“. ამ ლოზუნგით პოლონეთის 25-ათასიანმა არმიამ და რევოლუციურმა მასებმა დაიწყეს ცარიზმთან ბრძოლა. მათ წინააღმდეგ ნიკოლოზ პირველმა 115-ათასიანი არმია გამოიყვანა ფელდმარშალ დიბიჩის მეთაურობით. რამდენიმე შეტაკებაში პოლონელები გამარჯვებული გამოვიდნენ. მათ ამხანად სარდლობდა რაძივილი, შემდეგ ისიც გადააყენეს და მთავარსარდლად აჯანყების მოწინააღმდეგე გენერალი სკშეშევსკი დანიშნეს. მან უმოქმედობის ტაქტიკა აირჩია და ფარულად დიბიჩს დაუკავშირდა. სკშეშევსკის მოლაღატური

მოქმედების შედეგად პოლონეთის არმია დამარცხდა გროხოვოსთან ბრძოლაში. მთავრობა კვლავ უმოქმედობას იჩენდა. გლეხთა მოძრაობის გაფართოების შიშით მან მხარი არ დაუჭირა სოფლის მოსახლეობას და არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნები. მთავრობის ნაციონალური პოლიტიკა ლიტვის, ბელორუსიის და უკრაინის ტერიტორიების მიტაცებისა არაპოპულარულს ხდიდა აჯანყებას გლეხთა მასებში. ძალით მობილიზებული გლეხობა საიმედო სამხედრო ძალას არ წარმოადგენდა. გენერლებს შორის არ იყო შეთანხმებული მოქმედება. აჯანყებულებსა და არმიას შორისაც უთანხმოება ჩამოვარდა. ვარშავის მთავრობამ ზომები არ მიიღო აჯანყების გასაზრუნველად ნამდვილ პოლონურ ტერიტორიებზე, რომელნიც ავსტრიისა და პრუსიის მიერ იყო დაპყრობილი; პირიქით, ხლოპიციმ აკრძალა სამხედრო ნაწილების შედგენა დასავლეთის ტერიტორიიდან გადმოსული პატრიოტი ახალგაზრდებისაგან.

იმის ნაცვლად, რომ ნამდვილ პოლონურ ტერიტორიებზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყოველმხრივ გაშლისათვის შეეწყო ხელი, მთავრობამ მთელი ძალა ლიტვის, ბელორუსიის და უკრაინის ტერიტორიების მიტაცებისაკენ მიმართა, რაც უდიდესი ღალატი იყო პოლონელი ხალხის ნაციონალური ინტერესებისადმი. გენერალიტეტის მოღალატეობით და მთავრობის უმოქმედობით აღშფოთებულმა ხალხმა მასიური დემონსტრაციები მოაწყო. მთავრობა იძულებული გახდა მთავარსარდლის პოსტზე სკშეშევსკის ნაცვლად გენერალი დემბინსკი დაენიშნა, მაგრამ ეს უკანასკნელიც მისი წინამორბედების პოლიტიკას განაგრძობდა. რუსეთის არმიის სარდლად ხოლერისაგან გარდაცვლილ დიბიჩის ნაცვლად პასკევიჩი დაინიშნა. რადიკალური ელემენტების აქტიური გამოსვლით დაშინებული პატრიოტული საზოგადოება უმოქმედობდა. ხალხი აღელვებული იყო ასეთი გამცემლური პოლიტიკით. მღელვარებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. აღშფოთებულმა გლეხებმა ალყა შემოარტყეს ვარშავის სატუსალოს და მოღალატე გენერლები სიკვდილით დასაჯეს. დემბინსკიმ თავისი ჯარის ნაწილები ვარშავაში შემოიყვანა აჯანყებული

ხალხის წინააღმდეგ. ჩარტორიისკი გაიქცა. მთავრობის სათავეში სეიმმა რეაქციონერი გენერალი კრუკოვეცკი დააყენა. ამ უკანასკნელმა მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ აჯანყებული ხალხის ზოგიერთი მეთაური დახვრიტა და პატრიოტული საზოგადოება დაშალა.

ამასობაში პასკევიჩის ჯარი ვარშავას მოუახლოვდა. აჯანყებულმა ხალხმა იარაღი მოითხოვა, მაგრამ არ მისცეს. შლიახტის მალალმა წრეებმა გაჰყიდეს ხალხის ინტერესები, კაპიტულაციის პოლიტიკას დაადგნენ და 1831 წლის 8 სექტემბერს აჯანყებული ვარშავა დანებდა პასკევიჩს. აჯანყებულები სხვა ადგილებში კიდევ ერთ თვეს განაგრძობდნენ წინააღმდეგობას.

ეს აჯანყება დიდი პროგრესული მოვლენა იყო ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვარშავის აჯანყების შემდეგ ნიკოლოზ პირველმა სასტიკ რეპრესიებს მიმართა. პასკევიჩი დაინიშნა მეფის ნაცვლად და მთავარსარდლად პოლონეთში. 1815 წლის 3 მაისის კონსტიტუცია გაუქმდა. სეიმი გარეკეს. არმია დაშალეს. პოლონეთის ავტონომია მოისპო. სავოევოდოების ნაცვლად გუბერნიები შეიქმნა. ვარშავის და ვილნიუსის უნივერსიტეტები დაიხურა. დაწესდა მკაცრი ცენზურა.

პოლონელი ხალხი გმინავდა. ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი საზღვარგარეთ გაიხიზნა. აჯანყებულთა ჯარის ნაწილებიც დასავლეთისაკენ წავიდნენ, საზღვარი გადალახეს და ინტერნირებული იქნენ ავსტრიისა და პრუსიის მთავრობის მიერ.

უმძიმესი უამი დადგა პოლონეთის ისტორიაში.

მიცკევიჩი და მისი მეგობრები გულისტკივილით უყურებდნენ, თუ როგორ იცლებოდა სისხლისაგან მათი სამშობლო. პოეტი ჩაფლული იყო აჯანყების შესახებ ცნობების შეკრებაკითხვაში. როგორც ჩანს, ინფორმაციას უმთავრესად გერმანული გაზეთებიდან იღებდა. ამიტომ, რომ აჯანყების დღეებში იგი სწერდა ვოიციხ სტატლერს რომიდან:

„...საღებავმუშრობი ფურცელი ჰუჰყიანი გერმანული გაზეთისა ახლა უფრო მიტაცებს მე, ვიდრე ყველა ვინჩი და რა-

ფაელი, ჩემი მუზეუმი ახლა მოედანზეა ერთ ჭუჭყიან ხვრელში, რომელსაც სამკითხველო დარბაზი ეწოდება“.

მიცკევიჩის უნდოდა როგორმე სამშობლოში დაბრუნებულყო და აჯანყებულთა რიგებში ჩამდგარიყო, სამგზავრო ფულიც ისესხა, ალპები გადაიარა და გერმანიის გავლით პოზნანში ჩავიდა, მაგრამ ვერ მოახერხა საზღვარზე გადასვლა. შემდეგ, 1832 წლის 23 მარტს ის სწერდა ლელეველს: „ღმერთმა არ მომცა საშუალება ვყოფილიყავი მონაწილე მომავლისათვის ასეთი დიდი და ნაყოფიერი საქმისა. მარტო ის მასულდგმულებს, რომ უქმად არც მე დავიკრეფ გულხელს კუბოში“.

გაშმაგებული მიცკევიჩი პოზნანიდან რომში დაბრუნდა და გონებაამღვრელი უძველესი ფოლიანტების კითხვით იქარვებდა დარდს. მეგობრები შეუფოთებული იყვნენ მიცკევიჩის მძიმე სულიერი მდგომარეობით. პუშკინიც სწუხდა მის პედზე. 1831 წლის 2 თებერვალს, როცა აჯანყების ბედი უკვე თითქმის გადაწყვეტილი იყო, პუშკინი სწერდა ე. ხიტროვოს მოსკოვიდან: „პოლონელებისაგან მე მხოლოდ მიცკევიჩი მაინტერესებს. ის რომში იყო აჯანყების დასაწყისს. მეშინია, ხომ არ ჩავიდა ვარშავაში, რათა დასწრებოდა თავისი სამშობლოს უკანასკნელ სასიკვდილო აგონიას“.

პირად წერილებში მიცკევიჩი იშვიათად და ფრთხილად ეხება აჯანყების ამბებს. ეს გასაგებიცაა, ის წერილებს თავის მეგობრებს უმთავრესად რუსეთში სწერდა და, ცხადია, აჯანყების შესახებ ადვილად ვერაფერს ჩაურთავდა.

მიცკევიჩი, როგორც ვიცით, მუდამ სასტიკად იცავდა კონსპირაციის წესებს, ამით ის უმთავრესად მეგობრებს აფრთხილებდა. გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ კაბუკობის პერიოდში კაუნასიდან როგორ დაჟინებულ ინსტრუქციებს აძლევდა ის ვილნიუსელ მეგობრებს ფილომატა საზოგადოების მუშაობის კონსპირაციის დაცვის შესახებ. ასევე ფრთხილად იქცეოდა ის დეკაბრისტებთან ურთიერთობის დროსაც.

მიცკევიჩი აღშფოთებული იყო, როცა უცხოეთის პრესამ აშკარად დაიწყო იპის შესახებ წერა, რომ პოლონელი პოეტორევორლუციონერებთან კავშირშია. და მთავრობის წინააღმდეგ იბრძვის. იგი ოფიციალურად უარყოფდა ამას და ამ შემთხვე-

ვაშიაც მიზეზი კონსპირაციის დაცვა და რუსი მეგობრებისადმი გაფრთხილება იყო. რომელთაც, ცხადია, ბევრი უსიამოვნება შეხვდებოდათ მიცკევიჩთან ურთიერთობის გამჟღავნების გამო. ნამდვილად კი, რა თქმა უნდა, მიცკევიჩის მთელი გულისყური ვარშავისკენ იყო მიპყრობილი და მისი პოეტური ფანტაზია ამ ამბებს დატრიალებდა. ისევე როგორც ადრე არ შეეძლო დაეწერა რამე დეკაბრისტების შესახებ პირდაპირ, ხოლო დეკაბრისტული სული გამოხატა „კონრად ვალენროდში“, ახლაც მიცკევიჩს ვარშავის აჯანყების სული ამოძრავებდა მის ფანტაზიას „ძიადების“ III ნაწილისა და ახალი პოემის — „პან ტადეუშის“ გეგმის მოფიქრების დროს.

მიცკევიჩს უკვე აღარ შეეძლო სატრფიალო ლექსების წერა ლამაზმანების ალბომებში და არც მარილას გაფერმკრთალებული აჩრდილის დევნა. ის რაღაც დიდ, გრანდიოზულ ნაწარმოებებზე ფიქრით იყო შეპყრობილი, მისი განხორციელება კი დროს მოითხოვდა, ამიტომ არის, რომ მიცკევიჩის შემოქმედებით ბიოგრაფიაში 1831 წელი მხოლოდ პუნქტირითაა აღნიშნული.

XVII

აჯანყების დამარცხებამ მძიმედ იმოქმედა მიცკევიჩზე. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, იგრძნო მან მარტობა. სონეტში „მარტობას“ ის გამოხატავს თავის ამ განწყობილებას, თუ, როგორ მიილტვის მარტობისაკენ, როგორ ეხვევა მის ცივ სხივებში, როგორ იბურება ნისლით მისი გული, როგორ აწყდებიან მას ტალღებად შავი ფიქრები და ა. შ.

ამ პერიოდის ლექსში „მოგზაურის სიმღერა“ პოეტი დასტირის თავის დევნილობას, განდევნილობას, სამშობლოს დაკარგვას. გაზაფხულს ზამთარი შეცვლის, სიცხეს სიცივე, მხოლოდ ერთია უცვლილი — სევდა მოხეტიალისაო — ამბობს ის.

მაგრამ მარტოობის სევდამ ვერ ჩაახშო მებრძოლი პატრიოტული სული ადან მიცკევიჩისა. 1832 წლიდან მის ლექსებში კვლავ გაისმა დაფდაფების ხმა. კვლავ ბრძოლის ველისაკენ მიიწევს პოლონელი ფარისი. ასეთი განწყობილებითაა დაწერილი ლექსი „ჯარისკაცის სიმღერა“: ომს მოწყურებული ჯარისკაცი ილტვის ბრძოლის ველისაკენ, სიზმარშიც ცხენი და

მახვილი ელანდება მას და ესმის ბრძანება — „ადექი, თოფზე! მეფის წინააღმდეგ!“ ვაგრამ წინ პრუსიის საზღვარია. იქ პოლონეთში კი... და ასე შემდეგ.

ამ ლექსში პოეტი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ვარშავის აჯანყებისადმი. აჯანყების გამძვინვარება ხელმძღვანელებმა საშუალება არ მისცეს პრუსიაში მყოფ პოლონელ პატრიოტებს ებრძოლათ თავიანთი სამშობლოს გასათავისუფლებლად. უფრო მეტიც, საომრად გამზადებული საბრძოლო შენაერთები პოლონეთიდან მოლაღატურად გადაიყვანეს პრუსიაში, სადაც ისინი ინტერნირებული იქნენ.

ვარშავის აჯანყების თემასვე უძღვნა მიცკევიჩმა შესანიშნავი ლექსი „მეთაურის სიკვდილი“. ეს ლექსი მიძღვნილია ისტორიული პიროვნებისადმი, გმირ ქალ ემილია პლატერისადმი. ის თურმე ბავშვობიდანვე ოცნებობდა საგმირო საქმეებზე, ჟანა დ'არკის გმირობაზე. ვარშავის აჯანყების დასაწყისიდანვე 24 წლის ქალიშვილმა შეკრიბა რაზმი და ჩაება ბრძოლაში. როგორც მიცკევიჩის კომენტატორები ადგენენ, ემილიას აღიდეს ბრძოლებში წარჩინებისათვის გენერალმა ხლოპიციმ კაპიტნის ჩინი მანჩიკა, მაგრამ როცა მოლაღატე გენერალმა თავისი ჯარით პრუსიისაკენ დაიხია, ემილია არ გაჰყვა მას და ბრძოლით სცადა ვარშავისკენ გაქრილიყო. ღონეგამოლულმა გმირმა ტყისმცველის ქოხს შეაფარა თავი და, როცა გაიგო ვარშავის დაცემის ამბავი, ჯავრისაგან სული განუტევა.

ამ გმირი ქალის ხსოვნას უძღვნა თავისი ლექსი ა. მიცკევიჩმა. პოეტი აღწერს, რომ მომაკვდავმა ემილიამ უბრძანა თავის ჯარისკაცებს შეეკაზმათ მისი ცხენი, გამოეტანათ მუნდირი, იარაღიც, რათა როგორც მებრძოლი გამოთხოვებოდა სიცოცხლეს. თავშიშველი და მუხლმოყრილი გლეხები ტიროდნენ, კოსტიუშკოს ვეტერანები თავჩაქინდრულნი იდგნენ. ემილია ცხენის უზანგს მიეყრდნო, ნაზი ლოყები წითლად აუფაქლდა, ნაწნავები უკან გადაიყარა და ასე მოკვდა გმირი პოლონელი ქალი — უდრეკი მეთაური აჯანყებულთა რაზმისა.

დასასრულ, ვარშავის აჯანყებისადმი მიძღვნილი აგრეთვე 1832 წელს დაწერილი ლექსი „სანგარი“. ძლიერი პოეტური საღებავებით ხატავს მიცკევიჩი ბატალურ სცენას, როცა აჯან-

ყებულ პოლონელთა სანგრებზე ზღვის ტალღებივით წამოვიდა მეფის ჯარი, ყვავ-ყორნების გუნდივით აფრიალდა დროშები, მაგრამ მათ წინ სალ კლდესავით აღიმართა ორდონის სანგარი ზარბაზნით. ყუმბარები სკდება, ჯოჯოხეთური ცეცხლი ტრიალებს, სიკვდილის ანგელოსი თავს ადგას ჯარისკაცებს.

მიცეკვიჩი აღწერს პოლონელთა გამირობას, მაგრამ თანაგრძნობით უყურებს რუს ჯარისკაცებსაც, რომელთაც სიკვდილისაკენ მიერეკება მეფის ბრძანება. იგი აღშფოთებული კითხულობს: „სად არის ის, ვინც გამოგზავნა ისინი ამ სისხლიან დღესასწაულებზე. განა, ის იზიარებს მათ საფრთხეს და დიდებას? ო არა! ასი მილის დაშორებით, ჩრდილოეთის პალმირაში ზის გვირგვინოსანი, ნახევარი მსოფლიოს მბრძანებელი, მრისხანე თვითმპყრობელი. ის წარბს ასწევს და ციმბირისაკენ მიჰქრის კიბიტკები, თავს დააქნევს და დედები ატირდებიან, ფეხს დაჰკრავს და დაიზუზუნებენ შპიცრუთენები. სისხლში ეძებს ის სიამოვნებას.

დაე სტამბოლი წელში მოიხაროს მის წინაშე, დე თავისი ნება უკარნახოს მან პარიზს, ვარშავა არ ცნობს ამ კერპს და მზად არის მამაკაპური გვირგვინი კაზიმირისა¹ მოხსნას თავიდან მტარვალს — გიჟი პავლეს შვილს, პოლონელთა სისხლით გაღეშილს.

მბრძანებელი მრისხანებს — სასახლის ლაქიები შეშინებულნი არიან... და მოდიან ჯარისკაცები ყუმბარებისა და ხელყუმბარების ცეცხლში, რომ ჟინი მოუკლან მეფე-მბრძანებელს. მათი სარდალი, „ჯალათი კავკასიისა“² მეფის მათრახივით მუდამ მორჩილია და მზადმყოფი.

იწყება ბრძოლა... სისხლის ნიაღვარი, ბრმა გაცოფება... ორდონის სანგარში საჭურველი გამოელიათ, თოფი ისე ცხელია, რომ ხელი არ მოეკიდება, ზატარეა სდუმს... მეფის ფეხოსანთა ტალღა ახლოვდება. აჯანყებულთა გენერალი ჰოგრიტივით უყურებს ორდონის დადუმებულ სანგარს, დაიღუპაო, ამბობს ის და ცრემლები გადმოუგორდება. მაგრამ არა! ორდონი იბრ-

¹ პოლონეთის მეფე.

² იგულისხმება პასკევიჩი.

ძვის, ორდონს სტაცეს ხელი... ის არ დანებდება, ასეთები არ ნებდებიან... იგი იქ მიიჭრა, სადაც ტყვიანობის კასრები და ყუმბარების მარაგი აწყვიდა... ცეცხლი წაუკიდა პატრუქს... საშინელი გრიალი, თითქოს დედამიწა დაბარბაცდაო. ცას ცეცხლის ალი მოედო, ზარბაზნები ლაფეტებიდან გადმოცვივდნენ, დაბნელდა... და როცა ჯანლი გადაიყარა, მიწა საფლავივით დარჩა პირდაღებული. აფეთქებით ყველა დაიღუპა, გაჭრა ყოველი, ვით სიზმარი და დარჩა ბნელი სამარე გვამთა და ყოველთა შემრიგებელი. მომხდურს და დამხდურს, მამულის მტერს და დამცველს მარადისობამ აქ საერთო სამშობლო მისცა!.. მიცვევიჩი დასტირის თავის თანამემამულეებსა და რუსებსაც, რომლებმაც აქ სამუდამოდ მიიძინეს და აქვე პირველად შეურიგდნენ ერთმანეთს.

დეე, მეფემ ახლა უბრძანოს ჯარისკაცებს ადგნენ — ამაოა ეს. მეფის სიტყვა უძლურია მკედრების წინაშე.

თავისივე სანგარში დაიღუპა ორდონი თავისუფლებისა და აღამიანთა ბედნიერებისათვის.

აქ დაიპარხა ათასების მგზნებარე გული,
მათ შორის, ვიცი მე, სად არის ორდონის სული.
ის აქვე არის, თავის სანგრის გმირი დამცველი,
მისი გმირობა უკვდავია, წმიდა, ნათელი
თავისუფლების დიად სხივის ხალხში მფრქვეველი —
წმიდაა ძალა შექმნელი თუ დამამზობელი!

აქ, ამ ლექსში ამოხეთქა ვარშავის ამბებით დაგუბებულმა ბოლშამ. მიცვევიჩმა ისტორიის სამარცხვინო ბოძზე გააკრა ჯალათი მეფე და იმღერა უკვდავი სიმღერა გმირობისა და თავისუფლებისა, ბედნიერებისა, რუსი და პოლონელი ხალხის მეგობრობისა. აი რისთვის დუმდა მიცვევიჩი 1831 წელს. აი რა ძალა გროვდებოდა მასში. ძნელია იმაზე უფრო სრულყოფილად, უფრო მკვეთრად და სწორად გამოხატვა ვარშავის აჯანყების სულისა, ვიდრე ეს მიცვევიჩის „ორდონის სანგარშია“ მოცემული.

1 თარგმანი ხ. ვარლოშვილისა.

ეს ლექსი დგას პუშკინის „Послание в Сибирь“-ის გვერდით. როგორც პუშკინის პოეტური გენიის ნათელი დაადგა დეკაბრისტების საშვილიშვილო გმირობას, ასევე ვარშავის აჯანყებას მოეფინა დიდი პოლონელი პოეტის მიცკევიჩის გენია. ორივე პოეტს, ორი ხალხის გულის მესაიდუმლეს, სჯეროდა, რომ თვითმპყრობელობის ნამსხვრევეებზე აღმოცენდებოდა ახალი სამყარო.

ვარშავის დაცემის შემდეგაც მიცკევიჩს იმედი არ დაუკარგავს. მ. იასტრუნს თავის მონოგრაფიაში ერთი საინტერესო ეპიზოდი აქვს აღწერილი: ერთხელ რომელიღაც შეკრებაზე საუბრის დროს ვიღაც ქერათმიანმა მანდილოსანმა, რომელსაც ნაღვლიანი თვალება აქონდა, მიცკევიჩს ქალაღის ნაგლეჯი გადასცა, რომელზედაც ეწერა: „რას იზამ აწი, როცა შენი გულიდან ყოველგვარი იმედი გაქრა?“ მიცკევიჩი ნერვიულად მისწვდა ფანქარს, ქალაღი გადააბრუნა და მეორე მხარეზე დააწერა: „რას შვრება გლეხი, როცა სეტყვა ყანას გაუოხრებს? ხელახლა გაჰყვება ხნულს და დაიწყებს თავიდან თესვას“. იმ ქერათმიანმა მანდილოსანმა ქალაღის ეს ნაგლეჯი მიცკევიჩის ესოდენ დამახასიათებელი წარწერით ისტორიას შემოუნახა.

მემუარული ლიტერატურიდან ცნობილია მიცკევიჩის იმპროვიზაცია, რომელიც ვარშავის აჯანყების დამარცხების პერიოდს ეკუთვნის. საუბარი სამშობლოს ტრადიციულ ბედზე ჩამოვარდა. ყველა მძიმე განწყობილებით იყო შეპყრობილი. მიცკევიჩი წამოდგა, ბუხართან დადგა და ამღვრეული თვალებით მიაშტერდა შეკრებილთ. ის ნამდვილ შეშლილს გავდა მაშინ. ცოტა ხანს ასე იდგა გარინდებული და უცებ ყველასათვის მოულოდნელად დაიწყო სიმღერა. იგი მღეროდა პოლონეთის საზარელი ხვედრის შესახებ. საშინელი საღებავებით ხატავდა მისი სვეგამწარებული ხალხის ცხოვრებას. ყველა გაქვავდა ადგილზე. აქ-იქ გაისმა ჩუმი კენესა, შემდეგ კვითინიც. ბოლოს ყველას სახე გაუბრწყინდა. მიცკევიჩი მიუთითებდა შორს მოკიაფე ვარსკვლავზე, რომელიც გაანათებდა პოლონეთს და მთელს კაცობრიობას.

მართალია, მიცკევიჩმა ღრმად განიცადა ვარშავის აჯანყების დამარცხება, მაგრამ შემდეგ მან საღი პოლიტიკური

ავალსაზრისით შეხედა ამ დამარცხების მიზეზებს, კიდევ უფრო დაუახლოვდა ხალხს და ახალი ენერგიით შეუდგა ბრძოლას.

მიცკევიჩი იმედის თვალთ შეჰყურებდა პოლონელ პატრიოტთა ორგანიზაციებს, რომლებიც პარიზში შეიქმნა და რომელთაც ვარშავის აჯანყების მეთაურები ხელმძღვანელობდნენ, მათ შორის მიცკევიჩის მასწავლებელი და მეგობარი იოაჰიმ ლელეველიც. 1832 წლის 13 მარტს მიცკევიჩი დრეზდენიდან სწერს პარიზში მყოფ ლელეველს: „მე დიდ იმედებს ვამყარებ ჩვენს ხალხზე და ემიგრანტების მოქმედებათა განვითარებაზე, რაც არავითარი დიპლომატიით არ არის გათვალისწინებული“. ამ სტრიქონებში ღრმა და პრინციპული აზრია. საქმე ის არის, რომ პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურების ერთ-ერთი მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ისინი სამშობლოს განთავისუფლებას უცხოეთის სახელმწიფოებისაგან მოელოდნენ. ახლაც, ვარშავის აჯანყების დამარცხების შემდეგ, ემიგრაციაში მყოფი პოლონეთის „ნაციონალური მთავრობის“ წევრები საფრანგეთისაგან მოელოდნენ დახმარებას და მოლაპარაკებას აწარმოებდნენ სხვადასხვა პარტიებთან. მიცკევიჩი ამის წინააღმდეგი იყო. ის კარგად ხედავდა შულსა და უთანხმოებას, რომელიც აჯანყების ხელმძღვანელთა შორის იყო და ლელეველს სწერდა: „აქ საერთოდ ჩივიან განხეთქილების შესახებ, რაც მოსალოდნელი იყო, რადგან ის ვარშავიდანაა ჩამოყოლილი“; ფრანგული პარტიების შესახებ კი იგი დასძენდა: „მე ორივე ეს პარტია მიმაჩნია დემორალიზებულ ეგოისტთა ხროვად და მათგან არაფერს მოველოო“. მიცკევიჩი ავითარებს იმ აზრს, რომ მას მხოლოდ თვით პოლონელი ხალხის და მახვილის იმედი აქვს. „მე არ გამიგონია, რომ რომელიმე ხალხი აღმდგარიყო დებატებითა და დიპლომატიური ნოტებით“, სწერდა მიცკევიჩი იუზეფ გრაბოვსკის და შემდეგ ხუმრობით დასძენდა: „მე თვითონ მხოლოდ მამაზეც იყავის იმედი მაქვს... და შემდეგ — მახვილის! ოღონდ კიდევ მოგვიხდებოდეს მისი გაშიშვლებაო“. ამიტომ იგი მაინცდამაინც დიდ აქტიობას არ იჩენდა პოლონელ ემგრანტთა საქმიანობაში. მიცკევიჩი დარწმუნებული იყო, რომ განმათავისუფლებელი იდეების თესვა ისევ იქ იყო საჭირო, პოლონეთ-

ში, სადაც ის ერთხელ დაისეტყვა. მას არ სჯეროდა თავისუფლების იმპორტისა და მართალიც იყო.

მოქმედების ნამდვილი პროგრამა არც ახლა ჰქონდა შემუშავებული მიცკევიჩს. იგი ბრძოლისა და მოქმედების ახალი გზების ძიებაში იყო მხოლოდ. „ხვალინდელი დღის გარეშე ვცხოვრობო“, წერდა ის ერთ კერძო წერილში. ამ დროს მიცკევიჩს ათასგვარი შემოქმედებითი გეგმები უტრიალებდა თავში, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩანდა, თუ რა იქცეოდა ამ ქაოსიდან რეალობად. დრეზდენში ყოფნისას მიცკევიჩი გაშმაგებით მუშაობდა, წერდა, ხევდა და ისევ წერდა. 1832 წლის მარტს, პოეტი ატყობინებდა თავის ძმას ფრანციშეკს, აქ იმდენი დავწერე, რაც გამოქვეყნებული მაქვს, იმისი ნახევარი გამოვაო.

რას წერდა ასე გაშალვით მიცკევიჩი დრეზდენში? მართალია ამ დროს მიცკევიჩი კვლავ დაუბრუნდა „გიაურის“ თარგმნას, მაგრამ, ცხადია, ეს არ იყო მთავარი. ის ისე იყო დამუხტული ვარშავის აჯანყებისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თემით, რომ გარდუვალი იყო მისი შემოქმედებითი პოტენციის ახალი ვულკანური ამოხეთქვა. ისიც აღსანიშნავია, რომ მიცკევიჩი შენიშნავს — ნაწილი იმისა, რასაც ვწერ, პოლონეთში ვერ დაიბეჭდება და თარგმანებს გამოვაქვეყნებო. „სანამ ვწერ, თავს ბედნიერად ვგრძნობო“ — ამბობს ის. პოეტი ვოლკონსკაიასაც აცნობებს დრეზდენიდან, რომ ბევრს მუშაობს, ხოლო ი. გრაბოვსკის ეხუმრება Schreibmaschine-დ (საწერ მანქანად) გადავიქეციო.

თავის მიდრეკილებას კონსპირაციისადმი მიცკევიჩი არც ამჯერად დალატობს და საიდუმლოდ ინახავს, თუ რას წერს სახელდობრ, მაგრამ ლელეველს მაინც აცნობებს, რომ ეს ნაწარმოები ახლა, „როცა მახვილი ქარქაშშია ჩაგებული“, ომის კალმით გაგრძელება იქნებაო.

მიცკევიჩის ამ გაშმაგებული მუშაობის მთავარი ნაყოფი იყო „ძიადების“ III ნაწილი და „პან ტადეუში“.

უამრავი ხელნაწერებით დატვირთული მიცკევიჩი დრეზდენიდან პარიზს გაემგზავრა, რომელიც მაშინ სავსე იყო პოლონელი ემიგრანტებით. როგორც ჩანს, მიცკევიჩი მათ თავის ახალ ნაწარმოებებს უკითხავდა. „გოეთეს „ჰერმან და დოროთეას“

სტილზე ვწერო“, სწერდა ოდინეცს და დასძენდა — აქაურ შლიახტას მოსწონსო.

პარიზში მიცკევიჩმა თავისი ნაწარმოებების მეოთხე კრებული გამოცა, რომელშიც „ძიადების“ III ნაწილიც შევიდა. ამ ტომს, განსაკუთრებით კი „ძიადების“ III ნაწილს, გულთბილად გამოეხმაურა მხცოვანი მწერალი ი. ნემცევიჩი. მიცკევიჩმა მადლობის წერილი გაუგზავნა მას, რომელშიც წერს: „მე მომეჩვენა, რომ ყური მოვკარი შთამომავლობის განაჩენსო“. მიცკევიჩს ესიაძოვნა, რომ ნემცევიჩმა სწორად გაიგო ამ საკმაოდ რთული პოემის მთავარი აზრი და დაუდასტურა: „მე პართლაც მინდა თავი მოვუყარო მასში ჩვენი სამშობლოს დევნისა და წვალების მთელ ისტორიასო“.

XVIII

არც ისე ადვილი დასადგენია „ძიადების“ III ნაწილის სიუჟეტური და იდეური კავშირი ორ დანარჩენ, მანამდე გამოქვეყნებულ, ნაწილთან. ის გარემოება, რომ ეს ნაწილი უშუალოდ ვარშავის აჯანყების შემდეგაა დაწერილი, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიასთან აკავშირებს მას იდეურად. თუკი პირველ ორ ნაწილში ახალგაზრდა რომანტიკოსი წინა პლანზე თავის პირად განცდებს აყენებდა, ან მათი საშუალებით გადმოსცემდა საზოგადოებრივ ტრაგედიას, ახლა სამშობლოს, თავისი ხალხის აგონია ედგა პოეტს უშუალოდ თვალწინ. გუსტავის საფეხური კონრადისამ შეცვალა. ცხოვრებაში მიღებული დიდი საბრძოლო პოლიტიკური გამოცდილების შემდეგ პოეტი, ცხადია, არ ეცდებოდა დაბრუნებოდა სიჭაბუკაჲ პერიოდის რომანტიკულ სფეროს. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა პოემის წინა ნაწილებსა და მესამე ნაწილს შორის, გარდა ფორმისა და წერის მანერისა, მაინც არის მკიდრო იდეურ-სიუჟეტური კავშირი. „ძიადების“ III ნაწილში მან უფრო მეტად გამოიყენა კონკრეტულ-ისტორიული მასალა და მეტორეალისტური სიცხადე მისცა თხრობას.

ნაწარმოები გაყენთილია პოეტის თანამედროვეობის აქტუალური პოლიტიკური იდეებით. იგი არა მარტო მისი ცხოვრების და გაცდების დემონსტრაციაა, არამედ პოლონელი ხალხის ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის შთამბეჭდავი სურათიც. ამიტომ ნაწარმოების გარჩევისას საჭიროა ცხადვით ამ რომანტიკული ბურჟუაზიული მოსილ ლიტერატურულ ფორმაში კონკრეტულ-ისტორიული რეალობის გამოხატულება.

„ძიადების“ III ნაწილის იდეურ კრედოს ნათლად განმარტავს თვით ავტორი. წინასიტყვაში ის გმობს ტირანების შეუბრალებელ სიმპატრეს, რომლის მსხვერპლიც პოლონეთი გახდა. „პოლონეთის ტანჯვის ისტორია ეს არის მრავალი თაობის აურაცხელ მსხვერპლთა ისტორია“, — წერს მიცკევიჩი და გვეუბნება, რომ სცადა ეჩვენებინა ცალკეული ეპიზოდები პოლონელი ხალხის სასტიკი დევნისა იმპერატორ ალექსანდრე პირველის დროს.

ალექსანდრე პირველის პოლიტიკა ხალხთა თავისუფლების ჩახშობის პოლიტიკა იყო. მისი დამქაში სენატორი ნოვოსილცევი ცდილობდა სისხლიანი რეპრესიებით გაენადგურებინა პოლონელი ერი და საბოლოოდ გაეტეხა მისი წინააღმდეგობა. იმ დროს მთელი პოლონეთი უზარზვარ ციხედ იყო ქცეულ, ხოლო სახელმწიფო აპარატი დამთრგუნველთა იერარქიულ ხროვად, რომლის სათავეში გვირგვინოსანი ჯალათი იდგა.

სენატორმა ნოვოსილცევმა თავისი ბინძური ხელი, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდობას შეახო, „რათა, — როგორც მიცკევიჩი წერს, — ჩანასახშივე ჩაეკლა იმედი პოლონეთისა, მისი მომავალი თაობა“. ამიტომ აირჩია მან თავისი სისხლიანი თარეშის მთავარ არენად ვილნიუსი — პოლონური განათლების მნიშვნელოვანი ცენტრი და დაარბია სტუდენტთა საზოგადოებები.

მიცკევიჩის მსჯელობა წინასიტყვაობაში ფილარეტების პროცესის შესახებ იმის მაჩვენებელია, თუ რა დიდ როლს თამაშობს ეს ამბავი „ძიადების“ III ნაწილში. მას სურს სიმართლით, ობიექტურად გადმოსცეს ის, რაც სინამდვილეში მოხდა.

„ყველას, ვინც კარგად იცნობს ამბებს, რომელთა შესახებაა ლაპარაკი, — წერს მიცკევიჩი, — შეუძლია დაადასტუროს, რომ ისტორიული გარემოცვა და მოქმედ პირთა ხასიათები ჩემს პოემაში მოხაზულია კეთილსინდისიერად, ყოველგვარი გადაჭარბებისა და შეფერადების გარეშე“. მიცკევიჩი ამბობს, რომ მას არც სჭირდება გადაჭარბება და შეფერადება, რადგან „არც მტრებისადმი სიძულვილის გაღვივება სურს და არც ევროპის სიბრაღულის გამოწვევა“. მიცკევიჩის აზრით, წარსულის სიმკაცრე როდი აღემატება იმ წვალეზას, რომელსაც ახლა განიცდის პოლონელი ხალხი. და რომელსაც ასე გულგრილად უყურებს ევროპა. „ამ პოემის ავტორს ერთი მიზანი ჰქონდა, — ასკვნის მიცკევიჩი, — რომ ხალხის მეხსიერებაში დარჩენილიყო ლიტვის რამდენიმე ათეული წლის მართალი ისტორია“.

აი მიზანი პოემისა, რომელიც ავტორმა მიუძღვნა „დაუვიწყარ იან სობოლევსკის, კიპრიან დაშკევიჩის, ფელიქს კულაკოვსკის, ამხანაგებს სწავლაში, პატიმრობაში, გადასახლებაში, წამებულებს საბალხო საქმისათვის, რომელნიც მოკლა სამშობლოს სევდამ არხანგელსკში, მოსკოვში, პეტერბურგში“.

დრამატიული პოემის პროლოგში ნაჩვენებია ციხედ ქცეული ბაზილიკური მონასტერი, სადაც ფილომატები იყვნენ დამწყვდეულნი. ტუსაღს, რომელშიც ადვილად იცნობა თვითონ მიცკევიჩი, ანგელოსები დასტრიალებენ და აცნობებენ, რომ მას გაათავისუფლებენ. ტუსაღი კი მიუგებს: „თავისუფლება! ვინ თქვა? სამეფო კვერთხის ქვეშ თავისუფლება შეუძლებელია. ვერაგს შეუძლია სხეული გაათავისუფლოს ბორკილები-საგან, მაგრამ სულს შეუბოროკავს და მგოსანს აიძულებს გადასახლებაში იხეტილოს უცხო ხალხთა შორის, სადაც მისი ენა გაუგებარია, და მოკვდეს სიცალიერეში“. იგი ნახშირით წერს კედელზე ლათინურად: „აქ გარდაიცვალა გუსტავი 1823 წელს 1 ნოემბერს, — აქ დაიბადა კონრადი 1823 წლის 1 ნოემბერს“.

ჩვენ უკვე ვიცნობთ გუსტავს „ძიადების“ II და IV ნაწილიდან. ახლა მას მიცკევიჩის ახალი, უფრო მომწიფებული და დავაყვაცებული მსოფლმხედველობის შესაფერისი გმირი — კონრადი ცვლის. გათავდა გუსტავის რომანტიკული წუხილის პირველი პერიოდი, დილის ნისლივით გაიფანტა სიყვარულის

კომპარული მირაჟი. ის სოციალურ-პოლიტიკური იდეებზე, რომლებიც „ძიადების“ წინ ორ ნაწილს ქვეტექსტად მიუყვებოდნენ, ახლა III ნაწილში ნაწარმოების ლეიტმოტივად იქცნენ.

უკვე დასაწყისშივე წარმოგვიდგენს ავტორი კონკრეტულ-ასტორიულ-ბიოგრაფიულ სიტუაციას, ისე გადმოცემულს, როგორც იგი სინამდვილეში იყო, „შეუფერავად და შეულამაზებლად“.

ნაწარმოებში აღწერილია ტუსალების საუბარი ციხეში. ახალ ტუსალებს მოაქვთ ახალ-ახალი ამბები, თუ როგორ გადასახლეს ბორკილებდადებული გიმნაზისტები, როგორ გოდებდა ხალხი. გადასახლებულთა შორის 10 წლის ბავშვიც ერია, ის ტიროდა, ფეხი გადაეტყავებინა ბორკილებს და არ შეეძლო სიარული. ჟანდარმი მივიდა მასთან, გასინჯა ბორკილები და დაამშვიდა — „10 გირვანქაა, როგორც წესია“. შემდეგ ვილაყამ დაიძახა, „მარადიული დიდება პოლონეთსო“, და წაიყვანეს ყველანი.

მიცკევიჩი აქაც განასხვავებს მეფის მთავრობას და მის მოხელეებს უბრალო რუსი ხალხისაგან. ერთ-ერთ გადასახლებულს 200 ჯოხი დაჰკრეს და მან სიარული ვერ შეძლო, რუსმა ჯარისკაცმა კი ერთი ხელით შეიმაგრა ის, ხოლო მეორე ხელით ცრემლი მოაწმინდა.

ტუსალები წარმოსთქვამენ ცარიზმის საწინააღმდეგო სიტყვებს. ტომამ ზანს სურს თვითონ დაიბრალოს მთელი დანაშაული, რათა სხვები გადაარჩინოს. პოემაში ტუსალებიდან ზოგს მათი ნამდვილი სახელი და გვარი აქვს, ზოგს კი შერქმეული. ადამ მიცკევიჩი — კონრადის სახითაა გამოყვანილი.

კაპრალი საშუალებას აძლევს მათ შეხედნენ ერთმანეთს. ახალგაზრდები ყველაფრის მიუხედავად მაინც მხიარულობენ, ხუმრობენ და წყევლა-კრულვას უთვლიან ჯალათ მეფეს.

კონრადი სდუმს, შემდეგ სიმლერას წამოიწყებს და ეს სიმლერა მოწოდებაა „დიდი შურისძიებისაკენ“. „მამ ღმერთთან ერთად ან ღმერთის წინააღმდეგ — წინ“, ამთავრებს ის სიმლერას, „არაფერი მჯერაო — არც სამოთხისა და არც ჯოჯოხეთისა“...

„ძიადების“ III ნაწილის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია დიდი შემოქმედებითი ძალით დაწერილი იმპროვიზირებული მონოლოგი კონრადისა.

ამ მონოლოგს კონრადი თავისი შემოქმედებითი ძალისა და სიმღერების სილიადის შეგნების გამოხატვით იწყებს. კონრადი გრძნობს, რომ მისი ფიქრები და აზრები ვერ ეტყვიან პოეტურ სიტყვებში, რომ მასში უფრო მეტია მოცემული, ვიდრე ამის სიტყვებით გამოხატვა შეიძლება. ის ფიქრობს, რომ სიტყვა ნთქავს აზრს, ხოლო აზრის სილალე იკარგება სიტყვათა მორევში, როგორც ნიადაგი მიწისქვეშა მდინარებაში. ამის გამო პოეტის გულისხმა ნაკლებ ესმით ადამიანებს. ისინი ვერ წვდებიან იმას, რაც შემოქმედის სულის სიღრმეში მოძრაობს და თვალს ვერ უსწორებენ პოეტური გენიის გასხვივონებას.

მარტოდმარტო ხარ... ქვეყნისათვის რაა მგოსნები?
ქვეყანა რაა? ხალხს არ ესმის მგოსნის ჰანგები.
კაცი არ არის სიმღერების აზრის გამგები.
ვაი მას, ქნარი ვინც აელერა მათთვის ოცნებით.
არ ეთანხმება სიტყვას ხმა და ხმას კიდევ აზრი,
სიტყვა აზრს ღუპავს, იკარგება მახვილი ბასრი.
ვით მიწას არყევს წყლის ნაკადი ქვეშგამდინარი,
აზრი ცოცხალი სიტყვას არყევს ფარული ძალით.
მაგრამ მხილველი ნიადაგის რყევის ვინ არი,
რომ გაარჩიოს, საით მირბის მიწის ქვეშ წყალი.
სული მღელვარებს, სისხლი მიღულს ძარღვში მჩქეფარი,
სისხლისფერს ვინ ცნობს, ღაწვს რომ ვარდის ფერი ეღება?
ასევე რჩება ჩემს ლექსთაგან გაუგებარი,
რამდენ ფარულ აზრს იტევს ჩემი შემოქმედება.
ჩემო სიმღერავ, ვარსკვლავი ხარ, ზეცის გვარტომი,
კაცთა უძლური თვალისათვის მიეწოდომელი,
თუმც კოგრიტიც აქვთ, რომ გიზილონ შორი ცთომილი,
მაგრამ მათ მზერას საზღვარს უღებს ირმის ნახტომი.
მზეს ხედავს თვალი, შეჰყურებს დღისით,
მაგრამ შეცნობა არ ძალუძს მისი¹.

მაგრამ მიცკევიჩი ლექსებს მაინც ვარსკვლავებს უწოდებს, რომელთაც მისი სულის სიმალლიდან უნდა გაუნათონ გზა. ის მიმართავს ბუნებას, ღმერთს — მე თქვენნი დიდების ღირსი

¹ თარგმანი გრ. აბაშიძისა.

პოეტი ვარო, ისეთი პოეტი, რომელიც თავისი სულის სიმღერით ვარსკვლავთა მოქცევას იწვევს; პოეტი ბგერათა ჯადოქარია, იგი თვით ქმნის ამ ბგერებს და იცნობს კიდევ ყოველ მათგანს. ის ანაწევრებს მათ, აერთებს ერთმანეთთან, ქმნის აკორდებს, წნაგის ცისარტყელებად და ხელის ერთი მოსმით ბადებს ელვას. მისი სიმღერა ჰგავს გრგვინვას ოკეანისა, რომელსაც ბანს აძლევს დროთა დინება. მისი შთაგონება ღირსია შემოქმედის. მისი სიმღერა სამყაროს შექმნაა, მებრძოლის გმირობა, ან უკვდავება მომღერლისა. ის, პოეტი, ქმნის უკვდავებას და ღმერთს ეკითხება, შენ რა შექმენიო ამაზე უკეთესი.

მისმინე, ღმერთო, ყური მიგლე ბუნებაე — დედაე,
მე, მომღერალი, თქვენს ღირსეულ სიმღერას ვკვდაე.

მე ოსტატი ვარ!

მე ოსტატი ვარ, შორს ვიწვდი ხელსა!
მე ზეცას ვფარავ გაწვდილი ხელით.
მე საკრავს ვგაფარ... ზოგჯერ მიმქრალი
ჩემი ხმა უცებ სმენას აშფოთებს,
სძრავს ჩემი სული ცაში მნათობებს
და ღაჟებს აესებს ხმათა გრიგალი.
მე შექმენ, ვიცნობ თვითეულ ბგერას,
ვაერთებ, ვთიშავ, ერთს ვაქცევ ასად,
ცისარტყელის და აკორდის მსგავსად,
გავიქნევ ხელს და ცას ელვა სერავს. —

მე ავმღერდები და ფრთას გაიშლის
ზღვის მქუხარება, ქროლვა ქარიშხლის.
სულის სიღრმისკენ ისწრაფვის ჩანგი,
დროის ხმას მისდევს ყოველი ბგერით,
და გულიც მასთან ხალისით მღერის.
მზიურ ნაკადად იღვრება ჰანგი
ამავსებელი ხედვის და სმენის.
იგი ქარსა ჰგავს, ამხვრევს არტახებს,
ძლიერ ტალღაზე ტალღას აჯახებს,
რომ შეარყიოს სამყაროს ბჟენი.
ვპლერი ღირსეულ სიმღერას, მჯერა,
ქვეყნის შექმნას ჰგავს ამგვარი მღერა,
ეს სიმღერაა გმირობის მსგავსი,
უკვდავებაა სიმღერის ფასი.
უკვდავებას ვქმნი, დიდებად ვნთოს.
შენ სხვას უკეთეს რას ქმნიდი, ღმერთო?

კონრადი ღმერთს კი არ შეთხოვს, ღმერთისავენ კი არ ილტვის, არამედ ღმერთზე მალლა აყენებს პოეტური შთაგონების ძალას. იგი თავის გარეშე კი არ ეძებს აზრებს, არამედ თავისშვივ ბადებს მათ და ახვევს სიტყვის სამოსში. სიტყვები კი მღეროიან, ბრწყინავენ, ტრიალებენ და ზეცის ლაქვარდში იძირებიან. პოეტი შორიდანვე გრძნობს მათ მოახლოებას, იწოვს ბგერათა სილამაზეს, თითებით ეალერსება, როგორც ცოცხალ არსებას და მშობელ დედასავით მიმართავს — მიყვარხართო, შვილნო ჩემის შთაგონებისა.

მე ჩემში ეპოვე აზრები. ყველას
სიტყვის სამოსი ჩავაცვა ახლად,
ქკრიან, ზღერაან, ბრწყინავენ მალლა
და ინთქმებიან ლაქვარდში ნელა.
მე მათი ეშხით შორით ვინთები,
მიზიდავს მათი მშვენების სიღრმე,
ცაშივე ვიქერ გაფრენილ ტკბილხმებს,
და თითქო ხელში მყვანდნენ ჩიტები,
მათ სრულქმნილ ფორმას კრძალვით, დიდებით
ვეალერსები ნაზი თითებით.

კონრადის აზრები — ვარსკვლავებია, გრძნობები — გრივალეები. ის დგას მათ შორის, როგორც მამა ოჯახის წევრებში, და იმით ამაყოფს, რუმ ისინი მას ეკუთვნიან. ის საასპარეზოდ იწვევს დაფნის გვირგვინებით შემკულ პოეტებსა და სიბრძნის ქურუმებს. მიმართავს მათ: სიცოცხლეშივე რომ შეიმოსოთ კიდეც შარავანდით დიდებისა, მსოფლიოს ყველა კუთხიდან შეაგროვოთ საუკუნეთა ქება-დიდება, აღტაცება და ვაშას ძახილი, იმ სიხარულს და ძალას მაინც ვერ განიცდით ამ ღამით, მე რომ შევიგრძენი, როცა მარტოობის მოყვარული ვმღეროდი ჩემზე და მხოლოდ ჩემთვის.

ვდგავარ თქვენს შორის, მახვევახართ ფრთაგამლილები,
მე მოყვარული ჰამასავით გესათუთებით
და სიამაყე მავსებს, რომ ხართ ჩემი შვილები.
მე გამოწვევას სახეში გახლით
ხალხის ხმისაგან დადაფნულ მგოსანთ,
ბრძენთ, ტანსაცმელი მკაცრი რომ გმოსავთ,

და ყოველივეს დაჰყურებთ მაღლით:
აქვენ რომ გეცხოვრათ თქვენს შვილთა შორის,
ამაღლებულებს დიდების ცაში,
ფრთებს რომ გასხაჰდეთ ბნელი ბრბოს ტაში,
ვით განაჩენი მკაცრი და სწორი
და ბრწყინვალეა დიდი სახელის
თავს გედგათ, როგორც წმიდანს ნათელი,
და ყველას ერთი ჰქონდეს სათქმელი
თქვენი დიდების გამომსახველი,
მაინც სიხარულს ვერ იგრძნობთ იმდენს,
რამდენიც მე ამ ერთ ღამეს ვიგრძენ,
რაც სიხარული ამ ჩემს ლექსს ერთვის,
როდესაც ვუმღერ ჩემს მარტოობას
და როცა მარტო, ვიმღერი ჩემთვის.

კონრადმა იცის, რომ ის ძლიერია, ბრძენია, მამაცი და რწმენით აღსავსე. დღეს არისო ჩემი ზენიტი, — ამბობს ის. დღეს შევიტყობო, ყველაზე მაღლა ვდგავარ, თუ მხოლოდ უსაზღვროდ ამპარტავენი ვარ. ახალ სამყაროთა იქით მიეჭანება მისი შემოქმედებითი ფანტაზია, წვდება ქვეყნის კიდეს, სადაც ზღვარია დადებული ბუნებასა და ღვთაებას შორის. კონრადი გრძნობს, რომ მას ძლიერი ფრთები აქვს აღმაფრენისთვის, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე გაშლილი ფრთები, ერთი მოქნევით რომ მოიცავს წარსულისა და მომავლის ყველა სამყაროს. „გრძნობების სხივით“ მიეშურება ის ზეცისაკენ და ამყად ამბობს:

ბრძენს და გამზედავს, არა თავნებას,
რწმენით ძლიერს მსურს, ვიცოდე ნათლად,
მწვერვალზე რომ ვარ, დიდი ვარ მართლა,
აუ თვალს მიბრძავეებს ამპარტავენება.
ჩემი კენესა ჰგავს სამსონის ლალადს,
ბრმა რომ არყევდა ზანზარით ბოძებს,
მე მოვიშორებ სხეულს, ვით ძონძებს,
რომ სულმა ფრთები გაშალოს ლალად.
ჰიფერინავ სწრაფად, როგორც ისარი,
ურიცხვ სამყაროს მიღმა ვიჩქარი,
იქ არის ღვთის და ბუნების ზღვარი.
ფრთები მაქვს, აი, ეს ფრთები ჩქარის

კიდითკიდემდის გაშლილი ფრთებით
ქვეყნის წარსულს და მომავალს ვწვდები.
და სამყაროთა რომ განველო მჭკრივი,
ბნელ გზას მინათებს გრძნობების სხივი.

მაგრამ „ცადაფრენილი“, „ღმერთის სწორი“ კონრადი —
მიცკვეიჩი მაინც არ არის რეალურ სინამდვილეს, მის დედა-
სამშობლოს და ხალხს მოწყვეტილი. იგი ამალდა ღმერთამდე,
მაგრამ ფესვები მაინც ხალხში აქვს მაგრად გადგმული, მისი
გული და სხეული მაინც მიწაზეა დარჩენილი. კონრადი მიმარ-
თავს ღმერთს:

ღმერთო, შენ თურმე ყველას ხედავ ცით კურთხეულა,
მეც დამინახე, მეც ცაში ვარ, ვით შენი სწორი,
ქარიშხლის ფრთებით გადმოვლახე სამყარო შორი,
მაგრამ მიწაზე დამრჩა, რა ვქნა, გულიც, სხეულიც.
იქ, სამშობლოში დამრჩა გული შესაბრალისი,
სადაც პირველად განვიცადე ტრფობაც, ხალისიც.

საყურადღებოა კონრადის აზრი იმის შესახებ, რომ მისი
სიყვარული არა ჰგავს ყვავილს ჩაფრენილი ფუტკრის სიყვა-
რულს. მას ერთი ვინმე კი არ უყვარს; იგი ხელს ხვევს წარ-
სულის, აწმყოსა და მომავლის ყველა ხალხს. არა ერთ საუკუ-
ნესა და ერთ ოჯახს, არამედ მთელ მსოფლიოს იტევს მისი
გული, როგორც ზღვა იტევს მდინარეთა ურიცხვ შენაკადებს.

მე ერთი ვინმე არ მიყვარს კენტად,
როგორც ერთ ყვავილს დაჰფრენს ფუტკარი.
მე ყველა ხალხებს თაყვანს ვსცემ ერთად
და ყველა მიყვარს, ვით საკუთარი.
ვით წყლები იყრის თავს ზღვათა შინა,
ჩემს გულში მივეც ყველა ხალხს ბინა,
ვინც ცხოვრობს დღეს და ვინც იყო წინათ.
მე ხალხი მიყვარს, დიდების ღირსი,
ვით მამას, სატრფოს, ქმარს და მეგობარს,
გულიც მერჩის და ძალაც მეყოფა,
რომ ვასახელო საქმენი მისი.

ეს თვით მიცკვეიჩის, ტანჯული პოლონელი ხალხის ინტე-
რესების სადარაჯოზე მდგომი პოეტის აღსარებაა, მისი სოცია-

ლური და იდეური კრედო. მისთვის უცხოა განკერძოება, კარ-
ჩაკეტილობა, ძხოლოდ საკუთარი მე-ს ამაღლება. მართალია ის
ერთი იბრძვის, მაგრამ იბრძვის ხალხისათვის. მისი მიზანია
ადამიანთა ბედნიერება და არა პირადი კეთილდღეობა. ის ფუ-
ტკარი არ არის, ყვავილს რომ ჩააფრინდება და წვენსა სწოვს.
პირიქით ის მზად არის თვით განიცადოს ცხოვრების ყოველ-
გვარი სიმწარე, რომ მძიმე ხვედრი შეუმსუბუქოს ტანჯულ
ხალხს. მაგრამ კონრადმა — მიცკევიჩმა იცის, რომ, როგორც
ერთი, ის უძლურია სიმართლისათვის ბრძოლაში. მას სურს
ჰქონდეს ძალა-უფლება, ზეგავლენა მასებზე, შეეძლოს ხალ-
ხის ამოძრავება. ამიტომ მიდის ის ღმერთთან, რათა ზეგავლე-
ნის საშუალება მოიპოვოს. თვითონ მას, ძლიერს, მაგრამ ეულს,
არაფერი გააჩნია, გარდა საკუთარი აზრებისა და მისწრაფები-
სა, რომელთაც ის შესანიშნავ მამოძრავებელ ძალად თვლის,
მაგრამ არა მასების, არამედ საკუთარი თავისა მხოლოდ. მარ-
თალია, მას აქვს ძალა, რომელიც მისგანვე იბადება, გრძნობა
რომელიც მასშივე იმალება, მაგრამ ეს ძალა და ეს გრძნობა
მხოლოდ „ვულკანივით მოგუგუნე სიმღერებია“, რაც მას არც
ღმერთისაგან მიუღია და არც შემეცნების გზით მოუპოვებია,
არც წიგნებიდან აპოუკითხავს და არც თქმულებებიდან გაუ-
გონია. მან თვით შექმნა სიმღერის ეს ძალა, როგორც ღმერთი
ქმნის ძალას თავისშივე და თვითონვე ბადებს თავის თავს. იგი
ეუბნება ღმერთს:

მე შენთან მოველ, გზის საძებრად იმ აზრს გავყევი,
შენ რომ ქუხილით გამოგტაცა ციურმა მესმა,
იგი წინ მიძღვის, იმეორებს გუგუნით შენს ხმას —
ზღვათა გამკვეთი და ზეცისკენ გზათა გამკვლევით.
მე მაქვს ძალღონე, იგი ძალა თვით იბადება,
ფარული არი გრძნობა ჩემი, იგი არ ჩნდება.
ის სიმღერების ვულკანია, უწყვეტი დენა.
მე სამოთხეში არ ამიდგამს მომღერლის ენა.
ცნობადის ხისგან როდი ვიცი ეს ენა რთული,
ის არც წიგნებში, არც ზღაპრებში ყოფილა თქმული.
მე ქადაგათგან იგი როდი გადმომცემია,
თვით შევექმენ ძალა და ეს ძალა მარტო ჩემია.
ვით შენ თვითონ ხარ შენი თავის ღმერთი მშობელი,
ისე ეს ძალა ჩემგან არის განუყოფელი. *

იგი ჩემშია, ჩემთან არი, მედამ თან მახლავს,
და მე არ ძალმიძს, რაჲ ეს ძალა წაჲკერტვას ახლა.

ამით კონრადი უარყოფს ღმერთს, როგორც ყველაფრის საწყისს და აცხადებს, რომ მისი შემოქმედებითი ძალა ღმერთისაგან კი არ არის ბოძებული, არამედ მის მიერაა მასშივე შექმნილი. კონრადს კარგად ესმის „ძალა ამ ძალისა“. იგი ამბობს:

...ძალა შემწევს გასაკვირველი —
ერთი შეხედვით შემძლია ცაში ფრინველი
მსწრაფლ შევაჩერო, ფრთებით რომ ჰკვეთს მაღლა ცის კალთას.
აი, გაფრენა უნდათ გუნდებს, გაშლილ ფრთებიანთ,
მაგრამ მე არ მსურს და ცას ღამით გავხედავ ცერად,
ვარსკვლავთა ჯარით მოჰვდილ ცას მივაპყრობ მზერას
და მნათობები ორბიტებში გაქვავდებიან.

კონრადის აზრით, მართალია, ღმერთს დიდი ძალა აქვს, მაგრამ ის ყოვლისშემძლე არ არის. ის მრავლის საწყისია, მაგრამ არა ყველაფრის. ღმერთის გარდა სხვა საწყისიც არსებობს, რომელიც თვითონ ქმნის საკუთარ ძალას. ეს საწყისი პოეტია, შემოქმედი, ღვთის ტოლი, მაგრამ არა ყოვლისშემძლე, რადგან მისი ძალა მოწყვეტილია ხალხის ძალას. ის ერთია და როგორც ერთი — არაფერი. მიცვევიჩმა იცის, რაც არ უნდა ძლიერი იყოს პიროვნება, ვერაფერს გააკეთებს, თუ არ დაეუფლება მასებს, არ წარმართავს მათ და ერთის ძალას მილიონების ძალად არ აქცევს. იგი უკმაყოფილო იყო პოლონელთა ძალების დაქსაქსულობით ვარშავის აჯანყების დროს. კიცხავდა იმ შუღლსა და მტრობას, რამაც დაარღვია მისი ხალხის ერთიანობა. ამიტომაც მისი შემოქმედებითი ორეული კონრადი ცდილობს მოიპოვოს ძალა-უფლება ხალხზე, რათა გააერთიანოს ის, სწორი გზა უჩვენოს მოქმედებისა და დაუმორჩილოს თავის ნებისყოფას.

მოშდერლის ძალით, გრძნეული ძალით,
ხალხის გულების აღგზნება მინდა,
რომ დამმორჩილდნენ და ცეცხლის ალი,
ვარსკვლავებივით მოედოთ წმიდა.

მაგრამ:

არა სიმღერით — დიდი დრო უნდა,
არც სასწაულით — ჩათვლიან ყალბად,
არც სიბრძნით — სიბრძნე იცვლება მუდამ,
არც ხმლით — ხმალს ხმალი დაამსხვრევს ალბათ.
გრძნობით მსურს ხალხის დაპყრობა მტკიცედ,
რომ მათთვის ურყევ კანონად ვიქცე.
რომ ენთო მათთვის, როგორც ნათელი,
განზრახვას ჩემსას ხედებოდნენ უმალ,
უმალ გაიგონ ჩემი სათქმელი
და განიცდიდნენ სიხარულს ჩემად.
თუ წინაღობიდგენ — ეწამონ მარად,
ზნელში დაინთქან, უფსკრულის კარად.

სწორედ აქ ვლინდება მიცკევიჩის რომანტიკული გმირის მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობა. ის ფიქრობს, თავისი გრძნობის სიდიადით ხალხის სულს თუ დაეუფლება, მის გულისთქმას თუ ჩაწვდება, კიდევ დაიმორჩილებს მას და კანონადაც იქცევა მისთვის. კონრადი ამბობს, რომ ის „შევქმნის თავის ხალხს“, თუკი ღმერთივით დაეუფლება ადამიანთა სულებს. ამიტომ მიმართავს ის ღმერთს თხოვნით გაუზიაროს ძალაუფლება ადამიანებზე. ეს ერთადერთი თხოვნაა კონრადისა „მის სწორ“ ღმერთისადმი. ის როდია ძალაუფლების ეგოისტური წყურვილით გახელებული. ხალხის სიყვარული ამოძრავებს მას და არა პატივმოყვარეობა. ხალხია მისი წუხილი და საზრუნავი, მისი ფიქრი და ჩანგის ჟღერა; იგი ამბობს:

ღე ხალხი იქცეს ჩემს ფიქრებად, სიტყვად და აზრად,
სიმღერა ხალხსვე დაეფუძნოს საძირკვლის მსგავსად.
შენ ასე უფლობ! არვინ არის რადგან შენს მალა,
მე ღლემდის ცოცხლად შევინახე აზრი ყოველი,
მე ჩემს სამშობლოს, ვით სიმღერას შევექმნი ხელახლა,
როცა შენსავით მეც გაეხდები სულთამპყრობელი.
შენ მეუფება რომ გამიყო ხალხთა სულისა,
მე არნახული სასწაულით გაგაოცებდი:
ლამაზ სიმღერას გიმღერებდი სიხარულისა!

არც ეს უთქვამს ვინმეს მიცკევიჩამდე. არავინ წარმდგარა ასე იმაყად ღმერთის წინაშე, რათა ხალხისათვის მოეპოვებინა

ბედნიერება და სიხარული. მკვლევარნი ამბობენ, მიცკევიჩს განზრახული ჰქონდა „პრომეთეოსი“ დაეწერა, მაგრამ ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანაო. განა კონრადი პრომეთეოსი არ არის? მიცკევიჩი ხომ ყოველთვის თავისებურად იყენებს მითოსს. მითიური მის შემოქმედებაში, როგორც აღვნიშნავდით, ისტორიულ-კონკრეტულ სახედ ვლინდება, მისი კონრადი პრომეთეოსის კონკრეტულ-ისტორიული სახესხვაობაა, დეკაბრისტი რილეევისა და თვით მიცკევიჩის სახეობრივი კომპლექსი.

მომეცი ეს ძალა, — კვლავ მიმართავს კონრადი ღმერთს. — უგუნურთა ნებით შეიქნა საძულველი სამყარო და მე არ ძალმიძს ვებრძოლო მას მხოლოდ სიტყვით, რა რიგ მრისხანე ჰანგზე არ მოვმართო ჩემი ჩანგიო.

კონრადს სურს ისეთი ძალა მოიპოვოს, რომ მის სიმებზე აელერდეს გრძნობათა მთელი ცეცხლი, შთაგონების მთელი სიმშაგე. მაშინ ის თუნდაც ვარსკვლავებს ჩააქრობს ცაში და ახლებს აანთებს, რადგან უკვდავია ის, ვინც ამ ქვეყანაზე სხვა უკვდავებასაც შეხვედრია, — „თავის თანასწორთ, მაგრამ მასზე მაღლა მდგომთ — არასოდეს“. კონრადმა იცის, რომ ღმერთი პირველია ზეცაში, მაგრამ მან ისიც იცის, რომ თვითონაც შესძლო ღმერთამდე ამაღლება. ახლა ის ამაყად მიმართავს ზეცის უხილავ მბრძანებელს.

შენ პირველი ხარ, ღმერთო, ცაში, მაგრამ მე მოველ
აქ, რადგან მიწამ მომაკუთვნა მე პირმშობა,
მე შენ ვერ გხედავ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩემს ირგვლივ ყოველს
შენი უკვდავი სულის შუქი არა შორდება.
წარმოსდექ! მგოსანს ყური უგლე რას გუუბნება:
ან მომეც შენი მეუფება, ან მითხარ მთხოვნელს,
რა გზით ვიშოვო შენებრ ხალხზე ეს მეუფება.
წინასწარპეტყველთ ახსენებლენენ პევრს ძეკლ ხანაში,
დღეს მათი ტოლი მარტო მე ვარ ჩემს ქვეყანაში.
მსურს, ღმერთო, შენებრ ძალა მქონდეს, ძალა ნათელი.
მსურს ვიყო ხალხთა მეუფე და ხალხთა მმართველი.

აქ თავდება მონოდრამის პირველი ნაწილი.

კონრადი ჯერ არ არის ღვთის წინააღმდეგ ამხედრებული. ის ამაღლდა ღმერთამდე და ისევე შესთხოვა ღმერთს ძალაუფ-

ლება, როგორც ფაუსტი თხოვდა მეფისტოფელს ყოვლისშემძლებას ან მანტრედი—ლუციფერს. კონრადი მივიდა ღმერთთან არა როგორც მონა-მორჩილი, არამედ როგორც თანასწორი და როცა დაინახა, რომ ღმერთი არ გამოეხმაურა მის თხოვნას, პრომეთეოსივით არ შეუშინდა მასთან ბრძოლას. ახლა ის მიხვდა, თუ როგორ გახდა ღმერთი მბრძანებელი, რომ ის ტყუილად იწოდება სიყვარულად და რომ ის სიბრძნეა მხოლოდ. კონრადის აზრით არა გულს, არამედ აზრს შეუძლია ღმერთის ცნობა. ღმერთმა აზრი გააბატონა ადამიანზე, სულს კი მხოლოდ ტანჯვა არგუნა წილად. ადამიანს ღლეებით დაუთვალა სიცოცხლე და ცეცხლი დაუნთო გულში. ამით კონრადს იმის თქმა უნდა, რომ ღმერთს, როგორც ჩანს, არ სურს ბედნიერება მოუტანოს ადამიანებს. იგი არ იყენებს თავის ძალას იმისათვის, რომ ხალხს სიხარული მიანიჭოს და უკვდავი გახადოს. ადამიანის სიცოცხლე, არსობა, წამია წელთა წყვდიადში, ხოლო კონრადი მოწოდებულია ხალხს ბედნიერება და უკვდავება მოუტანოს, ან როგორც თვითონ ამბობს „იპლეროს ლამაზი სიმღერა სიხარულისა“. მან იცის, რომ ეს იმედი შორეულია, მაგრამ ისიც სწამს, რომ უკვე ენთება იმ დიადი მომავლის პირველი ნაპერწკლები. კონრადი ამბობს:

მაგრამ ენთება ნაპერწკალი სულ წუთით მხოლოდ,
ზე ავარდება და ისევ ძირს ეშვება ბოლოს.
უფრო თამამად! გახანგრძლივდეს წუთით ყოველი
უფრო გაბრწყინდეს ნაპერწკალი შექვის მთოველი.
ასე სჯობია...

კონრადს სჯერა, რომ ამ „წამიერი სინათლიდან“ მომავალში დიდი ძალა შეიქმნება და მეხივით დაიქუხებს. ეს რწმენა ურყევეია მასში, თუმცა მან ისიც იცის, რომ ბრძოლა ადვილი არ იქნება. იოლი როდია მარადისობის წყვდიადთან შერკინება. ის ნაპერწკალი უცებ გაილეებს შემდეგ ისევ უკუნეთში ჩაიძირება. ჯერ აამალლებს ადამიანს, შემდეგ კი უფსკრულში გადასჩეხს ისევ. ბედნიერება წამიერია. ის უნდა გაეახანგრძლივოთ, ამბობს კონრადი, და გაბედულები საკენ მოუწოდებს წყვდიადის წინააღმდეგ მებრძოლ ნაპერწკლებს — ადამიანებს.

მას კიდევ აქვს იმედი, რომ ღმერთი დაეხმარება ამ ბრძოლაში და ამიტომ მიმართავს, მიიღეო ჩემი გამოწვევა, მაგრამ ღმერთი სდუმს. კონრადი უკან არ იხევს, ის დარწმუნებულია თავის ძალაში, მან იცის, რომ მარტო არ არის „ზეცის ძმურ თაღებ-ქვეშ“ და თხოვნიდან მუქარაზე გადადის. „მე დედამიწაზე ძმური კავშირით ვარ შეერთებული დიდ ხალხთანო“, ამბობს ის და ხმას იმაღლებს: მე ჯარიც მყავს, რომ ომი ვაწარმოო და თუ დავიწყე ღვთის გმობა, სატანაზე უარესი მოწინააღმდეგე ვიქნები შენი. ის გონებაზე მოქმედებდა. მე კი გულზე ვიმოქმედე, მე ხომ მიყვარდა, ვიტანჯებოდი და ისიც გავიგე, რა არის შიში და ტკივილი. აი კონრადის სიტყვები:

მინდა გაგანდო მეგობრულად გელის ნადები.
მაგრამ შენ სდუმხარ! გამოწვევა მიიღე, კმარა.
შენც ხომ ებრძოდი ბილწ სატანას ერადროს ჩემს დარად.
მე მარტო არ ვარ ცისქვეშეთში, ხალხის ერთგული
დიად ხალხთან ვარ მტკიცე ქმობით შეერთებული.
მზად მყავს საომრად უთვალავი, ძლიერი ჯარი;
და თუ ღვთის გმობას დავაღებო, მტკიცე მაქვს მხარი,
თვით სატანაზე საშინელი რომ დაგცე ზარი.

კონრადის ღვთისმბრძოლობა იზრდება. იგი ახლა იმისათვის სდებს ბრალს ღმერთს, რომ მან გულში მიაყენა ჭრილობა; წაართვა მის მიერვე მოძებული ბედნიერება. კონრადი ჩვენს თვალწინ აღიმართება როგორც პრომეთეოსი, მაგრამ არა მითიური და სიმბოლური, არამედ კონკრეტული და რეალური; თავისი ქვეყნისა და ხალხის ინტერესების პატრიოტი დამცველი. „სულით მამულთან ვარ შეერთებული“, ამბობს კონრადი; „მხოლოდ ჩემს ქვეყანასთან ერთად შეიძლება ჩემი არსებობა“, და ტიტანური ძალით შესძახებს:

თვითონ სამშობლომ ჩამიდგა სული,
სამშობლოს ბედის გამომსახველად,
თუ ცოცხალი ვარ, ვცოცხლობ მამულით, —
ვარ მილიონთა ტანჯვით ტანჯული
და მილიონი მკვიან სახელად.
ვით შვილი უცქერს შემოილი თვალით,
ეშაფოტზე, რომ აპყავთ მშობელი,

მეც ასე ვუცქერ ჩემს ხალხს, რომელიც
მიყვარს ტყვილით განუზომელით.

თვით მიცკევიჩი უყურებდა ასე შეძრწუნებული თავის სამ-
შობლოს ეშაფოტზე აყვანას. ის ლაპარაკობდა ტანჯულ მილი-
ონთა სახელით, საკუთარ გულში ატარებდა თავისი ერის ტანჯ-
ვას და ამიტომაცაა, რომ ასე ძლიერად და გულწრფელად
ჟღერენ კონრადის სიტყვები. ყველაზე მაღალი და სათაყვა-
ნო მისთვის ხალხია, ღმერთი კი... ღმერთი უსამართლო ყოფი-
ლა თურმე. იგი მხიარული და უდარდელი ზის თავის სამსჯავ-
როში და სიკვდილს უსჯის ადამიანებს, მის ამ თვითნებობას
კი უგუნურნი სამართალს ეძახიან.

მოკვდავთ სჯი მსჯავრით,
არა გაქვს ჯავრი
და სამართალი შენში არ არის.

ამბობს კონრადი.

კონრადმა მთელი თავისი სული გადაშალა ღმერთის წინა-
შე. კიდევ ერთხელ სთხოვა მისცეს მას საიმისო ძალაუფლება,
რომ ბედნიერი გახადოს ადამიანები. გავიყოთ ძალაუფლება, მე
ღირსი ვარო ამისი, ეუბნება ის უხილავ ღმერთს, მაგრამ ღმერ-
თი კვლავ სდუმს. კონრადს მოთმინება ელევა. საშინელი ბოღმა
გუბდება მის გულში და ბოლოს ასეთ მუქარას წარმოსთქვამს
უძლიერესი ღვთისმბრძოლთა შორის: ცეცხლის ის კერა თუ
იცი, გულში რომ ვატარებ — იგი გრძნობაა. მის მხურვალებას
მე გავამრავლებ ტყვილებზე, რკინის ნების სალტეებში მო-
ვაქცევ მას და ყუმბარად ჩავდებ ზარბაზნის ლულაში... ამ
ღროს ორი ხმა ჩაესმის კონრადს; ერთი ამბობს: „ააფეთქე! და-
ლეწე!“ მეორე: „შეიბრალე! შეიყვარე!“

სიძულვილით გაბოროტებული კონრადი კი ტიტანური ძა-
ლით აიმართება ზეცის თაღებში და მრისხანედ შესძახებს და-
დუმებულ ღმერთს:

„მიპასუხე, თორემ ვესერი შენს არსებას. ისე შივარყვ
შენს სამეფოს, რომ ძირს დავამხობ შენს საკურთხეველს. ჩემი
ხმა გაფრინდება არსებობის კილით კიდემდე, ეს ხმა გრიგალი-

ვით გადაუვლის საუკუნეებს და მე შეეძახებ, რომ შენ სამყაროს მამა კი არ ხარ, არამედ...“

კონრადი უგონოდ ეცემა, ისე რომ ამ უკანასკნელ გადამწყვეტ სიტყვას ვერ ამბობს, თუმცა ჯოჯოხეთის სულმა კი ჩასძახა ყურში, რაც უნდა ეთქვა — ყველაზე საშინელი და საძულველი სიტყვა: „მეფე“.

შეიძლება ითქვას, რომ ამ სახის მონოლოგთა შორის კონრადის მონოლოგი ერთ-ერთ უძლიერესად უნდა ჩითვალოს. ჩვენ აქ არ გავყვებით შედარებების გზას, მაგრამ მაინც გვინდა გავიხსენოთ მარლოს ფაუსტი, რომელიც ასე კადნიერად მიიღწვოდა ძალაუფლებისაკენ, რათა მსოფლიოს მბრძანებელი გამხდარიყო, ოკეანეები გადაელახა თავისი ძლევაშობილი არმიით, ხიდები გაედო ჰაერში, ჯაჭვივით დაეგრიხა აფრიკის სანაპიროთა მთები და ყველა მეფე და იმპერატორი დაემორჩილებინა თავისი ნებისადმი. გავიხსენებთ გოეთეს ფაუსტსაც, რომელმაც ყველა მეცნიერება შეისწავლა, მაგრამ ჭეშმარიტებას ვერ მიაგნო და ჯოჯოხეთის სულს მოუხშო დასახმარებლად, ბაირონის მანფრედსაც, ალპებში რომ ეძებდა თავდავიწყებას და ასტარტას აჩრდილს მოუხმობდა, ან კაენსა და ლუციფერს, ლეთის შემრისხველ სიტყვებს რომ ამბობდნენ. ყველა ამ გმირის ცნაბილი მონოლოგები სიტყვის გენიალური ოსტატების კალამს ეკუთვნის და თავისი სიძლიერით, დღემდე აოცებს კაცობრიობას, მაგრამ არცერთ მათგანში ასე პირდაპირ არ გამოხატულა გმირისა და ხალხის ერთიანობა, ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლის აუცილებლობა, საშუალოდ დიდი სიყვარული და არცერთი მათგანი არ ქცეულა ყუმბარად ზარბაზნის ლულაში, რომელიც ღმერთის არსობისადმი დაპიზნებული. მხოლოდ კონრადია ფაუსტებს, მანფრედებსა და კაენებს შორის, თავის საკუთარ ძალას და ხალხთა მილიონებს რომ მოუხმობს და არა ზებუნებრივ ძალთა დახმარებას. აბა სხვა რომელმა ტიტანმა თქვა — მილიონებია ჩემი სახელიო, რომელმა განსაზღვრა რომანტიკოსთა შორის თავისი დანიშნულება — იმღეროს სიმღერა სიზარულისა. ვისი სიტყვები გამოხატავს უფრო ძლიერად ეშაფოტზე აყვანილი ხალხის ტრაგედიას?

ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ კონრადის მონოლოგი

აუცილებლად მალლა დგას ფაუსტური გმირების მონოლოგებზე, არა, ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნა გესურს, რომ კონრადი უფრო ისტორიულია, კონკრეტული, რეალისტური და უფრო გაბედულიც სოციალური სიმართლისა და ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

კონრადი არ მოუხმობს სატანას, მას არ სჭირდება მეფისტოფელი ან ლუციფერი. ის თავის თავში ხედავს ძალას და თვით ქმნის უკვდავებას. მართალია, მონოლოგის დასაწყისში კონრადი მიმართავს ზებუნებრივ ძალას — ღმერთს დახმარებისათვის, მაგრამ არა როგორც მისი მორჩილი, არამედ როგორც თანატოლი და ამ დახმარებას რომ არ მიიღებს, უარყოფს ღმერთს და საკუთარი ძალით განაგრძობს ბრძოლას. კონრადი ხალხს ხედავს, მილიონებს, რომელთაც გზის ჩვენება უნდათ; იგი თვითონაც მილიონების ხმაა, მათი ტანჯვის გამომხატველი, მათი ბედნიერებისა და სიხარულის წინასწარმეტყველი. კონრადი არც კენივით უარყოფს, არც ფაუსტივით ეძებს და არც ოდტერდინგენივით მიჰყვება ცისფერ მირაჟებს. მან იცის და იბრძვის. მისი მიზანი ხალხია და არა სულელების უხილავი სამყარო. ის ხედავს მომავალს, ნამდვილს, რეალურს, საუკუნეთა წყვილიადიდან გამოსულს და თავისუფლების მზით გაშუქებულს.

მაგრამ ყოველივე ამას იქნებ დიდი დრო უნდოდეს? კონრადს ეს არ აშინებს. დეე იყოს უფსკრული, სამარის წყვილია, უდაბნოები, იყოს საუკუნეები, თუნდაც მილიონი საუკუნეც, ოღონდ ოდესმე ის დღეც დადგეს. მაგრამ ძალა თუ არ ეყო? შეუძლებელია. კონრადი უკვდავებაა და ოდესმე მაინც მოესწრება ამას. ის კი, ვინც სუსტია, ნებისყოფამოდუნებული, ამ ბრძოლისათვის ვერ გამოდგება და თვითმკვლევლობაზე იფიქრებს. ასეთი სახეც ჰყავს მიცკევიჩის „ძიადების“ III ნაწილში გამოყვანილი. ისიც რეალური სინამდვილიდან აღებული სახეა.

1824 წელს 18 წლის ჰაბუკს, გიმნაზისტ მოლესონს ნოვოსილცევის დამქაშებმა დიდ მთავარ კონსტანტინეზე თავდასხმის მოწყობა დააბრალეს და ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. შემდეგ განაჩენი შეცვალეს და სამუდამო საკატორღო სამუშაოებზე

გააზღვენეს. „ძიადებში“ ის მიცკევიჩის როლისონის გვართ ჰყავს გამოყვანილი. კონრადი მიმართავს მას შორიდან: მე გხედავ შენ, როლისონ, ჩემო უბედურო მეგობარო, ნაცემი, სისხლში მოსვრილი, ოთხ ყრუ ქვის კედელს შორის გამომწყვდეული ამოდ ეძებ თოქს. რა? სიკვდილი? გინდა კედელს შეახეთქო თავი? „იხსენით“ ვიძახი, მაგრამ ღმერთი არ ისმენს; მე კი, მე რა ვარ, ვინ ვარ! იქნებ შევძლო შეხედვით მოგკლა, იქნებ თვალებით გაგიღო არარაობის კარები. მაშ, გააღე ფანჯარა, გადაფრინდი, ქვებს დაენარცხე, გაქრი სივრცეში, სიღრმეში, წყვდიაღში, განა ის უფსკრული არ სჯობია ამქვეყნიურ ჯოჯოხეთს? იქ არ არიან მამები, შვილები, ხალხები და ტირანები.

კონრადი უფრო აქტიურია და მეტბრძოლი, ვიდრე როლისონი. მან ღმერთი განარისხა. ახლა მისი სულისთვის წარმოებს ბრძოლა. ჯოჯოხეთის ძალები უცდიან, როდის წაიყვანონ თავიანთი მსხვერპლი, ქსენძი კი ლოცულობს კონრადის სულის სახსენებლად, ანგელოსებიც შესთხოვენ ღმერთს მოუტევოს „ცოდვილ კონრადს“ დანაშაული.

ავტორი გვერდს უვლის შედეგების ნათელ გამოხატვას. კონრადმა არ თქვა უკანასკნელი სიტყვა, არ შეურაცხყო ღმერთის სახელი. ქსენძის მიმართვაზე ილოცოს, რადგან სატანამ მას გონება აურიო, კონრადი იმით „უპასუხებს“, რომ სძინავს.

ამრიგად არც ღმერთია საბოლოოდ უარყოფილი და არც კონრადი ინანიებს თავის „შეცოდებას“.

პოემის მეოთხე სცენაში მიცკევიჩს გამოჰყავს „თავისი ჩიჩრონე“ — ჰენრიეტა-ევა ანკვიჩი და მარსელინა ლემპიცკა. ევა ლოცულობს პოლონეთისათვის და მარსელინას უამბობს, რომ ლიტვიდან ტუსადი გამოქცეულა, რომელიც საშინელ ამბებს ჰყვება დესპოტი მეფის სისასტიკის შესახებ. ევას წაუკითხავს დევნილი პოეტის მშვენიერი ლექსები და ღმერთს შესთხოვს, რომ ის არ დაიღუპოს. ამ ლოცვაში ჩაეძინება კიდევ ევას და ეზმანება, რომ ბალში ვარდ-ყვავილებს ეალერსება. მისი შესხმა ვარდებისა იმ სიყვარულის ბუნდოვანი გამოხატულებაა, რომლითაც ჰენრიეტა-ევა მიცკევიჩისადმი იყო ერთ დროს გამსჭვალული.

შემდეგ სცენაში ქსენძი პეტრე შეღალადებს ღმერთს და იწყება ახალი ხილვა... იქით, ჩრდილოეთისაკენ, მარადიული თოვლისა და ყინულის სამეფოში, საკატორლო სამუშაოებზე, მალაროებში ერეკებიან პოლონეთის შვილებს; ქსენძი აღუწერს უზენაესს პოლონელი ხალხის საშინელ მდგომარეობას და შესთხოვს დახმარებას. ამ სცენას ოდნავ გადაჰკრავს მესიანიზმით მიცქევიჩის მომავალი გატაცების იერი.

სენატორის სახით პოეტი ნოვოსილცევის ცოცხალ პორტრეტს ხატავს. მეფის მლიქვნელ, ძალაუფლებით განებივრებულ მოხელეს, „ულმობელ იროდს, სისხლიანი კვერთხი რომ აღუმართავს პოლონეთზე“, ჯოჯოხეთის სულელები დატრიალებენ და მოუთმენლად ელიან, როდის გააქანებენ ქვესკნელისაკენ.

სალონი ვარშავაში თითქოს პირდაპირ ნატურიდანაა გადმოხატული. მოკლედ და სხარტად ახასიათებს მიცქევიჩი ვარშავის ფუქსავატურ არისტოკრატიულ საზოგადოებას, საკარო კლასიციზმის წარმომადგენელ ლიტერატორებს. ადოლფის გრძელი მონოლოგით გადმოგვცემს ის აჯანყების მონაწილის ციხოვსკის ცხოვრებას, რომელიც დაატუსაღეს, აწამეს, მაინც ვერ გატეხეს და რომლის სახელის ხსენებაც ღვთის რისხვად ატყდება არისტოკრატებს. აქვე არიან აჯანყების მონაწილენი და თავიანთი ირონიული შენიშვნებით ამათრახებენ „ბრწყინვალე საზოგადოებას“. ბოლოს ვისოცკი დაასკვნის: ჩვენი ხალხი ლავაა, ზემოთ მაგარი, სმელი და ცივი, შიგნით კი საუკუნეების მანძილზე არ ქრება ცეცხლი. მაშ ჯანდაბას გარსი — ჩავიდეთ სიღრმეში! — ამბობს მიცქევიჩი.

მერვე სცენაშიც რეალისტური სიცხადითაა დახატული სენატორ ნოვოსილცევისა და მის მოხელეთა პორტრეტები. მიცქევიჩი წარმოგვიდგენს საშინელ სახეს გულცივი, ცბიერი, დესპოტი და გარყვნილი სახელმწიფო მოხელისა, რომელსაც არაფრად უღირს ადამიანის სიცოცხლე, სიამოვნებას ჰგვრის ბოროტების ჩადენა, სხვისი გაუბედურება, უდანაშაულო ადამიანების ტანჯვა და წამება.

ჯვარცმული პოლონეთის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენს ჩვენთვის უკვე ნაცნობი როლისონის ბრმა დედა. დიდი ტრადიკული დაძაბულობით არის დაწერილი მისი სენა-

ტორთან შეხვედრის სცენა. შთამბეჭდავი სიძლიერით ხატავს ავტორი ნოვოსილცევის დამქაშებს: კამერაჰერ დევ ბაიკოვს, ვილნოს უნივერსიტეტის რექტორს (1826 — 30 წლებში) — ვაცლავ პელიკანს, დოქტორ ავგუსტ ბეკიუს და ჯალათ პროკურორს იერონიმ ბოტვინკოს. ზოგიერთი მათგანი IX სცენაში გამოყავს ავტორს, სადაც გვიჩვენებს, თუ როგორ იტანჯებიან მათი სულები ჯოჯოხეთში ამქვეყნად ჩადენილ ბოროტებათა გამო.

აღსანიშნავია ამ ნაწარმოებში დეკაბრისტ ა. ბესტუჟევის გამოყვანა. ის წინააღმდეგია ინდივიდუალური ტერორის. უაზრობად თვლის მას და აკავებს პატრიოტ იუსტინ პოლის, რომელსაც სურს შური იძიოს და მოკლას ჯალათი ნოვოსილცევი. მეფეს თავის საძაღლეში ბეგრი ასეთი ძალი ჰყავს, ერთის მოკვლით რა გამოვაო, ამბობს ბესტუჟევი.

ეს სცენა მიუთითებს ფილარეტების კავშირზე დეკაბრისტულ მოძრაობასთან და მიცქევიჩის ჩვენთვის უკვე ცნობილ დამოკიდებულებაზე დეკაბრისტებთან.

უკანასკნელ სცენაში ისევ ძიადებია აღწერილი, აქ ჩნდება ჩვენთვის უკვე პოემის მეორე ნაწილიდან ნაცნობი მწყემსი ქალი შავებში — მარია ვერეშჩაკის სიყვარულის ხსოვნის სიმბოლო. კონრადი სტოვებს სამშობლოს და უცხოეთში მიდის.

„ძიადების“ III ნაწილმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა პოლონელ პატრიოტებზე. ბ. ზალესკი, რომელიც ჯერ კიდევ გამოქვეყნებამდე გაეცნო „ძიადებს“ III ნაწილს, აღტაცებული წერდა, რომ ეს იქნება გრანდიოზული პოემა, დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ მსგავსი, რომელიც მოიცავს პოეზიისა და თილოსოფიის ყველა სფეროს; „მუხლმოყრილი ვკითხულობდი, — განაგრძობს ზალესკი, — დაბეჭდილ და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ნაწილებს პოემისას. ჭეშმარიტად გენიალური შექსპირული სცენებია“.

უდიდესი შეფასება მისცა ამ ნაწარმოებს პოლონური ლიტერატურის პატრიარქმა, 76 წლის ი. ნემცევიჩმა, რომელსაც აგრძობა „ძიადები“ ლონდონში გაუგზავნა. „ეს შესანიშნავი ნაწარმოებია, — წერს ნემცევიჩი, — აღმაღლებული, შთამბეჭდავი, გონებამახვილური, ისტორიული, ერთი სიტყვით, ყოველ-

გვარ ხოტბაზე მალა მდგარი. საჭიროა ის ფართოდ გავრცელდეს, რომ გადასცეს შთამომავლობას ნამდვილი, თუმცა მძიმე სურათი ჩვენი ტანჯვისა და ბარბაროსების სიმკაცრისა... მე ვერ ვხედავ ვერავის გარდა მიცკევიჩისა, რომელსაც შეეძლება დაწეროს ეპიური პოემა ჩვენი აჯანყების შესახებ დანტეს ყაიდაზე. მე მოგიწოდებთ თქვენ ამისაკენ პატივცემულო, საყვარელო თანამემამულე. თქვენი გენია განახორციელებს ამას თქვენს საღიღებლად და გააცისკროვნებს ჩვენს უბედურ სამშობლოს. დაე გფარვიდეთ თქვენ ყოვლისშემძლე, როგორც სამკაულს პოლონეთის მუზებისას...”

ნემცევიჩმა პოეტს მადლობის ნიშნად საჩუქრად გაუგზავნა ბეჭედი გოეთეს გამოსახულებით. მანვე ინგლისურად თარგმნა „ძიადების“ III ნაწილი.

ყველაზე ორიგინალური „შეფასება“ მიცკევიჩის „ძიადებს“ მაინც ვარშავის პოლიციამ მისცა, რომელმაც 50 ფლორინი დააწესა ჯილდოდ ამ პოემის ყოველი ეგზემპლარის აღმოჩენაში. ამ გზით უნდოდა ნოვოსილცევს ალექსანდრე „ძიადების“ გავრცელება, მაგრამ მიუხედავად ამისა მიცკევიჩის ეს გენიალური ნაწარმოები მაინც ფართოდ ვრცელდებოდა პოლონელ ბატრიოტთა შორის.

„ძიადებისათვის“ მიცკევიჩს ერთი გარკვეული ფორმა რომ არ ჰქონდა მოძებნილი, იქიდანაც ჩანს, რომ მან III ნაწილს დაურთო „ნაწყვეტი“, რომელიც ფაქტიურად 7 დამოუკიდებელი ლექსისაგან შედგება: „გზა რუსეთისაკენ“, „დედაქალაქის განაპირანი“, „პეტერბურგი“, „პეტრე დიდის ძეგლი“, „ჯარის დათვალიერება“, „ოლეშკევიჩი“, „მეგობრებს რუსეთში“. ეს ლექსები მხოლოდ იმით უკავშირდებიან „ძიადების“ III ნაწილს, რომ აგრძელებენ კონრად — მიცკევიჩის ცხოვრების გზის აღწერას. როგორც ვიცით, III ნაწილი იმით დამთავრდა, რომ კონრადი უცხოეთში. გაემგზავრა, მიცკევიჩიც ხომ ჯერ რუსეთში გადაასახლეს და შემდეგ ევროპაში წავიდა. ეს ლექსები ე. წ. „პეტერბურგის ციკლს“ შეადგენენ და გამოხატავენ იმპერიის დედაქალაქში პოეტის ცხოვრებისდროინდელ განწყობილებებს. უკანასკნელ, მე-7 ლექსში „რუს მეგობრებს“

მიცკევიჩი უკვე ევროპიდან მიმართავს თავის იმ მეგობრებს, რომელნიც რუსეთში დარჩნენ.

პირველ ლექსში პოეტი აღწერს რუსეთის პეიზაჟს სუსხიან ზამთარში. რუსეთი მიცკევიჩისათვის გადასახლების მომენტში იყო „უცხო, ყრუ, შიმველი ქვეყანა — თეთრი, როგორც ქაღალდის ფურცელი“, რომლის ველებზე მრავალ უცხო ტომს უთარეშია.

გერცენი აღტაცებული იყო მიცკევიჩის მიერ დახატული რუსული ზამთრის პეიზაჟებით, ის წერდა თავის დღიურში: „...წავიკითხე მიცკევიჩი. ბევრი რამ შესანიშნავი და მაღალმხატვრულია პოეტის ამ მოთქმაში. ღმერთო ჩემო, რა კარგადაა აქვს მას მოცემული სურათი რუსეთის გზისა ზამთარში! უსასრულო სივრცე, თეთრი და ცივი — ქარს რომ არ უჭსნის თავის მკერდს, ქარს, რომელიც პოლესიედან შავ ზღვამდე გვის ამ ველებს“.

პეტერბურგის ციკლის ლექსები უმთავრესად აღწერილობითი ხასიათისაა. პოეტი გვიამბობს, როგორ მიდიოდა ჩრდილოეთის პალმირაში, როგორ გაიარა მისი გარეუბნები, შემდეგ აღწერს ქალაქში მიღებულ პირველ შთაბეჭდილებებს, აღლუმს ცარიცინის ველზე, პეტრე პირველის ძეგლს, წყალდიდობას. მიცკევიჩმა მშვენიერი ლექსებით აღწერაო ეს წყალდიდობა — წერდა პუშკინი.

საყოველთაოდ ცნობილია მიცკევიჩის სტრიქონები, რომლებითაც იწყება ლექსი „პეტრე დიდის ძეგლი“: „წვიმდა, ერთ მოსასხამში გახვეულნი იდგნენ ორნი ლამის ბინდში. ერთი დევნილი მეფის თვითნებობით, შვილი დასავლეთისა, გადმოხვეწილი სხვა ქვეყნიდან; მეორე რუსი მომღერალი თავისუფლებისა, ჩრდილოეთს რომ აღვიძებს ცეცხლოვანი სტრიქონებით. ისინი თუმცა რამდენიმე დღის წინ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ უკვე ძმობით საუბრობდნენ. მათი სულები აღმალდნენ ყოველგვარი მიწიერის ზემოთ, ისე ვით ორი სალი კლდე, გათიშული დაჩქერის მიერ, მეგობრულად რომ იხრებიან ერთმანეთისაკენ და იქ, ზევით, სადაც არ ისმის ტალღათ ხმაური, უერთდებიან ერთიმეორეს“ .

ესენი იყვნენ მიცკევიჩი და პუშკინი — ხელიხელგადახვეუ-

ლი გენიალური შვილები რუსი და პოლონელი ხალხისა, მარად ელვარე სიმბოლო ამ ხალხთა ურღვევი მეგობრობისა.

ცარიზმის წინააღმდეგ შურისძიების წადილით ანთებული მიცკევიჩი მეგობრობის ხელს უწყვილდა რუსი ხალხის საუკეთესო შვილს, რომელიც მასზე ნაკლებ როდი იყო მეფის დესპოტური რეჟიმით აღშფოთებული. როგორც ორი სალი კლდე, იდგნენ ისინი სენატის მოედანზე ერთმანეთის გვერდით და გაჰყურებდნენ შორეულ სივრცეს.

რუსი ხალხისადმი დიდი სიყვარულითა და პატივისცემითაა გამსჭვალული მიცკევიჩის ლექსი „მეგობრებს რუსეთში“, სამშობლოდან დევნილი პოეტი გულთბილად იგონებს რუს მეგობრებს, რომელთაც თავიანთი სტუმართმოყვარეობით და ალერსით შეუმსუბუქეს მას სევდა სამშობლოსადმი. მიცკევიჩი წერს:

კიდევ გახსოვართ? როცა მტანჯველ რკინის ხუნღებში
პოლონელ ძმების თვალწინ მიდგას დრტივეა, გოდება,
მაშინ, უსაზღვრო მწუხარების მძიმე წუთებში,
როგორც ნუგეში, თქვენი სახე მოვაგონდება.
სადა ხართ ახლა? მე აქედან ვუგზავნი გმოზას
მათ, ვინც რჩეულ შვილთ შეუმოკლა დღენი წაქეზით:
მუდამ საყვარელს ჩემს რილევეს, ძვირფას მეგობარს,
კისერზე თოკი წაუჭირეს მეფის ბრძანებით.
ბესტუჟევეს, ვინაც რეაქციის უღმობელ დროში,
დევნილ პოეტის შეიწყნარა დარდი, იარა,
ცავი ციპბირი მიუსაჯეს, და მალაროში
მან პოლონეთის მწარე ხვედრი გაიზიარა!¹

უცხოეთში გადახვეწილი მიცკევიჩი თავისუფლებას უსურვებდა რუს ხალხს და მის საუკეთესო შვილებს.

თავისუფლების წმიდა გრძნობამ, გულში აღძრულმა,
დე გაანათოს თქვენი ქვეყნის ცა დათალხული
და როგორც ზამთრის დასასრულზე წეროთა გუნდმა
დაე გახაროს თქვენ ნანატრი დღე გაზაფხულისა!

მიცკევიჩის ხმამ მიაღწია მის რუს მეგობრებამდე. პასუხად გაისმა რუსული პოეზიის გიგანტის, პუშკინის ხმაც:

¹ თარგმანი ვ. გორგაძისა.

Он между нами жил,
 Среди племени ему чужого, злобы
 В душе своей не питал, и мы
 Его любили, мирный, благосклонный,
 Он посещал беседы наши, с ним
 Делились мы и чистыми мечтами,
 И песнями (он вдохновлен был свыше
 И свысока взирал на жизнь), нередко
 Он говорил о временах грядущих,
 Когда народы, распри позабыв,
 В великую семью соединятся.
 Мы жадно слушали поэта. Он
 Ушел на запад — и благословением
 Его мы проводили...

შემდეგ პუშკინი გულისტკივლით აღნიშნავს მიცკევიჩის მიერ უცხოეთში გამოთქმულ ზოგიერთ მცთარ შეხედულებას და ღმერთს შეთხოვს გაათავისუფლოს მისი მეგობარი ამ დაბნეულობისაგან.

ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ზოგიერთთა მტკიცება, თითქოს უკანასკნელ წლებში პუშკინისა და მიცკევიჩის მეგობრულ ურთიერთობაში რაღაც ბზარი გაჩნდა. ა. ო. სმირნოვას მოგონებიდან ვიცით, რომ გოგოლი, როდესაც ბადენიდან კარლსრუეში ჩავიდა, მიცკევიჩს შეხვდა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სმირნოვას უამბო, მიცკევიჩი ძლიერ მოხუცებულა და „იგონებს თავის ყოფნას პეტერბურგში მადლობის გრძნობით პუშკინისადმი, ვიაზემსკისადმი და მთელი ლიტერატურული მშობისადმი“¹.

პუშკინისა და მიცკევიჩის მეგობრობა ურღვევი დარჩა ბოლომდე. ამბობდნენ, როცა მიცკევიჩმა გაიგო პუშკინის ვერაგულად მოკვლის ამბავი, დანტესი დუელში გამოიწვიაო. პარიზის გაზეთ „გლობუსში“ მან გულთბილი ნეკროლოგი მოათავსა გენიალური მეგობრის ხსოვნის აღსანიშნავად.

„ძიადების“ II, IV და III ნაწილების გარდა შემონახულია

¹ Марк Живов. „Поэзия Мцкевича в переводах и откликах писателей“. сб. А. Мцкевич. Избранное, 1946, стр. 31.

აგრეთვე I ნაწილის ფრაგმენტებიც. ეს ნაწილი რომ მთლიანად დაეწერა მიცკევიჩის, შეიძლება მეტი მთლიანობა დატყობოდა ამ პოემის სიუჟეტურ აღნაგობას. მიცკევიჩი ამ ნაწილს „სანახაობას“ უწოდებს, შეიძლება იმ მიზნით, რომ „ძიადების“, როგორც დრამატული პოემის სასცენო დანიშნულებაზე მიუთითოს, თუმცა — „ძიადების“ სცენიური განსახიერება ისევე რთულია, როგორც გოეთეს „ფაუსტის“ ან ბაირონის „მანფრედისა“.

„ძიადების“ პირველი ნაწილი იწყება ქალიშვილის მონოლოგით, რომელიც თავის ოჯახში სარკის წინ, სანთლის სინათლეზე კითხულობს კრიუდენერის რომანს „ვალერია“. სანთელი ქრება, ქალიშვილი ვერ ასწრებს რომანის ბოლომდე ჩაკითხვას და ახლა ფიქრობს გუსტავისა და ვალერიას¹ სიყვარულის შესახებ. ის ისედაც ხვდება რით უნდა დასრულდეს ეს რომანი: შეყვარებულთა სიკვდილით, ასეთია თურმე აუცილებელი ბედი ტრფიალებისა. თვითონ ისიც ფიქრობს სხეულისაგან სულის გათავისუფლებასა და აჩრდილთა შორის ცხოვრებაზე ელისეის მინდვრებში.

სცენაზე მისანი გამოდის და ისევე, როგორც II ნაწილში, იწყება ძიადების რიტუალი. მისანი, ახალგაზრდების გუნდი, ბავშვები და მოხუცი რალაც გაურკვეველსა და უცნაურზე მეტყველებენ. ახალგაზრდებს მხიარულება უნდათ, ბავშვებს ღამისა და ტყის ეშინიათ, მოხუცს — სიკვდილზე ფიქრის, მისანს იმისა, რომ ქსენქმა არ გაუგოს ძიადების წარმართულ წესჩვეულებას რომ ასრულებს. მათ სიტყვებში არ არის ისეთი ღრმა აზრები, როგორც პოემის სხვა ნაწილებშია. ბოლოს გუსტავიც ჩნდება, რომელიც მონადირესავით დასდევს ტყეში მუზას და გაურბის მოწყენილობას.

გუსტავიც წიგნზე ლაპარაკობს. იგონებს: კვითხულობ ღამით და სარკეში მოჩიქვებას ვხედავ, თათქოს ვილაცის გულისცემა ჩემს გულისცემას უერთდება. ავტორს, როგორც ჩანს, განუზრახავს კრიუდენერის გუსტავისა და ვალერიას სიყვარუ-

¹ კრიუდენერის რომანის გმირები არიან.

ლის აკომპანიმენტით დაიწყო პოემაში თავისი გუსტავისა და მარილას ტრფიალების ისტორია.

შემდეგ მოქმედებაში მონადირე ჩაერევა, მაგრამ ხელნაწერი წყდება: ვინ იცის, იქნებ ეს ნაწილი რამდენჯერმე ჰქონდა მიცკევიჩის დაწერილი, მაგრამ არ მოეწონა და დახია. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ „ძიადების“ I ნაწილის ფრაგმენტები არ დგას სხვა ნაწილების მხატვრულ დონეზე.

მიცკევიჩის შემოქმედებითა ძალამ ვულკანივით ამოხეთქა „ძიადებში“, მაგრამ პოეტური გენიის ამ გავარვარებულ ლავას ფერფლიც ბლომად ამოჰყვა. წლების მანძილზე წმენდდა იგი თავის პოემას ამ ფერფლისაგან, ალაგებდა პოემის ცალკეულ მარმარილოს ზოდებს, მაგრამ მხატვრული სიტყვის გენიალურმა ოსტატმა ბოლომდე ვერ შესძლო ერთი, მთლიანი არქიტექტურული ნაგებობის შექმნა. ის თითქოს ერთგვარი შიშითაც შეჰყურებდა „ძიადების“ ცალკეული თავების უზარმაზარ ლოდებს. დიდი ენერგიით და გატაცებით იწყებდა მათ გამოქანდაკებას, ზოგიერთი მათგანი მხატვრულ სრულყოფამდე მიიყვანა, მაგრამ ნაწარმოები მთლიანად დიდებული ტაძრის ისეთ ნანგრევებად დარჩა, რომლის ყოველი ქვა ძვირფასია, მაგრამ მთლიანობასა და პარმონიას მოკლებული.

მიუხედავად იმისა, რომ მიცკევიჩმა, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, პოემის რომანტიკული ფანტასტიკური ფორმა აირჩია არსებითად იგი მაინც ერთგული დარჩა რეალური სინამდვილისა. ცხოვრების გამოცდილების საფუძველზე ქმნიდა ის აზრებს და მათთვის თავისუფლად ირჩევდა გამოსახვის ფორმას. ბელინსკის შეხედულებით ასეთ შემთხვევაში მწერლის შემოქმედება უსაზღვროდ ფართოა. მის წინ გაშლილია მთელი ნამდვილი და წარმოსახული სამყარო, წარსულიცა და აწმყოც, ნამდვილიცა და გამოგონილიც, იგავ-არაკები, თქმულებები, ცრურწმენები, დედამიწა, ცა და ჯოჯოხეთი. ასეთ პოეზიას ბელინსკი „იდეალურ პოეზიას“ უწოდებდა და ნიმუშად გოეთეს „ფაუსტს“, ბაირონის „მანფრედს“ და მიცკევიჩის „ძიადებს“ ასახელებდა. ბელინსკი არ უარყოფდა „იდეალურ პოეზიაში“ სინამდვილის რეალისტური ასახვის შესაძლებლობას, პირიქით, ის წერდა, რომ ბაირონის, პუშკინისა და მიცკევიჩის პოემებში

რადამიანთა ცხოვრება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ქეშმარიტად არის ნაჩვენები“¹.

ის გარემოება; რომ მიცკევიჩი პოემაში ქარბად აქსოვს თავისი პირადი ცხოვრების სურათებს, სრულიადაც არ მიუთითებს ნაწარმოების ინდივიდუალისტურ ხასიათზე. მისი ცხოვრება იმ ეპოქის ისტორიული სიტუაციის შედეგი იყო და მას შეეძლო პირადულთა ადვილად გაეხსნა საზოგადოებრივი და საყოველთაო. მიცკევიჩის პოეზიის ეს დამახასიათებელი ნიშანი ა. ნ. ტოლსტოიმაც შენიშნა. წერილში ზდენეხოვსკისადმი იგი წერდა მიცკევიჩის „ძიადებისა“ და კრასინსკის „ირიდიონას“ შესახებ, რომ, როცა მათი ავტორები ამ პოემებს ქმნიდნენ, „ისინი არ ფიქრობდნენ თავიანთი ინდივიდუალობის გამოვლენაზე, არამედ ავლენდნენ იმ აღმალლებულს, რაც მათში იყო, და ავლენდნენ სწორად, ქეშმარიტად“.

1831 წლის ნოემბრიდან პარიზში პოლონელმა ემიგრანტებმა ნაციონალური კომიტეტი დააარსეს, რომელსაც თავდაპირველად ვარშავის ნაციონალური მთავრობის უკანასკნელი თავმჯდომარე ბონავენტურა ნიმოჟოვსკი ხელმძღვანელობდა. ერთი წლის შემდეგ დაარსდა ახალი ორგანიზაცია: „პოლონეთის ნაციონალური კომიტეტი“, რომელსაც სათავეში ითავიძინა ლელეველი ჩაუდგა. აქვე განაგრძობდა პოლიტიკურ მოღვაწეობას ა. ჩარტორისკიც. მიცკევიჩი, როგორც უკვე აღინიშნა, თავდაპირველად დიდ იმედებს არ ამყარებდა პოლონელ ემიგრანტების მუშაობაზე. 1832 წლის ნოემბრიდან ის მონაწილეობას იღებდა პოლონურ გაზეთ „პოლონელ პილიგრიმში“. რამდენსამე ხანს ის ამ გაზეთის რედაქტორიც იყო. აქ მან ძალიან ბევრი სტატია მოათავსა, რომლებშიც გარკვევითაა გამოხატული მისი პოლიტიკური პლატფორმა.

პარიზის ემიგრაციაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა იყო. უთანხმოება ეხებოდა როგორც ვარშავის აჯანყების დამარცხების მიზეზების გარკვევას, ისე საკითხს, თუ როგორი წყობილება უნდა დამყარებულიყო პოლონეთში განთავისუფლების შემდეგ. ემიგრაციაში, რომელიც ძირითადად შლიახტისაგან

¹ В. Белинский. Соч. в 3-х томах, т. I, стр. 109—110.

შედგებოდა, ორი პოლიტიკური ჯგუფი ჩამოყალიბდა. ერთი ე. წ. არისტოკრატიული — ადამ ჩარტორიისკის მეთაურობით და მეორე, დემოკრატიული, ი. ლელეველის ხელმძღვანელობით.

ჩარტორიისკი მოითხოვდა ძველი ფეოდალური არისტოკრატიული პოლონეთის აღდგენას 3 მაისის კონსტიტუციის საფუძველზე. ეს ჯგუფი ძველებურად დიდმპყრობელურ, ფეოდალურ-ექსპანსიურ პოლიტიკას იცავდა და მოითხოვდა დნესტრისა და დვინის დასავლეთით მდებარე უკრაინის, ბელორუსიისა და ლიტვის ტერიტორიების გაერთიანებას პოლონეთის სახელმწიფოში. ამ მიზნის განხორციელებას ისინი უმთავრესად უცხო სახელმწიფოების, კერძოდ, ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით ფიქრობდნენ. ამის შემდეგ ჩარტორიისკის მომხრენი ემიგრაციის მოქმედების მთავარ მიზნად ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების ნდობის მოპოვებას სახავენ და მათ რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებას ცდილობდნენ. ცხადია, ა. ჩარტორიისკის არისტოკრატიული პარტია მზარს არ დაუქერდა ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას და რევოლუციონურ მიმდინარეობებს, რომ ამით არ გაენაწყენებინა თავიანთი ინგლისელი და ფრანგი „პროტექტორები“.

დემოკრატიული მიმართულების ძალები ჯერ კიდევ დაქსაქსული იყო. ისინი არ იყვნენ გაერთიანებულნი ერთ ცენტრალურ ორგანიზაციაში. ამ მიმართულების იდეოლოგები ვარშავის აჯანყების დამარცხებაში ბრალს პირდაპირ შლიახტას სდებდნენ და ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ისინი საერთო-სახალხო აჯანყებას მოითხოვდნენ და, ხედავდნენ რა კაპიტალისტური წყობის მანკიერ მხარეებს, საზოგადოების გარდაქმნის სოციალურ-უტოპისტურ იდეებს ქადაგებდნენ. დემოკრატები, წინააღმდეგ არისტოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებისა, თავიანთ მოკავშირეებად რაცხდნენ არა დასავლეთ ევროპის მთავრობებს. არამედ რევოლუციურ მასებს და ყოველმხრივ მზარს უქერდნენ მათ მოქმედებას. დემოკრატები მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ მოძრაობებში, რომელთაც ადგილი ჰქონდა საფრანგეთსა, გერმანიასა და იტალიაში.

მიცვევიჩი ნელ-ნელა ჩაება ამ ბრძოლაში და თავი გამოიჩინა, როგორც ეხაძახვილმა და პრინციპულმა პუბლიცისტმა. ამ გაცხოველებულ პოლიტიკური და პუბლიცისტური მუშაობის დროსაც მიცვევიჩი განაგრძობდა „პან ტადეუშის“ წერას. მართალია, ის ემიგრაციის დემოკრატიულ ფრთას ეკუთვნიადა, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა ემიგრაციის დაქსაქსული ჯგუფის გაერთიანებას. სტატიაში „შუღლი ემიგრაციაში“ მიცვევიჩი გამოსთქვამს აზრს, რომ რა სერიოზულიც არ უნდა იყოს განხეთქილება ემიგრაციაში, ერთი რამ ყველას აერთიანებს; სახელდობრ ის, რომ არავინ არასოდეს არ შეურიგდება ნიკოლოზ პირველს და სხვა ქვეყნის არცერთ მეფეს, რომელიც მას ხელს გაუწვდის დასახმარებლად. ის წინააღმდეგი იყო, რომ ემიგრაციას კავშირი დაემყარებინა ევროპის სახელმწიფოების რეაქციულ მთავრობებთან. ისინი ჩვენი ძველი მტრებიან, ამბობდა მიცვევიჩი. მიცვევიჩს არ მოსწონდა, პოლონელი ემიგრანტები იმ უცხო ქვეყნებში რომ გარბოდნენ, სადაც კი თოფი გავარდებოდა. პოეტი მოსწრებულად ამხელს ასეთი დაფანტული, დაქსაქსული ძალების სხვისი ინტერესებისათვის ბრძოლის უაზრობას და წერს, რომ მან ერთხელ ყური მიუგდო ოთხი პოლონელის საუბარს, რომელნიც უცხო ქვეყნებში ლაშქრობიდან ბრუნდებოდნენ. ერთი მოდიოდა ამერიკიდან, „სადაც ომებით ვაჭრობენ და ხალხთა თავისუფლებაზე არაფერს ფიქრობენ“; მეორე პორტუგალიიდან, სადაც ასევე უაზრო ომია გაჩაღებული დონ პედროსა და დონ მიგელს შორის ტახტის თაობაზე. მესამე გულგახეთქილი მოდის ბრიუსელიდან. მას ეგონა მეფე ლეოპოლდი ომს დაიწყებდა, მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ ბელგია მხოლოდ საყვირია, რომელშიც საფრანგეთის მეფე ლუი ფილიპე ჩაჰბერავს ხოლმე ხანდახან; მეოთხე კი თურქეთში გამგზავრებას აპირებდა... მიცვევიჩი სამართლიანად ფიქრობდა, რომ პოლონელი პატრიოტების ასეთი ბრძოლა არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა სამშობლოს, მაგრამ მას, ცხადია, არც ის უნდოდა, რომ პოლონეთის საკითხი გამოეთიშა საერთაშორისო საკითხებისაგან, რადგან კარგად ესმოდა, რომ პოლონელთა ბრძოლა საერთო სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი, იმ დროს ყველაზე

მწვავე, ეპიზოდი იყო. მიცკევიჩი იღწვოდა რევოლუციური მასების გაერთიანებისა და საერთაშორისო სოლიდარობისათვის. ის სიამაყით იგონებდა, თუ რა სიხარულით შეხვდნენ სხვა ხალხები პოლონეთის აჯანყების დაწყებას 1831 წელს. ეს იმიტომ, რომ „ხალხებს აქვთ სული, რაც მათ მთავრობებს არ გააჩნიათ“, — წერდა მიცკევიჩი.

არკვევდა რა პოლონელი ემიგრანტების პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, მიცკევიჩი აცხადებდა, რომ პარტიების სახელწოდებები: „დემოკრატიული“, „რესპუბლიკური“ ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, რადგან ეს დემოკრატები და რესპუბლიკელები ხანდახან მშვიდად თანამშრომლობენ რეაქციულ მთავრობებთან. მიცკევიჩი მოითხოვს, რომ მათ აშკარად განაცხადონ, მზად არიან თუ არა თავისუფლებისათვის საბრძოლველად. პოლონელები, მიცკევიჩის რწმენით, მუდამ ამ ბრძოლის ფორპოსტზე იქნებიან. ისინი იბრძობებენ არა მარტო თავიანთი განთავისუფლებისათვის, არამედ სხვა ხალხების განთავისუფლებისთვისაც. მიცკევიჩი წერს: „დიად, პოლონური სულით იყო გამსჭვალული ადამიანი, რომელმაც რევოლუციის დროს პოლონურ დროშებზე წააწერა: „თქვენი და ჩვენი თავისუფლებისათვის“ — და სიტყვა „თქვენი“ დასვა სიტყვის — „ჩვენის“ წინ, წინააღმდეგ ყოველგვარი ძველებური დიპლომატიური ლოგიკისა“.

მიცკევიჩი აღნიშნავს იმ დიდ შიშსაც რევოლუციის მიმართ. რაც „მოსვენებას არ აძლევს მონარქებს“. მთელი მათი დიპლომატია მიმართულია ხალხთა მოძრაობის ჩასახრჩობად. მიცკევიჩი ამბობს — ნიკოლოზ I ჯერ შთანთქმავს რომელიმე სახელმწიფოს, შემდეგ კი თავის სასახლის კარზე დიდი პატივით იღებს თავის მიერვე გვირგვინმოსხილამეფესო. პოეტი ასახელებს მაგალითებს, და, სხვათა შორის, „იმერეთისა და სამეგრელოს დედოფალსაც“ ახსენებს. შემდეგ მიცკევიჩი შენიშნავს — ახლაც არიანო ევროპაში ჯუჯა მეფეები, რომელთაც თავიანთ სამშობლოში სახიფათო ტახტზე ჯდომას პეტერბურგის სასახლეში მშვიდი და მაძლარი ცხოვრება ურჩევნიათ.

1832 წლის ნოემბერს პარიზში დაარსდა ემიგრანტების ნაციონალურ-პოლიტიკური გაზეთი „პოლონელი მწირი“, რო-

მელმაც მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იარსება. მიცკევიჩი თავიდანვე თანამშრომლობდა ამ გაზეთში, ხოლო 1833 წელს სამი თვის განმავლობაში მისი რედაქტორიც იყო. „პოლონელ მწიროში“ გამოქვეყნებულ სტატიებს მიცკევიჩი არ აწერდა თავის სახელსა და გვარს, მაგრამ მათი ავტორობის საკითხის დადგენა სპეციალისტებისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ამ სტატიების დიდი ნაწილი (30) ავტორმა თვით შეიტანა თავის თხზულებათა კრებულში, რომელიც პოეტის სიცოცხლეშივე გამოვიდა 1847 წელს, ხოლო დანარჩენი სტატიების ავტოგრაფებია შემონახული.

მიცკევიჩის ამ პერიოდის პუბლიცისტურ სტატიებში უპირველეს ყოვლისა მქლავნდება მისი დამოკიდებულება ვარშავის აჯანყებისადმი, განსაკუთრებით მისი დამარცხების მიზეზებისადმი, რის გარშემოც დიდი დავა იყო ატეხილი ემიგრანტთა შორის. „ჩვენი გაზეთის გამოცემა იმ დროს დავიწყეთ, — წერდა მიცკევიჩი, — როცა ჯერ კიდევ ახალი იყო სევდა სამშობლოს დაღუპული საქმის გამო, როცა ემიგრაციაში გამოყოფილი შუღლი ყლორტებს იყრიდა, როცა პოლიტიკური მდგომარეობის მერყეობა და ცვლილებათა მოლოდინი ნებას არ გვაძლევდა საბოლოოდ ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი პოზიცია, რითაც შესაძლებელი იქნებოდა ასე თუ ისე ზეგავლენის მოხდენა“.

მიცკევიჩი განმარტავდა ამ შუღლისა და განხეთქილების მიზეზებს, ცდილობდა ერთ სწორ პლატფორმაზე გაეერთიანებინა ემიგრანტთა მთელი ძალები, რომელთაც ის ევროპის ხალხთა წინაშე წარგზავნილ „უზარმაზარ საელჩოს“ უწოდებდა. მიცკევიჩის ღრმა რწმენით ემიგრაცია, რომელიც უწინარეს ყოვლისა პოლონეთის ეროვნული თავისუფლებისათვის საბრძოლველად იყო მოწოდებული, მოვალე იყო „შეესწავლა და გამოეკვლია აზრები, რომელნიც ხალხთა მასებს ამოძრავებდა“. იგი პოლონეთის განთავისუფლების საკითხს არ იღებდა ვიწროდ, განცალკევებულად, მოწყვეტილად სხვა ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან. მას სწამდა, რომ პოლონელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა სხვა ხალხების თავისუფლებისათვის ბრძოლასაც ნიშნავდა და რომ პო-

ლონელი პილიგრიმები თავიანთი მამულის ინტერესების დაცვით სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ეროვნულ ინტერესებსაც იცავდნენ. მეორეს მხრივ, მიცკევიჩი ამტკიცებდა, რომ პოლონეთის საკითხის მოუგვარებლად შეუძლებელი იყო ევროპის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის რთული საკითხების გადაწყვეტა.

სტატიაში „პოლონური პარტიის შესახებ“ მიცკევიჩი კვლავ აყენებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალთა გაერთიანებისა და ხალხთა შორის სოლიდარობის განმტკიცების საკითხს. მას ბუნებრივად მიაჩნია ამ მოძრაობის შიგნით აზრთა სხვადასხვაობის არსებობა. ის იმასაც ხედავს, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენები ერთმანეთისაგან განსხვავებულ, მომეტებულად ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ პოლიტიკურ დოქტრინებს იცავდნენ. ასე იყო ისტორიულად, ასევეა ახლაცო, ამბობს მიცკევიჩი. საბერძნეთში იბრძოდნენ დემოკრატიული, არისტოკრატიული და ოლიგარქიული პარტიები, რომში პატრიციებისა და პლებეების პარტიები უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. ქრისტიანიზმის პერიოდში იტალიაში მოქმედებდნენ გველფები და გიბელინები, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში — პროტესტანტები და კათოლიკები, საფრანგეთში „როიალისტები და რესპუბლიკელები იწვევდნენ სიმპათიებს მთელს ევროპაში — ერთნი მეფეთა, ხოლო მეორენი ხალხთა გულში“.

საინტერესოა, რომ მიცკევიჩი თავის თანადროულობაშიც ნათლად ხედავდა ამ დაპირისპირებას კაბინეტებსა და სახალხო პარტიებს, ძველ რეჟიმსა და ახალ მოთხოვნილებებს შორის. მიცკევიჩი ყოველთვის ხალხთა მასების ინტერესების დაცვის პოზიციაზე იდგა და წინააღმდეგ არისტოკრატებისა ხალხთა მისწრაფებების ერთიანობას ქადაგებდა. ის აღნიშნავდა, რომ ვარშავის რევოლუციამ სიხარულის ყიყინი გამოიწვია ევროპის სახელმწიფოებში, მაგრამ ხალხში და არა მათ მთავრობებში, რომ ფრანგი გლეხები აგროვებდნენ სახსრებს პოლონელების დასახმარებლად, რადგან მათ ესმოდათ, რომ „პოლონეთი — ეს საფრანგეთია“; ხოლო, იქვე დასძენს პოეტი, „ბატონი დიუ-

პინი¹ ვერასოდეს გაიგებს, ვინ არის პოლონელი, რადგან მას სული არა აქვს“. ხალხმა კი ეს გაიგო, ამტკიცებს მიცკევიჩი, რადგან ხალხს აქვს სული.

ხალხთა ეს სოლიდარობა პოლონელების გამათავისუფლებელი ბრძოლისადმი, უბრალო ადამიანების კეთილი სურვილები და რწმენა საკუთარი ძალებისადმი აორკეცებდა პოლონელ პატრიოტთა ბრძოლისუნარიანობას. თავის მხრივ პოლონელებიც მუდამ მზად იყვნენ შეძლებისდაგვარი დახმარება გაეწიათ თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხებისათვის, დედამიწის რომელ კუნძულშიც არ უნდა აღმართულიყო მათი დროშა, როცა გაისმოდა ლოზუნგი „გაუმარჯოს თავისუფლებას“, მას მაშინვე მეორე ძახილიც მოსდევდა—„პოლონელებო, წინ!“ ამის მიზეზი კი ის იყო, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში პოლონელი პატრიოტები მართლაც თავისუფლებისათვის ბრძოლის მედროშეებს წარმოადგენდნენ ევროპაში.

პოეტი-პუბლიცისტი აღნიშნავდა სხვა ხალხთა სოლიდარობასაც ყველასადმი, ვინც თავისუფლებისათვის ბრძოლას აწარმოებდა საფრანგეთსა, ესპანეთსა თუ ნეაპოლიტანიაში. მიცკევიჩი თანმიმდევრულად ატარებდა აზრს, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა მხოლოდ ხალხთა მასების საქმეა და რომ მთავრობები, მართალია, ზოგჯერ დავობენ ერთმანეთთან, ემუქრებიან კიდეც ერთმანეთს, დიპლომატიური ოინებით ცდილობენ დასტყუონ ან წაპვლიჯონ ერთმანეთს ტერიტორიები, მაგრამ ყოველთვის პოულობენ საერთო ენას, როცა ხალხები მოითხოვენ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას, დიდ საქმეებს, პროგრესს; როცა რევოლუციის აჩრდილი დაადგება რომელიმე მათგანს, სხვა სახელმწიფოების რეაქციული მთავრობები ისწრაფიან მის დასაზმარებლად. მეფეები ადვილად უთანხმდებიან ერთმანეთს. ტახტიდან გადაყენებული მეფე პოლონეთისა პეტერბურგის სასახლეში დიდ პატივისცემაში იყო და პენსიასაც იღებდა, ხოლო კოსტიუშკო პეტრე-პავლეს ციხის ჯურღმულეებში იტანჯებოდა, და მეტიც, მიცკევიჩმა ისიც იცოდა, რომ „ეპოქის სულით გამსჭვალული ხალხთა მასები თავიანთი

¹ საფრანგეთის დეპუტატთა პალატის იმდროინდელი თავმჯდომარე.

მთავრობებისა და პოლიტიკოსების წინაშე ხშირად სვამენ თავსამტკრევე ამოცანებს და სფინქსივით ნთქავენ იმათ, ვინც არ იცის მათი ამოხსნა“. მიცკევიჩი კითხულობდა — თუ „ეპოქის სული“ მომავლის სულია, რატომ სურთ ეს მზარდი ქაბუკი ჩასტენონ ძველ, ნახმარ საბავშვო ტანსაცმელში, შემდეგ კი უკვირთ, რომ ეს ტანსაცმელი ყველა ნაკერზე სკდება. დიდი პოლონელი პოეტი კარგად ხედავდა ხალხთა სოლიდარობის საფუძველს, მათ მისწრაფებათა გამაერთიანებელ ძალას. „რაში მდგომარეობს ეს პირველი და მთავარი, ყველაზე ძლიერი სურვილი ხალხებისა? — სვამდა კითხვას ის და განაგრძობდა — ჩვენ უყოყმანოდ ვამბობთ, რომ ეს სურვილია — შეთანხმდნენ, გაერთიანდნენ, შეახმონ ინტერესები“.

სტატიკაში „სამი მაისის კონსტიტუცია“ მიცკევიჩი წერს პოლონელი ხალხის ძირითადი მისწრაფების შესახებ, რომელიც, მისი აზრით, მკლავდებდა ბრძოლაში პოლონეთის მჩაგვრელებთან, თავისუფლების პროპაგანდაში და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, „თავისუფლების გავრცელებაში ყველა საზოგადოებრივ კლასზე“. მიცკევიჩი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას არასოდეს არ სთიშავდა სოციალური საკითხისაგან. ამითაა გამოწვეული მისი ღრმა სიძულვილი არისტოკრატებისადმი, მდიდრებისადმი და მისი გულწრფელი სიმპათიები მშრომელი ხალხისადმი. ის იმაზე ოცნებობდა, რომ მისი ლექსები უპირველეს ყოვლისა ისლით დახურულ ქოხებში აქლერებულყო და სასტოკად გმობდა ყველას, ვისაც ჩანგი არისტოკრატიული სალონების უსაქმურების გასართობად ჰქონდა მომართული. დღესაც ომახიანად გაისმის დაახლოებით 125 წლის წინ დაწერილი სიტყვები მიცკევიჩისა, რომ თანადროული „ეპოქის სულის“ მთავარი მოთხოვნილებაა ხალხების მისწრაფება მშვიდობიანად მოელაპარაკონ ერთმანეთს, გამოძებნონ საერთო ენა, შეათანხმონ თავიანთი ინტერესები, აღადგინონ მთავრობების მიერ გათიშული ძმობა ხალხთა შორის. ვინ თქვაო, კითხულობს მიცკევიჩი, რომ რომელიმე მეფის თითით ამა თუ იმ სახელმწიფოს ან ქალაქის გასწვრივ გავლებულ ხაზს შეუძლია გაჰყოს მცხოვრებლები, ნათესავეები, ერთი ოჯახის წევრებიც კი — აღგილობრივებად და უცხოელებად,

აქციოს ისინი ერთმანეთის ბუნებრივ მტრებად? ეს გათიშულობა რომ ხელს უშლის რევოლუციური მოძრაობის განვითარებას და ხალხთა შორის სოლიდარობის განმტკიცებას, ამას განსაკუთრებით მწვავედ გრძნობდნენ პოლონელი პილიგრიმები, რომელნიც მოწყვეტილი იყვნენ თავიანთ ხალხს. მიცკევიჩი ამბობს, რომ „პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი პირობაა „განუწყვეტლივ ჩახედვა ხალხთა მასების გულში და აზრებში“. მიცკევიჩი გმობს შულსა და მტრობას ემიგრანტებს შორის. მან უნდა მოსპოს მეთაურების წვრილმანი კინკლაობა, როდესაც საქმე ეხება ხალხს, მის მომავალს. იგი წერს: „...შეხედულება, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების ცვალებად გარემოებებზე დაძვარებული, არ შეიძლება უმაღლესი სამსჯავრო იყოს, მაშინ, როდესაც მსჯელობაა საქმეებზე, რომელნიც საუკუნეებსა და თაობებს ეხებიან“.

თვითონ მიცკევიჩმა თავისი პოლიტიკური პოზიცია ნათლად გამოხატა წერილში ბეზანსონელი პატრიოტებისადმი — „თანამემამულეებს, ბეზანსონში მოხეტიალე ლიტველებს“. ვარშავის აჯანყების 47 მონაწილემ, უმთავრესად ვილნიუსის უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტებმა, მიცკევიჩს გამოუგზავნეს მისასალმებელი წერილი და საჩუქარი — ბეჭედი ჩანგის გამოსახულებით.

ბეზანსონელი პატრიოტები წერდნენ თავიანთ საყვარელ პოეტს — იმედის ვარსკვლავი ხართო ჩვენთვის და რწმენას გამოსთქვამდნენ, რომ მიცკევიჩი ზეცამდე აამაღლებდა ხალხთა ბედნიერების სამადლობელ ჰიმნს და დაფნის ახალი გვირგვინებით შეიმკობდა თავს.

„მაღლობა და დიდება შენ ადამ — წერდნენ ისინი — ნება მოგვეცი შეგაწუხოთ ჩვენი პატარა საჩუქრით — უბრალოა ის, მაგრამ დიდი თავისი შინაგანი სილამაზით... ეს არის საჩუქარი გულისა და ვერაფერი ვერ შეარყევს ჩვენს რწმენას, რომ ის მიაღწევს ადამის გულამდე“.

აჯანყების დროს ჩვენი ლეგიონის მებრძოლთა ცოლებსა და ნათესავ ქალებს მიჰქონდათ ნანგრევებიდან აღმდგარ სამშობლოს კვარცხლბეკზე ყველაზე ძვირფასი სამახსოვრო ნივთები თავიანთი ცოცხალი თუ მკვდარი ახლობლებისა, ქმრების თუ სატრფოების

ბეჭდები, რათა ისინი ფულად ექციათ და სამშობლოსათვის, პოლონეთის თავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში გამოეყენებინათ“.

ბეზანსონელმა პოლონელებმა გადაწყვიტეს თავიანთი უღრმესი მადლობის ნიშნად ასეთივე საჩუქარი მიერთმიათ პოლონელი ხალხის საამაყო შვილისათვის.

პოეტმა მღელვარე სიტყვებით უპასუხა თავის თანამემამულეებს: „ხალხებს, უფრო ცივილიზებულებსა და მდიდრებს, ვიდრე ჩვენი ხალხსა, ჰყავთ საგანძურებითა და ხოტბით გაღლებული პოეტები, უფრო ნიკიერნი, ვიდრე მე ვარ, მაგრამ ალბათ არა ერთი ევროპელი გენიოსთაგანი გაცვლიდა მილიონობით ოქროს და ოვაციებს ერთ ბეჭედზე, რომელიც დევნილ პოეტს უძღვნეს დევნილმა მეგობრებმა. ამ საქორწინო ბეჭედით თქვენ, თანამემამულენო, ადასტურებთ, რომ მე შევინარჩუნე ერთგულება სამშობლოსადმი; და ამ ბეჭდით კიდევ ერთხელ ვიწერ ჯვარს ჩემს მამულზე. თქვენ ჩემს სულში საიუბილეო, ოქროს ქორწინება მოაწყვეთ. მიიღეთ ჩემგან განმეორებითი საქორწინო ფიცი, რომ მე ყოველთვის ვიქნები ერთგული სამშობლოსი და მის საქმეს არ ვუღალატებ კუბოს კარამდე“.

ეს ფიცი მიცკევიჩმა პირნათლად შეასრულა. დედა-სამშობლოს უმძიმესი განსაცდელის წლებში იგი მუდამ იდგა თავისი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე.

1832 წელს, პარიზში ყოფნისას, მიცკევიჩი გულმოდგინედ მუშაობდა პოემაზე „პან ტადეუში“, რომელსაც ის თავის „ყველაზე საყვარელ შვილს“ უწოდებდა. ამავე დროს იწერებოდა „ძიადების“ ახალი ეპიზოდები. „ძალიან მიზიდავს შემდეგი თავები „ძიადებისა“, ხანდახან ვწერ ნაწყვეტებსო“, სწერდა მიცკევიჩი ოდინეცს 1833 წელს. „ძიადებზე“ ფიქრი არასოდეს არ ასვენებდა პოეტს. ერთი წლის შემდეგ ის იმავე ოდინეცს აცნობებდა, რომ „პან ტადეუში“ ძალით დაამთავრა... „რადგან სული უკვე წინ მიმაქანებდა, „ძიადების“ შემდეგი თავებისაკენ, რომელთაც მე გზადაგზა ვწერდი. „ძიადებისაგან“ მე მინდა შევქმნა ჩემი ერთადერთი ნაწარმოები, ღირსი წაკითხვისა, თუღმერთი შემეწია და დავამთავრე ის“. მაგრამ „ღმერთმა არ მისცა“ ამის საშუალება პოეტს. გოეთეს „ფაუსტი“ ხუთი ათეული

წლის მანძილზე იწერებოდა, მიცკევიჩის ფაუსტური „ძიადები“ კი — ხანკამოშვებით თუთხმეტიოდე წლის განმავლობაში. მიცკევიჩს რომ გოეთეს მსგავსად ოთხმოცი წელი ეცოცხლა ნორმალურად, „ძიადები“, ცხადია, დასრულებულ ფორმას მიიღებდა.

ემიგრაციაში მიცკევიჩი ლექსებს ნაკლებ წერდა და უმთავრესად ეპიური ჟანრითა და პუბლიცისტიკით იყო გატაცებული. შემდეგ იგი ემიგრანტების პოლიტიკურ საქმიანობას დროებით ჩამოშორდა, რადგან მობეზრდა მათი გაუთავებელი კინკლაობა. „მე ჩამოვშორდი აქაურ მაქინაციებს და შორიდან შევყურებ მათ, — სწერდა მიცკევიჩი ი. ნემცევიჩს ლონდონში, — არც ვიღებ მათ საქმიანობაში მონაწილეობას, რადგან მთვრალთა საზოგადოებაში საუკეთესო პოლიტიკაა უცადო, როდის გამოთხიზლდებიან ისინი. როგორც ეტყობა, ემიგრაცია იწყებს გამოფხიზლებას და პარტია, რომელიც წესრიგისა და შეთანხმებებისაკენ მიისწრაფვის, ერთხელ იქნება და გაიმარჯვებს“.

ამ პერიოდში მიცკევიჩი სრული შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში იმყოფებოდა, იგი უკვე აღარ მისდევდა მარილას აჩრდილს, აღარ ავსებდა ლამაზმანების ალბომებს სააშიკო ლექსებით, არც მიძღვნებსა და ოდებს წერდა. ამ ეტაპზე მას უკვე აღარ აკმაყოფილებდა თითქმის დამთავრებული, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი შესანიშნავი პოემა „პან ტადეუშიც“ კი. ის სწერდა ოდინეცს: „მე თანდათან ვრწმუნდები, რომ ძალიან ბევრი ვიცხოვრე და ვიშრომე მარტო წუთისოფლისათვის და აწი არასოდეს არ მოვკიდებ ხელს კალამს წვრილმანი რამეების საწერად. მხოლოდ ის ნაწარმოებია ღირსეული, რომელსაც შეუძლია გამოასწოროს ადამიანი და ასწავლოს მას სიბრძნე“.

პარიზში გაეცნო მიცკევიჩი პოლონეთის მეორე დიდ პოეტს, იულიუს სლოვაკის, რომელიც აღტაცებული იყო მიცკევიჩით და მას პოლონეთის პირველ პოეტად თვლიდა.

მძიმედ განიცადა მიცკევიჩმა თავისი უახლოესი მეგობრის, „პოლონელი ჰამლეტის“ — გარჩინსკის გარდაცვალება. ი. სლოვაკი სწერდა ი. დომეიკოს, რომ „მიცკევიჩმა ჯავრისაგან კინალამ თავი ჩამოიხრჩო“. ადამმა მეგობრის წინაშე თავისი უკა-

ნასკნელი ვალი მოიხადა: მან მიატოვა გადაუდებელი საქმეები და ექიმების რჩევით გარჩინსკი მარსელისაკენ, ზღვისაკენ წაიყვანა; იგი ძმასავით უვლიდა მეგობარს, რომელმაც მის მკლავებში დალია სული ავინიონში. მოტეხილი, თითქოს 10 წლით დაბერებული დაბრუნდა მიცკევიჩი პარიზში. თვითონ იგი რუსეთიდან უკან გამოქცეულ, ჩამობღენძილ ნაპოლეონის ჯარისკაცს ადარებდა თავის თავს, გაქაღარავდა, გახდა, მაგრამ სულით ისევ უტეხი დარჩა... ამ დროს დაამთავრა მან და დაბეჭდა ბაირონის „გიაურის“ თარგმანი. ამავე დროს დაასრულა უდიდესი ძეგლი პოლონური ლიტერატურისა — „პან ტადეუში“.

XX

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორი გატაცებით მუშაობდა მიცკევიჩი „პან ტადეუშზე“. უკვე ის ფაქტი, რომ ავტორმა პოემა მოიფიქრა და მის წერას შეუდგა ვარშავის აჯანყების დღეებში, ლაპარაკობს ამ ნაწარმოების კავშირზე პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. პოემა მიცკევიჩმა პარიზში დაამთავრა. თავდაპირველად პოეტს განზრახული ჰქონდა მისთვის სათაურად „უეგოტა“ მიეცა. მაგრამ შემდეგ „პან ტადეუში“ დაარქვა.

საერთოდ ცნობილია, რომ მიცკევიჩი წერის პროცესში თითქმის მთლიანად ცვლიდა თავის ნაწარმოებების წინასწარ მოხაზულ გეგმას. ეს ნაწარმოებიც მოცულობით ორჯერ მეტი გამოვიდა, ვიდრე გათვალისწინებული იყო. დაუშრეტელი შემოქმედებითი ფანტაზია და იმპროვიზაციის გენიალური ნიჭი არ აძლევდა მიცკევიჩს საშუალებას ნაწარმოები წინასწარ განსაზღვრულ და დადგენილ ჩარჩოებში მოექცია. მეგობრებისადმი წერილებში იგი ერთგვარი შიშით აღნიშნავდა, რომ პოემა ძალიან იზრდება მოცულობით, თითქოს ეს ვიღაც სხვაზე ყოფილიყოს დამოკიდებული და არა თვითონ ავტორზე, ერთ თანამედროვე ფრანგ მწერალს, რომელმაც თავისი რომანის 13 ნაწილი გამოაქვეყნა, ჰკითხეს, თუ რომელ ნაწილზე დასრულდებოდა თხრობა, ავტორმა მიუგო — კარგად არ ვიცი, მეთოთხმე-

ტეზე თუ მესამოცდაათხმეტეზეო. მიცკევიჩი არ ჰგავს ამ რომანისტს, მაგრამ რაღაც ამის მსგავსი მასაც ემართება ხოლმე წერის პროცესში. იგი ყოველთვის როდი ახერხებს წინასწარ განსაზღვრულ გეგმას დაუმორჩილოს თავისი შემოქმედებითი ფანტაზიის თავისუფალი დინება. ხანდახან ის მთლიანად ემორჩილება მუზის კირვეულობას, მთვარეულივით მოჰყვება მას, თითქოს თვითონ იყოს თავისი მუზის აჩრდილი, თითქოს კალამი სიზმარივით არ ემორჩილებოდეს მის ნებისყოფას.

„კონრად ვალენროდის“ დასრულების შემდეგ მიცკევიჩს მიუთითეს, რომ ერთი თავი ძალიან გაჭიანურებულია. მიცკევიჩმა ეს შენიშვნა მიიღო და უპასუხა: მართალია, ეს თავი ძლიერ გაიზარდა და მთელი პოემა გამიფუჟკაო. ასევე იყო „ძიადებზე“ მუშაობის დროსაც: არ იქნა და ვერ მოთოკა მიცკევიჩმა თავისი ფანტაზიის ლაღი დინება, ვერ დაიოკა მისი სიშმაგე. ფიქრები ღრუბლებივით აეშლებოდნენ პოეტს და ისიც შორჩილად მიჰყვებოდა მათ მოძრაობას. შესაძლოა, რომ მიცკევიჩის შემოქმედებითი პროცესის ამ დამახასიათებელმა თვისებამაც არ მისცა პოეტს საშუალება „ძიადები“ გარკვეულ სიუჟეტურ-კომპოზიციურ ფორმაში მოექცია.

ამ მხრივ „პან ტადეუს“ საყვედური არ ეთქმის, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ აქ ბედნიერ გამონაკლისთან გვაქვს საქმე. როგორც პოეტის კერძო წერილებიდან ჩანს, თავდაპირველად მიცკევიჩი აპირებდა პოემის 5 თავით შემოფარგვლას, შემდეგ კი ჯერ მეექვსე თავი დაუმატა, ხოლო მერე 11 თავამდე გაადიდა ნაწარმოები. მეთერთმეტე თავის ხელნაწერს ავტორმა „უკანასკნელი თავიო“ დააწერა, თითქოს ამით თავისთვის საზღვრის დადება სურდა, მაგრამ პოემის საბოლოო ვარიანტი მაინც 12 თავამდე გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების წინასწარ განზრახული მოცულობა გზადაგზა ასე იზრდებოდა, მასში არც სიუჟეტური ქარგაა დარღვეული და არც კომპოზიციური მთლიანობა. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ „პან ტადეუსი“ უფრო ძლიერ ემორჩილება სინამდვილის კანონზომიერებას და „სალი გონების“ კონტროლს. შეიძლება აქ იმანაც ითამაშა გარკვეული როლი, რომ პოემა მეტად მცირე დროის მონაკვეთში დაიწერა, თორემ მიცკევიჩს

თუ ახალი შემოქმედებითი გეგმა გაიტაცებდა, იგი ჩრდილივით გადაეფარებოდა ხოლმე დაუმთავრებელ ნაწარმოებს, რომელსაც, თუ განსაკუთრებული შემთხვევა არა, პოეტი უკვე იშვიათად უბრუნდებოდა, ან თუ დაუბრუნდებოდა — დროდადრო, შემთხვევიდან შემთხვევამდე. ასე წერდა იგი ჰაბუკობისას „დემოსთენეს“. მან რამდენჯერმე დაიწყო ამ დრამაზე მუშაობა, მაგრამ ბოლოს სრულიად მიატოვა და ხელნაწერი დაწვა. შემდეგ იგი შეუდგა პოემა „ტუკაის“ წერას, მაგრამ არც ის დაუმთავრებია (მერმე მის სიყრმის მეგობარს ოდინეცს მოუხდა ამ პოემის დასრულება); ასევე, როგორც ვიცით, მიცკევიჩმა „ძიადების“ ჯერ მეორე ნაწილი დაწერა, შემდეგ მეოთხე, ათი წლის შემდეგ მესამე, ბოლოს პირველს დაუბრუნდა და დღემდე გაურკვეველია, საერთოდ რამდენი ნაწილის დაწერას აპირებდა იგი. ასეთი „პოეტური კაპრიზი“ არ ეტყობა „პან ტადეუსს“, რომელიც დიდი ეპიური სიდინჯით დაწერილი, დასრულებული და დახვეწილი ნაწარმოებია.

პოემაში სოციალური გარემო, პერსონაჟები და ხასიათები დიდი სიზუსტითაა მოხაზული. აქ ყველაფერი უშუალო, გულწრფელი და მართალია. ავტორი არც აქ ლალატობს თავის მეტოდს და გმირთა ამბავს უმთავრესად ისტორიულ და ავტობიოგრაფიულ სარჩულს უდებს. ნაწარმოების პირველსავე თავში აღწერილი ლიტერული სოფელი და იქაური ადამიანები მწერალმა ნოვოგრადეკსა და კაუნასში ნახა და შეისისხლხორცა. ერთ-ერთ წერილში, რომელიც „პან ტადეუსზე“ მუშაობის პერიოდს ეკუთვნის, ის წერს, — მე ახლა თითქოს ლიტვაში ვცხოვრობო.

პოემის პირველი სტროფები იდეური ტონის მიმცემია მთელი ნაწარმოებისათვის, მისი ლაკონიური, მაგრამ მრავლის მეტყველი უვერტიურა: „მამულო — საყვარელო, ლიტვაჲ, შენ ჯანის სისაღე ხარ. ის გაფასებს საკუთარი სისხლივით, ვინც დაგკარგა! და მე ვხატავ ახლა მთელს შენს სილამაზეს უცხოეთში შენს გამო დამწუხრებულს“.

ავტორი იმთავითვე გვაცნობს ლიტერულ მიდამოთა სილამაზეს, ან, როგორც თვითონ ამბობს, მის სულს სურს მიფრინდეს საყვარელ ტყეებთან, მშობლიურ მწვანე ველებთან, ლურჯ

ნემანთან, ოქროს თავთავებიან ხორბალთან... მორცხვ ქალ-წულივით აღმოდებულ ყაყაჩოებთან, სწორ რიგებად ჩამწკრივებულ ალვის ხეებთან... მაგრამ ყოველივე ეს შორსაა. მგოსანი უკვე თითქმის ათი წელიწადია განდევნილია მშობლიური მხარიდან და მხოლოდ სასწაულს თუ შეუძლია მისი კვლავ დაბრუნება. ამიტომ, თუ თვითონ არა, მისი ოცნების გმირი, კაბუცი პან ტადეუში მაინც ბრუნდება იქ. შემთხვევითი როდია, რომ ტადეუშიც ათი წელია, რაც არ ყოფილა ამ მხარეში და ახლა მისი თვალები ეალერსება ყველაფერს, ალვის ხეებში ჩარგულ თეთრ სახლს, ოთახებს, ავეჯს, კედელზე დაკიდებულ სურათებს, როგორც თვით მიცკევიჩი მიესალმებოდა ყოველივე ამას, ტადეუშივით შინ დაბრუნება რომ ღირსებოდა.

ასე ერთვის დასაწყისშივე ერთმანეთს მიცკევიჩისა და მისი გმირის ცხოვრება, მათი განცდები და მისწრაფებები. ასე იყო მიცკევიჩი განსახიერებული ჯერ გუსტავში და შემდეგ კონრადში. ეს მისი სტილია, მისი წერის მანერა. ასე სჩვევია მას „სხვად“ ქცევა და ამ „სხვის“ მუდამ თავის გულთან ახლოს ტარება. მიცკევიჩს როდი სურს, რომ მისმა გმირებმა აუცილებლად ის გააკეთონ, რაც მას გაუკეთებია, ცხოვრების იგივე საფეხურები განვლონ, რაც მან გაიარა. მაშინ მისი გმირები მხოლოდ ავტობიოგრაფიულნი იქნებოდნენ და შეზღუდულნიც. მიცკევიჩს კი არ უყვარს თავისი გმირთა შეზღუდვა. ის მათ მოქმედების უფართოეს ასპარეზს უქმნის, თუ უნდა — შორეულ წინაპრებთან მიიყვანს, ჯოჯოხეთში ჩაახედებს, ზეცამდე აამაღლებს, „ღრუბლებს გააგლეჯინებს“ და „მომავლისათვის შეახედვინებს“. მისი გმირები პოეტის იდეალურ წარმოსახვას განსახიერებენ და არა მისი ცხოვრების საფეხურებს. ასეთი იყო გუსტავი, ასეთი იყო კონრადი და ასეთია ტადეუშიც. მის სახეშიც ჰარმონიულადაა შერწყმული სუბიექტურ-ავტობიოგრაფიული და ობიექტური, სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი.

„პან ტადეუშის“ მოქმედება არ არის გაშლილი ვრცელ ისტორიულ ფონზე; იგი სულ რამდენიმე დღის განმავლობაში ხდება. პოემაში კი ბევრი სიუჟეტური ხაზია განვითარებული. ამიტომ მასში აღწერილი ამბები ორ ჯგუფად იყოფა: ერთი,

რაც მომხდარა და რასაც პოემის გმირების გადმოცემით ვეცნობით და მეორე, რაც პოემაში ხდება. ერთიც და მეორეც თანაბრად მნიშვნელოვანია. მომხდარი ამბების რეტროსპექტული თხრობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა გაგება იმისა, რაც პოემაში უშუალოდ ხდება. მოქმედი პირების ადრინდელი თავგადასავალი პოემის სიუჟეტის ორგანიული ნაწილია. ასე ვეცნობით ჩვენ, მაგალითად, იაცეკ სოპლიცას თავგადასავალს, რომელსაც ოცი წლის წინათ შეუყვარდა მდიდარი გორეშკოს მშვენიერი ასული ევა. შეყვარებულები გათიშა გოროზმა გორეშკომ, რომელსაც არ სურდა თავისი ქალიშვილი სახელმძღვანელო, მაგრამ ღარიბ „ულვაშასათვის“¹ მიეტხოვებინა. იაცეკი და ევა დაემორჩილნენ ბედის განაჩენს, ვაჟმა სხვა ქალი შეირთო, რომელიც მალე გარდაიცვალა და ქმარს ერთადერთი ვაჟი ტადეუში დაუტოვა. ქალიც ვიღაც ვოევოდას მიატოვეს, მაგრამ ისიც ჩქარა გარდაიცვალა და მისგან დარჩა გოგონა ზოსა. იაცეკმა ბევრი ითმინა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ აიტანა შეურაცხყოფა, გორეშკო მოკლა, შვილი, ტადეუში, ძმას, მოსამართლეს მიაბარა და უგზოუკვლოდ გადაიკარგა. უცხოეთში იაცეკი ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში. თავისი ვინაობის დასაფარავად მან ულვაშები მოიპარსა, ბერნარდინელთა ორდენში შევიდა, ქსენჩა გახდა და პოემის დასაწყისში მას ისევ ვხვდავთ ქსენჩ რობაკის გვარით სოპლიცოვოში, ისე, რომ არავინ იცის მისი ნამდვილი ვინაობა.

გორეშკოს მოკვლამ სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდა ერთმანეთს სოპლიცებისა და გორეშკოების საგვარეულოები. პოემაში ერთი გვარის ინტერესებს პროტაჟი იცავს, ხოლო მეორისას—გერვაზი. იაცეკის ძმა, მოსამართლე, დროთა განმავლობაში მდიდარი პანი გახდა. მან ცხრა წლის ტადეუში ვილნიუსში გაგზავნა სასწავლებლად, სადაც ბავშვმა ათი წელიწადი დაჰყო. ზოსა კი ლამაზ ბიცოლას—ტელიმენას ოჯახში იზრდებოდა.

¹ ასეთი სახელი შეარქვეს იაცეკს მეზობლებმა მისი გრძელი ულვაშების გამო.

ათი წლის შემდეგ ტადეუში ბრუნდება ვილნიუსიდან სოპლიცოვოში. ასე იწყება პოემა. ტადეუში შეჭხარის თავის კარმიდამოს, ბავშვობის მოგონებებს, სახლს, ეზოს, მეზობლებს. აქ ხვდება ის პირველად უკვე მოწიფულ ზოსას, რომელიც ერთბაშად ააფორიაქებს მის სულს. ასე შეხვდა მიცკევიჩი ვილნიუსიდან ტუხანოვიჩში ჩასვლისას თავის მარილას.

ტადეუშის საპატივცემლოდ სოფელში ლხინი გაიმართება, მაგრამ ეს გოგონა ჯერ იქ არ ჩანს. ოთხმწკრივად ჩალაგებულ იყვება სკამი უკვე დაკავებულია, გარდა ერთისა, რომელიც ტადეუშის გვერდით დგას და ეს ცალიერი სკამი უფრო იპყრობს მის ყურადღებას, ვიდრე შეკრებილი საზოგადოება. შეყვარებულთა გულები თითქოს ერთმანეთს ეძებნენ, კარებში ის გოგონა გამოჩნდება, დარბაზს თვალს მოავლებს, ცალიერ სკამს შენიშნავს, დაირცხვენს, მაგრამ მაინც გასრიალდება მწკრივებს შორის და ტადეუშის გვერდით აღმოჩნდება. მაგიდაზე მამაკაცები ხმამაღლა მსჯელობენ პოლონეთზე, ვარშაგაზე, ძველ წესებზე, ნადირობაზე. მანდილოსნები ქალაქისა და სოფლის ახალ ამბებზე ჭორაობენ.

ტადეუში და ის ასული ერთმანეთის თვალეში ამოიკითხავენ თავიანთ გულისთქმას... და ასე იწყება ის „სოფლური იდილია“, გოეთეს „ჭერმან და დოროთეას“ ყაიდაზე დაწერას რომ აპირებდა მიცკევიჩი. მაგრამ „პან ტადეუში“ ვარშავის 1831 წლის აჯანყების დამარცხების მძიმე პერიოდში იწერებოდა და იმ ეპოქას მოიცავდა, როცა პოლონეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მძლავრად ვითარდებოდა. იდილიებისათვის არც დრო იყო და არც განწყობილება. პოემაში ძალაუვნებურადაც შეიჭრა პოლიტიკური ამბები, რამაც ერთბაშად ააფორიაქა ნადირობით და ნადიმებით გატაცებული შლიახტური საზოგადოება, ნაპოლეონი, დომბროვსკი, ალპები, მარენგო, აუსტერლიცი, ეგვიპტე... ოქროს და ვერცხლის არწივები, ¹— ეს იყო მაშინ შლიახტის მსჯელობის მთავარი საგანი. „ნაპოლეონის ლეგენდა“ ამ ნაწარმოებზეც ახ-

¹ ფრანგთა დროშებზე ოქროს არწივი ეხატა, პოლონელებისაზე კი ვერცხლის.

დენს გავლენას და ეს გასაგებიცაა, რადგან პოემის მოქმედება 1811—12 წლებში იშლება, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც ნაპოლეონის კულტი პოლონელ პატრიოტთა შორის კულმინაციას აღწევდა.

სოპლიცოვოს ახლოს ძველი ციხე-კოშკი იდგა, ნახევრად დანგრეული და მიტოვებული. ის ოდესღაც გორეშკოების გვარს ეკუთვნოდა, მაგრამ არავის არ აინტერესებდა და სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული, ვიდრე უცხოეთიდან გორეშკოთა ოჯახის შორეული ნათესავი, ახალგაზრდა გრაფი არ ჩამოვიდა. გრაფი დაინტერესდა ამ უძველესი ნაგებობით, გამოიკვლია კიდეც, გუთური თუ პოლონური წარმოშობის იყო ის, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სოპლიცოველმა მოსამართლემ სრულიად მოულოდნელად პრეტენზია განაცხადა ამ ციხე-კოშკზე. სასამართლო პროცესი დიდხანს გრძელდებოდა, საჩივარს ადგილობრივ სასამართლოში იხილავდნენ, შემდეგ გუბერნიის საბჭოში, სენატში, ისევ სასამართლოში აბრუნებდნენ და ასე უსასრულოდ ჭიანჭურდებოდა ეს საქმე. ახლა სოპლიცებმა მაგიდები ციხე-კოშკში გააშლევინეს. თითქოს ამით სურდათ თავიანთი კანონიერი უფლება დაემტკიცებინათ ამ ნანგრევებზე.

სტუმართა შორის იყვნენ ქსენძი რობაკი და რუსი კაპიტანი რიკოვი. მუდამ ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მიცვევჩი თავის ამ უკანასკნელ დიდ მხატვრულ ნაწარმოებშიც გამოხატავს გულწრფელ სიმპათიებს რუსი ხალხისადმი. რუსი ოფიცერი კეთილადაა განწყობილი პოლონელებისადმი. ის უყვართ, პატივს სცემენ და ავიწყდებათ კიდეც, რომ რიკოვი იმ სახელმწიფოს წარმომადგენელია, რომელიც ფეხქვეშ თელავდა პოლონეთის ეროვნულ ინტერესებს. რიკოვი მიცვევიჩის ჰუმანისტურ, ინტერნაციონალურ შეხედულებებს გამოხატავს. მასში არ არის სიძულვილი სხვა ხალხებისადმი, რუსი კაპიტანი ეხმარება პოლონელებს და, როგორც თვითონ ამბობს, მზად არის „ფრანგებსაც მეგობრულად მიუქაზუნოს კიქა“.

სტუმართა შორის გვხვდება აგრეთვე პოემაში იუმორისტულ ტონებში წარმოდგენილი ორი პერსონაჟი—მუდამ ერთად მყოფი და მუდამ ერთმანეთთან მოკინკლავე დობჩინსკი და

ბობჩინსკი—ასესორი და ნოტარიუსი. ისინი გაუთავებლად და-
ობენ თავიანთ მწევარ-ძაღვებზე, თუ რომელი რომელს სჯობს.
რომელი უფრო მარდია, ჭკვიანი, საზრიანი, და ეს დავა პოე-
მის დასასრულამდე გრძელდება.

მეორე დღეს სტუმრები და მასპინძლები სანადიროდ მი-
დიან.

დილით გრაფი ათვალეერებს ციხე-კოშკს, აღტაცებულია
მისი დიდებული ხედით. არასოდეს არ უნახავს მას ეს ნანგრე-
ვები გარიჟრაჟისას ამომავალი მზის სხივებით განათებული.
ახლა რატომღაც ყველაფერი უფრო ლამაზად და მნიშვნელოვ-
ნად ეჩვენება, ვიდრე უწინ. გერვაზი კიდევ უფრო უღვივებს
მას ინტერესებს ამ ციხე-კოშკისადმი. უამბობს, თუ როგორ
მოკლა აქ იაცეკმა მისი ბატონი. გრაფი გადაწყვეტს დაიბრუ-
ნოს ეს ნანგრევები და ამ მიზნით სოპლიცევოსკენ გაემართება.
გზაში ის ზოსას ხვდება და პირველი შეხედვისთანავე მოი-
ხიბლება ამ „სოფლელი აფროდიტას“ სილამაზით, სურს გამო-
ელაპარაკოს, მაგრამ ქსენძი რობაკი შეუშლის ხელს. ასე იკ-
ვანძება სიყვარულის ინტრიგები პოემაში. ეს რომანტიკული
ხლართები თხრობის განვითარებასთან ერთად უფრო და უფ-
რო რთულ სახეს იღებს. ახლა ზოსას ბიცოლას, „ულამაზეს
ტელიმენას“ მოეწონება ტადეუში. იგი ცდილობს ჭაბუკის გუ-
ლის მონადირებას და არც ტადეუშია გულგრილი ტელიმენა-
სადმი. ისინი განმარტოვდებიან ტყეში და პოემაში იჭრება
ავტობიოგრაფიული ხაზი მიცკევიჩის პარალელური ტრფიალე-
ბისა მარია ვერეშჩაკისა და კაროლინა კოვალსკასადმი. გრაფი
(აღბათ პუტკამერი გაახსენდა მიცკევიჩის) ზოსას აჩრდილს მის-
დევს, და მაღალფარდოვანი, პრესიოზული სიტყვებით გამოხა-
ტავს თავის გულისთქმას. მათი შეხვედრა ბაღჩაში იუმორის-
ტულად აქვს აღწერილი პოეტს. ზოსა შინაურ ფრინველებს
აპურებს, გრაფი აეტორღიალება, მაგრამ ქალიშვილი ეტყ-
ვის—თუ შეიძლება, დამეხმარე, რომ ქათმები შევდენო ბაღ-
შიო, შემდეგ კი გაჰკილავს აბეზარ მიჯნურს და კისკისით
გაიქცევა. გრაფი ტყეში მიდის, სადაც უსაქმური შლიახტა
ახლა სოკოების კრეფითაა გართული.

მიცკევიჩი ჩვეული ოსტატობით გადმოგვცემს ტყის სუ-

რათებს. ზოგ პოეტს მთები იზიდავდა, ზოგსაც ტრამალები, ერთნი ზღვის ტალღებს მოჰყავდა ალტაცებაში, მეორენი ტბის იღუმალებას. ზოგის მუზას ქარი აღვიფებდა, ზოგისას — ნიავის ჩუმი ჩურჩული ნამიან ბალახებში. მიცკევიჩის სტიქია უმთავრესად უღრანი ტყეა. ჯერ კიდევ ბავშვობაში იტაცებდა მის ფანტაზიას ლიტვის უსიერი ტევრები. იქნებ ლეკენდებისა და თქმულებების მომჯადოებელმა სამყარომ შეაყვარა პოეტს ტყის იღუმალება. როცა მიცკევიჩი „ხეებისა და ნადირების მწვანე დედაქალაქის“ შესახებ წერს, გავწყდებათ, რომ ბუნების უსულო საგნებზეა ლაპარაკი. პოეტს ისე დამაჯერებლად შევეყვართ „ხეთა საზოგადოებაში“, რომ გვგონია თითქოს ცოცხალ არსებებთან გვქონდეს საქმე. აქ ყველაფერი გაცოცხლებულია: ხეებს ბუჩქებისათვის ჩაუვიდიათ ხელი და თითქოს ფერხულის დაწყებას აპირებენ, თმახუქუქა სვიას ყირმიზი შოთხვი მოხვევია, ქნავი ახალგაზრდა მწყემსივით ალანძულა, ასკილი და ძახველი ბავშვებივით ჩატუცქულან, ყოლო წითელ ტუჩებს უწვდის მათ საკოცნელად. ტანკენარი თეთრი არყის ხე და რცხილა მეფე-დედოფალივით ჩამდვარან ხეთა საზოგადოებაში, მაღალი წიფელები ჩუმად დგანან და მოხუცებივით დასცქერიან შვილიშვილებს, კუზიან მუხას საუკუნეთა სიმძიმისაგან თავი დაუხრია და სიძველისაგან საფლავის ჯვარივით დახავსებული თავის გაქვავებულ ფესვებს დაყრდნობია.

როცა სოპლიცოველები სოკოს კრეფით არიან გართულნი, პან ტადეუში მშობლიური ტყის სილამაზით ტკბება. მას გული მოსდის. სხვები რომ სამხრეთის ფლორას აქებენ, ალოეს, ჭაქოსს. ნუშს. ლიშონს, ზეთისხილსა და კვიპაროსს. ვილნიუის სათბურებში მინახავსო ესენი და ისევ ადამიანებს ადარებს ყოველ მათგანს, ზოგი ხანში შესულ ულამაზო მდიდარ დედაცს დამსგავსებია, ზოგიც მუდამ ცხვირჩამოშვებულია, კვიპაროსი გერმანელ ლაქიას გავს, რომელსაც ლივრეი ჩაუცვამს და ოდნავადაც არ გაინძრევა, არც დაიხრება, რომ ამით სასახლის ეთიკეტი არ დაარღვიოს. სულ სხვა საქმეაო, ამბობს ის, ჩვენებური არყის ხეები, მშობელ დედასავით ცრემლს რომ აფრქვევენ შვილებს, ან ქვრივებივით ნაწნავები რომ გაუშლი-

ათ და მუნჯი სევდით იმტვრევენ თითებს. ტადეუში პატრიო-
ტია, მას ლიტვური ლაქვარდი ურჩევნია იტალიის ლურჯ,
ყინულივით ცივ ცას. სამშობლოს ღრუბლებიც იტაცებს მის
ფანტაზიას: ავდარში ღრუბლის ნაფლეთები მდორედ მიედინე-
ბიან და წვიმის წვეთები ქალის გაშლილი თმებივით ეშვებიან
დედამიწაზე; სეტყვიანი ღრუბლები ქარდაქარ მიჰქრიან და
მათ უკან საშინელი გრიალი მოსდევს, — ისინი ხან კისერს
წაიგრძელებენ, ხან ფაფარს აიშლიან, ყალყზე შედგებიან და
ცხენების ჯოგებივით მიჰქრიან სივრცეში, შემდეგ ეს ჯოგი
ხომალდად იქცევა, ღრუბლები თეთრ იალქნებად გაიშლებიან
და მსუბუქად მიცურავენ ლაქვარდში.

ასე ცოცხლად და სასებობრივად აღიქვამს მიცქევიჩი ბუნე-
ბას. „ამ პოემაში ბუნება ცოცხლობს და სუნთქავსო“ — სა-
მართლიანად აღნიშნავდა პოლონეთის მეორე დიდი პოეტი
იულიუს სლოვაცი.

კეკლუცი ტელიმენა შეშფოთებულია ტადეუშისა და ზო-
სას სიყვარულით. მას თვალში მოუვიდა ახალგაზრდა სტუმარი
და ტყეში ფარულად წერილი და გასაღები მიაჩენია მიჯნურს,
მაგრამ არც მოაშიკე გრავს აწყენინა და ღილის კილოში თავ-
ვისყურა გაუკეთა.

როცა შინ დაბრუნებულები ხმაურით მაგიდას შემოუსხდ-
ნენ, ტელიმენა ტადეუშსაც ეტიტინებოდა და სინაჩუღილია და
სიყვარულით გაბადრულ გრავსაც. გრავი კმაყოფილი იყო
ტელიმენას ნაჩუქარ თავისყურათი, ხოლო ტადეუში გასდღ-
ბით, რომელიც ჯიბეში ედო.

მეორე დღეს, როცა უსაქმურთა მთელი საზოგადოება სანა-
დიროდ წავიდა ტყეში, ტადეუშს ჯერ კიდევ ეძინა. მალე მზის
სხივები ათამაშდა მის სახეზე, თითქოს კაკუნიც მოესმა, თვალი
გაახილა, დარაბის ნაპრალში ვილაცის თვალები კრიალებდა,
მარჯნისფერ ტუჩებში მარგალიტები გამოკრთოდნენ; ვერ გა-
მოერკვა ბურანიდან, თითქოს აჩრდილივით დაადგა ვილაც სა-
წოლზე, „ნადირობის დროაო“, წასჩურჩულა და გაქრა. გარეთ
გამოვარდა ტადეუში, მისი თვალები იმ აჩრდილს ეძებდნენ,
მაგრამ ამაოდ. ბაღში სვია ირხეოდა. ჩანდა, რომ ვილაცის ხე-

ლი ეხებოდა მას, მაგრამ ვერ გაბედა ჰაბუკმა ლობეზე გადასვლა.

ვინ უნდა ყოფილიყო ის? ტელიმენა თუ ზოსა?

რბილი შინაგანი იუმორითაა აღსავსე ვრცლად აღწერილი ნადირობის სცენები და „უკანასკნელი თავდასხმა“¹ სოპლი-ცოვოზე. ყველა ეპიზოდში იგრძნობა ავტორის ირონიული დამოკიდებულება შლიახტის ყოფითი ტრადიციებისადმი. ის არ დასცინის ამ ტრადიციებს, არც გმობს მათ, მაგრამ ისე კი აღწერს, რომ მკითხველს აუცილებლად ღიმილს მოჰგვრის. ნაწარმოების ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟი, მოსამართლე კონსერვატიულად იცავს ყოველგვარ ძველს, დროშოკმულს და აბუჩად იგდებს ყველაფერს, რაც ახალია. ამიტომ მის ყველა მოქმედებას და მსჯელობას თან სდევს ავტორისეული ირონია. მეორეს მხრივ მიცკევიჩი კბილგაუყვრელად არც იმას სტოვებს, ვინც ძველს ხელალებით უარყოფს და პოემის გმირის, გრაფის მსგავსად ბაძავს ყველაფერს, რაც უცხოეთში უნახავს და გაუგონია. ასეთ პირებს მიცკევიჩი ტადეუშს უპირისპირებს. ის არის ავტორის ორიენტაციის მაჩვენებელი ტრადიციულისა და უცხოურის ამ კონტრასტებს შორის.

მაგრამ რაც არ უნდა შერბილებულ ფორმებში იყოს წარმოდგენილი მიცკევიჩის უარყოფითი დამოკიდებულება პოლონეთის წარსულისადმი, მაინც იგრძნობა, რომ „პან ტადეუში“, როგორც მისი მეგობარი სტანისლავ ვორცელი წერდა, „საფლავის ლოდია, გენიოსის ხელით ძველ პოლონეთზე დადებული“.

¹ შინაშენებში მიცკევიჩი თვითონ განმარტავს, თუ რას ნიშნავს ეს „თავდასხმა“, იმ დროს აღმასრულებელ ხელისუფლებას არ გააჩნდა ისეთი ძალა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას შესრულება უზრუნველყო, პოლონელ მაგნატებს კი სასახლეებში მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები ჰყავდათ. სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებლობის შემთხვევაში დაზარალებული ძალას მიმართავდა, შეაკრავებდა ნათესავებს, მეგობრებს, ნაცნობებს, შეიპირავებდა მათ, ხანდახან მაგნატების სახედრო ძალებსაც მოიშველიებდა და აიძულებდა მოწინააღმდეგე პართლმსაჯულების გადაწყვეტილება შეესრულებინა. მიცკევიჩი წერს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების ასეთ შეიპირავებელი ძალებით შესრულებას „თავდასხმა“ ეწოდებოდა.

პოემაში შესანიშნავადაა აღწერილი ნადირობის სცენები. პოეტი ისევ ოსტატურად გადმოგვცემს ლიტვის წარბაც ფლორას და ფაუნას. ნადირობის სცენებს ჩვეულებრივ იუმორისტული ელფერი დაჰკრავს. ამ იუმორს აძლიერებს ასესორისა და ნოტარიუსის „ტრადიციული დავა“, — ამჯერად იმის შესახებ, თუ რომელმა მათგანმა მოკლა დათვი. დათვი კი სინამდვილეში ქსენძ რობაკის მოკლულია, რომელიც ყურადღებასაც არ აქცევს ამ „დიდებას“ და შეუმჩნევლად გაქრება ტყიდან.

ტელიმენა არჩევანშია, არ იცის, ვის უძღვნას სიყვარულით აღსავსე გული, გრაფს თუ ტადეუშს. ერთიც მოსწონს და მეორეც, ერთსაც აქვს მიმზიდველი თვისებები, მეორესაც, მაგრამ ბოლოს მაინც ტადეუშს ირჩევს, გრაფს კი ზოსა უნდა შერთოს. ის დარიგებებს აძლევს ყმაწვილ ქალს—როგორ ჩაიცივას, როგორ მოიქცეს საზოგადოებაში, გლეხურ კაბებს განდის, მდიდრულად მორთავს და „დიდ საზოგადოებაში“ შეიყვანს.

ტადეუშიც მერყეობს, როცა ტელიმენასა და ზოსას უყურებს. მას იზიდავს სიყვარულში გამოცდილი ტელიმენას ვნებიანი ზაფხული, მაგრამ სულს უშფოთებს ზოსას სიტურფის ვარდისფურცლობაც. თავისი გრძნობების დასაფარავად იგი გარბის ტყეში. ტელიმენა ადვილად ამოიკითხავს ტადეუშის თვალეში ვაჟის სულიერ მოძრაობას, აღშფოთდება, მაგრამ უღრანი ტყე, ბნელი ღამე და „ოცნების აკლდამის“ მყუდროება ადვილად შეარიგებს მათ.

სუფრა ისევ ციხის ნანგრევებზე გაიშლება, ტადეუში გუნებაამღვრეულია. ზოსას სიყმაწვილის სარკეში არც ისე მიმზიდველად ეჩვენება ახლა მას ტელიმენა. ქალის გაღედილი გულმკერდი და ფერუმარლის სიკვარბე ეკლადაც ესობა თვალში, ის ეკვიანი თვალებით უყურებს გრაფთან ზოსას თავისუფალ საუბარსა და კისკისს. ტელიმენა თვალებით იკერს ტადეუშის გულისთქმას. მდგომარეობა დაძაბულია. ამ დაძაბულობას აძლიერებს გრაფის მოულოდნელი განცხადება, რომ ციხე-კოშკი მას ეკუთვნის და არც აქვს განზრახული იგი ვინმეს დაუთმოს. სტუმარ-მასპინძლები ორ ბანაკად გაიყოფიან. გო-

რეშკოველები და სოპლიცოველები ერთმანეთს დაერევინან. ძლეული გრაფი და მისი მომხრენი იძულებული ხდებიან გაიქცნენ. გერვაზის რჩევით ისინი ამზადებენ ტრადიციულ „თავდასხმას“ სოპლიცოვოზე.

ქსენდი რობაკი მოსამართლეს უმხელს თავის ვინაობას. მზადდება შლიახტის აჯანყება. მოახლოებულია ნაპოლეონის ლაშქრობაც. ტადეუშს გრაფის დუელში გამოწვევა უნდა. ის ბიძას გაანდობს თავისი სიყვარულის ისტორიას ზოსასთან. იმასაც ეტყვის, რომ სხვა ქალი უნდათ შერთონ. მან იცის, რომ ტელიმენა წინააღმდეგი იქნება ზოსა ტადეუშს მისთხოვდეს და ამ დახლართული მდგომარეობიდან გაქცევით უნდა თავის დაღწევა. მაგრამ ბიძა აჩერებს, ტუქსავს მის ორგულობას, ნებას არ აძლევს გასტეხოს ზოსასთვის მიცემული ფიცი და პირდება დახმარებას.

მძაფრი დრამატული ტონითაა აღწერილი განხეთქილება ტადეუშსა და ტელიმენას შორის. ძუ ვეფხივით განრისხებულა უპაყოფილი ქალი, იგი ხედავს, რომ ტადეუში საბოლოოდ დაკარგულია მისთვის და „ლიტვის ამაყი ასული“ ახლა უფრო თავის შელახულ თავმოყვარეობაზე ფიქრობს, ემუდარება ვაჟს, დამარწმუნე, რომ მარტო ხასა არ ვყოფილვარ შენი, მითხარი, რომ გიყვარდიო. ტადეუში უსრულებს ამ სურვილს, მიყვარდიო, ეუბნება, მაგრამ ეს მაინც ვერ ანელებს „სოპლიცოველი ვენერას“ მრისხანებას. ჯერ კიდევ გუშინ „ოცნების აკლდამაში“ მონეზივრე მიჯნურნი ახლა უდიერი სიტყვებით მიმართავენ ერთმანეთს. კაბუკს სინდისის ქენჯნა აწუხებს. ტბისკენ გაქცეულს მას სიკვდილის აჩრდილი აედევნება. სიყვარულის ინტრიგებში გახლართულ ტადეუშს სურს „მწვანე წყლის საფლაკში“ ჰპოვოს საბოლოო სიმშვიდე. შეძრწუნებული ტელიმენა დაედევნება ვაჟს, ნებას გაძლევ ზოსა შეერთოო, მიაძახებს კიდევ, მაგრამ ტბის ნაპირას ყოფნა—არ ყოფნის მიჯნაზე ჩაფიქრებულ ტადეუშს არც კი ესმის ეს ძახილი. მხოლოდ შემთხვევა იხსნის მას თვითმკვლელობისაგან. შეიარაღებული გრაფი ჩამოივლის თავისი ამალით ტბის ნაპირას და შეიპყრობს ტადეუშს.

გორეშკოველები მოსამართლის ეზოში შეიპყრებიან. იწყება

თავდასხმა. ხანმოკლე ხელჩართული ბრძოლის შემდეგ გრაფის შეიარაღებული ძალები თოკებით შეჰკრავენ სოპლაცოველებს. გამარჯვებულები არბევენ შეპყრობილთა სახლკარს, ხოცავენ შინაურ საქონელს, გამოაგორებენ ღვინით სავსე კასრებს და უგრძობლად თვრებიან. ამასობაში მეფის ჯარის ნაწილებიც შემოიჭრებიან და გაღეშილ თავდამსხმელებს ატუსაღებენ. შეპყრობილია მათი მეთაურებიც — გრაფი და გერვაზი. მეფის ჯარს თავისი ხალხის მოღალატე პოლონელი, სახელად პლუტი მეთაურობს. ის მკაცრად ეპყრობა და აბუჩად იგდებს გორეშკოველ ტყვეებს. პლუტს წინ აღუდგება რუსი კაპიტანი რიკოვი, რომელიც გამოესარჩლება პოლონელებს, და წინადადებას აძლევს მას გაათავისუფლოს ისინი, რისთვისაც დიდძალ ქრთამს ჰპირდებიან. საქმეში ქსენდი რობაიცი ჩაერევა და დაათრობს პლუტს. მთერალი პლუტი ტელიმენას იწვევს საცეკვაოდ და ძალით აკოცებს მას ბეჭზე, რის გამოც ტადეუში სილას გააწნავს თავხედს. იწყება ხელჩართული, სისხლისმღვრელი შეტაკება, რომელშიც პოლონელები იმარჯვებენ. მაგრამ მათ იციან, რომ ეს დროებითი გამარჯვებაა. მეფის მთავრობა დიდძალ ჯარს გამოგზავნის ურჩი შლიახტის დასასჯელად. ყველა გრძობს, რომ რაღაც საშინელება უნდა დატრიალდეს. დიდი და პატარა ამ საშინელების მოლოდინშია. ბუნებაც კი: ცაში ლეგა ღრუბლები აიშალა და უზარმაზარ, ქარით გაბერილ იალქნებივით გადაეფარა ჰორაზონტს. სიჩუმე ჩამოვარდა, ჰაერიც გაირინდა, თითქოსდა შიშისაგან გაოგნებული, თავდახრილი ხორბლის თავთავები ჯაგარივით აიმართნენ და ზეცას მიაჩერდნენ. ვერცხლის დალალებგაშლილი ტირიფებიც გაქვავებულნი დგანან. ვერხვის ფოთლები ცახცახებენ ოდნავ. საქონელმა მინდვრები დასტოვა და ბაგებს მიაშურა ბლავილით. მხოლოდ გაჯიქებული ბულა დგას ისევ მინდორში და გახელებით ჩხვერს მიწას რქებით. ფრინველებიც ტყეში იმალებიან. აქა-იქ ყვავ-ყორნები დადიან მინდვრად და აღმაცერად შეპყურებენ მოქუფრულ ზეცას. მერცხალი ერთი შემფოთებულად გაისრიალებს ჰაერში და ქვასავით ეშვება ძირს. შემდეგ ქარიშხალი ჩამოიქროლებს, ჰეჰა-ჰუხილი ატყდება, ნიაღვარივით წამოვა თქემში და ყველაფერი აირევა

ერთმანეთში: წვიმა, ფოთლები, თივა, დაგლეჯილი ბალახები და ამოთხრილი ფესვები. ტყე დაჭრილი დათვივით დაიღრიალებს, თავსხმაც მატულობს, წვეთები წვეთებს მოყვებიან, სიმებად გაიბმებიან და ქალის გაშლილ თმებივით ეშვებიან დედამიწაზე.

მუდამ ასე ეხმაურება მიცკევიჩის პოეზიაში ბუნების სურათები ადამიანთა განწყობილებას. ბუნებაც ისევე გრძნობს ხოლმე, როგორც ადამიანი. როცა ტყეში სიყვარული დასეირნობს, მიცკევიჩი ხეთა საზოგადოებასაც საქორწინო ასაბიასავით აღწერს, მაგრამ თუ სისხლის მღვრელი ბრძოლები ახლოვდება, ცისა და დედამიწის ქაოსი გვამცნობს ამ უბედურებას. ნაწარმოების გმირს სიყვარულის შუქი რომ ჩაუდგება სულში, ვერაფერი შეაკავებს მზის სხივების შემოტევას, მაგრამ თუ სევდამ დანისლა შეყვარებულთა გული, ცის მნათობებიც ამოდებრძვიან ღრუბლებს. ყოველივე ეს, ცხადია, დიდად აძლიერებს მოქმედებას, უფრო შთამბეჭდავსა და ემოციურს ხდის მას.

რამდენხმა ასეთმა ქარიშხალმა გადაიარა პოლონელთა თავზე, რამდენჯერ იქცა მათი გატანჯული მიწა-წყალი გაპარტახებულ უდაბნოდ. ახლაც ასეთი ქარიშხლის მოლოდინში არიან სოპლიცოველები და გორეშკოველები.

დილამდე გრძელდებოდა მოსამართლის სახლში თათბირი. დაჭრილი ქსენდი, გერვაზი და რუსი რიკოვი თავს იმტვრევდნენ, თუ როგორ აეცდინათ მოსალოდნელი დარბევა. კაპიტანი შეურაცხყოფილი იყო იმით, რომ პლუტივით მასაც ქრთამი შესთავაზეს დახმარებისათვის. ის სამართლიანად ამაყოფს სახელმოხვეჭილი ოფიცრის ღირსებით და განუმარტავს თავის პოლონელ მეგობრებს, რომ უყვარს ისინი და ამიტომ ეხმარება. პოლონელები რიკოვს მამაც და დარდიმანდ ხალხად მიაჩნია. მართალია, იგი ასრულებს მეფის ბრძანებას და ომის დროს ისევე ებრძვის პოლონელებს, როგორც სხვა ხალხებსაც, მაგრამ დამარცხება ან გამარჯვება მასში გაბოროტებას არ იწვევს. რიკოვს ესმის მამულის ფასი. მან იცის, რომ სამშობლო ყველაფერია პოლონელისათვის. ის ამბობს — მეფეს ასე არ სურს, თორემ ჩემი მრწამსი ასეთიაო: „მოსკოვი — რუსს, პოლონეთი — პოლონელს“.

რიკოვი ქრთამის გარეშეც კპირდება დახმარებას. მოლაღა-
ტე პლუტს უგზოუყვლოდ გააქრობენ. მეთაურები უცხოეთში
გადახვეწას გადაწყვეტენ. მათ შორის ტადეუშიც.

მოსამართლეს სურს გამგზავრების წინ დააქორწინოს ზოსა
და ტადეუში. იგი ქსენძ რობაკს თხოვს მათ დალოცვას. მაგ-
რამ ტადეუშს არ უნდა, რომ ახლა შედგეს ნიშნობა. იგი უცხო-
ეთში უნდა გადაიხვეწოს და ურჩევნია, ჯერ სახელი მოიხვე-
ქოს და გმირობით მოიპოვოს ამ სიყვარულის უფლება, ხოლო
თუ სამუდამოდ გადაიკარგა, არ გააუბედუროს საყვარელ ზო-
სას ყმაწვილქალობა.

ზოსა მეორე ოთახიდან ისმენდა ამ საუბარს. ორივე ახალ-
გაზრდის გული ერთნაირად ძგერდა, მაგრამ ისინი ცხოვრების
ბედუკუღმართობამ გათიშა. გრაფი და ტელიმენაც ურიგდე-
ბიან ტადეუშს. ქსენძი გზას ულოცავს დევნილებს. ზოსა ტა-
დეუშს სამახსოვრო საჩუქარს აძლევს, ტელიმენა ბანტს მოიგ-
ლეჯს და გრაფს მკერდზე დააბნევს, შეყვარებული ქალები
გმირობისაკენ, სამშობლოსათვის თავდადებისაკენ მოუწოდე-
ბენ თავიანთ რჩეულებს. თითქოს მთელი პოლონეთი დადა-
დებს გრაფისადმი მიმართულ ტელიმენას სიტყვებით:

„დეე ჩემმა საჩუქარმა გზა გაგიკვლიოს საგმირო საქმეები-
საკენ, მოელვარე ხმლისაკენ. როდესაც შუბებისა და ისრების
ზუზუნში ბრძოლით გაითქვამ სახელს, უკვდავი დიდების შა-
რავანდით შეიმოსები და დაფნის გვირგვინით შეიმკობ შენს
გასისხლიანებულ ჩაფხუტს და მუზარადს, შეხედე ამ ბანტს,
ამდენ ხანს რომ დიდებით ატარებდი, და მოიგონე, რომ ეს ტე-
ლიმენამ გადმოგცა“.

მძიმეა განშორების სცენები. ტადეუში შორდება საყვარელ
ზოსას და, ისე, რომ არც კი იცის, თავის მამასაც. ქსენძ რო-
ბაკს არ სურს მოახლოებული სიკვდილის წინაც გაუმხილოს
შვილს თავისი ცხოვრების საიდუმლოება. მხოლოდ ტადეუშის
წასვლის შემდეგ მოუთხრო მან მოსამართლესა და გერვანს
თავისი თავგადასავალი.

დაამთავრა თუ არა აღსარება, იაცეკ სოპლიცამ კიდევაც
განუტევა სული.

პოემის ორ უკანასკნელ ნაწილში აღწერილი ამბები რამ-

დენიმე თვის შემდეგ, სახელდობრ 1812 წლის გაზაფხულზე ხდება. ნაპოლეონის რუსეთისაკენ მიმავალი ჯარები გაივლიან პოლონეთის ტერიტორიას. პოლონელთა რაზმები თან მიყვებიან საფრანგეთის არმიას. სოპლიცოვოსთან რომ შეჩერდნენ, მეომრებმა სამი დღის შევებულება მიიღეს. პოლონელებს გენერალი დომბროვსკი ხელმძღვანელობს.

„პოლონელი არწივების“ საპატივეცემლოდ გრანდიოზული ლხინი იმართება სოპლიცოვოში. სამი წყვილი შეუღლდება იმ დღეს: ტადეუში და ზოსა, ნოტარიუსი და ტელიმენა, ასესორი და ვოისკის ქალიშვილი, დომბროვსკიმ სურვილი გამოთქვა ძველებური ტრადიციული პურობა გაემართათ. დილაძდე გრძელდებოდა ზეიმი. იაცეკ სოპლიცაც გაიხსენეს, ძველი სახელი აღუდგინეს და უმაღლესი ორდენითაც დააჯილდოვეს განსვენებული მეომარი.

თითქოს აქ თავდება ნაწარმოების სიუჟეტური განვითარება, მაგრამ მიცკევიჩი მაინც აგრძელებს და მეთორმეტე თავში მთელი პოემის იდეურ კვინტესენციას გვაძლევს; დამახასიათებელია ამ ნაწილის სათაურიც: „შევიყვაროთ ერთმანეთი!“ მიცკევიჩი აქ თითქოს შორდება სინამდვილეს და წარმოსახულის სფეროში გადადის, ის აღწერს არა იმას, რაც იყო, არამედ იმას, რაც მას სურდა, რომ ყოფილიყო. ეს სურვილის გამოხატულება უფროა, ვიდრე სინამდვილის სურათი, მაგრამ სინამდვილე მაინც იჩენს თავს და ერთგვარი დისონანსიც შეაქვს საერთო საზეიმო განწყობილებაში. ერთ დროს „ნაპოლეონის ლეგენდით“ გატაცებულ მიცკევიჩს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ისტორიის გამოცდილებისათვის. ის დარწმუნდა, რომ ამაო იყო ნაპოლეონის ხელით პოლონეთის გათავისუფლებაზე ოცნება. მართალია, ის ამ პოემაშიც 1812 წლის გაზაფხულს თავისი კბატუური ოცნების გაზაფხულს უწოდებს, მაგრამ ახლა სხვა თვალსაზრისსაც უპირისპირებს „ნაპოლეონის ლეგენდას“. გენერალი დომბროვსკი ამჩნევს, რომ ძველი, სახელმწიფოეკილი მეომარი მათე, რომელსაც სიყვარულით მატეკას უწოდებდნენ, განზეა გამდგარი და საერთო ზეიმში მონაწილეობას არ იღებს. გენერალი მოიხმობს მას და ეუბნება: „შენ რა, მეგობარო, რომ არც სვამ და არც მხიარულობ? ლიტ-

ველო დარდიმანდო, რატომ სდუმხარ და იღუშები, თითქოს რამე დამეშავებინოს, ან იქნებ არც გიხარია ვერცხლისფერი და ოქროსფერი არწივების გამოჩენა? არ გიტაცებს კოსტიუშკოსებური განავარდება? ნუთუ ვერ იგრძენი შლიახტური სილამაზე? მე მეგონა, ხმალს თუ არ გალესავდი, ღვინოს მაინც აუცილებლად დალევდი იმპერატორისა და პოლონეთის იმედის სადღევრძელოდ!“

ბრძნულად უქასუხა მატეკამ გენერლის ამ საყვედურს: გამიგონია, რომ ორი არწივი ერთ ბუდეში ვერ მოთავსდება. არ ვდავობ, ნაპოლეონი გმირია, მაგრამ პოლონეთს თავისი გმირი ესაჭიროება, არა იტალიელი ან ფრანგი, არამედ ვინმე პოლონელი იუზეფი, შაკა ან იანი. ამბობენ, ეს პოლონური ჯარებიანო, მაგრამ გერმანული სახელები კი უფრო მეტია მასში, ვიდრე ჩვენებური, ხალხური. თქვენთან ალბათ თურქებიცა და თათრებიც იქნებიან, — ირონიულად ჩაუკრავს გენერალს პოლონელი ხალხის წარმომადგენელი. — ჩემი თვალებით ვნახე, თუ რა საძაგლობას ჩადიან თქვენი ჯარები სოფლებში, ქალებს სცემენ, არ ინდობენ ჩვენს უძველეს სარწმუნოებას. მოსკოვისაკენ მიეჩქარებათო, ამბობს მატეკა და შენიშნავს, შორი გზააო მოსკოვამდე. ღმერთის დახმარების გარეშე ძნელად გამოაღწევენო იქიდან. მე კი გამიგონია, რომ ნაპოლეონი შეჩვენებულია და ეკლესიისაგან განკვეთილიო.

მატეკას სიტყვებში ცხოვრების სიმართლე ჩანს და მიცქევიჩიც ანგარიშს უწევს ამას, თუნდაც ნაწილობრივ ეს მის შეხედულებებს ეწინააღმდეგებოდეს.

იუმორი ბოლომდე მიყვება პოემას. მეფე-დედოფალი ნოტარიუსი და ტელიმენა რომ გამოვლენ, ყველას გაეცინება: ახლობლებიც ვერ იცნობენ, ისე გამოცვლილა ნოტარიუსი ფრაკში. ტელიმენამ აიძულა ის „გაევეროპიელბულიყო“ და ფრაკი ჩაეცვა. საცოდავს ისე უყვარდა თავისუფალი მოძრაობა, ახლა კი მარგილივით გაჯგიმული მოდის, ყანჩასავით მოაბიჯებს, არც დახრა შეუძლია, არც დაჯდომა, არც იცის ხელებს რა უყოს, რცხვენია ფრაკის ჩაცმა, მაგრამ რა ქნას, ტელიმენასი ეშინია.

როცა ნოტარიუსის თვალები მატეკას გესლიან თვალებს

შეხვდა, „გაევროპიელებული სასიძო“ შიშით აცახცახდა; ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ უწინ, ახლა კი მატეკამ საჯაროდ „ჩერჩეტი“ უწოდა ნოტარიუსს, ზიზლით დასტოვა წვეულება, ცხენს მოახტა და გაქუსლა.

ბრწყინვალე სანახაობას წარმოადგენდა ტელიმენა. გედით მოცურავდა ის ხალხში და თავისი უბადლო სილამაზით აჯადოებდა ყველას. გრაფი ქალღმერთით გაფითრებული შეპყურებდა მას. შემდეგ ვერ მოითმინა და წყევლა-კრულვა მიახალა ფიცის გამტეხ ქალს. სუფრა აირია, ნოტარიუსი გაიძურწა, ტელიმენამ კი გრაფი გვერდზე გაიხმო და უთბრა: ჯერ ხომ ჯვარი არ დამიწერია, თუ შენ გინდა, მითხარი და ახლავე შენზე დავიწერ ჯვარსო. მაგრამ შეურაცხყოფილ გრაფს უკვე აღარ უნდა ასეთი ქორწინება, იგი რომანტიკულ ექსტაზში ვარდება და ისევ ცისა და ვარსკვლავების შესახებ ელაპარაკება ტელიმენას. ქალი უხეშად აწყვეტინებს გრაფს, მომწყინდაო შენი უშედეგო ლაყბობა, მე უბრალო ქალი ვარ და ხელს ნუ შემიმოლი, თორემ თვალებს ამოგაწერავო.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს გრაფი და ტელიმენა. წვეულება ისევ გაგრძელდა. ტელიმენამ ისევ მოძებნა და მხარში ამოიყენა ინდაურივით გაფხორილი ნოტარიუსი.

შემდეგ მიცკევიჩი ტადეუშისა და ზოსას ურთიერთობას აღწერს. ეს ბედნიერი წყვილი ამკობს ამ წვეულებას. ტადეუში აცნობებს ზოსას, რომ დიდი მემკვიდრეობა მიიღო და ყმაც ბევრი ეყოლება. მაგრამ სწორედ ეს აწუხებს მიცკევიჩის აზრთა ორეულს. იგი ამბობს, მონათმფლობელად ყოფნა სამარცხვინოაო ადამიანისათვის, მე ადამიანი ვარ და არ მინდა, სხვის ბედნიერებაზე ვითამაშოო და ორიოდ ფრაზით გამოხატაჲს პოლონელ გლეხთა ოცნებას: „ჩვენ თავისუფლები ვართ, მაშ გლეხებსაც მივსცეთ თავისუფლება, მემკვიდრეობით მიღებული მიწები ხალხს გადავცეთ; გლეხი ამ მიწაზეა დაბადებული, ის ღვრის ოფლს და მისი შრომით ცხოვრობს მთელი ქვეყანა“.

ზოსა თანახმაა ტადეუშის წინადადებისა, გერვასს აშინებს— ეს თავისუფლება „გერმანელების მოგონილი არ იყოსო“, მაგრამ მაინც მოუწონებს და მდიდრულადაც დაასაჩუქრებს პატარძალს. გლეხები გაიგებენ თუ არა მათი განთავისუფლების

ამბავს, მუხლებში ჩაუვარდებიან ტადეუშს და ზოსას. დომბროვსკი დაიძახებს: „გაუმარჯოს ხალხს!“ და გლეხები უპასუხებენ: „გაუმარჯოს ბელადებს“.

ათასი ზარის გუგუნად გაისმა მოწოდება: „გაუმარჯოს ხალხს, გლეხობას, ყველა წოდებას!“

ორკესტრმა „პოლონეზი“ წამოიწყო და ზეიმმა კულმინაციას მიადგინა. გაისმა დომბროვსკის მარში — „პოლონეთი არ დალუპულა“, რომელსაც ყველამ ერთად შეუწყო ხმა. ბოლოს ვაშას ძახილმა დაფარა ყველაფერი.

„მეც იმ სტუმრებთან ვიყავი, ვსვამდი თაფლსა და ღვინოს და რაც ვნახე და გავიგონე. აქ მოვეუყარე ყველაფერს თავიო“, ამთავრებს პოემას მიცკევიჩი.

მაგრამ, როგორც გამოირკვა, მისი პოეტური ინერცია არც აქ შეჩერებულა. მიცკევიჩის სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას „პან ტადეუშის“ ეპილოგიც დაუწერია. პოემის უკანასკნელ სტრიქონს რომ წერტილი დაუსვა, თითქოს კიდევ რაღაც დარჩა სათქმელი პოეტს და ყოველივე ეს ეპილოგში მოაქცია. ამ ეპილოგს დიდი მნიშვნელობა აქვს პოემის გასაგებად. მიცკევიჩს კარგად ესმოდა, რომ ზეიმი სოპლიცოვოში მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო. ამიტომაც იგი ასე იწყებს ეპილოგს: ყოველივე ამის შესახებ მე ვოცნებობდი პარიზის ქუჩებში, სიცრუით, მდაბალი ტყუილით, დაკარგული იმედებით, წყევლა-კრულვით, კინკლაობითა და სინანულით გარემოცული; და შემდეგ ამას მოყვება პოეტის სულიერი აღსარება: ვაი ჩვენ, რომ სისასტიკის წუთებში გადავიხვეწით უცხოეთში. სადაც არ უნდა წავსულიყავით, თან გვსდევდა შეჭირვება. სამყარო ყურებზე თითს იცობდა ჩვენს ჩივილზე. პოლონეთიდან სამგლოვიარო ყრუ ხმებად მოისმოდა ხალხის კვნესა-გოდება. შავი სიკვდილი დაგვიყენეს დარაჯად, სამარეს გვითხრიდნენ ყველგან და ცაშიც არ კიაფობდა იმედის ვარსკვლავი. ერთი რამ გვქონდა ნუგეშად: ბუხართან ჯდომა და ოცნება ჩვენი ბავშვობისა და სიკბაბუკის დღეებზე. ახლა კი ჯვარცმულ სამშობლოს წინაშე თვით სიმამაცეც სასოწარკვეთით დაიმტვრევს თითებს. დედაო პოლონეთო! სამარეს მიგაბარეს შენ და მწუხარებისა-

გან ენა დაება ყველას. საუკუნეები გაივლიან, ვიდრე მოიძებნება ამ მწუხარების გამომხატველი სიტყვა.

მაგრამ როდესაც შურისძიების ლომების ბრღვინვა გაისმის და საყვირების გუგუნში დაემხობიან ტირანები, როცა ხალხს მახვილით ამცნობენ სასურველსა და დიდი ხნის ნანატრ თავისუფლებას, როცა დიდების შარავანდით მოსილი მშობლიური არწივები მიაღწევენ ბოლესლავის საზღვრებს, გაძლებიან მტრის სისხლით და გალაღებულნი დაკეცავენ ფრთებს, — მაშინ დაფნის გვირგვინებით თავშემკობილი, იარაღშეხსნილი მეომრები დაუბრუნდებიან სიმღერებს და ცხარე ცრემლებით დაიტირებენ მამა-პაპათა მძიმე ხვედრს.

მიცქევიჩი ისევ იგონებს თავის ბავშვობის წლებს, მშობლიურ კარმიდამოს, მშობლებს, ნათესაეებსა და მეგობრებს. სამშობლოს მოწყვეტილი პოეტის სულს უსაზღვრო სევდით ავსებს ეს მოგონება. მაგრამ ის მაინც არ ვარდება სასოწარკვეთილებაში. ერთი სლავური ზღაპრის გამოყენებით შესანიშნავ სახეს ქმნის პოეტი. წეროები რომ შორეთიდან მოფრინდნენ, ციხეს გადაუფრინეს და ბავშვის ტირილი მოესმათ. ყოველმა მათგანმა თითო ბუმბული ჩაუგდო ბავშვს, რომელმაც ამ ბუმბულებისაგან ფრთები გაიკეთა და გათავისუფლდა. მიცქევიჩი იმედოვნებს, რომ მისი პოეზია ერთ ბუმბულს მაინც ჩაუგდებს მის დატყვევებულ სამშობლოს და ნატრობს: ნეტავი იმ ბედნიერ დღეს მოვესწრებოდე, როცა ეს წიგნი სოფლიდან სოფელში, ხელიდან ხელში გადავაო.

ბრწყინვალე დაფნის ფოთლებზე უფრო ძვირფასია პოეტისათვის ქალწულის მიერ გარიყრაჟისას შეკრული უბრალო გვირგვინი ბალახებისა და ფურისულასაგან.

ამით დასრულდა მიცქევიჩის პოეტური ცხოვრების გზა. ეს ეპილოგიც უფრო მისი მთელი შემოქმედების ეპილოგია, ვიდრე მხოლოდ „პან ტადეუშისა“. მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით „პან ტადეუში“ საუკეთესოა მიცქევიჩის ნაწარმოებთა შორის.

40-იან და 50-იან წლებში მიცკევიჩი საფრანგეთში საკმაოდ სახელმძღვანელო მწერალი იყო. იგი ევროპის პროგრესული ლიტერატურის მოწინავე პოზიციაზე იდგა. მან კიდევ უფრო განავითარა ბაირონისა და შელის, ჰაინესა და ჰიუგოს დემოკრატიული იდეები. მიცკევიჩმა აღიარა მუშათა კლასის მსოფლიო ისტორიული როლი ამ იდეების განხორციელების საქმეში. იგი არ დაკმაყოფილდა თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის ზოგადი ფილანთროპიული ლოზუნგებით და რევოლუციურ აქტივობისაკენ მოუწოდა მასებს. თუ მის ადრინდელ შეხედულებებში ასე თუ ისე მაინც გამოსჭვივოდა კლასთა შერიგების იდეები, თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში მიცკევიჩი უკვე ასეთი შემარიგებლობის წინააღმდეგ გამოდის. უპირისპირდება რა სოციალ-უტოპისტებს, მიცკევიჩი წერს: „თქვენ აღარებთ, რომ არსებობენ მხოლოდ მონები და მათი მჩაგვრელები, მსხვერპლები და ჯალათები და მათვე დროს გასურთ გააბედნიეროთ კაცობრიობა იმით, რომ დაამყაროთ ჰარმონია სუკეთესა და ბოროტებას შორის!“

დიდი პოლონელი პოეტი მივიდა კლასთა შორის ჰარმონიის შეუძლებლობის აღიარებამდე და ლიბერალური იდეების ქადაგებას იმათი ინტერესების დაცვა არჩია. ვინც პარიზის ქუჩებში აღმართულ ბარიკადებზე ღვრიდა სისხლს. შეიძლება თავისი ასეთი რადიკალური შეხედულებანი აკავებდა მიცკევიჩს უფრო ახლო კონტაქტი ჰქონოდა იმ პერიოდის სახელმძღვანელო ფრანგ მწერლებთან. ის მაინცდამაინც არ ეტანებოდა ფრანგულ ლიტერატურულ წრეებს. ერთხელ ვიქტორ ჰიუგოსთან სხვა სტუმრებთან ერთად ისე შევიდა და ცოტა ხნის შემდეგ ისე გამოიპარა უკან, რომ მასპინძელს არც მისვლა შეუტყვივია მისი და არც წასვლა. მეგობრებმა ბალზაკსაც წარუდგინეს პოლონელი პოეტი, რომელთანაც იგი ფრანგი რომანისტი მუუღლეს, კაროლინა სობანსკას დას — განსკან შეხვდა, მაგრამ არც მათ შორის გაბმულა მეგობრული ურთიერთობა. მწერალი ქალი ჟორჟ სანდი მიცკევიჩის თაყვანისმცემელი იყო, მაგრამ მათი ურთიერთობაც არ გასცილებია სალონური ცერემონიების

ფარგლებს. ალფრედ დე ვინიმაც გაუწოდა რამდენჯერმე მეგობრობის ხელი მიცკევიჩს, მაგრამ ვერც მასთან იგრძნო სულიერი სიახლოვე, ლამარტინთან მეგობრობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასე რომ სამშობლოდან გადმოხვეწილი პოეტი ფაქტიურად ლიტერატურული გარემოცვის გარეშე ცხოვრობდა. რა დიდი განსხვავებაა ამ მხრივ მიცკევიჩის რუსეთში ყოფნასა და საფრანგეთში ცხოვრებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთი მაშინ „უსინდისოდ ჩაგრავდა პოლონეთს“ (ლენინი), ხოლო საფრანგეთი თითქოს მეგობრობის ხელს უწვდოდა, ადამ მიცკევიჩს, როგორც დავინახეთ, პეტერბურგსა და მოსკოვში გარს ეხვივნენ რუსული მწერლობის კორიფეები და ოჯახურ სიტბოს არ აკლებდნენ ყარაბ მგოსანს. დასავლეთ ევროპაში კი, თუმცა მეოთხედი საუკუნე ცხოვრობდა იქ, არც ერთი დიდი მწერალი არ გაუხდია გულის მეაბიდუმლედ.

როგორც ჩანს, მიცკევიჩის ჩანგის ეღერა ვერ შეეწყო ევროპის მწერლობის ძლიერ, მაგრამ მკვეთრად დოსონანსურ სიმფონიას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიცკევიჩის შემოქმედება მთლიანად გამოთიშულია დასავლეთ ევროპის ლიტერატურული მიმდინარეობისაგან, მაგრამ ის მაინც ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში არ იგრძნობა აზრებისა და მოქმედების ისეთი ერთიანობა, როგორც იგრძნობოდა მიცკევიჩისა და რუს მწერლებს შორის.

პარიზში უკვე საკმაოდ ხანდაზმულმა პოეტმა ცოლის შერაცხვა გადაწყვიტა. ევა-ჰენრიეტა ანკვიჩთან მისი შეუღლება არ მოხერხდა, თუმცა პოეტს ამისი დიდი სტრჯილი ჰქონდა. ამ პერიოდში „პოლონელ ბაირონს“ ძველებურად გარს არ ეხვივნენ მდიდარი პანენის ქალიშვილები. ამიტომ ძველის მოგონება გახდა საჭირო. მისი გადაწყვეტილება სრულიად მოულოდნელი იყო: უკვე განსვენებულ მარია შიმანოვსკას უმცროსი ქალიშვილი ცელინა (უფროსი და ელენე მიცკევიჩის მეგობარს ფრანციშეკ მალევსკის მითხოვდა). როცა მიცკევიჩი პეტერბურგიდან წამოვიდა, ცელინა ჯერ კიდევ ბავშვი იყო. დაობლების შემდეგ ის პეტერბურგიდან ვარშავაში წაიყვანეს ნათესაებებმა. ცელინამ, შეიტყო თუ არა მიცკევიჩის გადაწყვეტი-

ლემა, ბევრი არც უფიქრია, პირდაპირ პარიაში გაემგზავრა და ერთი თვის შემდეგ ჯვარისწერაც შედგა. მსოფიანი პოლონელი მწერალი იულიუს ნემცევიჩი იყო მათი მეჯვარე. ახალნაქორწილენი პარიზის გარეუბანში, ბატინიოლში დასახლდნენ და საოჯახო საქმეებში ჩაებნენ. მიცკევიჩი წერდა დომეიკოს ცელინას შესახებ: „მე ის მიყვარდა ერთ დროს, როგორც კეთილი, ცოცხალი და მხიარული ბავშვი. ჩვენ ისე დავშორდით მაშინ ერთმანეთს, რომ არც ვითვალისწინებდით და არც ვგრძნობდით, რომ ოდესმე კვლავ შევხვდებოდით. ცელინამ დაჰკარგა მშობლები, ჩემი ქორწინება სხვასთან არ შედგა, მოვიგონეთ ძველი, ხანგრძლივი ნაცნობობა. ის ჩამოვიდა ჩემთან, და ჩვენ მაშინვე დავიწერეთ ჯვარი. ჩემს მეგობართაგან უკანასკნელ წუთამდე ამის შესახებ არავინ იცოდა“.

ოჯახურმა გარემოცვამ მიცკევიჩი ცოტათი დაამშვიდა და ისევ მოაკიდებინა კალმისთვის ხელი. მან დაწერა დრამა ფრანგულ ენაზე და წასაკითხად ყორჟ სანდს გაუგზავნა. ყორჟ სანდმა შეუქო მიცკევიჩს „ძალა და ენერგია“ სტილისა და დასძინა, დრამის საკითხში არა ვარ კომპეტენტური, თანაც ისე ვარ აღტაცებული საერთოდ ყველაფრით, რაც თქვენს კალამს ეკუთვნის, რომ აღბათ ამ ახალი ნაწარმოების ნაკლს ვერც შევამჩნევო.

მიცკევიჩმა სწორედ შეაფასა ეს წერილი, როგორც მწერალი ქალის „პოეტური გალანტობის“ გამოხატულება და ასეთივე თავაზიანი პასუხიც გასცა. ეს დრამა სუსტია. იგი არ შედის მწერლის შემოქმედებით აქტივში და არც მის თხზულებათა კრებულშია შეტანილი; თვითონ მიცკევიჩსაც არ უცდია მისი დაბეჭდვა.

იულიუს სლოვაკი გადმოგვცემს: „ადამმა ლუკმა პურის ააშოვნელად დასწერა დრამა ფრანგულ ენაზე და თვითონ აღიარა, რომ ისე წერდა ამ ნაწარმოებს, როგორც მეჯვარე კეჩავს ყოველგვარი გატაცების გარეშე ფეხსაცმელს მხოლოდ ამისთვის, რომ ცოლ-შვილი გამოკვებოსო“.¹

„პან ტადეუსის“ შემდეგ მიცკევიჩის მუზა ისევ გაიყინა. 1835 — 1837 წლებმა უნაყოფოდ ჩაიარა. ახლა იგი უფრო ლუკმა პურის შოვნაზე ზრუნავდა, ვიდრე შემოქმედებაზე.

¹ ი. სლოვაკის წერილი დედისადმი. 1838 წელი, 19 მაისი.

სურდა რამე სამუშაოსათვის მოეკიდა ხელი, მაგრამ ვერაფერს გახდა.

როგორც მიცკევიჩის ბიოგრაფები წერენ, ამ დროს ხშირად მიდიოდა მასთან ნ. გოგოლი, მათ შორის ისეთი მჭიდრო მეგობრული კავშირი დამყარებულა, რომ, როგორც ვერესაევი წერს თავის წიგნში „გოგოლი ცხოვრებაში“, დიდ რუს მწერალს პარიზში „მხოლოდ მიცკევიჩთან ხშირად შეხვედრის შესაძლებლობა აკავებდა“. ერთი წლის შემდეგ გოგოლი უკვე რუსეთიდან სწერდა ს. შევიროვს: „თუ სადმე შემთხვევით მიცკევიჩს შეხვდე, ჩემს მაგივრად მაგრად გადაეხვიეო“.

ამ დროს მეხივით გავარდა ცნობა პუშკინის ღუელში მოკვლის შესახებ. ამ ცნობამ მაშინვე მიაღწია პარიზამდე, მიცკევიჩამდე. შესაძლებელია, პოლონელმა პოეტმა პუშკინის მოკვლის ამბავი გოგოლისაგან გაიგო. ორივე ერთნაირად იყვნენ შეძრწუნებული დიდი რუსი პოეტის ვერაგულად მოკვლის გამო. იმასაც ამბობდნენ, მიცკევიჩმა პუშკინის მკვლელი დანტესი ღუელში გაიწვიაო.

1837 წლის 25 მაისს მიცკევიჩმა ფრანგულ ჟურნალ „გლობუსში“ გამოაქვეყნა სტატია-ნეკროლოგი: „პუშკინი და ლიტერატურული მოძრაობა რუსეთში“. ამ სტატიაში მიცკევიჩი ახასიათებს თავისი მეგობრის შემოქმედებას, იმ დიდ ნოვატორულ ძალას, რომლითაც ხასიათდება რუსი პოეტის ნაწარმოებები. მიცკევიჩი ხაზგასმით აღნიშნავს პუშკინის ბრძოლას რუსეთში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, მის კავშირს დეკაბრისტულ მოძრაობასთან და მისი პოეტური გენიის შეუდარებლობას. იგი წერს: „არც ერთ ქვეყანას არ უწერია, რომ იქ უფრო მეტად, ვიდრე ერთხელ გამოჩნდეს ადამიანი, რომელშიც ერთიანდებოდეს ესოდენ დიადი და ესოდენ მრავალფეროვანი, თითქოს ერთმანეთის გამომრიცხველი ნიკი და უნარი“.

მიცკევიჩი მაღალ შეფასებას აძლევდა იმ პერიოდის რუსულ ლიტერატურას. ისიც საყურადღებოა, რომ იგი პუშკინის ხანაში ვერ ხედავდა ვერცერთ მწერალს, რომელიც მტრულად არ ყოფილიყოს განწყობილი მეფის ხელისუფლებისადმი. პოეტი წერს, რომ ნიკოლოზ პირველის გვირგვინის კურთხევის დროს რუსეთში ვერ აღმოაჩინეს ვერცერთი მწერალი,

რომელიც ოდას შეთხზავდა ახალი გვირგვინოსანის სადიდებლად და ხელისუფლება იძულებული გახდა პარიზიდან გამოეწერა სასწრაფოდ ასეთი საკარო მეხოტბე¹.

მიცკევიჩის აზრით, პუშკინი თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში ფიქრობდა რაღაც გრანდიოზული ნაწარმოების დაწერას და მისი დროებითი პოეტური დუმილი ბედნიერების მომასწავებელი იყო რუსეთის ლიტერატურისათვის.

„მე მოველოდიო, — წერს იგი, — რომ ჩქარა ის გამოვიდოდა სცენაზე, როგორც ახალი ადამიანი, მთელი ძალით თავისი ტალანტისა, რომელიც მოამწიფა ცხოვრების გამოცდილებამ და განამტყიცა ხანგრძლივმა შრომამ. ყველა ვინც მას იცნობდა, იზიარებდა ჩემს მგზნებარე მოლოდინს.

დამბაჩის ერთმა გასროლამ გააცამტვერა ეს იშედები.

ტყვია, რომელმაც პუშკინი განგმირა, საშინელი დარტყმა იყო ინტელექტუალური რუსეთისათვის“.

მიცკევიჩის მთელი სტატია დაწერილია ამ ტონითა და განწყობილებით. მასში გამოხატულია დიდი პოლონელი პოეტის ძლიერი სიყვარული „ინტელექტუალური რუსეთისა“ და მისი საუკეთესო წარმომადგენლის პუშკინისადმი. სტატიას ხელს აწერს „პუშკინის მეგობარი“.

დაიწყო მიცკევიჩის ცხოვრებისა და შემოქმედების დაღმართი, მისი უღიმღამო არსებობის უინტერესო და მოსაწყენი პროზა. აქამდე მისი ცხოვრების ბნელ კაბადონს შემოქმედებითი ცეცხლი მაინც ანათებდა, ახლა კი ეს ცეცხლი ჩამქრალიყო, პოეტურ ფანტაზიას ფრთები დაეკეცა და ხანგრძლივი, უშედეგო ბრძოლით მოტეხილი პოეტი მიჰყოლოდა ცხოვრების სისასტიკით ნაკარნახევ გზას. ახლა მას აღარც მარილა ახსოვს, რომელსაც ყოველთვის სევდიანი სითბო შეჰქონდა მის სტრიქონებში, არც კოვალსკა, არც ანკეიჩი და არც სხვა ვინმე, კაუნასელი, ოდესელი, მოსკოველი თუ პეტერბურგელი კეკლუცთაგანი. ზოგი ადრე გარდაიცვალა, ზოგი არა საინტერესო ჰსსაკში შევიდა, ზოგმაც უბრალოდ დაივიწყა მოტეხილი, გა-

¹ მიცკევიჩის მხედველობაში ჰყავს ფრანგი დრამატურგი ჟაკ ანსელო (1794—1854), რომელმაც დასწერა ნიკოლოზ 1-ის კორონაციის გამო.

ქადარავებული და ოდნავ გამელოტებული „პოლონელი ბაირონი“. აღარც უცხოეთში მოფუსფუსე გრაფებისა და პანების ცოლები და ქალიშვილები იზიდავენ მას და არც ოჯახური ცხოვრება შეექმნა ბედნიერი. ერთხელ წიგნების დალაგებისას ცელინა მიცკევიჩის ერთი ძველი ნაცნობი ქალის წერილს წააწყდა, რასაც გაუთავებელი ტირილი, სცენები, უკმაყოფილება მოჰყვა. ცელინა მოითხოვდა ქმრისაგან ხსოვნიდან ამოეშალა ყველა, ვისაც ის მანამდე ეტრფოდა... თუმცა ამის მოთხოვნა არ იყო საჭირო, ცხოვრება ისედაც შლიდა მათ სახეებს პოეტის მენსიერებაში.

მიცკევიჩი ზოგჯერ ისევ წაეტანებოდა ხოლმე კალამს, მაგრამ ახლა, იულიუს ნემცევიჩის სიტყვებით რომ ვთქვათ, უკვე შთაგონებით კი არა წერდა, „არამედ ჩვეულებისა გამო“. ან რაზე უნდა ეწერა? წინათ მის შემოქმედებას ამოძრავებდა კვინტესენცია იმისა, რასაც თავისი მღელვარე და შინაარსიანი ცხოვრების დროს განიცდიდა და იბადებოდნენ ვალენროდი, კონრადი, ტადეუში... ახლა კი პოეტი შინაგანად დაცალიერებულიყო, გული გაცივებოდა, გრძნობები ჩაქრობოდა და მხოლოდ ცოდნა შერჩენოდა, ცხოვრების გამოცდილებითა და განსწავლულობით დაგროვილი სიბრძნე.

მისი ორი ახალი პიესა მიუხედავად ქორე სანდისა და ალფრედ დე ვინის ავტორიტეტული მხარდაჭერისა, სცენაზე არ დაიდგა და არც ფინანსური მოლოდინი გაუმართლა ავტორს.

თავის ერს მოწყვეტილი მიცკევიჩი მოსწყდა მშობლიური ენის სტიქიასაც. ეს დრამები მან ფრანგულად დაწერა. მართალია, მას ენაც შეუქვს ფრანგულის ოსტატებმა, მაგრამ ეს ქება უფრო თავაზიანობით იყო ნაკარნახევი, რადგან მიცკევიჩი მხოლოდ ნასწავლ ფრანგულს ფლობდა და ისე არ შეეძლო უცხო ენის სტიქიაში შექრა, რომ მაღალმხატვრული ნაწარმოებების დაწერა მოეხერხებინა.

სენებული დრამების გარდა მიცკევიჩმა ფრანგულ ენაზე დაწერა „მომავლის ისტორია“ და შემდეგ „პოლონეთის ისტორიის“ წერასაც შეუდგა. ერთი სიტყვით მიცკევიჩის პოეტური ბიოგრაფია დასრულდა, დარჩა მიცკევიჩი პუბლიცისტი და მეცნიერი.

მატერიალურად ძლიერ გაუჭირდათ მიცკევიჩებს. გენიოსი პოეტი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ფულის სესხებაში იყო. მის პირად წერილებში ყურადღებას იქცევს აღმალლებული სატრფიალო თუ ბრძნული საზოგადოებრივი აზრების შემდეგ აუცილებლად მომყოლი აბზაცები ფულის სესხების, წიგნების გაყიდვის, შემოსავლის გაანგარიშების შესახებ. წინათ მეგობრები უწყვედნენ მას ფინანსურ დახმარებას, ახლა კი ისინიც შემოეცალნენ. საჭირო გახდა საარსებო წყაროს ძიება და აი 1838 წელს მიცკევიჩი ჯერ ენეევას გაემგზავრა, შემდეგ კი ლოზანაში ჩავიდა, მაგრამ არა შვეიცარიის გრანდიოზული ბუნების მშვენიერებით დასატკობად და შემოქმედებითი ცეცხლის კვლავ გასაღვივებლად, არამედ არსებობის წყაროს საძიებლად. ლოზანის აკადემიას კონკურსი გამოეცხადებინა ლათინური ლიტერატურის კათედრაზე და მიცკევიჩმა ამ ადგილის დაკავება სცადა. აქ მას დროებით გაუღიმა ბედმა: შემთხვევით გაცნობილი იტალიელი ემიგრანტის, ჯოვანი სკოვაცის დახმარებით შეხვდა ის აკადემიის რექტორს მონარს, რომელმაც გულთბილად მიიღო პოლონელი პოეტი და განუცხადა, რომ მას არ მოუხდება საკონკურსო გამოცდების ჩაბარება, რადგან აკადემიისათვის „დიდი პატივი იქნება, თუ ადამ მიცკევიჩი მისი პროფესორი გახდება“.

ლოზანაში თავისუფლად ამოისუნთქა მიცკევიჩმა, გახალისდა და ახალი იმედები ჩაესახა. იგი აღფრთოვანებულ წერილებს წერს შვეიცარიიდან ცელინას, ატყობინებს, რომ ენეევაშიც აღმოჩნდა თავისუფალი ადგილი ლიტერატურის შედარებით ისტორიაში. ამ სასიხარულო ამბებმა და შვეიცარიის უბადლო სილამაზემ თითქოს ისევ მომართა მისი პოეტური ჩანგის მოშვებული სიმები. მგოსანის ჩამქრალ თვალებში ლოზანის ლურჯმა ცამ, ვეებერთელა კლდეებმა, ზურმუხტმა ტბებმა ჩაიხედა და ისიც, რამდენიმე წლის დუმილის შემდეგ, წერს ლექსს „წყლის სივრცე“, რომელშიც შვეიცარიის წარმტაც პეიზაჟს ხატავს და ნატრობს დაუსრულებლივ იცუროს ამ წყლის ტალღებში.

მაგრამ ეს იყო და ეს. ამ ლექსის შემდეგ მიცკევიჩის ჩანგი ისევ ერთი წლით დადუმდა, რადგან „თვალბედითმა შავმა ყო-

რანმა“ კვლავ დასჩხავლა სვედამწვარ პოეტს და ლოზანაში ან-
თებული იმედის ნაპერწკალი ისევ ჩაუქრო. მიცკევიჩმა ცნობა
მიიღო, რომ მისი მეუღლე ცელინა შეიშალა და გულგახეთქილი
პარიზისაკენ გამოეშურა. მას საშინელი სანახაობა დახვდა შინ:
ავადმყოფი უგრანობლად იწვა ლოგინში, თვალები დახუჭული
ჰქონდა, ტუჩებზე უნუგეშო ღიმილი შერჩენოდა, მკერდზე
მიცვალებულივით დაეკრთა უსიცოცხლო გაყვითლებული ხე-
ლები.

გულდამწვარი პოეტი იდგა თავისი ცხოვრების უკანასკნე-
ლი თანამგზავრის საწოლთან და ტირიდა...

ცელინა საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო ბავშვებს მომ-
ვლელი ქალი მიუჩინეს. კვლავ მარტოდმარტო დარჩენილი
უთვისტომო ყარები მგოსანი ცელინასავით თვითონაც მიაღდა
სასოწარკვეთისა და შეშლილობის საზღვარს. „სადაც ფეხს გა-
დავდგამ, ყველგან უბედურება მხვდება, მიკვირს, რომ ავიტანე
ყოველივე ეს ამდენხანს, სულიერად დაცალიერებული დავე-
ხეტებიო“, სწერდა ის პარიზიდან ი. დომეიკოს.

სამშობლოდანაც ცუდი ამბები მოდიოდა. იქ უფრო და უფ-
რო ძლიერდებოდა რეპრესიები პოლონელების მიმართ. ემიგრ-
აციაც მთლიანად ჩაეფლო ინტრიგებსა და ერთმანეთის
უპრინციპო ძიძგნაში.

მაგრამ პოეტი მაინც მედგრად იტანდა ცხოვრების ქარ-
ცეცხლს და კიდევ იმედოვნებდა, „იქნებ ისევ გამინათოს ბედ-
მაო“.

რამდენიმე ხნის შემდეგ მართლაც გამოიღარა... მიცკევიჩმა
მოკეთებული ცოლი საავადმყოფოდან გამოიყვანა, ბავშვებიც
შინ დააბრუნა და მალე მთელი ჯალაბობით კვლავ ლოზანას
მიაშურა, სადაც ერთი წლის წინ აკადემიის რექტორი ასე თა-
ვაზიანად შეპირდა პროფესორის ადგილს.

ახლა იგი ისევ ეძებს სამსახურს... ოდნავ ნუგეშცემული,
მაგრამ მაინც საკმაოდ გამწარებული მიცკევიჩი ირონიულად
წერს დომეიკოს: „მე ვეკუთვნი ისეთ ადამიანთა რიცხვს, რო-
მელნიც ვერ იტანენ კეთილდღეობას, ბედნიერ ცხოვრებას, და
ორიოდე დღის შემდეგ იგონებენ რამე სისულელეებს. ალბათ

ამიტომ ვყავარ განგებას ჩაქერილი რკინის მარწუხებში და ამიტომაც, ხანდახან ისე მაგრად რომ მესუთება სული“.

რობინზონივით მარტო გრძნობდა თავს მიცვევიჩი ადამიანებითა და ხმაურით სავსე ევროპაში. სამშობლოს სევდა გაუძლიერდა. პოეტური არსობის ტრაგედია ნელ-ნელა დასასრულს მიუახლოვდა. კიდევ ორჯერ ციციანთელასავით გაიელვა მისი ცხოვრების უკუნეთში პოეტურმა ფანტაზიამ, რათა შემდეგ საბოლოოდ ჩამქრალიყო. ეს იყო ორიოდ ლექსი, 1839 — 1840 წლების მიჯნაზე ლოზანაში დაწერილი. ამ ლექსებში ერთხელ კიდევ გაისმა მიცვევიჩის სევდიანი ხმა. მან ერთხელ კიდევ მოიგონა ბავშვობა, სიკბაბუკე, დავაქვაცების დრო, სიყვარული-სა და ტანჯვის ხანა და „წამოსცივდნენ სხივოსანი, ნათელი ცრემლები“. შესანიშნავ ლექსში „როს ვით ცხედარი“ პოეტი ამბობს: როცა ცხედარივით ვზივარ თქვენს შორის, თვალეში გიყურებთ და გესაუბრებით მეგობრებს, ჩემი სული მაშინაც შორსაა, ძლიერ შორს და სევდაც ღრმია, ძლიერ ღრმა; სადღაც შორს არის ჩემი ტკბილი მხარე, ძვირფასი მარილა. იქ ცხოვრობენ ჩემი გულის ნათესავეები; ის მხარე უფრო ტკბილია ჩემთვის, ვიდრე ყველა სხვა; და მისი ხალხიც უფრო ახლობელია; იქითკენ გარბის ჩემი ოცნება, იქ ვკდები ფიქვების ქვეშ და ვტკბები, ვწევარ ხშირ და მაღალ ბალახში, დავსდევ ბელურებს და მწერებს, ვხედავ როგორ ჩამორბის აივნიდან მარია, როგორ გაიელვებს თეთრი ფეხებით მწვანე მოლზე, და ცისკარივით ანათებს შორეული მთის მწვერვალიდან.

ლექსში „მფლანგველის სევდა“ მიცვევიჩმა თავისი ცხოვრების პოემის უკანასკნელი აკორდი აიღო, გადახედა განვლილ გზას და წარმოსთქვა: მეგობრები და სატრფოები ბევრი შემხვედრია, ბევრის კაშკაშა ვარსკვლავივით შემოხედვა მიგემია და ბევრი მშვენიერი ხელიც მიკოცნია, მაგრამ გული გულთან არ შემიერთებია; მე კბაბუკური ხელგაშლილობით გავეცი საგანძურები ჩემი გულისა, გავეცი სანაცვლოს მოუზღავად, და ვინ გაბედავს დამცინოს, რომ წინანდელ მფლანგველს ახლა მესინია სხვის ხელებს მივენდო? არა; სიბერის ყამს არ მსურს მოწყალების თხოვნა... მაშ მშვიდობით, მხიარულების მეგობრებო, და თქვენც მშვიდობით, ლამაზო ასულებო. მე, მფლანგ-

ველი, საფლავში ჩავეიტან ჩემი გულის საგანძურის დარჩენილ ნაწილს...

ეს იყო პოეტ მიცკევიჩის გედის სიმღერა.

XXII

კიდევ 15 წელიწადი იცოცხლა მიცკევიჩმა, 15 წელიწადი სდუმდა მისი პოეტური ჩანგი, მაგრამ ამ 15 წელიწადს დღე და ღამე განუწყვეტლივ სცემდა მისი — მეცნიერის, პუბლიცისტი-სა და მებრძოლის მღელვარე გული.

ლოზანაში სენტ-ბევის დახმარებით მიცკევიჩი უფრო კარგად მოეწყო, ვინემ თვითონ ფიქრობდა. აქ მას მატერიალური პირობებიც უკეთესი შეუქმნეს, ვიდრე სხვა რომელიმე პროფესორს. ისიც მონდომებით შეუდგა მუშაობას. იგი ხშირად ჩადიოდა ქენევაში, სადაც ა. ს. დანილევსკის მოწმობით, ხვდებოდა ნ. გოგოლს. ოჯახური საქმეებიც დაეწყო. ცელინა გამოკეთდა.

ამ დროს მიცკევიჩმა საფრანგეთის განათლების მინისტრ ვიქტორ კუზენისაგან მიიღო მიწვევა პარიზის „კოლეჟ დე ჟურნალისტი“, სადაც განზრახული იყო სლავური კათედრის გახსნა. კუზენი წერდა, რომ განზრახული აქვს დეპუტატთა პალატის წინაშე დასვას საკითხი კოლეჟში სლავური ენებისა და ლიტერატურის კათედრის გახსნის შესახებ და ფიქრობს მიცკევიჩი მიიწვიოს კურსის წასაკითხად; „თქვენი გამოჩენა პარიზის კათედრაზე დიდი მოვლენა იქნება და მე მოხარული ვიქნები, თუ თქვენ მოგიპოვებთ საფრანგეთისათვის“, — წერდა ფრანგი მინისტრი პოლონელ პოეტს.

მიცკევიჩს ძალიან უმძიმდა ლოზანის დატოვება, მაგრამ მაინც დათანხმდა. როგორც ჩანს, მას მაინც მოსწყინდა გარიყულად ცხოვრება და ისევ უნდოდა აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მუშაობაში ჩაბმა; ამასთანავე, და ეს იყო მთავარი, მიცკევიჩს ეშინოდა, რომ ეს კათედრა სლავ ხალხთა რომელიმე მტერს არ ჩაეარდნოდა; ის წერდა ბოგდან ზალესკის, — ვშიშობ ამ კათედრაზე „რომელიმე გერმანელი არ გაძვრეს და იქიდან არ დაგვიწყოს ყეფაო“.

კათედრის გახსნას ბევრი წინააღმდეგობა გადაეღობა, მინის-ტრთა კაბინეტის ნაწილი კუზნენის წინადადების წინააღმდეგ იყო, მაგრამ ბოლოს საკითხი მაინც მოგვარდა და „კოლეჯ დე ფრანსში“ სლავური ენების და ლიტერატურის კათედრის გახსნის კანონპროექტს მეფემ მოაწერა ხელი. მიცკევიჩის კანდიდატურაც დიდ დავას იწვევდა. ეშინოდათ, რომ ის კათედრას პოლიტიკურ ტრიბუნად აქცევდა. ა. ჩარტორიისკიმ აცნობა მიცკევიჩს, რომ მინისტრ კუზნენთან იყო და რომ მასაც ეშინია, ვაი თუ პროტესტი განაცხადონ რუსეთისა და ავსტრიის ელჩებმა და მეფე ლუი ფილიპის საყვედური მომხვდესო. ჩარტორიისკი იმასაც წერდა, რომ ამ კათედრაზე ახლა პოლონელის დანიშვნას დიდი მნიშვნელობა აქვს, „არა მარტო ემიგრაციის ინტერესებისათვის, არამედ მთელი პოლონეთის და, მე ვიტყვოდი, თვით მთელი სამყაროს ინტერესებისათვისაც“. „ჩემის აზრით — განაგრძობს ჩარტორიისკი — თქვენ მოვალე ხართ მიიღოთ ეს თანამდებობა, რომელზედაც ბევრ სიკეთეს გააკეთებთ და უფრო მეტ ბოროტებას აიცილენთ“.

ეს საკითხი საბოლოოდ რომ გადაწყდა, მიცკევიჩი თავისი ისევ ავადგამხდარ ცელნათი და სამი წვრილი შვილით პარიზს დაბრუნდა და სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა „კოლეჯ დე ფრანსში“. თვით მიცკევიჩის გადმოცემით, მის ლექციებზე პოლონელი ემიგრანტები და ცნობისმოყვარენი უფრო მიდიოდნენ (მათ შორის ჟორჟ სანდიც), ვიდრე ფრანგი სტუდენტები, რომელთაც არც თუ ისე აინტერესებდათ სლავური ქვეყნების ლიტერატურა. მიცკევიჩი შეუდგა კურსის მომზადებას და სათანადო ლიტერატურის დამუშავებას. მისი ცხოვრება თითქოს დალაგდა, მაგრამ ერთხელ ადევნებულ სევდა ვერც ახლა მოიშორა. „სევდა ნელ-ნელა დაეშვა სულის სიღრმეში, საიდანაც მისი განდევნა ძლიერ ძნელიაო“ — წერდა ის პარიზიდან ბოგდან ზალესკის. პოეზიისაგან მხოლოდ მოგონება დარჩა. ერთხელ, როგორც იმავე ზალესკისადმი ლოზანიდან მიწერილ წერილიდან ჩანს, მას „ძიადებისათვის“ მოუკიდია ხელი, მაგრამ უკვე მხოლოდ იმისათვის, რომ ხელნაწერები ცეცხლში შეეგდო. ერთხელაც იგი პარიზში საჯაროდ გასჯიბრებია იულიუს სლოვაკის იმპროვიზაციაში და კმაყოფილიც

დარჩენილა ამ შეჯიბრის შედეგით; „იმ წუთებში პოეზიის სული კვლავ ჩემთან იყო“ წერდა ის. ტომაშ ზანი, რომელიც ესწრებოდა მიცკევიჩის ამ უკანასკნელ იმპროვიზაციას, სწერდა დომეიკოს: „...დაიწყო სიტყვები, სლოვაკიმ გააჰიანურა იმპროვიზაცია, ადამი ტაშს უკრავდა და თან ელიმებოდა. უცებ ის მოსწყდა ადგილს, როგორც არწივი, როგორც წმიდა გრაალის რაინდი, როგორც მთავარანგელოსი. რას ლაპარაკობდა, არ ვიცი და არც არავინ იცის ეს. დამსწრენი დადგნენ, გაფითრდნენ, თვალები დაჰყიტეს, რამდენამე წუთის შემდეგ კი ყველა ტიროდა და ერთმანეთს ეხვეოდა. ამაოდ ვეცდები გადმოგეცე, თუ როგორი იყო საერთო შთაბეჭდილება, როგორმა ალტაცებამ შეიპყრო ყველანი. მე ყოველთვის ღრმად მწამდა ამ კაცის არაჩვეულებრივი ძალისა, მაგრამ ამ დღეს მან თავისი სიტყვით, უფრო სწორად, საქმით, განამტკიცა ჩვენი რწმენა. ყველა, ვისაც მისი არ სჯეროდა, მან დაამხო თავის ფეხთა ქვეშ და თვალის ერთ დახამხამებაზე არწმუნებინა თავისი თავი... პოლონეთი კიდევ არ დაღუპულა, თუ ასეთი ძლიერი სული კვლავ ცოცხლობს მის თუნდაც ერთ შვილში...“

აყვია მეჭორეებს სურდათ პოლონეთის ორი დიდი პოეტი, მიცკევიჩი და სლოვაკი ერთმანეთისათვის გადაეკიდებინათ. ბულვარულმა პრესამ უამრავი ჭორი შეთხზა, მაგრამ იულიუს სლოვაკი არ აყვა ამ სისინს, იგი დიდად სცემდა პატივს თავის სახელოვან თანამემამულესა და კოლეგას. ამის დამადასტურებელია სლოვაკის მიერ დედისადმი მიწერილი პირადი ბარათები. სლოვაკი აცნობებდა დედას მიცკევიჩის ყოველი ნაბიჯის შესახებ: „მიცკევიჩი რომშია“, „მიცკევიჩი ღრუზდენს გამეზავრა“, „მიცკევიჩი პოზნანშია“, „მიცკევიჩი პარიზს მიუახლოვდა“, „დღეს პარიზში ჩამოვიდა მიცკევიჩი“ და ა. შ.

იულიუს სლოვაკი ამაყი იყო და არ უნდოდა „პირველი ზღებოდა“ უპირველესს პოლონელ პოეტთა შორის. 1832 წლის 7 აგვისტოს იგი პარიზიდან სწერდა დედას: „რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა მიცკევიჩი, არც ერთ ჩვენთაგანს არ უნდოდა პირველს ეცადნა შეხვედრა, მაგრამ მან განუცხადა რამდენიმე ნაცნობს, რომ ჩემი ნახვა სურს და ისინი ძლიერ მონდომებული იყვნენ სადმე შევეხვედრებინეთ და გავეცნეთ ერთმანეთისა-

თვის. დღეს ჩვენ შევხვდით საზეიმო სადილზე. მიცკევიჩი იმპროვიზაციით გამოვიდა, მაგრამ საკმაოდ არადამაკმაყოფილებლად. სადილის შემდეგ, როცა სტუმრები ბალში დასეირნობდნენ, მიცკევიჩი მოვიდა ჩემთან და ჩვენ ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ქათინაურების თქმაში“.

მეგობრებმა მოიგონეს მათი შეხვედრა სამშობლოში, კიდევ ბევრი ტკბილი სიტყვა უთხარეს ერთმანეთს, მაგრამ ბოლოს მათ საუბარს მაინც ცივი წყალი გადაესხა. სლოვაკი გადმოგვცემს: „როცა საქმე ქათინაურებზე მიდგა, მე ვუთხარი, რომ პოეტთა შორის უდიდესად მას ვთვლი. ერთი პოლონელი, რომელიც ჩემს ზურგს უკან იდგა და როგორც ჩანს ცოტა დალეულიც იყო, განუწყვეტლივ ჩამძახოდა: „შენ ზედმეტად მოკრძალებული ხარ“ და საბოლოოდ ჩაშალა ჩვენი საუბარი“.

სლოვაკიმ საკმაოდ მშვიდად მიიღო მიცკევიჩის ირონიული შენიშვნა მის ნაწარმოებებზე. იგი წერს: „ერთი პოლონელისაგან გავიგე მიცკევიჩის აზრი ჩემი ორი ტომის შესახებ: მას უთქვამს, რომ ჩემი ლექსები ჩინებულია და შეუდარებია შესანიშნავ არქიტექტურულ ნაგებობასთან თუ ბრწყინვალე ტაძართან, — მაგრამ ისეთ ტაძართან, რომელშიც არ არის ღმერთი... რა პოეტური შედარებაა, არა? ის მე მაგონებს მის სონეტს „გამოთხოვება“.

სლოვაკის კარგად ესმოდა მიცკევიჩის მიერ გადმოსროლილი ამ ფრთიანი ფრაზის ძალა. იგი 15 წლის შემდეგ წერდა: „ზარმაცებმა ეს ფრაზა მიიღეს როგორც საბოლოო და საყოველთაო აზრი. 15 წლის განმავლობაში ბევრი ამ ფრაზის მიხედვით მსჯელობდა ჩემს შესახებ და ერთხელაც არ შეუხედავთ ჩემი პოეზიის „განოცალიერებულ ტაძარში“. მე დავძლიე ყოველივე ეს, მტკიცედ, ნაბიჯ-ნაბიჯ, და არა საგაზეთო სტატიებით, არამედ ჩემი ნაწარმოებების შინაარსით“.

ასეთი საქმიანი და პრინციპული იყო ადამ მიცკევიჩისა და იულიუს სლოვაკის დამოკიდებულება.

გარდატეხა მათ ურთიერთობაში მოხდა 1833 წელს, როცა „ძიადების“ მესამე ნაწილი გამოვიდა. როგორც მკითხველს ახსოვს, ამ ნაწარმოებში დოქტორი ავგუსტ ბეკიუ გამოყვანილია, როგორც ნოვოსილცევის ჯაშუში. ბეკიუ სლოვაკის მა-

მინაცვალი იყო. მან დედის და თავის საშინელ შეურაცხყოფად მიიღო ეს ამბავი და მიცქევიჩი დუელში გამოიწვია. სეკუნდანტ-მა მ. სკობეცკიმ დაარწმუნა სლოვაკი და უარი ათქმევინა დუელზე. შეურაცხყოფილმა პოეტმა დასტოვა პარიზი და ქენევის გაემგზავრა. ერთხანს კიდევ ბორგავდა ის, ლანძღავდა მიცქევიჩს, მეზიზღებდაო — სწერდა დედას, მაგრამ შემდეგ ამ გაბრაზებამ გაუარა¹. პოლონელი ხალხის ორივე საამაყო შვილი ისევ დამეგობრდნენ. სლოვაკი სიხარულით შეხედა მიცქევიჩის პოემის „ბან ტადეუშის“ გამოსვლას. „შესანიშნავი პოემააო» სწერდა ის დედას, რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ „შეჯობრს იმპროვიზაციაში“, ამას სრულიადაც არ დაურღვევია მათი მეგობრობა, პირიქით, სლოვაკი წერდა: „იმ საღამოს ძმურად ხელიხელგადახვეულნი დავდიოდით ერთად და ჩვენს ძველ შუღლს ვიგონებდითო“.

მეგობრებმა კვლავ იგრძნეს ვულკანური ძალა მიცქევიჩის შემოქმედებითი გენიისა, დაინახეს, რომ მათი ეროვნული მგოსანი არ ნებდებოდა უკულმართ ცხოვრებას და კონრადივით უტეხად იდგა ბედისწერის წინაშე... ფ. შოპენი სწერდა ე. ფონტანს: „დავბრუნდებით თუ არა ჩვენს სამშობლოში! თუ სულ შეიშალნენ!!! მიცქევიჩისა და სობანსკისა მე არ მეშინია — ესენი მაგარი თავები არიან, რომელთაც კიდევ რამდენიმე ემიგრაციის ატანა შეუძლიათ, ისე რომ არც გონებას და არც ენერგიას არ დაჰკარგავენ“.

დიდი მონღომებითა და ენერგიით შეუღდა მიცქევიჩი ლექციების კურსის კითხვას „კოლეჯ დე ფრანსში“. ამ ლექციებმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია არა მარტო პოლონური ემიგრაციის, არამედ საფრანგეთის მოწინავე საზოგადოების წრეებშიც. დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ამ ლექციებს რუსი ხალხის წარმომადგენლებიც, რომელნიც მაშინ პარიზში იმყოფებოდნენ. ლექციების ნაწყვეტები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. ა. ი. ტურგენევი უგზავნიდა პ. ვიაზემსკის ცნობებს

¹ ი. სლოვაკის არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ დოქტორ ბეკიუს შესება მიცქევიჩის მიერ არ იყო საფუძველს მოკლებული.

ლექციების შესახებ; ისინი ცდილობდნენ ცენზურისათვის „გაეპარებინათ“ ნაწყვეტები ამ კურსიდან.

ლექციებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია მიცკევიჩის პირველი ლექცია და ის შთაბეჭდილება, რომელიც მან მოახდინა მსმენელებზე. დარბაზი გაქედნილი იყო, პროფესორის გამოჩენას ტრიბუნაზე აღტაცებული ტაშით შეხვდნენ მსმენელები, განსაკუთრებით პოლონელი ემიგრანტები.

ლექციების კურსს მიცკევიჩი ოთხი წლის განმავლობაში კითხულობდა (1840 — 1844 წ.). ეს ლექციები ჩაწერილი და გამოქვეყნებულია. ცხადია, ეს არ არის სისტემატური კურსი სლავური ქვეყნების ლიტერატურის ისტორიისა. სლავური ფილოლოგიის თანამედროვე დონის თვალსაზრისით ამ კურსში ბევრი რამ მცთარია, გულუბრყვილო და დაუსაბუთებელი. მაგრამ დღეს ჩვენ ის როდი გვაინტერესებს, თუ რა შესძინა მიცკევიჩმა სლავურ ფილოლოგიას, რა მეცნიერული ღირებულება აქვს მის მიერ გადმოცემულ ისტორიას, არამედ უპირველეს ყოვლისა თვით მიცკევიჩის კრიტიკული და ესთეტიკური აზროვნების განვითარება, მისი დამოკიდებულება იმ საკითხებთან, რომლებიც ლექციების საგანს შეადგენდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მიცკევიჩი გაფრთხილებული იყო, კოლეჯის ტრიბუნა „ბოროტად არ გამოეყენებინა“ და ლექციების კითხვის დროს არ გამოსულიყო „აკადემიურად დადგენილი ჩარჩოებიდან“, ეს მან ვერ შეასრულა. ან რა ჩარჩოებს შეეძლო შეეზღუდა გენიალური იმპროვიზატორის გულიდან ამოხეთქილი აზრებისა და გრძნობების ძალა, ძალიანაც რომ მოენდომებია თვითონ მიცკევიჩს, დაეოკებინა თავის აზრთა ლაღი ნავარდი, იგი ისეთი ბუნების ადამიანი იყო, რომ მაინც ვერ მოახერხებდა ამას. თვითონ მიცკევიჩმაც კარგად იცოდა, რომ, როდესაც 1840 წლის 21 დეკემბერს „კოლეჯ დე ფრანსის“ ტრიბუნაზე ავიდოდა და ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე პირისპირ დადგებოდა, მისი ფუნქცია მეცნიერი-ფილოლოგის მოვალეობით არ ამოიწურებოდა. მას კარგად ესმოდა ის სიძნელენიც, რომელთა გადალახვა მოუხდებოდა კურსის კითხვის დროს. უკვე ის გარემოება, რომ მიცკევიჩის ლექციების კითხ-

ვა მისთვის უცხო ფრანგულ ენაზე უხდებოდა, წარმოადგენდა მნიშვნელოვან სიძნელეს, მით უმეტეს იმ ადამიანისათვის, რომელსაც სწამდა, რომ „არის რაღაც დამამცირებელი იმაში, რომ ისე გამოხვიდე აუდიტორიის წინაშე, რომ არ შეგექძლოს შენი აზრების თავისუფლად და ლამაზად გადმოცემა, მით უმეტეს, როდესაც ლაპარაკია ლიტერატურაზე და აუცილებელია ჩაწვდენ იმ მთრთოლვარე იდუმალ არსს ხელოვნების სრულყოფილი ნაწარმოებისა, რომელიც მის ნამდვილ საიდუმლოებას წარმოადგენს და ისიც „ორატორული ხელოვნების დედაქალაქში“. მაგრამ მიუხედავად ამ სიძნელეებისა, მიცკევიჩმა გადასწყვიტა შესდგომოდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, რადგან ის თავის მოწოდებად თვლიდა ელაპარაკა იმ ხალხთა ლიტერატურის სახელით, რომელიც თავისი წარსულით და მომავლით მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლონელებთან.

პირველსავე ლექციაში მიცკევიჩი ლაპარაკობდა ხალხთა შორის ურთიერთ მიზიდულობასა და ურთიერთ დაახლოებისაკენ მისწრაფებაზე, რომელიც, მისი თქმით, ეპოქის სულს წარმოადგენდა, და უპირველესად ყოვლისა სლავ ხალხთა ერთიანობაზე, მათ დიდ კულტურულ ტრადიციებზე, რომელთაც მასშინ დასავლეთ ევროპა „მისგან მოშორებით აყენებდა“. მიცკევიჩმა ამოცანად დაისახა სლავ ხალხთა კულტურული საგანძურის არა მარტო თითო-ოროლა, ყველაზე ნათელი ნიმუშის ჩვენება, არამედ მათი მთელი საგანძურის მთლიანად, მის მთელ ბრწყინვალებაში გახსნა.

მიცკევიჩი ლაპარაკობდა სლავი ხალხების ძლიერებაზე, მრავალრიცხოვნობაზე, მათი კილოკავების მრავალფეროვნებასა და თვალუწვდენელ სივრცეებზე მათი ტერიტორიებისა, რომლებიც აზიისა და ევროპის კონტინენტებზეა გადაჭიმული. სლავური სახელმწიფოები თავიანთი სიძლიერით, მახვილითა და ზარბაზნების ცეცხლით აიძულებენ ევროპას იცნონ ისინი. მიცკევიჩი სლავური კულტურისა და ლიტერატურის ცნობასაც მოითხოვდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველსავე ლექციაზე ვერ შეიკავა თავი და ბუნდოვნად, მაგრამ მსმენელებისათვის მაინც გასაგებად ილაპარაკა პოლონელი ხალხის გმირულ ბრძოლაზე თავისუფლებისათვის, ვარშავის აჯანყებაზე,

რომელიც დამარცხდა, მაგრამ „ამის შემდეგაც დასტოვა კიდევ დიდხნის მოგუგუნე ეხო სევდისა და დიდებისა“... ამ დროს ორატორი შეჩერდა, გამოერკვა და თითქოს ბოდიშის მოსახდელად შენიშნა, ჩვენ გავცდით თემის ფარგლებს, საჭიროა მომავალში მაინც შევიკავოთ თავი ასეთი მსჯელობისგანო და ისე ლიტერატურის საკითხებზე გადავიდა.

ლიტერატურა მიცკევიჩის ახრით აერთიანებს სლავ ხალხებს, ის საერთოა ყველა მათგანისათვის; მაშ ამ დარგში მაინც გავერთიანდეთო, მოუწოდა მან მსმენელებს. „ეს უმაღლესი სასწავლებელი იმისთვისაა მოწოდებული, რომ აქ ყოველგვარი უნდობლობის გარეშე შეეძლოთ ერთმანეთთან შეხედრა პოლონელსა და რუსს, ჩენ-ჰუსისტსა და ჩენ-კათოლიკეს, მორაველ ძმას და ბერს ათონის მთიდან, ილირიელს, რომელიც იყენებს გლაგოლიცას და სერბს, რომელიც იყენებს კირილიცას, ლიტველსა და კაზაკს“. „მაშ ასე, ბატონებო, ამ დარბაზში მე მსურს დავინახო სიმბოლო ჩვენი მომავალი გაერთიანებისა“, თქვა მიცკევიჩმა და დარბაზი ტაშის ქუხილმა შეაზანზარა.

ასე დაამთავრა მიცკევიჩმა თავისი შესავალი ლექცია. დანარჩენი ლექციებიც ასეთივე სულისკვეთებითაა გამსჭვალული. მათშიც პოეტი ლაპარაკობდა სლავი ხალხების, პირველ რიგში კი რუსი ხალხის როლზე ისტორიაში, ხალხისა, რომელმაც თათართა და მონღოლთა შემოსევებისაგან გადაარჩინა ევროპა.

მართალია, სლავ ხალხთა ისტორიის და მათი ლიტერატურის განვითარების ცალკეული ეტაპების გაშუქებისას მიცკევიჩი ბევრ შეცთომას უშვებს, მაგრამ სლავური კულტურის განვითარებისა და ისტორიაში სლავების როლის შესახებ ის ისეთ სწორ დასკვნამდე მიდის, რომ მის ლექციებს ამ მხრივ დღემდე არ დაუკარგავთ ძალა და მნიშვნელობა.

მიცკევიჩი, იხილავს რა სლავი ხალხების უძველეს მემკვიდრეების თხზულებათა ისტორიულ მნიშვნელობას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რუს მემკვიდრე ნესტორს, რომელსაც ის ნამდვილი ისტორიკოსის ნიმუშად თვლის. დიდი აღტაცებით ლაპარაკობს მიცკევიჩი რუსული კულტურის უკვდავი ძეგლის „Слово о Полку Игореве“-ს შესახებ, რომლის კითხ-

ვა, პოეტის თქმით, დიდ სიამოვნებას ჰგვრის ყოველ სლავს. ის დაწვრილებით იხილავს ამ პოემას, მის პატრიოტულ შინაარსს, განსაკუთრებით მაღალმხატვრობას და იმ გავლენას, რომელსაც ის ახდენდა სხვა სლავი ხალხების ლიტერატურაზე.

მიცკევიჩისეული შეფასება ლომონოსოვისა, როგორც მისი ეპოქის უდიდესი მწერლისა, ხოტბა დერეჟეინის პოეტური ტალანტისა, აღნიშვნა იმ როლისა, რომელიც კარამზინმა და ჟუკოვსკიმ ითამაშეს პუშკინის პოეტური ტალანტის გაფურჩქვნაში, და დასასრულ, აღტაცებული სტრიქონები პუშკინის შესახებ იმის მაჩვენებელია, თუ რა დიდი სიმპათიებით ეპყრობოდა მიცკევიჩი რუსული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლებს, მიუხედავად იმ ღრმა სიძულვილისა, რომლითაც გამსკვალული იყო იგი ცარიზმის მიმართ.

მართალია, მიცკევიჩმა რუსული ლიტერატურის განხილვის დროსაც დაუშვა შეცთომები, ბევრი არასწორი დასკვნა გამოიტანა, მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის, რომ უცხოეთში გადახვეწილ პოეტს ხელთ არ ჰქონდა რუსული ლიტერატურის ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი და რომ პოეტი ზოგჯერ თვით რუს მკვლევართა (მერზლიაკოვის, ვიაზემსკის და სხვათა) არასწორ დასკვნებს ეყრდნობოდა, რაც გასაგებს ხდის ამ შეცთომების მიზეზს. მიცკევიჩი უცხოეთიდან ემუდარებოდა თავის რუს მეგობრებს, განსაკუთრებით ვიაზემსკის, რომ მისთვის საჭირო ლიტერატურა გამოეგზავნათ, მაგრამ ეს ყოველთვის მოსახერხებელი როდი იყო, უცხოეთის ბიბლიოთეკებში კი ნაკლებ მოიპოვებოდა რუსული და საერთოდ სლავური ლიტერატურის მისთვის აუცილებელი ძეგლები. მაგრამ ეს შეცთომები დღეს არც საჭიროებენ გამართლებას. მთავარია ის გულწრფელი სიყვარული, რომლითაც მიცკევიჩი იხილავდა რუსული კულტურის ძეგლებს.

მიცკევიჩი ფართოდ აშუქებს პოლონეთისა და სხვა სლავ ხალხთა ლიტერატურის ისტორიასაც, სათანადო შეფასებას აძლევს მათ მხატვრულ დონეს. მიცკევიჩი ერთ-ერთი პირველი მწერალთაგანია, რომელიც ყოველ შესაძლებელ შემთხვევის დროს ხაზს უსვამს „ძველ კავშირს სლავ ხალხთა შორის“ (გერცენი). მიუხედავად იმისა, რომ მიცკევიჩი ამ ლექციებს თავისი

ცხოვრების უმძიმეს პერიოდში კითხულობდა, როცა მისი პოეტური ცხოვრება დასრულებული იყო და ის უკვე მესიანისტური იდეების გავლენასაც განიცდიდა, ისინი მაინც პოლონელი პოეტის დიდ ჰუმანისტურ მისწრაფებებს გამოხატავენ. როდესაც გერცენი გაეცნო მიცკევიჩის ლექციების კურსს, დიდად მოიწონა იგი, თუმცა მისი შეტომებიც აღნიშნა. გერცენი წერდა, რომ ამ ლექციებში „ბევრი რამ შესანიშნავია და წინასწარმეტყველური“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბევრი ევროპელი რომანტიკოსი არსებულის უარყოფის შედეგად უტოპიური იდეების ტყვეობაში ექცეოდა ხოლმე. მიცკევიჩი კი, პირიქით, აკრიტიკებდა უტოპისტების იდეას ბოროტებისადმი პასიური წინააღმდეგობის გაწევისა და დასცინოდა იმათ, ვინც ბოროტების მოსპობას ბოროტების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის გარეშე ცდილობდა. იგი კვლავ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა დაჩაგრულ ხალხებს და ამბობდა: „ჯერ არ დამდგარა დრო ხმლების სახნისებად გადადნობისა და ყაზარმებში ფალანსტირების გახსნისა“.

ეს 1844 წელს გამოთქმული აზრები იმაზე მეტყველებენ, რომ მიცკევიჩი როდი იყო ისე შეპყრობილი ტოვიანისტური მესიანიზმით, რომ უარი ეთქვა თავისუფლებისათვის მახვილით ხელში ბრძოლის აუცილებლობაზე. საერთოდ, ვფიქრობთ, გადაქარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ტოვიანსკის გავლენას მიცკევიჩზე და მის მესიანობით გატაცებას, მაგრამ ვინაიდან ეს გავლენა მაინც ფაქტია, საჭიროა ამ საკითხზე მოკლედ მაინც შეეჩერდეთ.

1840 წლის 14 დეკემბერს, — ნაპოლეონის დასაფლავების დღეს, — ტოვიანსკი ჩავიდა პარიზში. რამდენიმე თვით ადრე მან ლიტვაში დასტოვა ოჯახი, ცოლი და ხუთი შვილი, და უცხოეთში გადაიხვეწა. მიცკევიჩი ამ დროს კოლეჟ დე ფრანსში კითხულობდა ლექციებს. თავისუფალ დროს სულ ხელნაწერებს ჩაპკირკიტებდა. მეზობელ ოთახში ავადმყოფი ცელინა იწვა, რომელსაც ახლა უფრო ხშირად უვლიდა ფსიქიური შეტევები. საშინელი მძიმე ნალველი აწვა პოეტს, რომელსაც ეშინოდა, რომ შავ მელანქოლიას ისიც არ მიეყვანა შეშლილობამდე. მას

ეწინოდა საკუთარი თავისაც, „ღმერთო მიხსენი ჩემი თავისაგანო“, წამოიძახებდა ხოლმე ის ხანგამოშვებით. სულიერი დეპრესიის ასეთ მძიმე პერიოდში შეხვდა ის პირველად ტოვიანსკის. პოეტის შვილს ვლადისლავ მიცკევიჩს აღწერილი აქვს ადამის ეს საბედისწერო შეხვედრა მის ყალთაბანდ თანამემამულესთან.

ცელინას შეტევებმა უმატა, მიცკევიჩმა ის კვლავ ფსიქიატრულ საავადმყოფოში მოათავსა, უკან სრულიად მოტეხილი დაბრუნდა და მსახური ქალი გააფრთხილა, ვინც არ უნდა მოვიდეს, არ შემოიყვანაო. ამ დროს მოვიდა ტოვიანსკი. მან მოახერხა და შეხვდა მიცკევიჩს, უთხრა ყველაფერი ვიცოო აქვენი ოჯახის უბედურების შესახებ და ყალთაბანდური იღუმალი ტონით დაუმატა, რომ ის განკურნავს მის მეუღლეს. სასოწარკვეთილმა მიცკევიჩმაც დაუჯერა.

კომმარული იყო მისთვის ის ღამე, — მეორე დღეს თვითონაც შეშლილს ჰგავდა. ექიმების პროტესტის მიუხედავად პოეტმა ცოლი საავადმყოფოდან გამოიყვანა და ტოვიანსკი იხმო. ცელინა გაყინული სახით იწვა უგრძნობლად. ტოვიანსკიმ მაჯაში ხელი წაავლო და შელოცვას შეუდგა. ცელინა ნელ-ნელა გონს მოვიდა, წამოდგა, მუხლებზე დაეცა ტოვიანსკის წინაშე, ცოტა ხნის შემდეგ მეორე ოთახში გავიდა და ბავშვებს გადაეხვია.

ამის შემდეგ ავადმყოფობას არ მოუვლია მისთვისო, ამტკიცებდა თვითონ მიცკევიჩი, თუმცა ცელინა ამის შემდეგაც რამდენჯერმე იყო ავად და ამავე ავადმყოფობამ იმსხვერპლა იგი საბოლოოდ. ამ „სასწაულებრივ განკურნებას“ თანამედროვე ბიოგრაფები ცნობილ ჰიპნოზურ გავლენას მიაწერენ, მიცკევიჩმა კი ეს „საოცრება“ დაიჯერა, ტოვიანსკის „ღვთაებრიობა“ იწამა და მისი გავლენის ქვეშ მოექცა. ამის შემდეგ ტოვიანსკიმ დიდი გავლენა მოახდინა სხვა პოლონელ ემიგრანტებზეც. ნელ-ნელა ტოვიანისტების მთელი ჯგუფი შეიქმნა. ცელინას „საოცარ განკურნებაზე“ გაზეთებმა ხმაური ასტეხეს. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში საგანგებო პარაკლისიც იქნა გადახდილი ამ „საოცრების“ გამო. პარაკლისზე მოვიდნენ მიცკევიჩი, თვით „სასწაულმოქმედი ტოვიანსკი“ და 200-მდე პოლონელი

პილიგრიმი. ტოვიანსკიმ სიტყვით მიმართა შეკრებილთ... შემდეგ დაემხო და ქრისტეს მეორედ მოსვლა ამცნო ხალხს... მერე წავიდა ხმები, ქორები, ლეგენდები, მოგონილი ამბები, ბულვარული პრესაც ახმაურდა, ზოგი ლანძღავდა, ყალთაბანდს უწოდებდა, ზოგიც აქებდა და აღმერთებდა ტოვიანსკის. მიცკევიჩი ხშირად ხვდებოდა მას, შეიბოჭა მისი გავლენით. თვითონაც შეუდგა „მესიანური აზრების“ ქადაგებას. მან დაიწყო რალაც იღუმალი ძალის ძიება, რომელიც ადამიანის ბედს განაგებს, სჯეროდა სასწაულმოქმედების, რომელიც იხსნიდა გატანჯულ გლეხებს მონობისაგან; ერთი სიტყვით, პოეტი გონებრივი დაბნეულობის მორევმა ჩაითრია.

პარიზში ტოვიანისტური სექტა შეიქმნა. მიცკევიჩმა ლექციებზე ტოვიანისტური იდეების ქადაგება დაიწყო, ტოვიანისტურ იმპროვიზაციებსაც კითხულობდა პოლონელ პილიგრიმთა წრეებში. ტოვიანსკი გათამამდა... მეფესთან ამოდ სცადა აუდიენციის მიღება (მიცკევიჩიც გაიყოლა თან), შემდეგ ბრიუსელის გავლით რომში ჩავიდა, სადაც პაპთან შეხვედრა სურდა... მაგრამ რომიდან გააძევეს. მიცკევიჩი კი განაგრძობდა ტოვიანისტურ ქადაგებას კოლეჟში, თუმცა მის ბუნდოვან, მისტკურ სიტყვებში მაინც გაისმოდა მოწოდება საფრანკეთის მეფის წინააღმდეგ.

მიცკევიჩის ტოვიანისტურმა ქადაგებებმა ხელისუფლების ყურებამდე მიაღწია. გადაწყდა მისი პროფესორის თანამდებობიდან გადაყენება. ზოგიერთებმა მოითხოვეს უკანასკნელი ლექციის წაკითხვის უფლება მიეცათ მისთვის. ხალხით გაქედნილ დარბაზში მიცკევიჩმა ლექციის თემად ნაპოლეონი აირჩია და ტოვიანსკი ნაპოლეონის „დიდი საქმის“ გამგრძელებლად გამოაცხადა. დარბაზმა მქუხარე ოვაციებით გააცილა პროფესორი, რისი მიზეზი ის იყო, რომ აუდიტორიის უმრავლესობას თვით ტოვიანისტები შეადგენდნენ. შემდეგ ავანტურისტმა ტოვიანსკიმ მოიფიქრა მიმართვა გაეგზავნა ნიკოლოზ პირველისათვის „მის მოსაქცევად“ და პოლონელების შეწყალების სათხოვნელად. ამ საქმეშიც აიყოლია მან მიცკევიჩი. მიმართვა პილიგრიმების წრეში წაიკითხეს. საშინელი აურზაური ატყდა. მიცკევიჩის წინააღმდეგ გამოვიდა სლოვაკი. მიცკევიჩი შემ-

ლილივით ყვიროდა და მოითხოვდა სლოვაკის კრებიდან გაძევებას.

რამდენიმე ხნის შემდეგ სლოვაკიმ გამანადგურებელი სატირა გამოაქვეყნა ტოვიანსკის წინააღმდეგ.

მიცკევიჩის მდგომარეობით შეშფოთებული იყვნენ მისი მეგობრები, ფ. შოპენი სწერდა დელფინა პოტოცკას: „ის, რომ ტოვიანსკი, როგორც მოხერხებული ვიგინდარა, გონებას უბნევს და თავისკენ იზიდავს სულელებს, ამას მხოლოდ სიცილის გამოწვევა შეუძლია, მაგრამ მიცკევიჩი აღმალლებული სული და ბრძნული თავია, როგორ ვერ გამოიცნო მან ეს ყალთაბანდი და არ გაამასხარავა ის...“ ასევე უკვირდით მიცკევიჩის საქციელი სხვა მეგობრებსაც.

მიცკევიჩი ჯერ ხანგრძლივ შეებულებაში გაუშვეს, შემდეგ პროფესორის თანამდებობიდან გადააყენეს, ტოვიანსკი საფრანგეთიდან გაასახლეს, პროტესტის ნიშნად მიცკევიჩმაც დასტოვა პარიზი და ტოვიანსკისთან ერთად გაემგზავრა რიხტერსვილში (ციურხის ახლოს).

ტოვიანსკის მაქინაციებში მონაწილეობდნენ მისი ახალშერაული მეუღლე კაროლინა და ლამაზი მსახიობი ქალი ქსავერა, რომელიც ლიტვიდან ჩამოჰყვა „მასწავლებელს“.

ეს იყო მიცკევიჩის დროებითი დაბნეულობა, რომელიც მის ძირითად იდეურ-პოლიტიკურ მრწამსს არ შეხებია. პოლონელი პოეტი განაგრძობდა თავისი ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში დგომას. ბრძოლაზე ხელი მას არასოდეს არ აუღია. როგორც კი გაერკვა ტოვიანისტურ მაქინაციებში, უმაღლვე განუდგა მას. მალე მათ ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა. პოლონელ პოეტს არ შეეძლო თავისი გატანჯული ხალხის განთავისუფლების საქმე ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მიენდო. დაბნეულობა დაბნეულობად დარჩა, ისე რომ მისი ცხოვრების იდეური მაგისტრალი არ გაღუნულა. მიცკევიჩი ამ პერიოდშიც საღად აფასებდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს სამშობლოსა და ევროპის სახელმწიფოებში. ამას ადასტურებს პოეტის დამოკიდებულება გლეხთა აჯანყებებისადმი.

1846 წელს კვლავ საშინელი ტრაგედია დატრიალდა პოლო-

ნეთში. გალიციასა და სხვა ოლქებშიც გლახთა აჯანყებამ იფეთქა, რომელიც მეფის მთავრობამ გაუგონარი სისასტიკით ჩაახშო.

ტოვიანზმით გატაცებამ ხელი არ შეუშალა მიცკევიჩს სწორად შეეფასებინა ეს ამბები. მან განაცხადა, რომ დიდი ხანია გლახები იტანენ ჩაგვრას, მაგრამ დასასრულს ბოლოს მოუღებენ თავიანთ ბატონებს.

ტოვიანსკი მაშინ შვეიცარიაში ცხოვრობდა, მიცკევიჩი კი პარიზს დაუბრუნდა. ამ განშორებამ ხელი შეუწყო პოეტის გონებრივ გამოფხიზლებას, თუმცა მის სულში კვლავ საშინელი ქაოსი იყო. მეგობრები ეხმარებოდნენ მას, ცდილობდნენ გაეთავისუფლებინათ თავიანთი სახელოვანი თანამემამულე მისტიციზმის ბურჟისაგან. მიცკევიჩის სულიერი ტრაგედიის ძლიერი გამოხატულებაა მისი ცხოვრების ერთი ეპიზოდი, აღწერილი ფრედერიკ შოპენის მიერ. ეს იყო 1846 წელს. მიცკევიჩი და შოპენი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. «კვლავ ვხვდები მიცკევიჩს, — წერს შოპენი, — ამასწინათ იყო იგი ჩემთან, ძლიერ შეიცვალა, ისე მოიღუშა, რომ ვერც ჩვენი სიმღერებით და ვერც ფორტეპიანოთი ვერ შევძელი მისი გულის უწინდებურად გაღობა. ისე მოდის და მიდის, რომ ერთ სიტყვასაც არ იტყვის. მაგრამ რაკი ვიცი, თუ რისთვის მოდის, მაშინვე ვჯდები როიალთან და განკარგულებას ვიძლევი არავინ შემოუშვან, — ვითომ გაკვეთილი მაქვს, — რადგან მას არ უყვარს საზოგადოება. უკანასკნელად ძალიან დიდხანს ვუკრავდი და თან მეშინოდა თვალი გამესწორებინა მისთვის, რადგან მესმოდა, რომ ის ტიროდა. შემდეგ, როცა წასვლა დააპირა, მე თვითონ მოვეხმარე ჩაეცვა პალტო, რადგან არ მინდოდა კარისკაცს ენახა ატირებული. მიცკევიჩმა ძალიან ალელვებულმა მომხვია ხელები და შუბლზე მაკოცა, თან მთელი საღამოს განმავლობაში პირველად ამოიღო ხმა: «ღმერთი მოგიზღავს სამაგიეროს, შენ მე გადამიყვანე...» და წინადადება არ დაუმთავრებია, რადგან ისევ ცრემლები მოერია და ასე, ცრემლმორეული წავიდა ის...»

ასე ებრძოდა თავის თავს მიცკევიჩი, ასე შესთხოვდა ას ღმერთს, მეგობრებს, ამხანაგებს «ეხსნათ მისივე თავისაგან»;

ასეთ მისტიკურ ბურჟუსსა და თავისთავთან ბრძოლაში გადი-
ოდნენ წლები. საარსებო წყარო თითქმის მთლიანად შემოე-
ლია უკვე ხუთი შვილის მამას. 1846 წელს იგი ცოლს სწერდა—
საათის ხუფი დაეაგირავე და 70 ფრანკს გიგზავნი, მეტი არ
მაქვს, არც სხვა რამ მეგულება დასაგირავებელი, რამეს ვეცდე-
ბი, მაგრამ არ ვიცი ვის მივმართო. მიცკევიჩს რომ ხელი
აეღო თავისი ხალხის უმწიკვლო სამსახურზე და აპყლოდა პა-
რიზელ კალმით მოვაჭრეთა მღვრიე ნაკადს, საარსებო წყაროს
დიდაც იშოვიდა, მაგრამ ეს მას არ შეეძლო. ვერავითარი გა-
ჭირვება ვერ აალებინებდა ხელს სინდისსა და პატიოსნებაზე.
„მე შემეძლო აქ კარგად მეცხოვრა, მაგრამ იმ პირობით, თუ
უარს ვიტყოდი ჩემი ცხოვრების პრინციპებზეო“, — სწერდა ის
ი. გრაბოვსკის.

ფიზიკურად და სულიერად მოტეხილი მიცკევიჩი არ ჰკარ-
გავს მოქმედების სწორ ორიენტაციას. 1847 წლის იანვარს
სწერს იგი ი. გრაბოვსკის — ცალკე პირები კი არ არიან დამნა-
შავენი ჩვენს საერთო უმეცრებაში, არამედ ის, რომ გავჩნდიოთ
თუ არა ამქვეყნად, მემკვიდრეობად მივიღეთ სულელური სო-
ციალური წყობა და ნაციონალური უბედურება — წინა საუ-
კუნეთა დანაშაული. ამ მძიმე მდგომარეობიდან რომ გამოვი-
დეთ, ძალების განსაკუთრებული დაძაბვაა საჭირო, სახელ-
დობრ, მორალური სიმტკიცე, რასაც ჩვენი თანამემამულინი
უგულვებელყოფენ და უნაყოფო კინკლაობას არჩევენ ხანგრძ-
ლივი შრომის გზით ნაციონალური აზრის აღმადლებას; — და
თითქოს ამართლებსო თავის მისტიკურ დაბნეულობას, განაგრ-
ძობს: „მდგომარეობა თვითონ უკარნახებს თვითეულს, ყველ-
გან ეძებოს დასაყრდენი წერტილი, თვით დედამიწის მიღმაც...
შენ სამხედრო იყავი და იცი რასაც ნიშნავს „une mêlée !“,
საჭიროა თვითონ გავიკაფოთ გზა, თუნდაც მოგვიხდეს ყველა
ჩამოვიცილოთ გზიდან, ვისაც ჩვენი დახრჩობა განუზრახავს.
წინააღმდეგობას გარღვევა უნდა ყოველგვარი ბრახის გარეშე.
იმედით უნდა გავიდეთ მოქმედების ფართო გზაზე“.

ამ ბრძოლაში მიცკევიჩმა არ იცის მოსვენება და არც სხვას

¹ ფიცხელი, ხელჩართული ბრძოლა.

ასვენებს. „მოსვენება — ამბობს ის — კარგია მიცვალებულთა და ბედნიერთათვის. ჩვენ კი არ ვასვენებთ ქვეყანას და არც უნდა მოვასვენოთ“.

მიცვევიჩი არ უყურებს სინანულით თავის უღიმღამო ცხოვრებას. მას მტკიცედ სჯერა იმ საქმისა, რომლისთვისაც იბრძოდა და ამდენ ტანჯვას იტანდა. ახლაც უმძიმს ცხოვრება, მაგრამ კმაყოფილია, რომ თავის პრინციპებს არ ღალატობს. „ძნელია ჩემი ცხოვრება აქ, — წერს ის ძმას — ის ყოველთვის ძნელი იყო, შეცთომებით სავსე, და, როგორც იცი, გარეგნულად უბედური, მაგრამ როდი იყო მოკლებული შინაგან სიხარულს, ხანდახან კი მხიარულ დღეებსაც“. მთავრობა აქ კარგად მეპყრობოდო, — განაგრძობდა მიცვევიჩი, — „მე შემეძლო კარგად მეცხოვრა, თუ ვიქნებოდი კეთილგონიერი, ე. ი. მხოლოდ ჩემთვის რომ დამეწყო ცხოვრება. წინათაც ასე იყო ჩემს ცხოვრებაში, — რუსეთში. მე იქაც შემეძლო შემექმნა ჩემთვის ბრწყინვალე მდგომარეობა, თუკი ხელს ავიღებდი იმაზე, რასაც სულში ვატარებ, რაც მამოძრავებს, რაც მკვებავს და მახარებს. მე კი მივყვები ჩემს ვარსკვლავს და იმედი. მაქვს, რომ ვიხილავ მას უფრო გაკაშკაშებულს“. მე ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი, თუ ღმერთი გამიხანგრძლივებს სიცოცხლესო, — ამბობდა მიცვევიჩი და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი „არ დამონებოდა თავის თავს“, არ ეღალატა იმ პრინციპებისათვის, რომელთაც ბავშვობიდანვე იცავდა. მისი მოქმედების საფუძველი მუდამ მტკიცე და გარკვეული იყო. ცხოვრების ქარტეხილს შეეძლო ხანდახან მისი მოქმედება, ფიქრები და აზრები არასწორი მიმართულებით წაეყვანა, მაგრამ მისი სოციალურ-პოლიტიკური იდეებისა და რწმენის გრანიტის საფუძველები მუდამ ურყევი რჩებოდა. ამ რწმენით შეხვდა ის 1848 წლის რევოლუციას, ამ იმედით წავიდა ის რომში, როცა ლომბარდიაში განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, სადაც დიდი გატაცებით შეუდგა პოლონური ლეგიონების ჩამოყალიბებას. თუ ამ ლეგიონებს სამშობლოს განმათავისუფლებლად ვერ გამოიყენებდა, ისინი დამხმარე ძალად მაინც გამოადგებოდნენ სხვა ხალხებისათვის, რომელნიც პოლონელების

მსგავსად იბრძოდნენ ეროვნული და სოციალური თავისუფლების მოსაპოვებლად.

მიცქევიჩის წინაშე მოქმედების ფართო ასპარეზი გადაიშალა. ახლა მას არა კალმით, არამედ მახვილით სურდა ებრძოლა. მართალია, უკვე ღონე არ ერჩოდა ჭაბუკური გამმაგებით და ეწყო ბრძოლა, მაგრამ გული და აზრი ახალგაზრდული შერჩა. ცხოვრების მიერ ფიზიკურად მოტეხილი პოეტი დიდი ენთუზიანით ჩაება ევროპის სხვადასხვა ქვეყნების რევოლუციურ მოძრაობაში.

ცხოვრების უკულმართობამ მაინც მძიმე დალი დაასვა მის ხასიათს. ის ნერვიული გახდა, ჭირვეული. მასთან მეგობრებას წრეში კამათი შეუძლებელიც იყო; როცა თავის აზრებს გამოთქვამდა, თუ ვინმე შეედავებოდა, შმაგდებოდა, ყვიროდა, ილანძვებოდა კიდევ, არ ინდობდა თავის ისეთ სახელოვან თანამემამულეებსაც კი, როგორც იყვნენ სლოვაკი და კრასინსკი. თავის აზრს პირდაპირ, მოურიდებლად სახეში ახლიდა მოწინააღმდეგეებს.

რომში მიცქევიჩს აეკვიატა აზრი, რომ პაპს შეუძლია სათავეში ჩაუდგეს რევოლუციურ მოძრაობას და განმათავისუფლებელი ჯვაროსნული ლაშქრობა მოაწყოს ტირანების წინააღმდეგ. ამოდ ცდილობენ ბურჟუაზიული, რეაქციონერი ლიტერატურათმცოდნენი მიცქევიჩის ამ მორიგ დაბნეულობაში მისი კათოლიციზმით გატაცება დაინახონ. ერთია მისი მრწამსი, მისწრაფება, მიზანი, მეორე — ის ფორმა, რომელსაც იგი მის მისალწევად ირჩევს; აქ ის ცთება ხოლმე, ცრუ იმედებს ამყარებს ზებუნებრივ ძალებზე, ახალი მესიის გამოცხადებაზე, რომის პაპის განმათავისუფლებელ მისიაზე, მაგრამ ეს რომ მისი მრწამსი არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ ის კვლავ აჯანყებაზე ფიქრობს, მახვილით გამარჯვების მოპოვებაზე, სოციალური ბრძოლის გაშლაზე, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და თუ დარწმუნდა, რომ მის მიერ არჩეული ფორმა მოქმედებისა არ უწყობს ხელს ამ მიზნის განხორციელებას, მესიასაც შეაფურთხებს, რომის პაპსაც და მთელ კათოლიკურ ჩროვას.

შესანიშნავად აქვს მეჩისლავ იასტრუნს დოკუმენტურ მა-

სალებზე დაყრდნობით აღწერილი პოლონელ ემიგრანტთა დეპუტაციის შეხვედრა რომის პაპთან პიუს IX-სთან.

1848 წლის 25 მარტს პოლონელი დელეგატები, მათ შორის მიცკევიჩი, შევიდნენ კვირინალში. „ღვთაებრივი ღიმილით“ შეხვდა მათ პიუს IX. „ღვთისდარმა“ დალოცა პოლონელები, როგორც „კათოლიკური ეკლესიის ერთგულები“, მშვიდობა და სიკეთე უსურვა პოლონურ ეკლესიასაც და მის ტრადიციებს. შეშინებულნი, ენადაბმულნი იდგნენ პოლონელი პილიგრიმები „ამქვეყნიური ღმერთის წინაშე“. ადამ მიცკევიჩმა გაბედულად წადგა ნაბიჯი წინ და ჯერ მშვიდად დაიწყო, შემდეგ კი სახეზე სისხლი მოაწვა და ხმას აუწია. იგი ლაპარაკობდა პოლონელების ერთგულებაზე ქრისტიანული რწმენისადმი, თავისი ხალხის ტანჯვაზე, „გოლგოთაზე რომ აპყავთ დესპოტებს და იმედოვნებენ, რომ პოლონეთი მოკვდა“. პაპი მიჩვეული იყო ქვეშევრდომების წყნარად, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკს და მიცკევიჩის ფოლადისებური მკექარე ხმა არ ესიამოვნა; არც ის მოეწონა, ტირანების წინააღმდეგ საბრძოლველად რომ მოუწოდებდა პოლონელი პოეტი ვატიკანის მბრძანებელს. „იაკობინელი ხომ არ ვგონივარო“, გაიფიქრა მან და ჩაეცინა.

მიცკევიჩმა აღზნებული სახე მიაპყრო პაპს და მოუწოდა სათავეში ჩადგომოდა ხალხთა მოძრაობას დესპოტიზმის წინააღმდეგ. მან წყევლა-კრულვით მოიხსენია ისინი, ვინც პოლონეთი დააქუცმაცა და გააუბედურა. „თუ თქვენ ამას არ იზამთ, წმიდაო მამავ, — კიდევ უფრო აუწია ხმას მიცკევიჩმა, — თუ თქვენ სათავეში არ ჩაუდგებით სიცოცხლისათვის საბრძოლველად გამოღვიძებულ ხალხებს, მაშინ ღმერთი სხვა გზას და სხვა საშუალებას აირჩევს ამისათვის. სისხლის ნიაღვარი წალეკავს მაშინ ევროპის ქალაქების ქუჩებს“. მიცკევიჩი უკვე აღარ ლაპარაკობდა, არამედ ყვიროდა. ასე იდგა მისი კონრადი ღმერთის წინაშე, როგორც ახლა მიცკევიჩი წარსდგა ღმერთის ნაცვლის პირისპირ დედამიწაზე და მოითხოვა ხალხთა უფლების დაცვა.

პაპის სახეზე უკმაყოფილება აისახა. მიცკევიჩის კანდიერებით შეშინებული პოლონელები სერთუქზე ეწეოდნენ მას და ანიშნებდნენ დაჩუმებულები. პაპი კი იეზუიტური სიმშვიდით

უპასუხებდა: შვილო ჩემო, ნუ ყვირი ასე, ცოტა დაუწიე ხმას; ამ მომენტში პოლონეთისათვის ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. იყუჩეთ და ელოდეთო.

პოეტს სისხლი აუვარდა თავში. კონრადი რომ ღმერთს შეკლალადებდა, ღმერთი სდუმდა და ეს ღუმილი ახელებდა ღვთისმბრძოლს. პაპი არ სდუმს. ის პასუხს იძლევა, მაგრამ მიცკევიჩმა იცის ამ პასუხის ფასი. ასე „ამშვიდებდნენ“ ვატიკანის მეუფენი ყველა ტანჯულსა და წამებულს. დიდხანს ითმინა მათზე მინდობილმა პოლონეთმა, საუკუნეები გავიდა, რაც მას ყვავეყორნები სძიძგნიან. „ჩვენ არ შეგვიძლია ველოდოთ, ჩვენ ვიტანჯებით, წმიდაო მამაე!“ — აღმოხდა მიცკევიჩს. ვიციო ეს — ისევ მშვიდად მიუგო პაპმა — ამის შესახებ მე თქვენი ხალხის საუკეთესო ფენების წარმომადგენელი მანდილოსნები მელაპარაკნენო.

ეს კი ველარ მოითმინა მიცკევიჩმა და პირდაპირ სახეში მიახალა „ღვთისდარს“: „თქვენც სალონების კომენდიატებს უსმენთ არა? ჩვენი ხალხის წარმომადგენლების, პოლონელი დედების მოთქმა რომ მოგესმინათ, იმ წუთიდან თვალის მოხუქვას ვერ შეძლებდით. მარტო ჩვენ კი არა, ყველა ხალხი მოგმართავთ თქვენ, რომ იყოთ მათი მხსნელი“.

პოლონელები თავზარდაცემულნი იდგნენ. პაპს ტუჩებზე ისევ ირონიული ღიმილი აუთამაშდა. „რა უნდა ჩემგან, ნაპოლეონად ხომ არ სურს მაქციოს, სულელი!“ — ფიქრობდა ის.

„მე ვიცნობ ჩვენს ახალგაზრდობას, — გრგვინავდა მიცკევიჩი, — იგი მზად არის საბრძოლველად, მაგრამ მას მეთაური არა ჰყავს. თუ პაპი ჩაუდგება მას სათავეში, კაცობრიობა გადარჩება ტანჯვას. თქვენი ხელები სუფთაა... ეცადეთ, რომ ხალხის სისხლმა არ შეღებოს ისინი“, — მიაძახა პოეტმა.

„ნუ მემუქრები, შვილო“, — ისევ მშვიდად მიუგო პაპმა და დაუმატა: მე უარყოფ უდანაშაულოთა სისხლის ღვრას. თუ პოლონელებს რესპუბლიკური წყობილების დამყარება სურთ, მით უარესი მათთვის.

„მით უარესი ეკლესიისათვის, თუ ის არ დალოცავს თავის სუფლების დროშებს“, წამოიძახა მიცკევიჩმა და განაგრძო:

„წმიდაო მამავ, დალოცეთ პოლონური ლეგიონები! დალოცეთ თავისუფლების დროშები!“

პაპი წინააღმდეგია, ეს მთავრობის საქმეა, მას მიმართეო, და რომ ვერ დააშოშმინა გაშმაგებული პოეტი, იმის ნიშნად, რომ მასთან საუბარი დამთავრებულია, წყნარად წარმოსთქვა: „piano, piano“.

მიცკევიჩი დარწმუნდა, რომ რომის პაპი სრულიადაც არ ზრუნავდა ხალხთა თავისუფლებაზე, მან კიდევ წარსდგა წინ ნაბიჯი, მუშტი მოიღერა და ვატიკანის თაღებში დაიქუხა უჩვეულო სიძლიერის ხმამ:

„იცოდეთ, წმიდაო მამავ, ღვთაებრივი სული პარიზის მუშების ხალათებშია ახლა მოთავსებული!“

პაპის სახეზე ფარისევლური ღიმილი გაქრა, მრისხანედ გაიელვა მისმა თვალებმა და რაკი მიცკევიჩი არ ცხრებოდა, ახლა მანაც აუწია ხმას: „გაეთრიეთ!“ — დაიყვირა მან, და პოლონელ პილიგრიმთა ღებუტაცია გამორეკეს ვატიკანიდან.

განა ეს ეპიზოდი იმას არ ამტკიცებს, რომ მიცკევიჩს მისი ძველი პოზიციებისათვის არ უღალატია და რომ მესიანიზმის ბურუსს მისთვის არ დაუფარავს ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის ნათელი მიზანი? რა თქმა უნდა, მიცკევიჩის ნაწერებიდან შეიძლება ისეთი ციტატების ამოგლეჯა, სადაც ის დიდ იმედებს ამყარებს რომის პაპზე, თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა იმედად და მეთაურად თვლის ვატიკანს, კათოლიკური ეკლესიისათვისაც არ იშურებს ხოტბას, მაგრამ ყოველივე ეს იმის საბუთს მაინც არ იძლევა, რომ ვამტკიცოთ თითქოს მიცკევიჩს თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში შეეცვალოს ადრინდელი რევოლუციური შეხედულებანი. ერთი რამ არის საყურადღებო—მიცკევიჩი ზოგჯერ თვითონაც ასხვავებდა ამა თუ იმ პიროვნების იდეას ან მისწრაფებას მისივე მოქმედების ფორმისაგან. ჟურნალ „ხალხთა ტრიბუნაში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში, რომელშიაც სამართალში მიცემულ პრუდონს იცავდა, მიცკევიჩი წერდა, რომ „საჭიროა გამოვყოთ იდეები და განზრახვანი ფორმისაგან“. ამით მიცკევიჩს იმის თქმა სურდა, რომ შეიძლება იდეა, განზრახვა სწორი იყოს, მოქმედების ცალკეული ფორმა კი მცთარი; მაგრამ ეს იმას კი არ

ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში იდეის ლალატთან გვაქვს საქმე, არამედ მხოლოდ მოქმედების დაბნეულობასთან, რასაც გამოსწორება სჭირდება. ასე მოუვიდა მიცკევიჩისა. ხალხთა თავისუფლების იდეისათვის მას არასოდეს უღალატია; და თუკი ზოგჯერ ამ კეთილშობილური საქმისათვის ბრძოლაში კათოლიციზმისა ან მესიანიზმის გამოყენებას ცდილობდა და, პოლონელი კრიტიკოსის ბოი ჟალევესკის თქმისა არ იყოს, „როცა მკურნალს ვერ პოულობდა, ექიმბაშს მიმართავდა“, ეს მისი მოქმედების არასწორი ფორმა იყო. მიცკევიჩის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის თვითვე ერკვეოდა ხოლმე ასეთ დაბნეულობაში და საბოლოოდ გადაკრით უარყოფდა მას. ასე შეაქცია მან ზურგი ტოვიანისტურ ექიმბაშობას და ისევე მოუღერა მუშტი „ღვთისდარ“ რომის პაპს. ის გაბედულად უარყოფდა ყველაფერს, რაც ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლაში რეალურ დახმარებას არ გაუწევდა და მზად იყო თუნდაც ჯოჯოხეთის ძალებთან შეეკრა კავშირი, ოღონდ როგორმე ეშველა თავისი გატანჯული სამშობლოსათვის.

ამ დროს პოლონური ლეგიონები ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. ქალიშვილები დროშებს ქარგავდნენ. ლეგიონერთა დროშის ერთ მხარეზე ეწერა: „პირველი პოლონური რაზმი“, ხოლო მეორეზე: „სლავიანობა“. დაისვა საკითხი, თუ ვინ აერჩიათ ლეგიონის მეთაურად. ასახელებდნენ მიცკევიჩსაც. არისტოკრატიული ელემენტები ამ „ერეტიკოსისა და იაკობინელის“ წინააღმდეგნი იყვნენ. მიცკევიჩს აღარ შეეძლო „ადგილისათვის ბრძოლის“ ახალი ინტრიგებისათვის ესმინა. ეს მას ყოველთვის აცოფებდა. იგი ადგა, კარი გაიჯახუნა და გავიდა სხდომის დარბაზიდან. შემდეგ მას დეპუტაცია გაუგზავნეს და თხოვეს ეკისრა მეთაურობა.

მიცკევიჩი მთელი არსებით შეუდგა ამ პატრიოტული საქმის ხელმძღვანელობას. კვლავ კონრადის, ვალენროდისა და ტადეუშის სიმტკიცით ახმიანდა მიცკევიჩის კალამი, მაგრამ ახლა ის უკვე ლექსებს კი არ წერდა, არამედ — მოწოდებებს, განკარგულებებს, მანიფესტებს, რომლებშიც სამშობლოს ერთიანობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუხმობდა პოლონელებს.

ჰაპმა მხოლოდ მაშინ დალოცა ლეგიონის დროშები, როცა პოლონელი პატრიოტები არა თავისი სამშობლოს გასათავისუფლებლად, არამედ ლომბარდიაში საბრძოლველად გაგზავნეს.

ამ დროს იტალია ავსტრიასთან აწარმოებდა ომს, ეს უკანასკნელი კი პოლონეთის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს ფლობდა და პოეტს ეგონა, რომ იტალიის მხარეზე ავსტრიის წინააღმდეგ ბრძოლით ის თავისი სამშობლოს განთავისუფლების საქმეს ემსახურებოდა.

თავდაპირველად ნოვოგრადეკის დომინიკური სკოლის მოწაფეების სამხედრო თამაშობას ჰგავდა ამ ლეგიონის მოქმედება. აბა რა სერიოზულ საომარ ძალაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა მიცკევიჩის ლეგიონში რომიდან გამგზავრების მომენტში სულ 12 კაცი შედიოდა. მართალია, მათ იმედი ჰქონდათ, რომ ლეგიონი თანდათან შეივსებოდა, მაგრამ მაინც ცხადი იყო, რომ პოლონელი პილიგრიმები ნოვოგრადეკელი პატრიოტების მსგავსად არარსებული პოლონური არმიის სიმბოლურ შთაბეჭდილებას ქმნიდნენ მხოლოდ.

ეს ლეგიონად წოდებული ათეული რომში გემ „კასტორზე“ ავიდა და ლომბარდიისაკენ გაუდგა გზას. ლეგიონერებმა გაიარეს ლივორნო, არნო, ფლორენცია, ბოლონია, მოდენა, პარმა, კორრეჯიო და მილანი, ყველა ქალაქში დემონსტრანტები ჩირალდნებითა და ყვავილებით ხვდებოდნენ პოლონელ პატრიოტებს. მიცკევიჩი აივნოდან მგზნებარე სიტყვებით მიმართავდა მათ საპატივეცემლოდ შეკრებილ ზღვა ხალხს. ის იმედოვნებდა, რომ ავსტრიის ჯარების რიგებში მყოფ სლავებს — პოლონელებს, ჩეხებს, ხორვატებს, ილირიელებსა და დალმაციელებს მიიმხრობდა და ამით თავის ლეგიონს განამტკიცებდა.

ბოლონიაში ჩასვლისთანავე მან მთავრობასთან მოლაპარაკება გამართა, სლავი სამხედრო ტყვეები გაათავისუფლებინა და ლეგიონერთა რიცხვი ასოთხმოცდაათამდე გაზარდა. პარიზიდან პოლკოვნიკმა ნ. კამენსკიმ 130 კაცი ჩამოიყვანა და ისიც მიცკევიჩის ლეგიონს შეუერთდა.

ბოლონიის მთავრობა, ცხადია, მიცკევიჩის ლეგიონზე დიდ იმედებს არ ამყარებდა და არც რამე თვალსაჩინო დახმარებას უწევდა მას. ბევრ ლეგიონერს ამის გამო გული გაუტყდა. დე-

ზერტირობა გახშირდა. პარიზიდან ჩამოსულმა პოლონური არისტოკრატიული ემიგრაციის წარმომადგენლებმა ყოველი ღონე იხმარეს, რათა დაეშალათ „იაკობინელი მიცკევიჩის“ ლეგიონი; ისინი პირობების გაუმჯობესებას შეპირდნენ ლეგიონერებს, თუ პარიზში დაბრუნდებოდნენ. საფრანგეთის მთავრობა და პოლონელი არისტოკრატები მათ აჯანყებული მუშების წინააღმდეგ გამოყენებაზე ფიქრობდნენ. ამ პროვოკაციულ ანკესზე ბევრი ლეგიონერი წამოეგო; მათ დასტოვეს იტალია და საფრანგეთისაკენ გაეშურნენ, რაც მძიმე დარტყმა იყო მიცკევიჩისათვის.

მიცკევიჩმა მიმართვა გაუგზავნა ლომბარდიის მთავრობას, რომ გაეცათ განკარგულება პოლონური ლეგიონის დაკომპლექტების შესახებ. მიცკევიჩის პირობები ასეთი იყო: ლეგიონი ინარჩუნებდა ეროვნულ დროშას, გადადიოდა ლომბარდიის სამხედრო მინისტრის განკარგულებაში ავსტრიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ საომრად, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ქვეყნის შიგნით იტალიელი ხალხისა და საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მიცკევიჩს მიმოწერა ჰქონდა ვარშავის აჯანყების მონაწილე ემიგრანტ პოლკოვნიკ ნ. კამენსკისთან, რომელმაც მოაგროვა 150-მდე ლეგიონერი, გადმოიარა ალპები და მილანში ჩამოვიდა მიცკევიჩის ლეგიონთან შესაერთებლად. იგი წერილებს სწერდა მინისტრს, თხოვდა მთავრობას მხარის დაჭერას, სლავი მოხალისეების გამოგზავნას და სხვა. საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს მიცკევიჩმა ფულადი დახმარებაც სთხოვა, რადგან ლეგიონი მაშინ დიდ ფინანსურ გაჭირვებას განიცდიდა. ლომბარდიის მთავრობას ასეთი თხოვნით ვერ მიმართავდა მიცკევიჩი, რადგან ლეგიონს ეს ჯერ დამსახურებული არ ჰქონდა.

დაუღალავი მიცკევიჩი საფრანგეთის მთავრობას თხოვდა იარაღი მიეწოდებინა პოლონური ლეგიონისათვის, შინაგან საქმეთა მინისტრს — ხელის შეწყობას, რათა პოლონელებისათვის საშუალება მიეცათ ჩამოსულიყვნენ მილანში და შეერთებოდნენ ლეგიონს. ბარონ დე სენ ლეჟენს ის სწერდა, რომ

ავსტრიის დამარცხება შესაძლებელი იყო, თუკი მოხერხდებოდა ამ იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ მრავალრიცხოვან სლავთა აჯანყება; სლავური მოსახლეობა მიაჩნდა მას ავსტრიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთ მთავარ დასაყრდნობად.

ამ დროს მიცკევიჩი დამოუკიდებლად მოქმედებდა. მას არ სურდა კავშირის დამყარება პარიზის ემიგრაციის პარტიებთან, რადგან მიაჩნდა, რომ „არცერთ ამ პარტიას არ გააჩნია საკმარისი მორალური ძალა, რათა გააერთიანოს ემიგრანტები და წარმატებით იმოქმედოს სამშობლოს სასარგებლოდ“.

მიცკევიჩის ენერგიული მოღვაწეობის შედეგად გადალახული იქნა მრავალი დაბრკოლება. ლეგიონი ჩამოყალიბდა და თანდათან გაფართოვდა კიდეც. რამდენსამე ხანში ორი ასეული პოლკოვნიკ კამენსკის მეთაურობით გავიდა ბრძოლის ველზე და თავი ისახელა ლონატოსთან ბრძოლაში. თვითონ კამენსკი მძიმედ დაიჭრა და შეცვლილი იქნა პოლკოვნიკ სიოდოლკევიჩის მიერ.

მიცკევიჩს კავშირი ჰქონდა დამყარებული იტალიის რევოლუციური მოძრაობის მეთაურ ჯუზეპე მაძინისთან. იგი მხარს უჭერდა მაძინის რესპუბლიკურ იდეებს, რომელსაც ერთ-ერთ წერილში აცნობებდა კიდეც, რომ „პოლონეთის ლეგიონმა გამოაქვეყნა თავისი რწმენის სიმბოლო და საჯაროდ განაცხადა, რომ ის არის რესპუბლიკური და სოციალური არმია“.

დამახასიათებელია მიცკევიჩის ურთიერთობა იტალიის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ბელად ჯუზეპე გარიბალდისთანაც. პოლონური ლეგიონი გარიბალდის მოხალისეების მხარდამხარ იბრძოდა 1849 წლის გაზაფხულზე რომის რესპუბლიკის დასაცავად.

მიცკევიჩი აღშფოთებული იყო იმით, რომ იტალიის მთავრობა არ იღებდა ენერგიულ ზომებს ავსტრიელი ოკუპანტების წინააღმდეგ. ბებერი ავსტრიელი ფელდმარშალი, 82 წლის რადეცკი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოიწვედა წინ. შეშინებულმა მეფემ მილანის ნაადრევი კაპიტულაცია გამოაცხადა. მიცკევიჩის ლეგიონი არ დაემორჩილა ამ ბრძანებას და განაგრძობდა წინააღმდეგობას. პოლონელებმა თავი ისახელეს რომის მისადგომებთან ბრძოლაშიც.

ამ დროს რევოლუციური პარიზიც ბარიკადებზე იდგა. საფრანგეთის გმირული მუშათა კლასი თავგამოდებით იცავდა რესპუბლიკას. მიცკევიჩი დაბრუნდა პარიზში და ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. ის საფრანგეთიდანაც აგზავნიდა პოლონელ მოხალისეებს იტალიაში ლეგიონის გასაძლიერებლად, როდესაც საფრანგეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ გენერალ უდინოს მეთაურობით კორპუსი გაგზავნა იტალიაში რესპუბლიკური მოძრაობის ჩასახშობად, პოლონური ლეგიონი გარიბალდის მოხალისეებთან ერთად ფრანგების წინააღმდეგ იბრძოდა რესპუბლიკის დასაცავად. ამ ბრძოლებში პოლონური ლეგიონი სისხლისაგან დაიცალა, დასუსტდა, ლეგიონის ერთი ასეული ფრანგებმა ტყვედ იგდეს და საბერძნეთში გაასახლეს.

ლუი ნაპოლეონის პრეზიდენტად არჩევამ ერთხანს მიცკევიჩს ახალი იმედები ჩაუსახა, მაგრამ ეს იმედებიც მალე გაუცრუვდა. „კოლეჟ დე ფრანსში“ ის არ აღადგინეს, რადგანაც თავისუფალი აზრი ძველებურად იღვევებოდა. ამასობაში პოეტმა კრაკოვის იაგელონის სახელობის უნივერსიტეტიდან მიიღო მოწვევა, გადასწყვიტა კიდეც გამგზავრება, მაგრამ ამ დროს გაეცნო გრაფ ქსავერ ბრანიცკის, რომელმაც 70000 ფრანკი გაიღო პოლონელი ემიგრანტების ახალი გაზეთის დასაარსებლად. რედაქტორად მიცკევიჩი იქნა მიწვეული. გრაფმა ამის თაობაზე 1848 წლის თებერვალში წვეულებაც გამართა. წვეულებას სხვათა შორის დაესწრო გერცენიც, რომელმაც შემდეგ აღწერა კიდეც მოგონებებში ამ საღამოს მომხდარი ამბები. გერცენი გადმოგვცემს, მე უპირველეს ყოვლისა მიცკევიჩის ნახვა მაინტერესებდაო. ისინი შეხვდნენ კიდეც ერთმანეთს: მიცკევიჩი ბუხართან იდგა, გერცენი დიდხანს აკვირდებოდა მას და ადარებდა პოლონელი პოეტის იმ პორტრეტებს, რომელნიც მას მანამდე ჰქონდა ნანახი.

თავის მოგონებებში გერცენი წერს მიცკევიჩის შესახებ: „ის ბუხართან იდგა იდაყვით მარმარილოს ფიცარზე დაყრდნობილი. ბევრ ფიქრსა და ტანჯვას დაედარა მისი უფრო ლიტერატური, ვიდრე პოლონური სახე, მისი აღნაგობა, ხშირი ქაღარა თმები და მოღლილი გამოხედვა ქმნიდა განცდილი უბედურე-

ბის, შინაგან ტკივილებთან ნაცნობობის შთაბეჭდილებას. ეს იყო პოლონეთის ბედის პლასტიკური სახე“.¹

წვეულებაზე სიტყვით გამოვიდა მიცკევიჩი და ხოტბა შეასხა ლუი ნაპოლეონს. გერცენს მიცკევიჩის სადღეგრძელო უნდა დაეღია, მაგრამ არ მოეწონა მისი გამოსვლა და უარი თქვა... შემდეგ წვეულების ერთ-ერთმა მონაწილემ რამონ დე ლა საგრამ პროტესტი განაცხადა მიცკევიჩის გამოსვლაზე და წამოიძახა: „ძირს დესპოტიზმი, ვისი სახელითაც არ უნდა გამოდიოდეს ის, მეფის, იმპერატორის, ბურბონის თუ ნაპოლეონისაო“.. უმრავლესობამ დე ლა საგრამს დაუჭირა მხარი, მათ შორის გერცენმაც. განაწყენებულმა მიცკევიჩმა დასტოვა წვეულება. ის ძველებურად იყო შეპყრობილი ნაპოლეონის კულტით. ახლა როცა საფრანგეთში რესპუბლიკური წყობილება დამყარდა, მიცკევიჩი ალტაცებით შეხვდა ლუი ნაპოლეონის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევას. ამავე განწყობილებით დაიწყო მან მოღვაწეობა გაზეთ „ხალხთა ტრიბუნაში“, პოეტი დარწმუნებული იყო, რომ ნაპოლეონს შეეძლო სათავეში ჩადგომოდა ევროპის ხალხთა რევოლუციურ მოძრაობას. ა. გერცენი სამართლიანად აკრიტიკებდა მიცკევიჩის ამ დაბნეულობას, მაგრამ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: მიცკევიჩს ამ შემთხვევაშიაც არ უღალატია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი პრინციპებისათვის. ამას ადასტურებს პოეტის საკმაოდ მრავალრიცხოვანი სტატიები, გამოქვეყნებული „ხალხთა ტრიბუნაში“; ამ სტატიების ხასიათი უფრო სწორ წარმოდგენას გვაძლევს მიცკევიჩის პოლიტიკურ შეხედულებებზე, ვიდრე ზემოთ აღნიშნულ წვეულებაზე მის მიერ წარმოთქმული და ბურჟუაზიული კრიტიკოსების მიერ ყბადღებული სიტყვა.

ემიგრაციაში ფრანგულ ენაზე გაზეთის დაარსების იდეა მიცკევიჩს ჯერ კიდევ 1833 წელს დაებადა. ამ იდეის განხორციელება მან მხოლოდ 16 წლის შემდეგ მოახერხა. 1849 წლის 15 მარტს გამოვიდა „ხალხთა ტრიბუნის“ პირველი ნომერი. ეს გაზეთი არა მარტო პოლონეთის საკითხებით იყო დაინტერესებული, არამედ ხალხთა განთავისუფლების საერთო ინტერნა-

¹ А. И. Герцен. Былое и думы. 1946 г., стр. 365.

ციონალურ იდეებს გამოხატავდა. მის რედაქციაში ფრანგებს გარდა შედიოდნენ პოლონელი, რუსი, გერმანელი, ესპანელი, ბელგიელი, და სხვა ხალხთა წარმომადგენლებიც. „ხალხთა ტრიბუნა“ იმთავითვე მემარცხენე რადიკალურ პოზიციაზე დგა და სოციალისტურ მიმდინარეობას დაუახლოვდა.

როდესაც გამოიჩვენა, რომ ლუი ნაპოლეონმა გენერალ უდიანოს კორპუსი რომში პაპის დასახმარებლად გაგზავნა და ამით გაამქლავნა თავისი კავშირი კლერიკალებთან, „ხალხთა ტრიბუნამ“ სხვა პროგრესულ გაზეთებთან ერთად აჯანყებისკენ მოუწოდა პარიზის მოსახლეობას. ამ მოწოდებამ გამოხმაურება ვერ ჰპოვა. მთავრობამ სასტიკ რეპრესიებს მიმართა „ხალხთა ტრიბუნის“ რედაქციის წინააღმდეგ.

რედაქცია დაარბიეს, რედაქტორები დააპატიმრეს, მიცკევიჩს, რომელიც მაშინ რედაქციის შენობაში არ იყო, შეატყობინეს მომხდარი ამბის შესახებ; ის გაიქცა სახლიდან და მის მეგობარ დესიუსთან დაიშალა. ერთი კვირა გაატარა მან იატაკქვეშ. გაზეთის მეცენატს გრაფ ბრანიცკის მოსალოდნელი რეპრესიებისა შეეშინდა და „სახალხო ტრიბუნის“ შემდგომ ფინანსირებაზე უარი განაცხადა. მიცკევიჩი ეძებდა სახსრებს გაზეთის ხელახლა გამოსაცემად. ის უკმაყოფილო იყო მთავრობის რეპრესიული ზომებით, თუმცა ძველებურად ცდილობდა ლოიალური ყოფილიყო ლუი ნაპოლეონის მიმართ. ამ უბედურებას ისიც დაემატა, რომ პოლონური ლეგიონის ნარჩენებმა იარაღი დაჰყარეს და საფრანგეთში გამოიქცნენ; აქედან ზოგი ამერიკაში გაიხიზნა, ზოგიც რუსეთის მეფის მიერ ფარისევლურად გამოცხადებულ ამნისტიას დაენდო, პოლონეთში დაბრუნდა და უარეს მდგომარეობაში ჩავარდა.

მიცკევიჩი კვლავ ურყევად იდგა თავის პოზიციაზე, განაგრძობდა ბრძოლას და არ ჰკარგავდა გამარჯვების რწმენას. დომეიკოსადმი 1849 წლის 14 ოქტომბერს მიწერილ წერილში, პოეტი წერდა: „...და მაინც საბოლოო არ არის ბოროტების ზეიმი, სიმართლე არ დაილუპება და ყველაფერი კეთილი, რაც ჩვენს სულში დარჩა, მოესწრება აღორძინების ემას“.

იმ დღეებში მიცკევიჩი გამალებით წერდა ადრევე დაწყებული „პოლონეთის ისტორიის“ ახალ თავებს, მაგრამ ერთხელ

მასთან მისულმა დესიუმ დაინახა, რომ ბუხარში აუარებელი ქალაქი იწვოდა: ეს იყო „პოლონეთის ისტორიის“ ხელნაწერები. „დამიჯერე, გეთაყვა, რომ წიგნების დრო წავიდა“, — უთხრა მიცკევიჩმა დესიუს და იმ საღამოს მეტი ხმა არ ამოუღია. ის ნაღვლიანად შეჰყურებდა ბუხარს, რომელშიც მისი დიდი ხნის ნაშრომი იფერფლებოდა.

ამის შემდეგ მიცკევიჩს აღარც ტოვიანსკის ყალთაბანდური მესიანიზმი აინტერესებდა. ახლა მას მხოლოდ მახვილის, ბრძოლის იმედი ჰქონდა.

ორი თვის შემდეგ განახლდა „ხალხთა ტრიბუნის“ გამოცემა, მაგრამ მიცკევიჩი უკვე აღარ რედაქტორობდა მას, მხოლოდ სტატიებს აგზავნიდა რედაქციაში. პოეტმა კიდევ უფრო კარჩაკეტილად დაიწყო ცხოვრება. მძიმე მატერიული პირობები, ავადმყოფი ცოლი და ექვსი ბავშვი, განუწყვეტელი უსიამოვნება ოჯახში (ქსავერა ისევ მათთან ცხოვრობდა) კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა მის ყოფას. ერთადერთი ნათელი წუთები მაშინ ღვებოდა მიცკევიჩისათვის, როცა მასთან სტუმრად შოპენი მოდიოდა, როიალთან ჯდებოდა, თავს უკან გადაიგდებდა, თვალებს დახუჭავდა და გარინდებული აფრქვევდა ჯადოსნურ ჰანგებს.

ერთხელ შოპენსაც წაეჩხუბა ჰირვეული პოეტი — იმის ნაცვლად, რომ ხალხისათვის წერო და დაუკრა, სასახლეებში დადიხარ და მდიდრებს ართობო. შოპენმა მშვიდად მოუსმინა მეგობრის ლანძღვა-გინებას, გაიღიმა, ისევე როიალს მიუჯდა და ახლა ხალხურ კილოზე ააუღერა კლავიშები. მიცკევიჩმა სულმოუთქმელად მოუსმინა, შემდეგ აღელვებული წამოხტა და გადაჰკოცნა გენიალური მუსიკოსი.

საფრანგეთში საშინელი ტერორი მძვინვარებდა. ივლისის რევოლუციის მონაწილეებს სასტიკად უსწორდებოდნენ, ოღონო ექვმიტანილებსაც კი აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ. გაუგებრობის შედეგად დააპატიმრეს ტოვიანსკიც, რომელიც აჯანყების დღეებში ქუჩაში მისეირნობდა. მისმა მიმდევრებმა ხმაური ასტეხეს. მიცკევიჩი მაშინ ჩამოშორებული იყო „რასწავლებელს“. ტოვიანსკი სიკვდილითაც ემუქრებოდა მას, ჩვენი საქმე რევოლუციას და პოლიტიკას ანაცვალო. პოეტის მე-

უღლე ცელინა კი ძველებური მესიანისტური ფანატიზმით იყო შეპყრობილი. მან იმდენი მოახერხა, რომ ჯალათ კავენიაკის ბინაში შეიპარა და ტოვიანსკის განთავისუფლება სთხოვა. მინისტრმა უშედეგოდ გამოისტუმრა „აბეზარი დედაკაცი“, მაგრამ შემდეგ ტოვიანსკის უდანაშაულობა დამტკიცდა და ის გამოუშვეს. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი შვეიცარიაში წავიდა და სამუდამოდ იქ დასახლდა.

მიცკევიჩი სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს „ხალხთა ტრიბუნაში“. აქ კვლავ იჩინა თავი მიცკევიჩის დიდმა ლიტერატურულმა პოტენციამ, მისმა მძლავრმა პუბლიცისტურმა ნიჭმა. მიცკევიჩის პუბლიცისტიკის განხილვის საჭიროებას ისიც აძლიერებს, რომ ეს ჟანრი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია მისი საერთო მემკვიდრეობისა.

„პან ტადეუშის“ შემდეგ მიცკევიჩის პუბლიცისტური სტატიები ნათელ წარმოდგენას იძლევიან პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ შეხედულებებზე.

პირველსავე სტატიაში „ჩვენი პროგრამა“ მიცკევიჩი კიდევ ერთხელ აყენებს საკითხს ხალხთა სოლიდარობის შესახებ და აცხადებს, რომ არცერთ ხალხს არ შეუძლია იაროს პროგრესის გზით განმარტოებულად, რადგან ხალხის მტრები ევროპაში ძველებურად გაერთიანებული ძალებით მოქმედებენ. მიცკევიჩი მიზნად ისახავს სიმართლე უთხრას „ნამდვილ ხალხს, რომელსაც დღემდე არ შეეძლო სკოლაში შესვლა, წიგნების კითხვა, გაგება იმისა, რაც ხდება საზღვარგარეთ“. ჩვენი მიზანიაო, წერს მიცკევიჩი, ვუჩვენოთ ხალხს სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. მას „სახალხო ტრიბუნის“ ამოცანები სწორედ ასე ესმოდა. ამიტომ უწოდებდა ამ გაზეთს სახალხო ეროვნულ ორგანოს. „ხალხთა ტრიბუნას“ უნდა გამოეხატა არა მარტო პოლონეთის ან საფრანგეთის, არამედ ყველა ხალხის ინტერესები. „ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ხალხს ავიდეს ამ ტრიბუნაზე თავისი თავისუფალი სიტყვითო“, წერდა პოეტი.

აღსანიშნავია, რომ თუკი აქამდე მიცკევიჩი ნაპოლეონის კულტით იყო შეპყრობილი და ევროპის ხალხთა გასათავისუფლებლად ახალი ნაპოლეონის გამოჩენაზე ოცნებობდა, ახლა

იგი ასე აპოლოგეტურად როდი უყურებს კორსიკელი დიქტატორის მოღვაწეობას. ის ლაპარაკობს ნაპოლეონის მოღვაწეობის რესპუბლიკურ ფაზაზე, როდესაც იგი (ნაპოლეონი — მ. კ.) ნამდვილად ახორციელებდა რევოლუციურ პრინციპს. მაგრამ პოეტი იმასაც აღნიშნავს, რომ „საათი, როცა პირველმა კონსულმა ეს პრინციპი უარყო, რათა ძველ სამყაროსთან დაედო გარიგება, და თავზე გვირგვინი დაიდგა, იყო დასაწყისი მრავალი უბედურებისა, რომლის გამოც ხალხები დღემდე იტანჯებიან“. ნაპოლეონთან თავისი დამოკიდებულება მიცკევიჩმა უფრო ნათლად გამოხატა „ხალხთა ტრიბუნის“ 11 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში. აქ ის ერთის მხრივ კვლავ გუნდრუეს უკმევს „რევოლუციის უდიდეს სარდალს“ ნაპოლეონს, რომელიც მას „საყოველთაო დემოკრატიის“ განსახიერებად მიაჩნია, მაგრამ იმავე დროს კრიტიკულადაც უყურებს მის მოღვაწეობას. ის აღნიშნავს, რომ, როგორც ძალაუფლების წარმომადგენელს, არ ესმოდა თავისუფლების ფასი, სამაგიეროდ, ეს „პროლეტარი გენიოსთა შორის“ „თანასწორობის რევოლუციური იდეის შეიარაღებული მატარებელი იყო“. მიცკევიჩის აზრით, ნაპოლეონმა გააცამტვერა მეფეთა ამპარტავენობა, დაამხო მათი ტახტები, მოსპო პრივილეგიები და ყოყოჩი თავები დააყრევინა მეფის წყალობით გასხივოსნებულთ, მაგრამ მიცკევიჩმა ისიც აღნიშნა, რომ „შემდეგში ნაპოლეონი წავიდა იმ იდეების წინააღმდეგ, რომელთაც ის აქციეს „განმაახიერებლად საფრანგეთის, ევროპის და მსოფლიო რევოლუციისა“. რევოლუციონერმა დემოკრატმა მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი გამოუტანა თავის ადრე სათაყვანებელ გმირს:

„მას შემდეგ, რაც ის (ნაპოლეონი — მ. კ.) რევოლუციის მარჯვენა ხელი იყო წარსულის ნგრევაში, მან განიზრახა აღედგინა ეს წარსული თავისი პირადი სარგებლობისათვის. მან უღალატა თავის პოზიციას და დამკირდა ახალი დინასტიის დამაარსებლის როლამდე. ეს იყო მისი დაღუპვა. მხოლოდ ღმერთს ძალუძს კვლავ გააცოცხლოს ცხედარი! მან კი, ადამიანმა, იმპერატორმა, მოინდომა შერკინებოდა იდეას და დაეცა. შემდეგში მან თვითონაც აღიარა ეს: მეფეებმა კი არ დაამარცხეს ის, არამედ რევოლუციამ, რომელიც მან უარყო“.

მიუხედავად ასეთი მკაცრი სიტყვებისა, მიცკევიჩი მაინც ბოლომდე დარჩა ნაპოლეონის როლის გადაჭარბებით შემფასებული და მაშინაც კი, როცა ის სოციალისტური იდეებით იყო გატაცებული, წერდა: „საფრანგეთის, ისევე, როგორც მისი მოძმე ერების პოლიტიკური ხსნა ნაპოლეონის იდეების სოციალისტურ იდეებთან გაერთიანებაში მდგომარეობს“.

მიცკევიჩი რესპუბლიკის იდეების მძლავრ დამცველად გამოდიოდა. იგი ამხელდა გიზოებისა და ტიერების რეაქციული პარტიების ტაქტიკას — ახალი ფარისევლური ლოზუნგებით დაეცათ მეფის ხელისუფლება. „მეფე მეფობს და არ მართავს, ვმართავთ ჩვენ“, აცხადებდნენ ისინი. მიცკევიჩი მათ უპასუხებდა: „არა, თქვენ არააააობა ხართ, კიდეც მეფობს და კიდეც მართავს ლუი ფილიპე“.

მეორე რესპუბლიკის პერიოდში იზრდება მიცკევიჩის, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა და მებრძოლი პუბლიცისტის, ავტორიტეტი. ის მხარს უჭერს ლუი ნაპოლეონის არჩევას პრეზიდენტის პოსტზე, მაგრამ აფრთხილებს, რომ თუკი იგი ნაპოლეონივით დაივიწყებს რევოლუციის პრინციპებს, უნდა გაიხსენოსო წმ. ელენეს კუნძული.

მიცკევიჩს არ აკმაყოფილებდა მარტო რესპუბლიკური წყობის დამყარება, ის სოციალური საკითხების მოგვარებაზეც ფიქრობდა. რესპუბლიკურ ხალხთა შორის არსებობს სოციალისტური ფერმენტი, წერდა ის, და სწორედ მასშია ნამდვილი ძალა, რომელიც ახლანდელ მთავრობას დაემუქრებაო. შემდეგ, როცა მიცკევიჩმა დაინახა, რომ ლუი ნაპოლეონის რესპუბლიკურმა მთავრობამაც უღალატა თავისუფლების პრინციპებს, დაიწყო თავისუფალი აზრის დევნა და პროგრესული პრესის შევიწროება, პოეტი ისეთივე გაშმაგებით დაესხა მას თავს, როგორც უწინ ლუი ფილიპეს მთავრობის ესხმოდა. ზოგჯერ მიცკევიჩი მათ შორის გერავითარ განსხვავებასაც ვერ ხედავდა. ახლანდელი მინისტრები ლუი ფილიპეს პირდაპირი მემკვიდრეები არიანო, — წერდა ის და განაგრძობდა — თებერვალში ტუილირიდან ხალხის მიერ განდევნილი პარტია ამჟამად ელისეის სასახლეში ბატონობსო.

მიცკევიჩი კიცხავდა ბაროს მთავრობის მისწრაფებას ჩაეხ-

შო პრესის თავისუფლება და აქტულებინა ჟურნალისტები ის ეწერათ, რაც მთავრობას სურდა.

როდესაც ცნობილი წერილბურჟუაზიული სოციალისტი პიერ ჟოზეფ პრუდონი გაზეთ „Le peuple“-ში დაბეჭდილი მთავრობის საწინააღმდეგო სტატიის გამო დააპატიმრეს, მიცკევიჩი გამოვიდა „ხალხთა ტრიბუნაში“ მის დასაცავად და ერთხელ კიდევ გააკიცხა პრესის თავისუფლების აღკვეთა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მიცკევიჩის მრისხანე სტატია „ხალხთა ტრიბუნის“ განზრახული აკრძალვის გამო. ფრანგულმა გაზეთმა „La Révolution démocratique et sociale“-მ 1849 წლის 18 აპრილს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც წერდა: „იმის გამო, რომ „ხალხთა ტრიბუნას“ გადამწყვეტი და დამოუკიდებელი პოზიცია უჭირავს და იმიტომაც, რომ მის რედაქტორთა შორის უცხოელი დევნილებიც არიან, ბარო-ფალუ-ფოშეს კამპანიას, როგორც ამბობენ, სურს მათი საფრანგეთიდან გასახლება“. გაზეთი აღშფოთებას გამოთქვამს ამ გაუგონარი ძალადობის გამო. მიცკევიჩი მადლობას უცხადებს ამ გაზეთის რედაქციას სოლიდარობისათვის და მგზნებარედ მოუწოდებს „ბრმა რეაქციის“ წინააღმდეგ საბრძოლველად, „თავისუფლებისა და სამართლიანობის“ დასაცავად. მიცკევიჩი რწმენას გამოთქვამს, რომ საფრანგეთის რეაქციული მთავრობა ვერ შესძლებს ხმა ჩაუწყვიტოს „ხალხთა ტრიბუნას“, რადგან ის ძლიერია, მას მხარს უჭერენ და ეხმარებიან სხვადასხვა სახელმწიფოები და ვენაში, რომსა და კონსტანტინეპოლში უფრო მეტი თანამშრომლები ჰყავს, ვიდრე პარიზში; ის 20 ადგილას იწერება ერთსა და იმავე დროს და მთავრობას მოუხდება მოშალოს ფოსტა და დაანგრიოს რკინიგზის ხაზები, რომ აუკრძალოს იტალიელებს გამოგვიგზავნონ ტექსტები სამგლოვიარო ჰიმნის ან უნგრელების გამარჯვების სიმღერისაო, — წერს მიცკევიჩი და ამაყად აცხადებს, რომ ვერავენ შესძლებს ხელჰყოს ხალხთა სოლიდარობის დროშა, რომელიც მათ საფრანგეთში აღმართეს. მინისტრ ფოშეს პოეტი მოაგონებს არაკს სინდიოტალას შესახებ, რომელმაც მოისურვა კბილებით გაელრღნა და ენით გაეხეხა რკინის ნატეხი. „ჩვენ ვიარსებებთ, — წერს მიცკევიჩი — რეაქციის

ჯიბრზე, რომელიც იმიტომ შმაგობს, რომ არ შეუძლია მოახდინოს საზღვარგარეთული ინფორმაციის მონოპოლიზაცია ბირჟის სასარგებლოდ. ვიარსებებთ, ვიდრე ჩვენი თავისუფალი და დამოუკიდებელი ხმა გამოხმაურებას ჰპოვებს საფრანგეთში, ვიარსებებთ, სანამ ჩვენი ღონისძიებანი ხელს უწყობენ დაჩაგრული ერების განთავისუფლების საქმეს.“

სად ხედავდა ასეთ ძალას მიცქევიჩი? ის ებრძოდა არისტოკრატიას, ბურჟუაზიას, სასულიერო წოდებას და დასაყრდენს მშრომელ ხალხში ეძებდა. რესპუბლიკელი მიცქევიჩი ბრმად როდი მიყვებოდა იმ ფრანგ რესპუბლიკელებს, რომლებიც მხოლოდ ლალატობდნენ თავისუფლების იდეას. იგი რესპუბლიკელი იყო, მაგრამ არა ბურჟუაზიული რესპუბლიკელი, არამედ „საერთო სახალხო რესპუბლიკური წყობის მომხრე, სადაც მთავარი ძალა მშრომელი ხალხი იქნებოდა“. მიცქევიჩი ხედავდა იმ ინტრიგათა ქსელს, რომელსაც ევროპის რეაქციულ მთავრობებში ქსოვდნენ თავისუფლების ჩასახარობად, ხედავდა მეტერნიხისა და გიზოს ოინებს, ბაროსა და ავსტრიის იმპერატორის მაქინაციებს, პრუსიელების თვალთმაქცობას, პოლიტიკურ ბანქოს თამაშს ევროპის დიპლომატიურ კლუბებში; ხედავდა, თუ როგორ მოსწყდნენ მთავრობები თავიანთი ხალხების მისწრაფებებს და ინტერესებს. მიცქევიჩის აზრით ასეთი მთავრობები განწირულნი არიან. იგი წერს: „ვისაც ხალხმა ძალაუფლება მიცა, მაგრამ ხალხს უღალატა, დაეცა. ასე მოუვიდა ლუი ფილიპეს, ხლოპიციის, კარლ-ალბერტს. ასეთი ბედი მოელის საფრანგეთის მთავრობას. განწირულია პრუსიის მეფის ფრიდრიხ ვილჰელმ IV-ის ანტიხალხური თვითნებური მოქმედებანიც“; „პრუსიის მეფე მოახდენს არჩევანს — გადასწყვეტენ ხალხები!“ — ამბობს მიცქევიჩი.

პრუსიის მეფემ მართლაც მოახდინა არჩევანი, იმპერატორის გვირგვინი დაიდგა თავზე და, როგორც მოსალოდნელი იყო, მაშინვე პროგრესულ-დემოკრატიულ ძალებს დაუპირისპირდა. „ეს საკითხი — სწერდა ის პარლამენტს — მე უნდა მოვაგვარო თანასწორებთან მოლაპარაკების გზით, დემოკრატებთან მოლაპარაკებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია, მათ წინააღმდეგ შეიძლება მხოლოდ ჯარისკაცების გაგზავნაო“. ევროპის რეაქ-

ცია გაერთიანდა რევოლუციასთან საბრძოლველად. ხალხთა მასები აღდგნენ ტირანების და დესპოტების წინააღმდეგ და მიცკევიჩი ამ ბრძოლის გაღრმავებაზე, მის სოციალურ პერსპექტივებზე ოცნებობს, ამიტომ შეხვდა ის ასე საარკასტულად ამერიკელი დემოკრატების დახმარებას, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ დაინიშნა საკმაოდ მოზრდილი თანხა მათ გასამრჯელოდ, ვინც ამერიკაში მოიტანდა მონარქის ან რეაქციის ბელადის მოკვეთილ თავს, მიცკევიჩმა დასცინა ხალხთა რევოლუციური მოძრაობის ამ შეურაცხმყოფელ ღონისძიებას და განაცხადა: „ფულებით როდი შეიძლება ფულის მფლობელთა დამარცხება“.

აღსანიშნავია მიცკევიჩის შეხედულებანი სოციალიზმის შესახებ, გამოთქმული მის პუბლიცისტურ სტატიაში „სოციალიზმი“, რომელიც 1849 წლის აპრილს გამოქვეყნდა „ხალხთა ტრიბუნაში“. მიცკევიჩი მიუთითებდა, რომ რეაქციული ძალები შეშფოთებული არიან ამ მოძღვრების გავრცელებით, რომლის ნამდვილი შინაარსი არც ესმით. ისინი ამტკიცებენ, რომ სოციალიზმი ყველაფრის უარყოფას ნიშნავს, რომ სოციალისტურ მოძღვრებაში ახალი არაფერია, რომ თითქოს გნოსტიკოსებიც იმასვე ქადაგებდნენ, რასაც სოციალისტები ქადაგებენ, რომ ლუთერი და კალვინიც უდიდესი უარმყოფელები იყვნენ, მაგრამ უარყოფა არ ნიშნავს პოზიტიურ შენებას.

მიცკევიჩი კარგად ხედავდა მზარდი კაპიტალიზმის მანკიერ მხარეებს და ნიღაბს ხდიდა საფრანგეთის არისტოკრატისა და ბურჟუაზიის კონტრარევოლუციურ კავშირს. მიცკევიჩი ბურჟუაზიაშიც რევოლუციის მტერს ხედავდა. ის იმიტომ იყო ასე მტრულად განწყობილი ლუი ფილიპეს მონარქიისადმი, რადგან ხედავდა, რომ ეს იყო „გვირგვინოსანი ბატონობა კლასისა — კაპიტალი ტახტზე“. „ხალხი იწყებს კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლას“ — წერდა მიცკევიჩი. ამიტომ იყო ის ადფრთოვანებული პარიზის პროლეტარიატის რევოლუციურა გამოსვლებით. ის საფრანგეთში ყველაზე უფრო მუშათა კლასს უჭერდა მხარს. „გინდათ იცოდეთ, რა არის საფრანგეთი? ეს არის მუშა,“ — წერდა მიცკევიჩი.

რეაქციონერები ამტკიცებდნენ, რომ დადებითი იდეის

დამკვიდრებისათვის რამე მყარი საფუძველია საჭირო, ეს საფუძველი კი, მათი აზრით, იყო კაპიტალი, ექსპლოატატორული საზოგადოება, კანონი, რომელიც მფარველობს კაპიტალს, ექსპლოატატორებს და ადმინისტრატორებს. მიცკევიჩი ირონიულად შენიშნავს, რომ მათი აზრით სოციალიზმი უსაფუძვლოა, რადგან ვერცერთმა დღემდე ცნობილმა სოციალისტურმა სისტემამ, დაწყებული პლატონიდან და გათავებული მოქალაქე კონსიდერანით, ვერ მოახერხა ჩამდგარიყო სასამართლოს, პოლიციის და ჟანდარმერიის სამსახურში. და რომ, მაშასადამე, ეს სისტემები არ არსებობენ და ამდენად სხვას არაფერს წარმოადგენენ, თუ არა უარყოფას არსებული სისტემისა. ნაციონალური კრების მოაზროვნენი და თეოლოგები ფიქრობდნენ, რომ სოციალისტები, ყოვლისშემძლენი, როცა საქმე ეხება უარყოფას ან თავდასხმას, აღმოჩნდებიან უმწიონი, როცა საჭირო ხდება მტკიცება და შენარჩუნება. მიცკევიჩი წინააღმდეგია ყოველივე ამისი, იგი აცხადებს, რომ „სოციალისტური სისტემა არ არის უარყოფა“, მაგრამ აღნიშნავს, რომ სოციალიზმის იდეა ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის მომძლავრებული და რომ სოციალიზმის არსი ჯერ კიდევ ისე ნათლად არაა გამოკვეთილი, რომ მფლობელთა ძალაუფლებისათვის და სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილ საზოგადოებისათვის გახდეს თვალსაჩინო. მიცკევიჩის აზრით, თანამედროვე „სოციალისტური გრძნობა“ სრული შეგრძნებაა ყოველგვარი არასრულყოფილობის, მახინჯის, არანორმალურისა ცხოვრებაში, რაც ამ ცხოვრებას უბედურებად აქცევს, „სოციალისტური გრძნობა, — აცხადებს პოეტი, — ეს არის სულის ლტოლვა უკეთესი, არა ინდივიდუალური, არამედ საყოველთაო და სოლიდარული არსებობისაკენ“.

მიცკევიჩი უარყოფს ბურჟუაზიულ ცრუდემოკრატთა თეზისს, თითქოს სოციალიზმის იდეაში ახალი არაფერი იყოს. მისი აზრით, „სოციალიზმი — სრულიად ახალი მოვლენაა. მას ამოძრავებს ახალი მისწრაფებანი და ახალი გატაცებანი, რომელთაც ისევე ვერ გაიგებენ ძველი საზოგადოების წარმომადგენელნი, როგორც ბავშვები ან ბავშვობაში ჩავარდნილი მოხუცები ვერ გაიგებენ ახალგაზრდა ადამიანის სურვილებს“.

მიცკევიჩი ამბობს, რომ სოციალიზმი არის სურვილი და გატაცება, ხოლო სურვილი და გატაცება არასოდეს არ ნიშნავს უარყოფას. სოციალიზმი ისევეა დადებითი ცხოვრება სულისა, როგორც პრობლემა — დადებითი ცხოვრება გონებისა. მიცკევიჩი ასე მსჯელობს: დოგმატი — ჭეშმარიტებაა სულის მიერ წარსულში განცდილი, აქსიომა კი — ჭეშმარიტება გონებისმიერი, აგრეთვე წარსულში შექმნილი, ხოლო პრობლემა და მისწრაფება — ეს მომავლისაკენ მიმართული სულისა და გონების დასტურია. „საზოგადოება მარბავს თავის თავს დოგმატებსა და აქსიომებში, და აღდგება მისწრაფებებსა და პრობლემებში“ — წერს მიცკევიჩი. ამ ერთგვარად ბუნდოვანი მსჯელობით პოეტს იმისი თქმა სურს, რომ სოციალიზმი მომავლის საქმეა და საზოგადოებრივი განვითარების აუცილებელი საფეხური. ამიტომ უწოდებს ის ძველ საზოგადოებას „მოძვედავ საზოგადოებას, რომელიც დოგმებისა და აქსიომების უძღურებაა“.

მიცკევიჩი შემდეგნაირად განმარტავს სოციალიზმის კოლექტიურ ბუნებას: „სოციალისტები მოუწოდებენ ყველა ცალკეულ პიროვნებას და ყველა სახელმწიფოს შესწირონ თავიანთი უფლებანი გრძნობას, რომელიც თავისში ატარებს ჩანასახს საყოველთაო პრინციპისას“.

მართალია, მიცკევიჩს თვითონ ბუნდოვნად ჰქონდა წარმოდგენილი სოციალიზმის პრინციპები და შორსაც იდგა მეცნიერული სოციალიზმის პრინციპებისაგან, მაგრამ, როგორც მიცკევიჩის თანამედროვე პროგრესული მკვლევარები სამართლიანად ფიქრობენ, თუმცა პოეტის პუბლიცისტურ ნაწერებში არ არის პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ ის იცნობდა მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას, — თუკი იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ მიცკევიჩის მასწავლებელსა და მეგობარს ი. ლეღეველს იმ დროს მჭიდრო კავშირი ჰქონდა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებთან და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „კომუნისტთა კავშირის“ პარიზის გერმანული სექციის ხელმძღვანელი ებერბეკი „ხალხთა ტრიბუნის“ თანამშრომელი იყო, — შეიძლება დავუშვათ, რომ მიცკევიჩი ასე თუ ისე მაინც იცნობდა მარქსისტულ იდეებს. მაგრამ

ისიც ცხადია, რომ მიცკევიჩი მაშინ ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდებოდა მეცნიერულ სოციალიზმს, რომელიც იმ დროს ჩასახვის პერიოდში იყო, მისი მსოფლმხედველური შეზღუდულობა, წვრილშლიახტური იდეური ტვირთი, ზედმეტი ნდობა პარლამენტარიზმისადმი და მარადმოუცილებელი „ნაპოლეონურა იდეები“ ხელს უშლიდნენ პოეტს განთავისუფლებულიყო უტოპური სოციალიზმის იდეებისაგან და მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების შეხედულებები გაეზიარებინა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიცკევიჩის გამოსვლები სოციალიზმის იდეების დასაცავად დიდად მნიშვნელოვანია და მისი მსოფლმხედველობის პროგრესული განვითარების მაჩვენებელი. თანამედროვე პოლონელი კრიტიკოსი სტ. სტრუმფ-ვოიტკევიჩი ფიქრობს, რომ მიცკევიჩი რამდენადმე უახლოვდება მეცნიერულ სოციალიზმს¹. ისიც საყურადღებოა, რომ მიცკევიჩისათვის სოციალიზმი მხოლოდ თეორია კი არ იყო, არამედ პრაქტიკული მოღვაწეობა. ის მოუწოდებდა ნაციონალური კრების ორატორებს არ დაკმაყოფილებულიყვნენ სოციალიზმზე თეორიული მსჯელობით, არამედ პრაქტიკულად გაეტარებინათ ის ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალიზმი ჰკარგავსო თავის მნიშვნელობას, წერდა მიცკევიჩი და აღშფოთებული აცხადებდა: „ნაციონალური კრება იღებს დადგენილებებს, გამოიყენონ სამხედრო ძალები უნგრეთსა და პოლონეთში მონარქიზმის და პაპიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად და რომ ამავე დროს იგივე ნაციონალური კრება მშვიდად უსმენს ნიჟერ სოციალისტ ორატორებს, რომელნიც იმავე მონარქიზმისა და პაპიზმის წინააღმდეგ გამოდიან. ძველი საზოგადოების წარმომადგენლებს მანამ არ აწუხებთ სოციალიზმი, ვიდრე ის მხოლოდ თეორიაა, მსჯელობა, სურვილი; დეე ილაპარაკონ რამდენიც სურთ, სანამ ჩვენ ვმოქმედობთ, ფიქრობენ ისინი, მივანებოთ სოციალისტებს თეორიის ბურუსი, ჩვენ კი ძველებურად დავიპყროთ სხვისი მიწები, ციხე-სიმაგრენი, მოსახლეობა და კაპიტალი.“

¹ Станислав Струмф-Войткевич, „Путь Мицкевича“, стр. 85.

მიცვევიჩი კიცხავდა ფრანგ სოციალისტებს მათი უმოქმედობის გამო, იმის გამო, რომ ისინი მიდიოდნენ სამარცხვინო კომპრომისზე ძველ სამყაროსთან, უთმობდნენ მათ დამქაშებს მოქმედების არენას, თვითონ კი კმაყოფილდებოდნენ „ტანჯვითა და ქადაგებებით“. „ისინი ძლიერ მალა მიიწევენ აზროვნების სფეროში და უსასრულოდ კნინდებიან პოლიტიკაში, ჩვენი დროისათვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი მოქმედებაა,“ — წერდა მიცვევიჩი და, ბუნდოვნად გამოხატავდა რა რევოლუციური პრაქტიკის როლს თეორიაში, სოციალისტებს მიმართავდა—ნიმუშად აიღეთ იმავე ტიერებისა და გიზოების გამბედაობა, რომელნიც სოციალისტებზე ნაკლებ გამოცდილნი როდი არიან დოქტრინიურობასა და თეორეტიკოსობაში, მაგრამ მხოლოდ მოქმედების შემდეგ კი არ ლაპარაკობენ, კი არ ქადაგებენ თეორიებს ვერავობისა, სიმბდალისა და ეგონიზმის შესახებ, არამედ მოქმედებაში განახორციელებენ ყოველივე ამას.

სოციალისტ დეპუტატებს მიცვევიჩი ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებად თვლის და ასე მიმართავს მათ: „ხალხის წარმომადგენელს, რომელიც ხალხის სახელით გამოდის, არ შეიძლება ჰქონდეს და არც უნდა ჰქონდეს სხვა მიზანი, თუ არ თავისი სიტყვის ქცევა საქმედ, კანონისა მუხლად ან ბრძანებად არმიისადმი“. მიცვევიჩი უსაყვედურებს სოციალისტებს, რომ ისინი მალაღარდოვანი სიტყვებით მიმართავენ ბანკირებს, ნარდად მოვაჭრეებს და მალალი თანამდებობის პირებს იმის ნაცვლად, რომ მიმართონ ცხოველმყოფელ ძალებს ხალხისა. მკვერმეტყველებით ვერ გაასოციალისტებთო ვეჭილებსა და ბანკირ-მილიონერებს, შთააგონებს მათ მიცვევიჩი.

მიცვევიჩის თავისი დროის შესაფერისად საკმაოდ კარგად ესმოდა კლასთა ბრძოლის საკითხები. მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე იგი მუდამ მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველად გამოდიოდა. მას სძულდა არისტოკრატები, ფულის ტომარა ბურჟუები და საერთოდ ყოველგვარი ჯურის ექსპლოატატორები.

ერთხელ უნგრეთის რევოლუციური მოძრაობის ბელადის კოშუტის ემისარი იულიუს ფალკოვსკი შესულა მიცვევიჩთან

ისე, რომ ხელეზზე ხელთათმანები ჰქონია გაკეთებული. თვრთონ ფალკოვსკის გადმოცემით მიცკევიჩის პირდაპირ მიუხლია მისთვის: „ხელთათმანებით დავლუპეთ ჩვენ პოლონეთი, დიად, ხელთათმანებით, ამით გამოირჩეოდნენ კოპწია უსაქმურები ხალხისაგან, რომელსაც როდი ერცხვინება გამოიჩინოს შრომით დაკოჲრილი ხელები. საჭიროა განვიმსკევალოთ ხალხური სულისკვეთებით და მხოლოდ მაშინ ვიხსნით პოლონეთს“.

„ხალხის“ ცნებაში მიცკევიჩი ფიზიკური შრომის ადამიანებს გულისხმობდა უმთავრესად. „ნამდვილი ხალხი ის არ არის, ვინც მიწას ამუშავებს, რკინას ქედს, ტილოსა და აბრეშუმს ქსოვსო“ — წერდა ის.

მიცკევიჩი მუდამ გულისხმიერად ეპყრობოდა გლეხთა განთავისუფლების საკითხებს, მუშათა კლასის მოთხოვნილებებს. „ხალხთა ტრიბუნის“ 1849 წლის 1, 2 და 3 მაისის ნომრებში მიცკევიჩმა მოათავსა სტატია „გლეხები“, რომელშიც გლეხთა სამართლიანი მოთხოვნილებების დამკველად გამოვიდა. მიცკევიჩი ამ სტატიაში უჩვენებს, რომ რეაქცია ართმევს გლეხებს ყველაფერს, რასაც ეს ფლობს, რომ მთავრობა უმთავრესად გლეხობისაგან იღებს მძიმე გადასახადების გზით იმ თანხის უდიდეს ნაწილს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტს შეადგენს.

ინტერესს მოკლებული არ არის მიცკევიჩის მსჯელობა კომუნისტების შესახებ, რომელნიც, რეაქციონერთა მტკიცებით, თითქოს გლეხთა საკუთრების უმთავრესი მტრები არიან. მიცკევიჩი განმარტებას აქლევს გლეხობას, რომ კომუნისტები კი არა, არამედ არისტოკრატია, ბურჟუაზია და სასულიერო წოდებაა მათი მტერი. მიცკევიჩი თავის სტატიაში ბრალს სდებს არა კომუნიზმის მიმდევრებს, არამედ რეაქციონერებს გლეხთა საკუთრებების ხელყოფაში. იგი გლეხობას უწოდებს „ნამდვილ ხალხს და ნამდვილ ფრანგებს“, აღნიშნავს, რომ გლეხობა წარმოადგენს ფრანგი ხალხის უმრავლესობას, და მუდამ განიცდიდა ჩაგვრას; ხოლო „სუვერენული იყო მხოლოდ კაპიტრებებსა და საშიშროებაში“. მიცკევიჩი წერს გლეხობის არა მარტო ეკონომიურ და ფიზიკურ, არამედ მორალურ-ინტელექტუალურ ჩაგვრახედაც. რეაქციონერებს არ სურთ, რომ გლე-

ხობამ განათლება მიიღოს, „ისინი ანმტკიცებდნენ ექსპლოატატორთათვის ესოდენ სასარგებლო გაუნათლებლობას გლეხობისათვის“, წერს მიცკევიჩი და საბუთად მოყავს „Journal des Débats“-ის ერთ-ერთი რედაქტორის აზრი იმის შესახებ, რომ „ამჟამად უმჯობესია ჩვენი გლეხობის უმრავლესობა ჯერ კიდევ თვლემდეს უგუნურების სარეცელზე, ვიდრე მათი გონება იქნეს გარყვნილი, ხოლო გული ბრაზით ავსებული ან სულელური მისწრაფებებით აფორიაქებული“. „დადგაო დრო, — წერს მიწკევიჩი, — გასწორებულ იქნეს ანგარიში ხალხსა და იმათ შორის, ვინც დღემდე მის წარმომადგენლებად ითვლებოდნენ, დადგა დრო, როდესაც გლეხობამ უნდა შექმნას ნამდვილი გლეხური წარმომადგენლობა“. ისიც საყურადღებოა, რომ მიცკევიჩი მოუხმობს ფრანგ გლეხობას თავისი უფლებებისათვის ბრძოლის დროს მიმართოს „თავის ძმებს, პარიზის პროლეტარიატს, ამ ქალაქელ გლეხებს“.

მიცკევიჩი არაერთგზის გამოსულა პარიზის რევოლუციური პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად. ის ამხელდა რეაქციონერებსა და ყველა ჯურის ექსპლოატატორებს; რომლებსაც ეშმაკური ფანდებით სურდათ თავი მუშების მფარველებად გამოეყვანათ, ხოლო „სოციალისტები, პირიქით, ისე წარმოედგინათ, თითქოს ისინი მუშათა კეთილდღეობის დაუძინებელი მტრები არიან“.

სტატიაში „ორლენიში“ მიცკევიჩი მძაფრი პუბლიცისტური მგზნებარებით ესხმის თავს რეაქციონერებს, რომელთაც მხოლოდ პირადი, ეგოისტური მიზნები ამოძრავებთ, რომელნიც ყოველგვარი პროტესტის წინააღმდეგი არიან და ყოველივეს იმისდა მიხედვით ზომავენ, თუ რა პირად სარგებლობას მიიღებენ. „რამდენს მივიღებ მე ამაში?“ — ესაა მათი პაროლი, მათთვის სულერთია ერის მტერი და მოყვარე, ოღონდ გამდიდრდნენ, უკეთ მოაწყონ თავიანთი კეთილდღეობა. როდესაც ხალხი თავისუფლებისათვის იბრძოდა, მათი ლოზუნგი იყო „გაუმარჯოს ჩვენს მეგობრებს — მტრებს“. მათი ტაძარი ბირჟაა, ბირჟის ზეიმი კი — ვატერლოო. „მათ გულში ღვივის მხოლოდ ერთი და იგივე ინსტინქტი წინააღმდეგობისა ყოველგვარი კეთილშობილური აზრისადმი“. ისინი ბირჟზე ვაჭრობენ

ხალხის სისხლით, რაც დიდ მოგებას იძლევა. ნაციონალური კრება ფულზე ჰყიდის იდეას. ხალხი მზად იყო ყოველგვარი მსხვერპლი გაეღო თავისუფლებისათვის, იბრძოლა „ორლენიზმის“ წინააღმდეგ, რადგან მიცკევიჩის თქმით, „ორლენიზმისათვის არ არსებობს არც ღმერთი, არც სამშობლო, არც პრინციპი“, მისი საქმეა „გაყიდვა და მოგება“, მისი პრინციპი კომიუნიაზორის პრინციპია პოლიტიკაში გამოყენებული.

ახლა კი, — წერს მიცკევიჩი, — დადგა დრო, როდესაც ერმა თვალი უნდა გაახილოს. საჭიროა ხელახლა დაისვას და რადიკალურად გადაიჭრას ხალხთა და სახელმწიფოთა მდგომარეობის საკითხები. ამისათვის კი აუცილებელია ისევ და ისევ სოლიდარობა ხალხთა შორის, ნათელი მიზანი და გაბედული მოქმედება.

„როცა უნგრეთი საბოლოოდ დაიბრუნებს დამოუკიდებლობას, როდესაც პოლონეთი გამოანგრევს აკლდამის კედლებს, როცა აღორძინდება გერმანია და იტალია, როცა, ბოლოს და ბოლოს, ყველა ხალხი ერთი მეორეს დახმარებით და ერთმანეთისათვის ბრძოლით განთავისუფლდება და ნამდვილ, ერთადერთი საღვთო კავშირს, ხალხთა საღვთო კავშირს გამოაცხადებს, მაშინ მოგვარებული იქნება ყველა ერის საქმის ნახევარი“, მანამდე კი, — წერს მიცკევიჩი — ჩვენს დემოკრატიულ წრეებში მოვსპოთ შუღლი და უთანხმოება, ნუ გავთიშავთ ჩვენს ძალებს საერთო მტრის პირისპირ მდგარნი. დავუმტკიცოთ ყველას, რომ რევოლუციონერები ის ხალხი როდია, რომელსაც არა აქვს და რომელსაც სურს ჰქონდეს, რომ ჩვენი ბრძოლა არ არის მხოლოდ მქონეთა და არამქონეთა შორის ბრძოლა, რომ ჩვენ უფრო მაღალი გრძნობები გვაქვს. ეს არის თავისუფლების მომსრეთა ბრძოლა დესპოტიზმის დამცველთა წინააღმდეგ... ბრძოლა ხალხთა ერთიანობისათვის წინააღმდეგ პრინციპისა „დაჰყავ და იბატონე“.

მიცკევიჩი ნათლად ხედავს კაცობრიობის მიზანს. ის შორს იყურება, მისი არწივის მზერა ნათელი ჰუმანური მიზნებით არის გასხივოსნებული. ის არის ქმობის, ერთობის, სიყვარულის, თავისუფლების, ბედნიერების ქადაგი. მას სწამს და სჯერა, ის მტკიცეა თავისი მისწრაფებაში. მან იცის მთავარი მი-

ზანი. ეს მიზანი შუქურასავეთ იზიდავს ხალხთა მზერას. ისინი იმ იმედით ცოცხლობენ, რომ მალე ყველა ხალხი ერთად, შეკავშირებულად, სწრაფი ნაბიჯებით გაემართება იმ დიადი მიზნისაკენ და გაიმარჯვეს, რადგან მათ იციან რომ ხალხთა ურთიერთობაა საყოველთაო ბედნიერების საფუძველი. ეს იდეა ამოძრავებს მასებს, ამისათვის სწირავენ ადამიანები ცხოვრებას. რამდენი დაეცა უკვე ამ ბრძოლაში! რამდენი დაეხეტება მის საძიებლად უცხოეთში გადახვეწილი, რამდენი ლატაკი სტრევებს ოჯახს და გუთანს, რათა თავი დასდოს ამ მიზნისათვის. ამ ბრძოლაში ყველა დაჩაგრული ხალხია ჩაბმული და მათი კიდილი სამართლიანი და ნათელი იდეებითაა გაციკროვნებული. ამიტომ არის, რომ მიცკევიჩი მარტო პოლონელი ხალხის ეროვნულ უბედურებას როდი დასტირის. ეს არ არის შემოფარგლული მარტოდენ ვარშავის ტრაგედიაზე ფიქრით და იბრძვის ფრანგი, ესპანელი, იტალიელი, გერმანელი და სხვა ხალხების თავისუფლებისათვის. ამიტომ უკერს იგი ასე მგზნებარედ მხარს რომისა და ვენეციის რესპუბლიკის გამოცხადებას, ამისათვის იბრძოდა ის ლომბარდიაში, ამიტომაც იგი აღფრთოვანებული რევოლუციური მოძრაობით რუსეთში, საფრანგეთში, იტალიაში, უნგრეთში, ამიტომაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეუდრეკელი მიცკევიჩის ფარისი მუდამ ყალყზე შემდგარი. მისი დაფი და ნაღარა არა მარტო პოლონელებს, არამედ დესპოტიზმის წნეხის ქვეშ მგმინავ ყველა ხალხს მოუწოდებს თავისუფლებისაკენ.

„საქმე უკვე მხოლოდ ეროვნულ ინტერესებს როდი ეხება“, — წერს მიცკევიჩი თავისუფლებისათვის ამბოხებულ უნგრელებს და მოუწოდებს: „წინ! თქვენთვის, სლავებისათვის, გერმანელებისათვის, იტალიელებისათვის!“ გამარჯვების თავდები ერთიანობაა, ოფიციალური პარტიების შულლი და სისინი ვერ გათიშავს ხალხს და ხალხებს. მათ ავიწყდებათ, ამბობს მიცკევიჩი, რომ ოფიციალური პარტიების გარდა არის საფრანგეთი, არის ხალხი, რომელიც ნდობას უცხადებს თავის მებრძოლ შვილებს და ავალებს მათ: „შენ მიხსენი მენ სილატაკისაგან, შენ დაამსხვრევ ხალხთა მონობის ბორკილებს, შენ არ დაიპყრ არავითარ კავშირს წარსულის ადამიანებთან და ამ პი-

რობით მე გაძლევ შენ მთელ ჩემს ავლა-დიდებას, ჩემს სისხლს, ჩემს შვილებს“.

აღსანიშნავია მიცკევიჩის ურყევი რწმენა, გამარჯვების უღრევი ნებისყოფა. მას არ აშინებს დამარცხება, რადგან დარწმუნებულია საბოლოო გამარჯვებაში. თუ რეაქციის ძალებმა რესპუბლიკური ვენეცია დააჩოქეს, მიაღწიეს კომორნის კაპიტულაციას, თუ ჩააქრეს უნგრეთის რევოლუცია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს დამარცხებას. მიცკევიჩის აზრით, ამ ქვეყნებში ადამიანები იბრძოდნენ თავიანთი ნაციონალობის დასაცავად, ხოლო ასეთი ბრძოლის ბედი როდი წყდება გენერალური შეტაკებით ან მოხერხებული იერიშით. მთელი იტალია როდი იყო ალყაშემორტყმული ნავარასთან ან რომის კედლებთან. „უნგრელების ეროვნული სული გაუძღვებს ამ დამარცხებას“. პოლონეთი არ არსებობსო, ნახევარი საუკუნეა ამბობენ მისი მტრები, მაგრამ მებრძოლ პოლონელებს ისინი ხვდებიან ნონატოსთან, კაპოლნასთან, ჰერმანშტატთან. ამ გამანთავისუფლებელ ბრძოლებს პარტიები ან მთავრობები კი არ აწარმოებენ არამედ ერები, მათი დამარცხება კი შეუძლებელია.

ასეთი იყო მიცკევიჩის მტკიცე რწმენა... ამ რწმენითაა აღსავე მისი პუბლიცისტური სტატიები. ეს რწმენაა მისი ამ პერიოდის მოღვაწეობის ლეიტმოტივი და განა შესაძლებელია ითქვას, რომ მიცკევიჩი მისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში ტოვიანისტური მისტიკის ტყვეობაში იყო მოქცეული? განა ეს პუბლიცისტური სტატიები, მიუხედავად მათი წინააღმდეგობრივი ხასიათისა, ზოგიერთ პოლიტიკურ საკითხში დაბნეულობისა, არ წარმოგვიდგენენ მას როგორც თავისი დროის ერთ-ერთ უღრესად პროგრესულ, მოწინავე საზოგადო მოღვაწეს? მართალია, მის ნათელ შუბლს ზოგჯერ ნისლივით შემოხვეოდა მისტიკური განწყობილებანი, მაგრამ გენიოსი პოეტი საღი აზროვნების ცხოველმყოფელი სხივებით ფანტავდა ამ ნისლს და აცისკროვნებდა მის გონებას ბრძოლის ყინითა და კაცობრიობის უკეთესი მომავლის ურყევი რწმენით. ამ რწმენით ცოცხლობდა ის, როცა რეაქციამ კიდევ ერთხელ შებოჭა მისი ლაღი აზრების თავისუფალი აღმაფრენა.

1849 წლის 15 მაისს შედგა ნაციონალური კრების არჩევნები. არჩევნების შედეგებმა აშკარა გახადა, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის დასასრული მოახლოვდა. სოციალისტები და რესპუბლიკელები დამარცხდნენ ამ არჩევნებში. ლუი ნაპოლეონმა თავი კიდევ უფრო მტკიცედ იგრძნო და იერიში მიიტანა დემოკრატიულ თავისუფლებათზე. „ხალხთა ტრიბუნის“ რედაქციამ ანტინაპოლეონური პოზიცია დაიკავა. მიცკევიჩს გაუქრა ძველი ილუზიები. ის უკვე არავითარ იმედებს არ ამყარებდა რესპუბლიკის პრეზიდენტზე, რომელიც ნელ-ნელა შედიოდა ბონაპარტისტულ როლში და ევროპის ხალხთა დემოკრატიული მოძრაობის ჟანდარმად იქცეოდა. მისთვის ყველაფერი აშკარა გახდა, როცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მონარქისტებმა და კლერიკალებმა კავშირი შექარეს და ლუი ნაპოლეონმა იტალიაში უდინოს კორპუსი აჯანყებული ხალხის დახმარების ნაცვლად გარიბალდის მოხალისეებისა და მიცკევიჩის ლეგიონის განსაიარაღებლად და გაძევებული რომის პაპის ვატიკანში დასაბრუნებლად გამოიყენა.

საფრანგეთის მთავრობის ამ მუხანათურმა საქციელმა რესპუბლიკური ძალების საერთო აღშფოთება გამოიწვია. „ხალხთა ტრიბუნამ“ აჯანყებისაკენ მოუწოდა პარიზის პროლეტარიატს. ეს მოწოდება უშედეგო გამოდგა. აჯანყება მომწიფებული არ იყო. ხალხი არ გამოეხმაურა რესპუბლიკის დამცველების რევოლუციურ ლოზუნგებს. სამაგიეროდ ლუი ნაპოლეონის მთავრობამ კვლავ რეპრესიულ ზომებს მიმართა „ხალხთა ტრიბუნის“ წინააღმდეგ. განსაკუთრებით სასტიკი იყო რეპრესიები რედაქციაში შემავალ პოლონელ მოღვაწეთა მიმართ. მათ ჩამოერთვათ უფლება ებრძოლათ თავიანთი სამართლიანი საქმისათვის და აეკრძალათ თანამშრომლობა გაზეთში. მიცკევიჩის დამამცირებლად მიაჩნდა არალეგალურად განეგრძო გაზეთში მუშაობა და 1849 წელს 15 ოქტომბერს სპეციალური განცხადების შემდეგ „ხალხთა ტრიბუნის“ პოლონური ჯგუფი გადადგა.

მიცკევიჩი ერთ-ერთ კერძო წერილში განმარტავდა: „მე ძულელებული ვიყავი ჩამოვშორებოდი გაზეთს, რათა ამეცდინა ღევნას აქ ღარჩენილი ჩემი ძველი მეგობრები“.

მიცკევიჩის რედაქციიდან წასვლის შემდეგ „ხალხთა ტრიბუნამ“ ძლივს იარსება ერთი თვე და შემდეგ მისი გამოცემა შეწყდა. გაზეთის უკანასკნელ ნომერში რედაქცია აცხადებდა: „ხალხთა საღვთო კავშირი მომაკვდინებელი იდეაა მეფეთათვის. აი რატომ იყო, რომ მათი პარიზელი ემისრები ტყავში ძვრებოდნენ, რათა მოესპოთ ორგანო, რომელიც ამ იდეას გამოხატავდა. მათ მიაღწიეს საფრანგეთის მთავრობის მათთვის საჭირო მხარდაჭერას... ჩვენი საუკეთესო თანამშრომელი მეფე ნიკოლოზის ბრძანებით, რაც მას საფრანგეთის პოლიციამ გადასცა, იძულებული გახდა თავისი კალამი დაემსხვრია“¹. ეს „საუკეთესო თანამშრომელი“ ადამ მიცკევიჩი იყო, რომელსაც მოძალებულმა რეაქციამ საბოლოოდ გააგდებინა ხელიდან კალამი.

საფრანგეთში კვლავ საშინელი ტერორი მძვინვარებდა. რევოლუციურ ძალებს მასიურად აპატიმრებდნენ და კოლონიებში ასახლებდნენ. აღიკვეთა პრესის ყოველგვარი თავისუფლება. მიცკევიჩი სულ გაირიყა საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან. მისი ოჯახური პირობებიც კატასტროფიულად გაუარესდა. ავადმყოფობით შეჭირვებული ცელინა უფრო აუტანელს ხდიდა მიცკევიჩის ცხოვრებას. პარიზში სტუმრად ჩამოსულმა სოფია შიმანოვსკამაც ვერ შეიტანა სიმშვიდე მიცკევიჩების აფორიაქებულ ოჯახში. პოეტი იძულებული გახდა შვილები პოლონური სკოლიდან გამოეყვანა და ხელობის სასწავლებლად მიებარებინა. უფროსი ქალიშვილი მარისა სოფიო შიმანოვსკამ რომში წაიყვანა და ოჯახურ უსიამოვნებას მოაშორა.

1850 წელს პარიზში ჩავიდა ახალგაზრდა პოლონელი პოეტი ედუარდ ხლოპიცი. მას დიდი სურვილი ჰქონდა ენახა ადამ მიცკევიჩი, რომელსაც აღმერთებდა. ხლოპიცი მივიდა ბაგინიოლში, ნახა მიცკევიჩის სახლი და ერთი საათი მოკრძალებით უტრიალებდა გარშემო, ვიდრე ზარის დარეკვას გაბედავდა. საყურადღებოა ერთი დეტალი: ხლოპიცი მუდამ ელევგანტურად იყო ჩაცმული, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა

¹ Ст. Струмф-Войткевич, „Путь Мицкевича“, Варшава, 1955 г.

თავის გარეგნობას, გარდერობსა და ტუალეტს, მაგრამ მიც-
კვეიჩის სანახავად რომ წავიდა, განგებ ღარიბული ტანისამოსი
ჩაიცვა, რადგან იცოდა, რომ მას არ უყვარდა გამოკოპწივე-
ბული ახალგაზრდები.

ესიამოვნა უკვე მოტეხილსა და გაჭალარავებულ მიცკვეიჩს
მისი თანამემამულის ნახვა, რომელსაც თითქოს სამშობლოს
სურნელება მოჰყვა თან. პოეტის თვალწინ ერთხელ კიდევ
გაიარა მშობლიური მიდამოების შესანიშნავმა სანახებმა. მან
მოიგონა ლიტვის ველები, ოქროსფერი ხორბლის ყანები, უდა-
ბური ტყეები. არსად არ არისო ამისი მსგავსი სილამაზე, თქვა
მიცკვეიჩმა და ურჩია ხლოპიციკის მალე დაბრუნებულიყო იქ.
ისიც გაახსენდა, რომ კაუნასში ერთი მოწაფე ჰყავდა, გვარად
ხლოპიციკი. ესიამოვნა, მისი სტუმარი რომ იმ ხლოპიციკის ბა-
ძაშვილი აღმოჩნდა, მაგრამ თვალეში სევდის ნისლი ჩაუდგა,
როცა შეიტყო მისი გარდაცვალების ამბავი... სხვაც ბევრი რაჲ
მოაგონდა მაშინ მიცკვეიჩს, და, რა თქმა უნდა, ისიც. ვისაც
მისი ჭაბუკური გულისთქმა უძღვნა.

ერთი წლის შემდეგ ხლოპიციკი სამშობლოში დაბრუნდა
და თან ჩამოიტანა ამ შეხვედრის დაუვიწყარი შთაბეჭდილება.
ხლოპიციკის სახით თითქოს სამშობლოდან განდევნილი პოეტის
ჭაბუკური სული დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს. მას უნდოდა
კვლავ ენახა ყველაფერი, რაც მიცკვეიჩის სახელთან იყო და-
კავშირებული, შეხვედროდა პოეტის მეგობრებს. ვილნიუსში
ოდინეცსა და ჩეჩოტს შეხვდა და დაწვრილებით უამბო მათი
სიყრმის მეგობართან შეხვედრის ამბავი. შემდეგ ნოვოგრუ-
დეკში ჩავიდა, მიცკვეიჩების ოჯახში შეჩერდა, მოიარა მიდა-
მოები, სადაც პატარა ადამი დარბოდა; ტუხანოვიჩშიც მი-
ვიდა, სვიტეხის ტბას ჩაუარა, ცაცხვების ხეივანში გაისეირნა
და ლამეც კონსტანტინე ტუხანოვიჩის სახლში გაათია. დილით
ბატონყმური ცხოვრების სამარცხვინო სცენას შეესწრო. ნახა,
როგორ დესპოტურად მოეპყრო კ. ტუხანოვიჩი სათხოვნელად
მოსულ გლეხებს, გულგრილად დაემშვიდობა მასპინძელს და
ბალჩინიკისკენ გაუხვია, სადაც ეგულვებოდა ის, ვისი სახე-
ლიც უკვდავყოფილი იყო მიცკვეიჩის ნაწარმოებებში.

პატარა სანთლებით განათებულ ოთახში შეხვდა პუტკამე-

რის ქვრივი ეღუარდ ხლოპიცკის. მარიაც გაქალარავებული იყო. ტანზე ძაძები ეცვა, თვალები სევდით და მწუხარებით ჩალამებოდა, სახე წვრილი ნაოჭებით ჰქონდა დაფარული.

მარია ვერეშჩაკი ადრევეც იცნობდა ხლოპიცკის. ისიც იცოდა, რომ ის ახალი დაბრუნებული იყო პარიზიდან. მათი საუბარი შორიდან დაიწყო. ჯერ ერთმანეთი მოიკითხეს, რაღაც უმნიშვნელო და ორივესათვის უინტერესო საუბარი გააბეს. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, ნოემბრის ქარი აწყდებოდა ფანჯრების დარაბებს, სანთლის ალი ცახცახებდა და უცნაური ჩრდილები დარბოდნენ სუსტად განათებულ კედლებზე. მუსაიფი ვერ გაიბა... ორივე გრძნობდა, რომ საუბრის ნამდვილი თემა სულ სხვა უნდა ყოფილიყო, ორივეს ფიქრი პარიზში იყო, ბატინიოლში, მიცკევიჩთან, მაგრამ არც ერთს არ უნდოდა პირველს წარმოეთქვა ეს სახელი. ბოლოს მაინც ხლოპიცკიმ ახსენა. მარილას ჩამქრალ თვალებში ნაპერწკლებმა იელვეს. პირველმა მღელვარებამ რომ გაიარა, ვერეშჩაკმა თავისი გულისნადები გადმოუშალა სტუმარს. ეს მისი ცხოვრებისა და სიყვარულის აღსარება იყო. მისი სიტყვები ნათელს ჰფენენ ადამ მიცკევიჩისა და მარია ვერეშჩაკის იღუმალებით მოსილ ურთიერთობას. ახლაც თვალწინ მიდგასო მისი სახე, — ხმის კანკალით წარმოთქვა მარიამ და სცადა აღედგინა მეხსიერებაში ახალგაზრდა პოეტის გრუზა თმები და ცისფერი თვალები, „რომელთაც ხანდახან მიმწევანო ფერი გადაჰკრავდა“.

ახლა რომ შემხვდეს, თუ ვიცნობო ნეტავ, იკითხა მარილამ და ინატრა, ნეტავი სიკვდილის წინ ერთხელ კიდევ ვამაგონა მისი ხმა, ერთხელ კიდევ მანახა მისი სახე და ხლოპიცკის ჰკითხა — მართალია, რომ ის ისევე გაქალარავებულია, როგორც მე?.. და მოუთმენლად გაუმეორა — ნუთუ მართალია?

მარილამ მოიგონა ადგილი „კონრად ვალენროდიდან“ და გაოცება გამოთქვა, როგორ ოსტატურად დახატა მაშინ ჯერ კიდევ ჰაბუკმა პოეტმა მისი ხანდაზმულობის ყამის პორტრეტი. ერთხელ მიამბობდაო ის პოეტის საოცარი უნარის შესახებ — წინ უსწრებდეს თავის წარმოსახვას, როგორც ძალღიმი მიუძღვის მონადირეს წინ და აჩვენებს ირმის ნაკვალევს... ის ლაპარაკობდა პოეტის წარმოსახვის, მისი მდიდარი ფანტაზიის

შესახებ. მან ისეთი ქვეყანა მიჩვენა, რომელშიც მე არ შემეძლო ფეხის შედგმაო, და შემდეგ მოყვა გარდასული. სიყვარულის აღსარებას: მრავალი წელი დავლიე სევდაში, ვარდი, რომელიც მან ერთხელ შემომთავაზა, ახლაც შენახული მაქვს; მაშინ მე ბედნიერი ვიყავი, მომავალი ზეცის უზარმაზარ გუმბათივით მქონდა წარმოდგენილი. ახლა ყველაფერი უკან დარჩა, როგორც წაკითხული წიგნის უსიცოცხლო ფურცლები და თითქოს არ ვცოცხლობ, თითქოს ლეტარგიულ ძილში ვარ. ცხოვრება ჩვენი ხანმოკლეა, მაგრამ მძიმე, რაც კარგი მეგონა, ცუდი გამოდგა, რაც ცუდი — კარგი. გულს ის მიკლავს, რომ არც მე ვარ უდანაშაულო. ახლა მივხვდი, რომ სისუსტე უდიდესი დანაშაულია ადამიანისთვის. მე მემშინოდა გადაწყვეტილების მიღების, ცვლილების, მე მას დაუწყევშირდი და იმას კი არ გავუწიე ანგარიში, რომ ამ კავშირს საფუძველი არ ჰქონდა. ვისაც მოქმედების უნარი არა აქვს, იმას არც სიცოცხლის უნარი გააჩნია. მე შემეშინდა მისი სულის სიძლიერისა. რაც მასში ყველაფერზე ძვირფასი იყო, მე სწორედ ის მაფრთხობდა. მე მიზიდავდა მისი გრძნობა, მაგრამ თვით არ აღმომაჩნდა გრძნობის უნარი. მე ისე დიდხანს ვცხოვრობდი ჩრდილების სამყაროში, რომ ჩემივე გრძნობების შემეშინდა. ჩემი დანაშაული დიდია, მაგრამ სასჯელი უფრო მკაცრი. მცირე პაუზის შემდეგ, თითქოსდა თავის გამართლება უნდაო, წყნარად წარმოთქვა, — მე კარგი მეუღლე და კარგი დედა ვიყავიო და ასე დაახასიათა თავისი მიცვალებული ქმარი: ის კეთილი იყო, სამართლიანი, მას ერთნაირად უყვარდა დიდებული, გლეხი და ებრაელი. როცა ქ. ლიდას მარშალი იყო, მას „გლეხ მარშალს“ უწოდებდნენ. ის რომ ტუხანოვიჩიდან წამოვიდა, თქვენც ნახეთ, თუ როგორ შეიცვალა იქ ყველაფერი. მან ვერ გამიგო მე და ვერც მე გავუგე ჩემს საცოდავ ქმარს. მე ვგრძნობ, რომ ის ღირსი იყო ჩემი სიყვარულის.

შემდეგ საუბარი ისევ ადამ მიცკევიჩზე გადავიდა. ერთხელ ჩვენ მდიდრების შესახებ ვსაუბრობდით, რომელნიც მთელი თავისი ახალგაზრდული ძალით სძულდაო ადამს, თქვა მარიამ და გულუბრყვილოდ განაგრძო: მე მივხვდი, რომ ის ტირანი გახდებოდა. ვისაც ასეთი სიძულვილი შეუძლია, ვინც ასე ფე-

ხით თელავს ყველა ქვეყნის პოეტებსა და წინასწარმეტყველებს, ვინც ცდილობს ადამიანები არა მათი, არამედ საკუთარი ნებით და ზოგჯერ ძალითაც გააბედნიეროს, მაშ ვინ არის, თუ არა უსაშინელებს ტირანი? რა ფასი ექნება იმის მონანიებას, ვინც თავს ღმერთს უტოლებს. ან უყვარს კია მას ადამიანები? — საყვედურით წარმოთქვა მარილამ და ცოტა ხნის შემდეგ თვითვე გაასწორა თავისი უმართებულო აზრები. მე ვიცი, რომ მართალი არ ვარ, — თქვა მან, — ვიცი, რომ ის უარყოფს პირად ბედნიერებას და იბრძვის მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის. მე ისიც ვიცი, რომ ყოველ ბრძოლას თავისი კანონები აქვს, რისი შეცვლაც მას არ შეუძლია.

მარია ვერეშჩაკის სულში ისევ სიყვარული ამეტყველდა: იგი თავის გარშემო მაგნიტური მიმზიდველობის ატმოსფეროს ქმნიდა. თუმცა ის მოკვდავია, მაგრამ უკვდავებას კი ავრცელებს თავის გარშემო. ვინც მის ახლოს აღმოჩნდება უკვდავებას აღწევს. მეც დაჰაჯილდოვა მან ამ საეჭვო საჩუქრით. მე მადლობელი ვარ ყველაფრის, რაც მან კარგი და რაც ცუდი გამიკეთა.

მან შეგქმნა მე, — წარმოთქვა მარილამ და სევდიანად დაუმატა — მანვე დამღუპა, — და რამდენჯერმე გაიმეორა ეს სიტყვა — „დამღუპა...“

მარია უფრო მოიკრუნჩხა... სახე ნაოჭებმა დაუფარა, თვალებზე ცრემლი აუციმციმდა და წაიჩურჩულა: არასოდეს ასე უბედური არ ვყოფილვარ, როგორც ახლა, როდესაც სრულიად მარტო ვარ.

ხლოპიციკი მუხლებზე დაეცა და ხელები დაუკოცნა იმას, ვინც ადამ მიცკევიჩს შესწირა თავისი ყმაწვილქალობა.

კარები გაიღო და ოთახში შემოსრიალდა მარია ვერეშჩაკის ახალგაზრდობა... ისეთივე თეთრი და ცისფერთვალეა, ისეთივე ეშმაკური ღიმილი ტუჩებზე — ეს მისი ქალიშვილი იყო — ზოსა. მან ვახშამზე მიიწვია დედა და ახალგაზრდა სტუმარი.

მაგიდას რომ შემოუსხდნენ, ყველა გრძობდა, რომ ვილაც აკლდათ, ვილაცას სული დასტრიალებდა მათ გაშლილ სუფრას. ის კი ასე შორს იყო ახლა და ასე ახლოც. საუბარი ძიადებზე ჩამოვარდა.

ჩა სულები გამოცხადდებიანო ამაღამ — გაეხუმრა ხლო-
პიცი ზოსას.

„თეთრი სულები, თეთრი როგორც მთვარის შუქით განათე-
ბული ღრუბლები,“ — მიუგო ქალწულმა.

ის არ იქნება ამ სულებს შორის, — კვენესად აღმოხდა მარია
ვერეშჩაკს.

მიცკევიჩი ამ დროს შორეულ ქვეყანაში იყო და მისი ფიქ-
რები ისევ იმ მხარესა და იმ მიდამოებს დასტრიალებდა, სადაც
მან თავისი ახალგაზრდობა გაატარა და სადაც მისი სახელი
ლეგენდად იყო ქცეული.

ამ სცენაში, რომელიც მიჩისლავ იასტრუხს აქვს აღწერილი
თავისი მონოგრაფიის ახალ გამოცემაში, იხსნება მარილას და
ადამ მიცკევიჩის ურთიერთობის საიდუმლოება. „ჩრდილების
სამყაროში გაზრდილ“ მარიას ეშინოდა მძაფრი გრძნობებისა,
ეშინოდა ჭაბუკი პოეტის მოელუარე სულისკვეთებისა, ვერ
ბედავდა ცვლილება შეეტანა თავისი ცხოვრების ბუნებრივ მიმ-
დინარეობაში. მას უყვარდა მისი ოცნების გმირი, მაგრამ თავს
ძალას ატანდა და გულგრილობას თამაშობდა. შემდეგ კი მიხვ-
და თავის შეცდომას, მაგრამ გვიანდა იყო. „მიხვდაო“ ვამბობთ,
მაგრამ იქნებ უფრო სწორი იყოს ვთქვათ, რომ ის მიცკევიჩის
ნაწარმოებებმა მიახვედრეს ამას. მარია ვერეშჩაკი ხომ ზუს-
ტად ისევე ადანაშაულებს თავის თავს, როგორც ადამ მიცკევი-
ჩი ადანაშაულებდა „ძიადებში“ ცასა და დედამიწას შორის მო-
ფარფატე ქალწულ ზოსას. ვერეშჩაკის სიტყვებში გუსტავისა
და კონრადის აზრები ჩანს. მიცკევიჩის ლექსებსა და პოემებში
მან სარკესავით დაინახა თავისი სახე, თავისი სულიერი სამყა-
რო, დაინახა და შეიგრძნო თავისი დანაშაული. იქნებ ამიტომაც
უკრძალავდა „კარგი მეუღლე და კარგი დედა“ თავის ქალიშ-
ვილს ადამ მიცკევიჩის ნაწარმოებების კითხვას. იქნებ ამიტო-
მაც ამბობდა მარია „მან შემქმნა მეო“, იქნებ მიცკევიჩისაც პიგ-
მალიონივით მის მიერ შექმნილი მარილა უფრო უყვარდა, ვიდ-
რე პუტკამეჩის დანიშნული და შემდეგ მისი მეუღლე და ქვრი-
ვი; ამიტომაც არ შეხვდნენ მათი ცხოვრების გზები ერთ-
მანეთს და ორივემ ერთმანეთისადმი ლტოლვაში დალიეს სუ-
ლი.

სხვა შემოსავალ წყაროს მოკლებულმა პოეტმა 1852 წელს არსენალის ბიბლიოთეკაში დაიწყო სამსახური. ცოტა ხნის შემდეგ ბინაც იქვე მიიღო, წიგნები ძველებურად უკვე აღარ იზიდავდა მას, არც საკუთარი შემოქმედების ნაყოფი. თითქოს ყველაფერი შორეული გახდა მისთვის — სამშობლოც, პოეზიაც, სიყვარულიც, არაფერი ახარებდა, არაფერი იტაცებდა, იჯდა დამტკვრილ წიგნებს შორის ბიბლიოთეკაში და უღიმღამოდ მიათრევდა ცხოვრების დარჩენილ დღეებს. ხანდახან წერდა კიდევ რაღაცეებს, მაგრამ ეს მისი ყოფილი შემოქმედების უბრალო და უინტერესო ინერცია იყო. არსენალის ბიბლიოთეკაში ჩაკეტილ პოეტს თავისი შემოქმედებითი არსენალისათვის არაფერი შეუმატებია.

თუმცა ვინ იცის, იქნებ სადმე სულის სიღრმეში ისევ ენთოსისი პოეზიის ჩაუქრობი ცეცხლი. იქნებ ამ ცეცხლს კვლავ გაღვივება უნდოდა. იასტრუნს ასეთი ეპიზოდი მოჰყავს: ერთხელ პოეტის შვილი ვლადისლავი მივიდა მამასთან ბიბლიოთეკაში და თხოვა მისი თხზულებების რომელიმე ტომი. მიცეკვიჩმა ხელი მოკიდა წიგნს, უნდოდა შვილისათვის მიეცა... მაგრამ შეჩერდა... დაფიქრდა... და უთხრა: „დაიცადე, ვიდრე რამე უკეთესს დაწერო,“ მაგრამ პოეზიის ამ სამუდამოდ ჩამქრალ ვულკანს უკვე აღარაფერი დაუწერია. ის შესცქეროდა თაროებზე ჩამწკრივებულ წიგნებს და იტყოდა ხოლმე — ამ ცხედართა შორის ჩამმარხესო. ხანდახან ვინმე პოლონელი შეივლიდა მასთან, მაგრამ ამრეზილად ელაპარაკებოდა იგი უცხოეთში მასავით მოზეტიალე თანამემამულეებს. ზოგიერთი მათგანი იწერდა მიცეკვიჩთან საუბრის შინაარსს. ასე გახდა ცნობილი პოეტის აზრები ცალკეული მწერლებისა და მათ ნაწარმოებთა, ისტორიაში მუშებისა და ხალხის როლის შესახებ და სხვა. მასთან ჰკუთის დასარიგებლად მისული პოლონელი ახალგაზრდებისათვის მიცეკვიჩს უთქვამს: „მომავალი... ხალხშია, ბატონებო, ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობა ეს არის მთავარი. უნდა დაინგრეს ჩინეთის კედელი, რომელიც ჩვენ წოდებებდად გვყოფს. ეს არის ახალგაზრდობის ამოცანა. მომავალი ხალხისაა“.

ასე შერჩა დიდ პოლონელ მწერალს, ცხოვრების მიერ მოტეხილ, საზოგადოებისგან გარიყულ, სამშობლოდაკარგულ პო-

ეტს. რწმენა ხალხისა და მომავლისადმი. ამიტომაც იყო, რომ მთელი მისი სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის საფუძველს ხალხი წარმოადგენდა. ხალხი აძლევდა ძალას მის შემოქმედებას. მაქსიმ გორკი წერდა: „მილტონი და დანტე, მიცკევიჩი, გოეთე და შილერი ყველაზე უფრო მალლა მაშინ იწევდნენ, როცა მათ ფრთებს ასხამდა კოლექტივის შემოქმედება, როდესაც მათი შთაგონების წყაროს წარმოადგენდა უსაზღვროდ ღრმა, მრავალფეროვანი, ძლიერი და ბრძნული ხალხური პოეზია“.¹

1853 წელს თურქეთის სულთანმა ომი გამოუცხადა რუსეთს. პოლონელი ემიგრანტები კვლავ ამოძრავდნენ. სულთანი სიამოვნებით იღებდა მათ თავის არმიასში, ხოლო განსაკუთრებით წარჩინებულ პირებს ფაშებადაც ნიშნავდა. როცა თურქეთში პოლონელების საგრძნობმა ნაწილმა მოიყარა თავი, დაისვა საკითხი პოლონური ლეგიონის ჩამოყალიბების შესახებ. თურქეთის მთავრობა, ცხადია, თანახმა იყო, მაგრამ ინგლისი და საფრანგეთი წინააღმდეგნენ ამ განზრახვას. მართალია ეს ორი სახელმწიფო დახმარებას პირდებოდა თურქეთს, მაგრამ მათ არც რუსეთთან უნდოდათ აშკარა ომში ჩაბმა. ამიტომ ინგლისი და საფრანგეთი დაჰპირდნენ სულთანს მხარდაჭერას, მხოლოდ იმ პირობით, თუ ის ხელს აიღებდა პოლონური ლეგიონის ჩამოყალიბებაზე. სულთანი იძულებული იყო დათანხმებულიყო. პოლონელი პოლიტიკოსების უმრავლესობა წამოვიდა თურქეთიდან; მაგრამ ჩქარა მდგომარეობა შეიცვალა, როცა რუსეთის ფლოტი დარდანელსა და ბოსფორს დაემუქრა, ინგლისი და საფრანგეთი ჩაებნენ რუსეთის წინააღმდეგ ომში. პოლონური ლეგიონის ჩამოყალიბების საკითხი ისევ დაისვა. პოლიტიკური ინტრიგების ოსტატი და ინგლისელების აგენტი გრაფი ალექსანდრე ზამოისკი ჩაუდგა ამ საქმეს სათავეში. ზამოისკი არ სარგებლობდა პოლონელი პატრიოტების ნდობით, ყველამ იცოდა, რომ ის უფრო ინგლისის არმიის გენერლის ჩინის მიღებით იყო დაინტერესებული, ვიდრე პოლონეთის განთავისუფლებით. „პოლონეთის უგვირგვინო მეფე“ ადამ ჩარტორისკი იძულებული გახდა პოლონურ ლეგიონში ახალი, უფრო

¹ М. Горький. Собр. соч., т. 24. 1953, стр. 34.

ფეტორიტეტული პირი გაეგზავნა. არჩევანი ისევ ადამ მიცკე-ვიჩზე მიდგა. მიცკევიჩს გულუბრყვილოდ მიაჩნდა, რომ „შე-საძლებელია სულთანის მხარეს იბრძოლო და პოლონელი კი დარჩე“, ამიტომ მან უყოყმანოდ მიიღო ჩარტორიისკის წინა-დადება აღმოსავლეთში გამგზავრების შესახებ.

1855 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა მიცკევიჩის მეუღ-ლე ცელინა შიმანოვსკა.

„ჩემი ცხოვრება განუწყვეტელი ძიებააო“ — წერდა მიც-კევიჩი და კვლავ მოქმედების ახალ სარბიელს ეძებდა. ის მო-ემზადა თურქეთში წასასვლელად, თუმცა დიდი იმედები არ ჰქონდა, რომ ამ საქმიდან რამე გამოვიდოდა. ჩარტორიისკის მიერ გამართულ გამოსამშვიდობებელ ვახშამზე მიცკევიჩმა კვლავ გაუსვა ხაზი თვით პოლონელი ხალხის აჯანყების აუცი-ლებლობას, რაც ჩარტორიისკის მომხრე არისტოკრატთა გეგ-მებს სრულებით არ შეესაბამებოდა.

გამგზავრების წინ მიცკევიჩმა თავისი ვაჟის ვლადისლავის თანდასწრებით გადაარჩია პირადი არქივი. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა და პოეტი დასტა-დასტობით აგდებდა შიგ თავის ხელნაწერებს, ლექსებს, „ძიადების“ ახალ სცენებს, და ვინ იცის კიდევ რას. დიდხანს იფერფლებოდა იმ საღამოს უკვე ხანდაზმული პოეტის უკანასკნელი ნაწერები. მწერალი თით-ქოს გრძნობდა, რომ ამ ხელნაწერებს ვერასოდეს დაუბრუნ-დებოდა.

მიცკევიჩი 11 სექტემბერს გაემგზავრა პარიზიდან. მას თან ახლდნენ ადამ ჩარტორიისკის უფროსი ვაჟი ვლადისლავი და ჰენრიკ სლუხოლსკი, შემდეგ ამათ ფრანგი არმან ლევიც შეუ-ერთდა. მარსელში გემ „თაბორზე“ ავიდნენ და სტამბოლისა-კენ-გაემართნენ. ჩაუარეს კუნძულ კრეტას, კითერას, შემდეგ ლესბოსს, გაიარეს ჰელესპონტი, რამაც მიცკევიჩს ბაირონი მოაგონა, და ჩავიდნენ კონსტანტინეპოლს. ამ ჭუჭყიან ქალაქ-ში მიცკევიჩმა ძველი ბიზანტიის საინტერესო ძეგლები ნახა. ის გაეშურა გათურქებული პოლონელის მიხეილ ჩაიკოვსკის, იმ დროს უკვე სადიც ფაშის სასახლისაკენ, მაგრამ მასპინძელი შინ არ დახვდა. ის სხვაგან გამგზავრებულიყო და რამდენსამე ხანს მიცკევიჩი მისი მეუღლის, პოლონელი ქალის ლუდვიგა

სნადეცკას სტუმარი იყო. ამ ქალს მიცკევიჩი ჯერ კიდევ ვილნიუსში იცნობდა.

სადიუ ფაშა მაშინ პოლონურ და კაზაკურ ლეგიონებს მეთაურობდა. მიცკევიჩი ბურგასში გაემგზავრა მასთან შესახვედრად და შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას; როგორც ადამ ჩარტორიისკის წარმომადგენელი, ის გატაცებით მუშაობდა პოლონური ლეგიონების დასაკომპლექტებლად და სადიუ ფაშის, მისი მეუღლისა და პოლონელი თანამემამულეების დიდი სიყვარულით სარგებლობდა. შემონახულია კაპიტან სუხოდოვსკის მიერ დახატული სურათი, სადაც მიცკევიჩი სადიუ ფაშასა და მის ამაღასთან ერთად ცხენით მიემგზავრება.

პოეტის დასუსტებულმა სხეულმა ვერ აიტანა სამხედრო ცხოვრება, იგი ავად გახდა, ავადმყოფობა გაურთულდა, ექვიც იყო, რომ ის ვიღაცამ მოწამლა. მიუხედავად იმისა, რომ თანამემამულეებმა ყოველგვარი ღონე იხმარეს, მიცკევიჩი ვერ გადაარჩინეს. 1855 წლის 26 ნოემბრის ღამით ის გარდაიცვალა. მიცკევიჩის ცხედარი დიდის პატივით გააცილეს კონსტანტინეპოლიდან. მის ძაძით მორთულ კუბოს ზღვა ხალხი მიყვებოდა. თავჩაქინდრულნი მოდიოდნენ პოლონელები, კაზაკები, თურქები, ბერძნები, იტალიელები, ფრანგები, ალბანელები, ჩერნიგორელები, სერბები, ბულგარელები, ბოსნიელები და ხორვატები. პროცესიის ორივე მხარეს ჩამწკრივებული იყვნენ პოლონური ლეგიონის ჯარისკაცები და ოფიცრები. ისინი ძერს დახრილი დროშებით აცილებდნენ საყვარელ პოეტს. მიცვალეხულის ცხედარი ჯერ მატარებლით, შემდეგ კი გემით ჩაასვენეს საფრანგეთში და დაკრძალეს მონმორანსის სასაფლაოზე.

მხოლოდ 1890 წელს, გარდაცვალებიდან 35 წლის შემდეგ, მოხერხდა დიდი პოლონელი პოეტის ნეშტის მშობლიურ მიწას მიბარება. ის ჩამოასვენეს კრაკოვში და ვეველის კათედრალური ტაძრის აკლდამაში დაკრძალეს. ადამ მიცკევიჩის ნეშტის სამშობლოში დაბრუნება დიდ სახალხო მანიფესტაციად იქცა. პოლონელი პატრიოტები მუხლმოყრილნი შეეგებნენ აავიანთ საყვარელ პოეტს.

რაც უფრო დრო გადიოდა, მიცკევიჩის სახელი სულ უფრო იმოსებოდა დიდების შარავანდით. მტრებიც კი ვერ ბედავდნენ მისი ნათელი ხსოვნის ხელყოფას. მიცკევიჩის შემოქმედებამ გაუძლო დროს გამოცდას, გამოიარა ქარცეცხლებით აღსავსე ეპოქები და ახალ, განთავისუფლებულ სახალხო დემოკრატიულ პოლონეთში ჰპოვა ნამდვილი ღირსეული დაფასება.

დღეს მიცკევიჩის ნაწარმოებებს იცნობს მთელი კულტურული კაცობრიობა. მისი უკვდავი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე და მილიონობითაა გავრცელებულა ხალხში. მიცკევიჩის ძეგლები ამშვენებენ მის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა ღირსშესანიშნავ ადგილს, მაგრამ ყველაზე მაღალი, მტკიცე და დიადი ძეგლი დიდი პოლონელი პოეტისა მისი თავისუფალი და ბედნიერი სამშობლოა.

საკუთარ სახელთა საძიებელი

ა

- აბაშიძე, გრ. — ქართველი საბჭოთა პოეტი. 41, 158, 159, 199.
- აბაშიძე, ირ. — ქართველი საბჭოთა პოეტი. 142, 145.
- აბაშიძე, კ. — ქართველი მწერალი. 158.
- აბელიარი, პიერ — (1079-1142) — ფრანგი ფილოსოფოსი. 95.
- ადისონი, ჯოზეფ — (1672—1719) — ინგლისელი პუბლიცისტი. 55.
- აფთანდილოვი — ქართველი საზოგადო მოღვაწე. 158.
- აკეხაივი, ივ. (1823—1886) — რუსი მწერალი. 164.
- ალექსანდრე I (1777 — 1825) — რუსეთის იმპერატორი. 13, 14, 106, 113, 180, 182, 196.
- ანკვიჩი, ე. — მიცკევიჩის ნაცნობი ასული. 176, 178, 213, 255, 258.
- ანსელო, ფაკ (1794 — 1854) — ფრანგი დრამატურგი. 258.
- არიოსტო, ლოდოვიკო (1474 — 1533) — იტალიელი პოეტი. 56.
- არისტოტელე (384 — 322) — ძველი ბერძენი ფილოსოფოსი. 55.
- ასათიანი, ლ. — ქართველი ლიტერატურათმცოდნე. 162.

ბ

- ბაიკოვი, ლევ — რუსი მოხელე. 215.
- ბაირონი, ჯორჯ (1788. — 1824) — ინგლისელი მწერალი, 41, 50, 56, 48, 60, 127, 130, 152, 154, 175, 176, 211, 220, 221, 233, 254.
- ბალზაკი, ონორე (1799 — 1850) — ფრანგი მწერალი. 254.
- ბარათაშვილი, ნ. (1817 — 1845) — ქართველი პოეტი. 156, 157, 158, 159, 162.
- ბარიატინსკი, ალ. (1798 — 1844) — რუსი მწერალი. 117.
- ბარკო, ოდილონ (1754 — 1821) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე. 293.

ბახი, იოჰან-სებასტიან (1685 — 1750) — გერმანელი კომპოზიტორი. 149

ბეთოვენნი, ლუდვიგ (1770 — 1827) — გერმანელი კომპოზიტორი. 145, 149.

ბელინსკი, ბესარიონ (1811 — 1848) — რუსი კრიტიკოსი. 88, 134, 154, 221.

ბენედიქტოვი, ვ. ვ. (1807—1873) — რუსი პოეტი. 137.

ბენკენდორფი, ალ. (1783—1844) — რუსი სახელმწიფო მოღვაწე. 114.

ბერანე, პიერ (1780 — 1857) — ფრანგი მწერალი. 138, 149.

ბერნსი, რობერტ (1759 — 1796) — შოტლანდიელი პოეტი. 151.

ბეკიუ, ავგუსტ — ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორი. 74, 215, 266, 267.

ბესტუჟევი, ა. ა. (1797—1837) — დეკაბრისტი, მწერალი (ა. მარლინსკის ფსევდონიმით). 107, 109, 110, 115, 215, 218.

ბესტუჟევი-რუმიინი, მ. პ. (1803 — 1826) — დეკაბრისტი. 107.

ბირუტი — ლიტვის მთავრის კეის-ტუსის მეუღლე. 82.

ბოლესლავ I. მაჰაკი (992—1025) — პოლონეთის მთავარი. 253.

ბოემე, იაკობ (1575 — 1624) — გერმანელი. ფილოსოფოსი-მისტიკოსი. 108.

ბოროვსკი, ლეონ — ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორი (1807 — 1889) — 22, 34, 136.

ბოტვინკო, იერონიმ — პროკურორი. 215.

ბრანიცი, ქსავერ — 287, 289.

ბროძინსკი, კაზიმირ (1791 — 1835) — პოლონელი პოეტი და ლიტერატურის თეორეტიკოსი. 33, 136.

ბუტერვეკი, ფრიდრიხ (1766 — 1828) — გერმანელი ფილოლოგი. 57.

ბუტოვტ-ანჯეიკოვიჩი, მიხაელ — პოლონელი რევოლუციონერი. 163.

ზ

გაბესკირია, ვ. — ქართველი საბჭოთა მწერალი. 62.

გაგარინი, პ. პ. (1789 — 1872) — სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. 176.

გარიბალდი, ჯუზეპე (1807—1882) — განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი იტალიაში. 286, 287, 306.

გარჩინსკი, სტეფან (1805 — 1835) — პოლონელი პოეტი. 166, 232, 233.

გაჩინილაძე, ა. — ქართველი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე. 137.

გვიჩიოლი, ტერეზა — ბაირონის მეგობარი ქალი. 176.

გიზო, ფრანსუა-პიერ (1787—1881) — ფრანგი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. 293, 295, 300.

გერცენი, ა. ი. (1812 — 1870) — რუსი მწერალი — პუბლიცისტი. 217, 271, 272, 287, 288.

გერშევსკი, ლეონ — პოლონელი
ოფიცერი. 162.
გლინკა, მ. ი. (1804 — 1857) —
რუსი კომპოზიტორი. 137.
გნელინი, ნ. ი. (1784 — 1839) —
რუსი პოეტი. 149.
გოგოლი, ნ. ვ. (1809 — 1852) —
რუსი მწერალი. 219, 257,
263.
გოეთე, ავგუსტ — ი. ვ. გოეთეს
ვაჟი. 170, 174.
გოეთე, იოჰან ვოლფგანგ (1749 —
1832) — გერმანელი მწერა-
ლი. 34, 36, 71, 102, 117;
125, 127, 145, 149, 151,
152, 168, 170, 171, 172,
173, 174, 194, 211, 216,
220, 221, 231, 232, 238,
313.
გოეთე, ოტილია — ი. ვ. გოეთეს
ქალიშვილი. 167, 168, 169,
170, 171, 172, 173.
გოლიცინი, დიმიტრი (1734 — 1803)
— მოსკოვის. გენერალ-გუ-
ბერნატორი. 114.

დადიანი, დ. — ეკატერინე ქვეპ-
ვაძის ქმარი. 157.
დავიდოვი, დენის (1784 — 1837)
— რუსი პოეტი. 145.
დანილევსკი, ა. ს. — რუსი საზო-
გადო მოღვაწე. 263.
დაწუიე, დავიდ (1788 — 1856) —
ცნობილი ფრანგი მოქანდა-
კე. 169, 170.
დანტე, ალიგიერი (1265 — 1321) —
იტალიელი მწერალი. 32,
152, 215, 313.
დანტეხი, ფორე (1812 — 1895) —
21. მ. კვესელაუა

გოლოვინსკი — დეკაბრისტული
მოძრაობის მონაწილე. 110,
114.
გომულიცი, ვიქტორ (1851 —
1919) — პოლონელი მკვლე-
ვარი. 160.
გორგაძე, ვ. — ქართველი საბჭო-
თა პოეტი. 218.
გორკი, მაქსიმ (1868 — 1936) —
რუსი მწერალი. 3, 313.
გრაბოვსკი, იუზეფ — მიცკევიჩას
მეგობარი. 193, 277.
გრაბოვსკი, მიხეილ (1804 — 1863).
— პოლონელი კრიტიკოსი.
107, 194.
გრალევსკი, მატეუს — პოლონე-
ლი ოფიცერი. 163.
გრიბოედოვი, ა. ს. (1795 — 1829) —
რუსი მწერალი. 10, 1197.
გროდცკი, ერნსტ — ვილნიუსის
უნივერსიტეტის პროფესო-
რი. 22.

დ

ფრანგი მონარქისტი, პუშ-
კინის მკვლელი. 257.
დაშკევიჩი, კიპრიან — ფილარე-
ტული მოძრაობის მონაწი-
ლე. 149, 197.
დელვიგი, ა. ა. (1798 — 1831) —
რუსი პოეტი. 117.
დუბინსკი, პენრიკ (1791 — 1864) —
პოლონელი მწერალი. 185.
დემენტიევი — რუსული ენის მას-
წავლებელი სკოლაში, რო-
მელშიც ნ. ბარათაშვილი
სწავლობდა. 158.

დერუაზინი, გ. რ. (1743 — 1816) —
 რუსი მწერალი. 271.
 დიბიჩი - იმერკარპატელი, ი. ი.
 (1785 — 1831) — რუსეთის
 არმიის ფელდმარშალი. 112,
 184.
 დიუპენი, ანდრე (1783 — 1865) —
 ფრანგი პოლიტიკური მოღ-
 ვაწე. 227.
 დომბროვსკი, იან-ჰენრიკ (1755 —
 1818) — პოლონელი მწერა-
 ლი. 12, 238.
 დომოხოვსკი, ქ. — პოლონელი მწე-
 რალი. 24, 117.

დომოხოვსკი ფრანციშეკ ხალეზ
 (1801 — 1870) — პოლონე-
 ლი ლიტერატორი. 152.
 დოდაშვილი, სოლომონ — ქართ-
 ველი მწერალი. 158.
 დომეიკო, იგნაც (1801 — 1889) —
 მიცკევიჩის მეგობარი, ფი-
 ლარეტული მოძრაობის მო-
 ნაწილე. 232, 261, 265, 289.
 დონ პედრო (1798 — 1834) — ბრა-
 ზილიის იმპერატორი, შემ-
 დეგ პორტუგალიის მეფე.—
 დონ-მიგელი — მისი ძმა. 224.

0

ებერბეკი — „კომუნისტთა კავშე-
 რის“ პარტიის გერმანული
 სექციის ხელმძღვანელი.
 298.
 ებერჰარტი, იოჰან-ავგუსტ (1793 —
 1809) — გერმანელი ფილო-
 ლოგი. 57.
 ევრაიმი (480 — 406) — ძველი
 ბერძენი დრამატურგი.
 ეზერსკი, ფრანციშეკ — პოლონე-
 ლი პუბლიცისტი. 7.
 ეკატერინე II (1729 — 1796) —
 რუსეთის იმპერატორი. 7,9.
 ეერმანი, იოჰან-პეტერ (1792 —

1854) — გერმანელი მწერა-
 ლი, გოეთეს მდივანი. 169.
 ენგელსი, ფრიდრიხ — 8, 10, 11,
 298.
 ეუოვსკი, იუზუფ (1798 — 1855) —
 პოლონელი ფილოლოგი.
 22, 32, 36, 37, 50, 52, 110,
 111, 112, 115, 116, 136.
 ერისთავი, გიორგი — ქართველი
 მწერალი. 138, 139, 157;
 158, 164.
 ერისთავი, ელიზბარ — ქართველი
 საზოგადო მოღვაწე. 158.

3

ვარდოშვილი, ხ. — ქართველი
 საბჭოთა პოეტი. 65, 128,
 191.
 ვენევიტიანოვი, დ. ვ. (1805 —
 1827) — რუსი მწერალი.
 116, 117, 164.

ვენელინი, იური (1802—1839) —
 რუსი მწერალი. 164.
 ვეუბიცი, იან — პოლონელი ექი-
 მი. 163.
 ვერეშჩაკი, მარია — მიცკევიჩის
 სატრფო. 32, 45, 46; 47,

48, 49, 51, 64, 66, 67, 72,
73, 74, 75, 89, 90, 92; 95,
98, 105; 112, 120, 121,
124, 125, 127, 129, 149,
157, 174, 179, 188, 215,
232, 238, 240, 258, 262,
309, 311, 312.

ვერეშჩაკი, მიხეილ — მარია ვე-
რეშჩაკის ძმა. 64.

ვიაზემსკი, პეტრე (1792 — 1878)—
რუსი მწერალი. 116, 118,
137, 138, 145, 150, 219,
267, 271.

ვერერკოვსკი — პოლონელი მოგ-
ზაური. 160.

ვინი, ალფრედ დე (1797—1863)—
ფრანგი მწერალი. 255, 259.

ვინნიცი, ხტანისლავ — პოლონე-
ლი ოფიცერი. 163.

ვიტოლდი (იგივე ვიტოვტი)
(1350—1430) ლიტვის დიდი
მთავარი. 78.

ფ

ზაბლოცკი, ტადეუშ ლადა — პო-
ლონელი პოეტი. 162.

ზაიონჩაკ — რუსი მხედართმთავა-
ვარი. 180.

ზალევსკი, ზოგდან (1802 — 1886)
— პოლონელი პოეტი. 107,
110, 114, 263, 264.

ზალესკა, იოანა — მიცეკევიჩის მე-
გობარი. 145.

ზალესკი, ბონავენტურა — ა. მიც-
კევიჩის მეგობარი. 151, 215.

ი

იაბლონოვსკი — დეკაბრისტული
მოძრაობის მონაწილე. 110.

ვიტტი — გრაფი, ჟანდარმერიის
გენერალი. 111, 112, 113.

ვოლკონსკაია, ზინაიდა (1792 —
1862) — რუსი მწერალი ქო-
ლი. 116, 118, 145, 149,
167, 174, 176, 194.

ვოლკონსკი, ნ. გ. (1781 — 1841)—
ზინაიდა ვოლკონსკაიას ქმა-
რი. 110.

ვოლტერი, ფრანსუა მარი (1694—
1778) — ფრანგი მწერალი
და ფილოსოფოსი. 25, 27,
28.

ვორდსვორთი, უილიამ (1770 —
1850) — ინგლისელი მწერა-
ლი. 59.

ვორონცოვი, ვ. პ. — რუსი გენე-
რალი. 111.

ვორცელი, სტანისლავ — მიცეკ-
ვიჩის მეგობარი. 243.

ზანი, ტომაშ (1796 — 1855) —
პოლონეთის ეროვნულ-გამა-
თავისუფლებელი მოძრაო-
ბის მონაწილე. 22, 23, 31,
43, 47, 48, 52, 105, 115,
125, 137, 198, 265.

ზამოისკი, ვლადისლავ (1803 —
1868) — პოლონელი პოლი-
ტიკური მოღვაწე. 313.

ზახი, კონსტანტინე — პოლონელი
ენათმეცნიერი. 163.

იაგელო, ვლადისლავ (1350 —
1434) — ლიტვის დიდი მთა-
ვარი. 26.

ადვიგა (1772 — 1399) — პოლო-
ნეთის დედოფალი.
ანან, კაროლინა (1810 — 1893) —
პოეტი ქალი. 145, 146, 147,
148, 168.
ანანშევსკი, ლეონ — პოლონელი
რევოლუციონერი. 163.
ასტრუნი, შინისლავ — თანამე-

დროვე პოლონელი მწერ-
ლი. 192, 279.

აშვილი, პაოლო — ქართველი საბ-
კოთა პოეტი. 120.

ილიჩევსკი, ა. — რუსი პოეტი. 137.

იუზოვსკი — მიცკევიჩის მეგობარ-
ი. 107.

ბ

კალენბახი ე. — პოლონელი ლი-
ტერატურის ისტორიკოსი.
28.

კალპრენდი გოტიე, დე კოსტ
(1600 — 1660) — ფრანგი
რომანისტი. 140.

კალვინი, ჟან (1509 — 1564) —
საეკლესიო მოღვაწე, რე-
ფორმატორი. 296.

კამენსკი, ნიკოლოზ (1799 — 1875)
— პოლონური ლეგიონის
მეთაური. 284, 285, 286.

კამონსი, ლუის (1524 — 1580) —
პორტუგალიელი პოეტი. 120.

კანტი, ემანუელ (1724 — 1804) —
გერმანელი ფილოსოფოსი.

კაპელი — იტალიელი ლიტერატუ-
რის ისტორიკოსი. 119.

კარამზინი, ნ. მ. (1766 — 1826) —
რუსი მწერალი. 149, 271.

კარპინსკი, ფრანცისკე (1741 —
1825) — პოლონელი პოეტი.
151.

კეისტუხი, ე. მ. (1297 — 1382) —
ლიტვის დიდი სამთავროს
დამაარსებელი. 81, 82.

კირევსკი, ა. ვ. (1806 — 56) —
რუსი მწერალი. 116.

კლაისტი, მაინრიხ (1777. — 1811)
— გერმანელი პოეტი-რო-
მანტიკოსი. 59.

კლონევიჩი — ქსენდჩი, ცენზორი
ვილინიუსში. 103.

კნიაზევიჩ, კაროლ (1762 — 1842)
— გენერალი.

კოვალსკა, კაროლინა — ა. მიცკე-
ვიჩის მეგობარი ქალი კაუ-
ნასში. 51, 64, 69, 75, 105,
112, 240, 258.

კოზლოვი, ი. ი. (1779 — 1840) —
რუსი პოეტი. 117, 137, 155.

კოლონტაი, ბუგო — პოლონელი
მწერალი და საზოგადო-
მოღვაწე. 7, 9, 24.

კოლუმბი, ქრისტეფორ (1451 —
1506) — ცნობილი მოგზა-
ური. 29.

კონარსკი, შიმონ (1809 — 1839) —
პოლონელი რევოლუციონე-
რი. 161, 163.

კონსიდერანი, ვიქტორ (1808 —
1893) — ფრანგი პოლიტი-
კური მოღვაწე. 297.

კონსტანტინე, დიდი მთავარი —
პოლონეთის სამეფოს მმარ-
თველი. 15, 104, 180, 183,
212.

კორიბუტი — ნოვგოროდ-სევერსკის მთავარი. 78.
 კოსტიუშკო, ტადეუშ (1746 — 1817) — პოლონეთის ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი. 910, 17, 189, 228.
 კოშუტი, ლაიოშ (1802 — 1894) — უნგრელი პოლიტიკური მოღვაწე. 300.
 კოხანოვსკი, პეტრე (1866 — 1620) — პოლონელი პოეტი. 17.
 კოცებუ; ავგუსტ (1761 — 1819) — გერმანელი მწერალი და ისტორიკოსი. 77.
 კრასინსკი, სიგიზმუნდ (1812 — 1859) — პოლონელი მწერალი. 177, 178, 222, 270.
 კრასიცკი, იგნაც (1735 — 1801) — ცნობილი პოლონელი პოეტი-სატირიკოსი. 24.

კრილოვი, ი. ა. (1769—1844) — რუსი მწერალი. 138, 149, 150.
 კრეფინოვსკი, სევერიან — პოლკოვნიკი, პოლონელი პატრიოტი. 107.
 კრუკოვსკი — პოლონელი გენერალი. 186.
 კრუსინსკი, ტ. — პოლონელი მოგზაური. 160.
 კუზენი, ვიქტორ — საფრანგეთის განათლების მინისტრი. 263, 264.
 კულაკოვსკი, ფელიქს — ა. მიცკევიჩის მეგობარი. 197.
 კუტუზოვი, მიხეილ (1745 — 1813) — რუსი მხედართმთავარი 16, 20.

ლ

ლამარტინი, ალფონს (1790—1869) — ფრანგი პოეტი-რომანტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. 59, 152, 255
 ლაჩინსკი, კაზიმირ — პოლონელი მწერალი. 157, 164.
 ლაფონტენი, ოგიუსტ (1621 — 1695) — ფრანგი მწერალი. 72.
 ლევი, არმან — მიცკევიჩის თანამეზობარი თურქეთში. 314.
 ლელეველი, იოანე (1786—1861). — პოლონელი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. 22, 25, 105, 114, 136, 137, 144, 184, 187; 193, 194, 222, 220, 298.
 ლემპიცკა, მარსელინა — მიცკევიჩის მეგობარი ქალი. 213.

ლენაუ, ნიკოლაუს (1802 — 1850) — გერმანელი პოეტი-რომანტიკოსი. 59.
 ლენინი, ვლადიმერ ილიას-იე (1870 — 1924) — 21, 255.
 ლერმონტოვი, მ. ი. (1814 — 1841) — რუსი მწერალი. 111, 117, 137, 138, 157.
 ლეონარდო და-ვინჩი (1452 — 1519) — იტალიელი მხატვარი. 186.
 ლეოპარდი, ჯაკოპო (1798—1837) — იტალიელი პოეტი-რომანტიკოსი. 59.
 ლომონოსოვი, მ. ვ. (1711—1765) — რუსი მწერალი და მეცნიერი. 271.
 ლორთქიფანიძე, კ. — ქართველი საბჭოთა მწერალი. 142, 145.

ლუთერი, შარტინ (1483 — 1546) —
გერმანელი საეკლესიო მოღ-
ვაწე, რეფორმატორი. 296.
ლუი ფილიპი — საფრანგეთის მე-
ფე. 224, 264, 293, 295.

ლუკასინსკი, ვალერიან — პოლონე-
თის ეროვნულ-განმათავი-
სუფლებელი მოძრაობის
ერთ-ერთი მეთაური. 107,
181, 182.

8

მაევესკა, ვარვარა — ადამ მიცკევი-
ჩის დედა. 18, 51.

მაკედონელი, ალექსანდრე — ძვე-
ლი ბერძენი მხედართმთავა-
რი. 53.

მაკიაველი, ნიკოლო (1469 — 1527)
— იტალიელი მწერალი და
პოლიტიკური მოღვაწე. 72,
142.

მალევსკი, ფრანციშეკ (1800 —
1870) — პოლონეთის ეროვნულ-
გამათავისუფლებელი
მოძრაობის მონაწილე. 22,
36, 37, 38, 43, 47, 50,
107, 110, 111, 115, 165,
166, 167, 176.

მანძონი, ალესანდრო (1784—1874)
— იტალიელი პოეტი-რო-
მანტიკოსი. 59, 154.

მარქსი, კარლ (1818—1883). 8,
10, 11, 298.

მარლო, ქრისტოფორ (1564—1539)
— ინგლისელი დრამატურ-
გი. 211.

მაძინი, ჯუზეპე (1805 — 1872) —
იტალიის ეროვნულ-გამათა-
ვისუფლებელი მოძრაობის
გამოჩენილი მოღვაწე. 286.

მახროცკი — მიცკევიჩის მეგობარი.
128.

მერულიაკოვი ა. ფ. (1778—1830)
— რუსი პოეტი. 271.

მეტერნიხი, კლემენს ლოტარ-ვენ-

ტელ (1773 — 1859) — ავს-
ტრიის კანცლერი. 167, 295.
მეუნარგია, ი. — ქართველი მწერა-
ლი. 158.

მიასოდოვი, გ. (1835 — 1911) —
რუსი მხატვარი. 149.

მილტონი, ჯონ (1608 — 1674) —
ინგლისელი მწერალი. 313.

მირცხულავა, ა. — ქართველი საბ-
კოთა მწერალი. 68, 70.

მიუსე, ალფრედ დე (1810—57) —
ფრანგი მწერალი. 58.

მიშლე, შიულ (1798 — 1874) —
ფრანგი ისტორიკოსი. 20.

მიცკევიჩი, ვლადისლავ — ი. მიც-
კევიჩის ვაჟი. 148, 273.

მიცკევიჩი, მარისა — ადამ მიცკე-
ვიჩის ქალიშვილი. 307.

მიცკევიჩი, მიკოლაი — ადამ მიც-
კევიჩის მამა. 17, 19, 20.

მიცკევიჩი, ფრანციშეკ — ადამ
მიცკევიჩის ძმა. 18, 19, 194.

მოლესონი — მიცკევიჩის ფილარე-
ტელი მეგობარი. 212.

მოცარტი, იოჰან ანდრეუს (1756 —
1791) — გერმანელი კომ-
პოზიტორი. 149.

მურავიოვ-აპოსტოლი, ს. ი. (1796
— 1826) — დეკაბრისტი.
107, 127, 130.

მური, ტომას (1779—1852) — ინგ-
ლისელი პოეტი. 1279, 149.
152.

ნაპოლეონ I (1769—1821) — საფრანგეთის იმპერატორი. 13, 14, 15, 16, 19, 20, 176, 167, 176, 238, 239, 215, 249, 250, 272, 274, 291, 292, 293.

ნაპოლეონ III (1808 — 1873) საფრანგეთის იმპერატორი. 176, 287, 288, 289, 293, 30.

ნემცვეიჩი, იულიან-ურსინ (1757 — 1841) — პოლონელი მწერალი. 109, 151, 184, 195, 215, 216, 256, 259.

ნარუშევიჩი, ადამ-სტანისლავ (1733 — 1796) — პოლონელი მწერალი. 24.

ნესტორი — ძველი რუსი მწერალი და მემატიანე (XI ს.

დასასრულისა და XII ს. დასაწყისისა). 270.

ნიშოვოსკი, ბონავენტურა — ვარშავის ნაციონალური მთავრობის თავმჯდომარე. 222.

ნიკოლოზ I (1796 — 1855) — რუსეთის იმპერატორი. 144, 182, 184, 186, 224, 225, 257, 258, 274, 307.

ნოვალისი (1772 — 1801) — გერმანელი მწერალი-რომანტიკოსი. 32, 41, 59.

ნოვაკი — პოლონელი კაპიტანი, იმოგზაურა საქართველოში. 161.

ნოვოხილცევი, ნ. ნ. (1761 — 1836) — სენატორი. 16, 104, 117, 144, 154, 180, 196, 212, 214, 215, 216.

ო

ოლინეტი, ანტონ-ედუარდ (1804 — 1885) — პოლონელი ავტორი. 111, 116, 150, 167, 168, 169, 170, 172, 171, 175, 195, 231, 235, 308.

ოლოფსკი, ა. ი. (1802—1839) — რუსი პოეტი-დეკაბრისტი. 109.

ოლდშევეიჩი, იუზეფ — პოლონელი მხატვარი. 108, 109, 150, 154.

ოლიზარი, გუსტავ — ა. მიცკევიჩის მეგობარი. 113.

ორბელიანი, ალექსანდრე — ქართველი მწერალი. 158.

ორბელიანი, ვახტანგ — ქართველი მწერალი. 158.

ორდონი, იულიან (1810—1887) — პოლონელი ოფიცერი. 190, 191.

პ

პასკევიჩი, ი. ფ. (1782 — 1856) — რუსი მხედართმთავარი. 144, 185, 186, 190.

პელიკანი, ვაცლავ (1790 — 1873) — ვილნიუსის უნივერსიტეტის რექტორი. 215.

პერიკლე (დაახლ. 490 — 429) ათენის მონათმფლობელური დემოკრატიის ბელადი. 53.

პეტელი, პ. ი. (1793 — 1826) — დეკაბრისტი. 110.

პეტარაკა, ფრანჩესკო (1304 — 1374) — იტალიელი მწერალი. 32, 119, 120, 121, 125, 136, 138.

პეტრაშკევიჩი, ონუფრი (1793 — 1863) — პოლონეთის ერუზენულ - გამათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე. 22, 32, 111.

პეტრაშკევიჩი, ქსავერი — პოლონელი პოეტი. 163.

პეტრე I — რუსეთის იმპერატორი, 217.

პიუს IX — რომის პაპი. 280.

პლატერი, ემილია (1806—1831) — პოლონელი პატრიოტი ქალი. 189.

პოგოდინი, ა. — ლიტერატურის ისტორიკოსი. 120.

პოგოდინი, მ. პ. (1800 — 1875) — რუსი მწერალი. 48, 116, 164.

პოპი, ალექსანდერ (1688 — 1744) — ინგლისელი მწერალი. 55, 157.

პლატონი (427 — 347) — ძველი ბერძენი ფილოსოფოსი. 297.

პოტოცკა, დელფინა — 275.

პოტოცკი, ვოიცხ — პოლონელი მოგზაური. 161.

პოტოცკი, იან (1760 — 1815) — პოლონელი მოგზაური. 161.

პოტოცკი, იგნაც (1741 — 1809) — პოლონელი საზოგადო მოღვაწე. 9, 181.

პრუდონი, პიერ-ჟან (1809—1865) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. 282, 294.

პრუფეაღსკი, იოსებ — პოლონელი პატრიოტი, მოგზაური. 108.

პტოლომეოსი — ძველი ბერძენი მხედართმთავარი 53.

პუტკამერი, ლორენცო — მარია ვერეშჩაკის ქმარი. 33, 34, 45, 47, 66, 157, 240, 308.

პუშკინი, ა. ს. (1799 — 1837). რუსი მწერალი. 3, 60, 107, 111, 115, 116, 117, 118, 119, 127, 137, 149, 150, 157, 164, 187, 192, 217, 218, 219, 221, 257, 258, 271.

უ

უალევსკი, ბოი — პოლონელი ლიტერატურათმცოდნე. 283.

უიჯოვი, მარკ — საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე. 219.

უუკოვსკი, ვ. ა. (1783—1852) — რუსი პოეტი. 117, 137, 147, 150, 166, 271.

რ

რადეცკი, იოსებ (1766 — 1858) — ავსტრიელი ფელდმარშალი. 286.

რაზმაძე, ხოლომონ — ქართველი

საზოგადო მოღვაწე. 158.

რაიხმანი, მ. — თანამედროვე პოლონელი ისტორიკოსი. 160.

რაფაელი (1483 — 1520) — იტალი-

ელი მხატვარი. 176.
 რილევი, კონრად (1795 — 1826)
 — დეკაბრისტი. 107, 109,
 115, 121, 207, 218.
 რიხტერი, ჟან პოლ (1763—1825)
 — გერმანელი მწერალი. 34,
 105.
 რობესპიერი, მაქსიმილიან (1759

—1794) — ფრანგი პოლი-
 ტიკური მოღვაწე. 11.
 როსინი (1792 — 1868) — იტალი-
 ელი კომპოზიტორი. 149.
 რიუკერტი, ფრიდრიხ (1788 —
 1866) გერმანელი მწერალი.
 138.
 რუსთაველი, შოთა — ქართველი
 პოეტი. 164.

ს

სააკაძე, გიორგი — ქართველი მხე-
 დართმთავარი. 142.
 სავიჩი, ფრანციშეკ — პოლონელი
 ოფიცერი. 163.
 სანდი, ჟორჟ — ფრანგი მწერალი
 ქალი. 254, 256, 259, 264.
 სასი, პ. — ფრანგი მწერალი. 154.
 სენეკოვსკი, ი. ო. (1800 — 1858) —
 პოლონელი აღმოსავლეთ-
 მკვლევ და პუბლიცისტი.
 103, 127, 154.
 სენტ-ბევი, შარლ ოგიუსტ (1804
 — 1869) — ფრანგი მწერა-
 ლი. 263.
 სვედენბორგი, ემანუელ (1688 —
 1772) — შვეიცელი მისტი-
 კოსი. 108.
 სვიფტი, ჯონათან (1667 — 1745)
 — ინგლისელი მწერალი-
 სატირაოსი. 55.
 სივერსი, ი. — რუსეთის მთავრო-
 ბას ელჩი პოლონეთში. 9.
 სიოდოლკევიჩი — პოლონური ღე-
 გონის ოფიცერი. 286.
 სკიუდერი, მადლენ (1607—1701)
 — ფრანგი რომანიტი ქა-
 ლი. 140.
 სკოვაცი, ჯოვანი. 260.
 სკოტი, ვალტერ — (1771—1832)

— ინგლისელი მწერალი
 56, 151, 154.
 სკუმეშევსკი — პოლონელი მწე-
 რალი. 184, 185.
 სლოვაკი, იულიუს (1809—49) პო-
 ლონელი პოეტი. 112, 232,
 242, 256, 264; 265, 266.
 267, 275, 279.
 სლუხოლსკი, ბენრიკ — პოლონე-
 ლი ოფიცერი. 314.
 სმირონოვა, ა. ო. (1809—82) —
 რუსი მწერალი. 219.
 სობანსკა, კაროლინა — ა. მიცე-
 ვიჩის ნაცნობი ქალი ოდე-
 საში. 112, 113, 126.
 სობოლევსკი, სერგეი — რუსი
 მწერალი. 115, 116, 118,
 177, 187.
 სანდუცი, ლუდვიგა — ა. მიც-
 კევიჩის ნაცნობი. 315.
 სმოლდუცი, იან (1756 — 1830) —
 პოლონელი მწერალი. 34,
 73.
 სორე — ბუნებისმეტყველი, ი. გო-
 ეთეს მეგობარი. 171.
 სტანისლავ-ავგუსტი (პონიატოვსკი)
 (1764 — 1795) — პოლონე-
 თის მეფე. 11.

ხატლერი, ვოიციხ-კორნელი (1797—1875) — პოლონელი მხატვარი. 186.
 ხაშიცი, სტანისლავ (1755—1826) — პოლონელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე. 7.
 ხახევი, ბ. თ. — საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე. 112.
 ხარიკოვსკი, მატფეი — პოლონელი ისტორიკოსი. 81.

ხარუმფ-ვოიტკევიჩ, სტანისლავ — პოლონელი ლიტერატურის ისტორიკოსი. 107, 166, 299.
 ხოფოკლე (496—406) — ძველი ბერძენი დრამატურგი. 55.
 ხტალი, მადამ დე (1766—1817) ფრანგი მწერალი ქალი. 59.
 ხუზინი, ადამ (1800—1879) — ფილარეტელთა წრის წევრი. 106.
 ხუხოდოლსკი — კაპიტანი. 315.

ტ

ტასო, ტორკვატო (1545—1596) — იტალიელი მწერალი. 17.
 ტეფი — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე. 293, 300.
 ტეი, იოჰან ლუდვიგ (1773—1853) — გერმანელი მწერალი-რომანტიკოსი. 34.
 ტოვიანსკი, ანდრეი — 272, 273, 274, 275, 276, 290, 291.
 ტოლსტოი, ა. ნ. (1817—1875) — რუსი მწერალი. 222.
 ტომაშევსკი, დიზმა-ბონჩი (1749—

1825) — პოლონელი პოეტი. 25, 26, 86.

ტორვალდსენი, ბერტელ (1770—1844) მოქანდაკე. 176.
 ტრემბიციკი, სტანისლავ (1736—1812) პოლონელი პოეტი. 20, 24, 25, 112, 151.
 ტუმანსკი, ვ. ა. — რუსი მწერალი. 110, 111, 121.
 ტურგენევი, ა. ი. (1784—1845) — დეკაბრისტ ნიკოლოზ ტურგენევის ძმა, რუსი საზოგადო მოღვაწე. 177, 267.

უ

უდინო, ნიკოლა-შარლ-ვიქტორ (1791—1863) — ფრანგი გენერალი. 287, 289, 306.

უალუ დე, ფრედერიკ (1811—) ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე.

ფ

ფაშალიშვილი, ს. — ქართველი საბჭოთა მწერალი. 146.
 ფირდოუსი (932—1026) — ირანელი მწერალი. 134.
 ფიურნბერგი, ლუი—თანამედროვე ჩეხი მწერალი. 170.

ფოგელი, კარლ (1798—1864) — გოეთეს მეგობარი. 169, 171.
 ფრიდრიხ-ავგუსტი — საქსონის მეფე, შემდეგში ვარშავის სამთავროს მმართველი. 14.
 ფრიდრიხ-ვილჰელმ IV (1795—1861) — პრუსიის მეფე.

ქერიშ-გირე — ყირიმის ხანი. 130

უიფიანი, დიმიტრი — ქართველი მწერალი. 158.

შატობრიანი, რენე (1768 — 1848) — ფრანგი მწერალი-რომანტიკოსი. 58, 149.

შევირიოვი, სერგეი—რუსი მწერალი. 117, 257.

შელი, პერსი ბიში (1792—1822) — ინგლისელი პოეტი-რომანტიკოსი. 59, 60, 254.

შექსპირი, უილიამ (1564 — 1616) — ინგლისელი დრამატურგი. 55, 61, 215.

შილერი, ფრიდრიხ (1759 — 1805) — გერმანელი მწერალი. 33, 34, 41, 50, 51, 26, 58, 72, 97, 138, 169, 173, 313.

შოპენი, ფ. — პოლონელი კომპოზიტორი. 267, 275, 276.

შიმანოვსკა, მარია (1790—1831)— ცნობილი პოლონელი პანისტი. 145, 149, 150, 169, 166, 167, 168, 176, 255.

ჩაიკოვსკი, მიხეილ — იგივე სალიე ფაშა. 314, 315.

ჩაიკოვსკი, პეტრე — რუსი კომპოზიტორი. 123, 137.

ჩარტორიისკი, ადამ (1770 — 1861) — პოლონელი სახელმწიფო მოღვაწე. 13, 36, 184, 185, 222, 223, 264, 313, 314.

ჩეჩოტი, იან (1794 — 1847) —

შიმანოვსკა, მარია — მარია შიმანოვსკას ქალიშვილი. 307.

შიმანოვსკა, სოფია — მ. შიმანოვსკას ქალიშვილი. 307.

შიმანოვსკა, ცელინა — მარია შიმანოვსკას ქალიშვილი, მაცკეიჩის მეუღლე. 151, 255, 256, 259, 260, 261, 264, 272, 273, 291, 307.

შიშკოვი — რუსეთის იმპერიის განათლების მინისტრი. 112.

შლეგელი, ავგუსტ-ვილჰელმ (1767 — 1845) — გერმანელი რომანტიკოსი მწერალი და ფილოლოგი. 57.

შმელერი, იოზეფ — გერმანელი მხატვარი. 170.

შჩახტნი, ვ. — რუსი პოეტი. 137, 159.

შჩელნიცი, ვლადისლავ — პოლონელი პოეტი. 162, 163

პოლონელი პოეტი. 36, 57, 38, 43, 47, 52, 72, 74, 75, 105, 125; 308.

ჩერნიშოვი — მეფის ნაცვალი პოლონეთში. 144.

ჩოსერი, ჯეფრი (1340 — 1400) ინგლისელი პოეტი. 55.

ჩხენკელი, თ. — ქართველი საბჭოთა პოეტი. 122, 124, 129, 130, 135.

ცახოვსკი, ადოლფ (1794—1854)—
პოლონეთის საიდუმლო ორ-
განიზაციის წევრი. 214.

წ

წერეთელი, აკაკი — ქართველი
მწერალი. 145.

ჭ

ჭავჭავაძე, ევატერინე — ალექსანდ-
რე ჭავჭავაძის ასული. 157.

ჭიქინაძე, კ. — ქართველი საბჭოთა
მწერალი. 128, 133, 142,
145, 156.

ხ

ხიტროვო, ე. — პუშკინის მეგობარ-
ი. 187.

ხლიუსტინა, ანასტასია — მიცკე-
ვიჩის ნაენობი ქალი იტა-
ლიაში. 176, 177.

ხლიუსტინა, ვერა — მიცკევიჩის
ნაენობი ქალი იტალიაში.
176.

ხლოპიცკი, იუზეფ (1771 — 1854)
— პოლონელი გენერალი.
184, 185, 189, 295.

ხლოპიცკი, ედუარდ — პოლონელი
პოეტი. 307, 308, 309, 311.

ხომიაკოვი, ა. ს. — რუსი მწერა-
ლი. 164.

ხომკო, ი. — პოლონელი მეცნიერი
164.

ჟ

ჟანე, ჟანრიკ (1797 — 1856) —
გერმანელი მწერალი. 58,
59, 60, 254.

ჟაჭერი — აღმოსავლეთმცოდნე.
127.

ჟანსი — გერმანელი პროფესორი.
166.

ჟეველი, გეორგ-ვილჰელმ-ფრიდრიხ
(1770 — 1831) — გერმან-
ელი ფილოსოფოსი. 166.

ჟენდელი, გ. ფ. (1685 — 1759) —
გერმანელი კომპოზიტორი.

ჟერდერი, იოჰან-გოტფრიდ (1744
— 1803) — გერმანელი მწე-
რალი. 151.

ჟიუგო, ვიქტორ (1802 — 1885) —
ფრანგი მწერალი. 58, 60,
138, 158, 254.

ჟელდერლინი, ფრიდრიხ (1770 —
1843) — გერმანელი მწე-
რალი. 32, 59.

ბომეროსი—ძველი ბერძენი მწე-
რალი. 59.
ზორაციუსი — ძველი რომელი
პოეტი. 152.
ზორტენზია — პოლანდიის დედ-

ფალი. 176
ზოფმანი, ერნსტ თეოდორ-ამა-
დეუს (1776 — 1822) —
გერმანელი მწერალი-რომან-
ტიკოსი. 41, 59.
